

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ქართული უნივერსიტეტის შრომები

ტომი I

გამომცემლობა “ქართული უნივერსიტეტი”

თბილისი 2015

UDC (უაკ) 378.4 (47922)

ქ-279

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე (მთავარი რედაქტორი), აკადემიკოსი როინ მეტრეველი, პროფესორი ივანე წერეთელი, პროფესორი ჰამლეტ მელაძე, პროფესორი ვახტანგ სართანია, პროფესორი მიხეილ ჯიბუტი, პროფესორი დიმიტრი ნადირაშვილი, პროფესორი მინდია უგრეხელიძე, პროფესორი ვახტანგ გურული, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე, პროფესორი პაატა გოგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი).

ტომი გამოსაცემად მოამზადეს პროფესორმა **ვახტანგ გურულმა**, პროფესორმა **პაატა გოგიშვილმა**, ისტორიის დოქტორმა **ლევან ჯიქიამ**.

ილია ჭავჭავაძის გამზირი 53^ა
0167, თბილისი, საქართველო
press.sangu.edu.ge
press@sangu.edu.ge

ISSN 1512-3073

გამომცემლობა “ქართული უნივერსიტეტი”, 2015

Saint Andrew the First-Called Georgian University Of the Patriarchate of Georgia

Proceedings of the Georgian University

Volume I

Georgian University Press

Tbilisi 2015

UDC (უკ) 378.4 (47922)

ქ-279

Editorial Board:

Professor Sergo Vardosanidze (chief editor), academician Roin Metreveli, professor Ivane Tsereteli, professor Hamlet Meladze, professor Vakhtang Sartania, professor Mikheil Jibuti, professor Dimitri Nadirashvili, professor Mindia Ugrekheldze, professor Vakhtang Guruli, professor Taniel Putkaradze, professor Paata Gogishvili (executive secretary).

The volume was prepared for publishing by professor **Vakhtang Guruli**, professor **Paata Gogishvili**, doctor of history **Levan Jikia**.

Ilia Chavchavadze Avenue 53^a
0167, Tbilisi, Georgia
press.sangu.edu.ge
press@sangu.edu.ge

ISSN 1512-3073

Georgian University Press, 2015

სარჩევი

სერგო ვარდოსანიძე - ქართული უნივერსიტეტის შრომების მკითხველს.....7

მიტროპოლიტი ზოსიმე შიოშვილი - სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ადრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2015 წლის 17 მარტს.....8

ისტორია

როინ მეტრეველი - რელიგია და ზნეობა (ლევ ტოლსტოი რელიგიისა და ზნეობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ).....15

სერგო ვარდოსანიძე - რა მოხდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 1968 წელს.....23

ვახტანგ გურული - საქართველო ისტორიულ გზაგასაყარზე (1917-1918).....34

როზეტა გუჯეჯიანი - ეთნიკურ ქართველთა განსახლების არეალი და ისტორიული მახსოვრობის ფაქტები ზემო მაჭახელში.....63

გვანცა ბურდული - საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების შეფასება რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წ.).....77

დურმიშხან ლაშვი - ძმები ზუბალაშვილების სტიპენდიანტები 1908-1914 წლებში.....85

ვახტანგ გურული, მაკა კვარაცხელია - საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი 1941-1957.....95

ლევან ჯიქია - ქართული სკოლების მდგომარეობა საინგილოში.....139

ფილოლოგია

მანანა ტაბიძე - სასამართლოს გადაწყვეტილებათა ენობრივი თავისებურებები.....157

ლია კარიჭაშვილი - „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებითი პერსპექტივები გალაკტიონთან.....171

სამართალმცოდნეობა

ევა გოცირიძე - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმი - სუბსიდიურობის პრინციპის განვითარება თუ გაუმართლებელი ჩარევა?.....181

მინდია უგრეხელიძე - ექსისტენციალიზმი და სამართალი.....192

სოციალური მეცნიერებები

დიმიტრი ნადირაშვილი - ნებელობის ფენომენი განწყობის თეორიის დღევანდელი პოზიციიდან (ი. იმედაძის კრიტიკული წერილის პასუხად).....219

მაია კალანდარიშვილი - ფიქსირებული განწყობა, როგორც სამომხმარებლო არჩევანის დეტერმინანტი.....225

თეა გოგოტიშვილი - მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა. განწყობის ფსიქოლოგიური ასპექტები.....234

გეოფიზიკა

მანანა კაჭახიძე, ნინო კაჭახიძე, იოსებ ტურაზაშვილი, ვიტალი ლოლობერიძე, კახა მაჭავარიანი, ზურაბ ვაშალომიძე - ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის, როგორც მიწისძვრის შესაძლო წინამორბედის კვლევა კავკასიის რეგიონის რეტროსპექტული მონაცემების ბაზაზე.....247

მათემატიკა

თამაზ თევზაძე - Об Одном признаке абсолютной сходимости кратных рядов Фурье.....263

ეკონომიკა

ლევან ქისტაური - საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები.....273

Table of Content

Sergo Vardosanidze – To the Reader.....	7
Mitropolit Zosime Shioshvili - Speech of mitropolit Zosime in the St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, March 17th, 2015	8
History	
Roin Metreveli - Religion and Morality.....	15
Sergo Vardosanidze - What Happened in the Georgian Orthodox Apostolic Church in 1968.....	23
Vakhtang Guruli - Georgia on the Historical Crossroad (1917-1918).....	34
Rozeta Gujejiani - The Resettlement Area of the Ethnic Georgians and the Facts of the Historical Memory in Zemo (Upper) Machakheli.....	63
Gvantsa Burduli - The estimation of Georgia Exarch on the basis of an assessment Previous meeting of Council (1906).....	77
Durmiskhan Laskhi - Brothers Zubalashvilis' Scholarship Candidates in the Years 1908-1914	85
Vakhtang Guruli, Maka Kvaratskhelia – Northern border of Georgia 1941–1957.....	95
Levan Jikia - Condition of Georgian Schools in Saingilo.....	139
Philology	
Manana Tabidze - Linguistic Characteristics of Court Decisions.....	157
Lia Karichashvili - Expressive Perspectives of the “Knight in the Panther’s Skin” in Galaktioni’s Poetry (Several Aspects).....	171
Jurisprudence	
Eva Gotsiridze - Development of the Principle of Subsidiarity or Unjustified Intervention ?.....	181
Mindia Ugrekhelidze - Existentialism and Law.....	192
Social Sciences	
Dimitri Nadirashvili - The Phenomenon of Willpower from the Position of Modern Theory of Attitude Viewpoint.....	219
Maia Kalandarishvili - Fixed Attitudes as a Determinator of Consumer Choice.....	225
Tea Gogotishvili - Relationship Between the Children and Parents. Psychological Aspects of Attitude.....	234
Geophysics	
Manana Kachakhidze, Nino Kachakhidze, Ioseb Turazashvili, Vitali Cocoberidze, Kaxa Machavariani, Zurab Vashalomidze - Searching of atmospheric electric field potential gradient, as earthquake possible precursor on the base of Caucasus region retrospective data.....	247
Mathematics	
Tamaz Tevzadze – On one criterion for absolute convergence of multiple Fourier series.....	263
Economics	
Levan Kistauri - The Modern challenges of the economy of Georgia.....	273

ქართული უნივერსიტეტის შრომების მკითხველს

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი 2008 წელს დაფუძნდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა სრულ ჰარმონიაშია. უნივერსიტეტს ჰყავს გამორჩეული პროფესორა, რომელიც ლექცია-სემინარების ჩატარების გარდა თავის დარგებში ქმნის ღირებულ სამეცნიერო პროდუქციას. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით ყოველწლიურად დაიბეჭდება ქართული უნივერსიტეტის შრომების კრებული, რომელშიც შევა ჩვენი პროფესორ-მასწავლებლებისა და დოქტორანტების ნაშრომები.

დარწმუნებული ვარ, ქართულ ინტელექტუალურ საზოგადოებაში წარმოდგენილი კრებული ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

ქართული უნივერსიტეტის რექტორი,

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

მიტროპოლიტი ზოსიმე შიოშვილი

სიტყვა,

წარმოთქმული საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ადრია პირველწოდებულის
სახელობის ქართულ უნივერსიტეტში

2015 წლის 17 მარტს.

„უცოდინარება გონების სიბრძნეა, თვალის სიბრძნეზე უარესი“

ილია მართალი

პატივცემულო საზოგადოებაჲ, ძვირფასო სტუმრებო! დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ქართულ უნივერსიტეტში იმისათვის, რომ გზა დავულოცოთ ჩვენი ერის სახელოვანი მამულიშვილის, წმიდა ილია მართლისადმი მიძღვნილ ომარ გოგიაშვილის წიგნს „ილია დღეს“ (წიგნი III) და გამოვხატოთ მოკრძალება და სიყვარული ჩვენი სათაყვანებელი წინაპრის, ქართველთა სულიერი მამისა და პატრონისადმი. დღეს ჩვენ ასევე გვინდა მადლიერება და პატივისცემა მივუძღვნათ წიგნის ავტორს, მეცნიერსა და მკვლევარს, ბატონ ომარ გოგიაშვილს წიგნზე გაწეული შრომისა და გარჯისათვის, ჭეშმარიტად ღირებული ნაშრომისთვის, კეთილ შენაძენად რომ იქცევა დიდი ილიას ღვაწლის დამფასებლებისა და მადიდებელთათვის.

წმიდა ილია მართალი სიცოცხლეშივე ერის მამად იყო აღიარებული, ასეთად იცნობდა მას მოწინავე ქართველობა, ინტელიგენცია და ხალხი, ჩვენ, ყველა, ვისთვისაც ძვირფასი იყო ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა და ნათელი მომავალი. ამიტომაც ილიას აზროვნება, მისი მსოფლმხედველობა, ადრიდანვე გახდა შესწავლისა და კვლევის საგანი. ბევრი წიგნი და გამოკვლევა მიეძღვნა ილია მართლის მოღვაწეობასა და მემკვიდრეობას და გასახარია, რომ მათ რიცხვს შეემატა კიდევ ერთი მონოგრაფია, რომელშიც წმიდა ილიას მსოფლმხედველობაა გაანალიზებული. ნაშრომის უმთავრესი მიზანია ილიას პოლიტიკური ფილოსოფიის, იდეოლოგიის, თეორიებისა და კონცეფციების მის თანადროულ უდიდეს მოაზროვნებებთან ურთიერთდამოკიდებულებისა და იდეური ნათესაობის კვლევა, როგორც ამას თავადვე აღნიშნავს ავტორი.

მონოგრაფიის ერთი უმთავრესი ამოცანაა იმის ჩვენება, თუ რამდენად თანამედროვე და გამოყენებითი მნიშვნელობისაა დღევანდელი ჩვენი საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ილიას პოლიტიკური ნააზრევი. ეს წიგნი ძირითადად ამ მიზანს ემსახურება, რაც მის სახელწოდებაშიცაა ასახული.

თავადაპირველად წიგნის სახელწოდებამ დამაფიქრა, რამდენად შესაძლებელი და სასურველია ილიას ნააზრევის გამოყენება თანამედროვე ცხოვრებაში, მაგრამ ეს დაეჭვება თუ ფიქრი მალე გამეფანტა, როგორც კი ილიას ნააზრევს ჩაუღრმავდი და დაგრწმუნდი, რომ სწორედ ეს არის ამ წიგნის მიზანი და ღირსება, რომ ილიას ნააზრევი, მისი შეხედულებანი ახლობელი და გამოსაყენებელი გახდეს ჩვენთვის.

ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობა, ასე თუ ისე, მკვლევართა მიერ იქნა შესწავლილი, მაგრამ მისი თვალსაზრისი რელიგიასთან დაკავშირებით, რელიგიის მიმართება პოლიტიკასთან,

იდეოლოგიასთან, განათლებასთან, მეცნიერებასთან უფრო ნაკლებადაა ცნობილი, რადგან იგი ერთხანს ილიას მსოფლმხედველობის შედარებით სუსტ მხარედ იყო მიჩნეული, ამიტომ მას არ ეთმობოდა სათანადო ყურადღება, ზოგჯერ კი საერთოდ იგნორირება ხდებოდა მისი. სინამდვილეში კი ეს პრობლემა იყო ილიას მსოფლმხედველობის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის კვლევითაც იგი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იყო დაკავებული. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ერთადერთი, რისი პრეტენზიაც ამ მონოგრაფიას აქვს და ალბათ უნდა ჰქონდეს კიდევ, ეს არის ილიას რელიგიასთან, კონკრეტულად კი მართლმადიდებლურ ქრისტიანულ აღმსარებლობასთან თავის დროზე გამრუდებული და, ხშირ შემთხვევაში, არასწორი დამოკიდებულების გასწორება, სწორად გადმოცემა და მიტანა მკითხველამდის.

იმის გამო, რომ ნაშრომი უმეტესად ილიას რელიგიასთან და, კერძოდ, მართლმადიდებელ ქრისტიანობასთან დამოკიდებულებას ეხება, ავტორმა საჭიროდ ჩათვალა, რომ წიგნი წამეკითხა და როგორც მღვდელმსახურს, მასთან დაკავშირებით გამომეთქვა ჩემი მოსაზრება თუ შენიშვნანი. მე პატივისცემით შევასრულე ბატონი ომარის თხოვნა და გულდასმით წავიკითხე წიგნი, რომელმაც განმცდევინა დიდი კმაყოფილება და შემიძინა კიდევ უფრო მეტი, კერძოდ ის, რომ დიდი ილია ჩემთვის გახდა ახლობელი და დასაფასებელი. წიგნი მე დამეხმარა ილიას უკეთ შეცნობაში, იგი მეტად სათაყვანებელი შეიქნა ჩემთვის.

პირველი, რაც მე გამორჩევით უნდა აღვნიშნო, არის ის, რომ წიგნი მშვენიერი ქართულითაა დაწერილი. ეს ნამდვილი ღირსებაა წიგნისა, მით უფრო იმიტომ, რომ ილია მართლმად ქართული ენის დაცვასა და მოფრთხილებას შეაღია წლები. ქართული ენის დაცვა, მისი განვითარება და მისთვის კუთვნილი ადგილის მიჩენა სასულიერო განათლების სისტემაში, ილიას მიერ ეროვნული სულის გამოღვიძებისა და აღორძინების უპირველეს პირობად იყო მიჩნეული.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში, სასულიერო განათლებაში მშობლიური ენის დაფასებას, არა მარტო წმინდა პედაგოგიურ-მეცნიერული, არამედ ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც ილია, დღიდან მისი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლისა, ქართული ენის დამკვიდრებისათვის ნამდვილ ბრძოლას ეწეოდა, როგორც კოლონიური პოლიტიკის გამტარებელ ბიუროკრატიასთან, ისე ვაითანამეძამულეებთანაც, რომლებიც უგულვებელყოფდნენ მშობლიური, ქართული ენის მნიშვნელობას საგანმანათლებლო სფეროში. ილიას მიაჩნდა, რომ ერის გადარჩენის პრობლემა ენასთანაა დაკავშირებული, რომ ერის სულიერი დაკნინება იწყება ენის დავიწყებით, რომ უცხო ენაზე გადასვლა არის სულიერების ეროვნულისაგან დაშორების საწინდარი;

ცნობილია ილიას დებულება: ენა საღმრთო რამ არისო. გარდა ეროვნების განმსაზღვრელი ფენომენის განსაკუთრებული ფუნქციისა, ილია ამ გამონათქვამით კიდევ მიუთითებდა ენის ღვთიურ წარმოშობაზე, უძველეს ბიბლიურ გადმოცემასა და კიდევ სახარებისეულ ჭეშმარიტებაზე, რომ მაცხოვარმა, ვიდრე მოციქულებს ხალხში სასუფეველის საქადაგებლად წარგზავნიდა, ისინი ჯერ იმ ხალხების ენების ცოდნით აღჭურვა, რომელთათვის ღვთის მაცოცხლებელი სიტყვა უნდა ექადაგათ, რათა სახარება ადვილად მისაღები და გასაგები გამხდარიყო მათთვის. ამიტომ სულიერ ცხოვრებაში, კერძოდ, ღვთისმსახურებაში არსებული მანკიერი მოვლენების სათავედ ილიას უპირველესად მშობლიური ენის უპატივცემულობა და დაუფასებლობა მიაჩნდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართულ ენას თავისი ღირსეული ადგილი დაეკავებინა ერის ცხოვრებაში.

რა დასაზიანა, რომ დღეს, როდესაც ქვეყანა შედარებით თავისუფალია, დღეს, როცა ღვთის მადლით ქართული ეკლესია დამოუკიდებელია და სამწყსოს თვითონ მწყემსავს, დღეს, როცა ქართული ენა არ იდევენება და არც იზღუდება ისე, როგორც ილიას დროს წლების წინ, იგი

მაინც დაუცველი და მოუფრთხილებელია. დღეს ისევ სჭირდება ჩვენს ხალხს, განსაკუთრებით ჩვენს სასულიერო პირებს, ილიას შეგონება, რომ სათუთად მოეკიდნონ მშობლიური ენას, რომ სწორედ ენაში ინახება ღვთის სული და ენის მოუფრთხილებლობით უფალთან სიახლოვესაც შორდება ადამიანი. დღეს ლამის იშვიათად იქცა კარგი ქართულის გაგონება, ეკლესიაშიც ამბიონიდან ძნელად თუ გაისმის მაღლიანი ქართული სიტყვა, დღეს ცოტას თუ ესმის მშობლიური ენის მნიშვნელობა სულიერი განათლებისა და ცხოვრების საქმეში. დღეს, როცა ასე ძალიან შემოვიდა უცხო სული ჩვენში, ენა მშობლიური ისევ მისახედ საფასედ იქცა, ისევ დასაცავი და მოსაფრთხილებელი არის. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ დიდი ილია ახლაც დაგვტრიალებს თავს, გვაფხიზლებს, გერწვთვნის თავისი ბრძნული შეგონებებით, დღესაც, როგორც თავის დროს, ისევე ირჯება ჩვენი ენის სიწმინდისა და გადარჩენისათვის.

1904 წლის ნარკვევში, „ძველი და ახალი სამღვდელეობა“, ძველ სასულიერო წოდებას, ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის ილია უძღვნის დიდ ქება-დიდებას, ახალი სამღვდელეობის ნაკლს კი ამხელს სიცხადით. სასულიერო პირთა უმთავრეს ნაკლად ილია მათ გაუნათლებლობას თვლის. ილია მიიჩნევდა, რომ სწორედ უცოდინარობის, განუვითარებლობის შედეგი იყო, რომ სასულიერო პირებმა დაკარგეს ავტორიტეტი, რომ ხალხი მღვდელს უყურებს არა როგორც თავის სულიერ მამას, არა როგორც თავის მწვრთნელსა და დამრიგებელს, არამედ როგორც უსარგებლო და მცონარე პირს. ამიტომაც იკლო იმ მოწიწებამ და პატივისცემამ სამღვდელეობისადმი, რომელიც ხალხს ჰქონდა უწინ. უცოდინარობა გონების სიბრმავეა, – ბრძანებდა ილია, – თვალის სიბრმავეზე უარესი, ბრმა სხვას თვალს ვერ აუხელს, ვერ გაუძღვება წინ. ასეთ სიბრმავესა და სიბრმავეს კი მოსდევს რწმენის დაკარგვა ხალხში, რასაც ამოწმებს კიდევ ილია მართალი: „ვინც სოფლისა თუ დაბა-ქალაქების სუსტსა და მოუძღურებელ მაჯისცემას ადევნებს თვალ-ყურს, იმან უსათუოდ იცის, რომ ჩვენმა ხალხმა გონება-ქონებასთან სარწმუნებაც დაჰკარგა... ეს სულისა და გონების აღმამფოთებელი ამბავი, ვგონებ, დაფარული აღარავისთვის აღარ უნდა იყოს”.

უდიდესი გულისტივილითაა ილიას მიერ ეს სიტყვები წარმოთქმული. ეს არის საკვირველი გაფრთხილება ჩვენთვისაც, თუ რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს სასულიერო წოდების უცოდინარობას, გაუნათლებლობას მთელი ერისთვის. როგორც ჩანს, ის, რაც ილიას აწვალებდა თავის დროს, დღესაც აქტუალურია ჩვენი საზოგადოებისათვის, რადგან მიუხედავად რწმენაში თავისუფლებისა, ურწმუნოება მაინც მძლავრობს ჩვენში და იგი გარკვეულწილად ჩვენი ნაკლები განათლებიდან ან არასწორი სულიერებიდან მოდის.

მე ჩემს გამოვლაში შევეხე ქართული ენის დაცვისა და სასულიერო პირთა განათლების საკითხს და შევეცადე მეჩვენებინა ის, თუ რამდენად მისაღები და გამოსაყენებელია დღევანდელი ჩვენი ეკლესიისთვის ილიას ნააზრევი. ჭეშმარიტად, ილია დღესაც ხალხის დიდი მასწავლებელი და სულიერი მოძღვარი არის და ჩვენ, მის სულიერ შვილთ, გვმართებს მისი ნააზრევის საფუძვლიანი შესწავლა და გამოყენება ცხოვრებაში.

მინდა მადლობა გადაუხადო ბატონ ომარს ამ მშვენიერი ნაშრომისათვის და ვუსურვო დანარჩენი ტომების გამოცემაც ასეთივე შემართებით.

რაც შეეხება სურვილებსა და შენიშვნებს, მე რომ გამიჩნდა ნაშრომთან დაკავშირებით: წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელზე ძალიან ბევრი რამ არის წიგნში მოტანილი, მაგრამ აქ უმეტესად დიდი ილიას უკეთ წარმოჩენას ემსახურება იგი. ჩემი დიდი სურვილი იქნება ცალკე წიგნად გამოიცეს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ნააზრევი, ეს ჩვენი სულიერი ცხოვრებისათვის იქნება შენაძენი.

რაც შეეხება შენიშვნას: მოგახსენებთ, რომ წმიდა ილია მართლს მოღვაწეობა მოუხდა ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე პერიოდში, როცა ჩვენ დამოუკიდებლობა გვქონდა წართმეული და საქართველოს ეკლესიას განაგებდნენ რუსი ეგზარქოსები. რუსულმა მმართველობამ რა ზიანიც

მოუტანა ჩვენს ერსა და ეკლესიას, ეს ნაშრომში კარგად არის წარმოდგენილი, მაგრამ ნუ შევეუქმნით მკითხველს ისეთ წარმოდგენას, რომ ეგზარქოსებსა და მეფისნაცვლებს მხოლოდ ცუდი სამსახური აქვთ ჩვენთვის გაწეული. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც კეთილად გაისარჯნენ ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიისათვის. ჩვენ არ უნდა დავუკარგოთ მათი სიკეთე და მაღლიერებით მოვიხსენიოთ ისინიც.

ისღა დამრჩენია, შეკრებილ საზოგადოებას მივულოცო ახალი წიგნის დაბადება და ვუსურვო კეთილი სამსახური გაეწიოს მას ქვეყნისათვის. მაღლობა მინდა გადაუხადო იმათ, ვინც გაისარჯა წიგნის გამოცემისთვის. მაღლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას დღევანდელი ჩვენი შეკრებისა და ამ ღონისძიების ლამაზად ჩატარებისათვის.

წმიდა ილია მართლის ლოცვა გეწოდეთ ყველას ერთავ სოფელში, ამინ!

ისტორია

როინ მეტრეველი

რელიგია და ზნეობა

ლევ ტოლსტოი რელიგიისა და ზნეობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ

1893 წლის აგვისტოში დიდმა რუსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ მიიღო ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორის, ათეისტის, პაციფისტის გიორგ ფონ გიჟიციკის წერილი. მეცნიერი აცნობებდა მწერალს, რომ დააფუძნა „ეთიკის საზოგადოება“ და ჟურნალი „Fur Ethische Kultur“, თანაც ჟურნალის სახელით სთხოვდა ეპასუხა ორ შეკითხვაზე: 1) რა ესმოდა ლევ ტოლსტოის ტერმინ „რელიგიის“ ქვეშ და 2) თვლიდა თუ არა იგი შესაძლებლად რელიგიისაგან დამოუკიდებლად მორალის არსებობას.

ლევ ტოლსტოიმ ეს გამოწვევა მაღალი ღირსებით მიიღო და 1893 წლის 5 ოქტომბერს მიწერილი წერილით დადებითი პასუხი გაუგზავნა გ. გიჟიციკს, თანაც აღნიშნა, რომ „კარგად დასმულ შეკითხვებზე“, რომლებმაც იგი მეტად დაინტერესა, გაუჩნდა სურვილი, რამდენადაც შეიძლებოდა, საფუძვლიანი პასუხი გაეცა. ლევ ტოლსტოიმ თავისი მოსაზრებები დასმული საკითხის შესახებ გაუგზავნა გ. გიჟიციკს.¹

„Postaraюсь по мере своих сил наилучшим образом ответить на эти в высшей степени важные и прекрасно поставленные вопросы“ – განაცხადა ლევ ტოლსტოიმ თავის საგანგებო ტრაქტატში „რელიგია და ზნეობრივობა“ („Религия и нравственность“).²

მწერალმა „რელიგიის“ დეფინიცია სამი მნიშვნელობით წარმოადგინა. პირველი – რელიგია არის ღვთისგან მოცემული ჭეშმარიტი გულანდილობა და აქედან გამომდინარე ღვთის თაყვანისცემა. ასეთ მნიშვნელობას რელიგიას მიაწერენ ის ადამიანები, რომელთაც სწამთ არსებული რელიგიებიდან ერთი და მიაჩნიათ, რომ ერთადერთი რელიგია არის ჭეშმარიტი. მეორე მნიშვნელობა, რომელიც რელიგიას მიეწერება, ესაა ცნობილი ცრურწმენითი დებულებების კრებული და აქედან გამომდინარე ცრურწმენითი თაყვანისცემა ღმერთისა. ასეთ მნიშვნელობას რელიგიას ის ადამიანები მიაწერენ, რომელთაც ღმერთი არ სწამთ საერთოდ, ან არა სწამთ ის რელიგია, რომელსაც თავად ეკუთვნიან. მესამე მნიშვნელობა, რომელიც რელიგიას მიეწერება, არის გონიერ ადამიანთა მიერ მოგონილი დებულებებისა და კანონების კრებული, რომელიც აუცილებელია ხალხთა ფართო მასების სანუგეშოდ, მათი ვნების დასაოკებლად და მათივე მართვისათვის. რელიგიის ამგვარი მნიშვნელობით წარმოდგენი არიან საერთოდ რელიგიისადმი გულგრილი ადამიანები, ამასთან, რომელთაც მიაჩნიათ, რომ რელიგია სახელმწიფოებრიობისათვის სასარგებლო იარაღია.

ლევ ტოლსტოი მზარს უჭერს რელიგიის პირველ განმარტებას, მიაჩნია, რომ ესაა უეჭველი ჭეშმარიტება (непререкаемая истина), რომელიც აუცილებელია, რომ ადამიანთა კეთილდღეობის მიზნით, მათში ყველა საშუალებით გავრცელდეს.

¹ პირველად დაიბეჭდა გერმანული თარგმანი 1893-94 წწ.-ში ჟურნალში „Fur Ethische Kultur“ (ტექსტი ოთხ ნომერში იყო განაწილებული). ცოტა ხანში შესწორებული სახით ცალკე გამოიცა: Graf Leo Tolstoi „Religion und Moral“, Antwort auf eine in der „Ethische Kultur“ gestellte Frage. 1894. ნიშანდობლივია, რომ მალე ინგლისური თარგმანიც გამოვიდა: „Religion und Morality. A. Reply to two question put by the Germany Ethical Society (contemporary Review, March, 1894. რუსულ ენაზე 1894 წლის იანვარში დაიბეჭდა ჟურნალ „Северный вестник“-ში. ცალკე გამოიცა გამომცემლობა „Посредник“-ში 1908 წელს. ტრაქტატის სრული ტექსტი („Религия и нравственность“) დაიბეჭდა ლევ ტოლსტოის გარდაცვალების შემდეგ, 1913 წელს თხზულებათა კრებულში (XV ტომში).

² ვსარგებლობთ 1956 წელს გამოცემული ლ.ნ. ტოლსტოის თხზულებათა 90-ტომეულით; Л.Н. Толстой, Полное собрание сочинений в 90 томах. Академическое юбилейное издание, том 39, стр. 3-26.

მწერლის აზრით, მეორე განმარტება, როცა რელიგია ცრურწმენების შენაკრებადაა განსაზღვრული, მიუღებელია. ამიტომ საჭიროა და აუცილებელი ყველა საშუალებით მისგან ვიხსნათ ადამიანები.

მესამე მნიშვნელობით წარმოდგენილი რელიგია არ არის საჭირო მაღალი განვითარების ადამიანებისთვის, თუმცა ლ. ტოლსტოის აზრით, ესაა „Необходимое... для утешения грубого народа, для управления им“ და ამიტომ მხარი უნდა დაუჭიროთ მას.

ზემომოტანილი სამივე შემთხვევაში ის კი არაა მოცემული, თუ რა წარმოადგენს რელიგიის არსს, არამედ ადამიანთა რწმენა მასში, რაც მათ მიაჩნიათ რელიგიად. უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ყოველგვარი რელიგიის არსი წარმოადგენს ბუნების შეუცნობელი მოვლენებით გამოწვეულ ცრურწმენით შიშის და შესაბამისად ბუნების ამ ძალების გაღმერთება და თაყვანისცემა ხდება. ლევ ტოლსტოი ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე (ცხადია, ლ. ტოლსტოის თანამედროვე) კულტურული მასის უმრავლესობის მოსაზრება რელიგიის შესახებ, თან ხვდება მეცნიერთა შორის წინააღმდეგობას. ზოგიერთი მათგანი ეთანხმება კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში მოწინავე ადამიანები თუმცა უარყოფდნენ კათოლიკობას, პროტესტანტობას, მართლმადიდებლობას, ისე როგორც ამას აკეთებდნენ ენციკლოპედისტები XVIII საუკუნის მიწურულში, მაგრამ არც ერთი მათგანი არ უარყოფდა, რომ რელიგია ზოგადად იყო და არის ყოველი ადამიანის ცხოვრების აუცილებელი პირობა. ვოლტერმა ღმერთს ძეგლიც დაუდგა, რობესპიერმა კი უზენაესისადმი მიძღვნილი დღესასწაულიც შემოიღო.

ლევ ტოლსტოი მიიჩნევს, რომ უხილავ ზებუნებრივ არსებათა აღიარება ყოველთვის შიშის გამო არ ხდება, რაზედაც მიუთითებდნენ „сотни самых передовых и высокообразованных людей прошедшего времени, Сократы, Декарты, Ньютоны и таких же людей нашего времени“.

მთავარი შეკითხვა ლევ ტოლსტოისთვის იყო, თუ საიდან გაჩნდა ადამიანებში უხილავი, ზებუნებრივი არსებების წარმოდგენა: „Если люди боялись грома и мольный, то они и боялись грома и мольный, но для чего же они придумали какое-то невидимое сверхъестественное существо...“ საგულისხმოა, რომ სიკვდილის შიშმა წარმოშვა იდეა გარდაცვლილთა სულებთან შესულიყვნენ წარმოსახვით ურთიერთობაში. ადამიანებმა გამოიგონეს მარადიული და ძლიერი არსება, რომელთანაც თავი დამოკიდებულად მიაჩნდათ. რა იყო ამის მიზეზი? სწორედ ამ მიზეზებში არის დედაარსი, ე.წ. რელიგიისა. ადამიანს დაკვირვების შედეგად და პირადი გამოცდილებით შეუძლია შეიმეცნოს, რომ რელიგია არ არის შეუცნობი ძალების შიშით გამოწვეული ღვთის თაყვანისცემა (ამგვარი რამ ადამიანთა განვითარების დაბალ საფეხურზე შეიძლება მოხდეს), არამედ შიშისაგან და განათლების დონისაგან სრულიად დამოუკიდებელია, რამდენადაც „сознание человеком своей конечности среди бесконечного мира и своей греховности, т. е. исполнения всего того, что он мог бы и должен был сделать, но не сделал, всегда было и всегда будет до тех пор, пока человек останется человеком“.

უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველი მოწიფული გონიერი ადამიანი ამჩნევს, რომ მის ირგვლივ ყველაფერი ცოცხლობს, განახლდება და ემორჩილება ერთ განსაზღვრულ მარადიულ კანონს – შეიმეცნებს რა თავს მთელი სამყაროსაგან ცალკე არსებად, მისჯილი აქვს სიკვდილი, განუსაზღვრელ სივრცესა და უსასრულო დროში გაქრობა და მტანჯველი პასუხისმგებლობის გრძობა მისი საქციელის გამო. ეს შეცნობაა იმისა, რომ თუ ცუდად მოიქცევი უნდა იცოდე, რომ შეგეძლო მოქცეულიყავი უკეთ. ყოველ გონიერ ადამიანს უჩნდება კითხვა საკუთარი თავისადმი: რისთვისაა საჭირო წამიერი მოსვლა წუთისოფელში, განუსაზღვრელი და მერყევი არსებობა ამ მარადიულ და მტკიცედ განსაზღვრულ უსასრულო სამყაროში? როცა ადამიანი ჭეშმარიტ ადამიანურ ცხოვრებას იწყებს, იგი ამ კითხვას ვერ გაექცევა და ყოველი ადამიანი

შეძლებისდაგვარად ასე თუ ისე პასუხობს მას. ამ კითხვაზე პასუხი კი ისაა, რაც შეადგენს ყოველი რელიგიის არსს. ლ. ტოლსტოი ხაზს უსვამს: „Сущность всякой религии состоит только в ответе на вопрос: зачем я живу и какое мое отношение к окружающему меня бесконечному миру“.

რელიგიის მეტაფიზიკა, სწავლებანი ღმერთისა და სამყაროს წარმოშობის შესახებ, მთელი შინაგანი ლეთისპატივისცემა, რომელიც მიიჩნევა რელიგიად, წარმოადგენს რელიგიის გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ პირობებში თანამდევ მანასიათებელ ნიშნებს. ლევ ტოლსტოის მიხედვით, არ არის არც ერთი რელიგია, ყველაზე ამაღლებულიდან დაწყებული, ყველაზე „უხეშით დამთავრებული“, რომელსაც საფუძვლად არ ჰქონდეს ადამიანსა და გარესამყაროს შორის ურთიერთობის დამყარება. ყოველი რელიგიური სწავლება არის წარმოსახვა რელიგიის დამფუძნებლისა იმ დამოკიდებულებასთან, რომელშიც იგი თავის თავს, როგორც ადამიანს, შეიქნობს. ლევ ტოლსტოი მიანიშნებს, რომ ადამიანის სამყაროსთან დამოკიდებულების სამი ფორმა არსებობს: 1) პირველყოფილი პირადი, 2) წარმართული საზოგადოებრივი, ანუ ოჯახურ-სახელმწიფოებრივი და 3) ქრისტიანული ანუ ღვთიური. ლ. ტოლსტოი აზუსტებს: „Основных отношении человека к миру только два: личное, состоящее в признании смысла жизни в соединении с другими личностями, и христианское, признающее смысл жизни в служении посланному человеку в мир“.

ყველა რელიგია, როგორც არ უნდა იყოს ის, ზემოდასახელებული სამიდან ერთს მიეკუთვნება. ადამიანი რელიგიის გარეშე, ე.ი. სამყაროსთან რაიმე დამოკიდებულების გარეშე, ისევე შეუძლებელია, როგორც არ შეიძლება არსებობდეს ადამიანი გულის გარეშე. შეიძლება მან არ იცოდეს, რომ მას გააჩნია თავისი რელიგია, მაგრამ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ მას აქვს გული: „как без религии, так и без сердца человек не может существовать“.

რელიგია, ლევ ტოლსტოის მიხედვით, ის დამოკიდებულებაა, რომელშიც ადამიანი შეიქნობს თავის თავს მის ირგვლივ არსებულ უსასრულო სამყაროში. მეცნიერებას (ფილოსოფიის ჩათვლით) არ შეუძლია დაადგინოს ადამიანისა და სამყაროს დამოკიდებულება იმ მიზეზის გამო, რომ ვიდრე შეიძლებოდა აღმოცენებულიყო ნებისმიერი მეცნიერება, უკვე არსებობდა ადამიანის დამოკიდებულება სამყაროსთან. ნებისმიერი გონებრივი შრომა (მისი მიმართულება) განისაზღვრება რელიგიის მიერ („Такое направление для всякой умственной работы указывает всегда религия“). მწერალი მიიჩნევს, რომ ყველა ცნობილი ფილოსოფოსი – პლატონიდან შოპენჰაუერამდე, ყოველთვის მოდიოდა რელიგიიდან მითითებული მიმართულებით. პლატონისა და მისი მიმდევრების ფილოსოფია იკვლევდა, როგორც ცალკეული ადამიანების, ისე ადამიანთა ერთობლიობის უდიდესი კეთილდღეობის მოპოვების საშუალებებს. შუა საუკუნეების ეკლესიურ-ქრისტიანული ფილოსოფია, გამოდიოდა რა ცხოვრების ძველებური გაგებიდან, იკვლევდა ადამიანის გადარჩენის ხერხებს და პიროვნებისათვის უპირატესი კეთილდღეობის მოპოვების საშუალებებს მომავალ ცხოვრებაში და მხოლოდ თავისი თეოკრატიული ცდებით ასაბუთებდა საზოგადოების კეთილდღეობის მოწყობას.

ლევ ტოლსტოი ხაზს უსვამს, რომ უახლეს ფილოსოფიას, მაგალითად, ჰეგელისა და კონტის, თავის საფუძველში აქვთ ცხოვრების საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი რელიგიური გაგება. შოპენჰაუერისა და გერტმანის პესიმიზტური ფილოსოფია, რომელსაც სურდა განთავისუფლებულიყო ებრაული რელიგიური მსოფლგაგებისაგან, უნებურად ბუდიზმის რელიგიური საფუძვლების გავლენაში მოექცა. მწერლის აზრით „...Философия всегда была и будет только исследованием того, что вытекает из установленного религией отношения человека к миру, так как до установления этого отношения нет материала для философского исследования“. მეცნიერება, როგორც ყოველთვის, იკვლევს არა ყველაფერს (ეს შეუძლებელიცაა,

რადგან საკვლევი საგნები ურიცხვია), არამედ მხოლოდ იმას, რასაც რელიგია მნიშვნელობას ხარისხის მიხედვით წამოსწევს მრავალრიცხოვანი საკვლევი მასალიდან. ყოველი ცალკეული ეპოქის მეცნიერება უცილებლად ატარებს იმ რელიგიის ხასიათს, რომლის მიხედვითაც განიხილავს ამა თუ იმ საგანსა და მოვლენას.

ლევ ტოლსტოის აზრით, არა მეცნიერება, არამედ მხოლოდ რელიგია განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსთან. აქედან გამომდინარე, მწერალი გეთავაზობს რელიგიის დეფინიციას: „Религия есть установленное человеком между собой и вечным бесконечным миром или началам и первопричиной его известное отношение“.

ამგვარად, თუ რელიგია არის დადგენილი დამოკიდებულება ადამიანისა სამყაროსთან (რაც თავისთავად განსაზღვრავს მისი ცხოვრების აზრს), ზნეობრიობა არის მითითება და განმარტება ადამიანის მოღვაწეობისა, რომელიც თავად გამომდინარეობს მისი სამყაროსთან ამა თუ იმ დამოკიდებულებიდან. ლ. ტოლსტოი თვლის, რომ ზნეობრივი სწავლება სამია: პირველყოფილი ზნეობრივი სწავლება, წარმართული ზნეობრივი სწავლება და ქრისტიანული ზნეობრივი სწავლება. ლ.ტოლსტოი მიმოიხილავს რა ზნეობრივი სწავლების სამივე ფორმას, ასკენის: „Нравственность не может быть независима от религии“. ყოველგვარი რელიგია არის პასუხი კითხვაზე: „რა არის ჩემი ცხოვრების აზრი?“ პასუხი ასეთია: ცხოვრების აზრი პიროვნების კეთილდღეობაშია, ამიტომ უნდა ისარგებლო ყველა სიკეთით, რომელიც კი ხელმისაწვდომია ადამიანისათვის. იმ კითხვას სხვაგვარადაც შეიძლება გაეცეს პასუხი: ცხოვრების აზრი ადამიანის პირად ტკობაშია; ან კიდევ: ცხოვრების აზრი ღვთის სამსახურშია, ესაა შენი დანიშნულება.

ზნეობრიობა შეიცავს ცხოვრების რელიგიურ ახსნას. ამიტომაც შეუძლებელია მისი განცალკევება რელიგიისაგან. მწერალი ხაზს უსვამს, რომ ფილოსოფოსები (არაქრისტიანები) ხედავენ, რომ ქრისტიანული ზნეობისა აუცილებელია. მათ სურთ ზნეობა როგორმე დააკავშირონ თავიანთ არაქრისტიანულ ფილოსოფიასთან და საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს ქრისტიანული ზნეობა გამომდინარეობს მათი წარმართული ან საზოგადოებრივი ფილოსოფიიდან.

ქრისტიანული ეთიკა ისაა, რომელსაც შევიმეცნებთ ჩვენი რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძველზე; იგი მოითხოვს პიროვნულ მსხვერპლს პიროვნებათა ერთობლიობის სასარგებლოდ. უფრო მეტიც, მოითხოვს ცხოვრებისგან განდგომას ღმერთის მსახურებისათვის.

ლევ ტოლსტოი ძალად შეფასებას აძლევს სპინოზას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ქრისტიანი, თავისი ფილოსოფიის ამოსავალს ჭეშმარიტ ქრისტიანულ საფუძველებში ხედავდა. ასევე იყო კანტი, რომელმაც თავისი ეთიკა დააყენა მეტაფიზიკისაგან განყენებულად. სხვა ფილოსოფოსები, როგორც მწერალი აღნიშნავს („даже и блестящий Шопенгауэр“), ხელოვნურად აკავშირებენ ეთიკასა და მეტაფიზიკას.

როცა ლევ ტოლსტოი ამ ტრაქტატს წერდა, ბრიტანელი მეცნიერის ჰეკსლის სტატია გამოვიდა, სადაც ეს უკანასკნელი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ბრძოლა არსებობისათვის არ ეწინააღმდეგება ზნეობრიობას და თუკი სცნობდნენ არსებობისათვის ბრძოლის კანონს, ადამიანები არა მარტო განვითარდებოდნენ, არამედ სრულყოფილები გახდებოდნენ. ლ. ტოლსტოი მიიჩნევდა, რომ ევოლუციის კანონი (რომელსაც ჰეკსლი ქადაგებდა) ეწინააღმდეგებოდა ზნეობრიობას: „Г-ну Гексли в невинности его души, очевидно, кажется, что в теперешнем английском общества с его Ирландией, нищетой народа, безумной роскошью басмачей, с его торговлей опиумом и водкой, с его казнями, с его побоищами, истреблениями народов для выгод торговли и политики, скрытым развратом и лицемерием, _ человек не нарушающий требований полиции, ест человек нравственный и что руководит этими человекам закон этический, забывая то, что качества, которые могут быть нужны... могут быть очень полезны для самого общества, как же в нашем обществе полезно качество палачей, тюремщиков, судей, солдат, лицемеров – священников и т.п.... качества эти не имеют ничего общего с нравственностью“.

ლევ ტოლსტოი ასკვნის, რომ ქრისტიანული ზნეობა არ შეიძლება ეფუძნებოდეს ცხოვრების წარმართულ გაგებას, არ შეიძლება გამოდიოდეს არაქრისტიანული მეცნიერებიდან. ცხადია, არც რაიმე შეთანხმებულობა (თანხვედრა) მათ შორის. რელიგიური საფუძვლის გარეშე არ არსებობს არავითარი ზნეობა. ლევ ტოლსტოის პასუხი გეორგ ფონ გიფიცკისადმი კონკრეტული იყო: „Религия есть известное, установленное человеком отношение своей отдельной личности к бесконечному миру или началу его. Нравственность же есть всегдашнее руководство жизни, вытекающее из этого отношения“.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოისათვის, რომელიც ღრმად განათლებული ინტელიქტუალი და, კერძოდ, მაღალი დონის თეოლოგი იყო, ზნეობრიობა რელიგიის გარეშე არ არსებობდა.

Postscriptum

ლევ ტოლსტოის ტრაქტატი „რელიგია და ზნეობა“ საუკუნეზე მეტი ხნის წინაა დაწერილი. თავისი თეორიული და პრაქტიკული აქტუალობა მას დღესაც არ დაუკარგავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე საკითხი (ზნეობის რელიგიის გარეშე არარსებობის შესახებ). განსაკუთრებით მწვავე გახდა იგი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში სახელმწიფოსა და ეკლესიის, სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის პირობებში.

ნიშანდობლივია, რომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ლევ ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით ჩაატარა კონკურსი თემაზე: „Возможна ли нравственность, независимая от религии?“ მრავალმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა კონკურსში. აქედან 232 ფართო, არგუმენტირებული პასუხი (ექსპერტული დასკვნები) დაიბეჭდა ცალკე კრებულში.³ პასუხები არ იყო ერთმნიშვნელოვანი, სხვადასხვაგვარი იყო. თეორიულ მსჯელობათა პოლარულობამ, რაც რამდენადმე იდეურ უთანხმოებას უჩვენებს, კითხვის ქვეშ დააყენა საზოგადოების (მხედველობაში მაქვს რუსეთის საზოგადოება) ზნეობრივი ერთიანობა.

საკითხი დადგა ეპისტემიოლოგიურ და საზოგადოებრივ სტატუსზე თეორიული მსჯელობის აუცილებლობისა. დაისვა შეკითხვა: შესაძლოა, რომ ადამიანს ჰქონდეს ზნეობის შესახებ ისეთი ცოდნა, რომ იგი უდაოდ და ჭეშმარიტად წარმოადგინოს? არსებობს კი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც ამ ცოდნით იქნება აღჭურვილი და უფლება ექნება განსაზღვროს, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება?⁴ სიკეთე თავის ჯილდოს საკუთარ თავში ატარებს, რომელიც თანხვედრა სიცოცხლეს, ბოროტებაც თავის თავში ატარებს საკუთარ სასჯელს, რომელიც სიკვდილის ტოლფასია. ზნეობის მრავალ განმარტებასა და თეორიულ ინტერპრეტაციებს შორის ერთი ნიშანი აღიარებულია ყველასაგან: მორალი მოიცავს ინდივიდუალურ განსჯასა და ქმედებას. ეს პიროვნების ის განსჯა და ქმედებაა, რომლის აღსრულება ან არაღსრულება მთლიანად მის უფლებებშია, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მის ბრალად ან დამსახურებად. ზნეობა პიროვნების ავტონომიას გამოხატავს. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური მსოფლმეგნების ჩარჩოებში ზნეობა განიხილება, როგორც ადამიანის ავტონომიის სფერო.

ლევ ტოლსტოის წინაშე დასმული კითხვები, დღევანდელი ცხოვრების საჭირობოტო ეგზისტენციალური პრობლემებია, რომელთაც მეტაფიზიკური, ეთიკური, თეოლოგიური, სოციოკულტურული და ანთროპოლოგიური ხასიათის რიგი თეორიული განზომილებები გააჩნია. გ. გიფიცკის მიერ დასმული შეკითხვა ზოგიერთმა კონკურსის მონაწილე მეცნიერმა არაკორექტულად მიიჩნია, რადგან აქ თავიდანვე დაშვებულია რელიგიის გარეშე ზნეობის არსებობა.⁵ რელიგიის

³ იხ. *Возможна ли нравственность, независимая от религии*. Москва, 2012.

⁴ О конкурсе философских сочинений на тему «Возможна ли нравственность, независимая от религии». იქვე, გვ. 8.

⁵ В.А. Бачукин. Секулярный и теонимный типы нравственности (сравнительно культурно-антропологический анализ), იქვე გვ. 11.

გარეშე ზნეობის არსებობა ატარებს რიტორიკულ ხასიათს. სოციალურ-ისტორიული და ინდივიდუალურ-ემპირიული გამოცდილება არაერთ თაობას მიანიშნებს სეკულარული ზნეობის უეჭველ შესაძლებლობას. ე. წ. სეკულარული ზნეობა (რელიგიისაგან დამოუკიდებელი, ტრანსცენდენტური რეალობის უარყოფელი) ათასეული წლების წინ არსებობდა. „ბიბლია“ საგანგებოდ წარმოაჩენს ამგვარ ადამიანებს. გავიხსენოთ იერემია წინასწარმეტყველი: „უარჰყვეს უფალი (ისრაელის ხალხმა – რ.მ.) და თქვეს: აღარ არის იგი და უბედურებაც არ გვეწვევაო“.⁶ ამგვარი რამ (ღმერთის უარყოფა) ფსალმუნშიცაა (13.1) დამოწმებული.

ლევ ტოლსტოიმ არ მიაქცია ყურადღება შეკითხვის არაკორექტულობას და მთელი სერიოზულობით გასცა პასუხი. როგორც რელიგიურ, ისე სეკულარულ მორალს თავისი სოციოკულტურული ტრადიციები აქვს. რელიგიური – უძველესია, ათასწლეულებს მოიცავს, სეკულარული შედარებით ახალია – რამდენიმე ასწლეულს.

მორალის სეკულარიზაციას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ცვლილებები საზოგადოების ცხოვრებაში. ის ფაქტი, რომ თანამედროვე ევროპაში ეკლესია ვერ უტოლდება სახელმწიფოს გავლენას, ამან ერთგვარად წინ დააყენა სახელმწიფოს ავტორიტეტი; სოციალურ-სტატისტიკური მონაცემები ევროპის ქვეყნებში გვაჩვენებს, რომ ზნეობის სეკულარიზაციის სისტემა უპირატეს მდგომარეობაში აყენებს რელიგიურ მორალს. ამის მაგალითად შეიძლება საბჭოთა კავშირიც დასახელდეს – ამ ათეისტური მიმართულების სისტემაში ვერ ამოიძიკვება რელიგია. იგი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. რელიგიური ზნეობის მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ სახელგანთქმული მეცნიერების ისააკ ნიუტონის, ნილს ბორის და სხვათა აშკარა რელიგიურობა. რომ ავიღოთ სამყაროს სურათი, ვნახავთ, რომ აქ არის ადგილი ღმერთისათვის, სოციუმის სურათში – რელიგიისათვის; ადამიანური სუბიექტურობასა და ინდივიდუალური ზნეობის მოდელში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს – რწმენას.

ნიშანდობლივია, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ყოველთვის ხაზს უსვამს ცოდნისა და რწმენის ერთობლიობას, რელიგიის პრიმატს მეცნიერებაში. ზედმიწევნით მნიშვნელოვანი დებულებებია მოცემული პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეში (2014 წ.), სადაც ხაზგასმულია, რომ მაცხოვარმა ბოროტება შემუსრა და ადამიანებს უჩვენა ხსნის გზა, უჩვენა მაგალითი ისეთი სიცოცხლისა, რომელიც ჭეშმარიტ ბედნიერებასთანაა დაკავშირებული; მინიშნებულია, რომ ესა თუ ის პიროვნება ბედნიერებას სხვადასხვაგვარად აღიქვამს – ზოგნი ამას ღმერთთან სიახლოვეში ხედავენ, ზოგნი კი, მის გარეშე მოიაზრებენ. პატრიარქი ამგვარ გაორებაზე საგანგებოდ მიუთითებს (სხვათაშორის, მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩატარებული კონკურსის მონაწილეებიც საგანგებოდ აღნიშნავენ), თანაც აღნიშნავს, რომ „ამ გაორებას სათავე სამოთხეში დაედო“. ეპისტოლეში მოტანილია ადამისა და ევას მაგალითი, რომელთაც უგულვებლად უფლის დარიგება, ქვება მიღრეკილებებს გაუხსნეს კარი და თვითონაც და მათი შთამომავლობაც გაორდნენ. კანის სულის მქონენი ღმერთთან ზურგშეკეცილი არიან... ამქვეყნიური ცხოვრებისა ან არა სწამთ, ან საკუთარი წარმოდგენა აქვთ და ყველაფერს სათავისოდ განსჯიან. მათდა საპირისპიროდ, აბელ-კანის გზით მიმავალნი ბედნიერებას მხოლოდ უფლის წიაღს უკავშირებენ. მათი ცხოვრების ძირითადი მცნებაა: „და გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით... გიყვარდეს მოყვასნი შენი, ვითარცა თავი შენი“.⁷

„სააღდგომო ეპისტოლეში (2014)“ ხაზგასმულია: „ქრისტიანობა სიყვარულის სარწმუნოებაა, გულმხურვალე, თავგანწირული სიყვარულის რელიგიას“.

⁶ იერემია წინასწარმეტყველი, ბიბლია, თბ., 1989, თავი V, მუხლი XII.

⁷ სახარება მარკოზისა, 12, 30-31, ბიბლია, თბ., 1989.

ცივილიზაციისა და კულტურის მსოფლიო ისტორია ადასტურებს, რომ საზოგადოებაში არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს მთლიანად გაანადგუროს რელიგია, და აქედან გამომდინარე, ზნეობა. არსებობდა მაკროსისტემები, რომლებმაც გადაიტანეს ღვთის გმობისა და სახელმწიფოს იმორალიზმის ეპოქები და რომლებიც იძულებული გახდნენ დაბრუნებოდნენ სამყაროს რელიგიურობასა და უნივერსალურ ზნეობრივ პრინციპებს.

შეიძლება დავსვათ შეკითხვა: გაიმეორებდა ლ. ტოლსტოი თავის დასკვნას რელიგიის გარეშე ზნეობის არ არსებობის შესახებ დღეს? უნდა ვივარაუდოთ, რომ დიდ მწერალს იმედს გაუცრუებდა XX საუკუნე, რომელმაც მოიტანა მსოფლიო ომები, ტოტალიტარული რეჟიმების ჩამოყალიბება და დაცემა, სეკულარიზმის ექსპანსია, ათეიზმი, სამყაროსადმი უტილიტარული დამოკიდებულება და სხვ. ეს ფაქტები თითქოს კითხვის ქვეშ აყენებს ლ. ტოლსტოის კატეგორიულ პოზიციასაც. ამავე ეპოქამ თავისი მძაფრი კატაკლიზმებით აჩვენა, რომ არარელიგიურ ზნეობას (ჰუმანიზმს) არ შესწევს უნარი წინ აღუდგეს ადამიანური ნატურის სიმკაცრეს, არც ის შეუძლია, რომ რაიმე მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კაცობრიობის განვითარებაში.⁸

საგულისხმოა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრის დიდმა რუსმა მწერალმა ალექსანდრე სოლჟენიცინმა, თავის ერთ-ერთ ინტერვიუში (დოკუმენტრ. ფილმში „Жизнь не по лжи“) განაცხადა, რომ „არარელიგიური ჰუმანიზმის“ დრო ამოიწურა.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის (ფილოსოფიის ინსტიტუტი) მიერ გამართულ კონკურსში 200-ზე მეტმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა. პასუხები სხვადასხვაგვარი იყო. ერთნი ასაბუთებდნენ, რომ ზნეობა და რელიგია განუყოფელია. მხოლოდ ღმერთის იდეას შეუძლია შეკრას საზოგადოება, შექმნას მნიშვნელოვანი ღირებულებებისა და მორალური ნორმების სისტემა, ეთიკური ქცევის საფუძვლები. იყო გამოთქმული ისეთი მოსაზრებაც, სადაც მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ რელიგიის მიერ შემოთავაზებული მორალი შემბლაღავია. ამასთან ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ყოველ რელიგიურ მიმდინარეობას უნდა თავისი მონოპოლია დაამყაროს ჭეშმარიტებაზე; რომ კაცობრიობამ თანამედროვე ეტაპზე უნდა შეითვისოს ჰუმანური მსოფლმხედველობა.

ძირითადნი მაინც პირველი მოსაზრების ავტორები იყვნენ, რომლებიც რეალურად მხარს უჭერდნენ ლ. ტოლსტოის (აზრს გარკვეული მოდიფიცირებით გამოთქვამდნენ) – აღიარებდნენ რელიგიისა და ზნეობის უეჭველ კავშირს. ამასთან დიდი ნაწილი კონკურსანტებისა, მოითხოვდა, რომ კონკრეტული სარწმუნოების ამორჩევა – ეს თითოეული ადამიანის უფლებაა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, კითხვაზე – გაიმეორებდა ლევ ტოლსტოი თავის დასკვნას რელიგიის გარეშე ზნეობის არარსებობის შესახებ დღეს? გვინდა ვუპასუხოთ: ალბათ, გაიმეორებდა.

⁸ А. Б. Шульгина. Этика абсолютных и относительных ценностей: два пути человечества, კრებ: Возможно ли нравственность, независимая от религии, Москва, 2012, გვ. 274.

Roin Metreveli

Religion and Morality

Summary

In 1893 Lev Tolstoy got a letter from the Professor at the Berlin University Georg von Gizycki in which on behalf of the newly founded periodical *Fur Etische* he asked to give an answer to the questions as to what L. Tolstoy meant under the term "religion" and whether he admitted the existence of morality independent of religion.

These questions are urgent existential issues of modern life which are of metaphysical, ethical, theological, sociocultural and anthropological character. Lev Tolstoy responded to the mentioned issue with treatise: "Religion and Morality". In this paper we consider this particular treatise where Lev Tolstoy declares that morality without religion does not exist. The writer's views are given in the appropriate commentaries.

სერგო ვარდოსანიძე

რა მოხდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 1968 წელს

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაზე წერა ყოველი ისტორიკოსისათვის საპატიო, მაგრამ, ამავე დროს, საპასუხისმგებლო საქმეა. როდესაც ეცნობი საარქივო მასალებს, საინტერესო მოგონებებს, გიჩნდება იმის სურვილი, რომ მათი უმრავლესობა საზოგადოებისათვის თვალსაჩინო გახადო, მაგრამ, ამავე დროს, იმის შიშიც გიპყრობს, რამდენად სწორად გაიგებს მას საზოგადოება. სამწუხაროდ, არის ისტორია, რომელიც იწერება ფართო მასებისათვის და ისტორია, რომელიც რჩება დაფარული და დროთა განმავლობაში დავიწყებისათვისაა განწირული. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში 1968 წლის შიდასაეკლესიო ამბოხის შესახებ ინფორმაცია სალონურ საუბრებსა და მოგონებებს არ გაცხილებია. ვფიქრობ, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ რა მოხდა 1968 წელს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში. წარსულის გახსენებას მაშინ აქვს აზრი, თუ იგი აწმყოსა და მომავლის სწორად გააზრებაში დაგვეხმარება.

XX საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში იყო. 1952 წლის 3 თებერვალს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე, რომელმაც 20 წლის განმავლობაში უწინამძღვრა საქართველოს ეკლესიას. საქართველოს ეკლესიის მეთაური გახდა მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის სახელწოდებით. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში კიდევ უფრო გამკაცრდა სახელმწიფოს დამოკიდებულება საბჭოთა კავშირში არსებული რელიგიური კონფესიების მიმართ. უწმიდესსა და უნეტარეს მელქისედეკ III-ს ხელისუფლებამ არ მისცა „საქართველოს ეკლესიის უწყებანის“ გამოცემის, სასულიერო-სამოძღვრო კურსების გახსნის უფლება. ამის გარდა, საერო ხელისუფლებაში მრავლად იგზავნებოდა ხელმოუწერელი წერილები, რომლებშიც მრავალ ბრალდებას უყენებდნენ კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ს. „გულშემატკივარი ეკლესიისა“ – ასე აწერდა ხელს ანონიმი ავტორი: „საქართველოს ეკლესიას შემდეგი არსებობისათვის საფუძველი უკვე გამოცლილი აქვს და ამაში მთავარი დამნაშავე თვით პატრიარქია... მან უკანონო არჩევნებით დაარღვია წმიდა სამოციქულო და კათოლიკე ეკლესიის კანონი, – წერილის ავტორი მკაცრად გმობდა პატრიარქ მელქისედეკ III-ის მიერ ზინობის ეპისკოპოსად კურთხევის ფაქტს... – უწინდელ დროში, როდესაც საქართველოს ეკლესიას ამა თუ იმ ობიექტური პირობების გამო, რაიმე წარუმატებლობა შეემთხვეოდა, მას მთელი მოწინავე ინტელიგენცია ესარჩლებოდა და ცდილობდა გახეთის ფურცლებზე გამოსვლით მისი ჭირ-გარამი შეემსუბუქებინა, მოუწოდებდა რა მას მეტი ბრძოლის უნარის გამოჩენისაკენ მისი აღორძინების მიზნით. დღეს ეკლესია მოწყვეტილია სახელმწიფო ორგანიზმს, ამიტომ მისი ერთადერთი ქომაგი და პატრონი პატრიარქია, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ფიქრი და მეცადინეობა იქითკენაა მიმართული, რომ თავის თავს შეუქმნას უმფოთველი და დაღვინებული ცხოვრება და მის შემდეგ თუნდაც მეწყერს წაელოს ყოველივე... იგი სამსახურიდან ათავისუფლებს ყველას, შეაქვს ადამიანებში უთანხმოება, ადგილი აქვს უსამართლო პირადი ჯიუტობით გამოწვეულ მოქმედებებს. ყოველივე ზემოთქმული დღევანდელ მშობლიური ეკლესიის მდგომარეობაზე მოთხრობილი ავალებს ყველა მორწმუნეს ხმა აღიმალღონ ეკლესიის ასეთი უმწეო მდგომარეობის წინააღმდეგ, რათა მოწვეულ იქნას საეკლესიო კრება, რომელიც დასახავს ღონისძიებებს საეკლესიო ცხოვრების ნორმალისა და მისი გაჯანსაღებისათვის.“¹ პატრიარქი მელქისედეკი იძულებული იყო რელიგიის საქმეთა რწმუნებულის

¹ საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ფ. № 2726.

მ. მექვაბიშვილის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯავახიშვილის სახელზე გაეგზავნა მოხსენებითი ბარათები და უარეყო წაყენებული ბრალდებები. პატრიარქ მელქისედეკს აჯერებდნენ, რომ ამ წერილების ავტორებს თითქოს მიტროპოლიტი ეფრემი აქეზებდა. ამით სურდათ მათი დაპირისპირების პროვოცირება. ხელისუფლებამ მიზანს მიაღწია. უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-მ 1957 წლის 8 ნოემბერს მოიწვია წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III, ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი ეფრემი, ურბნელი ეპისკოპოსი დავითი, სტეფნელი ეპისკოპოსი ზინობი, ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი ნაუმი, პროტოპრესვიტერი ალექსანდრე გაბუნია, დეკანოზი ნიკოლოზ ბერეკაშვილი. „სინოდმა ეკლესიიდან განკვეთა მოქალაქე თომა ჩიქვანაია, დეკანოზი მელქისედეკ ხელაძე, მთავარდაკონი ამბროსი ახოზაძე.² პატრიარქმა მელქისედეკ III-მ მიტროპოლიტ ეფრემის გადაყენებაც მოინდომა, მაგრამ ვერ მოახერხა. მან კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეობა ქუთათელ ეპისკოპოს ნაუმ შავიანიძეს შესთავაზა (1959 წ.), ხოლო როდესაც უარი მიიღო, ურბნელი ეპისკოპოსი დავით დევდარიანი დანიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად, მოსაყდრედ და მიანიჭა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება. 1960 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III. იმავე დღეს შეკრებილმა წმიდა სინოდმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის თანამდებობიდან გადააყენა ეპისკოპოსი დავითი და მის ნაცვლად მოსაყდრედ აირჩია ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეფრემი. 1960 წლის 19-20 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის X საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტი ეფრემი აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად. საერო ხელისუფლებისათვის ახლად არჩეული პატრიარქი მიუღებელი პერსონა იყო. იგი 1924 წელს რამდენჯერმე დაიკითხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას სასამართლო პროცესზე. 1937 წლის 10 დეკემბერს ე. წ. „სამეულის“ გადაწყვეტილებით (მუხლი №58, 11) დაპატიმრებულ იქნა, გადაასახლეს ციმბირში. 7-წლიანი პატიმრობის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა, მაგრამ ხელისუფლება არ ენდობოდა მას. ამიტომ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის მეშვეობით კიდევ უფრო აძლიერებდა ზეწოლას პატრიარქზე. შექმნილ ვითარებას კარგად ასახავს მისი უწმიდესობის ეფრემ II-ის შემდეგი ჩანაწერი: „დაახლოებით თერთმეტი თვის შემდეგ ჩემი კათოლიკოს-პატრიარქად არჩევისა, 1960 წლის 8 დეკემბერს, განვიზრახე განცხადებით შევსულიყავი უმაღლეს მთავრობაში. ამ ნაბიჯის გადადგმას მავალდებულებდა სინდისი, სარწმუნოება, ჩემი ერის სიყვარული და ამათ წინაშე ჩემი პასუხისმგებლობის შეგრძნება. უფრო ახლოს გავეცანი რა საქართველოს ეკლესიის იმდროინდელ სინამდვილეს, ვცანი, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა მისი სამწუხარო მდგომარეობა, კატასტროფას ვერ გადაურჩებოდა... განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო ღვთისმსახურთა რაოდენობა, ეს საკითხი მძიმე ლოდივით ადგას ქართულ ეკლესიას გულზე და საფრთხეს უმზადებს მას. 1962 წლის 3 ივლისს მომეცა შესაძლებლობა მქონოდა აუდენცია საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ გივი ჯავახიშვილთან. ჩემი პირადი მოხსენების შემდეგ მან ბრძანა – რახან არსებობს ეკლესია, მას უნდა ჰქონდეს სასწავლებელიცა და გამოძეგმლობაცო, – ამას ისმენდა ჩემს გვერდით მჯდომი მაშინდელი რელიგიის საქმეთა რწმუნებულის ბატონი მექვაბიშვილი, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი არ გაკეთებულა.“³ ვითარების კიდევ უფრო გართულებას გვაუწყებს მისი უწმიდესობის ეფრემ II-ის შემდეგი ჩანაწერი, რომელიც 1963 წლის 8 ნოემბრით არის დათარიღებული: „საკათოლიკოსოს სამეურნეო ნაწილის გამგე, პროტოპრესვიტერი ალექსანდრე გაბუნია განთავისუფლდა სამსახურიდან იმის გამო, რომ ვეღარ გაუძლო მე-19 მუხლით დაბეგვრას. არავის აღარ უნდა მუშაობა... დღეს არც მდივანი მყავს, არც სამეურნეო ნაწილის გამგე, არც მძღოლი. ასე რომ საპატრიარქო ისე გამოიყურება, თითქოს ლიკვიდაცია ქმნილ იყვეს.“⁴ უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად ფარხმალს არ ყრიდა, მან მაინც მოახერხა 1963 წელს მცხეთაში სამოძღვრო კურსების გახსნა. რამდენიმე მღვდელმთავრის კურთხევა (მეუფე ილია – 1963 წელს, მეუფე რომანოზი – 1965 წ. მეუფე გაიოზი – 1972 წ.) ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვია 1962

² საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ფ. №3993.

³ საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ფ. №576.

⁴ სერგო ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II. თბილისი, 2007, გვ. 52.

წელს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის პარიზში ყოფნის დროს ქართველ ემიგრანტებთან მისმა შეხვედრამ და ლევილის ქართველთა სასაფლაოზე სტუმრობამ. ამიტომ მისი დაშინების მიზნით ეკლესიის შიგნით დაიწყო დაპირისპირების პროვოცირება. 1968 წლის ივნისში ბენედიქტე ჯალალანიამ და ალექსანდრე ქათამაძემ მცხეთის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილეს არქიმანდრიტ პართენ აფციაურს ასეთი შინაარსის განცხადებით მიმართეს: „თქვენო მაღალღირსებავ, არქიმანდრიტის ხარისხი ბერად აღკვეცის უფლებით გმოსავთ. ჩვენი მორიგი კრების გადაწყვეტილება გთხოვს (ამავე დროს მოითხოვს თქვენგან), ბერად აღკვეცოთ მსურველნი: ბენედიქტე ჯალალონია და ალექსანდრე ქათამაძე. პატრიარქ ეფრემ II-ის მავნებლური ცდა მოსპოს შავი სამღვდლოება (ბერობაეპისკოპოსობა) და აქედან ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, საპატრიარქო ტაძრის მრევლს და ოცეულს სსენებულ აღსაკვეცებთან ერთად დაგვიგმია... შემთხვევით ინტრონიზებულის სიტყვიერ მუქარას, სსენებულ პირთა აღკვეცის შემთხვევაში განკვეთით რომ გვემუქრება, ჩვენ ვუგებთ პასუხს“. განცხადებას თან ერთვის ვინმე ნინა იორამაშვილის, სვეტიცხოვლის ოცეულის წევრების: ალიბეგაშვილის, მაკარიძის, მრევლიშვილის და სხვათა ხელმოწერები (სულ 200-მდე). ამ განცხადების შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ შეთქმულნი არად დაგიდევდნენ საეკლესიო კანონიკას. უფრო მეტიც, ბენედიქტე ჯალალონიამ შეადგინა ახალი „დოკუმენტი“ „კანონიზებული ხელდასხმელი და ხელდასასხმელი“, რომელშიც შეეცადა დაესაბუთებინა შეთქმულთა მოქმედების კანონიერება. აი, რას წერდა იგი: „კანონიზაციის გზით კალენდარში მოწამის, ან წმიდანის, ან ღირსის პატივშესული მღვდელმთავარი, რომელსაც გარდაცვალებამდე უფლება ჰქონდა თანახმად მოციქულთა დადგენილებების პირველი დებულებისა, ერთ ან ორ ეპისკოპოსთან ერთად თანამონაწილე ყოფილიყო ღირსეულის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანისა, გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ მხოლოდ კანონიზაციის შემდეგ, დებულებს მადლს, თანაწილს მოციქულისა ათორმეტთავანისა და აიყვანს რჩეულს ყველა სამღვდლო ხარისხში (დიაკონი მღვდლისა, ეპისკოპოსისა) იქ, სადაც ქვეყნის გულს აბარია ეს კანონიზებული. თუ კანონიზებული მოციქულია, გარდაცვალებამდე უფლებები არ ეცვლება, იგივე უფლებებს ინარჩუნებს განურჩევლად სქესისა (მაგ. წმ. ნინო მესხი), რა უფლებებითაც იყო მოსილი გარდაცვალებამდე და კანონიზებულ ხელდასხმელთა შორის უპირატესობა ეძლევა ხელდასხმისას. კანონიზებულის მიერ დიაკონის, მღვდლის ან ეპისკოპოსის ხარისხში აღყვანილი კანონიერ მოძღვრად მისაღებია თუ 1. ხელდასხმა მოხდება იქ, სადაც კანონიზებული განისვენებს. 2. თუ ხელდასხმელის და ხელდასასხმელის ეროვნება ერთია. 3. საპატრიარქო კათედრალური ტაძრის (ჩვენს სინამდვილეში „სვეტიცხოველი“-ს) მრევლი ხელდასხმის ღირსად სცნობს სადიაკონოდ, სამღვდლოდ ან საეპისკოპოსოდ არჩეულს და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ხელდასხმის აქტში უფლებრივ. რადგანაც უხილავად ახდენს კანონიზებული ან მოწამე, ან წმიდანი, ან ღირსი ხელდასხმას, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, საკანდიდატოს თუ ვინ შეუსრულებს კურთხევისათვის დადგენილ ტიპიკონს ჟამის წირვისას, ლოცვა-კურთხევის მიმღები თუ მომღები, ე.ი. ის, ვინც ხელდასასხმელის მორჩილია, თუ ის, ვისი მორჩილიც თვითონ არის, თუ ის, ვისიც თანატოლია ხარისხით. ჰყავს თუ არა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას კანონიზებული ხელდასხმელები? ქართული კალენდარი სავსეა კანონიზებული ხელდასხმელებით, მაგრამ აქ კალენდარულ ჩამოთვლას არასაჭიროდ ვცნობ, ვასახელებ მხოლოდ სამს: წმ. ნინო მესხი (IV ს), ისე წილკნელი (VI ს), ანტონ ჭყონდიდელი (XVIII ს), ამ სამი კანონიზებულიდან პირველი მოციქულია, ორი სხვა რიგითი მღვდელმთავრები. საპატრიარქო კათედრალური ტაძრის მრევლი, ავტოკეფალური ეკლესიის მრევლის ძირითადი ბირთვია, ხერხემალია და მხოლოდ იგივეა სრულყოფილებიანი კანონიზებულ ხელდასხმელებს მიმართოს ხელდასხმისათვის, როცა ამას მოითხოვს აუცილებლობა. და ასეთი აუცილებლობის წინაშე დგება დღეს ქართული სამოციქულო ეკლესია, მისი მრევლის ხერხემალი. თავისთავად ცხადია, საპატრიარქო-კათედრალური ტაძრის მრევლი მოიყვანოს აუცილებლობა სისრულეში, მოახდინოს კანონიზებულის წინაშე არჩეულის ხელდასხმა, ლოცვა-კურთხევას არ გამოითხოვს პირველი მამათმთავრისგან და ეპარქიალური ეპისკოპოსებისგან. კანონიზებულისაგან (მოციქულისაგან) ეპისკოპოსის ხარისხში აყვანილს, მოციქულთა დადგენილებანის პირველი დებულების გათვალისწინებით ნაკურთხის (ე.ი. რიგითი მღვდელმთავრებისგან ნაკურთხის) წინაშე აქვს შემდეგი უპირატესობანი: 1. აიყვანს ეპისკოპოსის ხარისხში ერთიც (გარეშე თანამონაწილისა ან თანამონაწილეებისა) შემდეგ ადგილებში: სადაც მიუღია ხელდასხმა მოციქულისგან

მღვდელმთავრის ხარისხში, კვართსაუფლო ტაძარში, და ყველგან, სადაც სანახად განისვენებენ კანონიზებული ხელდასხმელები. 2. მოიხსენიება პირველი მამამთავრის შემდეგ პირველი, უწინარეს მიტროპოლიტისა, კვართსაუფლო ტაძარში და იქ სადაც მოციქულისაგან იქმნა ხელდასხმული. აუცილებლობა ითხოვს კანონიზებულისაგან ღირსეულის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანას და კრებამ გადაწყვიტა: ბენედიქტე ჯალალონია ეკურთხოს „ქართველთა მენდიეს“ მონასტერში „ხელსა ქუეშე წმინდისა ნინოსისა“. მცხეთა-თბილისის ეპარქია 1920 წლის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამწყსოდ ითვლება. შეთქმულებმა 1968 წლის 12 ივნისს მოწვეულ კრებაზე დაადგინეს: „1920 წლის 27 ივნისის ქართული საეკლესიო კრების 1917 წლიდან რიგით მეორე კრების გადაწყვეტილება მცხეთა-თბილისის ეპარქიების გაერთიანების შესახებ მიღებული და სისრულეში მოყვანილი გაუქმებულად გამოცხადდა, ვინაიდან: 1. მცხეთაა საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის რელიგიური ცენტრი და არა თბილისი. 2. „სვეტიცხოველი“ საპატრიარქო ტაძარი და არა სიონი. 3. „სვეტიცხოველში“ ტარდება დიდი რელიგიურ-ეროვნული დღესასწაული მცხეთობა, კვართობა, ღვთისმშობლის საფარველი და არა სიონში. 4. ეპარქიათა შორის მცხეთის ეპარქიაა მთავარი ეპარქია. 5. „სვეტიცხოველში“ წმ. კვართი (საქართველოს უმთავრესი სიწმიდე – თ. ჟორდანია). ანუ „საქართველოს ცხელი გული“ ლ. ასათიანი. 6. პატრიარქის რეზიდენციის მცხეთიდან თბილისში გადატანამ გამოიწვია სვეტიცხოვლის ა. რიგითად გატარება, ბ. სიონში გადაინაცვლა წმ. მირონის მონარშვა-კურთხევის ადგილმა. გ. გარდასვლა და დარღვევა „კანონთა მათ საქართველოსა ეკლესიისათა, ნეტართა მამამთავართა და მღვდელმთავართა დიდებულთა, რომელ არს თვინიერ მცხეთისა დიდისა სამოციქულოისა ეკლესიისა ყოვლითურთ დაყენებულ არს ხელდასხმაი მღვდელმთავრობითი სხუასა ეკლესიასა შინა.“ დ. გამოიწვია გამარცვაც კი: მამამთავრებმა სიონში გაიტაცეს სვეტიცხოვლის კუთვნილი სამღვდლო და სამღვდელმთავრო შესამოსელები და ბოლოს, ფერემ II-ც არ ჩამორჩა: ტაძარს წაართვა საწიგნობელი“. თითქოსდა ამის გამო 1968 წლის 12 ივნისს მოწვეული კრების წინაშე ბენედიქტე ჯალალონიამ, ალექსანდრე ქათამაძემ და ნინო იორამაშვილმა წამოაყენეს წინადადება ბენედიქტე ჯალალონიას მღვდელმთავრად არჩევის შესახებ. „კრებამ“ დაადგინა: აღყვანილ იქნას მღვდელმთავრის ხარისხში ბენედიქტე ჯალალონია პატივით საპატრიარქო კვართი საუფლო „სვეტიცხოველის“ წინამძღვარი და მცხეთა-წილენის ეპისკოპოსი“. „კრების“ დადგენილებას ხელს აწერს 400-ზე მეტი საერო პირი. შენიშვნაში მითითებულია ეპისკოპოსის ხარისხში აყვანამდე – 8 ივლისამდე ბენედიქტე ჯალალონია უნდა იქნას აღკვეცილი ბერად არქიმანდრიტების პართენისა და კონსტანტინეს მიერ. 1968 წლის 12 ივნისს „სვეტიცხოვლის“ საპატრიარქო ტაძარში გამართული „კრების“ მიერ მიღებული ოქმი იმდენად აბსურდულია, რომ მასზე კომენტარის გაკეთებაც კი არ ღირს, მაგრამ საზოგადოებისათვის საინტერესო უნდა იყოს იგი, ამიტომ უცვლელად მოგვაქვს მისი შინაარსი: მცხეთის საპატრიარქო-კათედრალური ტაძრის „სვეტიცხოველი“-ს მრევლის, საქართველოს ცალკეული ეპარქიებიდან მორწმუნეთა საზოგადოების მიერ წარმოგზავნილების კრება მცხეთაში, „სვეტიცხოველი“-ს ტაძარში 1968 წლის 12 ივნისს გახსნილად გამოცხადდა. კრებას პრეზიდიუმის თავმჯდომარე არ აურჩევია – მიიღო ა. ქათამაძის წინადადება: კრებას უწინამძღვროს თვით „სვეტიცხოველ“-მა. არჩეული იქნა პრეზიდიუმში წევრებად: ბ. ჯალალონია, ა. ქათამაძე, ჩუბინიძე, თვალაძე, ჯონია, კაჭარავა, სარევიზიო კომისიის წევრი თ. თეთრაძე. მდივნად არჩეული იქნა მედავითნე ნ. იორამაშვილი. კრების განსახილველად გადაეცა ბ. ჯალალონიას, ა. ქათამაძის და ნ. იორამაშვილის წინადადება: ჩინებულთა შორის რჩეულის „ხელსა ქუეშე წმინდისა ნინოსისა“ - „ქართველთა მენდრიეს“ მონასტერში მღვდელმთავრის ხარისხში აღყვანის შესახებ. სანამ კრება შეუდგებოდა საკითხის განხილვას, ბ. ჯალალონიამ მორწმუნეთა საზოგადოებისაგან შემდგარი კრების წევრებს – მაგრამ როგორც საბჭოთა საქართველოს მოქალაქეებს – შეახსენა 1924 წლის 24 თებერვლის ქართული ინსტრუქციის შინაარსი – 1923 წ. 19 ივნისის რუსული ინსტრუქციით – რომ ეკლესია – სახლში კრების მოწვევა დაშვებულია, თუ მას ექნება რელიგიური ხასიათი და მიუთითა: გიღულიანოვ პ. ვ. „ოტდელენიე ცერკვი ოტ გოსუდარსტვა ვ სსრ.“ იზდანიე 3-ე, 1926 წ. მოხსენებით „კანონიზებული ხელდასხმელი და ხელდასასხმელი“ გამოვიდა ბ. ჯალალონია. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

კითხვა: შეუძლია მდედრობითი სქესის მექონის კურთხევა?

პასუხი: ა. ქათამაძემ ზეპირ ჩაუკითხა ვალ. 3, 28.

კითხვა: რომელიმე საიდუმლო თუ შეუსრულებია წმ. ნინოს გარდაცვალებამდე?

პასუხი: (ბენედიქტესი) გავიხსენოთ ზუსტად „ნათელს ილო მეფემან ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა და შემდგომად დედოფალმან და შვილთა მათთა ხელსა ქუეშე მათ მღვდელთასა...“ (საქ. სამოთხე. გვ. 143) აქედან ჩანს, რომ წმიდა ნინომ შეასრულა ერთი საიდუმლოთაგანი – ნათლისღება.

კითხვა: „ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა“ ვის ესმოდა წარსულში თქვენბური გაგებით?

პასუხი: (ბენედიქტესი) სალომე უჯარმელს, მიხეილ საბინაშვილს, მღვდელმთავარს ნიკოლოზ ტფილელს, შიო მღვიმის აღმდგენელს ეპისკოპოს ალექსანდრეს, სასულიერო მხატვრებს და საერთოდ ქართულ ეკლესიას. აი წმიდა ნინოს ხატი (ხატს წარმოადგენს) მ. საბინაშვილის შესრულებული. ამ ხატში წმიდანი არის ოლარით. რისი სიმბოლოა ოლარი? იმისი, რომ მის მექონეში მადლია ღვთისა დიდი მსხვერპლის შესაწირავი. ამ ხატის შექმნა მხატვარს უკარანხა სიტყვებმა „ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა“ და ქართული ეკლესიის ძველმა სამხატვრო ტრადიციამ. საყურადღებოა, საბინაშვილისეული ხატი – წმ. ნინო ოლარით – აკურთხა ქართულმა ეკლესიამ! შიო მღვიმეში ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ მოწვეულმა მხატვარმა პირველის ლოცვა კურთხევით გაიმეორა საბინაშვილისეული.

კითხვა: არის მოღწეული ცნობები, რომ წმიდა ნინო მდგარა წმიდა ტრაპეზის წინაშე?

პასუხი: ა. ქათამაძე წარმოადგენს ხატს და-აი ხატი, სადაც წმიდანს ხელში უპყრია სატრაპეზო სახარება... იგივე კითხვაზე ბენედიქტე შენიშნავს: წმიდა ნინო თითონ იყო წმიდა ტრაპეზი. მიღებულია წმ. ნინოს სამღვდელმთავრო პანაღია.

კითხვა: თუ მომხდარა ხელდასხმა ხელდასხმელის ან ხელდასასხმელის ხილული მონაწილეობის გარეშე?

პასუხი: (ნ. იორამაშვილისა) დედიმოსმა ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა გრიგოლ, რომელიც წირვის და მისი კურთხევის მიმდინარეობის დროს იმყოფებოდა არა ტაძარში, არამედ ორი დღის სავალ მანძილზე უდაბნოში. „წინაშე ღვთისა მდგომარემან, და საღმრთოთა შურითა მოტყინარემან დედიმოს, მინდობითა ღვთისათა გცხო შენ მღვდელმთავრად თვინიერთანა ყოფისა შენისა... ღვთისმეტყველო დიდებულო გრიგორი“ (სადღესასწაულო 17 ნოემბერი, ცისკ. გალობა 5 მუხ. 3). კრებამ დადებითად შეაფასა, მიიღო და დაამტკიცა ზემოხსენებული მოხსენება ხმის უმრავლესობით. წაკითხული იქნა ლექცია: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“ – ბენედიქტეს მიერ. კრებამ საჭიროდ სცნო, როგორც ხელდასხმა კანონიზებული საგან, ასევე, ღირსად ბენედიქტეს ეპისკოპოსის ხარისხში აღყვანა ამ გზით. კრების წინაშე ბენედიქტეს ავტობიოგრაფიული ფურცელი ჩაიკითხა ნ. იორამაშვილმა. კრებაზე ეპისკოპოსის ხელდასხმისათვის განკუთვნილი წესის ახალი დამატება ჩაიკითხა ბენედიქტემ და აღნიშნა, რომ ეს გამოიწვია მოციქულისაგან ხელდასხმამ, რომ წესი განკუთვნილი იყო რიგითი მღვდელმთავრებისათვის და კანონიზებული საგან ხელდასხმა სრულიად არ ყოფილა გათვალისწინებული, რომ ძველი წესი ახლის ჩამატებით ამჯერად მხოლოდ დაუშვით, და რომ მომავალში წესს მოციქულისაგან შეადგენს მერმისი. კრებამ განიხილა ბენედიქტეს მოხსენება: „1920 წლის 27 ივნისის ქართული საეკლესიო კრების გადაწყვეტილების მცხეთა-თბილისის ეპარქიების გაერთიანების შესახებ მიღებული“ და დაამტკიცა მომხსენებლის აზრი: მცხეთის ეპარქიისთვის გაუქმებულად გამოცხადდეს ხსენებული კრების გადაწყვეტილება მცხეთა-თბილისის ეპარქიების გაერთიანება, რომელიც ძალაში იყო კრების მოწვევიდან დღემდის, და გამოყოფილად გამოცხადდეს მცხეთის ეპარქია თბილისის ეპარქიისაგან. კრებაზე კიდევ დადგინდა: 1. ხელდასხმის გარეგნული წესები შეასრულოს ხალხმა, მორწმუნე ერმა წესით: „წესი, რომელი იქმნების ხელდასხმასა ზედა ეპისკოპოსისა“, საჭირო ცვლილების შეტანით. 2. თუ პატრიარქმა ეფრემ მეორემ მიმდინარე წლის „სვეტიცხოვლობამდე (14 ოქტომბრამდე) ეპისტოლარული წესით არ გვაცნო ეპისკოპოს ბენედიქტეს ხელდასხმის კანონიერობაზე, რომ ის ხელდასხმულია კანონიერი გზით, მრევლის მიერ არ დაიშვება, როგორც მწირველი, მაგრამ ცნობის შემთხვევაში, პატრიარქის პირველი თანამწირველი უნდა იყოს კანონიზებული საგან ხელდასხმული. 3. მხოლოდ ეპისკოპოს ბენედიქტეს კანონიერ ეპისკოპოსად ცნობას არავითარი ღირებულება არ ექნება, თუ, ამავე დროს,

კანონიზებული საგან ხელდასხმულის მიერ ხელდასხმულს ა. ქათამაძეს არ სცნობს კანონიერად. 4. ეფრემ მეორესგან მიღებულმა ეპისტოლემ თუ დააკმაყოფილა საპატრიარქო მრევლი, ამ კრებაზე მიღებულ დადგენილებებზე ხელმეორედ იმსჯელებს მორიგი კრება, სასარგებლოდ პატრიარქისა. 5. თუ ეფრემ მეორე არ გასცემს მირონს, სანთელს და ა.შ. სვეტიცხოველს და არ შეიწყნარებს მცხეთის ეპარქიის მრევლისა და ოცეულის მოთხოვნას, მაშინ: მირონი მოიხარშება-იკურთხება, სანთელი შეისყიდება-დამზადდება სვეტიცხოველში და ა. შ. 6. მორიგი პატრიარქის არჩევამდე მცხეთის ეპარქიაში და კერძოდ, „სვეტიცხოველ“-ში ჟამის წირვებზე მოხდება დიაკონისა და მღვდლის მიერ კანონიზებული საგან ხელდასხმულის სახელის აღვლენა ნაცვლად პატრიარქისა. თვით ხელდასხმული კი აღავლენს მიტროპოლიტი დავითის სახელს ამგვარად: საუწმიდესო და საუნეტარესო ურბნელი მიტროპოლიტისა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი დავითისათვის ბოდბეში, ჟამის წირვაზე ხელდასხმისას, სადაც ჯერ არს, იგივე მიტროპოლიტის სახელის აღვლენას ექნება ადგილი... მაგრამ თუ ეს უკანასკნელი ეფრემ მეორეს მხარს დაუჭერს და არ სცნობს ეპისკოპოს ბენედიქტეს კანონიერ ეპისკოპოსად, მისი სახელის აღვლენა შეწყდება „სვეტიცხოველ“-ში. 7. არც ერთი სამღვდელო ხარისხის პირი, რომელიც კანონიზებული საგან ხელდასხმულს კანონიერ მოძღვრად არ მიიღებს დღიდან ხელის დასხმისა – სამი თვის მიწურვამდე, ეპისტოლეს მოწერით, ან საიდუმლო აღსარებით, პატრიარქად (თუ ეს პირი პატრიარქობის კანდიდატია) ვერ ეკურთხება, ინტრონიზაცია ვერ შესრულდება საპატრიარქო ტაძარ „სვეტიცხოველ“-ში, სხვა ეკლესიაში ნაკურთხსა და ინტრონიზებულს კი მცხეთის ეპარქია არ მიიღებს და ჟამის წირვებზე მის სახელს არ აღავლენს. 8. მღვდელმთავარი ბენედიქტეს ნაკურთხი საპატრიარქო ტაძრის მრევლის მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებული „ცნობით“ გაიგზავნება საქართველოს ყველა კუთხეში, როგორც კანონიერი მღვდლები, თანახმად ამა თუ იმ ქალაქის, ამა თუ იმ დაბისა და სოფლის მრევლის მოთხოვნით. 9. კანონიზებული საგან ხელდასხმულის მიერ ნაკურთხნი „მშვიდობის დაცვის“ მიზნით იმ ეპარქიებში გაიგზავნებიან, რომლებიც კალენდარულად თავისუფალია“ ანდა ჰყავთ ფორმალურად დროებითი მმართველები ეპისკოპოსების სახით. 10. თუ რომელიმე მოქმედი, არა თავისუფალი ეპარქიიდან რომელიმე ეკლესიის მრევლმა მოითხოვა ეპისკოპოს ბენედიქტეს ხელდასხმული მოძღვრად, ხსენებული ეპარქიის ეპისკოპოსი ეფრემ მეორეს ჩარევითაც კი ვერ დაუშლის ამ მრევლს საპატრიარქო ტაძრიდან გაგზავნილის მწყემსად აყვანას და ეს უკანასკნელი ხელდამსხმელის მორჩილებაში იქნება. 11. თუ მღვდელს ექნება ხსენებული კომისიის მიერ შემუშავებული და საპატრიარქო მრევლის კრების მიერ დამტკიცებული „ცნობა“, ის კანონიერი მღვდელია და ეფრემ მეორეს მათი ოფიციალური დევნის უფლება ერთმევა. 12. სამთავროს მონასტერი მას შიგან არსებული საღვთისმეტყველო-სამოძღვრო სამწლიანი სასწავლებლით მცხეთის ეპარქიაში შემავალია და საპატრიარქო ტაძრის ეპისკოპოს ბენედიქტეს, მრევლის და ოცეულის ყურადღების ქვეშ იქნება. თუ რა იგულისხმება ყურადღების ქვეშ, ამაზე ცალკე იმსჯელებს მორიგი კრება, სხვა რელიგიურ საკითხებთან ერთად. 13. კანონიზებული საგან ნაკურთხი, სამეული და მორწმუნეები, რომლებიც ეკურთხნენ და მონაწილეობა მიიღეს №1 კრების გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაში, არ ექვემდებარება 1945 წ. 3. 28. მიღებული დებულების ქვეთავს საეკლესიო სამართალს, ე. ი. კათოლიკოზის მიერ – საბჭოსთან ანუ სინოდთან შეთანხმებით – გაცემულ ბრძანებებს (თუ ამას ექნება ადგილი ბენედიქტეს ეპისკოპოსის ხარისხში აყვანასთან დაკავშირებით): მღვდელმოქმედების აღკვეთას, სამსახურიდან გადაყენებას, ეკლესიის წევრობიდან გამორიცხვას, ანათემას, მორწმუნეებზე საეკლესიო ეპიტიმიის დადებას თანახმად კრების გადაწყვეტილებისა ძალა არ ექნება.

შენიშვნა: ბრალდებულისაგან და მისი თანამოაზრეებისაგან ბრძანებებს, რჩევას დარიგებებს და ა.შ. ჩვენ ვერ მივიღებთ, უბრალოდ, როგორც ანალოგიურს. ბრძანებებში იგულისხმება სას. მთავრობის მიერ გაცემული.

14. ვინაიდან ქართული ეკლესია თანახმად კონსტიტუციისა გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და რამდენადაც ჩვენ არ დაგვირღვევია 1924 წლის 24 თებერვლის ეკლესიასთან დაკავშირებული ქართული ინსტრუქციის შინაარსი, ე. ი. კრების მოწვევა, გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანას ჰქონდა და ექნება რელიგიური ხასიათი, სამოქალაქო მთავრობა ამ რწმუნებულის სახით ეფრემ მეორესა და ჩვენს შორის, ვფიქრობთ, ნეიტრალურ მდგომარეობაში იქნებიან, თუ რომელიმე მხარე ან კრებისა ან ეფრემ მეორისა არ დაარღვევს ძერჟინსკულ ჰუმანიზმს. 15.

ეპისკოპოს ბენედიქტესთვის დაკანონებულ პატივს მორიგი პატრიარქის არჩევის შემდეგ (თუ ეს უკანასკნელი სცნობს პირველს კანონიერად) აკლდება ეპითეტი სვეტიცხოვლის წინამძღვრობისა და ამ მორიგ პატრიარქს ტრადიციულად ებოძება. მაგრამ თუ ეფრემ მეორე სცნობს ბენედიქტეს, სვეტიცხოვლის წინამძღვრობაში კრების მიერ აღდგენილი არ იქნება მანც. 16. კანონიზებული ხელდასხმას მოახდენს 14 ივლისს, კვირას (ძვ. სტ). 17. ეკლესია, სადაც არჩეულის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანა მოხდება, მოქმედია და ჰყავს მოძღვარი. კვირა უქმე დღეა და თუ ჟამის წირვის ჩატარებაზე ადგილობრივმა მოძღვარმა ნებით ხელი არ აიღო და ჩვენ არ დაგვითმო (არც აქვს უფლება წირვის მიტოვებისა პატრიარქის ნებართვის გარეშე), კრების გადაწყვეტილებით სათანადო პირების მიერ ყოველგვარი პირადი შეურაცხყოფის მიყენების გარეშე გაიკოჭება მთელი ჟამის წირვის მანძილზე. 18. დღიდან ბენედიქტეს ეპისკოპოსად ხელდასხმისა სვეტიცხოვლის ანაბრები (შემოსავლის ფულადი თანხა) შეინახება ადგილობრივ, მცხეთის სახ. ბანკში სვეტიცხოვლის სახელზე გაფორმებით. 19. ბოღბის წმ. ნინოს მონასტერი ბოღბის ეპარქიაშია, რომელიც კალენდარულად თავისუფალია“, მაგრამ მის დროებით მმართველად ითვლება ეპისკოპოსი რომანოზი (პეტრიაშვილი) და ეს უკანასკნელია პასუხისმგებელი პატრიარქის წინაშე, თუ რატომ დაუშვა კანონიზებული საგან ხელდასხმა და რატომ არ აცნობა მას, მაგრამ კრების გადაწყვეტილება იფარავს. ეფრემ მეორეს ერთმევა უფლება მღვდელმთავრის დასჯისა. დასჯის შემთხვევაში, დასჯილი უფლებამოსილია გამოცხადდეს სვეტიცხოველში, რომ კანონიზებული საგან ხელდასხმულმა მიავლინოს კალენდარულად რომელიმე უმოქმედო ეპარქიაში ეპისკოპოსად, თუ დადგინდება რომ, იგი სიმონით არაა ნაკურთხი ეფრემ მეორისაგან. 20. მღვდელმთავრული პატივიდან: მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსი არ ნიშნავს: მცხეთა-წილკნის ეპარქიათა გაერთიანებას. მაგრამ სანამ თავისუფალია, მისი დროებითი მმართველია სვეტიცხოვლის ამჟამინდელი წინამძღვარი. 21. ბოღბის მონასტერთან არსებული ოცუელის წევრებს ნება აქვთ უბრალოდ დაესწონ ან თუ სურვილს განაცხადებენ, მონაწილენი გახდნენ როგორც მორწმუნენი მოციქულისაგან არჩეულის ხელდასხმისათვის ჩატარებული წირვა-ლოცვისა, რაც შეეხება პრეტენზიებს – ეს მათ ფუნქციებში არაა. 22. მცხეთის ეპარქიის თბილისის ეპარქიისაგან გამოყოფამ და სვეტიცხოვლის წინამძღვრობისაგან კათოლიკოზის განთავისუფლებამ გამოიწვია 1945 წ. 3.28-მიღებული დებულების (დებულება საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისათვის ქვეთავის „მთავარი გამგეობას-ს“) და ამ პერიოდისთვის შენიშვნის უარყოფა, ასე რომ: კათალიკოს-პატრიარქის (ეფრემ მეორის) შესანახ „სამეურნეო გამგეობის თანხას“ არ მიემატება სვეტიცხოვლის შემოსავლის არც ერთი პროცენტი. 23. 1968 წლის 12 ივნისის კრება დროებით უშვებს 1969 წლის საქართველოს ქართული ეკლესიის კალენდარში „საქართველოს ეკლესიის ეპარქიების მღვდელმთავრები-ს“ სიაში შეტანილი იქნეს ასეთი ცვლილება: 1. მცხეთის ეპარქია: საპატრიარქო-კვართსაუფლო „სვეტიცხოველი-ს“ წინამძღვარი და მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსი ბენედიქტე (ჯალალონია). მოციქული ნინო მესხის ხელდასხმული 1968 წლის 14 ივლისს, ბოღბეში. 2. თბილისის ეპარქია: თბილისის მთავარეპისკოპოსი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე. 24. პატრიარქის და საბჭოს (სინოდის) მიერ ბენედიქტეს ეპისკოპოსად ცნობა, ან არცნობა 23-მე მუხლის შინაარსის კალენდარში შეტანას ხელს არ უშლის. 1968 წლის 27 (ახ. სტილით) ივლისს ბენედიქტე ჯალალონია, ალექსანდრე ქათამაძე, არქიმანდრიტი პართენი, ნინო იორამაშვილი და მათი მხარდამჭერნი ბოღბეს გაემგზავრნენ. მანამდე მათ სჭირდებოდათ სამღვდელმთავრო კვერთხი, კუნკულბარტყულა, პანალია. ყველაფერი იშოვნა არქიმანდრიტმა პართენმა. იგი შეწუხებული მივიდა ურბნელ მიტროპოლიტ დავითთან (დევედარიანი) და აუწყა, რომ სვეტიცხოველში დაიკარგა სამღვდელმთავრო პანალია. მიტროპოლიტმა დავითმა უყოყმანოდ გადასცა თავისი კუთვნილი პანალია, რომელიც გამოიყენეს „ახლანდნაკურთხი ეპისკოპოსის ბენედიქტესათვის“. ბენედიქტე მივიდა წმიდა ნინოს საფლავთან, ჩაიცვა სამღვდელმთავრო შესამოსელი და იქიდან გამოვიდა როგორც „წილკნელ-მცხეთელი ეპისკოპოსი“. სპეციალურად მოსყიდულ ფოტოგრაფს დააბეჭდვინეს სურათები, სადაც მას შარავანდედი მოსავდა... მან მღვდელ – მონაზვნად ხელი დაასხა ალექსანდრე ქათამაძეს და უწოდა სახელი იაკობი. თვითმარქვია სასულიერო პირებს მკაცრად დაუპირისპირდნენ წმიდა სინოდის წევრები. 1968 წლის 5 აგვისტოს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილეს არქიმანდრიტ პართენს ასეთ შინაარსის წერილი გაუგზავნა ურბნელმა მიტროპოლიტმა დავითმა (დევედარიანი): „სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ეფრემ

II-ის საწინამძღვრო ტაძარში მომხდარი ბოროტმოქმედების შემდეგ წირვა-ლოცვის დროს იხსენიებთ ჩემ თავს და როგორც წესია, არა მის უწმიდესობას და უნეტარესობას. ამის გამო მე, მიტროპოლიტი დავითი ურბნელი, კატეგორიულად მოვითხოვ და ოფიციალურად ვაპროტესტებ ზემოხსენებულ უსაფუძვლო და უტაქტო მოქმედებას. დარწმუნებული ვარ ამის შემდეგ სვეტიცხოვლის ტაძარში და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიაში ასეთ ბოროტებას მომავალში აღარ ექნება ადგილი. ჩემი პროტესტის ასლი ეგზავნება მის უწმიდესობას და უნეტარესობას.

დავითი მიტროპოლიტი ურბნისა.“

გაგულისხმებულმა ბენედიქტე ვალალონიამ ასეთი პასუხი გაუგზავნა მიტროპოლიტ დავითს: „1968 წლის 12 ივნისის სრულიად საქართველოს მორწმუნეთა საზოგადოების გაერთიანებული კრების ოქმთა მე-6 მუხლში ნათქვამია: „მორიგი პატრიარქის არჩევამდე მცხეთის ეპარქიაში და კერძოდ, „სვეტიცხოველში“, ჟამისწირვებზე მოხდება დიაკონისა და მღვდლის მიერ კანონიზებული საგან ხელდასხმულის სახელის აღვლენა ნაცვლად პატრიარქისა. თვით ხელდასხმული კი აღავლენს მიტროპოლიტი დავითის სახელს. მაგრამ თუ ეს უკანასკნელი ეფრემ II-ს მხარს დაუჭერს და არ სცნობს ეპისკოპოს ბენედიქტეს კანონიერ ეპისკოპოსად, მისი (ე.ი. ურბნელის) სახელის აღვლენა შეწყდება სვეტიცხოველში.“ თანახმად ციტირებულისა, ამა წლის 8 ივლისიდან არქ. პართენის მიერ, და, ამა წლის 14 (27) ივლისიდან ბერდიაკონ იაკობის მიერ ხდება ჩემი სახელის აღვლენა, ნაცვლად პატრიარქის სახელის აღვლენისა. თვით მე კი, ამა წლის 8 ივლისიდან მღვდელმთავრულ ლოცვებში აღვაკლენ თქვენი მეუფების სახელს... ახლა კი თქვენი წერილის გარშემო, არქ. პართენს რომ გამოუგზავნეთ ამა წლის 5 აგვისტოს დათარიღებით, №8-ით მე-6. შენიშვნები: 1. თქვენი წერილი უმისამართოდ გამოგზავნილია, უნდა გამოგეგზავნათ ჩვენთვის და არა არქ. პართენისათვის. 2. სვეტიცხოვლის წინამძღვარში თქვენ გულისხმობთ ეფრემ მეორეს, რომელიც 1968 წლის 12 ივნისის კრების დადგენილებით, და კერძოდ, 8 ივლისიდან უკვე აღარაა სვეტიცხოველის წინამძღვარი და კრების წინაშე მოტევა ითხოვთ სიტყვებისათვის: „ეფრემ მეორის საწინამძღვრო ტაძარში.“ 3. თქვენი „პროტესტის“ დაკმაყოფილება არ ძალუძთ არქ. პართენს და ბერდიაკონ იაკობს. დიაკონიც და არქიმანდრიტიც ჩემს ეპარქიაშია და მოციქულთა დადგენილებანის მეოცდაცხრამეტი (39) მუხლის შინაარსის თანახმად, ჩემს ეპარქიაში ჩემი ლოცვაკურთხევის გარეშე არაფერს არ აკეთებენ. (არც თქვენს მოხსენიებას მოიშლიან). 4. თქვენს კატეგორიულ მოთხოვნას დავაკმაყოფილებთ ჩვენ და თქვენი სახელის აღვლენას, თუ გნებავთ, უბრალოდ თქვენი სახელის ხსენებასაც კი წმ. ტაძრის სიახლოვეს შევწყვეტთ და ვუბრძანებთ მორჩილთ, თუ თქვენ ჩვენს სახელზე გამოგზავნით არა პროტესტს, არამედ თხოვნას, რომ არ გსურთ და უღირსება სინდისს გიქენჯნით, მოხსენებულ იყოს კვართსაუფლო ტაძარში. ჩვენდამი მოწერილი თხოვნა თქვენი, ვიმეორებ, დაკმაყოფილებული იქნება, თუ წერილი დასათაურდება მისამართით აღრესატი: საპატრიარქო-კვართსაუფლო სვეტიცხოველის წინამძღვარს და მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსს ბენედიქტეს... აქვე უნდა ვთქვა: ჩვენ გიხსენიებთ კრების სურვილისა და დადგენილების თანახმად, როგორც საუწმიდესოსა და საუნეტარესოს, რაც მომასწავებელია თქვენი მეუფების გაპატრიარქებისა და ნუთუ „ხმას ღვთისას და ხმას ერისა“ აგდებთ არად? 5. ჩვენს სახელზე თქვენი წერილის (თხოვნის) ან ეფრემ მეორის მხარდაჭერამდე ოფიციალურად მიღებამდე იქნებით მოხსენიებაში და ვფიქრობ, ეს სულაც არაა გულდასაწყვეტი. 6. თქვენს წერილში ჩანს ეფრემ მეორის სიტყვიერი დაცვის ცდა, რაც, ვეჭვობ, თქვენ შეძლოთ პრაქტიკულად, ვინაიდან: ეფრემ მეორის დაცვას ღვთისა და ერის სამსჯავროს წინაშე სულ სხვა გონება უნდა. აქ ის გონება უვარგისია, რომელიც ეფრემ მეორის დაკვეთით ეფრემისვე ქებას წარმოთქვამდა სიონის ამბიონიდან. 7. თქვენი წერილის ასლი თუ ვის გაეგზავნა, რა აზრი აქვს, როცა ასლის დედანი არა იმას მიუვიდა, ვისაც უნდა მიჰსვლოდა? 8. წერილი არქ. პართენმა გადმომცა მე. ვინაიდან მას არ ეკუთვნოდა, მაგრამ იგი მე ჩემად არ მიმიღია, მიუხედავად ამისა, რომ პასუხი გაგეცით. 9. სვეტიცხოველში არავითარი ბოროტმოქმედება არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ პატრიარქ ეფრემ მეორემ არქ. პართენს უბრძანა დაერღვია მცნება „არა ცილი სწამო“ და ცილი ეწამებია ჩემთვის... თქვენ ეს „ბოროტმოქმედებანი“ გაქვთ მხედველობაში? თუ ეს ასეა და „ასეთ ბოროტებას მომავალში აღარ ექნება ადგილი“ – მოგესალმებით. 10. ვსარგებლობ შემთხვევით და ვკითხულობ: კრების ოქმიდან ამონაწერი პასუხისთვის გამოგიგზავნათ კრებამ, რად დუმხართ მეუფეო? საპატრიარქო-კვართსაუფლო

სვეტიცხოველის წინამძღვარი და მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსი ბენედიქტე (ჯალალონია). 1968 წ. 25 ივლისი.“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ ეკლესიაში შფოთისა და ამბოხების მომწყობთა მიმართ გადამჭრელ ზომებს მიმართა, წმიდა სინოდის საგანგებო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: მიტროპოლიტი დავითი (დევედარიანი), ეპისკოპოსი ზინობი (მაჟუგა), მიტროპოლიტი ნაუმი (შავიანიძე) ეპისკოპოსები ილია (შიოლაშვილი),

რომანოზი (პეტრიაშვილი), საქართველოს სამოციქულო ეკლესიიდან სრულიად განიკვეთენ ბეჯით ჯალალონია, ალექსანდრე ქათამაძე, ნინო იორამაშვილი. არქიმანდრიტ პართენ აფციაურს ჩამოერთვა საეკლესიო ხარისხი და უბრალო წიგნის მკითხველად განწესებულ იქნა ალავერდის ეპარქიაში. სინოდის ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად ეცნობა საერო ხელისუფლებას. მეამბოხეებს ოფიციალურად მოსთხოვეს სვეტიცხოველის დატოვება. თვითმარქვია ეპისკოპოსმა ბენედიქტემ სსრ უმაღლეს საბჭოში ასეთი შინაარსის საპროტესტო წერილი აფრინა: „ჩემს მცხეთის ეპარქიაში რელიგიის საქმეთა რწმუნებულის ამხ. დ. შალუტაშვილის მითითებით, მცხეთის ადგილობრივმა სამოქალაქო მთავრობამ (ადმასკომმა – თავმჯდომარე ლაშხი, მცხეთის პროკურატურამ – პროკურორი აბესაძე, მილიციამ – უფროსი ხაჭალია) იწება თვითნებურად ჩარეულიყო სახელმწიფოსაგან კონსტიტუციურად გამოყოფილი ქართული ავტოკეფალური ეკლესიის წმიდა ეკლესიურ საქმეებში, კერძოდ, იკისრა 1968 წლის 12 ივნისს სრულიად საქართველოს მართლმადიდებელთა გაერთიანებული კრების „შრომების“ გაყალბება-უარყოფა, უფრო სწორად 500 ადამიანს გამოგვიცხადა ადმინისტრაციული დევნა, იტვირთა დაცვა პატრიარქ ეფრემ II-ისა და ცდილობს მას დაუბრუნოს კრების მიერ ჩამორთმეული წინამძღვრობა სვეტიცხოველისა, მთავარეპისკოპოსობა მცხეთისა და ა.შ. კრებისგან მე რომ მებოძა. მაცხოვრული და ლენინური „სინდისის თავისუფლების“ შეურაცხყოფისათვის, და რომ რწმუნებული არ გაუფრთხილდა საბჭოთა რწმუნებულის საპატიო სახელს, რამაც იგი გამოიყვანა „სინოდალური პროკურორის როლში“ და რამაც შეცდომაში შეიყვანა ადგილობრივი მთავრობა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოდან ბრძანების მიღებამდე სწორია თუ არა ამხ. დ. შალუტაშვილისა და ადგილობრივი მთავრობის მოქმედება, ვუცხადებ ბოიკოტს შიშშილით. თუ რამდენად პირნათელი ვიქნები სიტყვის აღსრულებაში, ამას დაამტკიცებს შემდეგში ჩემზედ დანიშნული საექიმო ექსპერტი საპატრიარქო კვართსაუფლო სვეტიცხოველის წინამძღვარი და მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსი ბენედიქტე (ჯალალონია).“ მეამბოხენი სვეტიცხოველიდან გამოაძევეს. საერო ხელისუფლებამ შედეგს მიაღწია – საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია კიდევ უფრო დაასუსტა. საზოგადოებაში ანტიეკლესიური, ათეისტური სულისკვეთების გაძლიერებისათვის 1969 წლის 21 სექტემბერს უდიდეს საეკლესიო დღესასწაულს ღვთისმშობლობას გაზეთ „ქუთაისში“ ბ. გამგებლის ფსევდონიმით დაიბეჭდა წერილი „წმიდა მამები“, რომელიც ეხებოდა 1968 წლის საეკლესიო ამბოხს. „ბეჯით მიხედის ძე ჯალალონიამ და ალექსანდრე ტრიფონის ძე ქათამაძემ რელიგიისათვის სრულიად უცხო და უცნობ ექსპერიმენტს მიჰყვეს ხელი. ამ „წმიდა მამების“ შესახებ ეკლესიის მსახურთა შორის ცუდი ხმები დადიოდა, მაგრამ სამღვდელოებისა და მისი ხელმძღვანელობის აღშფოთებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, როცა მათ სვეტიცხოველში რელიგიური რიტუალის შესრულების დროს ატენეს დებოში – წინააღმდეგობა გაუწიეს მღვდელმთავარს (იგულისხმება კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II). შემდეგ ისინი ქუთაისს ეწვივნენ და პეტრე-პავლეს ეკლესიაში შეეცადნენ საცეცხლური წაერთმიათ მღვდელმთავრისათვის (იგულისხმება ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაუმი). ამ უპრეცედენტო შემთხვევისათვის ისინი განკვეთილ იქნენ ეკლესიიდან... საიდუმლო სერობა დიდხანს არ გაგრძელებულა, პირველმა მეორე, ხოლო მეორემ პირველი თვითნებურად აკურთხა მღვდელმსახურად. კერძოდ, ბ. ჯალალონიამ მღვდელ მონაზვნად აკურთხა ალექსანდრე ქათამაძე და „იაკობად“ მონათლა, ხოლო ბ. ჯალალონია „ეპისკოპოს ბენედიქტედ“ იქნა „აკურთხეული“. ყველაფერი ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მათ დაეწყოთ მღვდელმსახურების შესრულება, საიდანაც გარკვეულ შემოსავალს იღებენ. ახლა სათანადო ორგანოების ხელთ არის დოკუმენტი იმის შესახებ, რომ აღნიშნული „მღვდლები“ ნაკურთხი არ არიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის მიერ და არ აქვთ მღვდელმსახურების შესრულების უფლება. თუმცა უფლებას წვერმოშვებული და ანაფორჩაცმული „წმიდა მამები“ რას

დაგიდევნ. მათთვის მთავარი შემოსავალი და სიმდიდრეა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის მიმართვის საფუძველზე, სხვისი სულისათვის „მოჭირნახულე მღვდლებს“ შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ ჩამოერთვათ რელიგიური რიტუალებისათვის საჭირო საგნები. გაფრთხილებულ იქნენ, ვიდრე გვიან არ არის, ხელი აიღონ ნეტარხსენებულ მოღვაწეობაზე.“ 1972 წლის 7 აპრილს, როდესაც გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II, სიონის საპატრიარქო ტაძარში ხალხს დაურიგეს ძველქართულ ენაზე შედგენილი წერილი, რომელშიც ეწერა: „ეფრემი არა არს ღირსი სიონში დაფვლისა, რომელ ემორჩილა ეშმაკსა, აწ მსწრაფლ აღსდექით, მოითხოვეთ ბერი ბენედიქტე ჯალალონია, რომელიც ვინილე განგებითა ღვთისათა – იგი არს ჭეშმარიტი ივერიის პატრიარქი, კურთხეულიცა ქრისტეს ხელითა წარადგინეთ მოთხოვნა – ჟამი მცირე არს. ათცამეტსა მაისსა დღესასწაულსა ქრისტეს ამადლებისა იქნების სინოდი. იმღვიმარეთ ივერიელნო, ნუ გემინისტ“. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა ურბნელი მიტროპოლიტი დავითი. ბევრით ჯალალონია „ჭეშმარიტი ივერიის“ პატრიარქობის მაძიებლად დარჩა. მაინც ვინ იყვნენ ეს მეამბოხენი?

1. ბენედიქტე ჯალალონია, ერისკაცობაში ბევრით მიხეილის ძე ჯალალონია, დაიბადა 1938 წლის 12 ივნისს ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ სარაქონში. 1963-1967 წ.წ. სწავლობდა მცხეთის სამოძღვრო კურსებზე, შემდეგ – ზაგორსკის სასულიერო სემინარიაში. ბიოგრაფიის პირველ ვარიანტში, რომელიც 1968 წელს არის შედგენილი, იგი წერდა, რომ 1968 წლის 14 ივლისს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ბერად აღკვეცეს არქიმანდრიტებმა პართენ აფციაურმა და კონსტანტინე ქვარაიამ. 1968 წლის 21 ივლისს წმიდა ნინომ ბოდბეში აიყვანა ეპისკოპოსობის პატივში. 1971 წლის 17 ივლისს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის მას: „მოქალაქე ბევრით ჯალალონიას, თქვენს თავს უწოდებთ ეპისკოპოსს, სინამდვილეში არა თუ ეპისკოპოსი, ქრისტიანიც არა ხართ, თუ შემოიტანთ სინანულის თხოვნას, წმიდა სინოდი მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელებს თქვენს საკითხზე.“⁵ 1980 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში იგი საერთოდ აღარ ახსენებს 1968 წლის მოვლენებს და აღნიშნავს, რომ 1979 წლამდე იყო თავის მშობლიურ სოფელში, ხოლო 1979 წლის 7 აგვისტოს ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსის იოანეს (ანანიაშვილი) მიერ განწესებულ იქნა თეკლათის მონასტრის მედავითნედ, 1979 წლის 7 ოქტომბერს აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად ალექსი. 1979 წელს 11 ნოემბერს მთავარეპისკოპოსმა იოანემ აკურთხა მღვდელმონაზვნად. 1980 წლიდან იყო სენაკის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მღვდლად... ამჟამად პენსიაზეა და ცხოვრობს მშობლიურ რაიონში.

2. მღვდელმონაზონი იაკობი – ალექსანდრე ტრიფონის ძე ქათამაძე დაიბადა 1942 წლის 22 ივლისს ტყიბულის რაიონის სოფ. მენჭირში. 1964-1965 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ – მოსკოვის სასულიერო სემინარიაში. 1966 წელს დაინიშნა ქაშუეთის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის მედავითნედ. 1970 წლის 23 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II-ის სახელზე დაწერილ წერილში მან მოინანია 1968 წლის საეკლესიო ამბოხებაში მონაწილეობა: „1978 წლის ივლისში ეკლესიაში მოვახდინეთ განხეთქილება, რომელშიც ემონაწილეობდი, – წერდა იგი, – არაკანონიკური გზით გამოვიყენე საეკლესიო დოგმები, ვატარებდი მღვდელმსახურებას, შეურაცხყოფა მივაყენეთ ღვთის მცნებებს, წმიდა ტაძრებს, მათ ხელმძღვანელობას. ყოველივე ეს მოხდა ჩვენი ქედმაღლობითა და ამპარტავნებით. ვსცოდვით ღვთისა და მამის წინაშე. გთხოვთ, შემინდოთ დიდი ცოდვის საუკუნო ტანჯვა, დამიბრუნოთ ქრისტიანობა, მიკურთხოთ გვირგვინი და მიმიღოთ ეკლესიაში დაბალ სამსახურზე, რომელსაც თქვენი მოწყალება იწებებს. შემინდეთ ყოველივე და მიმიღეთ მტირალი, თქვენს წინაშე რომ არავითარი კავშირი ვიქონიო ეკლესიიდან განკვეთილ პირებთან.“⁶ შეუნდეს. 1971 წ. ურბნელმა მიტროპოლიტმა დავითმა (დეგდარიანი) აკურთხა დიაკვნად, 1973 წ. ქუთათელ-გაენათელმა და ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა რომანოზმა – მღვდლად. 1979 წ. 13 აგვისტოს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ეპისკოპოსად. 1982-1983 წწ. იგი მიტროპოლიტ შიოსთან

⁵ საქართველოს საპატრიარქო არქივი. კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ფ. №2979.

⁶ სერგო ვარდოსანიძე, ქართველი მღვდელმთავრები XX საუკუნეში. თბილისი, 2010, გვ. 263.

(ავალიშვილი) ერთად დაუპირისპირდა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს და მოითხოვა მისი გადადგომა. 1980-90-იან წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, 1991-2005 წლებში იყო დევნილობაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ითხოვდა მღვდელმთავრის ხარისხში აღდგენას... 2008 წლის 27 ნოემბერს იგი გარდაცვლილი იპოვეს თავის ბინაში. მეუფე ამბროსი 2 დეკემბერს დაიკრძალა შიომღვიმის მონასტერში. 3. არქიმანდრიტი პართენი (აფციაური) დაიბადა 1905 წ. 15 მარტს. სწავლობდა ფასანაურის 4 კლასიან სასწავლებელში. საეკლესიო კითხვა-გალობა და ტიპიკონი შეისწავლა შიომღვიმის მონასტერში. 1924 წელს აღიკვეცა ბერად, 1932 წელს ზედაზნის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ მიხეილის თხოვნით წილკნელმა ეპისკოპოსმა ალექსიმ (გერსამია) აკურთხა იეროდიაკვნად. 1934 წლის 7 აპრილიდან შიომღვიმის მონასტერშია. 1935 წლის 8 ნოემბერს ხელდასხმულ იქნა მღვდლად. 1936 წლიდან 1940 წლამდე იყო ძეგვის წმ. საბჭოს მონასტრის მღვდელი. 1940 წლიდან დუშეთის რაიონის გუდამაყრის თემშია, მაგრამ იმავე წლის 24 აპრილს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა ავტაცის ბრალდებით. 4 წელი გაატარა პატიმრობაში. 1946-1948 წლებში იყო ზედაზნის მონასტერში. 1948 წლიდან სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარშია ჯერ მეორე მღვდლის თანამდებობაზეა, ხოლო 1955 წლიდან სვეტიცხოვლის წინამძღვრის მოადგილეა. 1960 წლის 23 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-მ აიყვანა ილუმენის ხარისხში. 1968-1972 წლებში მას ჩამორთმეული ჰქონდა საეკლესიო ხარისხი და ალავერდის ეპარქიაში იყო მეღავითნედ. კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის გარდაცვალების შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა დავით V-მ დააბრუნა სვეტიცხოველში, დაუბრუნა არქიმანდრიტის წოდება. იგი გარდაიცვალა 1979 წელს. 4. ნინო იორამაშვილი, არქიმანდრიტ პართენის სულიერი შვილი გარდაიცვალა 2008 წელს მცხეთაში.

Sergo Vardosanidze

What Happened in the Georgian Orthodox Apostolic Church in 1968

Summary

In the '50ies and '60ies of the XX century the Second World War loyal attitude of the Soviet Union to the religious organizations was changed into a strict repressive policy. The Soviet Party elite headed by Nikita Khrushchev aspired to turn the Soviet Union into a country of mass atheism. To achieve this goal it was necessary to explode, discredit the church from within. In the Georgian Orthodox Apostolic Church the repercussion of this process was conspiracies at first against the Catholicos-Patriarch of all Georgia Melksedek III and then – against Efrem II; the 1968 church revolt when in Bodbe, at the cemetery of St. Nino certain Bejit Jalaghonia who, enjoying the support of some part of the civil authorities, consecrated himself the Bishop of Tsilkani-Mtskheta and renounced the Catholicos-Patriarch of all Georgia. Such an action, on the one hand, was calculated to threaten the helm-holders of the Georgian Church and on the other – to create a negative attitude of the believers to Church. Fortunately the Georgian Orthodox Church dealt with these difficult challenges with dignity and exposed the real image of the 'insurgents'.

ვანტანგ გურიული

საქართველო ისტორიულ გზაგასაყარზე (1917-1918)

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რომელსაც მოჰყვა იმპერიის ნგრევა, ხელსაყრელი პირობები შექმნა იმპერიაში მცხოვრები “ნებაყოფლობით” შეერთებული თუ დაპყრობილი ერების თვითგანსაზღვისათვის (თვითგამორკვევისათვის). ამავე დროს, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას რამდენიმე ფაქტორი ართულებდა.

პირველი. მსოფლიო ომის მესამე წელსაც კი არ შეიძლებოდა იმის პროგნოზირება, თუ როგორ შეიცვლებოდა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, როგორ განვითარდებოდა საომარი მოქმედებები მსოფლიო ომის ფრონტებზე. აქედან გამომდინარე, ძნელი იყო რამდენადმე რეალური საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შემუშავება, საიმედო, ძლიერი, მოკავშირის პოვნა, რის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

მეორე. რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები იმპერიის ნებისმიერი სამართალმემკვიდრისაგან (კონკრეტულ შემთხვევაში – რუსეთის დროებითი მთავრობისაგან) აუცილებლად მოითხოვდა სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) რეგიონში პოზიციების დაცვას. სამხრეთ კავკასიის დაკარგვით მნიშვნელოვნად შესუსტდებოდა რუსეთის პოზიციები მახლობელ აღმოსავლეთში.

მესამე. სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სასიცოცხლო ინტერესები ჰქონდა ორ ისლამურ სახელმწიფოს - ოსმალეთსა და ირანს. ირანი 1917 წლისათვის არ წარმოადგენდა სერიოზულ ძალას (თუმცა საქართველოსათვის მაინც საშიში იყო). რაც შეეხება ოსმალეთს, მსოფლიო ომის სამმა წელმა ამკარა გახადა მისი აგრესიული მისწრაფებანი და, კერძოდ, საქართველოში. ცხადი გახდა ბრძოლის ის ფორმებიც, რომლითაც ოსმალეთი აპირებდა რეგიონში დამკვიდრებას.

მეოთხე. მსოფლიო ომის პირობებში დასავლეთ ევროპის ქვეყნები სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში ვერ ერეოდნენ, ამ დაპირისპირებაში წონასწორობის გარანტიად ვერ გამოდიოდნენ. მეორე მხრივ, საქართველოს წონასწორობის დარღვევის არცერთი ვარიანტი (რუსეთის ან ოსმალეთის სასარგებლოდ) არ აძლევდა ხელს. რუსეთის წასვლა სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან აქ ოსმალეთის უცილობელ და საფუძვლიან დამკვიდრებას ნიშნავდა, ხოლო ოსმალეთის პოზიციების შესუსტება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა რუსეთს აქტიური პოლიტიკის წარმოებისათვის.

მეხუთე. მოვლენათა იდეალური სცენარით განვითარების შემთხვევაშიც კი (რუსეთისა და ოსმალეთის ერთდროული წასვლა სამხრეთ კავკასიიდან) საქართველო დიდი სიძნელეების წინაშე დგებოდა. დიდი სახელმწიფოების წასვლა რეგიონიდან დაუყოვნებლივ ბიძგს მისცემდა აქ მცხოვრები ერების ჰეგემონისტურ მისწრაფებებს, სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხების დაპირისპირებას – პოლიტიკურ, რელიგიურ და ეთნიკურ კონფლიქტებს, სეპარატისტულ მოძრაობებს. ყველა ერი შეეცდებოდა თავისი ისტორიული ტერიტორიის საზღვრების მოხაზვას, რაც, უმეტეს შემთხვევაში, თუ შეუძლებელია არა, ძალზე ძნელი იყო. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ (XIX საუკუნის დამდეგი) დემოგრაფიული ვითარება რეგიონში კარდინალურად შეიცვალა. ძნელი იქნებოდა იმ კრიტერიუმების შემუშავებაც, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა კავკასიაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გამიჯვნას.

შეჯავბე. შეუძლებელი იყო იმის პროგნოზირებაც, თუ საბოლოოდ როგორ დამთავრდებოდა პირველი მსოფლიო ომი, რა სახეს მიიღებდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, როგორი იქნებოდა ომის შემდგომი პოლიტიკური ვითარება¹.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის გამარჯვებით რუსეთის იმპერიასთან ერთად არსებობა დაასრულა კავკასიის სამეფისნაცვლომაც. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ – რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა ჩააბარა სამხრეთ ხელისუფლების ორგანოს – **ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომი)**, რომელიც ეროვნული და პარტიული პრინციპით დაკომპლექტდა. ოზაკომის ქართველი წევრი იყო სოციალ-დემოკრატი **აკაკი ჩხენკელი**. ოზაკომი თბილისში პრაქტიკულად მოღვაწეობას 1917 წლის 18 მარტს შეუდგა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ თბილისში ფუნქციონირებდა რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები: თბილისის მუშათა (ცოტა მოგვიანებით მუშათა და ჯარისკაცთა) დეპუტატების საბჭო (თავმჯდომარე **ნოე ჟორდანი**), ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრი (თავმჯდომარე **ნოე ჟორდანი**) და რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭო (თავმჯდომარე **დიმიტრი დონსკოი**).

რუსეთში კანონიერ ხელისუფლებას (დროებით მთავრობას) და რევოლუციურ ხელისუფლებას (სხვადასხვა დონის დეპუტატთა საბჭოებს) შორის მუდმივი დაპირისპირება და კონფლიქტი არსებობდა, რაც დამთავრდა 1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკების მიერ განხორციელებული კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებით. რუსეთში დამყარდა დიქტატორული პოლიტიკური რეჟიმი. საბჭოთა რუსეთის მთავრობა არარუსი ერების მიმართ ველიკოდერჟავულ პოლიტიკას ატარებდა. ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, ოფიციალური და რევოლუციური ხელისუფლების (ოზაკომის და დეპუტატთა საბჭოების) დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. უთანხმოებები, როგორც წესი, მშვიდობიანი გზით გვარდებოდა. კონფრონტაციის თავიდან აცილებაში დიდი როლი შეასრულეს ნოე ჟორდანიმ, აკაკი ჩხენკელმა, ევგენი გეგეჭკორმა და სხვა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა.

1917 წლის აპრილში თბილისში შედგა **საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრებები** (თავმჯდომარე - აკაკი ჩხენკელი). თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის სათავეებთან სწორედ საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული კრებები იდგა. ინტერპარტიული კრებების დამსახურებაა ის, რომ 1917 წლის აგვისტოში შეიქმნა **საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო** (თავმჯდომარე - აკაკი ჩხენკელი).

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოში აშკარად შეიმჩნეოდა ანტირუსულ განწყობათა შესუსტება, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, რუსეთის იმპერიის აღსასრული გარკვეული შვება იყო იმპერიაში მცხოვრები, დაპყრობილი ერებისათვის; მეორეც, რუსეთის დროებითი მთავრობა - თავისი ხასიათით დემოკრატიული მთავრობა – სულაც არ აპირებდა კოლონიური მხარეების ძველი პრინციპებით მართვას (ამის მაგალითს საქართველოში ცხადად იძლეოდა ოზაკომი, რომლის შედარება კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციასთან მართლაც არ შეიძლებოდა): წარსულს ჩაბარდა ჟანდარმერიისა და ოხრანკის ყოვლისშემძლეობის პერიოდი, საგანგებო მდგომარეობების და დამსჯელი ექსპედიციების თარეში, წარსულს ჩაბარდა რუსიფიკაციაც მრავალნაირი გამოვლინებით, გაუქმდა ცენზურა. საქართველოში ანტირუსულ განწყობას გარკვეულწილად ისიც ასუსტებდა, რომ რუსეთის

¹ აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918. თბილისი, 1998. გვ. 14-16

პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალზე დიდ როლს ასრულებდნენ **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე** და **ირაკლი წერეთელი**. კარლო ჩხეიძე არჩეული იქნა პეტროგრაძის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო ცოტა მოგვიანებით სრულიად რუსეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ (1917 წლის ივნისი) იგი აირჩია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. რაც შეეხება ირაკლი წერეთელს, იგი რუსეთის კოალიციური დროებითი მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მინისტრი იყო. ყველაფერი ეს ქმნიდა იმის ილუზიას, რომ დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს რაიმე ფორმით (ავტონომიური ან ფედერაციული ერთეული) დარჩენა შესაძლებელი იქნებოდა. დაახლოებით იგივე განწყობა შეიმჩნეოდა თითქმის ყველა ყოფილ კოლონიურ ქვეყანაში. ზურაბ ავალიშვილი წერს: „არავის უფიქრია რუსეთთან სახელმწიფოებრივი ნასკვნის გაწყვეტა; ისევე როგორც არ უფიქრიათ ამაზე ესტონეთში, ლატვიასა და რუსეთის სხვა განაპირა ქვეყნებში. საქართველო, შეიძლება ითქვას, მიდიოდა ამ მხრივ სხვებთან ფეხშეწყობით“.² სწორედ ასეთ ვითარებაში გაიმართა საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრებები. საქართველოს პირველ და მეორე ინტერპარტიულ კრებებზე ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, ყველა პოლიტიკური პარტიისა და მიმდინარეობის წარმომადგენლები, შეიკრიბნენ საჯაროდ, არა ჟანდარმერიისა და ოხრანკისგან მალულად, არამედ საქვეყნოდ დაიწყეს მსჯელობა საქართველოს ბელზე³.

საქართველოს პირველი ინტერპარტიული კრება 1917 წლის აპრილის დამდეგს გაიმართა. კრებას ოქმი არ უწარმოებია, ამიტომ ბევრი დეტალი ჩვენთვის უცნობი რჩება. მეორე კრების ოქმიდან დგინდება, რომ პირველ კრებას თავმჯდომარეობდა **აკაკი ჩხენკელი**. კრებაზე დამსწრეთა პერსონალური შემადგენლობა ცნობილი არ არის. ცნობილია მხოლოდ, რომ პირველ კრებას დაესწრნენ სოციალ-დემოკრატთა, სოციალისტ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატთა წარმომადგენლები. საქართველოს პირველმა ინტერპარტიულმა კრებამ საფუძველი ჩაუყარა შეთანხმებას საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შორის.⁴ მეორე კრების ოქმიდან ასევე დგინდება, თუ რა საკითხებზე იმსჯელა პირველმა კრებამ. უმთავრესი იყო **„ეროვნულ საკითხში შეთანხმება“**. ეროვნული საკითხი ორად იქნა გაყოფილი: ა) საქართველოს ტერიტორია, ბ) ეროვნული სეიმის კომპეტენცია. პირველ საკითხზე – საქართველოს ტერიტორია – მსჯელობა პირველსავე კრებაზე დასრულდა. მეორე საკითხი – ეროვნული სეიმის კომპეტენცია – მეორე კრებისათვის გადაიდო.⁵

საქართველოს პირველ ინტერპარტიულ კრებაზე საქართველოს ტერიტორიის შესახებ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები ძირითადად შეთანხმდნენ – ზოგადად მოიხაზა საქართველოს საზღვრები, თუმცა მისი ყველა ნაწილი ჩამოთვლილი და განსაზღვრული არ ყოფილა. საქართველოს ტერიტორია პირობითად ორ ნაწილად გაიყო: **უდაო** და **სადაო** ტერიტორიად. უდაო ტერიტორიად მიჩნეული იქნა ის ტერიტორია, **„სადაც ქართველობა უმრავლესობას შეადგენს, ქართველთა რეალური მოსახლეობაა“**. სადაო ტერიტორია კრებამ ასე განსაზღვრა: **„სადაო ტერიტორია – პერიფერიებია, განაპირა რაიონებია, სადაც უმრავლესობას ქართველობა არ შეადგენს, ან ხალხის სურვილი არ ვიცით, საით მოისურვებს წასვლას“**. კრებამ აზრი გამოთქვა საქართველოს სადაო ტერიტორიის

² ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბილისი, 2011, გვ.20.

³ აპოლონ სილაგამე, ვახტანგ გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918. თბილისი, 1998. გვ. 17-18

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცელი 1.

⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცლები 1-2.

კუთვნილების საკითხის გარკვევის თაობაზე: „ამნაირად სადაო ტერიტორიის ბედი საბოლოოდ გადაჭრილი არაა. ამ ტერიტორიის საზღვრებში საქმე უნდა გადაწყდეს ადგილობრივი ხალხის შეკითხვით და რეფერენდუმით“.⁶ ქალაქ თბილისის შესახებ ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი შეთანხმდა: „ქალაქი თბილისი უდაო ტერიტორიის საზღვრებშია შეტანილი“.⁷

საქართველოს პირველი ინტერპარტიული კრების მიერ საქართველოს ტერიტორიის საკითხის დასმა, ანუ საქართველოს საზღვრების მოხაზვის ცდა, შემთხვევითი არ ყოფილა. საქართველოს საზღვრების დადგენა ყველა შემთხვევაში აუცილებელი იყო. თუ საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას დააპირებდა, წინასწარ უნდა ყოფილიყო დადგენილი მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზღვრები, წინასწარ უნდა განსაზღვრულიყო ის ტერიტორია, რომლის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებასაც აპირებდნენ. საქართველოს საზღვრების დადგენა აუცილებელი იყო იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველო რუსეთში ფედერაციული ან ავტონომიური ერთეულის სახით დარჩებოდა. მაგრამ რა პრინციპები უნდა დასდებოდა საფუძვლად საქართველოს ისტორიული ტერიტორიის განსაზღვრას? საქართველოს პირველმა ინტერპარტიულმა კრებამ სერიოზული პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც საქართველოს ე.წ. სადაო ტერიტორიის საქართველოს შემადგენლობაში შესვლა-არშესვლის საკითხის გადასაწყვეტად რეფერენდუმის გზა აირჩია. საერთოდ, შეცდომა იყო საქართველოს ტერიტორიის ორ ნაწილად – უდაო და სადაო ტერიტორიად გაყოფა. საქართველოს – ანუ ქვეყნის, რომელსაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა, საზღვრების დადგენისას საქართველოს პირველ ინტერპარტიულ კრებას ისტორიული პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა. კრებას საქართველოს საზღვრებად უნდა მიეჩნია ის საზღვრები, რომლებიც არსებობდა სამეფო-სამთავროებად დაშლამდე – XV საუკუნის მეორე ნახევრამდე. რა თქმა უნდა, ამ პრინციპის დაცვას თავისი სირთულეები ჰქონდა, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში ასამოქმედებელი იყო. არსებობდა საქართველოს საზღვრების დადგენის მეორე პრინციპიც – საფუძვლად რუსული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიღება: საქართველოს ტერიტორიად უნდა ჩათვლილიყო ის ტერიტორია, რომელიც რუსეთის იმპერიაში შედიოდა თბილისის გუბერნიებისა და მისდამი დაქვემდებარებული ზაქათალის ოკრუგის, ქუთაისის გუბერნიისა და მისდამი დაქვემდებარებული სოხუმის ოკრუგისა და ბათუმის ოლქის სახით, აგრეთვე ყარსის ოლქი, ყარსის, არტანისა და ოლთისის ოკრუგების სახით. ორივე შემთხვევაში საქართველო არცერთი სხვა ხალხის ინტერესებს არ შელახავდა – ქართველ ერს პრეტენზია მხოლოდ თავის ისტორიულ ტერიტორიაზე ექნებოდა. საწინააღმდეგოდ ამისა, საქართველოს პირველმა ინტერპარტიულმა კრებამ საქართველოს ტერიტორია, როგორც ითქვა, უდაო და სადაო ნაწილებად გაჰყო, რითაც არაქართველ მოსახლეობას სეპარატიზმისაკენ უბიძგებდა.⁸

საქართველოს მეორე ინტერპარტიული კრება გაიმართა 1917 წლის 16 აპრილს. კრებას დაესწრნენ: ეროვნულ-დემოკრატები: გიორგი გვაზავა, გიორგი ჟურული, დავით (დათა) ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაბიძე (ვეშაპელი) სპირიდონ კელია, ბ. ასათიანი; სოციალისტ-ფედერალისტები: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, იესე ბარათაშვილი, სიმონ მდივანი, სამსონ ფირცხალავა, სამსონ დადიანი, შალვა მესხიშვილი; სოციალ-დემოკრატები: აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, გიორგი (გოგიტა) ფალავა, გრიგოლ გიორგაძე, პავლე საყვარელიძე. კრებაზე აგრეთვე იმყოფებოდნენ მ. მაჩაბელი და ვ. თუმანიშვილი. საქართველოს მეორე ინტერპარტიულ კრებას თავმჯდომარეობდა აკაკი ჩხენკელი, მდივნობდა პავლე საყვარელიძე.⁹

⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცლები 2-3

⁷ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცელი 3.

⁸ აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918. თბილისი, 1998. გვ. 19-20

⁹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცელი 1.

როგორც აღნიშნეთ, საქართველოს მეორე ინტერპარტიულ კრებას უნდა განეხილა საკითხი – ეროვნული სეიმის კომპეტენცია. კრების განხილვისას აკაკი ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ეროვნული სეიმის კომპეტენციის საკითხი, კამათის ნაყოფიერების მიზნით, შეიძლებოდა სამ ქვესაკითხად გაყოფილიყო: ა) საქართველოს ტერიტორიული ერთეულის კომპეტენცია, ბ) საქართველოს ტერიტორიული ერთეულის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ტერიტორიულ ერთეულებთან, გ) საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორიული ერთეულების დამოკიდებულება სრულიად რუსეთის ცენტრთან. აკაკი ჩხენკელმა ასევე განაცხადა, რომ კრება კვლავ უნდა დაბრუნებოდა საქართველოს ტერიტორიის საკითხს საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად.¹⁰

ეროვნული სეიმის კომპეტენციის საკითხის განხილვა დაიწყო გიორგი გვაზავას გამოსვლით, რომელმაც თავისი შეხედულება ასე ჩამოაყალიბა: „საქართველოს ტერიტორიალურ ერთეულს უფლებათა მინიმუმი მაინც უნდა მიენიჭოს. საერთო ზოგად სახელმწიფოური საქმეები რუსეთის ცენტრის ხელში იქმნება, დანარჩენი გადაეცემა ადგილობრივ ერთეულს. შინაური პოლიტიკური კითხვები საქართველომ თვითონ უნდა გადაწყვიტოს. ამგვარი წყობილების მაგალითები ბევრია, თუ გინდა ავიღოთ შვეიცარია, ან ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები. განსაზღვრა საერთო ან კერძო კითხვების დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ყოველივე ეს ჩამოთვლილია ავტონომიური ქვეყნების კონსტიტუციებში“.¹¹ შალვა მესხიშვილმა და ნოე რამიშვილმა სთხოვეს გამომსვლელს ჩამოეყალიბებინა ეროვნულ-დემოკრატიების პოზიცია ეროვნული სეიმის კომპეტენციასთან დაკავშირებით. გიორგი გვაზავამ ეროვნულ-დემოკრატიების შეხედულება ეროვნული სეიმის კომპეტენციასთან დაკავშირებით შემდეგნაირად წარმოადგინა: “თუ რუსეთი ფედერატიული იქნება, ცენტრის ხელში დარჩება საყოველთაო საქმეები. ასეთია ჯარი, ფლოტი, საერთაშორისო პოლიტიკა, საბაჟო გადასახადი, სახელმწიფო ბიუჯეტი, ზოგიერთი რკინის გზა, ტელეგრაფი, ფოსტა, ზოგი ტელეფონი, სავაჭრო პოლიტიკა, სამოქალაქო და სისხლის სამართლიდან ზოგიერთი საზოგადო კანონები, მაგალითად, შესახებ ვექსილისა, ბანკისა, ღალატისა და სხვა. სამოსამართლო პროცესის შემუშავება ცენტრს ექნება დავალებული. აგრეთვე ცენტრმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეობრივი თავისუფლება. ავტონომიას ნება ექმნება მხოლოდ გააფართოვოს ეს თავისუფლება. იქ, ცენტრში უფლებათა მინიმუმი იქნება აღნიშნული, აქ, ავტონომიაში – მაქსიმუმი. ფული, წონა, ზომა ცენტრის ხელშია. დანარჩენი საქმეები და მათ შორის კანონმდებლობა ავტონომიურ ერთეულებში წყდება, გარანტია – ფედერაციაა. თუ უნიტარული რესპუბლიკა განხორციელდა, მაშინ საქართველო 1783 წ. ხელშეკრულების ნიადაგზე უნდა დადგეს. ბრძოლა წმინდა უფლებრივ ხასიათს ღებულობს. ავტონომია ამ შემთხვევაში უფრო ვრცელი და ფართე შინაარსის უნდა იყოს, მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაციის თვალთ თუ განვიხილავთ კითხვას, ადგილობრივ ავტონომიას შეიძლება ეყოლოს საკუთარი პრეზიდენტი. მთელი რუსეთის რესპუბლიკას ეყოლება საერთო პრეზიდენტი, რასაკვირველია [...]. კანონმდებლობა საერთოა და ადგილობრივი. ადგილობრივ კანონებს ადასტურებს ცენტრის წარმომადგენელი [...]. რაც შეეხება სამოსამართლო დეცენტრალიზაციას, ყოველი საქმე აქ უნდა თავდებოდეს. მომრიგებელი მოსამართლე აირჩევა. იქმნება მომრიგებელ მოსამართლეთა კრება, საოლქო სასამართლო და პალატა. სენატი აქ უნდა იყოს“.¹²

ეროვნულ-დემოკრატიების პოზიციის მიმართ შენიშვნა გამოთქვა გრიგოლ რცხილაძემ: „შეუძლებელია კითხვის ისე დასმა, როგორც ამას გვაზავა შვრება. ერთი განსაზღვრული დადებითი მოთხოვნა უნდა შევიმუშაოთ და არა ორი, ორ სხვადასხვა მოსალოდნელ წყობილებისთვის – ან ფედერაცია, ან უნიტარიზმი“.¹³

¹⁰ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცლები 3-4.

¹¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცელი 4.

¹² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცლები 5-6.

¹³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცელი 6.

სოციალ-დემოკრატების შეხედულება წარმოადგინა ნოე რამიშვილმა: „ვერ გამოვიცა, რათ ელიან ნაკლებს ფედერატიულ წყობილების დროს, ან რატომ მოვიტხოვთ მეტი უნიტარული რესპუბლიკის დროს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რუსეთი ფედერაციამდე არ მივა. ეს იქნებოდა ეკონომიურად უკან დამხევი და პოლიტიკურად შეუძლებელი. ჩვენს კითხვას სამი რამ ახასიათებს: სასამართლო, მართვა-გამგეობა და კანონმდებლობა. სასამართლო ადგილობრივია, მოსამართლენი არჩეული და არა დანიშნული. საქმის წარმოება ქართულ ენაზე იქნება, რაღა თქმა უნდა. როგორც პრინციპი კი უნდა იყოს ბრალდებულის ენის ხმარება, როგორც ეს განვითარებულ დემოკრატიებშია. მართვა-გამგეობა ადგილობრივ პირების ხელშია. არის სასოფლო თვითმმართველობა, სამაზრო და კანტონური გამგეობა. ცენტრი ანხორციელებს კანონებს ადგილობრივი პირების საშველებით. უმთავრესია კანონმდებლობა. ეროვნულ-დემოკრატებმა წინათ სთქვეს: ცენტრს მხოლოდ ჯარის, ფლოტის და სხვ. საქმე უნდა ეკითხებოდესო. ჩვენ ვამბობთ: ცენტრის ხელში უნდა იყოს უმთავრესი კანონების გამოცემა, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, სოციალური კანონმდებლობა, სავაჭრო პოლიტიკა და სხვ. ფედერაცია რუსეთში, როგორც ვთქვით, არ მოეწყობა. ფედერაცია, სადაც არის, იქაც იზღუდება. იქნება ფართო დეცენტრალიზაცია. თვით ფინლანდიაში ისმება კითხვა სავაჭრო და საბაჟო კედლების მოსპობის შესახებ. საქართველო სამეურნეო ქვეყანაა. ეს არ იქნება სახელმწიფო, როგორც ფინლანდია. ეს იქნება ფართო ადგილობრივი ეროვნული თვითმმართველობა. ჩვენ აქ სხვა ერებთან შეუთანხმებლად ვერ ვიმოქმედებთ. მეზობლებთან დამოკიდებულებას განსაზღვრული ფორმა უნდა მიეცეს. ამიერ-კავკასიის სიემი აუცილებლად საჭირო იქნება. ზოგიერთი კითხვები (გზა, არხი და სხვ.) ერთად გადასაწყვეტი ექნებათ აქაურ ერებს. სიემი უთუოდ საჭიროა, თუნდაც მისი სესიები შეზღუდული და ხანმოკლე იყოს. კულტურული კითხვები ნაციონალური ერთეულის ხელში გადავა ერთიანად“.¹⁴

შალვა მესხიშვილმა ნოე რამიშვილს დაუსვა შეკითხვა: „როგორ დგება ამიერ-კავკასიის სიემი?“ ნოე რამიშვილის პასუხი ასეთი იყო: „ამიერ-კავკასია ცხადდება ერთ მთლიან ერთეულად. მას ექნება თავისი პარლამენტი, ანუ სიემი საზოგადო დემოკრატიული წესით არჩეული. ასეთი სიემი შეიძლება, ის აუცილებელია ერების შეთანხმებისათვის.“¹⁵ გრიგოლ რცხილაძემ სამი შეკითხვა დასვა: „საკასაციო სასამართლო სად იარსებებს? მართვა-გამგეობის საკითხებს ადგილობრივად წყვეტენ თუ არა? რა კითხვებში იქნება კანონმდებლობის უფლება ქართულ ტერიტორიარულ ერთეულს?“ **ნოე რამიშვილმა** პასუხს ნაწილობრივ თავი აარიდა და განაცხადა: „ამ კითხვების დეტალურად გამორკვევა აქ შეუძლებელია. საკასაციო საქმეები ზოგი ცენტრში გაირჩევა, ზოგი ადგილობრივ. აქ მისაღებია უფრო შერეული სისტემა. უმთავრესად კი სამოსამართლო საქმეები აქვე გაირჩევა. მართვა-გამგეობა იქნება, როგორც სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში. კავშირი უნდა დარჩეს ცენტრთან. დაწვრილებით თუ რა სახეს მიიღებს ეს ურთიერთობა, ახლა ძნელი სათქმელია. ადგილობრივ ერთეულის კომპეტენციაში არ შევა ომი, ზავი, სამოქალაქო და სისხლის სამართალი, მუშათა კანონმდებლობა, სავაჭრო პოლიტიკა და სხვა“.¹⁶ **გრიგოლ ვეშაპელმა** დასვა კითხვა, რომელიც სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონებს შეეხებოდა, მაგრამ კრების დადგენილებით კამათი შეწყდა.¹⁷ როგორც ოქმიდან ირკვევა, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრება საქართველოს ტერიტორიის საკითხს აღარ დაბრუნებია.

ამრიგად, საქართველოს ინტერპარტიულ კრებებზე (1917 წლის აპრილი) საქართველოს **სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა**. ეროვნულ-დემოკრატების

¹⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცლები 6-7.

¹⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცელი 7.

¹⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცლები 7-8.

¹⁷ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 6, ფურცელი 8.

აზრით, თუ რუსეთი ფედერაციული სახელმწიფო იქნებოდა, საქართველოს უნდა მიეღო ფედერაციული ერთეულის სტატუსი; თუ რუსეთი უნიტარული რესპუბლიკა იქნებოდა, საქართველოს უნდა მოეთხოვა ფართო ეროვნული ავტონომია საკუთარი პრეზიდენტით. სოციალ-დემოკრატები უარყოფდნენ როგორც ფედერაციის, ისე ავტონომიის იდეას და მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს უნდა ჰქონოდა ფართო ადგილობრივი ეროვნული თვითმმართველობა, მაგრამ არა უშუალოდ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, არამედ ამიერკავკასიის ტერიტორიული ერთეულის შემადგენლობაში, რომელიც თავისთავად რუსეთის სახელმწიფოს ნაწილი იქნებოდა.

საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრებები პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებით შეიკრიბა. იგი ქართველი ერის მიერ არ ყოფილა არჩეული და, ამდენად იურიდიულად უფლება არ ჰქონდა ერის სახელით გამოსულიყო. იგივე ითქმის საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოზეც. ვითარების თავისებურებას კარგად გრძობდნენ ინტერპარტიული საბჭო და მისი თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი. გარდა ამისა, აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, რომელიც უაღრესად რთული იყო. ყოველივე ეს აუცილებელს ხდიდა ისეთი უფლებამოსილი ორგანოს შექმნას, რომელიც ქართველი ერის სახელით იმოქმედებდა. ასე ჩაისახა **საქართველოს ეროვნული ყრილობის** მოწვევის იდეა.

საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში იყო აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს ეროვნული ყრილობის დელეგატები აერჩიათ ინტერპარტიული საბჭოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო კანონის საფუძველზე. ამ შემთხვევაში ეროვნული ყრილობა სავსებით უფლებამოსილი იქნებოდა ყოფილიყო ქართველი ერის ბედის გამგებელი, როგორც დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული ორგანო, მაგრამ, სხვადასხვა მოსაზრებათა გამო, ინტერპარტიულ საბჭოს საარჩევნო კანონი აღარ მიუღია და საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა თავს იდო უშუალოდ ინტერპარტიულმა საბჭომ¹⁸.

1917 წლის ზაფხულის ბოლოდან ეროვნული ყრილობის მოწვევისათვის მზადება დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა. ნოე ჟორდანიას, რომელიც ინტერპარტიული საბჭოს მუშაობაში აქტიურად არ მონაწილეობდა, პოლიტიკურ პარტიათა თხოვნით სათავეში ჩაუდგა ყრილობის მოწვევის საქმეს. მანვე შეიმუშავა ყრილობის დელეგატთა არჩევის წესი, განსაზღვრა კვოტების დადგენის კრიტერიუმები და ა.შ. ინტერპარტიულ საბჭოში შეთანხმდნენ, რომ საქართველოს ეროვნული ყრილობა აირჩევდა **ეროვნულ საბჭოს**, რომელიც შეიმუშავებდა საარჩევნო კანონს **საქართველოს დამფუძნებელი კრებისათვის**. ქართველი ერის წინაშე მდგარი ყველა მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ **დამფუძნებელ კრებას** უნდა გადაეწყვიტა. დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეას თავგამოდებით იცავდა აკაკი ჩხენკელი, რაც შეეხება ნოე ჟორდანიას, იგი დამფუძნებელი კრების მოწვევის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ თვლიდა, რომ ამ იდეის საჯაროდ პროპაგანდა ჯერჯერობით არ იყო მიზანშეწონილი¹⁹.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის გახსნის წინა ხანებში პოლიტიკური ვითარება რუსეთში კარდინალურად შეიცვალა, რამაც საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა ქართველი პოლიტიკოსები. 1917 წელს 25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშევიკებმა განახორციელეს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება და დაამხეს კანონიერი დროებითი მთავრობა. საქართველოს სამივე გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალამ: სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა – არ სცნო საბჭოთა რუსეთის მთავრობა.

¹⁸ აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918. თბილისი, 1998. გვ. 24

¹⁹ აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918. თბილისი, 1998. გვ. 24-25

ბოლშევიკური რეჟიმი, ასევე არ სცნეს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრმა. განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა არ სცნო არც რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭომ და არც კავკასიის არმიის სარდლობამ. რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად უფლებამოსილება დაკარგა მის მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის სამხრეთ ხელისუფლების ორგანომ – ოზაკომმა.

ამავე დროს ცხადი იყო ყველასთვის, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა შეეცდებოდა თავისი ძალაუფლება გაეგრძელებინა ამიერკავკასიაზეც. ამ პირობებში, ქართველი სოციალ-დემოკრატების ინიციატივით, ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა დაასწრეს საბჭოთა რუსეთს – 1917 წლის 15 ნოემბრიდან თბილისში ფუნქციონირება დაიწყო სამხარეო ხელისუფლების ორგანომ – **ამიერკავკასიის კომისარიატმა**. ამიერკავკასიის კომისარიატი შემდეგი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას:

ე. გეგეჭკორი – ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, შრომისა და საგარეო ურთიერთობათა სამინისტროების კომისარი; **აკ. ჩხენკელი** – შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარი; **დ. ღონსკოი** – სამხედრო და საზღვაო სამინისტროების კომისარი; **ხ. კარჩიკიანი** – ფინანსთა სამინისტროს კომისარი; **შ. ალექსიშვილი – მესხიშვილი** – სახალხო განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების კომისარი; **მ. ჯაფაროვი** – ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს კომისარი; **ხ. მელიქ-ასლანოვი** – გზათა სამინისტროს კომისარი; **ა. ნურუჩევი** – მიწათმოქმედების სამინისტროს კომისარი; **გ. ტერ-გაზარიანი** – სურსათის საქმეთა სამინისტროს კომისარი; **ა. ოვანჯანიანი** – მზრუნველობის სამინისტროს კომისარი; **ხ.ბ. ხას-მაძელოვი** – სახელმწიფო კონტროლის კომისარი²⁰.

ამიერკავკასიის კომისარიატის იდეა პოლიტიკურად სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო – ხელისუფლების ახალი სამხარეო ორგანოს შექმნით ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს. ამავე დროს გამოცხადდა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი ხელისუფლების სამხარეო ორგანოს როლში გამოვიდოდა რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე; ე. ი. ხაზი გაესვა იმას, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცხადდებოდა. შექმნილ ვითარებაში ესეც სწორი გადაწყვეტილება იყო, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში რუსეთის კავკასიის არმია ფრონტის ხაზიდან მოიხსნებოდა. უკეთეს შემთხვევაში არმია ამიერკავკასიას დატოვებდა, რაც ხელ-ფეხს გაუხსნიდა ოსმალეთის აგრესიულ მისწრაფებებს. უარეს შემთხვევაში კი რუსეთთა არმია თავად მოახდენდა ამიერკავკასიის ოკუპაციას. მოვლენათა განვითარების ორივე მოსალოდნელი ვარიანტი ხელს აძლევდა საბჭოთა რუსეთს – ამიერკავკასიის ხალხების (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის დიდი ხნით შეფერხდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ორიენტირება საკმაოდ ძნელი იყო. ქართველი პოლიტიკოსები, ისევე როგორც ბევრი ცნობილი მოღვაწე მთელ მსოფლიოში, ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა წყობილება რუსეთში მალე დაემხობოდა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეული რუსეთის დამფუძნებელი კრება, როგორც რუსი ხალხის ნების გამომხატველი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, თავის ხელში აიღებდა ძალაუფლებას და რუსეთის დემოკრატიზაციის გზით განვითარდებოდა. სწორედ ამიტომ არ გადაზრდილა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ანტიბოლშევიკური და ანტისაბჭოთა განწყობილება ანტირუსულ განწყობილებაში. ამ ნიშნით ჩაიარა საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ (1917 წლის 19-23 ნოემბერი).

²⁰ Документы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 7-8.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში. ყრილობას ესწრებოდა 324 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 19 დელეგატი სათათბირო ხმით. 324 დელეგატიდან პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელი იყო 67 დელეგატი, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსი – 15, ქალაქების თვითმმართველობების – 33, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების – 89, ქართული ჯარის – 20, კოოპერატივების – 8, მასწავლებელთა კავშირის – 9, ქართული პრესის – 9, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების – 35, ვაჭარ-მრეწველთა და ბანკების – 26, თავადაზნაურობის – 20, სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ქართული საზოგადოებების – 6, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსი – 1, სხვადასხვა დაწესებულებათა – 8, ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ კათოლიკეთა – 7, საქართველოში მცხოვრები ებრაელების – 3, აფხაზებისა – 2. ყრილობას დაესწრო საქართველოს კათოლიკოსი კირიონ II, უცხო სახელმწიფოთა და მეზობელი ერების წარმომადგენლები, ამიერკავკასიის კომისარიატი სრული შემადგენლობით, რუსეთის კავკასიის არმიის მთავარსარდალი გენერალი პრეჟვალსკი და სხვები.²¹

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა ინტერპარტიული საბჭოს სახელით გახსნა **აკაკი ჩხენკელმა**. ყრილობის თავმჯდომარედ არჩეული იყო **ნოე ჟორდანი**. 20 ნოემბერს ყრილობაზე ინტერპარტიული საბჭოს დავალებით მოხსენება გააკეთა ნოე ჟორდანიამ. მოხსენების თემა იყო - „**დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა**“. მოხსენების შემდეგ ყრილობას უნდა მიეღო რეზოლუცია. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის რეზოლუცია დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნებოდა, ამიტომაც რეზოლუციის პროექტის შემუშავების მიზნით ყრილობამ შექმნა **ეროვნულ-პოლიტიკური სექცია**. ეროვნულ-პოლიტიკურ სექციაში შევიდნენ: **სოციალ-დემოკრატები**: ნოე ჟორდანი, გრიგოლ გიორგაძე, ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელი, გრიგოლ ურატაძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, მიხეილ კლიმიაშვილი, გიორგი (გოგიტა) ფალავა, დავით ონიაშვილი; **სოციალისტ-ფედერალისტები**: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, გრიგოლ გველესიანი, იასონ ბაქრაძე, იაკობ ფანცხავა, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი უზნაძე, აკაკი ფალავა, **სოციალ-დემოკრატი ალიონერები**: პავლე საყვარელიძე, დავით სულიაშვილი, ლეო შენგელია, ნიკოლოზ ქარცივაძე; **სოციალისტ-რევოლუციონერები**: ივანე გობერია, იოსებ გობერია, პარმენ საბაშვილი. **ეროვნულ-დემოკრატები**: გიორგი გვაზავა, გრიგოლ კეშაპელი, ვასილ წერეთელი, ირაკლი ამირეჯიბი, ტიცინ ტაბიძე, ლევან ჯაფარიძე, დავით გურამიშვილი, შალვა ამირეჯიბი. სექციის თავმჯდომარედ ყრილობის მიერ არჩეული იქნა **ივანე გობერია**, მდივანად – **აკაკი ფალავა**.

ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სხდომა დაიწყო იმით, რომ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა მის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი:

„ქართული ეროვნული ყრილობა, მოისმინა რა მოხსენება ნ. ჟორდანიასი შესახებ დღევანდელი მომენტისა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობისა, ადგენს:

1. ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

2. ქართველ დემოკრატებმა დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სვებედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატისა და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს.

3. რუსეთის შუაგულში გაჩაღებული სამოქალაქო ომის მეოხებით დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალური რევოლუციური მთავრობა, ცნობილი მთელი რევოლუციური რუსეთის მიერ. ამ გარემოებამ აიძულა ყველა განაპირა ქვეყნები და მათ შორის ამიერ-კავკასიაც თავისი შინაური თავისივე ძალ-ღონით მოაგვარონ და შესაფერისი დაწესებულებანი შექმნან.

²¹ გრიგოლ ურატაძე. საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921. პარიზი, 1939, გვ. 89-90.

4. ყრილობა მხარს უჭერს ამიერ-კავკასიის ახლად შემდგარ მმართველობის დროებით ორგანოს „ამიერ-კავკასიის კომისარიატს“.

5. ადგილობრივი მიმდინარე კითხვების სათანადო გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება აუცილებლად ხდის ამიერ-კავკასიის წარმომადგენელთა კრების მოწვევას იმ დეპუტატებისგან, რომელშიც ახლად ირჩევიან რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის. რიცხვი დეპუტატებისა უნდა იქმნას გამრავლებული თანახმად პროპორციულად მიღებული ხმებისა სხვადასხვა პარტიების მიერ.

6. ყრილობა საჭიროდ სცნობს ამიერ-კავკასიის სეიმში შესდგეს ქართველი დეპუტატებისგან ქართული ეროვნული საბჭო ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევათ, გასადლოლათ და ცხოვრებაში გასატარებლათ.

7. ყველა ამ ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არა კმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. განსაკუთრებით საჭიროებანი კავკასიის ფრონტის შენახვისა, კითხვა ომისა და ზავისა, სასურსათო, ფინანსებისა და სხ. ჩვენი ძირითადი ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნას რუსეთის რევოლუციური მთავრობა (რუსეთის დროებითი მთავრობა – ვ.გ.) და მოწვეული დამფუძნებელი კრება.

8. რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჩვენ მოვთხოვთ შექმნას ისეთი ნაციონალური ნორმებისა ქართველი ერისათვის, რომელიც მას მისცემს საშვალებას თავისუფალ კულტურული განვითარებისას. ასეთ ნორმად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე. ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯნებიან დაინტერესებულ მოსაზღვრე ერების თანხმობით. საქართველოში მომწვედელი ნაციონალური უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურული განვითარებისას. ყრილობა საჭიროთ აღიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერ-კავკასიის ერთა შორის საერთო ნაციონალური პლატფორმით დამფუძნებელ კრების წინაშე წარსადგომათ.

9. თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდება და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდება, უნდა იქმნას მოწვეული ადგილობრივი კრებები, რომლებიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წესწყობილებას, როგორც თვითოეულ ეროვნულ ტერიტორიულ ერთეულში, ისე მთელ ამიერკავკასიაში.

10. საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე ზრუნვა და მისი მოწვევა ევალება ეროვნულ საბჭოს“.²²

რეზოლუციის პროექტი, შემუშავებული ნოე ჟორდანიას მიერ, **პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის** აშკარა გამოხატულებას წარმოადგენდა. ამავე დროს იგი ცხადად მიანიშნებდა იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთთან საქართველოს არანაირი კავშირის დაჭერა არ სურდა, სხვა სიტყვებით – პოლიტიკური ორიენტაცია აღებული იყო დემოკრატიულ რუსეთზე (“რუსეთის რევოლუციურ მთავრობაზე”). რეზოლუციის პროექტში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ რუსეთში დემოკრატიული წყობილების დამყარების შემთხვევაში, ანუ საბჭოთა წყობილების დამხობის შემთხვევაში, საქართველო რჩებოდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემდეგი პირობით – „**საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე**“, ე. ი. ავტონომიური ერთეულის სახით. მართალია ნოე ჟორდანიას პროექტში არაფერი ყოფილა ნათქვამი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე, მაგრამ რუსეთში დემოკრატიული წყობილების აღდგენის დაგვიანების შემთხვევაში, ანუ საბჭოთა წყობილების შენარჩუნების შემთხვევაში, საქართველოს დამფუძნებელი კრების

²² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 20.

მოწვევის მოთხოვნა მაინც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისკენ მისწრაფებად უნდა მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ქვეტექსტის ამოკითხვა შეიძლება.

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის აშკარა რუსოფილური პოლიტიკური განწყობა, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდათ ეროვნულ-დემოკრატებს. რეზოლუციის პროექტის განხილვისას პირველი სიტყვა აიღო **გიორგი გვაზავამ**. სიტყვის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ გიორგი გვაზავასთვის მიუღებელი იყო სწორედ პრორუსული ორიენტაცია: „ზოგიერთი მუხლი პროექტისა მეხამუშება. უმჯობესია პირველი და მეორე მუხლი გაკვრით იყოს გამოთქმული“.²³ გიორგი გვაზავას გამოსვლის შემდეგ გრიგოლ რცხილაძის წინადადებით დაიწყო რეზოლუციის პროექტის მუხლობრივი განხილვა. ნოე ჟორდანიამ ხელახლა წაიკითხა პირველი მუხლი და განმარტა, რატომ იყო ასე ცხადად გამოხატული პრორუსული კურსი: „დღეს ობიექტური პირობები, გარდა პრინციპიალური მოსაზრებისა, ისეთია, რომ ჩვენ ცხადად უნდა ვაღიაროთ რუსული ორიენტაცია. უმთავრესად ყურადსაღებია აქ ის გარემოება, რომ ჩვენს ფრონტზე სდგას ამდენი ჯარი, რომელიც თუ ჩვენ სხვა გზას დავადექით, უკეთეს შემთხვევაში ხელს აიღებს ფრონტის დაცვაზე“.²⁴ შემდეგ ნოე ჟორდანიამ წაიკითხა რეზოლუციის პროექტის მეორე მუხლი. რუსული ორიენტაცია მიუღებლად მიიჩნია გრიგოლ ვეშაპელმაც: „რეზოლუციებში ვილაპარაკოთ ისეთ რამეებზე, რაც ყველს გვაერთებს, ფრონტისთვის ჩვენს რეზოლუციას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს. წმინდა რუსული ორიენტაცია შეგვზღუდავს, რადგანაც ჩვენის ყრილობის რეზოლუცია მარტო შინ და ფრონტზე არ გაიტანება; ამას გარეშენიც გაიგებენ და თუ ჩვენ იძულებული შევიქნებით ორიენტაცია შევცვალოთ მომავალში, მაშინ ასეთი რეზოლუცია გვავენებს“.²⁵ პირველი მუხლის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა გრიგოლ რცხილაძემაც: „ავტორის რედაქციით პირველი მუხლი მიუღებელია, ფრონტი იფიქრებს ამათ გამარჯვება უნდათო. ეს რეზოლუცია იწერება არა ფრონტისთვის და საგარეო სახელმწიფოებისთვის, არამედ ქართველი ხალხისათვის. ჯერ ჩვენი საჭიროებანი უნდა ვაღიაროთ და მერე ვსთქვათ ვისი დახმარებით გავანაღდებთ მას“.²⁶

კენჭისყრის შედეგად პირველი მუხლი უარყოფილი იქნა, მეორე კამათის გარეშე მიიღეს. მცირე კამათის შემდეგ მიიღეს მესამე მუხლიც.²⁷ მაგრამ კამათი პირველი მუხლის შესახებ მაინც გაგრძელდა. **გიორგი გვაზავამ** განაცხადა: „საჭიროა შეთანხმება, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ისეთი რეზოლუცია უნდა მივიღოთ, რაც გამომდინარეობს ჟორდანიას მოხსენებიდან, რომელიც ჩვენ მოვიწონეთ. თუ დეკლარაციები წავიკითხეთ, ჩვენ ავირევით, რადგანაც შემდეგმა ორატორებმა შეიძლება წინა ორატორები გააკრიტიკონ და მაშინ დაუსრულებელი კამათი უნდა გაიმართოს. 1 პუნქტი (ორიენტაციისა) უნდა მოიხსნას, როგორც არა გამომდინარე მოხსენებიდან. 2 და 3, როგორც გამომდინარე მოხსენებიდან და მომენტისა და ძალთა განწყობილების შესაფერი უნდა დარჩეს“.²⁸ სოციალ-დემოკრატები კვალავ იცავდნენ რეზოლუციის პროექტის პირველ მუხლს. **გრიგოლ უროტაძემ** განაცხადა: „ტაქტიკა გვავალებს ორიენტაცია რუსეთისა ვაღიაროთ დღეს. ეს სრულებითაც არ შეგვიშლის ხელს ხვალ შეცვლილი პირობების გამო სხვა დავადინოთ“.²⁹ იგივე გაიმეორა **ვალიკო ჯუღელმა**: „პირველი მუხლი ჩვენ არ გვავალებს სამუდამოთ რუსეთის ორიენტაციას შევრჩეთ. 1 მუხლი გამომდინარეა მოხსენებიდან. თუ გვინდა საქმე გავაკეთოთ და დავაშოშმინოთ ადგილობრივი რუსული ელემენტები და პეტროგრადიც (სადაც კავკასიის

²³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 20.
²⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 21.
²⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 21.
²⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 21.
²⁷ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 21.
²⁸ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 22.
²⁹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 22.

გამოყოფაზე ლაპარაკობენ), ტაქტიკური მოსაზრებით დარჩეს მოტივაცია³⁰ სოციალ-დემოკრატების დაჟინებულ მოთხოვნებს **ირაკლი ამირეჯიბმა** ასე უპასუხა: “საჭიროა ზურგს უკან მოვიხელოთ. საქართველოს მთელი აღმოსავლეთი ბრალსა სდებდა კარების გაღებაში (იგულისხმება ქართველი მეფეების პრორუსული ორიენტაცია და რუსეთის დამკვიდრება ამიერკავკასიაში – ვ.გ.). უნდა ვიზრუნოთ, რომ ზარალმა არ გადააჭარბოს სარგებლობას”.³¹ რუსული ორიენტაციის წინააღმდეგ გამოსვლისას **გიორგი გვაზავამ** დამატებით აღნიშნა: „აქ რაღაც გაუგებრობაა. უწინ დასავლეთთან კავშირი თუ რუსეთის საშვალებით გვექონდა, დღეს შეგვიძლიან პირდაპირ, უშვამავლო დამოკიდებულება ვიქონიოთ დასავ. ევროპასთან. ამიტომ მხოლოდ რუსული ორიენტაცია ტაქტიკურად მიუღებელია. რა არის რუსეთი ამ მომენტში? რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ფინლიანდიაზე, უკრაინაზე, ყუბანზე, მთიულეთსა და ადერბეიჯანზე და სხვაზე. ჩვენ გვინდა კავშირი რუსეთის დემოკრატიათთან, მაგრამ რუსეთის ორიენტაცია სხვაგვარად იქნება გაგებელი. არ იქნება ეს სხვა ერებისთვის ბრძოლის გამოცხადება? ამიერ-კავკასიაში გარდა რუსეთისა ეხლებიან გერმანიის, საფრანგეთის, ოსმალეთის და სხვათა ინტერესები. სჯობს გაჩუმება. საკმარისია მე-2 მუხლი“.³² გიორგი გვაზავას დაუჭირა მხარი **შალვა ქარუმიძემ**: „უწინ რუსეთი ძლიერი იყო, დღეს იგი უსახოა. დღეს რუსეთში არა თუ არ არის, არც მოსჩანს ისეთი ძალები, რომლებმაც მოავარონ რაიმე. რუსეთის სალი ელემენტები სხვაგან, ევროპაში, ეძებენ ხსნას. თუ რუსეთის ორიენტაცია გვარგებს ფრონტთან, გვაზარალებს ამ ორიენტაციის მოწინააღმდეგე ხალხებთან. თუ აქ ოსმელეთი შემოვიდა ხომ ჯავრს ამოიყრის ჩვენზე ამის გულისთვის“.³³

საბოლოოდ ეროვნულ-პოლიტიკურმა სექციამ ხმების უმრავლესობით მაინც მიიღო ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის პირველი მუხლი. ამასთან, გადაწყდა პირველი და მეორე მუხლის გაერთიანება.³⁴

ამრიგად, ეროვნულ-პოლიტიკურმა სექციამ, ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგობის მიუხედავად, **პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია მართებულად მიიჩნია**. იგივე დაადასტურა საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამაც.

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის სხვა მუხლებს დიდი პოპულარობა არ გამოეწვევია. მერვე მუხლის განხილვისას სოციალისტ-ფედერალისტებმა მოითხოვეს – იქ, სადაც ნათქვამია: „ასეთ ნორმათ მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით“, დამატებოდა „ანუ ავტონომია“. ამ შესწორების წინააღმდეგ გამოვიდნენ **ვალეკო ჯუღელი, გრიგოლ უროტაძე** და სხვები. სამაგიეროდ, შესწორებას მხარი დაუჭირა ნოე ჟორდანიამ, მაგრამ შესწორება საბოლოოდ მაინც ვერ გავიდა.³⁵ მცირე შესწორებით მიიღეს რეზოლუციის დანარჩენი მუხლები.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ნოე ჟორდანიას მიერ წაკითხული მოხსენების: „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“, - შემდეგ მისაღები რეზოლუციის პროექტის განხილვამ ეროვნულ – პოლიტიკურ სექციაში ცხადად გვიჩვენა **ქართული პოლიტიკური ელიტის სიმწიფე, რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ორიენტაციის უნარი**.

რა თქმა უნდა, არც ეროვნულ-პოლიტიკურ სექციას და არც საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას არ შეეძლო აბსოლუტურად ყველა კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა, ობიექტურად არ შეიძლებოდა ყველაფრის ზუსტად გათვლა, ყველა პრობლემის ერთხელ და

³⁰ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 22.
³¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 22.
³² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 23.
³³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 23.
³⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 23.
³⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 29; ფურცელი 23.

სამუდამოდ გადაჭრა. ამკარაა, რომ ამას ქართველი პოლიტიკოსები კარგად გრძნობდნენ, ამიტომაც ძალზე ფრთხილობდნენ, იტოვებდნენ საშუალებას, ვითარების შეცვლის შემთხვევაში, ახალი პოლიტიკური კურსის შესამუშავებლად.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია **საქართველოს ეროვნული საბჭო**. ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობის (წევრები და კანდიდატები) პროექტი ნოე ჟორდანიამ შეადგინა, თუმცა პროექტმა შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა. საბოლოოდ, საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეული იქნა 66 წევრი და 61 კანდიდატი. 6 კაცი ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა სათათბირო ხმით. ეროვნული საბჭოს წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: **სოციალისტ-ფედერალისტები** – 10 კაცი (გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, შალვა მესხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი უზნაძე და სხვები.), **რადიკალ-დემოკრატები** 1 კაცი (დავით ჩიქოვანი), **სოციალისტ-რევოლუციონერები** – 7 კაცი (კონსტანტინე მესხი, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ნათაძე, იოსებ გობეჩია, ივანე გობეჩია და სხვები.), **ეროვნულ-დემოკრატები** – 9 კაცი (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი გვაზავა, სპირიდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი და სხვები.), **უპარტიონი** – 2 კაცი (კონსტანტინე აფხაზი, კონსტანტინე მაყაშვილი), **ალიონელები** – 4 კაცი (პავლე საყვარელიძე, ნიკოლოზ ქარცივაძე და სხვები.), **სოციალ-დემოკრატები** – 28 კაცი (ნოე ჟორდანი, აკაკი ჩხენკელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი და სხვები.). გარდა ამისა, ეროვნულ საბჭოში არჩეული იქნენ: **სამაჰმადიანო საქართველოს** (აჭარის წარმომადგენლები – 3 კაცი (მემედ-ბეგ აბაშიძე, ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი, რეჯებ-ბეგ ნიჟარაძე), **ზაქათალის ოლქის** (საინგილოს) წარმომადგენელი – 1 კაცი (რაფიელ ივანიცკი) და **სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი** – 1 კაცი (გიორგი გაგლოევი).³⁶

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა **ნოე ჟორდანი**. ნოე ჟორდანი იქნა არჩეული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედაც.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ისტორიამ დიდი და განსაკუთრებული მისიის აღსრულება დააკისრა. 1918 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სწორედ 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ (1917 წლის 19-24 ნოემბერი) განსაზღვრა ქართული ეროვნული მოძრაობის სტრატეგია და ტაქტიკა, აირჩია ხელმძღვანელი ორგანო - **საქართველოს ეროვნული საბჭო** (თავმჯდომარე **ნოე ჟორდანი**) და **ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი** (თავმჯდომარე **ნოე ჟორდანი**). ეროვნული ყრილობის მუშაობის პერიოდში ახალი გახდა, რომ საერთო მიზნის ერთიანობის მიუხედავად ტაქტიკის საკითხებში ქართულ პოლიტიკურ ელიტაში სერიოზული უთანხმოება არსებობდა.³⁷ ეროვნულ ყრილობაზე ეროვნულ-დემოკრატების ბრძოლა რუსული პოლიტიკური ორიენტაციის წინააღმდეგ პროდასავლური ორიენტაციისათვის ბრძოლას ნიშნავდა. პროდასავლური პოლიტიკური ორიენტაციის მომხრეებს პირდაპირ ცივი წყალი გადასხა ანტანტის (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) დიპლომატიების ვიზიტმა საქართველოში. 1917 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მიიღეს ანტანტის ქვეყნების დიპლომატიები, აგრეთვე გენერალი შორი. ქართველთა მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: **ნოე ჟორდანი**, **აკაკი ჩხენკელი**, **კონსტანტინე მესხი**, **ვლადიმერ გობეჩია**, **გრიგოლ ვეშაპელი**, **ნოე რამიშვილი**, **ალექსანდრე ლომთათიძე**, **პავლე საყვარელიძე**, **სილიბისტრო ჯიბლაძე**, **ნიკოლოზ ქარცივაძე**, **გიორგი გვაზავა**, **გრიგოლ რცხილაძე**, **ალექსანდრე ფარნიაშვილი**, **გიორგი ლასხიშვილი**, **ევგენი გეგეჭკორი**, **დავით ნახუცრიშვილი**. ანტანტის ელჩებმა პირდაპირ

³⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836; აღწერა 1; საქმე 124; ფურცლები 5-7.

³⁷ **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული**. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998, გვ. 14-33.

განაცხადეს: „ჩვენ ვცნობთ ერთს, მთლიანს რუსეთს და მის დროებითს მთავრობას, ცალკე ერებს კი - როგორც რუსეთის ნაწილებს, მით უმეტეს, რომ არც ქართველებს და არც სომხებს არა ჰყავთ თავიანთი საკუთარი მთავრობანი. ჩვენ ამიერკავკასიის კომისარიატი ვსცანით მთავრობათ და ურთიერთობაცა გვაქვს მასთან. ამიერკავკასია უნდა შეუთანხმდეს სამხრეთ-დასავლეთის კავშირს, სადაც შევლენ უკრაინაცა და ციმბირიც, მერე რუსეთი აღსდგება როგორც ფედერატიული ერთეული“³⁸ გარდა ამისა, ანტანტის დიპლომატები ქართველებისა და სომხებისაგან მოითხოვდნენ მობილიზაციის გამოცხადებას, არმიის შექმნას და ოსმალეთის მოსალოდნელი შეტევის შეჩერებას. ამასთან, იმიზეზებდნენ რა მიმდინარე მსოფლიო ომით შექმნილ სირთულეებს, ანტანტის დიპლომატები შეიარაღებითა და ჯარით დახმარებაზე უარს ამბობდნენ.³⁹ ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველო მოკავშირის გარეშე დარჩებოდა საბჭოთა რუსეთის ან ოსმალეთის აგრესიის შემთხვევაში. ამ ორ სახელმწიფოს რომ საქართველოს დაპყრობის მისწრაფება გააჩნდა, ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კარგად უწყობდნენ. ისიც ცნობილი იყო, რომ ჩანასახის პროცესში მყოფი ქართული რეგულარული ჯარი რუსეთის და ოსმალეთის აგრესიას წინ ვერ აღუდგებოდა.

სულ მალე მოვლენათა განვითარებამ არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რუსული ორიენტაციის დამცველები. 1918 წლის იანვრის დამდეგსა და შუა ხანებში საბჭოთა რუსეთმა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია სცადა კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი სამხედრო შენაერთების გამოყენებით. კავკასიის ფრონტიდან დაძრულ სამხედრო შენაერთებს, რომლებიც ვითომდა სამშობლოში (რუსეთში) ბრუნდებოდნენ, უნდა ეთხოვათ თბილისის გავლით რკინიგზით შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ (ფოთი, ბათუმი) გატარება. შემდეგ, როდესაც სამხედრო ეშელონები რკინიგზის მაგისტრალზე გავიდოდნენ, დაიწყებოდა შეიარაღებული გამოსვლა და რუსეთის ჯარის ხელში ერთბაშად აღმოჩნდებოდა თბილისი, ფოთი, ბათუმი, აგრეთვე სხვა ქალაქები და მთელი სარკინიგზო ხაზი თბილისიდან ფოთამდე და ბათუმამდე (სტეფანე შაუმიანის გეგმა). 1918 წლის იანვრის დამდეგს ბოლშევიკთა გავლენის ქვეშ მოქცეულმა, დემორალიზებულმა რუსულმა სამხედრო შენაერთებმა ფრონტის ხაზი დატოვეს და თბილისისკენ დაიძრნენ. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მანევრი ამოიცნო, სამხედრო ეშელონები თბილისში არ შეუშვა და სახელდახელოდ აგებული სარკინიგზო ხაზის მეშვეობით ბაქოსაკენ გაატარა. ზოგიერთმა სამხედრო შენაერთმა ძალით სცადა თბილისისკენ გაჭრა, მაგრამ ახლადშექმნილმა ქართულმა კორპუსმა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა მძიმე ბრძოლებში სადგურ შამქორთან და აღსტაფასთან სასტიკი მარცხი აწვინა რუსეთის არმიას და იძულებული გახდა ბაქოს მიმართულებით დაეხია. საბჭოთა რუსეთის გეგმები საქართველოს მიმართ სავსებით ცხადი გახდა. ქართულ პოლიტიკურ ელიტას ადრეც არ ეპარებოდა ეჭვი ბოლშევიკთა აგრესიულ, დიდმპყრობელურ მისწრაფებებში, მაგრამ 1918 წლის იანვრის ამბები მაინც ძალზე დამაფიქრებელი იყო.

1918 წლის იანვარში რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის, დემოკრატიული წყობილების მომლოდინე ქართველ პოლიტიკოსებს იმედი საბოლოოდ გაუცრუვდათ: 6 იანვარს ბოლშევიკებმა რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს. რუსეთის დემოკრატიულმა ძალებმა დიდი დარტყმა განიცადეს. ყველამ დაინახა, რომ ბოლშევიკები ძალაუფლების დათმობას არ აპირებდნენ, დიქტატურა რუსეთში ძალას იკრებდა, ტოტალიტარული რეჟიმი გადაჭრით დაუპირისპირდა განვითარების დემოკრატიულ ხაზს.

ახალი რეალობის, უკანასკნელი მოვლენების ანალიზის საფუძველზე ამიერკავკასიის კომისარიატმა ახალი პოლიტიკური კურსი შეიმუშავა. 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის

³⁸ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 14.

³⁹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 14-15.

კომისარიატმა მოიწვია **ამიერკავკასიის სეიმი**. ამიერკავკასიის სეიმი რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან შედგებოდა. სეიმის თავმჯდომარედ არჩეული იქნა **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე**. ამიერკავკასიის კომისარიატმა სეიმის მოწვევით ხაზი გაუსვა ამიერკავკასიის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისაგან, თუმცა იურიდიულად ეს ცოტა მოგვიანებით გაფორმდა.⁴⁰

მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის, გახრწნილი დემორალიზებული არმიის უძლურების პირობებში ვ. ლენინმა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი, ბულგარეთი) სეპარატიული ზავი დადო, რაც საბჭოთა წყობილებას გადარჩენის უკანასკნელ შანსს აძლევდა. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან დადებული სეპარატიული ზავის პირობებით, გერმანიის მოკავშირემ - ოსმალეთმა შეზღუდა რუსეთის ინტერესები. რუსეთის არმიას დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა ომის დროს ოკუპირებული ოსმალეთის ტერიტორია (აღმოსავლეთ ანატოლია). რაც შეეხება საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას (ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოკრუგებს) მის მოსახლეობას თვითონ უნდა გაერკვია სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხი მეზობელ სახელმწიფოებთან (ოსმალეთთან და რუსეთთან) შეთანხმებით, უპირატესად კი ოსმალეთთან შეთანხმებით.⁴¹

ამიერკავკასიის კომისარიატისათვის ბათუმის, ყარსისა და არტაანის (არტაანის) ოლქების სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხი არავის შეუთანხმებია, რადგან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არც რუსეთი, არც გერმანია და არც ოსმალეთი არ სცნობდა, მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის 3 მარტისათვის ამიერკავკასია ფაქტიურად გამოყოფილი იყო რუსეთისაგან. ამიერკავკასიის კომისარიატმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ეს პროტესტი სათანადოდ არგუმენტირებული არ იყო.⁴²

ოსმალეთი მაშინვე შეუდგა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მინიჭებული უფლების რეალიზებას - მოითხოვა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების დაცლა. 1918 წლის 10 მარტს ოსმალეთმა მოთხოვნა კვლავ გაიმეორა. 11 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა ოსმალეთის მოთხოვნა უარყო.⁴³ ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმს კარგად ესმოდა, რომ ომი ოსმალეთთან ადვილი არ იყო, ამიტომ დიპლომატიური გზით სცადეს კონფლიქტის მოგვარება. 14 მარტს ქ. ტრაპიზონში დაიწყო ამიერკავკასია-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. აკაკი ჩხენკელის ცდებს ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები მთლიანად ან ნაწილობრივ შეენარჩუნებინათ, შედეგი არ მოჰყოლია - ოსმალეთის დელეგაცია კატეგორიულად მოითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების შესრულებას. ოსმალეთის არმიამ საომარი მოქმედებები დაიწყო: 8-9 აპრილს მტერი ამიერკავკასიის საზღვრებში შემოიჭრა. შეიქმნა კრიზისული სიტუაცია. 12 აპრილს აკაკი ჩხენკელმა ევგენი გეგეჭკორს სთხოვა ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების შეჩერება. 13 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატის და ამიერკავკასიის სეიმის ფრაქციათა გაერთიანებულმა კრებამ ერთხმად მიიღო **ირაკლი წერეთლის** რეზოლუცია ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის დელეგაციის გამოწვევის შესახებ.⁴⁴ ეს იმას ნიშნავდა, რომ ომი გრძელდებოდა. 9 აპრილს არაოფიციალურად დაწყებული ომი 13 აპრილს ოფიციალური ხდება. ოსმალეთის არმიის შემაჩერებელი ძალა საქართველოს არ ჰყავდა. 15-21 აპრილს ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, მთელი მესხეთი

⁴⁰ აპოლონ სილაგაძე, **ვახტანგ გურული**. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998, გვ. 35.

⁴¹ Документы внешней политики СССР. Том I. Москва, 1957, стр 121.

⁴² Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр 85-86.

⁴³ Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр 89-106.

⁴⁴ Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр 163-166.

თითქმის ბორჯომამდე. ოსმალეთის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო.⁴⁵

ასეთ მძიმე სამხედრო - პოლიტიკურ ვითარებაში 1918 წლის 22 აპრილს შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. სეიმის სხდომა გახსნა მისმა თავმჯდომარემ **კარლო ჩხეიძემ**. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმში უკვე მომწიფებული იყო აზრი ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. დღის წესრიგიც ამით იყო განსაზღვრული: 1) ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, 2) ოსმალეთ-ამიერკავკასიის საზავო მოლაპარაკებაზე წარგზავნილი დელეგაციის მოხსენება, 3) ამიერკავკასიის მთავრობის განცხადება ახალი ხელისუფლების ორგანიზების შესახებ.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სეიმის წევრი, სოციალ - დემოკრატი **დავით ონიაშვილი**. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო დადგენილება: „გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად“.⁴⁶

ამიერკავკასიის სეიმმა იმავე სხდომაზე მოისმინა საზავო დელეგაციის მოხსენება და მიიღო დადგენილება საზავო მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ.⁴⁷

სეიმის დადგენილებით, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შექმნა დაევალა **აკაკი ჩხენკელს**. 1918 წლის 26 აპრილს აკაკი ჩხენკელმა სეიმს დასამტკიცებლად წარუდგინა მთავრობის შემადგენლობა. სეიმმა უცვლელად დაამტკიცა აკაკი ჩხენკელის მიერ წარდგენილი პროექტი. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ასეთი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: **აკ. ჩხენკელი** - მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი; **ნ. რამიშვილი** - შინაგან საქმეთა მინისტრი; **ა. ხატისოვი** - ფინანსთა მინისტრი; **ხ.ბ. მელიქ-ასლანოვი** - გზათა მინისტრი; **ფ.ხ. ხოისკი** - იუსტიციის მინისტრი; **გრ. გიორგაძე** - სამხედრო მინისტრი; **ნ. ხომერიკი** - მიწათმოქმედების მინისტრი; **ნ.ბ. უსუბეკოვი** - სახალხო განათლების მინისტრი; **მ. გაჯინსკი** - ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი; **ა. სააკიანი** - სასურსათო საქმეთა მინისტრი; **რ. კაჩაზნუნი** - სახელმწიფო მზრუნველობის მინისტრი; **ა. ერზინკიანი** - შრომის მინისტრი; **ი.ბ. ჰაიდაროვი** - სახელმწიფო კონტროლიორი.⁴⁸

ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შექმნის დღიდან გადაუჭრელ პრობლემად ექცა საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. გერმანოფილური საქართველოს, ანგლოფილური სომხეთისა და პროოსმალური აზერბაიჯანის ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რაც ცხადი გახდა იმთავითვე. გარდა საგარეოპოლიტიკური ორიენტაციისა, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს სიმტკიცეს დღიდან ვნებდა ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი - ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს მწვავე სასაზღვრო დავა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ შექმნის უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნა ერთადერთ სწორ ნაბიჯს წარმოადგენდა.⁴⁹

ამიერკავკასიის ახლადშექმნილი სამოკავშირეო სახელმწიფოს მესვეურები ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად თვლიდნენ კონსტიტუციის შემუშავებას. გადაწყდა, უნდა შემუშავებულიყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონსტიტუციები და შემდეგ - ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1918 წლის 2 მაისს საქართველოს

⁴⁵ Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 196-198.

⁴⁶ Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 221.

⁴⁷ Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 222.

⁴⁸ Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 229.

⁴⁹ **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული**. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918 . თბილისი, 1998, გვ. 37-38.

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიის ქართველი წევრები. სულ ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისიაში უნდა აერჩიათ 24 კაცი, აქედან ხუთ-ხუთ წევრს ირჩევდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოები, ხოლო დანარჩენ ცხრას ნიშნავდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა.⁵⁰ ამიერკავკასიის საკონსტიტუციო კომისიის ქართველ წევრებად არჩეული იქნენ: **გიორგი გვაზავა, პავლე საყვარელიძე, შალვა მესხიშვილი, რაჟდენ არსენიძე, ვლადიმერ გობეჩია.**⁵¹ 9 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც დაადგინა: ჯერ გაიმართოს ზოგადი მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის შესახებ, ხოლო შემდეგ არჩეული იქნას საქართველოს საკონსტიტუციო კომისია.⁵²

იმავე დღეს, 1918 წლის 9 მაისს, გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-14 კრება. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) საქართველოს კონსტიტუციის შედგენა; 2) ამიერკავკასიის ერების გადამიჯვნა. კრების განხილვისას მისმა თავმჯდომარემ, **გიორგი ლასხიშვილმა**, აღნიშნა, რომ შესადგენია ორი კონსტიტუცია - ამიერკავკასიისა და საქართველოსი. ამ საკითხზე კრების წინაშე მოხსენებით წარსდგა სოციალისტ-ფედერალისტი **გრიგოლ რცხილაძე**. მოხსენების შემდეგ გამართული კამათიდან, რომელშიც მონაწილეობდნენ **რევაზ გაბაშვილი, სერგო ჯაფარიძე, პავლე საყვარელიძე, შალვა მესხიშვილი, შალვა ქარუმიძე, ალექსანდრე ლომთათიძე** და სხვები, აშკარა გახდა, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფო ძალზე რთული პრობლემების წინაშე იდგა - ძნელი იყო ცალკეული ერების ინტერესების შეთანხმება.⁵³

1918 წლის 12 მაისს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. გადაწყდა: საქართველოს ეროვნული საბჭოს კრებაზე მოხსენებით საქართველოს კონსტიტუციის შესახებ წარსდგებოდა სოციალ-დემოკრატი **სერგო ჯაფარიძე**, რის შემდეგაც გაიმართებოდა კამათი.⁵⁴ იმავე დღეს, 12 მაისს, გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-15 კრება. კრებაზე საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა **სერგო ჯაფარიძე**.⁵⁵ მოხსენების განხილვისას ცხადი გახდა, რომ ეროვნულ-დემოკრატებს და მათ თანამოაზრეებს არ სურდათ საქართველოს დარჩენა ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოში, ისინი პირდაპირ აყენებენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხს. **გიორგი გვაზავამ** თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: „მე დიდის ყურადღებით მოვისმინე წინა ორატორები. გულწრფელად გეტყვით: ბ. **სერგო ჯაფარიძემ** დაამტკიცა, რომ ჩვენში ფედერაცია შეუძლებელია, ბ.ბ. **პ. საყვარელიძემ** და **გ. რცხილაძემ** ნათელჰყვეს, რომ კონფედერაციაც აგრეთვე შეუძლებელია“.⁵⁶ მას შემდეგ, რაც დაასაბუთა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს, ასევე ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების კონფედერაციული სახელმწიფოს მიზანშეუწონლობა, **გიორგი გვაზავამ** განაცხადა: „ბატონებო! დროა შევწყვიტოთ ფანტაზიორობა და დავადგეთ რეალურ გზას. დიდი ხანია ჩვენ ავცდით რეალურ პოლიტიკას და სამშობლო ნიადაგს. ჯერ ჩვენ გვინდოდა დაგვეხსნა მთელი კაცობრიობა, მერე რუსეთი, ახლა კი ვებლაუჭებით მთელ ამიერკავკასიას და გვინდა ყველა ერი ავაშენოთ, გავანაროთ და გავანათლოთ. ჩვენ კი ვივიწყებთ ჩვენს საციცოცხლო ინტერესებს და ისიც კი ვერ მოგვიხმარია, რაცა გვაქვს, ის საერთაშორისო ჩვენი უფლებანი, რაც ოცი

⁵⁰ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცლები 113-114.
⁵¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცლები 59-60.
⁵² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცლები 61-62.
⁵³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცლები 113-118,122-127.
⁵⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 65.
⁵⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცლები 103-105.
⁵⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცელი 108.

საუკუნის განმავლობაში ხმლითა და სისხლით გამოუგლეჯია ბედის ხელიდან ჩვენს წინაპრებს“.⁵⁷ **გიორგი გვაზავამ** სოციალ-დემოკრატები გააფრთხილა: „თქვენ გინდათ მოაწყოთ რაღაც ფედერაცია თუ კონფედერაცია და ერთხელ კიდევ დაასამართო საქართველოს ბედი ამ უცნაური პოლიტიკური შენობის წამოხუხულავენით“.⁵⁸ **გიორგი გვაზავამ** ეროვნული საბჭოს კრებას გააცნო ეროვნულ-დემოკრატთა პოზიცია: „ა) საქართველო უნდა გამოცხადდეს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ, ბ) კავკასიის სახელმწიფოთა საერთო საქმეების მოსაწესრიგებლად დაარსებულ უნდა იქნას მუდმივი ორგანო კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან“.⁵⁹

კამათი საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-15 კრებაზე ვერ დასრულდა. იგი გაგრძელდა მე-16 კრებაზე, რომელიც 1918 წლის 14 მაისს გაიმართა. ამ დღეს მეტად საინტერესო სიტყვა წარმოთქვა **კონსტანტინე აფხაზმა**. კონსტანტინე აფხაზმა თავისი სიტყვა ძალზე მწვავედ დაიწყო: „უნდა მოგახსენოთ, მე თავმჯდომარის განცხადება ვერ შევითვისე. თავმჯდომარემ ბრძანა: ორატორებს ნება აქვთ ილაპარაკონ მარტო კონფედერაციისა და ფედერაციის შესახებ. მე მსურს მაღაპარაკოთ საერთოდ სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე, ვინაიდან სრულებით მეცნიერულად არ იყო დასაბუთებული, რომ ჩვენ სწორედ ესა თუ ის წყობილება მივიღოთ. სახელმწიფო სამართლის შესახებ მეცნიერება გვეუბნება, რომ როდესაც ახალ სახელმწიფოებრივ წყობილების შემოღება ჰსურთ, ამ საკითხს ისტორიულის, ეთნოგრაფიულის და ეკონომიურის თვალსაზრისით უნდა სჭრიდნენ. ამიტომ თუ საერთო სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე ლაპარაკის ნებას მომცემთ სიტყვას გაგვგრძელებ, თუ არა და იძულებული ვიქნები არ ვილაპარაკო“. თავმჯდომარემ **კონსტანტინე აფხაზს** სთხოვა სიტყვა გაეგრძელებინა. ორატორმა კიდევ უფრო მწვავედ განაგრძო: „იმ ფორმას, რომლის შესახებაც აქ იყო ბაასი, მე გვერდი უნდა ავუხვიო, რადგან მათ შესახებ წარმოდგენილ მოხსენებებს, ჩემის რწმენით ის ნაკლი ჰქონდა, რომ მათი წაკითხვა შეიძლებოდა როგორც საქართველოს ეროვნულ საბჭოში, ისე თურქესტანსა თუ ციმბირში, მხოლოდ ადგილობრივ ენაზე. მოხსენებაში არ იყო დასაბუთებული ქართველი ერის რაიმე პერსონალური ან ინდივიდუალური თვისება. მოიყვანეს ფორმა და ამ ფორმაზე იყო აწონილ-დაწონილი ყველაფერი“.⁶⁰ **კონსტანტინე აფხაზმა** გადაჭრით გაილაშქრა ამიერკავკასიის ერთ ფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობის წინააღმდეგ: „თვით ფედერაცია, როგორც სახელმწიფო წესწყობილება, მე ჩვენს ქვეყანაში ფიქციათ მიმაჩნია. ფედერაციაში შესვლით უნდა ძლიერდებოდეს ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო მხარე. ერთი მიბრძანეთ, რა ძალას შეიძენს ჩვენი მხდელი ჯარი, როდესაც გვერდით იყოლებს სომხების მხდალ ჯარს. ან სათათრეთს (აზერბაიჯანს-ვ.გ.) ან სომხეთს რა პოლიტიკური ძალა აქვთ, რომ მათ რაიმე შეგვიძინონ“.⁶¹

კონსტანტინე აფხაზმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „იქნებ ამ ომმა ან რევოლუციამ მოგვანიჭოს სრული თავისუფლება და თავისუფლად ამოვისუნთქოთ. ჩვენ მგონი ამ საზღვრამდის მივალწიეთ. ჩვენი პირი უნდა დასავლეთისაკენ იყოს მიქცეული; ჩვენი პირი შავი ზღვისკენ უნდა იყოს მიქცეული და ჩვენ უნდა შევქმნათ უნიტარული სახელმწიფო. შემდეგ, თუ ამას მოვესწრებით, ვილაპარაკებ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვაწესრიგოთ საქმე მეზობლებთან“.⁶²

კონსტანტინე აფხაზის აზრი განავითარა **მიხეილ მაჩაბელმა**: „ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ. შეუძლებელია ჩვენი სუვერენულ უფლებათა შეზღუდვა“.⁶³ თავისი სიტყვა ასე დაასრულა **შალვა ქარუმიძემ**: „საბედნიეროდ, ჩვენი ერისათვის

⁵⁷ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცელი 110.

⁵⁸ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცელი 110.

⁵⁹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცელი 110.

⁶⁰ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცელი 133.

⁶¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცელი 134.

⁶² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცელი 135.

⁶³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცელი 136.

უკვე არის ისეთი მომენტი, როდესაც საქართველოს შეუძლია სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადოს“.⁶⁴ სოციალ-დემოკრატებს ძალზე მწვავედ შეუტია **გრიგოლ ვეშაპელმა**: „სოციალ-დემოკრატებს ჰგონიათ, რომ მათი ანალიზი საქართველოს საგარეო მდგომარეობისა, რომელსაც ემყარება „ამიერკავკასიის რესპუბლიკის“ გეგმა, ისე სწორია, რომ მეფე ერეკლეს ამ მენშევიკურ გზას დაადგებოდა, საფლავიდან რომ ამდგარიყო. ჩვენ კი გვგონია, რომ სოციალ-დემოკრატებს დღესაც ისე ცუდათ ესმით კავკასიის საგარეო საქმეები, როგორც ცუდათ ესმოდათ აქამდის ეს საქმეები, რუსეთის რესპუბლიკას რომ ლოცულობდნენ“.⁶⁵ **გრიგოლ ვეშაპელმა** ქართველი სოციალ-დემოკრატების საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია ასე დაახასიათა: „სოციალ-დემოკრატების საგარეოპოლიტიკის მარცხის მიზეზი ის არის, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო და არის რუსეთის ორიენტაციის პარტია - ამ მხრივ ის მართლაც მემკვიდრეა მეფე ერეკლეს პოლიტიკისა, მაგრამ რუსეთის ორიენტაცია მანამდე იყო შესაძლო, სავალდებულო ქართული პოლიტიკისათვის, სანამ თვით რუსეთი ცოცხალი იყო. საქართველოში რუსული პოლიტიკა მაშინ გათავდა, როცა რუსების ჯარების უკანასკნელი ეშელონი მოშორდა ნავთლულს“.⁶⁶

სოციალ-დემოკრატებმა და მათმა თანამოაზრეებმა, ფაქტობრივად, ვერაფერი დაუპირისპირეს ეროვნულ-დემოკრატების მოსაზრებას. კამათი საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-16 კრებაზე ვერ დასრულდა. შეთანხმდნენ, საკითხის განხილვა მორიგი კრებისათვის გადაედოთ. მორიგი, მე-17 კრება კი 1918 წლის 16 მაისის, საღამოს შვიდი საათისათვის დაინიშნა. ისტორიამ სხვაგვარად განსაჯა - საქართველოს ეროვნული საბჭოს ახალ ვითარებაში მოუხდა შეკრება.⁶⁷

ვიდრე საქართველოს ეროვნული საბჭო ამიერკავკასიისა და საქართველოს კონსტიტუციების შესახებ მსჯელობდა, სამხედრო პოლიტიკური ვითარება სულ უფრო კატასტროფული ხდებოდა. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-ოსმალეთის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის დელეგაციას **აკაკი ჩხენკელი** მეთაურობდა. პირველსავე შეხვედრაზე გაირკვა, რომ ოსმალეთი პოზიციას არ ცვლიდა, პირიქით - უფრო მეტს მოითხოვდა. 1918 წლის 12 მაისს ბათუმიდან ეროვნული საბჭოსათვის გამოგზავნილ საიდუმლო წერილში **აკაკი ჩხენკელი** საქართველოს ეროვნულ საბჭოს აცნობებდა: 1) ოსმალეთი ითხოვს ახალციხეს, ახალქალაქს და ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრას; 2) ოსმალეთი თავის თავზე იღებს წესრიგის დაცვას ამიერკავკასიაში; 3) ოსმალეთი ითხოვს ომის შემთხვევაში ამიერკავკასიის რკინიგზით სარგებლობის უფლებას.⁶⁸ ამავე წერილში **აკაკი ჩხენკელი** იმედს გამოთქვამდა, რომ გერმანია მხარს დაუჭერდა ამიერკავკასიის დელეგაციას, თუმცა გამორიცხული არ იყო საწინააღმდეგოც. წერილში ვკითხულობთ: „ვთქვათ, ეს გეგმა არ გავიდა, გერმანელებმა არ დაგვიჭირეს ისე ძლიერ მხარი, რა ვქნთ? თათრებმა (აზერბაიჯანელებმა - ვ.გ.) გასწირეს სომხები, აზერბაიჯანი ცალკე წავა, შეიძლება ოსმალეთზე გადავიდეს. ეს მოხდება მაშინვე, როგორც კი ომი გამოცხადდება ამიერკავკასიის სახელით. რა უნდა ქნას ქართველმა ერმა? ერთადერთი გზაა: ომში არ გაერიო. ომი ყელს გამოჭრის ერს, მოსპობას უქადის“.⁶⁹ იმავე დღეს,

⁶⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცელი 136.

⁶⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცელი 137.

⁶⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 5, ფურცელი 138.

⁶⁷ **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული**. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998, გვ. 41-42.

⁶⁸ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.168.

⁶⁹ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.169.

1918 წლის 12 მაისს, აკაკი ჩხენკელი ეროვნულ საბჭოში მეორე საიდუმლო წერილს აგზავნის ბათუმიდან. აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: „ყოველ შემთხვევაში, თუ გინდ ვერაფერსაც ვერ მივალწიოთ, რაც მოასწავებს გერმანელებისაგან ჩვენს განწირვას, ჩვენ არასგზით არ უნდა ვაწარმოოთ ომი. მხოლოდ და მარტო ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვიხსნათ ჩვენი ხალხი დალუპვისაგან. გაერთიანებული ამიერკავკასია სულერთია ვერ იარსებებს თუ სომხების ტერიტორია ჩამოგლიჯეს მას“.⁷⁰

აკაკი ჩხენკელის ორი წერილი ბათუმიდან შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის უაღრესად ზუსტ ანალიზს იძლეოდა. ამ წერილებში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფაქტიურად სთავაზობს **გერმანოფილურ საგარეოპოლიტიკურ კურსს**, როგორც ერთადერთ რეალურ გამოსავალს შექმნილი კატასტროფული სიტუაციიდან. ამავე დროს ისიც ცნობილი იყო, რომ ოსმალეთის აზერბაიჯანი და ანგლოფილური სომხეთი გერმანიაზე ორიენტირებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსზე უარს იტყობდნენ.⁷¹

ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის ორი წერილის მიღების შემდეგ 1918 წლის 14 მაისს სადამოს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: **გიორგი ლასხიშვილი, გიორგი გვაზავა, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ვეშაპელი, ნოე ხომერიკი, პავლე საყვარელიძე, გრიგოლ რცხილაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე**. გარდა აღმასკომის წევრებისა, სხდომას ესწრებოდნენ: **შალვა მესხიშვილი, გერონტი ქიქოძე და აკაკი პაპავა**. თავმჯდომარეობდა **გიორგი ლასხიშვილი**, მდივნობდა **დავით ნახუცრიშვილი**.⁷² საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 14 მაისის სხდომამ ოფიციალურად დაადასტურა **გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეოპოლიტიკური კურსი**. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ბათუმში აკაკი ჩხენკელს სახელმძღვანელოდ გაეგზავნოს შემდეგი მითითებები:

„1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს **გენერალ ფონ ლოსოვს**, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სურვილი და თხოვნაა, ყოველნაირად ხელი შეუწყოს გერმანიამ საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხების რაც შეიძება უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

2. ეთხოვოს **გენერალ ლოსოვს** მიიღოს სათანადო ღონისძევა, რომ გერმანიის ჯარმა განაგრძოს სვლა ჩრდილო-კავკასიაში, რათა იმდენად დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო უზრუნველყოფილი იქნას გარედან მოსალოდნელი რაიმე საფრთხისგან.

3. ეთხოვოს **გენერალ ლოსოვს**, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს, რაც შეიძება მალე სამშობლოში სამხედრო წესით დარაზმულად დაბრუნებას.

4. ეთხოვოს **გენერალ ლოსოვს**, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დასტოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცერთ მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შეეძლოს საჭირო შემთხვევაში გამოიყენოს ეს ჯარი შინაურ წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად“.⁷³

აკაკი ჩხენკელს ხელ-ფეხი გაეხსნა და ენერგიულად შეუდგა გერმანიის დახმარებით საქართველოს ხსნის გეგმის რეალიზებას. 1918 წლის 15 მაისს ბათუმიდან ეროვნული საბჭოსათვის გამოგზავნილ მესამე საიდუმლო წერილში იგი არწმუნებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელია: „ყოველთვის

⁷⁰ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.171.

⁷¹ **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული**. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998, გვ. 43.

⁷² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 67.

⁷³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 67.

უარესს უნდა ელოდე. თურქებს არ სურთ უკვე ამიერკავკასიის მთლიანობა და ისინი სრულიად საბუთიანად ემყარებიან ჩვენი თათრების სურვილს“.⁷⁴ აკაკი ჩხენკელი იმასაც იტყობინებოდა, რომ ინგლისის დახმარებით ოსმალეთის შეჩერება არარეალურია: „თურქები თუ ნებით არა, ძალით გაივლიან ამიერკავკასიას. თუ ძალით გავლენ, ჩვენ დაპყრობილნი ვართ, ჩააყენებენ ჯვარს სამაგრებში (ყარსი და სხვა) და ინგლისელებს არ მოუშვებენ მანამდის, სანამ არ ამოგვჟღელტენ“.⁷⁵ 15 მაისის წერილში აკაკი ჩხენკელმა კატასტროფიდან თავის დახსნევის ერთადერთ გზად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება დასახა: „საქართველოს დამოუკიდებლობა - აი, პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას, როცა აქაური მოლაპარაკება შეწყდება. შეწყდება იმიტომ, რომ თურქების პროექტი მიუღებელია. ეს მათ მშვენივრად იცინან, მაგრამ მიზნად ხომ ჩვენი მთლიანობის დამხობა აქვთ“.⁷⁶

მომდევნო დღეებში აკაკი ჩხენკელისა და გენერალ ოტტო ფონ ლოსოვის თანამშრომლობა უფრო მჭიდრო ხდება. გენერალმა ოტტო ფონ ლოსოვმა აკაკი ჩხენკელს ბევრი ძვირფასი ინფორმაცია მიაწოდა, ბევრ რთულ პრობლემაში გაარკვია. როგორც ჩანს, სწორედ ფონ ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს ოსმალეთისა და რუსეთის მოსალოდნელი საიდუმლო ალიანსის შესახებ, რაც დაღუპვით ემუქრებოდა საქართველოს.

საქართველო-გერმანიის დაახლოებას რეალური საფუძველი ჰქონდა. საქართველოს გერმანია სჭირდებოდა ოსმალეთის აგრესიისაგან თავდაცვისათვის, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ - დამოუკიდებლობის გარანტიად. გერმანიას საქართველო სჭირდებოდა თავისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად. საქართველოს მნიშვნელობას გერმანიისათვის ისიც ზრდიდა, რომ ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და ოსმალეთზე ორიენტირებული აზერბაიჯანი ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. გერმანიას სუსტი პოზიციები ჰქონდა აღმოსავლეთში და ამ რეგიონში წარმატების მოპოვება გარკვეულწილად გაუადვილებოდა საქართველოში მტკიცე პოზიციების შექმნით.⁷⁷

აკაკი ჩხენკელის დაჟინებულმა მტკიცებამ, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შენარჩუნება შეუძლებელია, ხოლო საქართველოს ხსნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებაშია, ეროვნულ-დემოკრატიების პოზიციები მნიშვნელოვნად გააძლიერა. სოციალ-დემოკრატებს არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწიათ აკაკი ჩხენკელის მოსაზრებებისათვის. ასეთ ვითარებაში 1918 წლის 16 მაისს საღამოს შვიდ საათზე შეკრება საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ჰაიდარ ბეგ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, ვლადიმერ გობეჩია, კონსტანტინე მესხი; მოწვეულები - იასონ ლორთქიფანიძე და შალვა მესხიშვილი. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანიას, მდივნობდა დავით ნახუცრიშვილი. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განსახილველი საკითხი ასე იყო ფორმულირებული: „წინადადება პ. საყვარელიძისა, რომ მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს ან ცალკე კომისიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოამზადოს ყოველანაირი ნიადაგი“.⁷⁸

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე აზრთა გაზიარების შემდეგ გადაწყდა: აღმასკომის პრეზიდენტის წევრებს ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშვილსა და გრიგოლ ვეშაპელს დაევალოთ, დაასახელონ დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისიის სამი წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით: ნოე რამიშვილი,

⁷⁴ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.173.

⁷⁵ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.174.

⁷⁶ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.174.

⁷⁷ აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998, გვ. 44-45).

⁷⁸ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 68.

დავით (დათა) ვაჩნაძე და შალვა მესხიშვილი. ⁷⁹ აღმასრულებელმა კომიტეტმა ახლად შექმნილ კომისიას დაავალა: 1) ზომების მიღება საქართველოში ლტოლვილთა, მათ შორის შეიარაღებულ ლტოლვილთა, შემოსვლის შესაჩერებლად; 2) ქართულ ჯართან და საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო სექციასთან კონტაქტის დამყარება; 3) აცნობოს სომხეთის ეროვნულ საბჭოს თუ რა სირთულეებს ჰქმნის სომეხი ლტოლვილების შემოსვლა საქართველოში და გაარკვიოს რა ზომების მიღებას აპირებს სომხეთის ეროვნული საბჭო კართულეების თავიდან ასაცილებლად.⁸⁰

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსამზადებელი კომისია ენერგიულად შეუდგა მუშაობას. მოსაგვარებელი იყო უამრავი საკითხი. 1918 წლის 17 მაისს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის სხდომას დაესწრნენ: **გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე მესხი, პავლე საყვარელიძე, გიორგი გვაზავა**, ასევე მოწვეულები - **დავით (დათა) ვაჩნაძე, შალვა მესხიშვილი, გენერალი ვასილ გაბაშვილი, პოლკოვნიკი ვასილ კარგარეთელი და პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიაძე.**⁸¹ პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველი იყო საკითხი: „მოსვენება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სამთა კომისიის მოქმედების შესახებ“. სამთა კომისიამ პრეზიდიუმის სხდომას გადასაწყვეტად წარუდგინა შემდეგი საკითხები: 1) ვის ჩააბარონ თბილისის დაცვა, 2) რომელი ორგანო უხელმძღვანელებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა:

1. ქალაქ თბილისში გამოცხადდეს სამხედრო (ან სააღყო) წესები.

2. თბილისის კომენდატად და გარნიზონის უფროსად დაინიშნოს გენერალი **ახმეტელი**, მის თანაშემწედ - პოლკოვნიკი **ნაქერელიძე**. გენერალმა ახმეტელმა და პოლკოვნიკმა ნაქერელიძემ იმოქმედონ ქართული კორპუსის მეთაურის გენერალ **ვასილ გაბაშვილის** ხელმძღვანელობით.

3. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება იგივე სამთა კომისია, რომელმაც უნდა იმოქმედოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.⁸²

ვიდრე თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის ემზადებოდნენ, ოსმალების დაპლომატები და სამხედროები დროს არ კარგავდნენ. 1918 წლის 18 მაისს თურქებმა დაიკავეს ალექსანდრეპოლი. 18 მაისს ბათუმში ოსმალების დელეგაციის მეთაურმა **აკაკი ჩხენკელს** გადასცა მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნული იყო:

1. ოსმალეთი არავითარ შემთხვევაში არ სცნობს ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ;

2. ოსმალეთმა კიდევ რომ სცნოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თურქეთი უარს ამბობს ტერიტორიულ პრეტენზიებზე;

3. ამიერკავკასია არ წარმოადგენს ბრესტ - ლიტოვსკის ზავზე ხელის მომწერ მხარეს, უფრო მეტიც, ამ ზავის დადებისას ის არც წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამიტომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას უფლება არა აქვს გამოთქვას შენიშვნები ზავის პირობებზე, ან ამ პირობების სისრულეში მოყვანის წესზე.⁸³

ოსმალების დელეგაციის მემორანდუმი მძიმე მდგომარეობაში აგდება ამიერკავკასიის დელეგაციას. მოლაპარაკება აზრს კარგავდა. 1918 წლის 19 მაისს **აკაკი ჩხენკელმა** მიიღო გენერალ **ოტტო ფონ ლოსოვის** წერილი. ოტტო ფონ ლოსოვი აკაკი ჩხენკელს აცნობებდა თავის მზადყოფნას, ამიერკავკასია-ოსმალების მოლაპარაკებაში შუამავლის როლი შეესრულებინა. ამავე

⁷⁹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 68.

⁸⁰ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცლები 68-69.

⁸¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 71.

⁸² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 71.

⁸³ Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии, Тифлис, 1919 стр.289-290.

დროს სთხოვდა აკაკი ჩხენკელს გაერკვია, თანახმა იყო თუ არა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია გერმანიის შუამავლობაზე.⁸⁴ აკაკი ჩხენკელმა ოტტო ფონ ლოსოვის წერილის მიღებისთანავე, 19 მაისს, სალამოს შეკრიბა ამიერკავკასიის დელეგაცია და გარკვეული დებატების შემდეგ დაითანხმა იგი ეცნოთ გერმანიის შუამავლობა. ამიერკავკასიის დელეგაციის დადებითი პასუხი 19 მაისსავე ეცნობა გენერალ ოტტო ფონ ლოსოვს.⁸⁵ გერმანია ოსმალეთის მოკავშირე და ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელის მომწერი მხარე იყო, ამიტომ გენერალ ფონ ლოსოვის შუამავლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ამიერკავკასიის დელეგაციისათვის.

1918 წლის 22 მაისს ბათუმიდან საქართველოს ეროვნული საბჭოსადმი გამოგზავნილ საილუმლო წერილში შექმნილ სიტუაციას აკაკი ჩხენკელი ასე ახასიათებს: „მე უკანასკნელ წუთამდე არ დამიკარგავს იმედი, რომ შეიძლებოდა შეგვეკრა ზავი ამიერკავკასიის სახელით. მართალია, ჩვენმა თათრებმა (აზერბაიჯანელებმა - ვ.გ.) თავიანთი სეპარატიული ნაბიჯით ძირი გამოუთხარეს დელეგაციის მუშაობას, მაგრამ ვინაიდან გერმანიის დელეგაცია სრულიად არ იზიარებდა ოსმალეთის პოზიციას, ამიტომ რაიმე იმედიც საფუძვლიანი იყო. თურქებმა მართლაც ვერ გაბედეს, მიუხედავად მუქარისა, ულტიმატუმის გაგზავნა, მაგრამ სამაგიეროდ მათ მიმართეს მეორე ხერხს: ანხორციელებენ ფაქტიურად თავიანთ დაპყრობით პოლიტიკას. ერევნის გუბერნიას წაესიენ, განჯაში თავიანთი მთავრობა დასვეს, რასაც მთელი აზერბაიჯანის მიკედლება ჰყვება. დარჩა მარტო საქართველო, რომელსაც ემუქრებიან ყოველი მხრიდან“.⁸⁶ იმავე წერილში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამოქმედო გეგმასაც სთავაზობს: „დარჩა, მაშასადამე, განმარტოებული საქართველო, რომლისთვის დარჩენილია სამი შესაძლებლობა: ა) საქართველო აზერბაიჯანთან ერთად ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს ნიშნავს თურქების სრულ ბატონობას, რაც მიუღებელია. როცა აზერბაიჯანში თურქები სხედან და, ამავე დროს, არსებობს ამიერკავკასიის საერთო მთავრობა, ეს მოასწავებს ოსმალეთის ბატონობის იურიდიულ ცნობას, რასაც ფაქტიური დაპყრობა მოჰყვება. ბ) საქართველო სომხეთთან ერთად ადგენს ერთ სახელმწიფოს. არ არსებობს ფაქტიურად სომხების ტერიტორია ამიერკავკასიაში, ვინაიდან ის თურქების ხელშია. შეუძლებელია, მაშასადამე, მათთან ერთი სახელმწიფოს შექმნა. კიდევ რომ არსებობდეს ეს ტერიტორია, მაშინაც არ შეიძლება სომხებთან სახელმწიფოებრივი კავშირი, ვინაიდან ეს მიუღებელია როგორც თურქებისათვის, ისე თათრებისათვის. დაპყრობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარაა. გ) საქართველოს დამოუკიდებლობა, აი ერთადერთი გამოსავალი. ამ შემთხვევაში არა ვართ დაზღვეულნი თურქების შემოსევისაგან, მაგრამ სწორედ ამ უბედურებას წინ უნდა უსწრებდეს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომ უფლებრივი ნიადაგი მაინც არ დაკარგოთ“.⁸⁷ აკაკი ჩხენკელი თავის მოსაზრებას გენერალ ფონ ლოსოვის ავტორიტეტითაც ამაგრებდა: „გენ. ფონ ლოსოვი იყო დღეს ჩემთან. მას გავაცანი ეს აზრები და კატეგორიულად განაცხადა, რომ დარჩენილია ერთადერთი გზა - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მან კიდევ გაუგზავნა ცნობა თავის მთავრობას, რომ ამიერკავკასია არ არსებობს (ოსმალეთის წინადადებამ მოსპო ის). არსებობს მხოლოდ საქართველო, რომელიც გამოაცხადებს ხვალვე დამოუკიდებლობას და გთხოვთ ცნობას და მფარველობას“.⁸⁸ წერილის ბოლოს აკაკი ჩხენკელი დაბეჯითებით სთხოვდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაუყოვნებლივ გამოაცხადონ საქართველოს დამოუკიდებლობა. წერილი ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „ურისკოდ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოთ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!“⁸⁹

⁸⁴ Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии, Тифлис, 1919 стр.293.

⁸⁵ Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии, Тифлис, 1919 стр.293-302.

⁸⁶ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.176.

⁸⁷ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.176-177.

⁸⁸ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.177.

⁸⁹ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.178.

ოსმალეთის დიპლომატია კარგად ხედავდა, რომ გერმანიის შუამავლობა ამიერკავკასია-ოსმალეთის მოლაპარაკებაში მისი მოქმედების თავისუფლებას ზღუდავდა, მაგრამ ერიდებოდა მოკავშირესთან, გერმანიასთან, ურთიერთობის გამწვავებას: მსოფლიო ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა და არავინ იცოდა, სად და როდის დასჭირდებოდა ოსმალეთს გერმანიის პოლიტიკური თუ სამხედრო მხარდაჭერა.⁹⁰

1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს კიდევ ერთ საიდუმლო წერილს უგზავნი. წერილი პირდაპირ დაუფარავი საყვედურით იწყება: „მე ვფიქრობ, თქვენ უკვე გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა. თუ არა, მაშინ მე არ მესმის თქვენი ტაქტიკა. ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ ესაა. სხვა გზა დახშულია. არც ეს გზა გვიხსნის ყოველი ხიფათისაგან, რადგან ჩვენ გვჩვევია დაგვიანება. ყოველ შემთხვევაში, მე კიდევ მწამს, რომ პასუხისმგებლობა ისტორიისა და ერის წინა თავისას იქმს“.⁹¹ წერილში აკაკი ჩხენკელი დაწვრილებით აყალიბებს სამოქმედო გეგმას: „საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი შემდეგი უნდა იყოს: სთხოვოს გერმანიას მფარველობა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად. დადგენილება ამის შესახებ უნდა გადაეცეს გრაფ შულენბურგს. ყველა ეს ხდება საიდუმლოდ. შულენბურგს მიეცემა აქედან ინსტრუქცია, რომლის ძალით ის ამ თქვენს შუამდგომლობას გადასცემს თავის მთავრობას. შეიძლება პასუხის მოსვლამდის უკვე იკისროს გერმანიის იმპერიის წარმომადგენლის როლი. ამ შემთხვევაში ის გამოიყვანს თავის პატარა რაზმს, ტყვეებისგან შემდგარს, და მიეგება მომხდომ თურქებს და განუცხადებს, რომ საქართველო უკვე გერმანიის მფარველობის ქვეშ იმყოფება. თურქებს არა აქვთ უფლება მისი ტერიტორია გადმოლახონ. მთავრობა მიიღებს მეორე დადგენილებასაც, რომ ის ანდობს თავის წარმომადგენელს ბათუმში გაუკეთოს გერმანიის წარმომადგენელს საიდუმლო ხელშეკრულება როგორც მფარველობაზე, ისე ამ მფარველობის იურიდიულ ფორმაზე, აგრეთვე სხვა ხელშეკრულებანი დროებითი ხასიათისა“.⁹² აკაკი ჩხენკელი ოსმალეთის მხრიდან საომარი ოპერაციების გაგრძელებას არ გამოირიცხავდა, ამიტომ აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: „შიფრით გადავეცი გენერალ კვინიტაძეს თქვენდა გადმოსაცემად, თუ რა გმართებთ გააკეთოთ სამხედრო თადარიგის მხრით. ომი ამიერკავკასიის სახელით მომაკვდინებელია ჩვენთვის. მტერს შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით. თურქებს, ალბათ, გადაწყვეტილი აქვთ მთელი ამიერკავკასია აიღონ. ჩვენ უეჭველად წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ, რამდენადაც ძალა შეგვწევს. დღეს მხოლოდ თბილისის საკითხია. საჭიროა ის არ ჩაუვდოთ მას ხელში“.⁹³ როგორც წინათ, ისე ამჯერადაც აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით აღნიშნავდა: „ყოყმანი ამ წუთში დანაშაულია. ჩვენ გვიხსნის მხოლოდ გამბედაობა, სისწრაფე, მტკიცე ნაბიჯები. ყველა ისინი, ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭია. ამ მიმართულების გაზეთები ყველა უნდა დაიხუროს“.⁹⁴ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ქართველ პოლიტიკოსებს აკაკი ჩხენკელი მოუწოდებდა: „ბოლშევიზმი სამშობლოს ღალატია - ესაა ერთადერთი თქვენი ლოზუნგი. პანიკა შეუძლებელია. გამოიჩინეთ ნამდვილი სახელმწიფოებრივი სულის სიმშვიდე. ჩვენი ერი გამჭრიახია, შეიგნებს და დაემორჩილება სამშობლოს მხსნელ მთავრობას“.⁹⁵

საქართველოს ეროვნული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და პრეზიდიუმი მთელი დატვირთვით მუშაობდნენ. თბილისში ფრეილინის (დღევანდელი სულხან-საბას) ქუჩაზე

⁹⁰ აბოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1917-1918. თბილისი, 1998, გვ. 48-49.

⁹¹ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.179.

⁹² „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.179.

⁹³ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.179.

⁹⁴ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.180.

⁹⁵ „საისტორიო მოამბე“, 1992, №63-64, გვ.180.

საქართველოს ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში დიდი გამოცოცხლება შეიმჩნეოდა. ახლოვდებოდა საქართველოს ახალი ისტორიის ყველაზე დიდი მოვლენა...

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მზადების პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პოზიციას. 1918 წლის 24 მაისს შედგა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც მოხსენებით „ბათუმის საზავო მოლაპარაკების შესახებ“ გამოვიდა ნოე ჟორდანიას. მომხსენებელმა დაახასიათა შექმნილი სიტუაცია და აღნიშნა, რომ თურქეთში ამიერკავკასიასთან ზავზე სამი შეხედულება არსებობს: 1) ზავის დადება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე, 2) თურქეთისათვის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მინიჭებული ტერიტორიის გაფართოება, 3) მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა.⁹⁶ ნოე ჟორდანიას მოხსენებიდან აშკარად ჩანდა, რომ იგი მთლიანად ეთანხმებოდა აკაკი ჩხენკელის შეხედულებებს და, თავის მხრივ, ცდილობდა დაერწმუნებინა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იმაში, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს არავითარი პერსპექტივა აღარ ჰქონდა. ამიერკავკასია ამჯერად უკანასკნელ დღეებს ითვლის“.⁹⁷ ნოე ჟორდანიას ამ დასკვნას კამათი არ გამოუწვევია.

ბათუმის მოლაპარაკებაზე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. თურქეთი სულ უფრო მეტად ეურჩებოდა თავის მოკავშირეს - გერმანიას. 1918 წლის 25 მაისს გენერალმა ოტტო ფონ ლოსოვმა აცნობა აკაკი ჩხენკელს, რომ იგი უარს ამბობს ოსმალეთ-ამიერკავკასიის მოლაპარაკებაში შუამავლის როლის შესრულებაზე.⁹⁸

1918 წლის 23 მაისს აკაკი ჩხენკელის მიერ ბათუმიდან გამოგზავნილი წერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოში 24 მაისს მიიღეს. 25 მაისისათვის დაინიშნა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხვადასხვა მიზეზის გამო სხდომის დაწყება დაგვიანდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა დაიწყო 1918 წლის 25 მაისს 11 საათზე თბილისში, ფრეილინის ქუჩაზე მდებარე ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას მისი წევრების გარდა გამოჩენილი მოღვაწეებიც ესწრებოდნენ. კერძოდ, სხდომას დაესწრნენ: ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ნოე ზომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბისტრო ვიბლაძე, შალვა მესხიშვილი, კონსტანტინე მესხი, ნოე რამიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ჟურული, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, დავით (დათა) ვაჩნაძე, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ვლადიმერ გობეჩია. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, მდივნობდა დავით ნახუცრიშვილი.⁹⁹

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა იმით დაიწყო, რომ ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო 23 მაისს ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გადმოგზავნილი წერილი, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ 25 მაისს ღამის 10 საათზე უნდა შეკრებულყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც, როგორც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გამოაცხადებდა დაშლილად, ხოლო თვითონ მოიხსნიდა უფლებამოსილებას. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულ საბჭოს უნდა გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. როგორც ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, სეიმის სხდომა არ შედგა იმიტომ, რომ მუსავატელთა და დაშნათა ფრაქციებმა უარი განაცხადეს სეიმის სხდომაში

⁹⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1844, აღწერა 2, საქმე 7, ფურცლები 52-53.

⁹⁷ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1844, აღწერა 2, საქმე 7, ფურცელი 53.

⁹⁸ Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919 стр.307.

⁹⁹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 2.

მონაწილეობაზე. აზერბაიჯანელებმა განაცხადეს, რომ მათ საკითხი ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლის შესახებ ჯერ არ განუხილავთ და აზრი არ შეუქმნათ, თუმცა წინააღმდეგნი არ არიან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. სომხებმა სეიმის სხდომის მეორე დღისათვის გადადების მოთხოვნა იმით დაასაბუთეს, რომ შესაძლებელი ჰქონდათ განცხადება. ნოე ჟორდანიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ქართველებს სურვილი ჰქონდათ სომხებთან და აზერბაიჯანელებთან თანხმობით ემოქმედათ, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ეს არ მოხერხდა: ამიერკავკასიის სეიმის სხდომა 25 მაისს აღარ შედგება, ამიტომ ქართველებმა ცალკე უნდა განიხილონ საკითხი. ნოე ჟორდანიამ აღმასკომის წევრებს აცნობა, რომ 26 მაისს 12 საათზე შედგებოდა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, სეიმის სხდომის შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭო გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.¹⁰⁰

ნოე ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ გაიმართა მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი წევრი თვლიდა, რომ რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადება სასწრაფოა, დაუყოვნებლივ, იმავე დღეს - 25 მაისს გამოეცხადებინათ აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.¹⁰¹ ნოე ჟორდანიამ განმარტა: ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამდე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გაურკვევლობას შექმნის, რადგან იარსებებს ორი მთავრობა - ამიერკავკასიისა და საქართველოსი. გამომდინარე აქედან, ნოე ჟორდანიას ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადებას მეორე დღისათვის - 26 მაისისათვის.¹⁰² შეთანხმება ვერ მოხერხდა, ამიტომ კენჭისყრაზე დადგა საკითხი: „საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ“. 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა 6 კაცმა, 26 მაისს გამოცხადებას - 4 კაცმა. გადაწყდა, აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოცხადებულიყო 25 მაისს. კენჭისყრის შემდეგ განცხადება გააკეთა ნოე ჟორდანიამ, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებლობას იხსნიდა მოსალოდნელ შედეგებზე.¹⁰³

1918 წლის 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა. კენჭისყრიდან სულ მცირე ხანში გაირკვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შემუშავებული არ იყო, რამაც თავისთავად გამოიწვია დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადება 26 მაისისათვის. ნოე რამიშვილის წინადადებით გადაწყდა: **26 მაისს დღით 10 საათზე შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, ხოლო 12 საათზე - საქართველოს ეროვნული საბჭო.**¹⁰⁴

მას შემდეგ, რაც დადგინდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე, ნოე ჟორდანიამ შეიტანა წინადადება, გარკვეულიყო ის საკითხები, რომელიც 26 მაისს უნდა განეხილათ და დაემტკიცებინათ:

- 1. რომელი კანონები იმოქმედებენ საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ;**
- 2. საფინანსო სისტემა;**
- 3. რკინიგზა;**
- 4. ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია;**
- 5. მთავრობის ორგანიზაცია.**

ყველა ამ საკითხზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება:

¹⁰⁰ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 2.

¹⁰¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 2.

¹⁰² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 2.

¹⁰³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 2.

¹⁰⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 2.

1. დამოუკიდებელ საქართველოში იმოქმედებდა ყველა ის ძველი კანონი და ამიერკავკასიის სეიმის დადგენილება, რომლებიც მოქმედებდა ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკაში.

2. ფულის ბეჭდვის წესი დროებით, საქართველოს საფინანსო სისტემის შემუშავებამდე, რჩებოდა ძველი. საქართველოს საფინანსო დაწესებულებებში, სანამ ფულის სისტემა იქნებოდა ძველი, თავიანთი წარმომადგენლები ეყოლებოდათ სომხეთსა და აზერბაიჯანს.

3. რკინიგზის სამმართველო საქართველოს ხელში რჩებოდა. სომხეთთან და აზერბაიჯანთან სადაო საკითხები უნდა გარკვეულიყო მოლაპარაკებით.

4. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უნდა გაუქმებულიყო, მის ნაცვლად ეროვნული საბჭოს კრება აირჩევა პრეზიდენტს. ახლადარჩეულ სამანდატო კომისიას უნდა მოეხდინა ეროვნული საბჭოს წევრთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვა.

5. საქართველოს მთავრობაში უნდა შექმნილიყო შემდეგი სამინისტროები:

- ა) შინაგან საქმეთა
- ბ) საგარეო
- გ) სამხედრო
- დ) ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
- ე) განათლების
- ვ) მიწათმოქმედების
- ზ) იუსტიციის
- თ) გზათა

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ შემდეგი პირები:

- ა) **ნოე რამიშვილი** - მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი.
- ბ) **აკაკი ჩხენკელი** - საგარეო საქმეთა მინისტრი.
- გ) **გრიგოლ გიორგაძე** - სამხედრო მინისტრი.
- დ) **გიორგი ჟურული** - ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.
- ე) **გიორგი ლასხიშვილი** - განათლების მინისტრი.
- ვ) **ნოე ხომერიკი** - მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი.
- ზ) **შალვა მესხიშვილი** - იუსტიციის მინისტრი.
- თ) **ივანე ლორთქიფანიძე** - გზათა მინისტრი.¹⁰⁵

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ბოლოს წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, რომელიც კომისიამ შემუშავა. აქტის ტექსტის მიმართ გამოითქვა შენიშვნები. გამოთქმული შენიშვნების მიხედვით დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის შესწორება დაევალია ნოე ჟორდანიას.¹⁰⁶

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 25 მაისის სხდომა დამთავრდა ღამის თორმეტის ნახევარზე.

1918 წლის 25 მაისს თბილისის საქალაქო თვითმმართველობამ მოწოდებით მიმართა თბილისის მოქალაქეებს. მიმართვაში მოკლედ იყო დახასიათებული შექმნილი სამხედრო პოლიტიკური სიტუაცია, მინიშნებული იყო იმ დიდ საფრთხეზე, რომელიც საქართველოს და თბილისს ემუქრებოდა ოსმალეთის მხრიდან. საქალაქო თვითმმართველობა მოუწოდებდა თბილისელებს მზად ყოფილიყვნენ მტრისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად.¹⁰⁷

მეორე დღეს 26 მაისი თენდებოდა ...

¹⁰⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 3.

¹⁰⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 4.

¹⁰⁷ Документы и материалы по внешней политике закавказья и Грузии, Тифлис, 1919 стр.308.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ურთულეს სამხედრო პოლიტიკურ ვითარებაში, პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის პირობებში მზადდებოდა. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში გაბატონებას ცდილობდა ორი სახელმწიფო - საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი, გააქტიურდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების (გერმანია, ინგლისი) პოლიტიკა რეგიონში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ფონზე სულ უფრო და უფრო სამიმ ხასიათს იძენდა სეპარატისტული მოძრაობა საქართველოს ცალკეულ კუთხეებში (აფხაზეთში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში). იდეური უთანხმოება ძლიერდებოდა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში... მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმე ბოლომდე მიიყვანა, მოხდა ის, რაც ბევრ ქართველ პატრიოტსაც კი შეუძლებლად მიაჩნდა, რაც სულ ცოტა ხნის წინ ოცნების სფეროს განეკუთვნებოდა.

Georgia on the Historical Crossroad (1917-1918)

Summary

Revolution of February-March 1917 resulted in collapse of the Russian Empire and favorable conditions for self-determination of the nations annexed by Russian Empire. Georgian nation was among these nations. From March 1917, in Georgia, powerful rise of Georgian movement commenced. Setting of the strategies and tactics of Georgian national movement was required. The first and second Georgian inter-party assemblies have played significant role in identification of the national movement goals and objectives. Participants of the inter-party assemblies were the representatives of Georgian political parties (Social-democrats, National-democrats, Socialist-federalists, Socialist-revolutionaries etc.). In August 1917, the third inter-party assembly made decision to establish permanent authority – Georgian National Inter-party Council (Chairperson – Akaki Chkhenkeli) for the purpose of leadership of the national movement. Arrangement of the First National Congress of Georgia (19-23 November 1917) is of particular significance in the history of effective activities of the Inter-Party Council. National congress had to develop the action plan for Georgian National Movement in the current political situation. National Congress, irrespective of the different views of the delegates, in the most heavy-military-political situation, managed to set the political orientation of Georgian nation. In addition, the National Congress has elected the authority for movement leadership – National Council of Georgia (Chairman – Noe Zhordania). National Council of Georgia included famous politicians: Noe Zhordania, Akaki Chkhenkeli, Noe Ramishvili, Evgeni Gegechkori, George Gvazava, Grigol Veshapeli, Spiridon Kedia, Grigol Rtskhiladze, Ioseb Gobechia etc., as well as outstanding public figures and scientists: Niko Niokoladze, Gerogti Kikodze, Pavle Ingorokva, Dimitri Uznadze, Ekvtime Takaishvili etc. National Council of Georgia has fulfilled its mission – on 26 May 1918, restoration of the state independence of Georgia was declared.

First National Assembly of Georgia (19-24 November 1917) set the strategy and tactics of the national Movement of Georgia. Restoration of the state independence of Georgia was declared as the final goal of the national movement. Fight for achievement of this goal gradually revealed two tactical lines: 1. National Democrats (George Gvazava, Grigol Veshapeli, Revaz Gabashvili and others) demanded wide promotion of the state independence idea and regarded that confrontation with the Soviet Russia was inevitable; 2. Social Democrats (Noe Zhordania, Noe Ramishvili, Karlo Chkheidze, Irakli Tsereteli and others) and Socialist Federalists (George Lashishvili, Grigol Rtskhiladze and others) abstained from wide promotion of the state independence idea and attempted to avoid confrontation with Soviet Russia. In the period of preparing for the state independence of Georgia it became apparent that the Soviet Russia and Ottoman Empire would make their best efforts to prevent this process and this meant that Georgian political elite had to find the allies for the process of independence restoration in the European countries. In the period of the World War I it was very difficult to find such allies and finally German Empire undertook the mission of allies and with its assistance, in 26 May 1918 the state independence of Georgian state was restored.

როზეტა გუჯეჯიანი

ეთნიკურ ქართველთა განსახლების არეალი და ისტორიული მასსოვრობის ფაქტები ზემო მაჭახელში

ზემო მაჭახლის ხეობაში მიმდინარე ეთნო-კულტურული პროცესები ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისათვის უცნობი იყო მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში და შემდეგაც ერთი ათეული წლის მანძილზე¹. საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის საზღვრის გახსნის შემდგომაც, ვიდრე 2008 წლამდე, ამ მხარეში ქართველ მეცნიერთა ექსპედიციები არ განხორციელებულა. პირველმა კომპლექსურმა (ეთნოლოგები, ეთნომუსიკოლოგი, ლინგვისტი) სამეცნიერო ექსპედიციამ ზემო მაჭახელში იმუშავა 2008 წელს, აპრილსა და ივნისში. მოპოვებულ იქნა ზედაპირული ინფორმაცია ამ მხარის ქართველთა ყოფისა და კულტურის შესახებ (რ. გუჯეჯიანი, ნ. შოშიტაშვილი, ნ. ვალიშვილი, ტ. ფუტკარაძე, გ. ჭეიშვილი). ჩემი ინდივიდუალური ექსპედიციები განხორციელდა შემდგომ წლებშიც (2011 წლის აგვისტო, 2012 წლის ივნისი, ხოლო 2012 წლის აგვისტო-სექტემბერში რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ფარგლებში რ. გუჯეჯიანი და ნ. შოშიტაშვილი შედარებით ხანგრძლივი დროით ვიკვლევდით ხეობის ტრადიციულ ქართულ კულტურას. 2013 წლის განმავლობაში სამჯერ მოვიარე ზემო მაჭახელი, 2014 წელს კი შედგა ორკვირიანი ექსპედიცია).

ნაშრომი ეყრდნობა უკვე არსებულ სამეცნიერო გამოკვლევებსა და 2008-2014 წლების ექსპედიციების დროს მოძიებულ პირად საველე-ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც ტექსტში დახრილი ფორმატითაა წარმოდგენილი².

ზემო მაჭახლის ხეობა ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხით მეტად საინტერესო მიკრორეგიონია. ეს ტერიტორია თურქეთის რესპუბლიკაშია მოქცეული (ართვინის რეგიონი, ბორჩხის რაიონი). ზემო მაჭახლის მოსახლეობა ეთნიკურად მთლიანად ქართველია (დაახლოებით

¹ საბჭოთა სივრცეში და შემდგომაც მაჭახლის ტრადიციული ყოფის, ხელოსნობის დარგების და სხვ. შესახებ სამეცნიერო შრომები გამოსცა ნოდარ კახიძემ - (ნ. კახიძე, მაჭახელის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი. ბათუმი, 1974). საზღვრის გახსნის შემდეგ ზემო მაჭახელთა (ადგილობრივი და მუჰაჯირთა შთამომავალი) მეტყველების თავისებურებების შესახებ უძვირფასესი ინფორმაცია მკითხველს შუშანა ფუტკარაძემ მიაწოდა (შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993, გვ. 333-370). ზემო მაჭახლის თანამედროვე ყოფისა და კულტურის შესახებ პირველი ინფორმაცია მოგავწოდეს ირაკლი კობლატაძემ და ირინე გივიაშვილმა. საქართველოს მოქალაქე მეცნიერთა მხრიდან ისინი პირველნი სტუმრობდნენ ზემო მაჭახელს. 2008 წელს შედგა ქართველ მეცნიერთა ჯგუფის (ნ. შოშიტაშვილი, ნ. ავალიშვილი, რ. გუჯეჯიანი, ტ. ფუტკარაძე, გ. ჭეიშვილი) მცირე ექსპედიცია (აპრილი, ივნისი). გემასპინძლობდა აწ გარდაცვლილი ბატონი ჰალით ოსკეთის (ფუტკარაძის) ოჯახი. ამ ექსპედიციის შედეგები გამოქვეყნდა რამდენიმე სტატიის სახით (რ. გუჯეჯიანი, რ. თოფჩიშვილი, ნ. შოშიტაშვილი, გ. ჭეიშვილი. ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელი (2008 წლის პირველი ნახევრის ექსპედიციის შედეგები) – კრებული „ტბელობა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, საქართველოს საპატრიარქო, ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი, სხალთის ეპარქია, 2008. გვ. 318-322. რ. გუჯეჯიანი, რ. თოფჩიშვილი, ტ. ფუტკარაძე, ნ. შოშიტაშვილი, გ. ჭეიშვილი. ზედა მაჭახელი, – კრებული, ქართველური მეცნიერება, ტ. XII, ქუთაისი, 2008, გვ., 73-87). 2010 წელს ზემო მაჭახელში იმუშავა ბათუმელ ეთნოლოგთა ჯგუფმა (ნ. კახიძე, რ. მალაყმაძე). გამოქვეყნდა რამდენიმე უაღრესად საინტერესო ნაშრომი (ნ. კახიძე, რ. მალაყმაძე. მაჭახლის ხეობის დედაკლესია, – კრებული ჩვენი სულიერების ბალაგარი, III, თბ., 2011, გვ. 48-55; რ. მალაყმაძე ზედა მაჭახელი, – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სასწავლო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. აჰმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები „საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდლობა და პერსპექტივები“, თბ., 2012). 2012-2013 წლების განმავლობაში ზემო მაჭახელში შედგა შედარებით ხანგრძლივი ექსპედიციები (ნ. შოშიტაშვილი, რ. გუჯეჯიანი). გამოქვეყნდა სტატიები: რ. გუჯეჯიანი. ვახტანგ მალაყმაძე (ჰაირი ჰაირიოღლუ) – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თურქეთში (1936-2003 წწ.), გვ., 364-375; რ. გუჯეჯიანი. მინდეთის თემი (ზედა მაჭახელი, თურქეთის რესპუბლიკა), - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 6, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, გვ., 357-371 და სხვ.

² მიზრობებლები: შუქრუ კაია (ვაცაძე), ბესიმ შიშეკი (სანაძე), ზეჰრა აფჯი/კვატალიძე, ლურალი სარი (გუნდარიძე); ჰასან შიშეკი, ჰამდი ოზდემირი (ქათამაძე), აწ გარდაცვლილი ქაზიმ იიემი (ირემაძე).

420 ოჯახია). ზემო მაჭახელა 6 სოფლისაგან შედგება: **Camili (ხერთვისი), Duzenli (ზედგაკე), Efeler (ეფრატი)**³, **Kayalar (ქაბითავი), Maral (მინდიეთი), Ugur (აკრია)**. სოფლების ოფიციალური სახელწოდებები 1928 წლიდან თურქულია, მაგრამ მოსახლეობა იყენებს ქართულ სახელებსაც. ექვსივე ადმინისტრაციული ერთეული თურქეთის ადმინისტრაციული დაყოფით სოფლებად ითვლება და ისინი სამუხტრო⁴ ერთეულებს ქმნიან⁵. რეალურად კი ეს სოფლები თემებს წარმოადგენს და ყოველი მათგანი სხვადასხვა რაოდენობის სოფლებისაგან შედგება. „სოფლის“ ადეკვატურ ტერმინად ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეებში ტერმინი „მაჰალე“ გამოიყენება. ზემო მაჭახლის ადმინისტრაციული ცენტრი **ხერთვისშია** და იქვეა მეორე საფეხურის სკოლა, რომელიც პანსიონის ტიპისაა და მოსწავლეები იქ რჩებიან ორშაბათიდან პარასკევამდე.

ზემო მაჭახელელთა დიდი ნაწილი ცხოვრობს და მუშაობს ართვინსა და ბორჩხაში, აგრეთვე, თურქეთის ცენტრალურ თუ შავიზღვისპირეთის ქალაქებსა და რეგიონებში. მუჰაჯირობის დროს გადასული მაჭახელები, ძირითადად, თავმოყრილნი არიან და კომპაქტურად სახლობენ საქარაის, ბოლუს, ბურსის, სტამბოლისა და უნიეს რეგიონებში.

ისტორიული საქართველოს სხვა მხარეებისგან განსხვავებით (იმერხევის, დევსქელის, მურღულის, პარხლისწყლის ხეობები), ზემო მაჭახელაში მიგრაციული პროცესები შედარებით ნაკლებად შეინიშნება. აქ საზამთროდ ბევრად მეტი ოჯახი რჩება (320 კომლი). დაახლოებით 100-მდე ოჯახი კი შემოდგომის დადგომამდე გადადის ქალაქებში საცხოვრებლად და ნოემბრის დასაწყისიდან ხეობაში მხოლოდ მუდმივი მოსახლეობა ცხოვრობს. ზემო მაჭახელა ხალხით ივსება აპრილის თვიდან, როდესაც პაწამთის უღელტეხილზე თოვლის სიმაღლე იკლებს.

ზემო მაჭახელი 1921 წლიდან თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია მაჭახლის მეორე, უფრო ვრცელი ნაწილი, ქვემო მაჭახელი, საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაშია. აქ 12 თემია (ხელვაჩაურის რაიონი).

მაჭახლის ხეობა ძველთაგანვე მოიცავდა იმდროინდელი მსოფლიოს მთავარი სავაჭრო გზის ერთ მონაკვეთს: აჭარის ზღვის სანაპირო ზოლზე გადიოდა გზა, რომელიც მოემართებოდა რომისა და ბიზანტიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან. გზა ჭოროხის შესართავთან ორად იყოფოდა: ერთი გზა ჭოროხს მიუყვებოდა ზევით და მაჭახლის გალით გადიოდა შავშეთში, მეორე გზა კი – ზღვის სანაპიროს მიუყვებოდა⁶.

მაჭახლის ხეობა აქტიურ როლს თამაშობდა საქართველოს პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. საისტორიო საბუთების მიხედვით, მაჭახელი ტბეთის ეპარქიის ნაწილი იყო. ხეობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული „ტბეთის სულთა მატიანეში“ (ისტორიული სახელით, „სულთა მატიანე მიჭინიანის ხევისა“). დოკუმენტი მოიცავს XII-XIV საუკუნეების ჩანაწერებს. საისტორიო წყაროთი ირკვევა, რომ მაჭახლის ხეობის თავდაპირველი სახელი „მიჭინიანი“⁷. არსებობს XVI საუკუნის დასაწყისის დოკუმენტიც – სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამწყსოების შესახებ, სადაც ხეობას კვლავ „მიჭინიანი“ ჰქვია⁸.

³ ძველი სახელია **ეფრატი**.

⁴ მუხტარი – სოფლის არჩევითი გამგებელი.

⁵ ზემო მაჭახელი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. ცნობილია, თურქეთის სახელმწიფოს მიერ სოფლად (ქოი) ჩათვლილი ყოველი ქართული დასახლებული პუნქტი რამდენიმე დამოუკიდებელი სახელის მქონე სოფლისაგან შედგება, ანუ ქოი ქმნის სოფელთა (მაჰალეები) კრებულს. ოფიციალურად ყოველი ასეთი კრებული სოფლად (ქოი) არის გატარებული და ერთი გამგებელი (მუხტარი) ჰყავს. ვფიქრობ, მართებული იქნება, ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეებში არსებული ტრადიციული ქართული დასახლებული პუნქტების აღსანიშნავად გამოყენებულ იქნას ტერმინი **თემი** და არა სოფელი. ამგვარი დასახლების სტრუქტურა დამახასიათებელია საქართველოს სხვა მთიანი მხარეებისათვისაც, მაგალითად, სვანეთისა და ზემო აჭარის ყოველი თემი რამდენიმე ცალკეული სოფლისაგან შედგება და მათ თემის სახელი აერთიანებთ.

⁶ **6. ლომოური**. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, IV, ნაკვეთი, I, 1957; **ი. სიხარულიძე**. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. I, ბათუმი, 1958. **6. კახიძე**. მაჭახლის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), ბათუმი, 1974.

⁷ ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები, III, ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო **თინა ენუქიძემ**. „მეცნიერება“, თბილისი, 1977, გვ., 86.

⁸ **დ. ბაქრაძე**. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ), ბათუმი, 1987.

„სულთა მატანე მიჭინიანის ხევისა“ მოიხსენიებს მაჭახლის რამდენიმე სოფელს (**ზედგაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ეფრათი, ერთვისი**) და იქ მცხოვრებ საგვარეულოებს, რომელთა შთამომავლების დიდ ნაწილს დღესაც ახსოვს თავისი ძველი ქართული გვარი. თავისთავად თანამედროვე მაჭახლელთა საგვარეულო ისტორიები რთული პროცესის შედეგია: ისლამის მიღების შემდეგ ისინი იღებენ „ოღლუ“//„ოღლი“ დაბოლოებებს, მაგრამ ახსოვდათ წინაპართა გვარებიც. თურქეთის რესპუბლიკის შექმნის დროიდან კი მათ, ისევე როგორც თურქეთის მთელ მოსახლეობას, ანიჭებენ ხელოვნურ გვარებს. მაგალითად, მინდიეთის თემის სოფელ გივიეთსა და ზემზვარეში მცხოვრები გივიძეები ოსმალურ პერიოდში იწოდებოდნენ „უსტალოღლებად“, რესპუბლიკის დროიდან კი – „აიდინებად“. ასეთი სიტუაციაა ყველა სხვა გვართან დაკავშირებით. მოსახლეობის ნაწილს დაკარგული აქვს ქართული გვარების ხსოვნა.

გვიან შუასაუკუნეებში მაჭახელიც ოსმალთა უღელქვეშ აღმოჩნდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობელს. ეთნოგრაფიული მასალით ცნობილია, რომ მაჭახლის მოსახლეობა, აჭარასთან ერთად, ყველაზე გვიან გაშუსლიმდა. მაჭახლის ხეობის ლეგენდა-გადმოცემებს შემოუნახავთ მრავალი გმირისა და რელიგიური მოწამის სახელი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აზნაურ ძნელაძეთა მოწამებრივი ცხოვრების ისტორია⁹. არსებობს საისტორიო ცნობები ანტიოსმალური აჯანყებების შესახებაც¹⁰. ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად მოპოვებული მასალით, განსაკუთრებულ წინააღმდეგობას ოსმალებს უწევდა მინდიეთელი ახმეთ ირემაძე, სოფელ ირემეთიდან. მას იქ საკუთარი ციხეც ჰქონია, რომლის ნანგრევები დღესაც შემონახულია. ახმეთ ირემაძე გამორჩეული მსროლელი და დაუმორჩილებელი, თავისუფლებისმოყვარე ადამიანი ყოფილა, გარეგნულად კი დიდად არ გამოირჩეოდა. მისი მეთაურობით გაერთიანებული მაჭახლელები ხეობაში არ უშვებდნენ ოსმალ გადასახადების ამკრეფებს. შეწუხებულ სულთან აბდულ-ჰამიდს დაუმორჩილებელი მაჭახლელი თავისთან დაუბარებია. ახმეთ ირემაძე ელაში ყოფილა და სულთნის სასახლეში შესულს დარბაზი დაცინვით შეხვედრია. სულთანს უთქვამს, ეს ელაში კაცი მე მეჯიბრებოდიო? ამაყ მაჭახლელს უპასუხია, ელაში რომ ვარ, ამიტომ ზიხარ, სულთანო, იმ ტახტზე, თორემ მაგასაც შეგეცილებოდიო. ვეზირებს ახმეთის მოკვლა დაუბირებიათ, მაგრამ სულთანს შეუწყალებია დაუმორჩილებელი მაჭახლელი და მისთვის თექქირაზის მიწა-წყალი უბოძებია (უნიეს მხარე). თექქირაზში წასულ ახმეთს ჩაუსწრო ინფორმაციამ 1878 წლის მოვლენების (ბერლინის კონგრესი) შესახებ. ოსმალებს შეშინებიათ, რომ ახმეთ ირემაძე მთელ მაჭახელს კვლავ ააჯანყებდა და ამიტომ იგი ღალატით მოუკლავთ. ის დამარხულია თექქირაზში.

1878 წლიდან მაჭახელზე ვრცელდებოდა რუსეთის იურისდიქცია და ცარიზმის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად ამ დროს („მუჰაჯირობის“ პერიოდი) და, აგრეთვე, 1921 წლიდან მაჭახელი დატოვა მრავალმა ქართველმა. მუჰაჯირობის დროს გადასახლებულ მაჭახლელთა შთამომავლები დღეს კომპაქტურად სახლობენ თურქეთის ცენტრალურ და შავიღვისპირეთის რეგიონებში. 1878 წლის მუჰაჯირობა განსაკუთრებით მასშტაბური ყოფილა. ხალხი სოფლებიდან წასულა ჯერ კიდევ რუსების შემოსვლამდე. ამ დროს თითქმის განახევრებულია მოსახლეობის რაოდენობა. მაგალითად, მინდიეთელთა ნახევარზე მეტი გადასახლებულია ორდუს ვილაიეთის უნიეს რაიონის სოფელ თექქირაზში. მუჰაჯირად წასულთა ერთი ნაწილი რამდენიმე წლის შემდეგ უკანვე დაბრუნებულია და მამაპაპეულ საცხოვრისში აღუდგენია კერა. ნაწილი კი უნიეს მხარეში დარჩენილა, მათ შთამომავლებს დღესაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მაჭახელში მცხოვრებ ნათესავებთან. მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლები

⁹ ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გამუსლიმება, თბილისი, 2004.

¹⁰ ა. სურგულაძე, განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში XIX საუკუნის 30-70-იან წლებში, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VI, თბილისი, 1978.

კომპაქტურად ცხოვრობენ სტამბოლთან ახლოს, შილეს სოფლებში, ცენტრალურ თურქეთში, ინგეოლის რაიონში, ყარასუს რაიონში და სხვ.

როგორც უკვე ითქვა, დღეისათვის ზემო მაჭახლის მოსახლეობა ეთნიკურად მთლიანად ქართველია, აქ ადგილობრივი ქართველები ცხოვრობენ, თუმცა მთხრობელთა გადმოცემით, საზღვრისპირა ორ სოფელში – აკრასა და მინდიეთში სახლობენ აჭარიდან გადმოსახლებულთა შთამომავლებიც, ცხადია, ასევე ქართველები. ზედაკის თემში ცხოვრობს, რამდენიმე, ასევე, ქართველი, ლაზის (ჭანის) შთამომავალი.

ზემო მაჭახელში სამანქანო გზა ადის როგორც თურქეთის მხრიდან (ბორჩხიდან, ქლასკურის გავლით), ასევე საქართველოდან (ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ჩხუტუნეთი), მაგრამ უშუალო საზღვარი საქართველოსთან (ქვედა მაჭახელი, ხელვაჩაურის რაიონის სოფელი ზედა ჩხუტუნეთი) ჯერჯერობით ჩაკეტილია. იმედა, მეზობელ სახელმწიფოთა შორის არსებული მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე, აქაც გაიხსნება საზღვარი. ანუ, ჩვენი დროისთვისაც, ჯერჯერობით, ზემო მაჭახელში ავდივართ მხოლოდ სარფის საზღვრიდან, ნიგალის//ლიგანის ხეობის გავლით, საიდანაც შევალთ ხოფის რაიონში, შემდეგ – ბორჩხის რაიონში და ცენტრიდან გზას გაუყვებით მდინარე ჭოროხის მარჯვენა ნაპირით ხეობაში. აქ მდინარე ჭოროხს მარჯვენა ნაპირიდან უერთდება ქლასკურის წყალი, რომელსაც აღმა მიუყვებით. ჯერ გავივლით ქვემო ქლასკურის სოფლებს, შემდეგ – ზემო ქლასკურს, რომლებიც ასევე ქართული დასახლებებია. აქედან არის გადასახვევი შავი ტბის კურორტისაკენ (ყარაგოლი). პაწამთის უღელტეხილამდე დაახლოებით ერთი საათის სავალია. კარჩხალის განშტოების - პაწამთის გადმოლაზვის შემდეგ სამანქანო გზა მიუყვება ფიქალთიქელს, შემდეგ – ურთხლიქელს, ხიდითავს, ნაველებს და შევდივართ ზემო მაჭახლის **ზედაკის თემში**.

ზედაკის გაღმა, ეფრატისწყლის ხეობაში **ეფრატის თემი** მდებარეობს. დიდი თემია **ქუაბითავიც**. ყველაზე დაბლა, ზედა ჩხუტუნეთის (საქართველო) მახლობლად **ხერთვისის თემია**, საიდანაც მდინარე დიდელის, რომლის პარალელური სახელია მინდიეთის დეღე (რაც ეფრატსწყალთან შეერთების შედეგად ქმის მდინარე მაჭახელს), იწყება **მინდიეთის თემი**. მინდიეთის თემის სოფლები განლაგებულია მდინარის ორივე ნაპირზე, სოფლები შეფენილია მთებზე. მინდიეთის თემის შემდეგ მდებარეობს **აკრის თემი**.

1921 წლამდე ზემო მაჭახლისთვის ბართან, ქალაქთან ურთიერთობის მარშრუტი შემდეგი სახისა იყო: ქვემო მაჭახლის გავლით ჩადიოდნენ ბათუმში ან მარადიდში (სადაც იმართებოდა ცნობილი ბაზრობა). როდესაც ზემო მაჭახლელებისათვის ეს გზები ჩაიკეტა, აქაურები იძულებულნი გახდნენ, სხვა გზები ეძებნათ. რასაკვირველია, ზემო მაჭახლის მოსახლეობას შიდა გზებითა და საუღელტეხილო ბილიკებით ურთიერთობა მუდამ ჰქონდა ისტორიულ ნიგალის//ლიგანის და შავშეთის მხარეებთან, მაგრამ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებისათვის მეოცე საუკუნის 20-ანი წლების მიწურულამდე ისინი მაინც ბათუმს არჩევდნენ. კარგა ხნის მანძილზე საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმი ვერ ახერხებდა საზღვრის გაკონტროლებას და მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდეც კი ზემო მაჭახლელები გადადიოდნენ ქვემო მაჭახელში და სხვადასხვა ტვირთი გადმოჰქონდათ. ამ დროის ხსოვნა შემონახულია მთხრობელთა ინფორმაციებში „კონტრბანდის დროის“ სახელით. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ზემო მაჭახლელებმა თანდათანობით გზები გაკვალეს ნიგალის//ლიგანის ხეობისაკენ, თუმცა ეს გზა უფრო რთულია და ზამთრობით დღესაც კი 7-8 თვითაა ჩაკეტილი. ახალი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაბმა ზემო მაჭახლელობისათვის რთული აღმოჩნდა, ვინაიდან XX საუკუნის პირველი ოცწლეულის განმავლობაშიც ართვინი, მითუმეტეს, ბორჩხა და ხოფა, ორიენტირებული იყო ბათუმზე და არა ადგილობრივ წარმოებასა და თურქეთის ქალაქებზე.

ზემო მაჭახლის ტრადიციული დასახლების ტიპი და განსახლების სტრუქტურა ტიპური, ქართულია - ხევსპირულია. ადგილობრივთა აზრით, შედარებით ახლად მოშენებული ზედვაკის თემია, თუმცა ქართველთა განსახლების კვალი აქ ბევრად ძველია.

ზემო მაჭახლის რამდენიმე სოფელში შემორჩენილია ეკლესიათა ნანგრევები, რომლებიც ზედაპირული დათვალიერებით მეცხრე-მეათე საუკუნის ქართულ ეკლესიებს გვაგონებს.

ზედვაკის თემის სოფლები არის: **სამარი, ხორგიანი, შავლიეთი, ქობათლუმი, პარასკუეთი, გოხინავრი, კორდენი, ჰასანიეთი, ჯაფარეთი, სურვანა.**

ზედვაკეში შიდა, ანუ მიკროტოპონომებიც, ცხადია, ქართულია: უსტალიანთი, გოხინავრი, ქუნთელეთი, სამანი, ბარაჯგინა, წამალევი, ასანიეთი, ბასხურეთი, ვარდაწყარო, მრგვალყანა, თხილნარა, მორცინალი ქედი, ნადირავი, ურთხლი ქედი, პირითავი, ჭურაი, გორგა ტყე, დათვი ტყე, ტყემლიანი, სამანი, ზვართავი, კოდაველიანი, ბაღასკურეთი, გუნდილეუ და სხვ.

ეფრატის (ეფერატის) თემის ტერიტორია ქათამოს ღელიდან მალევე იწყება. პირველი დასახლებული ადგილები ეფრატის თემში ხერთვისის მხრიდან არის **ხარკაბავლი, ველიანთი, კაკალური და ჭანჭვალევი. კაკალური** ჯერ „მეჭელედ“ არ ითვლება, მაგრამ მზარდი დასახლებული პუნქტია. ეფრატის ცენტრი **ჯამიკარია**, ჯამიკარს სხვა ორი სახელითაც იხსენიებენ: **ნაქილისვარი და სანაკი/სენაკი**, სხვა სოფლები: **ვაციეთი, კობორეთი, კვატალეთი, სკილენჯეთი, ჩუგათი, ტრედაული, სათლელაი, ბარჯგინავი, ნამზირათი/ნამძირათი, ურწყული, კვესავრი, ზედა ჯამიკარი.**

ქუაბითავის თემში შემდეგი სოფლებია: **ნაგომვარი, ქუედა ქუაბითავი, სასამო ქედი, სანადურული, ვაკენთი, ზეგანთი.**

ხერთვისის თემში შედის სოფლები **თევთიეთი, მალაყმითი, ყულე, ყულიქედი, ღობალური, მალაყმითი, ქათაბო, ქვაბისული, წითელკილდე.**

მინდიეთის თემში რამდენიმე დიდი და პატარა სოფელია: **ირემეთი, ზეკალეთი, ოსანეთი, ქავთარეთი, გივიეთი, ცეცხლეთი, კონკალათი, ზემტყისი, ზემზვარე (გივიეთის საკარია, მაჰალე), ველის ნახევარი, წიახის ნახევარი, ცივნარეთი, კორტანეთი, გოგორტყე, ჯორიეთი, დიდტყე.**

აკრიას თემის სოფლები: **ველი, უკანატყე, მელასათიბი, ჯამიკარი, კონკალათი, ნაფეტუარი, ველის ნახევარი, წიახის ნახევარი.**

სოფლების ოფიციალური სახელწოდებები XX საუკუნის 50-იანი წლებიდან თურქულია, შეცვლილია თვით მაჰალეების სახელებიც კი. მაგალითად, ირემეთის თურქული სახელია „ურუნლუ“, მაგრამ მოსახლეობა სასაუბრო მეტყველების დროს იყენებს ქართულ სახელებს.

ზემო მაჭახლის წყალუხვი მდინარეებია: მინდიეთის, ეფრატის, გოხინავრის, ტეკუწვერის ღელეები, ფესვიწყალი. მდინარე ეფრატი იქმნება სანაქის/სენაკის ხიდან, სადაც ტრედაულის და ჩუგათის ღელეები ერთდება. აქედან მდინარის სახელი **ეფრატია** და იგი ხერთვისთან უერთდება **მინდიეთის ღელეს/დიდღელეს**. მათი შეერთებით ხერთვისში იქმნება **მაჭახლის ღელე**.

ზაფხულობით მოსახლეობის უკვე მხოლოდ ერთი ნაწილი მიემართება საზაფხულო სადგომებისაკენ მთაში (იალიებზე). იაილებს ქვემოთ ყიშლებია, სადაც ადრე შემოდგომით დიდი მთიდან ჩამოივაკებენ რამდენიმე კვირით.

ზემო მაჭახლის კულტურული ავთენტურობის შემონახვა ჩვენს დრომდე ბევრი სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული და ამ მხრივ განსკუთრებით მნიშვნელოვანია ზემო მაჭახლის იუნესკოს მიერ დაცულ ტერიტორიად გამოცხადება. ეს რთული პროცესი იყო და მიზნის მისაღწევად დიდი ღვაწლი გასწიეს ადგილობრივებმა.

ზემო მაჭახლელთა ტრადიციულ ყოფაში სოციალური (კოლექტიური) მასსოვრობის ფაქტებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. კვლევის შედეგად მოპოვებული ისტორიული სიუჟეტები, ცხადია, დაცილებულია კონკრეტულ ისტორიულ დროსა და გარემოს, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგანაც კოლექტიურ მასსოვრობას კონკრეტული და ინდივიდუალური ნიშნების

თანდათანობითი გაქრობა ახასიათებს. სოციალური მახსოვრობა ინახავს მხოლოდ არსობრივად მნიშვნელოვან ფაქტებს და ახდენს მათ მკვეთრ მითოლოგიზირებას. სხვადასხვა ისტორიული ფაქტის ანარეკლი უნივერსალური სიუჟეტების სახით არის გავრცელებული მთელ ზემო მაჭახელსა და აქედან თურქეთის ცენტრალურ და შავიზღვისპირეთის რეგიონებში გადასახლებულ „მუჰაჯირთა“ და ეკონომიკურ მიგრანტთა შთამომავლებში¹¹.

უნივერსალურ ფაქტად ზემო მაჭახელელთა შორის დასტურდება წმიდა თამარ მეფესთან („**თამარ დედოფალი**“) დაკავშირებული ისტორიული მომენტები, რომელთა ნაწილი, ამავე დროს, უნივერსალურია საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისთვისაც. ცნობილია, თამარ მეფის ნათელი ხატება თურქეთელ ქართველთათვის ეთნიკური იდენტობის უმთავრესი ნიშანია და ტრადიციულ ქართულ კულტურასთან მაკავშირებელი მთავარი ისტორიული ფაქტია. თამარ მეფის შესახებ არსებული გადმოცემები ისტორიული მეხსიერების ხანდაზმულობისა და დროში გამძლეობის იშვიათი ნიმუშებია. გადმოცემებში ასახულია საისტორიო წყაროებიდან და საეკლესიო ტრადიციებიდან შემეცნებული ელემენტები. ამ ინფორმაციათა შორის ცალკე გამოიყოფა ლეგენდა-გადმოცემათა ლოკალური მახასიათებლებით აღჭურვილი ნაწილი: მაჭახელები ხაზგასმით აღნიშნავენ წმიდა მეფის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მათ მხარესთან, დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ მაჭახელშია წმიდა მეფე დაკრძალული და ა. შ. აგრეთვე, ეფრატის თემში მდებარე „მაჭახლის დედა-ეკლესია“ წოდებული ტაძარი¹² მჭიდროდ უკავშირდება წმიდა თამარ მეფის სახელს.

ცნობილია, გვიანშუასაუკუნეებშიც მაჭახელზე გადიოდა მთავარი საქარაენო-სავაჭრო გზის ერთ მონაკვეთი შავშეთისაკენ (აქედან კი გზა მიდიოდა არტაანში, ყარსში, კოლაში). გადმოცემით, ამ მხარის ბოლო თემში, ეფრატში, მდებარეობდა ერთ-ერთი საბაჟო პუნქტი. ეფრატის თემს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მაჭახელში. „*ეფრატი იმ სისხლ დადგენილი იყო, მის თავს ემესიჯებოდა, იმდენი ქალაქობა ჰქონდა. მიწაქვეშებში, ყენიებ ქვეშეშებში რომ ჩანს, იქ დიდი ქალაქი ყოფილა. ქვაბითავ რო რაცხა ხალხი არი, ისინი ხერთვისიდან ასულან. იაილებიც ერთი აქეთ. ხერთვისიდან აბარგული ყოფილა. ეფრატიც ისე იქნებოდა, ეფრატელი კაცი თუ იმკენ გადავლა უნდა ბერთისკენ, ლივანისკენ. ეფრატი სახელი ჩემი ჭკუით ვამბობ, რომ კერძოდ ყოფილა. ფეხით აყვებით, ქელზე პლაკებით გუუკეთებთან გზები, იქიდან თურმანეთ უნდა გადახვიდე, იქიდან სათლელ. ეს გზა ძველადაც ისე ნახმარია. მაჭახელ ამეიარდა მგ ზავრი, ერთი ღელე მაჭახლიდან ამოხველ, შავშეთისკენ გედეიარ. ეფრატის ღელე კერძოთია, იმას არ გედეიარ. იქაური გზა ინაიწმიდანდან ჩავლიეთიდან ბერთას ჩადიოდა. ბერთაიდან არტანუჯე გახდებოდა. იმ კაცის მოსავალი – ქალაქი, შეიძლებოდეს, რომ მაჭახელზეც ბევრად წინე ლივანეა. ის კაცი იქიდან ისე იარებოდა. მინდიელმა ლივანე ბელქი არც იცოდა“.*

ეფრატის თემში ჩაწერილი გადმოცემით, ეფრატის დედაეკლესიაში მოღვაწე უკანასკნელ მღვდელს, რომელსაც **სვიმონ ეფრატელი** რქმევია, ოსმალთა თანხმობით ეფრატის ეკლესიიდან წაუღია ქართული ხელნაწერები და ტბეთში გადაუტანია. მღვდელი წარმოშობით იმერხევის სოფელ უსტამისიდან ყოფილა. მთხრობელთა აზრით, „ტბეთის სულთა მატინე“ ეფრატის ეკლესიიდან არის წაღებული სვიმონ ეფრატელის მიერ: „*ამ ქილისეს ფაფაზი*¹³ *რომ წასულა, ოსმანლი ყოფილა აქ, ოსმანლს უთქვია, რომ თქვენ თუ გამუსლიმდებითო, მთელი მიწს მოგცემთო ეფრატში, გადასახდასაც აღარ მისცემთო. ფაფაზსაც უთქვია, რომ მე ვერ ვავმუსლიმდებო, მე*

¹¹ **რ. გუჯეჯიანი.** სოციალური მეხსიერების ფაქტები თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში, - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, სპეციალური გამოშვება „კლარჯეთისა დიდებულია უღაბნითა“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2012. გვ., 51-62.

¹² დღეისათვის ამ ადგილას ეკლესიის საძირკველზე ეკლესიისავე ქვებით აგებულია ჯამე. ადგილს სანაკი/სენაკი ჰქვია. ამჟამად სახელს წარმოთქვამენ როგორც „სანაკ“-ი. შემონახულია სამონასტრო კომპლექსისა და გვირაბების სისტემა.

¹³ ფაფაზი – მღვდელი.

ხრისტიანად უნდა მოვკვდეთ, ჯერ ერთი ჩემს ხალხს დევნიტხვიო. მოუკრებია ხალხი, მეო ვერ უნდა ვავშუსულმანდო, მეო ქილისეში რაც მაქვსო, წიგნები, იმის წაღების ნება მომეცითო. ოსმანლებს ნება მიუციათ. აქედან წასულა ის ფაფაზი ტიბეტში, ის ყოფილა სვიმონ ეფრატელი. ის ყოფილა უსტამისელი. აქაური ქითაბები ტიბეტში ნახულა. ამის მერე ჩვენებს ყველგან მიწა ქონებიან, მერე გუუყიდიან. აქზე იმდარი ლამაზი ქილისე ყოფილა“.

„ნაქილისვარის“ ახლოს, ახლანდელ ჯამიკარში//სანაქში//სენაკში მეტად საინტერესო ნანგრევებია შემორჩენილი. მოჩანს სხვადასხვა ნაგებობის კედლები, დარანები. ამჟამად ნანგრევთა დიდი ნაწილი ბაღებისა და ბაღების ქვეშაა მოქცეული. „აქავრობა ყორეთი იყო აშენებული, ქვით აშენებული, ზეიდანაც მიწა მოყრილი, თავანიც ქვით ქონდა გაკეთებული და წითლად იყო მოხატული. წარწერა არ ქონდა. იქ ვაღმა ვაციეთი ვთქვით, იქ გზა ის ქნა, დუუცვალა დედემ, გზა ზეით იყო და ქვეით ჩეიტანა. იქზე მოთხარა, ორი დიდვანი ღერგი გამოვდა. ერთი გამოიღეს და კირით შეკრილი, არ გატყდება, კირით შეკრილია. ბევრი ძველია. 15 კაცმა კატრებზე გააკრეს და ისე მიიტანეს და ახლა არის იქ ძველ სახლში არი. მიორე გატყდა, ვერ ამოიღეს“.

ეფრატის ეკლესიის დანგრევის შემდგომ სამრეკლო კიდეც დიდხანს მდგარა. ეკლესიის საძირკველი ამჟამადაც შეინიშნება. კედლის ნანგრევის ერთი მოზრდილი ნატეხი სენაკის ქვემოთ, მდინარის პირას დევს ამჟამადაც. „ამ ქილისეს ქვების ნატეხია ქოძოთ. ქილისე დუუტეხითაა ჯამიკარ და აქ ვადმუავდეს“. ნამტვრევი დიდი მოცულობისაა, თლილი ქვები ქვითკირითაა შედუღებულნი. ის მდინარეში ჩაუგდიათ და მთელი 50 წელი ხიდქვეშ წყალში დებულა, ამ რამდენიმე წლის წინ კი წყალს გამოურიყავს და ახლა იქვე ხიდთან ნაპირზეა გადმოტანილი.

ეკლესიის ნაშალი ქვის ნაწილი გამოყენებულია იქვე ეზოში აგებული მხრეთის დამხმარე ნაგებობის საძირკვლად, რომლის ინტერიერიც ქართული ტრადიციული დედაბოძითა და ორნამენტებითაა შემკული.

ყურადღებას იმსახურებს ტოპონიმი „სათლელი“. ეთნოგრაფიული მასალა ავლენს ამ ადგილზე ქვის საბადოებისა და ქვისმთლელობის ტრადიციების არსებობას.

მაჭახლელთა ისტორიულ მახსოვრობაში თამარ მეფის შესახებ არსებული გადმოცემები პირველმა ჩაიწერა ზაქარია ჭიჭინაძემ. ამ გადმოცემებით, თამარ მეფეს უკავშირდება ეფრატისა და ხერთვისის ეკლესიების, ეკლესიათა და ციხეთა დამაკავშირებელი საიდუმლო გვირაბების, ციხის, ხიდის მშენებლობის ისტორია. მშენებლობის ეტაპები საკრალური ელემენტებით არის შემკული, მაჭახლელთა რწმენით, ეს მიდამოები მაჭახლელებისთვის თვით თამარ მეფეს უბოძებია ერთგული სამსახურისთვის; თამარ მეფე ზაფხულობით მაჭახლის ხშირი სტუმარი ყოფილა; ის ხან ქვედა მაჭახლიდან (სადაც გვარას ციხეში ბინავდებოდა) ამობრძანდებოდა, ხან კი შავშეთიდან გადმოდიოდა კარჩხალის მთის გადმოსასვლელებით „ქალაქიდან“. ერთხელაც თამარ მეფეს კოშკიდან გადმოუხედავს და დაუნახავს სასწაულებრივი ცეცხლი//სხივი ეფრატის მთაზე. მეფეს განუღაგებია ჯარისკაცები ექვსი საათის სავალზე და გაუყვანია საიდუმლო მიწისქვეშა გზა ქვედა მაჭახლის ციხიდან ზედა მაჭახლამდე და იმ ღვთისაგან მინიშნებულ ადგილზე დიდი ეკლესია აუგია, იქვე აუშენებია ციხე-კოშკიც. შავშური და ზედა მაჭახლური გადმოცემებით კი თამარ მეფეს კარჩხალის მთაზეც ჰქონია ციხე და სასახლე (დღევანდელ „ნაქალაქეში“) და სწორედ აქედან დაუნახავს სასწაულებრივად ანთებული ცეცხლი//მოკაშკაშე სხივი ეფრატის ეკლესიასთან. მეფეს ეფრატის ეკლესია მალევე მოუნახულებია, თუმცა მაინცდამაინც არ მოსწონებია და ახალი ეკლესიის აგება უბრძანებია მეზობელ სოფელში – ხერთვისში. დაუწყიათ მშენებლობა, მშენებლობა შეფერხებულა, რადგან სამუშაო იარაღები იკარგებოდა. მეფე დაფიქრებულა და უთქვამს: თუ ასეა, შეწყვიტეთ ახალი ეკლესიის შენება, ისევ ეფრატის ეკლესია დარჩეს ამ

ხეობის ქართველების დედაეკლესიად, თუმცა იგი ღარიბად არის ნაშენი, მაგრამ მე გავამდიდრებ, მე შევმოსავ მას ყოვლის სამკაულებითო¹⁴.

ისტორიული მენტალობის კვლევის კუთხით საინტერესოა ამ ტაძართან დაკავშირებული სხვა ლეგენდაც: „ის სხივი, ეკლესიის აღშენების შემდეგაც ჩნდებოდა ეკლესიის ერთს კედელზე, რომელ კედელიც გაკეთებულ იყო იმ ქვის ალაგას, სადაც პირველად ჩნდებოდა უქრობელი ლამპარი. ეკლესიის დასრულებისა და შემკობის შემდეგ... წყევლა-კრულვა დაუდვიათ, რომ ეს ეკლესია არამც და არამც არავინ დააქციოს, თუ თავისით დაიქცეს ოდესმე, მაშინ ეს კედელი მაინც დარჩეს საშვილიშვილოდ“¹⁵.

ლეგენდის სიუჟეტით, აქ შუასაუკუნეების მენტალობის ერთ საგულისხმო მომენტთან – ცნობილ მითოლოგიურ ფაბულასთან – სასწაულებრივი ცეცხლის თვითჩენასთან გვაქვს საქმე, რაც ამ შემთხვევაში ღვთიური მადლის გარდამოსვლის მაუწყებელია და მინიშნებაცაა იმისა, თუ სად უნდა აშენდეს ტაძარი¹⁶. აღსანიშნავია, რომ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ჩაწერილი სიუჟეტები დღესაც ცოცხალია და ამჟამადც ფიქსირდება ზედა მაგახელში.

ჩვენი დროის ეთნოგრაფიული მასალით კარჩხალის მთის ერთ-ერთ კალთას თამარ მეფის დროს ვრცელი და კეთილმოწყობილი ქალაქი ამშვენებდა. ამ ადგილს დღეს **ნაქალაქარ/ნაქალაქევს** უწოდებენ. იგი დასახლებული სოფლებიდან ყველაზე ახლოს ეფრატთანაა. ზედგავის მასალით „ნაქალაქარში თამარაის დროს ზამთარშიც გაზაფხული ყოფილა, სანამ თამარაი კარჩხალის მთაზე, ნაქალაქევში ცხოვრობდა, აქ ზამთარი არ სცოდნია, შვიდ წელიწადს პური კარჩხალის მთაზეც მოჰყავდათ ჩვენს დიდ დედებს, თამარ მეფე რომ წასულა, ზამთარი მერე დაწყებულა“. შესაძლოა, სწორედ ამ „ქალაქს“ გულისხმობს „ტბეთის სულთა მატთანეში“ დაცული ერთი მოსახსენებელი: „თევთისძესა, რომე ქალაქს მოკუდა, გიორგის შეუნდვენ ღმერთმან“¹⁷.

შემონახულია ტოპონიმი „პურიყანა“ და იგი წმიდა თამარ მეფის სახელს უკავშირდება: „პურიყანა იმისთვის დაერქვა, თამარა ყოფილა ქალი, პირველი ყოფილა, ყველაზე დიდი. ირანმა უთხრა, გამემყე. იმან გამოექცა, მოვიდა ჩვენთან კარჩხალში. მოვიდა, ჩაჯდა ნაყორალში, ქალაქი გუუხნდა იქავრობა. მაშინ ზამთარი არ ყოფილა, არ თოვდებოდა მაშინ. პური მოყავდა, სამ-სამ წელიწად, სულ ექვს წელიწად. იქიდან ცაში ნისლი აჩენილა. ამან მაგახლისკენ გამოგზავნა, რომ დეინახეთ, რა ხდება მაგახლისკენ. იენაიწმიდაზე ვერ დუუნახვენ. გადმოსულან მთა ფუნდუყზე. იქიდან ეფრატში ერთი ცეცხლი დუუნახიან, მაშინ, იქ წეხვიდეთაო, იქ გამოგზავნა ამბის გასაგებად. ჩამოვლენ ეფრატ, დაინახვენ, რომ ოთხი მოსახელ არიან. ველები არის? ხეები არის? - უთქვია თამარაის, – წინ ხილები უნდა გაკეთოლო. ფუნდუკიდან ეფრატამდე ასკერები ჩუუმწკვივებია. ქვა ხელიდან ხელში გუდუუციათ, ხიდი გუუკეთებიათ. მაშინ თქვა, იქ ქილესე დავდგა ეფრატ. დუუწყია ქილისეი კეთება. ჩამოსულა ხერთვისს, იქ ხევი ირთვის, თქვა, აქზე გავაკეთო ქილისეო. ეფრატ გაავდლო. დილაზე ადგებიან ხელოსნები, მათი ნაქნარი, ყაზმა რაც ქონდენ, დაკარგულა. მერე ისევ ეფრატში ასულა ნაქნარი. ჩემეიტანენ, ისაქმებენ, დილაზე ნახვენ, ისევ იქ ასულა. იბრეთიო, თქვა. ის გაყორვილი არ, ასე დარჩენილა ჯამისკარზე და ისევ ეფრატზე გუუკეთებია ქილისე. უყურებს კაცს, რანაირად საქმობენ თამარაი, იკანკლეთო უთქვია. დაერქვა იმ იერს **იკანკლეთი**“. ამ ტოპონიმთან დაკავშირებულია შემდეგი ინტერპრეტაცია:

¹⁴ **ზ. ჭიჭინაძე**. წმ. თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანებში შეკრებილის ცნობებით, ტფ., 1911. გვ., 22.
¹⁵ **ზ. ჭიჭინაძე**. იქვე, გვ. 22-23.; **ა. ახვლედიანი**. თამარ მეფის სახე აჭარულ სიტყვიერებაში, – აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1970. გვ., 49; **ი. კობლატაძე**. თქმულებები თამარ მეფის საფლავის შესახებ ისტორიულ კლარჯეთში, – ყურნალი ფიროსმანი, №5, სტამბოლი, 2008, გვ., 26-29.
¹⁶ **რ. გუჯეჯიანი**. ისტორიული მესხიერების ფაქტები ქალაქ ართვინსა და მის მიმდებარე ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე, – წელიწადი, 4, ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წლისთავს. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ქუთაისი, 2012. გვ., 82-97.
¹⁷ ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები, III, ტბეთის სულთა მატთანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საბეჭდოები დაურთო თინა ენუქიძემ, „მეცნიერება“, თბ., 1977.

„კანკრიეთ ვუძახდით გაღმეში, იქიდან რომ წამოღებოდნენო და ქილისეს დეინახავდნენ, კანკალს იწყებდნენ, იმფერი ლამაზი ყოფილა ქილისე, იქ კანკრიეთი იმაზე დაარქვესო“.

ადგილობრივ ქართველებში დღემდე არსებობს რწმენა თამარის სასწაულომოქმედების შესახებ. „სანამ თამარაი კარჩხალის მთაზე, ნაქალაქეში ცხოვრობდა, ამ მხარეში ზამთარი არ სცოდნია“. დღევანდელი მასალით თამარ მეფის რეზიდენცია, „ნაქალაქეში“ უნდა ყოფილიყო. „ნაქალაქევი გამიგია, ვიცი, იქეთ არის მთაზე, ინეწმიდისაკენ, იქ თამარაი იყო“. როგორც ჩანს, „ქალაქი“ ეფრატიდან ლეკობანისაკენ მიმავალ გზაზე არსებობდა და იყო დიდი დასახლებული პუნქტი, მას დღეს „ნაქალაქევად“ მოიხსენიებენ. „ნაქალაქევი ფუნდულზეა. ზეითაა. ნაქალაქევი ძველებურიდან დარჩენილი სახელია. ქვაზე ნავალის ადგილი ეტყობა იქ ფუნდულში. აქ ხიდის ქვები სულ იქიდან ჩამოუტანიათ, ასკერი ყოფილა, ხელიდან ხელში გადაუციათ ქვა“.

ეფრატის დასახლების ისტორია გადმოცემაშია მოთხრობილი. გადმოცემა მითოლოგიურ ელემენტებსაც შეიცავს გამყინვარების შესახებ: „ძუელად ნაქალაქეში რომ მჯდარან, ნისლი ვაჩენილა, სულ ვათოვლებულა, თოვლ ღუუფარავს იერები. ამღვარან და ქვემოთ წამოსულან და ერთი პარტია იქიდან ჩამოსულან, მეორე პარტია აქედან ჩამოსულან და ამ ეფრატში დამჯდარან. აქ ხეები რაც ღუუწყვიან მთლად, ის ნაფოტი ბათუმში ჩუუტანია, იქიდანაც ამოსულან, აქ დამჯდარან. დედეიდან ისე გამიგია. სათლელაი იქ ყოფილა, იქ გუუთლიან, სათლელაიში. ახლა გზა მიდის იქით, ფუნდულში არის გზა. ახლა მერეთაში უნდა მივდეს გზა. ერთი ფუნდულში არ არის ახლა გზა“.

საინტერესოა **სენაკთან/სანაკთან** ახლოს მდებარე ერთი ადგილის სახელი – **სანათი/სანათლი** - სანათლევი. ხალხური ეტიმოლოგია ამ ტოპონიმს ეფრატის ეკლესიის კედელთან დაკავშირებულ სინათლეს, უცნაურ ნათებას უკავშირებს: „ერთი ქალაქი ყოფილა აქ ზემოთ, ერთიც სანათლე, ენ წინ რომ ნახულა ექ ზემოთ სინათლეაო, მემრე სანათი იქნაო“. შესაძლოა, ტოპონიმი სანათი/სანათლე სანათლავ ადგილს გულისხმობდეს.

სენაკის/სანაკის ასასვლელთან კიდევ რამდენიმე ისტორიული მნიშვნელობის სხვა ძეგლია. შემონახულია ულამაზესი თაღოვანი ხიდი, რომელსაც ყრუ ხიდს უწოდებენ, რადგან მდინარის კალაპოტის ცვლილების შემდეგ ხიდის ქვეშ სიმშრალეა და იქ სამანქანო გზა გადის. გზისა და მდინარის მეორე მხარეს კი ძველი სასაფლაოა ქრისტიანული პერიოდისა: „აქავრობა თლათ ზველია. როგორც კი მუსლიმი გახდენ, სხვა საფლავები გააკეთეს, ქვემოთ ეტრაფზე არის მუსულმანის საფლავები“.

გარდა **ყრუ ხიდისა**, ეფრატის შემოსასვლელში, ხერთვისიდან მომავალ გზაზე კიდევ სხვა **თაღოვანი ხიდიცაა შემონახული**. უფრო ქვემოთ კი მდინარე ეფრატზე გადებულია ხის გადახურული ხიდი, რომელსაც მოსახლეობა „**ღაბურვილ ხიდს**“ უწოდებს. ეს ხიდი მიეკუთვნება ზემო აჭარისათვის დამახასიათებელი იშვიათი კონსტრუქციისა და სილამაზის ხის გადახურულ ხიდებს. ეფრატის თემის ქათამოს უბნის ხის ხიდის მსგავსი ნაგებობა შემონახულია ზედვაკის თემის სოფელ გოხინავრშიც. მინდიეთის თემში ასეთი ხიდი გადებული ყოფილა დიდლეგზე ზემტყისისა და ზემზვარისაკენ გადასავლელად და აგებული ყოფილა ადგილობრივი ხელოსნის გივიაძის მიერ. ეს ხიდი დაუნგრევიათ ახალი, ბეტონის ხიდის გადების დროს. ამავე დღეებზე XIX საუკუნეში მუჰაჯირობამდე აუცილებლად ქვის თაღოვანი ხიდი ტრადიციული ქართული არქიტექტურული ნორმებით. ხიდი ამჟამად მცენარეებითაა დაფარული.

ძველი ქართული ხალხური არქიტექტურის ელემენტებია **სენაკში/სანაკში** დანგრეული ეკლესიის ადგილზე აგებული **მეჩეთის ინტერიერში**, ხეზე კვეთის ნიმუშები ქართული ორნამენტებითაა შესრულებული¹⁸. მნიშვნელოვანი ძეგლია მინდიეთის თემის **ირემეთის ხის ჯამე**,

¹⁸ ეფრატის ქართული არქიტექტურის შესახებ სამეცნიერო ნაშრომის ავტორია ირინე გვირაძე. იხ. კრ. „სპექტრი“, თბ., 2008. გვ. 31-36.

ასევე, ზედგაკის თემის ხის ჯამე. ზედგაკის თემში ჯამის გვერდით მცირე ზომის **ეკლესიის ნანგრევიცაა**

ზემო მაჭახელში დაცულია რუსეთის ჯარის სისასტიკის ამსახველი ისტორიები, აგრეთვე, ინფორმაცია XX საუკუნის 10-იან წლებში სომეხთა რაზმების თარეშის შესახებ იმერხევისა და დევსქელის სოფლებში. ართვინისა და არზრუმის სომეხ მოსახლეობას შექმნილი ჰქონია რაზმები, რომლებიც თავს ესხმოდნენ ქართულ სოფლებსაც. მათი თავდასხმებისაგან დასაცავად ჯგუფები შეუქმნიათ მაჭახლელებსაც. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს სათავეში ჩასდგომიან მინდიეთელები და ალუკვეთით სომეხთა შემოჭრის მცდელობა. იგივე ჯგუფი დახმარებია იმერხეველებსაც.

სოციალური მახსოვრობის ფაქტთაგან განსაკუთრებით ტრაგიკულია მაჭახლის ხეობის ორად გაყოფის ისტორია. საზღვრის ჩაკეტვის შედეგად გაიხლიჩა არა მხოლოდ სოფლები, არამედ ოჯახებიც, დედამიწეილები მოწყდნენ ერთმანეთს, ნათესავებს აკერძალათ მისვლა-მოსვლა და ურთიერთობა. საქართველოს გათავისუფლება და თურქეთთან საზღვრის გახსნა უდიდესი სიხარულის მომტანი იყო მთელი 60 წლით ერთმანეთისაგან დაშორებული ნათესავებისათვის ზემო და ქვემო მაჭახელში. *„ჩემი დედამთილი საფუტკრეთიდან იყო, სამძღვარი რომ შეიქმნა მისი ყველა იქით დარჩილია, სულ ტიროდა, ამ რეღეში მოვლოდა, ასე წყალ ამოიღებდა, სმიდა და ჩემ სოფელში ჩეიარე, წყალოო, ასე იტყოდა. ნაფოტ ჩაგდებდა, ფოთლებ, ჩემს სოფელში წაიღე, წყალოო. მეესწრა სამძღვრის გახსნას, ნახა დები, ამბობდა, სირბილით ჩავალ და ვნახავო. მე გვეიყვანე ხოფას და სარფში რომ გვეიყვანე, იტირა, მე ჩემ მიწაზე ფეხი დავადგო. სამ თვეს იყო იქ. იქ ძმა დახვდა, მაზე პატარაი დები დახვდა. ჭარნალში ცხოვრობენ. ჩემ ტაიამ ახლა ბათუმში ჩეიჩიჩა“.* უკან დაბრუნებულს უთქვამს, სიკვდილის აღარ მეშინიაო. ასეთი უამარავი ისტორიაა ყველა სოფელში.

უკვე რამდენიმე წელია ზამთრობით ხეობაში ჩაკეტილ ზედა მაჭახლელებს უკვე უფლება აქვთ ქვედა მაჭახელში გადასვლისა და იქიდან სარფის გზით თურქეთისკენ გადაადგილებისა. ამგვარ მგზავრობას თურქეთის ადმინისტრაციის ნებართვით სპეციალური „სერვისი“ ემსახურება.

შემონახულია ცოდნა ზემო მაჭახლელობა, ნიგალელთა (ლივანის) და შავშ-იმერხეველთა შორის არსებული ტრადიციული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირებისა და სამიმოსვლო გზების შესახებ. მაჭახლიდან შავშეთში (იმერხევეში) კარჩხლის მთის გადასასვლელებით გადადიოდნენ. *„ინაწმდიადან გადვიართ, ლეკობანში ჩევალოთ, იქიდან ბაძვირეთ, გამიშეთ, ჩავლიეთ სულ ახლოშია, ერთ ღღეში გახვიდოდი“;* *„კარჩხალ იქით შავშეთია: უბეა, ჩითიხევი, ბაძვირეთია, ხეწვრილია, ივიეთია“;* *რამდენიმე ბილიკია, ერთი ხეწვრილსა და ბაძვირეთში ჩადის, მეორე – ივეთში, რომელსაც მაჭახელში ივიეთს უწოდებენ. „აკრიის მთიდან ივიეთამდე (იმერხევი) ერთი კილომეტრის გზა“;* *„აკრიადან მერეთი გადავილება იმერხევეში, ივიეთია, იმფხრეველი, წყალსიმერი, დიობანი“.* არის გადასასვლელები ლივანის ხეობის ქართული სოფლების მთებშიც: *„თეთრიწყლიდან გადახვალ შუახევ, დევსქელ, იქიდან – ბორჩხას“.* მაჭახლიდან მარადიდში ძველად (XX საუკუნის 20-იან წლებამდე) ტრადიციული გზით დადიოდნენ: *„აქედან ჩახვიდოდი კირნათის ხიდზე, იქიდან შებრუნდებოდი კირნათისკენ და ვადხვიდოდი მარადიდში“.* „აჭარაში წინ-წინ მინდიეთიდან იარებოდნენ. გათხუებული იყვნენ ბევრი ვოგოები, იმაზე მიდიოდნენ-მოდიოდნენ. ჩემი სიდედრიც დუმბაძე იყო, აჭარელი“ *„იქ ზემოთ არი ორი სოფელი, თეფეს უკანიდან, აჭარა არი. ნისლები რომ გადავიდნენ, აჭარა ჩანს. ჩვენებს იქ იაილები უნახვენ, ჩამოსულან, დამჯდარან“;* აკრიას მთიდან (ჭურიბირაი) აჭარაში გადასასვლელი ბილიკია: *„ახლოა, საქონელი გადაერევა ერთმანეთს“.* ეფრატიდან გზა იყო ბერთისკენაც, საიდანაც ისტორიული ნიგალში, ანუ ართვინის მიდამოებში, ადვილად ჩადიოდნენ, გადადიოდნენ მდინარე ჭოროხის მარჯვენა მხარეს არსებულ ქართულ სოფლებში - ებრიკის თემში. *„ქვემოთ წყლით ნაფოტი ჩამოსულა, ამით ინახა ეფრატიო. ეფრატიდან გზა იმკენ, ლივანისკენ გადალოდა. ზამთარშიც აქ ქვეიდან არ ჩამოვა ეფრატიელი, ზევიდან ვადიარს. ისინი ბერთისკენ მიდიოდნენ“.*

საყურადღებოა საზაფხულო იალალებისაკენ (მთისაკენ) მიმავალი გზების აღწერილობაც, მაგალითად, ასეთია ეფრატელთა მარშრუტი: „მთისკენ ღელე-ღელე წვედოდით. ორად რიგდება ღელე. იქენა ღელიდან წეისვლებოდა გორგითში, იქიდან ჭიშკარაიდან ჩიქუნეთ თაზე, ქვეიდან რიგდება ებრიკას მთიებიდან ართვინში გეისვლება. ამქენიდან – ლეკობანში, ლოდვიკე, ინაწმიდა, ლეკობანი. მთაში ფენით აქედან 8 საათი გინდოდა, ცხენი თუ გყავ და ჭვირთ თუ წიკავ და საქონლით, უმფრო გვიან, ერთი დღეზე ვერ მივდოდით. საქონლით გორგითში დევისვენებლით და ისე წვედოდით. გორგითში სახლები იდგა. ახლაც ჩვენი ხალხი გორგითში არიან, იქ არიან საქონელი ჩამოყვანილი. ათ დღეს უკან ჩამობარგვიან სოფელში. ჭიშკარაი გორგითის თავშია. გორგითში რომ შესვლაძლი ღელე ჩამოა, იმ ღელეს უნდა წაყვე. გორგითის თავში მარცხნივ კუთხეა, თავში, იქ არის“.

მნიშვნელოვანია ისტორიული გვარების ხსოვნის ტრადიცია. მაგალითად, მინდიეთის თემში შემონახულია რამდენიმე გვარი უცვლელი სახით: ირემადე, ქათამადე, ცივნარიძე, გივიაძე და სხვ. თანამედროვე მასალით მინდიეთში შემდეგი გვარები არსებობს: „ახალურიდან დევწყით, ვინცხა რომ არიან, რაცხა რომ არიან: ირემადეიდან დევწყით, სოფლის თავიდან. ჩახლოლლი, ჩამოვიდა იქზედან, ახლა აქ ზის, აქუარია. მეთინოლლი არი. ისტიაროლლი არი, შაჰანალოლლი არი, გადმოხვალ აქეთ: ქვეიდან ამოსული ელიმანიშვილი (ჩიქუნარი არი). ცოტა აქეთ გამოხვალ, თურმანძეები არიან, ფერსანიძეები იყვნენ, ჯინოლლები იყვნენ. გამოვედით აქეთ, ხოზიკოლლები იყვნენ, ოსანიძეები არიან (ბაირახტაროლლები). ცივნარიძეები სამი-ოთხი არიან, ვარიგებული ბევრი არიან. ცივნარიძეები არიან: ბექირბაირახტაროლლი, დურსუნოლლი, სარიოსმანოლლი არი, ქურუკოსმანოლლები, ძველად იყვნენ ფუტკარადეები. კარჩხლოლლები იტყვიან, მუთაველოლლები არიან, სეიდალიშვილი იყო, ის ვინებიდან იყო არვიცი, ვინმე არ დარჩა ამოწყდნენ. ჯანგინოლლები არიან. დუმბადეები არიან, ჩამოსული არიან. აშილალოლლები არიან, ისინ ჩამოსულები არიან. თანთოლლები არიან, ავბექირიშვილები არიან ახლა. შექეროლლები არიან, მაგრამ ამათი ძველი გვარი არვიცი. ვრძელოლლები თანთოლლების განაყარი არიან. ძველიშვილიც აქ იყო, ქვედაური. მუსტაფაოლლი არი, მათ რაცხა ძველი გვარი აქვ, არვიცი, ჩხიკვაძე არი აქზე ჩვენი მეზობელი არი. გეხვალ აქ გივიაძეები არი. გივიაძეში უსტაალიოლლი არი, ქაშიბოლლი არი, ძველად ყოფილა, ხანჯიოლლი არი. ხანჯიოლლი და ქაშიბოლლი ჰასანოლლია. ჯბუტაძე არი, ბილალოლლი, ჩიკუტაძე არი, ბექიროლლი. ქათამიძე არი“¹⁹. ხერთვისის თემში არიან თევთიძეები, ეფრატის თემში ვაცაძეები, კორტანიძეები, გუნდარიძეები, ჯარდენიძეები, კიბორიძეები, კვატალიძეები, კაკალიძეები და სხვ.

პავლე ინგოროყვას დაკვირვებით, „ადგილობრივი მოსახლეობის გვარები წარმოდგენილია დაბოლოებით „თი“²⁰. -თი სუფიქსით ჩვენი დროისათვის რამდენიმე სოფლის სახელია შემონახული - მინდიეთის თემში: ირემეთი, ცეცხლეთი, ჯორიეთი, გივიეთი, ოსანეთი, ზეკალეთი, ცივნარეთი; ეფრატის თემში: ვაციეთი, კიბორეთი, კვატალეთი, სკილენჯეთი, ჩუგათი, ნამზირათი/ნამპირათი. ხერთვისის თემში: თევთიეთი, მალაყმეთი²¹.

საინტერესოა „ჩიქუნართა თის“ ისტორია. 1921 წლიდან საბჭოთა მხარეს დრჩენილი ჩიქუნეთის მოსახლეობისათვის „ჩიქუნართა თა“ მიუწვდომელი გახდა. მთა, ჩიქუნელებისავე თხოვნით, ზემო მაჭახლელებს აუთვისებიათ: „სამწყარო უძახიან, იქაური სოფლებისა ყოფილა ჩიქუნეთთა, ჩიქუნათლებ წურთმევიან იმათთვის, ზორით, მუშტით, უურთმევიან, მათი გამხდარა

¹⁹ რ. გუჯეჯიანი. მინდიეთის თემი (ზედა მაჭახელი, თურქეთის რესპუბლიკა), - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 6, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ., 357-371.

²⁰ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეთე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, საბჭოთა მწერალი, თბ., 1954, გვ., 96.

²¹ რ. გუჯეჯიანი. იქვე.

მთა. ჩიქუნარები რომ ვეღარ ამოუვლიან, შემოუთვლიან, რომ თქვენ ელით, ისვენ იმათ არ ამოუდინებო, ჩურუგაში გადასულან ჩიქუნეთთაზე აქ ვის რომე ნათესავი ყავდენ. ჩიქუნეთ თაზე ახლა მინდიელიც არი, ხერთვისელიც, ქვაბითაველი არ არის, ზედვაკელიც, ეფრატელიც. ოთხი სოფელი ჩიქუნარ თაზე იარებიან, ამა მთელი არა, ნახევარ-ნახევარი: მინდიელი 3-4 მოსახლეა, ხერთვისელი 7-8 მოსახლე, ეფრატელი ბევრი არიან, ზედვაკელიც 20 მოსახლე იყო. სულ 80-90 მოსახლე იყო ჩიქუნართაზე, ახლა – თექვსმეტი. გორგითში სახლები იღვა. ჩიქუნარები ენ წინ იარებოდენ ჩუგათი ღელიდან ჩიქუნეთ თაზე. მემრე აქ ეფრატეიდან დამჯდარი კუთხიდან გზა მიუცემიან, ჭიშკარაიდან, იქიდან რომ გზა მიუცემიან, იმათ გორგითას ყიშლაები გუუკეთებიან, დასასვენების, ათ დღეს, ოც დღეს იქ დაარჩებოდენ. ახლაც ჩვენი ხალხი გორგითში არიან, იქ არიან საქონელი ჩამოყვანილი“.

ზემო მაჭახელში შემონახულია თვეების ძველი სახელები: **იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ქირეზაი, ჩურულაი, მარიობაი, ენკენაი, ყოჩობაი, წიფობაი, ქრიშობითვე. შემოდგომას აქ ჰქვია „სთველი/თველი“, გაზაფხულს – „გამოსული“.**

ზემო მაჭახელთა შორის არსებობს „ზიარეთობის“ ტრადიცია, თუმცა მას უკვე აღარ მისდევენ. ტოპონიმი „ზიარეთი“ და საზიარეთოდ წასვლის ტრადიცია ხშირ შემთხვევაში უკავშირდება თამარ მეფის ხსოვნას. მაჭახლის სოფლებს საუღელტეხილო გადასასვლელებით უშუალოდ ემეზობლება იმერხევის რამდენიმე ქართული თემი: ბაზგირეთი, ჩიხისხევი, დიობანი (ივეთი, იფხრეველი). არსებობს თამარ დედოფლის წყარო ბაძგირეთის მთაში, „კანჯირთან ახლოს არის ქილისეები, თამარას წყაროს უკან, იქ დედოფლის ალაზანია/ავაზანია. იქ იყო თამარ დედოფალი და იქ მოკვდა. მეზერი არი, იქზე ზიარეთია“. მაჭახლის „ქალაქის“ მიდამოებში არის მაჭახელთა **ზიარეთი**, საიდანაც იმერხევის სოფლებში გადასასვლელი ბილიკებია (ბაძგირეთი, ივეთი). ზიარეთი მთაშია, რომელსაც ლეკობანს უწოდებენ. აქ არსებობს ტოპონიმი „ინეწმინდა/ნინოწმიდა“, რომლის გადაღმაც უკვე იმერხევეში ბაძგირეთელთა ზიარეთია²².

უფროს თაობას ახსოვს ტრადიციული სულიერი კულტურის ზოგიერთი ელემენტი, მაგალითად, **ახალი წლის აღნიშვნის წმინდა ქართული წესი. ახალ წელს „ჩვენებურ ახალწელს“ უწოდებენ.** ახალ წელს ჩვენებური ე. წ. ძველი სტილით, 14 იანვარს ზეიმობდნენ. სასურველად ითვლებოდა მამრობითი სქესის მეკვლე, რადგან ამბობენ, ქალებს ცუდი ფეხი აქვთო. „ახალწელს დილას ადრე კაცი ჩვედოდა ახორში, საქონელ ჩუულებდა, კარგ რაღაცეებ ჩუულებდენ ემ დილას საჭმელს, ბალახებს. ყოჩ ამეიყვანდნენ სახლში დილაზე, დიდი ყოჩი უნდა ყოფილიყო, კაცმა უნდა ჩავიდეს. ყოჩი უნდა მოიყვანოს. მერე მერე გაავდეს. მეფეხურად კაცს წეიყვანდენ, ქალს – არა. მე წიმიყანდენ, კაი ფეხისა ხარო, მე მიხაროდა, ალბათ, კაი ვარო. ხილს მომართმევდნენ, კარგ რაცხებს, შექერი, ვაშლი“. ცნობილია, რომ ხარის ან ცხვრის შეყვანა სახლში და კერიის გარშემო სამჯერ შემოტარება ახალი წლის დილით ახასიათებდათ სვანებსა და თუშებს. ასეთივე ტრადიცია არსებობდა პარხლისწყლის ხეობაშიც.

შემონახულია **გარეგნობის (გარგნობა)** ხალხური დღეობის ფრაგმენტები. გარეგნობის დღეს ეფარატელები მალლა მთებზე ადიოდნენ და დღეობას მართავდნენ. დღეობა აპრილის დასაწყისში აღინიშნებოდა. მთაზე შლიდნენ სუფრას, „სამობდნენ“ (ცეკვავდნენ), მღეროდნენ. ამ დღეს აკრძალული იყო გარედან რამის, თუნდაც ფიხის, შემოტანა, გველი შემოჰყვებო. „გარგნობა ვიცოდით, აქაც არი. აპრილშია. იმ დღეს ჭვირთს არ მევტანთ გარედან. რამეს, გველი არიან, ის მოვაო და ისე იტყვიან“. ტერმინი „გარეგნობა/გარგნობა“ თითქმის უცნობია თანამედროვე საზოგადოებისათვის. დღეობა აღდგომის მეორე დღეს აღინიშნებოდა გურიასა და ქვემო იმერეთში,

²² **რ. გუგუჯიანი.** ისტორიული მენსიერების ფაქტები ქალაქ ართვინსა და მის მიმდებარე ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე, - წელიწადული, 4, ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წლისთავს. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ქუთაისი, 2012. გვ. 82-97.

ასევე ქვემო მაჭახელში. **გარეგნობის**, როგორც საეკლესიო დღესასწაულის, შესახებ საუბრობს **ექვთიმე კოჭლამაზაშვილი**. იგი გამოთქვამს საყურადღებო აზრს, რომ გარეგნობა ქრისტიანული დღესასწაულია და ძველისძველი წარმოშობა აქვს, რასაც ადასტურებს **იერუსალიმური განჩინება VII საუკუნისა**. მასში აღდგომის მეორე დღის განგება იწყება შემდეგნაირად: „დღესა ორშაბათსა, **გარეგნობასა, პირველსა ზატიკსა**“ – კრებაი წმიდასა ანასტასიას“²³.

ზემო მაჭახლის მხარე ეთნოგრაფიული კვლევის თვალსაზრისით მრავალმხრივ საინტერესოა. ვლინდება ზოგიერთი ისეთი ეთნოგრაფიული რეალია, მაგალითად, ქართული ჩვეულებითი სამართლის ელემენტები, ცოცხალი ქართული მრავალხმიანობა და სხვ., რომლებიც ისტორიული ტაოს, კლარჯეთის, ფოცხოვის, ერუშეთის, იმერხევის, შავშეთის, არტაანის, კოლას მხარეებში უკვე გამქრალია. კვლევა ამ მიმართულებით გრძელდება. საგულისხმოა, რომ ტრადიციული ქართული კულტურის არაერთი სეგმენტი შემონახულია მაჭახლიდან მიგრირებულ, ე. წ. მუჰაჯირთა შთამომავლების კომპაქტურ დასახლებებშიც (მარმარილოს ზღვისა და შავიზღვისპირეთის რეგიონებში).

Rozeta Gujejiani

The Resettlement Area of the Ethnic Georgians and the Facts of the Historical Memory in Zemo (Upper) Machakheli

Summary

The work presents the modern resettlement area of the Georgians of Zemo (Upper) Machakheli Gorge and the analysis of the facts of the historical memory saved in the historical sources and modern life.

The paper specifies the names of the communities and the villages within these communities. The complete list of them is given. The information of the historical sources about the villages and families of this gorge is also presented.

The ethnic composition of the population is revealed – the population is completely ethnically Georgian up. The gorge includes six communities (according to Turkish administrative division, village, unit), which, in turn, contain several villages. The approximate number of the population is given: there are about 420 families in Zemo (Upper) Machakheli. The number of the households who stayed for winter is calculated as well.

The villages of the community of Zedvaki are: Samari, Khorgiani, Shavlieti, Kobatlumi, Paraskueti, Gokhinavri, Kordeni, Hasanieti, Japareti, Survana.

The villages of the community of Eprati are: Kharkabavli, Velianti, Kakaluri and Chanchvalevi, Jamikaria//Nakilisvari//Sanaki//Senaki, Vatsieti, Kiboreti, Kvataleti, Skilenjeti, Chugati, Tredauli, Satlelai, Barjginavi, Namzirati//Namdzirati, Urtskuli, Kvesavri, Zeda Jamikari.

The villages of the community of Kuabitavi are: Nagomvari, Kueda Kuabitavi, Sasaamo Kedi, Sanaduruli, Vakenti, Zeganti.

²³ ე. კოჭლამაზაშვილი. რა დღესასწაულია გარეგნობა? – ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, №5-6, თბილისი, 1992.

The community of Khertvisi includes Tevtieti, Malakmieti, Kule, Kulikedi, Ghobaluri, Malakmieti, Katabo, Kvabisuli, Tsitelkilde.

There are several small and big villages in the community of Mindieti: Iremeti, Zekaleti, Osaneti, Kavtareti, Givieti, Tsetskhleti, Konkalati, Zemtkisi, Zemvare (Givietis Sakaria, Mahal), Velis Nakhevare, Tsiaxis Nakhevare, Tsivnareti, Kortaneti, Gogortke, Jorieti, Didtke.

The villages of the community of Akria are: Veli, Ukanatke, Melasatibi, Jamikari, Konkalati, Napetuari.

The official names of the villages of Zemo (Upper) Machakheli are Turkish from 1950s, but the population uses Georgian names as well. Currently, the names of the villages are changed as well as the names of the Mahals.

The specific historical facts are described, when a part of population of Zemo (Upper) Machakheli left the native land and settled in the central and Black Sea regions of Turkey (Mohajirism in 1878-1885 and Mohajirism in 1921-1924). The facts of 1910s include bad memories - the attacks of the armed detachments of Armenians of Artvin and Erzurum Vilayets on Georgian villages. The legend about the Georgians of Iremeti is given – they created the detachment of Machakheli and protected Machakheli Gorge not only from the invasions of Ottomans and Armenians, but they also helped the population of Imerkhevi, Devskeli and Kheba-Maradidi. The tragic stories of dividing Machakheli Gorge between Turkey and the Soviet Union are discussed as a result of the separation of family members and close relatives.

The inner roads of Zemo (Upper) Machakheli, the passes and the connections with the neighboring regions are revealed.

The long lasting character and vitality of the historical plots are analyzed. The stories connected with St. King Tamar are the main facts preserved in the historical memory. The fortresses of Zemo (Upper) Machakheli Gorge, the churches and the medieval arch bridges are considered to be built by King Tamar. The legends described by the famous researcher Zakaria Chichinadze at the end of XIX century are still alive in Zemo (Upper) Machakheli. The legends about the former church of Eprati and about “the city” are discussed.

The paper tells about the spiritual culture of Georgians in Machakheli (folk festivals – New Year, “Garegnoba”, the tradition of “Ziaretoba”).

გვანცა ბურდული

საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების შეფასება რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წ.)

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. 1801-1802 წლებში რუსეთმა დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო. საქართველომ სახელმწიფოებრიობა დაკარგა, რაც საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობის (ავტოკეფალიის) დაკარგვის წინაპირობა გახდა.

რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოს დაპყრობის შემდეგ (XIX საუკუნის დამდეგი) მიზნად დაისახა ქართველი ერის ასიმილაცია და საქართველოს გადაქცევა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად¹. ყოველივე ამისათვის საკმარისი არ იყო ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა. რუსეთის სახელმწიფოს მიზანი იყო, რომ საქართველოს ეკლესია რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარიყო და მისი იდეოლოგიის დამცველ-გამტარებელი გამხდარიყო. ამ მეტად მნიშვნელოვანი მიზნის განხორციელებას კი რუსეთის სახელმწიფო საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის არსებობის დროს ვერ შეძლებდა. რუსეთის საიმპერატორო კარის წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ, რომ იმპერიული ინტერესების განხორციელებისათვის საქართველოს ეკლესია დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის იმპერიამ 1811 წელს გააუქმა ერთ-ერთი უძველესი საპატრიარქო – მცხეთის საპატრიარქო, ხოლო 1814 წელს – ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქო².

საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიისადმი დაქვემდებარებაში შესვლისათვის ხელი უნდა შეეწყო სასულიერო დიკასტრიას, რომელიც 1811 წლის 30 ივნისს დაარსდა და რომელსაც ეგზარქოსები ჩაუყენეს სათავეში. თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს საეგზარქოსოს განაგებდა 19 ეგზარქოსი, რომელთაგან მხოლოდ ერთი – ვარლამ ერისთავი (1811-1817) იყო ეროვნებით ქართველი. ამის შემდეგ კი ეგზარქოსებად მხოლოდ რუსი ეროვნების მღვდელმთავრები ინიშნებოდნენ, რომლებსაც საგანგებოდ აგზავნიდნენ საქართველოში რუსეთის შიდა ეპარქიებიდან. საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობა არსებობდა 1917 წლის 12 მარტამდე, ე. ი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე.

1905-1907 წლების რევოლუციის პირობებში დიდი ცვლილებები მოხდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. შავი და თეთრი სამღვდელოების ნაწილი, მათ შორის ცნობილი მღვდელმთავრები, სასულიერო აკადემიების პროფესორები, ცნობილი მეცნიერები ითხოვდნენ რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობისა და სასულიერო განათლების სისტემის რეორგანიზაციას. სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მოთხოვნა პატრიარქობისა და საეკლესიო კრების აღდგენის თაობაზე³.

რუსეთის საიმპერატორო კარი გრძნობდა, რომ საჭირო იყო რეფორმები, მაგრამ მან ისიც კარგად უწყობდა, რომ საეკლესიო რეფორმის გატარება ადვილი არ იქნებოდა, რეფორმას სერიოზული გააზრება და გულდასმით მომზადება სჭირდებოდა. გადაწყდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გასატარებელი რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა საგანგებოდ შექმნილ ორგანოს – რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს⁴.

¹ საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე. პროფესორ ვახტანგ გურულის რედაქციით. თბილისი, 2003.

² მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. IV, თბილისი, 2003, გვ. 1090-1091

³ ვახტანგ გურული. რუსეთის ეკლესიის ისტორია, ნაწილი პირველი (988-1801), თბილისი, 2007, გვ. 5-23.

⁴ Сергей Бычков. Русская Церковь и Императорская власть, Москва, 1998, стр.117-120.

1906 წლის 3 მარტიდან 15 დეკემბრამდე სანკტ-პეტერბურგში მიმდინარეობდა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. თათბირის მიზანი იყო რუსეთში პატრიარქობისა და საეკლესიო კრების აღდგენისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის მომზადება. ჩაფიქრებული საეკლესიო რეფორმა თავისი შინაარსით მრავლის მომცველი იყო. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომას უნდა გადაეწვიტა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი, თუმცა სხდომების მსვლელობისას თავს იჩენდა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც მთავარ განსახილველ საკითხს ჩრდილავდა. ერთ-ერთ ასეთ საპოლემიკო თემას წარმოადგენდა საქართველოში რუსი ეგზარქოსების მმართველობის პერიოდის შეფასება. ქართველმა მღვდელმთავრებმა - ეპისკოპოსმა კირონიმა (ერში გიორგი საძაგლიშვილი), ეპისკოპოსმა ლეონიდა (ერში ლონგინოზ ოქროპირიძე) საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე წარმოადგინეს საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობის ყოვლის მომცველი და დასაბუთებული კრიტიკა. ცხადია, საქართველოს ეგზარქოსები დამოუკიდებლად არ მოქმედებდნენ და ისინი რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის პოლიტიკას განახორციელებდნენ საქართველოში. ამიტომ იყო, რომ რუსმა სამღვდელოებამ და რუსმა მეცნიერებმა (საეკლესიო ისტორიისა და საეკლესიო სამართლის ცნობილმა სპეციალისტებმა) ძალზე მტკივნეულად აღიქვეს ქართველი ეპისკოპოსების გამოსვლები. ბრალდებები ისმოდა როგორც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებისა და ქართველი მეცნიერების მხრიდან, ასევე რუსი საერო და სასულიერო პირების მხრიდანაც. ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებაში რუსეთის ეკლესიის მიმართ წარმოდგენილი იყო შემდეგი ბრალდებები: 1. საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები მართავდნენ თავიანთი უღირსი ფავორიტების მეშვეობით; 2. თრგუნავდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, დევნიდნენ ყველაფერს - საქართველოს ეკლესიის წმიდა ტრადიციებს, რიტუალებს, რომლებსაც ეკლესია ინახავდა ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საუკუნეებიდან; 3. სპობდნენ წმინდა ეკლესიის სიძველეებს; 4. მათი ქმედებების გამო ეგზარქოსები ვერ სარგებლობდნენ ქართველი საზოგადოების ნდობით; 5. ყოველივე ზემოთქმულის გამო ქართველმა სამღვდელოებამაც დაკარგა მრევლის ნდობა; 6. სასულიერო განათლების სფეროში ძირითადად რუსები მოღვაწეობდნენ; 7. სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში დაეცა განათლების დონე; 8. 1883 წლამდე საქართველოს სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში ქართული ენა არ ისწავლებოდა, რის გამოც მომავალი ქართველი სამღვდელოება ვერ ფლობდა მრევლისათვის გასაგებ მშობლიურ ენას; 9. მოძღვრები ღებულობდნენ არასაეკლესიო განათლებას, ხოლო სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულთაგან იშვიათად თუ ხდებოდა ვინმეს მღვდლად კურთხევა; 10. სამღვდელო ხარისხის მატარებელნი უღირსი საქციელით არა მარტო მრევლის, არამედ საზოგადოების არაეკლესიური ნაწილის აღშფოთებასაც კი იწვევდნენ⁵. ცხადი იყო, რომ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენება უკმაყოფილებას გამოიწვევდა დამსწრეთა შორის. რუსი მღვდელმთავრები ყველა საშუალებით ცდილობდნენ საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების საქმიანობის დადებითად წარმოდგენას. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომის მონაწილე ეპისკოპოსი სტეფანე ასე ცდილობდა რუსი ეგზარქოსების საქმიანობის გამართლებას: „საქართველოს ეკლესიის მართვის თაობაზე რუსეთთან შეერთებისას საჭიროა აღვნიშნოთ, რომ 1817 წლამდე ეგზარქოსები იყვნენ ქართველები და, მამასადამე, ყველაფერი, რაც უწმიდესი სინოდის მიერ გაკეთებულა საქართველოს მართვის საქმეში

⁵ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.1-2.

ადრინდელი სისტემის შეცვლისათვის, კეთდებოდა თვით ქართველი მღვდელმთავრების თანხმობით. 1817 წლიდან დაიწყო რუსი ეგზარქოსების დანიშვნა“⁶.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებზე რუსი ეგზარქოსობის მიმართ წარმოდგენილი იყო მთელი რიგი ბრალდებები. მიუხედავად ამისა, სხდომაზე მყოფი რუსი საერო და სასულიერო პირები არ ჯერდებოდნენ წარმოდგენილ მთელ რიგ ფაქტებს და ქართველი მღვდელმთავრების გამოსვლებს ცილისწამებად აცხადებდნენ. ეპისკოპოსი სტეფანეს აზრით, ცილიწამება იყო ის, რომ რუსი ეგზარქოსები საეგზარქოსოს მართავდნენ მათთვის მისაღები პირების დახმარებით. ეპისკოპოსი სტეფანე ამტკიცებდა, რომ იგი თავად იყო თვითმხილველი იმისა, თუ როგორ იმართებოდა საეგზარქოსო და ადასტურებდა იმას, რომ არანაირი დამხმარე პირები ეგზარქოსებს არ ჰყავდათ. მაგალითად მოჰყავდა საქართველოს ეგზარქოსები: ისიდორე, იოანიკე და პალადი. ეს ეგზარქოსები, რუსი მღვდელმთავრის აზრით, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ საქართველოში. ეპისკოპოსი სტეფანე მიიჩნევდა, რომ ქართველებმა ვერ შეიყვარეს ეგზარქოსი პავლე (ლებედევი – გ. ბ.) მისი სიმკაცრის გამო. რუსი მღვდელმთავარი მიიჩნევდა, რომ ეგზარქოსი პავლე თავისი მოღვაწეობით ყველაზე გამორჩეული იყო და შეუძლებელი იყო, მასზე რაიმე სახის ზეგავლენა მოეხდინა მასთან დაახლოებულ პირთაც კი.

ეპისკოპოს სტეფანეს დაავიწყდა ალბათ, რომ სწორედ ეგზარქოს პავლე ლებედევის დროს დაიხურა ჯუმათის კათედრა გურიაში, ჭყონდიდის კათედრა სამეგრელოში. ეგზარქოს პავლეს (ლებედევი) დროს მეტეხის ტაძრიდან დაიკარგა არაერთი ძვირფასი ხატი. ეგზარქოსმა პავლემ საშინელი არეულობა შეიტანა საქართველოს ეკლესიაში.

ეპისკოპოს სტეფანეს მიერ ქართველი ეგზარქოსების საქმიანობის დადებითად შეფასების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში შემორჩენილი რეალური ფაქტები საწინააღმდეგოზე მეტყველებდნენ. საკმარისია გავიხსენოთ ნ. დურნოვოს მიერ ეგზარქოს ევსევი ილინსკის დახასიათება: „ევსევი ძალზე გარყვნილი, ავხორცი, თავაშვებული ცხოვრების პიროვნებაა, მან გაყიდა კათოლიკოსთა შესამოსელთა და სამკაულთა სალაროს განძი, გაძარცვა შესამოსლები, მიტრები და ხატები ძვირფასეულობისაგან. ხელი შეუწყო გელათის მდიდარი განძისაგანის გაძარცვას, საიდანაც გაქრა ოქროს მოჭედილობა, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია უძვირფასესი მაიოლიკებით, ამით ევსებიმ ასობით ათასი მანეთი იშოვა... ეგზარქოსი ევსევი ნამდვილ დესპოტად მოეგვინა საქართველოს ეკლესიას“⁷.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე მყოფი რუსი მეცნიერები საქართველოს ეკლესიაში მომხდარ ყველა დადებით მოვლენას რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის პერიოდს მიაწერდნენ. მეორე განყოფილების სხდომებზე განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო განათლების საკითხის განხილვამ საქართველოში. ბრალდებები არ წყდებოდა არც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებისა და არც რუსი საერო და სასულიერო პირების მხრიდან. ეპისკოპოსი სტეფანე თვლიდა, რომ საქართველოში სემინარიები დაიხურა ჯერ კიდევ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის დროს და არ გახსნილა პირველი ქართველი ეგზარქოსის ვარლამის (ერისთავის) დროსაც. მხოლოდ რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის პერიოდში მოხდა სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის დაარსება⁸. სხდომაზე მყოფი რუსი დეკანოზი თ. ი. ტიტოვი დიდი სიყვარულით იხსენებდა საქართველოს ეგზარქოს

⁶ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов, Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.2-3.

⁷ **ბ. ბ. დურნოვი**. ბედი ქართული ეკლესიისა (ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე), თბილისი, 1997, გვ. 56.

⁸ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов, Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.5.

იოანიკეს (რუნდეს – გ. ბ.), რომელმაც საქართველოში დააარსა პირველი ქალთა სასულიერო სასწავლებელი. დეკანოზ თ. ი. ტიტოვის აზრით, ეგზარქოსი იოანიკე მთელ შემოსავალს ქართველებს გადასცემდა სხვადასხვა დანიშნულებისათვის. იგი დიდად უკმაყოფილო იყო ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებით, რომელიც ცუდად ახასიათებდა რუს ეგზარქოსებს. მეორე განყოფილების სხდომებში მონაწილე დეკანოზი ტ. ი. ბუტკევიჩი და პროფესორი ნ. ნ. გლუბოკოვსკიც მთლიანად დაეთანხმნენ დეკანოზ თ. ი. ტიტოვის განცხადებას და დაჟინებით მოითხოვეს ეპისკოპოს ლეონიდის მიერ საქართველოს ეგზარქოსებისათვის წაყენებული ბრალდებების მთელი სიმკაცრითა და სიზუსტით შემოწმება⁹.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე მყოფმა პროფესორმა ა. ი. აღმაზოვმა მოითხოვა, გაშუქებულიყო არა მარტო ეგზარქოსების ურთიერთობა საქართველოს მოსახლეობასთან, არამედ თავად ქართველების ურთიერთობა ეგზარქოსებთან. მას საეჭვოდ მიაჩნდა ის ფაქტი, რომ ყველა ეგზარქოსი საქართველოდან წასვლას ეშურებოდა. პროფესორი სვამდა კითხვას: „რა არის ამის მიზეზი?“¹⁰. ამ კითხვაზე პასუხი ყოვლადსამღვდელო კირიონს ჰქონდა და ეს პასუხიც ძალიან მარტივი იყო: „იმითომ, რომ მათ არ ჰქონდათ კავშირი მრევლთან, ამითომაც ვერ ძლებდნენ ისინი“ („Потому, что у них не было связей с паствой. Потому, что они не могли ужиться“)¹¹. პროფესორმა ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ კითხვით მიმართა უსამღვდელოეს კირიონს: „აი, თქვენ, ყოვლადსამღვდელოებავ, გადახვედით ორიოლიდან სოხუმში, – შეიძლება ითქვას, ჩამოქვეითდით. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ „ვერ შეძელით გაძლება“ ორიოლში და „არ გქონდათ კავშირი საზოგადოებასთან?“ და საქართველოდან ხომ არა მარტო რუსი იერარქები გარბოდნენ. გაიხსენეთ ცოტა ხნის წინანდელი სამწუხარო მაგალითი ყოვლადსამღვდელო დიმიტრისა, რომელიც წარმოშობით ქართველი თავადის აბაშიძეთა გვარიდან იყო და მოისმინეთ მიუკერძოებლად, თუ რას ლაპარაკობს იგი ამ საკითხზე!“ („Вот Вы, преосвященный, перешли из Орла в Сухум, – можно сказать, – с понижением. Разве это значит, что вы „не могли ужиться“ в Орле и „не имели связей с обществом“?.. Да ведь и бежали из Грузии не одно русские иерархи. вспомните недавний печальный пример преосвященного Димитрия, из рода грузинских князей Абашидзе, и послушайте безпристрастно, что он говорит по этому предмету!“)¹². ყოვლადსამღვდელო კირიონი მხოლოდ მცირე განმარტებებს აძლევდა გამომსვლელთა თითოეულ შენიშვნას, თუმცა მისი მცირე პასუხები ამომწურავი იყო. ქართველმა მღვდელმთავარმა მისი დამოკიდებულება მრევლთან იმით ახსნა, რომ მას კარგად ესმოდა მრევლის ენა და კმაყოფილი იყო ორიოლში ყოფნით, ისევე, როგორც მრევლი იყო კმაყოფილი მისით. ეპისკოპოს კირიონის აზრით, მრევლის ენის ცოდნა არც თუ ისე მცირე ფაქტორი იყო მასთან დაახლოებისათვის¹³.

ეპისკოპოს კირიონის აზრით, პირველი დანაშაული ეგზარქოსებისა ის იყო, რომ მათ დახურეს საეკლესიო კათედრები და მონასტრები. თუკი ერთ მონასტერში ერთი ბერი მაინც

⁹ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов, Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.5.

¹⁰ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов, Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.7.

¹¹ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов, Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.7.

¹² Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов, Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.7.

¹³ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов, Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.7.

იქნებოდა, საეკლესიო წესრიგი არ დაირღვეოდა. თუმცა ეგზარქოსები, როდესაც მონასტრებს ხურავდნენ, ამაზე ნაკლებად ფიქრობდნენ¹⁴.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე განხილვის საგნად იქცა საქართველოში არსებული საეკლესიო ტრადიციები. საქართველოში საეკლესიო ტრადიციების დევნასა და აკრძალვას შეეხო ყოვლადსამღვდელო ლეონიდი თავის მოხსენებაში. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებას მწვავედ აკრიტიკებდა მოგილევის ეპისკოპოსი სტეფანე. ფაქტობრივად, ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში არ ყოფილა ისეთი საკითხი, რომელიც რუს ეპისკოპოსს მწვავედ არ გაეკრიტიკებინა. ცხადია, არც საეკლესიო ტრადიციებს დატოვებდა იგი უყურადღებოდ. ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოხსენებაში აღნიშნული ფაქტები სავსებით მიუღებელი აღმოჩნდა ეპისკოპოს სტეფანესათვის. მისთვის, პირველ რიგში, მიუღებელი იყო საქართველოს რუსი ეგზარქოსების დადანაშაულება ქართული საეკლესიო ტრადიციების დევნაში, რადგან, მისი აზრით, ასეთი მოვლენები არ ყოფილა. თუმცა მოგილევის ეპისკოპოსს მოუწია ისეთი ფაქტების გახსენებაც, რომლებიც ნამდვილად ადასტურებდნენ საქართველოში საეკლესიო ტრადიციების დევნას. ყოველივე ეს კი, მისი აზრით, განპირობებული იყო ქართველებისადმი ეგზარქოსების კეთილგანწყობით¹⁵. ყოვლადსამღვდელო კირიონმა უპასუხა რუსი ეპისკოპოსის გამოსვლას. ქართველმა მღვდელმთავარმა განმარტა, რომ რუსი ეგზარქოსები ებრძოდნენ უძველეს ტრადიციებს, კრძალავდნენ ტაძარში ცოცხალი შესაწირის (ცხვარი და სხვ. – გ.ბ.) მიყვანას, აიკრძალა მრევლისთვის საერთო ტრაპეზის გამართვა წირვის დასრულების შემდეგ. საქართველოს ეკლესიას კიდევ ერთი კარგი ტრადიცია ჰქონდა - ყველა ეკლესიას ჰყავდა მონაზონი ქალი, რომელიც ზრუნავდა საეკლესიო შესამოსლისა და ტაძრის სისუფთავეზე. ეს ტრადიციაც გაუქმებული იქნა საქართველოში ეგზარქოსობის მიერ¹⁶.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვამ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე განკითხვის სახე მიიღო. მეორე განყოფილების სხდომაზე მყოფი პირები თვლიდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. ქართველი საერო და სასულიერო პირების მიერ წარმოდგენილი ბრალდებები კი რუსეთის ეკლესიის და კონკრეტული პიროვნებების შეურაცხყოფად მიიჩნიეს. თუმცა ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ბრალდებული იყო ის სისტემა, ის რეჟიმი, რომელიც საქართველოს ეკლესიას განაგებდა.

ყოვლადსამღვდელო კირიონმა განმარტა, რომ ბრალდებები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში, წაყენებული იყო არა რუსეთის ეკლესიისადმი, არამედ საქართველოში არსებული სინოდალური მმართველობისადმი (ე. ი. საქართველოს ეგზარქოსებისა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი – გ. ბ.). ეს ორი საკითხი კი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებოდა, რადგან თუ რუსებს ჰქონდათ უფლება ესაუბრათ სინოდალური წყობის ნაკლოვანებებზე, მაშინ ეს უფლება ქართველებსაც უნდა ჰქონოდათ¹⁷.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე მყოფი რუსი მეცნიერები მაინც ერთი და იმავეს იმეორებდნენ – ქართველები ყოველივე ცუდს რუს ეგზარქოსებს მიაწერნო. რუსებს

¹⁴ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов, Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.16.

¹⁵ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов, Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.18.

¹⁶ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов, Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.18.

¹⁷ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов, Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №1, Засидание 2 июня 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №47 за 1906 год, стр.30.

დაბრალდათ ბიბლიის ცუდად გამოცემა, რაც, მათი აზრით, მხოლოდ ქართველების „დამსახურება“ იყო. რუსი ეგზარქოსების დანაშაული იყო ის, რომ მათ არ იცოდნენ იმ ხალხის ენა, სადაც მოღვაწეობდნენ, არ სცემდნენ საკუთარი სამწყსოს ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს პატივს, ამასთან ერთად რუსი ეგზარქოსები ხშირად იცვლებოდნენ. ამიტომაც ისინი ითხოვდნენ ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში ნახსენები ფაქტების შემოწმებასა და გამოძიებას. მეორე განყოფილების სხდომაზე მყოფი რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები ვერ ეგუებოდნენ იმ ფაქტს, რომ ეპისკოპოსი ლეონიდის მოხსენება ნათლად ადასტურებდა შემდეგს: 1) საქართველოს ეკლესია კეთილად ასრულებდა თავის მოვალეობას, სანამ ის რუსეთის საეგზარქოსოს მმართველობაში შევიდოდა; 2) საქართველოს ეკლესია დაეცა საეგზარქოსოს მმართველობის პერიოდში; 3) საქართველოს ეკლესიას თავისი პირვანდელი სახის დასაბრუნებლად ესაჭიროება ავტოკეფალია. ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენების გასაბათილებლად რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე მოხსენებებით არაერთი მეცნიერი წარსდგა. განსაკუთრებით საინტერესოა ტ. ბ. ბუტკევიჩის მცდელობა, უგულებელყო ეპისკოპოს ლეონიდის მოხსენებაში წარმოდგენილი ფაქტები, რომელსაც ვრცლად წარმოვადგენთ: „1) „ეგზარქოსებმა, – როგორც ამას ავტორი გვეუბნება, – არ იცოდნენ ენა, საეკლესიო და საერო ტრადიციები“. კავკასიაში სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს, რომლებიც მართლმადიდებლობის მიმდევრები არიან, მაგრამ სხვადასხვა ენაზე საუბრობენ. მრავალი მათგანი ეგზარქოსებისგან ითხოვდა ამ ენების ცოდნას, ანდა ყველა კავკასიელ ხალხს უნდა ჰყოლოდა განსაკუთრებული ეგზარქოსი. ცხადია, რომ ეგზარქოსებს შესაძლებელი იყო, არ სცოდნოდათ ქართული ენა, მაგრამ ის, რომ მათ საერთოდ არ იცოდნენ საეკლესიო ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები, ამას ვერავინ დაიჯერებს. უსამღვდელოესი ლეონიდის მოხსენების კითხვისას უნებურად მინდა ვუთხრა ქართველ სეპარატისტებს: თქვენმა ეგზარქოსებმა არ იცოდნენ თქვენი ენა, თქვენი ეკლესიის ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები და ამით ხართ უკმაყოფილონი. ასე რომ, თქვენ ითხოვთ არა ეკლესიის ავტოკეფალიას, არამედ იმას, რომ დაგინიშნონ ქართველი ეგზარქოსები, რადგან ეკლესიის დასუსტება თქვენში მხოლოდ სეპარატისტულ, ეროვნულ მისწრაფებებს აღვიძებს. სამართლიანი იქნება კი თქვენი მოთხოვნა სხვადასხვა ტომებთან მიმართებით, რომლებიც მართლმადიდებლები არიან – ერევნის, ბაქოს, შავი ზღვის, ელიზავეტოპოლის, სტავროპოლის, ყარსისა და დაღესტნის ოლქებთან მიმართებით აფხაზებთან და ოსებთან ერთად. კავკასიელ ხალხთა შორის მუდმივი მტრობის ფონზე ქართველების მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს შეურიგებელ შეტაკებას ტომთა შორის, არეულობას საეკლესიო ცხოვრებაში, შეიძლება სისხლისღვრაც კი მოხდეს, რაც ბაქოში მოხდა... მხოლოდ ქართველებით ხომ არ არის დასახლებული კავკასია?! ქართველები მხარეში გამორჩეული პოლიტიკური და ეკლესიური ბატონობისათვის მიისწრაფიან. კახეთში, ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, სვანეთსა და თბილისის გუბერნიაშიც კი არა მხოლოდ ქართველები მკვიდრობენ. იქ მრავლად ცხოვრობენ ბერძენიც, რუსებიც, ოსებიც და აფხაზებიც. როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, მასზე ჯერ კიდევ არ იყო დაქვემდებარებული სხვა კავკასიელი ტომები. რუსეთის ხელისუფლება ძალიან ფრთხილად ეპყრობოდა ქართველების ნაციონალურ კეთილსინდისიერებას, ათ წელზე მეტი იტანდა კათოლიკოს ანტონ II-ს საქართველოს ეკლესიის სათავეში. პირველი ეგზარქოსიც ხომ საქართველოში ადგილობრივი ქართველი იყო, ერისთავის გვარიდან... და რა მერე? იყვნენ კი კმაყოფილი ქართველები მისით? – არა. ქართველები მას სიძულვილით „რუსეთის მსახურად“, „რუსეთის მიერ დანიშნულ მოხელედ“ და ა. შ. იხსენიებდნენ.

2) ეგზარქოსები – ამბობს ავტორი – ხშირად იცვლებოდნენ: საშუალოდ ექვს წელზე ნაკლებს მსახურობდნენ. ასევე ნათქვამი იყო, რომ არც ერთი ეგზარქოსი არ იცნობდა თავის მრევლს. შეიძლება აღნიშნული ნათქვამი სიმართლეს შეეფერება, მაგრამ ამაში ქართველებს მიუძღვით ბრალი. მათ მხოლოდ იმიტომ ჰქონდათ მტრული დამოკიდებულება ეგზარქოსებისადმი,

რომ ისინი რუსები იყვნენ. ეგზარქოსების ცხოვრება საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო დროს გაუსაძლისი გახდა. მხოლოდ რუსი სამხედროების თანხლებით ჩნდებოდნენ ისინი სიონის ტაძარში ღვთისმსახურების აღსავლენად. ასეთ მდგომარეობაში მათი დატოვება დიდხანს არ შეიძლება. თუ ქართველები თვლიან, რომ ეგზარქოსები დიდხანს არ ჩერდებიან მათთან და ამ ფაქტს უარყოფითად აფასებენ, მაშინ მათ აუცილებლად უნდა შეეცვალონ დამოკიდებულება ეგზარქოსებისადმი.

3) მოხსენების ავტორი განიკითხავს ყოფილ ეგზარქოსებს და ბრალს სდებს მათ სხვა პირების მეშვეობით ეკლესიის მართვაში და იხსენიებს მათ როგორც ეგოისტ, პირმოთნე და პატივმოყვარე ადამიანებს. ასეთი მდგომარეობა თითქოს აიძულებს ქართველებს, მოითხოვონ ეკლესიის ავტოკეფალია იმის ნაცვლად, რომ მოითხოვონ დამოუკიდებელი ეგზარქოსი. შეიძლება კი ავტოკეფალია იყოს თავდები იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის პატრიარქი იქნება ეკლესიის დამოუკიდებელი მმართველი და რომ ის არ შემოიკრებს თავის თაყვანისმცემელ პირებს და არ მოექცევა მათი გავლენის ქვეშ და რომ არ უხელმძღვანელებს საქართველოს ეკლესიას მათი დახმარებით, მათი რჩევებითა და მითითებით?¹⁸.

პროფესორ ტ. ი. ბუტკევიჩის გამოსვლას გამოეხმაურა ეპისკოპოსი ლეონიდი, რომელმაც მას კიდევ ერთხელ განუმარტა თავისი მოხსენების არსი. ქართველი ეპისკოპოსი არ დაეთანხმა რუსი მეცნიერის მიერ მოყვანილ ფაქტებს და მასთან კამათში ჩაება. უსამღვდელოესმა ლეონიდმა აღნიშნა, რომ ეგზარქოსების მიერ ქართული ენის არცოდნა არ იყო ნორმალური და მისაღები ფაქტი. ეგზარქოსები, როგორც ეკლესიის პირველი იერარქები, ვალდებული იყვნენ, სცოდნოდნენ ქართული ენა, რომელიც, ამავე დროს, საეგზარქოსოს მოსახლეობის სახელმწიფო ენაც იყო. ქართველი მღვდელმთავარი შეეცადა, ტ. ი. ბუტკევიჩის მოხსენებაში აღნიშნული ყველა ბრალდება გაეპარწყლებინა. ეპისკოპოსმა ლეონიდმა საეკლესიო ტრადიციების დევნის არაერთი ფაქტი დაასახელა. იგი ამტკიცებდა, რომ ეგზარქოსებმა არ იცოდნენ საეკლესიო ტრადიციები და არც პატივს სცემდნენ მათ. ამის დასადასტურებლად ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა ასეთი ფაქტი გაიხსენა: პირველ ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში აღნიშნავდნენ ცხოველმყოფელი სვეტის დღესასწაულს. ეგზარქოსმა ნახა ტაძარში ადგილობრივი დღესასწაულის აღმნიშვნელი ხატი, გასცა ბრძანება ხატის ამოხსნისა და ღვთისმშობლის საფარველის (Покров Богородицы) ახალი ხატი მოატანინა. მას განუმარტეს, რომ ეს იყო ადგილობრივი ტაძრის დღესასწაულის აღმნიშვნელი ხატი, რაზეც მან ასე უპასუხა: „არანაირი თქვენი დღესასწაული არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, უნდა ვიდღესასწაულოთ საფარველის დღესასწაული“¹⁹. ამ ფაქტით ქართველმა მღვდელმთავარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ ეგზარქოსებმა არა მარტო არ იცოდნენ საეკლესიო ტრადიციები, არამედ არც პატივს სცემდნენ მათ. ეპისკოპოსი ლეონიდი გამოეხმაურა ასევე ეგზარქოსების ხშირ ცვლას და აღნიშნა, რომ ამაში ქართველებს ბრალი არ მიუძღოდათ. ეგზარქოსებისა და სასულიერო პირების ხშირი მონაცვლეობა საერთო რუსული მოვლენა იყო. ქართველი მღვდელმთავრისათვის სრულიად გაუგებარი იყო, თუ რატომ აღმოჩნდა ეპისკოპოსი კირიონი ორლოვის ეპარქიაში უფრო საჭირო, ვიდრე მშობლიური კავკასიისათვის. ქართველი ეპისკოპოსისათვის მიუღებელი იყო ასევე ტ. ი. ბუტკევიჩის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით ქართველები ცდილობდნენ მიეღწიათ პოლიტიკური განცალკევებისათვის. ამავე დროს ისინი თურმე ადგილობრივი ხალხის დამორჩილებას და მათ გაქართველებას ესწრაფოდნენ. ეპისკოპოს ლეონიდისათვის უცნობი იყო,

¹⁸ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №2, Заседание 17 ноября 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №51-52 за 1906 год, стр. 65-67.

¹⁹ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №2, Заседание 17 ноября 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №51-52 за 1906 год, стр. 67.

რის საფუძველზე აკეთებდა რუსი პროფესორი ასეთ განცხადებას, რადგან საქართველოში ასეთ მოვლენას ადგილი არ ჰქონია²⁰. უსამღვდელოეს ლეონიდს გამოეხმაურა ალექსანდრე ცაგარელიც და აღნიშნა, რომ საკითხის ამ კუთხით განხილვა პოლიტიკურ სახეს იძენდა, რაც მიუღებელი იყო საეკლესიო პრობლემის გადასაჭრელად. პროფესორი ტ. ი. ბუტკევიჩი კვლავ უსამღვდელოესი ლეონიდის მიერ აღნიშნული ფაქტების საწინააღმდეგოდ გამოდიოდა. მისი თქმით, ეგზარქოსები არცთუ ისე მალე იცვლებოდნენ საქართველოში. ეგზარქოსი იოანე (ვასილევსკი – გ. ბ.) 11 წელი მსახურობდა საქართველოში, ევგენი (ბაჟენოვი – გ. ბ.) – 10 წელი, ისოდორე (ნიკოლსკი – გ. ბ.) – 14 წელი, ევსევი (ილინსკი – გ. ბ.) – 10 წელი. მხოლოდ ბოლო წლებში განსაკუთრებული მდგომარეობის გამო მოხდა ეგზარქოსების ხშირი ცვლილება.

ამირაგად, რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე საქართველოში რუსი ეგზარქოსების მმართველობის პერიოდის შეფასებაზე თანხმობა ვერ იქნა მიღწეული. ქართველი მღვდელმთავრები და მეცნიერები რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობას უარყოფითად აფასებდნენ, ხოლო რუსი მღვდელმთავრები და მეცნიერები ცდილობდნენ ეგზარქოსების ანტიქართული პოლიტიკის გამართლებას.

Gvantsa Burduli

The estimation of Georgia Exarch on the basis of an assessment Previous meeting of Council (1906).

Summary

This issue have an idea to show **The estimation of Georgian Exarch during the of the Russian Previous meeting of Council**. The bishop kiroin (it is applied to George Sadzaglishvili), the bishop Leonidi (it is applied to Longinoz to Okropiridze) on the previous meeting of the second part of Russian Council have the comprehensive and reasonable critics of Ekzarkh. The Russian churches and the Russian scientists were very sensitive to the perceived actions of bishops. Charges were heard, as representatives of church and group of scientists of the Russian secular and religious leaders, and also.

Thus, the Exarch of Universal Council the previous meeting of the Russian government in Georgia in the period of validity isn't reached. Religious leaders and scientists criticized activity of Russian Exarch, the Exarch of the Russian clergy and laymen tried to acquit the anti-politician.

²⁰ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе, Журнал №2, Заседание 17 ноября 1906 года – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №51-52 за 1906 год, стр. 67-68.

ძმები ზუბალაშვილების სტიპენდიანტები 1908-1914 წლებში

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ძმები ზუბალაშვილები სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად სწირავდნენ ზშირად თანხას.

სტეფანე ზუბალაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისმა ძმებმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირეს 1000 მანეთი, რათა საზოგადოებას მოეხმარა ეს თანხა სტუდენტების დასახმარებლად.

1906 წლის 17 დეკემბერს გაიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიური კრება, რომელშიც ვკითხულობთ: „გამგეობამ მოახსენა საზოგადოების წევრთა კრებას ძმათა ლევან, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილების მიერ შემოწირულ თანხის 1000 თუმნის შესახებ. 1904 წლის 18 ოქტომბერს ბატონმა იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა საკუთრად და თავისი ძმების ლევან და პეტრე ზუბალაშვილების მხრიდან შემოსწირა საზოგადოებას 1000 თუმანი, მათი გარდაცვლილი ძმის, სტეფანე კონსტანტინეს-ძის სახსოვრად, იმ პირობით, რომ ეს ფული შენახულ იქნება ხელუხლებელ თანხად და მხოლოდ მისი სარგებელი მოხმარდეს საზოგადოებას თუ წერა-კითხვის საზოგადოება დაიკეტა, ეს ფული გადაეცეს თბილისის თავად-აზნაურობას, რომელმაც ამ ფულის სარგებელი უნდა მოახმაროს ქართველი ბავშვების აღზრდას, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა.“¹

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მადლობის აღსანიშნავად ლევან და პეტრე ზუბალაშვილები აირჩია საზოგადოების საპატიო წევრებად, ამასთან დაკავშირებით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ წერილიც კი მისწერა ძმებს: „წარსული წლის 17 დეკემბერს მოხდა საზოგადო კრება. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ მოახსენა კრებას თქვენი და თქვენი ძმების ლევანის და პეტრეს 1000 თუმნის შემოწირულობა სახსოვრად თქვენი ძმის, საზოგადოებისთვის დაუვიწყარის სტეფანე კონსტანტინეს ძის. საზოგადოება უსაზღვრო მადლობით მიეგება თქვენს უხვ შემოწირულობას და ერთხმად ავირჩიათ თქვენ და თქვენი ძმები ლევანი და პეტრე საპატიო წევრებად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.

გამგეობა სიამოვნებით გაუწყებთ საზოგადო კრების ამგვარ გადაწყვეტილებას და თავის მხრივ განმეორებით გიძღვნით დიდ მადლობას თქვენი უხვი შემოწირულობისათვის.“² (ზემოაღნიშნული წერილი წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გაუგზავნა იაკობ ზუბალაშვილს).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ძმები ზუბალაშვილების მიერ შემოწირული თანხიდან არაერთ გაჭირვებულ სტუდენტს საშუალება მისცა, რომ ესწავლათ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეიმუშავა ძმები ზუბალაშვილების სტიპენდიის დანიშვნის წესი და პირობები: აღნიშნული დოკუმენტი იხსნება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში და შემდეგი შინაარსის მატარებელია: „1. ძმათა ზუბალაშვილების სტიპენდიას ნიშნავს ქართველთა შორის

¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 873, ფურცელი 51.

² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 120, ფურცელი 274.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, 2. სტიპენდიები ეძლევათ უპროცენტო სესხად საზოგადოდ რუსეთისა და საზღვარგარეთის დაბალ და საშუალო სპეციალსა და მაღალს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველებს, უფრო კი რუსეთის დაბალ, საშუალო და მაღალ სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეებს, ან ამგვარსავე სასწავლებლებში ახლად შემსვლელთ განურჩევლად სქესისა, წოდებისა და სარწმუნოებისა, 3. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა უპირატესობას აძლევს სტიპენდიის მიღების მსურველთა შორის იმათ, ვინც ცნობილ იქნება გამგეობის მიერ, რომ ღარიბია, ნიჭიერი მოყვარე შრომისა და პატრონი განსაკუთრებულის ზნეობისა, 4. რაოდენობა თვითიული სტიპენდიისა არის 300 მანეთი წელიწადში, მაგრამ გამგეობას შეუძლია ამაზე ნაკლები დაუნიშნოს მთხოვნელს სტიპენდია, 5. სტიპენდია ეძლევა მოსწავლეს იმ ხნის განმავლობაში რომელიც საჭიროა მისთვის სრული კურსის გასათავებლად, უკეთუ ეს ვადა არ აღემატება 1911 წლის 31 დეკემბერს, ვინაიდან ძმანი ზუბალაშვილნი მხოლოდ ამ ვადამდის არიან სასტიპენდიო ფულს დაპირებულნი, 6. სტიპენდიებს ნიშნავს საზოგადოების გამგეობა აგვისტოს დამდეგს, ხოლო შემთხვევით განთავისუფლებული სტიპენდიებს სხვა დროსაც სასწავლო წლის განმავლობაში, ადგილობრივ ქართულ გაზეთებში გამოცხადებულ უნდა იქნეს, რომ ეს და ეს სტიპენდია თავისუფალია, 7. თხოვნები-სტიპენდიები დაგვინიშნეთ უნდა შემოიტანონ ქ.შ.წ.გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის სახელზე, ერთი თვით ადრე მაინც მოსწავლეებმა ან მათმა მშობლებმა და ნათესავებმა, 8. თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს: ა) სასწავლებელი, რომელშიც სტიპენდიის მთხოვნელი სწავლობს, აგრეთვე კლასი ან კურსი რომელზედაც იგი არის, ბ) სასწავლებელი რომელშიაც მთხოვნელს მიუღია მოსამზადებელი სწავლა და ის სასწავლებელი რომელშიც იგი შესვლას აპირებს. გ)ოჯახური და ნივთიერი მდგომარეობა სტიპენდიის მთხოვნელისა, 9. თხოვნასთან წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები: ა)მოწმობა სასწავლებლის მთავრობისა, სადაც მთხოვნელი სწავლობს, ბ) მოწმობა იმ სასწავლებლისა რომელშიც მთხოვნელს მოსამზადებელი სწავლა მიუღია,თუ იგი ახლა შედის დაბალ და საშუალო სპეციალსა ან მაღალს სასწავლებელში, 10. სასწავლებელში ახლად შემსვლელთ დანიშნული სტიპენდია მიეცემათ მას შემდეგ, რაც ისინი გამგეობას წარმოუდგენენ თავიანთ სასწავლებლის მთავრობის მოწმობას,რომელშიაც დამოწმებული იქნება, რომ ისინი მიღებულნი და ჩარიცხულნი არიან სასწავლებელში მოსწავლეებად, 11. თუ ასეთი მოწმობა (მუხლი 10) სტიპენდიანტმა არ წარმოუდგინა გამგეობას სამოსწავლო წლის დაწყების დღიდან ერთი თვის განმავლობაში იგი ჰკარგავს სტიპენდიის მიღების უფლებას და მისი სტიპენდია, გამგეობის ამორჩევით, სხვა მთხოვნელს გარდაეცემა. 12. ყოველი სტიპენდიანტი ვალდებულია: ა) აცნობოს ხოლმე გამგეობას თავისი მისამართი, ბ) აცნობოს გამგეობას ყოველი თვალსაჩინო ცვლილება, რომელიც მოხდა მის ნივთიერ ყოფა-მდგომარეობაში, გ) გაუგზავნოს ყოველ თვეს გამგეობას საკუთარი ხელმოწერილი კვიტანცია, რომ მან ნამდვილად მიიღო გამგეობის მიერ გაგზავნილი თვიური სტიპენდია, დ) ყოველ წელს არაუგვიანეს პირველი აგვისტოსა, წარმოუდგინოს გამგეობას სასწავლებლის მთავრობის მოწმობა რომელშიაც აღნიშნული უნდა უყოს, რომ იგი სასწავლებელში მოსწავლედ ითვლება, კლასიდან კლასში ან კურსიდან – კურსზე გადავიდა, 13. გამგეობა სტიპენდიანტებს მოუსპობს სტიპენდიას: ა) როცა ძმები ზუბალაშვილნი შეუწყვეტენ ქ. შ. წ. გამავრცელებელ საზოგადოების განკარგულებაში სასტიპენდიო, ფულის ძღვეას, ბ) როცა სტიპენდიანტი დანიშნულ ვადაზე ვერ წარმოადგენს იმ მოწმობას, რომელიც მე-12 მუხლში არის აღნიშნული და აგრეთვე დაავიანებს პატივსაცემ საბუთებს, გ) როცა სტიპენდიანტი ერთსა და იმავე კლასში ან კურსზე დარჩება და მიზეზი მისი დარჩენისა გამგეობის მიერ არ იქნება შეწყნარებული, დ) როცა სტიპენდიანტი კურსს დაასრულებს სასწავლებელში ან როცა იგი კურსის დასრულებამდის თვითონ თავს დაანებებს სასწავლებელს, ე) როცა სტიპენდიანტს დაითხოვენ სასწავლებლიდან, რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული მისი დათხოვნა, ვ) როცა სტიპენდიანტი გამოიცვლის სასწავლებელს ან ფაკულტეტს გამგეობის

ნებადაურთველად, ზ) სხვა მიზეზის გამოც რომელიც გამგეობის აზრით, საკმაო საფუძველი იქნება სტიპენდიის მოსასპობათ, 14. ყოველი სტიპენდიანტი ვალდებულია როცა მას სტიპენდია დაენიშნება მისცეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას ხელწერილი, რომ იგი სტიპენდიას იღებს სესხად და ვალდებულია შემდეგში სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა გამოვა იქიდან კურსდამთავრებული თუ არა. სტიპენდიის სახით აღებული ვალს ნაწილ-ნაწილ გადაუხდის გამგეობას იმ წესით რომელიც ქვევით არის აღნიშნული, სტიპენდიანტი თუ მცირე-წლოვანია, ასეთ ხელწერილს დებს მასთან ერთად მისი მშობელი ან აპეკუნი ან მზრუნველი. 15. იმ ხელწერილით რომელსაც სტიპენდიანტი აძლევს გამგეობას სტიპენდიის დანიშვნის დროს იგი ვალდებულია ორი წლის შემდეგ დღიდან სასწავლებელში კურსის დასრულებისა ან თუ სწავლა არ დაასრულა, დღიდან კურსის დაუსრულებლად სასწავლებლიდან გამოსვლისა, დაიწყოს სტიპენდიის სახით მიღებული სესხის ნაწილ-ნაწილ გადახდა, იმ სტიპენდიანტებმა რომელთაც მუდმივი ადგილი და განსაზღვრული ჯამაგირი ექნებათ უნდა გადაიხადონ 15 % თავიანთი შემოსავლისა ყოველ წელს, ვიდრე მთელს ვალს გაისტუმრებენ. იმ სტიპენდიანტებმა კი, რომელთაც განსაზღვრული ჯამაგირი არ აქვთ და მაშასადამე ვალის გასასწორებლად მათ მიერ წლიურად გადასახდელი ვერ იანგარიშება შემოსავლის პროცენტების მიხედვით, უნდა გადაიხადოს იმდენი რამდენსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა დაუნიშნავს წლიურ გადასახდად, 16. გამგეობას შეუძლია სტიპენდიის ფული ერთდროულად მოსთხოვოს ყოფილ სტიპენდიანტებს, 17. იმ შემთხვევაში თუ ყოფილი სტიპენდიანტი განსაკუთრებით შევიწროვებულ ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფება, გამგეობას შეუძლია ვალის გადახდის ვადა გაუგრძელოს, აგრეთვე სრულიადაც გაანთავისუფლოს ვალის გადახდის მოვალეობისაგან, 18. ყოფილი სტიპენდიანტებისაგან დაბრუნებული ფული, შემომწირველთა სურვილის მიხედვით ისევ ქართველთა სწავლა-განათლების საქმეს მოხმარდება ან ისევ სტიპენდიებზე დაიხარჯება, ახლანდელი სახელწოდებით ანდა სწავლა-განათლების სხვა რამ საგნისთვის გადაიღება, რომელსაც აგრეთვე ძმათ ზუბალაშვილთა სახელი დაერქმევა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში უამრავი წერილი შედიოდა ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიის დანიშვნასთან დაკავშირებით სტუდენტების მხრიდან, რაც სავსებით გასაგებია, რადგან აღნიშნულ პერიოდში ქართველი სტუდენტები უძძიმეს მდგომარეობაში სწავლობდნენ. იმისთვის, რომ ნათლად წარმოჩნდეს იმდროინდელი სტუდენტების ეკონომიური მდგომარეობა, განვიხილოთ რამდენიმე წერილი, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მისწერეს სტუდენტებმა.

1911 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თხოვნით მიმართა სტუდენტმა, ივანე კონსტანტინეს ძე არსენიშვილმა, რომელიც ითხოვდა - „მე გახლავარ შვილი დიდად-ღარიბი მამისა, თანამდებობით მედავითნისა, რომელსაც ჩემს გარდა კიდევ ჰყავს ოთხი შვილი, ამისთვის მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას, რამე ნივთიერი დახმარება აღმომიჩინოს და მით ხელი შეუწყოს სწავლის გასაგრძელებლად ინსტიტუტში (სწავლობს კიევის კომერციულ ინსტიტუტში).

ამიტომ იძულებული ვარ უმორჩილესად გთხოვოთ და შემოგვედრებთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, შეხვიდეთ ჩემს გაჭირვებულ მდგომარეობაში და დამინიშნოთ ერთდროული დახმარება იმ თანხიდან რომელიც აქვს მინდობილი ძმებ ზუბალაშვილებს გამგეობისათვის, რითაც მომცემთ საშუალებას დავამთავრო სწავლა უმაღლეს კომერციულ ინსტიტუტში და შევძლო გავხდე სასარგებლო წევრი ქართული საზოგადოებისა, ცოდნით და მომზადებით აღჭურვილი.“³ გარდა სტუდენტებისა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თხოვნით მიმართავდნენ სტუდენტების მშობლებიც, მაგალითად,

³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1277, ფურცელი 8.

1911 წლის 20 აგვისტოს საზოგადოებას მიმართა ელისაბედ მღებრიშვილმა: „უკიდურესი ნივთიერი მდგომარეობა მაიძულებს მოგმართოდ უმორჩილესი თხოვნით დაუნიშნოთ ჩემს შვილს გიორგი მღებრიშვილს, კიევის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის მეორე კურსის მოწაფეს სტიპენდია ზუბალაშვილების, ჩემს უკიდურეს მდგომარეობის აღწერას არ შეუდგები ეს ისედაც იციან გამგეობის წევრებმა: ფილიპე გოგიჩაიშვილმა, ა. მდივანმა, ალ. ყიფშიძემ და შიო დედაბრიშვილმა. იმედი მაქვს ესენი გაცნობებენ პატივცემულ საზოგადოებას ჩემს მდგომარეობას და მით მიცემენ ჩემს შვილს შესაძლებლობას დაასრულოს უმაღლესი სასწავლებელი“.

1910 წელს კიევის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტმა ნიკოლოზ უკლებამ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მისწერა თხოვნით: „1910 წლის სექტემბერში მე შევედი კიევის კომერციულ ინსტიტუტში და მაქვს სურვილი შევასრულო აღნიშნულ ინსტიტუტში სწავლა, მაგრამ ამ ჩემს სურვილს ეღობება უკიდურესი სიღარიბე ჩემის მშობლებისა, მამაჩემს მღვდელ მეთოდე უკლებას, ჰყავს ჩემს გარდა სხვადასხვა სასწავლებელში ოთხი შვილი, რომელთაც ზრდის თავის ხარჯზე დიდის გაჭირვებით, რის გამოც ისინი მოკლებულნი არიან მრავალგვარ საჭიროებას. მათ გარდა, ჰყავს კიდევ სხვა შვილებიც სასწავლებელში შესაყვანი, მაგრამ მეტი სიღარიბის გამო ისინი კიდევ სკოლის გარეშე იმყოფებიან და ჩვენც რომლებიც გზაზე ვდგავართ და ვსწავლობთ მეტი აუტანელი სიღარიბის გამო მოგველის გზის მოსპობა, ესეთ მდგომარეობაში მყოფი მე ღარიბი სტუდენტი ვებრძოვ მოვიქცე თქვენ გამგეობისადმი სრულის იმედით, რომ მომეცემა მე ყურადღება და აღმომიჩნდება დახმარება იმ თანხიდან რომელიც ძმათა ზუბალაშვილებს აქვს მინდობილი გამგეობას, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სტუდენტთა სტიპენდიებისათვის და ამით მომეცემა საშუალება განვაგრძო სწავლა ზემორე აღნიშნულ სასწავლებელში.“⁴

საინტერესოა სტუდენტ ვასო თოფურიას წერილი - „მე ვსწავლობ თბილისის სამოქალაქო სკოლაში, ვარ მეექვსე კლასის მოსწავლე, ვარ ღარიბი დედამიშვილი, მამაჩემი ცალფენხოჭრილი კაცია, ორის ჯოხით დადის მოხუცი, დედა მრეცხველი მყავს, ქირითა ვდგავართ მეორე თუშანოვის ქუჩაზე ნინო ციბაძის სახლში. მთელს კურს ისე ვამთავრებ, რომ ერთხელ ტანზედ ახალი პალტო არა მცმია, დიდ სიცივეებშიც ხალათის ამარა მივდივარ. ეხლა ამ წლის ამ უკანასკნელ კურსზედ დიდად მიჭირს სწავლის ფული, სულ არ მომეძებნება საიდან გადავიხადო არ ვიცი, გადაუხდელობაც კი არ იქნება, სწავლის ფული 24 მანეთი საჭიროა.

ამიტომ მოვმართავ წერა-კითხვის სამმართველოს და ვთხოვ, რომ უკანასკნელ გასაჭირში დამეხმარონ დახმარება, 24 მანეთი, თუ სესხად მივიღებ და მერე დავუბრუნებ იმ თანხას, რომელიც მომეცემა დასახმარებლად, მე ვთხოვ დახმარებას წერა-კითხვის გამავრცელებელ გამგეობას თანხიდან რომელიც გამოუყვეს ძმებმა ზუბალაშვილებმა. მოიმედე ვარ, რომ ეს ჩემი ერთადერთი უკანასკნელი თხოვნა დაჯილდოებული იქნება და ღონისძიება მომეცემა სწავლა შევასრულო“.⁵

ზემოაღნიშნული წერილებიდან ნათლად ჩანს, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ქართველი ახალგაზრდები, გამომდინარე აქედან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძმები ზუბალაშვილების მიერ შეწირულ თანხას სტიპენდიების დასანიშნად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში ინახება ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიატების სრული სია.

1908 წელს ძმებ ზუბალაშვილებს ჰყავდათ 21 სტიპენდიატი ესენი იყვნენ: 1. ავალიშვილი იოსებ გიორგისძე, 2. ამირეჯიბი შალვა, 3. დგებუაძე ალექსანდრე, 4. დაღვანი პავლე, 5. ელიავა

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1277, ფურცელი 77.

⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1277, ფურცელი 176.

შალვა, 6. იმნაიშვილი ნიკიფორე, 7. იმნაძე ვალერი, 8. მღვიანი ვასილ, 9. მირზაშვილი მიხეილ, 10. ორჯონიკიძე ვლადიმერ, 11. რცხილაძე ვასილ, 12. ფალავა აკაკი, 13. ქიქოძე გერონტი, 14. შიუკაშვილი თამარ, 15. შურაია ლაზარე, 16. ცინცაძე იაკობ, 17. ჯაჯანაშვილი არჩილ, 18. ჯიჯავაძე ელენე, 19. ორჯონიკიძე იაკობ, 20. კაკაბაძე სარგის, 21. ჟღენტი ალექსანდრე.⁶

1908 წლის სტიპენდიატთა სიაში არის რამდენიმე შემდგომში ცნობილი პიროვნება, მაგალითად: შალვა ელიავა, სარგის კაკაბაძე, გერონტი ქიქოძე და სხვები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში ინახება გერონტი ქიქოძის წერილები, რომლებიც მან გაუგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

1911 წელს გერონტი ქიქოძემ თხოვნით მიმართა ლევან, პეტრე და იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილებს, რომ მისთვის დაენიშნათ სტიპენდია, აღნიშნული წერილი ინახება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში და შემდეგი შინაარსისაა: „სულ წელიწად ნახევარი მიკლია სწავლის დამთავრებას, მაგრამ უმწეოთ, უღელმამოთ დარჩენილი იძულებული ვარ დაწყებულ საქმეს გამოვეთხოვო, გთხოვთ უმორჩილესად, დამინიშნოთ თქვენი საქველმოქმედო თანხიდან საჭირო დახმარება და ამით შეძლება მომცეთ დაწყებული საქმე დავაგვირგვინო.“⁷

გერონტი ქიქოძის თხოვნა დააკმაყოფილეს და ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია დაენიშნა. ამას მოწმობს თავად გერონტი ქიქოძის წერილი, რომელიც მან გაუგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას: „მოწყალეო ხელმწიფე ბატონო სამსონ! იმ მთხოვნელთა რიცხვში რომელთაც მიიღეს სტიპენდია ძმები ზუბალაშვილთა თანხიდან ვწერივარ მეც ლეიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი გერონტი ქიქოძე. გიგზავნით ჩემს ადრესს და გთხოვთ რაც შეიძლება ჩქარა გამომიგზავნოთ ფული და ამასთანავე შემატყობინოთ რა პირობებში დამენიშნა ეს სტიპენდია.“⁸

საინტერესოა 1911 წლის 22 ივლისს გერონტი ქიქოძის მიერ გაგზავნილი წერილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისადმი: „ვაუწყებ პატივცემულ გამგეობას, რომ მიმდინარე წლის მაისიდან ვირიცხები ბერნის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის კანდიდატად, სადოქტორო დისერტაციისათვის თემა უკვე აღებული მაქვს და ახლო მომავალში გასათავებელს ეგზამენების ჩაბარებას ვაპირებ, რადგან უცხოეთში საცხოვრებლად არავითარი სახსარი არ გამაჩნია და ამასთანავე ჩემი ჯანმრთელობა ხანგრძლივი მატერიალური გაჭირვების გამო შერყეულია, ამიტომ ვთხოვ პატივცემულს გამგეობას დამინიშნოს ძმები ზუბალაშვილების მიერ გადაღებული თანხიდან სტიპენდია ხუთი თუძანი თვიურად, ამითვე ვამოწმებ, რომ ვკისრულობ ყოველ ვალდებულებათა შესრულებას რომელიც ხსენებული სტიპენდიის მიღებასთან არის დაკავშირებული.“⁹

1913 წლის 30 აგვისტოს გერონტი ქიქოძე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თხოვნით მიმართავს, რომ სტიპენდია გაუგრძელონ. „უმორჩილესად ვთხოვ პატივცემულ გამგეობას გამიგრძელოს სტიპენდიის ვადა 1913 წლის 1 სექტემბრიდან 1914 წლის აგვისტომდე, შეძლებისამებრ ვეცდები სტიპენდია უფრო ადრე განვანთავისუფლო.“¹⁰

1913 წელს გერონტი ქიქოძე მეორე წერილს წერს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელშიც იგი ითხოვს, რომ ერთდროულად დაეხმარონ 150 მანეთის ოდენობით. „უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას გამომიგზავნოს 150 მანეთი ჩემის სტიპენდიის თანხიდან ამ ფულის ერთი ნაწილი თვიური ხარჯის და ვალის გასასტუმრებლად მჭირდება, ხოლო მეორე

⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 113, ფურცელი 1.

⁷ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1056, ფურცელი 1.

⁸ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1056, ფურცელი 3.

⁹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1056, ფურცელი 5.

¹⁰ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1056, ფურცელი 8.

სამშობლოში დასაბრუნებლად, რადგან გადაუღებელი საქმის გამო ჩემი დაბრუნება ძლიერ საჭიროა, ვთხოვ ეს ქალაქი რამდენადაც შეიძლება ადრე იქნეს განხილული.”¹¹

გერონტი ქიქოძის ზემოაღნიშნული წერილი განიხილა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და უპასუხა, „დიდად პატივცემულო ბატონო გერონტი! თქვენი უკანასკნელი თხოვნა გამგეობისადმი 150 მანეთის გამოგზავნის შესახებ მივიღე 11 ამა თვეს, (1913 წლის 11 აპრილი) ხუთშაბათს და რადგან იმ დღეს გამგეობის სხდომა იყო დანიშნული, იმავე საღამოს მოვახდინე მეცნობებინა გამგეობის წევრებისათვის, გამგეობამ შესაძლებლად ვერ დაინახა თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება, რადგან იგი ეწინააღმდეგება გამგეობის პრინციპიულ გადაწყვეტილებას, სტიპენდია წინდაწინ არავის მიეცეს.

ამ დადგენილებას გამგეობა ადასტურებს, ამიტომ ყოველივე ცდა სტიპენდიებისა, რომ წინასწარ მიიღონ ფული სტიპენდიის ანგარიშიდან უნაყოფო რჩება, ასე ჩემო ბატონო სხვა რამე უნდა იღონოდ, თუ წამოსვლასა და ვალის გასტუმრებას აპირებ.

ამასთანავე გამგეობა ვთხოვთ შეგვატყობინოთ, როდის ამთავრებთ თქვენ სწავლას და როდემდისაა თქვენთვის საჭირო სტიპენდიები, წერა-კითხვის საზოგადოება სტიპენდიას ოთხი წლით აძლევს, 300 მანეთი წელიწადში, თქვენ 1908-1909 წლებში მიღებული გაქვთ 700 მანეთი, მეორე ენკენობის თვეში 1911 წლისა დღემდე ორწელიწადს ერთი თვე უკლია, მიღებული გაქვთ 575 მანეთი, სულ 4 წელიწადში მიღებული გაქვთ 1275 მანეთი თუ ენკენის თვიდან კიდევ საჭიროა თქვენთვის სტიპენდია, უნდა დასაბუთებული მოხსენება გამოგზავნოთ ამის შესახებ და შიგ ადნიშნოთ რა მიზეზის გამო აქამდის ვერ დაგისრულებიათ სწავლა და როდემდის იქნება კიდევ საჭირო სტიპენდია.”¹²

ზემოაღნიშნული წერილები იმითაა საინტერესო, რომ მასში ნათლად ჩანს, თუ როდის დაენიშნა გერონტი ქიქოძეს ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია და სწავლის პროცესში რა როლდენობის თანხა მიიღო.

1909 წელს ზუბალაშვილების სტიპენდიას იღებდნენ შემდეგი სტუდენტები : „1. დადიანი შოთა, 2. ებრალიძე გიორგი, 3. კაპანაძე ანნა, 4. ნიჟარაძე ტარასი, 5. ჩხენკელი იასონ, 6. ხარაბაძე თამარ.”

1910 წელს ზუბალაშვილებს ჰყავდათ მხოლოდ ორი სტიპენდიატი, ძნელაძე თამარი და ხახუტაშვილი ანა.

1911 წელს ზუბალაშვილების სტიპენდიატები იყვნენ: 1. გოგოლაშვილი იოსებ, 2. ელიოზიშვილი დავით, 3. ლასხიშვილი ნინო, 4. მჭედლიშვილი დავით, 5. ტატიშვილი შალვა, 6. ფიცხელაური სიმონ, 7) ყიფიანი სალომე, 8. ჩიტაია გიორგი, 9. ჩხეიძე დავით.

1913 წელს ძმები ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიას იღებდნენ შემდეგი სტუდენტები: 1. ახვლედიანი ვალერიან, 2. მოსიძე შალვა, 3. შენგელაია ლეო.

1914 წელს ზუბალაშვილების სტიპენდია დაენიშნათ: 1. გობეჯიშვილ მალაქიას, 2. რაჭველიშვილ ქრისტეფორეს, 3. მელაძე დავითს, 4) სოლოლაშვილ ალექსანდრეს, 5. გუნთათიშვილ მურადს, და კაკიაშვილ სულეიმანს. “15 (ს.ც.ა ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1133, ფურცელი 2)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში დაცულია ზეოაღნიშნული სტუდენტების მიერ სტიპენდიის სახით აღებული თანხის სრული მონაცემები.

სარგის კაკაბაძე ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიას იღებდა სამი წლის განმავლობაში, 1908 წელს სარგის კაკაბაძემ აიღო სექტემბრის, ოქტომბრის და დეკემბრის თვეებში (25 მანეთი თვეში), 1909 წელს სარგის კაკაბაძის მიერ აღებული სტიპენდიის საერთო

¹¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1056, ფურცელი 9.

¹² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1056, ფურცელი 9.

რაოდენობა შეადგენდა 300 მანეთს, რომელიც აიღო შემდეგი თანმიმდევრობით: „23 იანვარი 25 მანეთი, 21 თებერვალი 25 მანეთი, 9 მარტი 25 მანეთი, 24 აპრილი 25 მანეთი, 23 მაისი 25 მანეთი, 19 ივნისი 15 მანეთი, 6 ივლისი 25 მანეთი, 25 სექტემბერი 50 მანეთი, 30 ოქტომბერი 25 მანეთი, 3 დეკემბერი 25 მანეთი, 28 დეკემბერი 85 მანეთი.“¹³

1910 წელს სარგის კაკაბაძემ აიღო შემდეგ თვეებში სტიპენდია: 15 იანვარი 25 მანეთი, 4 თებერვალი 25 მანეთი, 5 აპრილი 25 მანეთი, 8 მაისი 25 მანეთი, 8 ივნისი 25 მანეთი, 7 ივლისი 25 მანეთი, 4 სექტემბერი 25 მანეთი.“¹⁴

როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის დოკუმენტებიდან ჩანს, სარგის კაკაბაძემ ზუბალაშვილების სასტიპენდიო ფონდიდან სტიპენდიის სახით სამი წლის განმავლობაში მიიღო 575 მანეთი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარგის კაკაბაძემ 1911 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართა თხოვნით, რომ გაეგრძელებინათ ზუბალაშვილების სტიპენდია: „ახლო მომავალში საზღვარგარეთ ვაპირებ წასვლას, საქართველოს ისტორიის შესახებ საჭირო მასალების შესაკრებად, ვთხოვ გამგეობას განმიხილოს ძმთა ზუბალაშვილების სტიპენდია ამა წლის პირველ ნოემბრამდის და ერთდროული დახმარებაც აღმომიჩინოს, ხოლო თუ გამგეობა სტიპენდიის განახლებას ჩემთვის შეუძლებლად სცნობს ვითხოვ ერთდროულ დახმარებას, სასტიპენდიო თანხის ნაშთიდან.“¹⁵

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოქმებიდან არ ჩანს დააკმაყოფილეს თუ არა სარგის კაკაბაძის თხოვნა, თუმცა ერთი რამ ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ის თანხა, რაც წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ძმები ზუბალაშვილების დახმარებით გადასცა სარგის კაკაბაძეს, მართლაც, ზუბალაშვილების მხრიდან დიდ ქველმოქმედებად უნდა ჩაითვალოს.

1908-1909 წლებში ალექსანდრე ჟღენტის ზუბალაშვილების სტიპენდიას იღებდა. 1908 წელს აიღო 45 მანეთი, რომელიც განაწილებული იყო შემდეგ თვეებზე – აგვისტო 21 მანეთი, 8 ნოემბერი 12 მანეთი, 18 დეკემბერი 12 მანეთი.“¹⁶

1909 წელს ალექსანდრე ჟღენტმა აიღო 36 მანეთი შემდეგი თანმიმდევრობით: „30 იანვარი 6 მანეთი, 21 თებერვალი 6 მანეთი, 9 მაისი 6 მანეთი, 21 აპრილი 6 მანეთი, 30 მაისი 6 მანეთი, 21 აგვისტო 6 მანეთი.

დადიან შოთას სტიპენდია დაენიშნა 1099 წელს და იღებდა 1913 წლამდე. 1099 წელს აიღო 125 მანეთი, (თვეში 25 მანეთი) 1910 წელს - 301 მანეთი, 1911 წელს - 300 მანეთი, 1912 წელს - 400 მანეთი, ხოლო 1913 წელს - 200 მანეთი.

ებრალიძე გიორგის დაენიშნა სტიპენდია 1909 წელს და იღებდა 1912 წლის ჩათვლით. 1099 წელს 100 მანეთი აიღო, 1910 წელს 120 მანეთი, 1911 წელს 120 მანეთი, 1912 წელს აიღო 50 მანეთი სულ ჯამში აიღო 390 მანეთი.

კაპანაძე ანა დაენიშნა 1909 წელს და იღებდა 1913 წლის ჩათვლით 1909 წელს აიღო 48 მანეთი, 1910 წელს - 156 მანეთი, 1911 წელს - 180 მანეთი, 1912 წელს - 180 მანეთი, 1913 წელს აიღო 90 მანეთი, ჯამში აიღო 654 მანეთი.“¹⁷

ნიჟარაძე ტარასი დაენიშნა 1909 წელს და იღებდა 1916 წლამდე. 1909 წელს აიღო 125 მანეთი, 1910 წელს - 325 მანეთი, 1911 წელს აიღო 300 მანეთი, 1912 წელს აიღო 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი და 1914 წელს 175 მანეთი“¹⁸ (თვეში იღებდა 25 მანეთს). 1915 წელს

¹³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1133, ფურცელი 42.

¹⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1133, ფურცელი 42.

¹⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1200, ფურცელი 136.

¹⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1133, ფურცელი 44.

¹⁷ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1133, ფურცელი 44-50.

¹⁸ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1133, ფურცელი 53.

ნიჟარაძე ტარიელმა, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ვერ აიღო სტიპენდია, ხოლო 1916 წელს მხოლოდ ერთი თვის აიღო 25 მანეთი.

„ჩხენკელ იასონს დაენიშნა 1909 წელს სტიპენდია და იღებდა 1911 წლის ჩათვლით. 1909 წელს აიღო 100 მანეთი, 1910 წელს აიღო 120 მანეთი, ხოლო 1916 წელს აიღო 60 მანეთი, სულ ჯამში აიღო 280 მანეთი.“¹⁹

„ხარაბაძე თამარ დაენიშნა 1909 წელს და იღებდა 1912 წლამდე. 1909 წელს აიღო 74 მანეთი, 1910 წელს აიღო 96 მანეთი, 1911 წელს 106 მანეთი, 1912 წელს აიღო 70 მანეთი, სულ ჯამში აიღო 360 მანეთი.“²⁰

„ძნელაძე თამარს 1910 წელს დაენიშნა სტიპენდია და იღებდა 1916 წლამდე თვეში 25 მანეთს. 1910 წელს აიღო 100 მანეთი, 1911 წელს აიღო 300 მანეთი, 1912 წელს 350 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი, 1915 წელს 300 მანეთი და 1916 წელს 100 მანეთი.“²¹

„ხაზუტაშვილი ანნა დაენიშნა სტიპენდია 1910 წელს და იღებდა 1915 წლამდე თვეში 25 მანეთს. 1910 წელს აიღო 100 მანეთი, 1911 წელს 300 მანეთი, 1915 წელს 125 მანეთი.“²² როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ხაზუტაშვილ ანნას სტიპენდია არ აუღია 1912 წელს.

„გოგებაშვილი იაკობ ალექსანდრეს ძე დაენიშნა ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია 1911 წელს და იღებდა 1912 წლამდე. 1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 125 მანეთი.“²³

„ელიოზიშვილი დავით დაენიშნა ზუბალაშვილების სტიპენდია 1911 წელს და იღებდა 1914 წლამდე თვეში 25 მანეთს, 1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, და 1914 წელს აიღო 175 მანეთი.

ლასხიშვილი ნინო გიორგის ასული დაენიშნა სტიპენდია 1911 წელს და იღებდა 1914 წლამდე, თვეში 25 მანეთს. 1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს აიღო 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, ხოლო 1914 წელს 125 მანეთი.

მჭედლიშვილი დავით ლევანის ძე ზუბალაშვილების სტიპენდია დაენიშნა 1911 წელს და იღებდა 1913 წლამდე თვეში 25 მანეთს. 1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 300 მანეთი, 1913 წელს 250 მანეთი.

ტატიშვილი შალვა გრიგოლის ძე ზუბალაშვილების სტიპენდია დაენიშნა 1911 წელს და იღებდა 1916 წლამდე თვეში 25 მანეთი. 1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს აიღო 300 მანეთი, 1915 წელს 300 მანეთი, 1916 წელს 125 მანეთი.

ფიცხელაური სიმონ დაენიშნა სტიპენდია 1911 წელს და იღებდა 1916 წლამდე თვეში 25 მანეთი. 1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი, 1915 წელს 300 მანეთი და 1916 წელს 150 მანეთი.“²⁴

„ყიფიანი სოლომონ დაენიშნა 1911 წელს და იღებდა სტიპენდიას 1916 წლამდე, თვეში 25 მანეთს. 1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს აიღო 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი, 1915 წელს აიღო 300 მანეთი და 1916 წელს 200 მანეთი.

ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე დაენიშნა 1911 წელს ზუბალაშვილების სტიპენდია თვეში 25 მანეთი და იღებდა 1916 წლამდე. 1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს აიღო 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი, და 1916 წელს 100 მანეთი.

¹⁹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1200, ფურცელი 54.

²⁰ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1200, ფურცელი 56-57.

²¹ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1200, ფურცელი 57-58.

²² საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1200, ფურცელი 59-60.

²³ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1200, ფურცელი 62.

²⁴ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1200, ფურცელი 65-70.

ჩხებიე დავით დაენიშნა 1911 წელს სტიპენდია თვეში 25 მანეთის ოდენობით და იღებდა 1915 წლის ჩათვლით. 1911 წელს აიღო 100 მანეთი, 1912 წელს 300 მანეთი, 1913 წელს 300 მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი და 1915 წელს 150 მანეთი.

მოსიძე შალვა სტიპენდია დაენიშნა 1913 წელს და იღებდა 1915 წლამდე თვეში 25 მანეთი. 1913 წელს აიღო 30 მანეთი, 1914 წელს აიღო 300 მანეთი და 1915 წელს აიღო 300 მანეთი.

შენგელაია ლეო დაენიშნა სტიპენდია 1913 წელს თვეში 25 მანეთი და იღებდა 1915 წლამდე. 1913 წელს აიღო 300 მანეთი, 1914 წელს 300 მანეთი, 1915 წელს 350 მანეთი.

გობეჯიშვილი მალაქია გიორგის ძე, ზუბალაშვილების სტიპენდია დაენიშნა 1914 წელს და იღებდა 1917 წლის ჩათვლით, თვეში 25 მანეთს. 1914 წელს აიღო 275 მანეთი, 1915 წელს 300 მანეთი, 1916 წელს 300 მანეთი, 1917 წელს 175 მანეთი.

რაჭველიშვილი ქრისტეფორე ძმები ზუბალაშვილების სტიპენდია დაენიშნა 1914 წელს და იღებდა 1916 წლის ჩათვლით თვეში 25 მანეთს. 1914 წელს აიღო 325 მანეთი, 1915 წელს აიღო 300 მანეთი, 1916 წელს კი აიღო 275 მანეთი.

მელაძე დავით გიორგის ძე სტიპენდია დაენიშნა 1914 წელს და იღებდა 1916 წლამდე თვეში 50 მანეთს. 1914 წელს აიღო 200 მანეთი, 1915 წელს 450 მანეთი, 1916 წელს 50 მანეთი.

სოლოლაშვილი ალექსანდრე, ზუბალაშვილების სტიპენდიას იღებდა 1914-1916 წლებში. 1914 წელს აიღო მხოლოდ ნოემბრის და დეკემბრის სტიპენდია 100 მანეთი, 1915 წელს აიღო 450 მანეთი, 1916 წელს აიღო მხოლოდ მაისისა და ივნისის სტიპენდია 100 მანეთის ოდენობით.

გუნთაიშვილი მურად, დაენიშნა სტიპენდია 1914 წელს და იღებდა 1918 წლამდე. „1914 წელს აიღო 100 მანეთი, 1915 წელს აიღო 285 მანეთი, 1916 წელს 341 მანეთი, 1917 წელს 549 მანეთი, ხოლო 1918 წელს 290 მანეთი.“²⁵

კაიკაციშვილ სულეიმანს ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ დაუნიშნა 1914 წელს და იღებდა 1918 წლის ჩათვლით. „1914 წელს აიღო 100 მანეთი, 1915 წელს 264 მანეთი, 1916 წელს 341 მანეთი, 1917 წელს 581 მანეთი და 1918 წელს 240 მანეთი.“²⁶

როგორც ზემოაღნიშნული დოკუმენტებიდან ირკვევა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ზუბალაშვილების მიერ შეწირული თანხიდან ორმოცდაშვიდ სტუდენტს დაუნიშნა სტიპენდია, რაც იმ პერიოდში მართლაც რომ დიდი საქმე იყო, ეს ის პერიოდია, როდესაც ქართველი სტუდენტობა განსაკუთრებულ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ადვილი შესაძლებელი იყო, რომ მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა უსახსრობის გამო დაკარგულიყო.

²⁵ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1200, ფურცელი 75-95.

²⁶ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1200, ფურცელი 94-95

Durmishkhan Lashkhi

**Brothers Zubalashvilis' Scholarship Candidates in the Years
1908-1914**

Summary

In 1906 Brothers Zubalashvilis donated 1000 "Tumani" (Georgian currency then in use) to the Society "Spreading Writing and Reading Among the Georgians" in order to grant scholarships to the poorest students.

The Society "Spreading Writing and Reading Among the Georgians" arranged a number of meetings on the issues in what way and how much to distribute Brothers Zubalashvilis' scholarships.

A huge number of students claimed in a written form for the above mentioned scholarship to the Society in 1908-1914 for continuing their studies. In the Central Archive of History the list of students asking for scholarship the Society "Spreading Writing and Reading Among the Georgians" in 1908-1914 is still kept. Among the students we can see the names of many prominent figures of the future.

ვანტანგ გურული, მაკა კვარაცხელია

საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი 1941-1957

(დოკუმენტები და მასალები)

1943 წლის 12 ოქტომბერს გამოიცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციისა და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ“¹. ბრძანებულების პირველ აბზაცში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სტავროპოლის მხარის ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციის მიზეზი ასეა განმარტებული: „В связи с тем, что в период оккупации немецко-фашистскими захватчиками территории Карачаевской автономной области многие карачаевцы вели себя предательски, вступали в организованные немцами отряды для борьбы с советской властью, предавали немцам честных советских граждан, сопровождали и показывали дорогу немецким войскам, наступающим через перевалы на Закавказье, а после изгнания оккупантов противодействуют проводимым советской властью мероприятиям, скрывают от органов власти бандитов и заброшенных немцами агентов, оказывая им активную помощь“².

ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციასთან ერთად განხორციელდა ყარაჩაელების დეპორტაცია ყაზახეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთსა და ციმბირში. სულ გადაასახლეს 69.267 ყარაჩაელი.³

ლიკვიდაციის შემდეგ რუსეთის ფედერაციის სტავროპოლის მხარის ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ტერიტორია სამ ნაწილად გაიყო: ოლქის ერთი ნაწილი დარჩა სტავროპოლის მხარის შემადგენლობაში, მეორე ნაწილი გადაეცა რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარეს, მესამე ნაწილი – საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას:

„ა) Оставить в составе Ставропольского края Зеленчукский, Усть-Джегутинский и Мало-Карачаевский районы бывшей Карачаевской автономной области, подчинив эти районы Ставропольскому краевому исполкому советов депутатов трудящихся. Мало-Карачаевский район переименовать в Кисловодский сельский район.

ბ) Включить Преградненский район бывшей Карачаевской автономной области в состав Мостовского района, Краснодарского края - с юга, запада и востока в существующих границах, а на севере определить восточную границу района по линии: начиная от селения Куньша Краснодарского края, далее через высоты 1194, 1664, исключая селение Круглый, высоты 1274, 1225, с выходом на границу пастбищ Черкесской автономной области в районе высоты 1918.

Остальную территорию Преградненского района со станицей Преградной включить в состав Зеленчукского района Ставропольского края.

ვ) Передать Учкуланский и часть Микояновского района бывшей Карачаевской автономной области в состав Грузинской ССР, образовав из указанных районов новый Клухорский район с центром в г. Микоян-Шахаре“⁴.

საქართველოს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ყარაჩაის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ნაწილი გადაეცა, კონკრეტულად კი უჩკულანის რაიონი, ასევე მიქოიანის რაიონის ნაწილი. ამ

¹ Россия. XX век. Документы. Под редакцией А.Н. Яковлева. Сталинские депортации 1928-1953. Составители: Н.Л. Поболь, П.М. Полян. Москва, 2005, с. 393-394.

² Россия. XX век. Документы. Под редакцией А.Н. Яковлева. Сталинские депортации 1928-1953. Составители: Н.Л. Поболь, П.М. Полян. Москва, 2005, с. 393.

³ Н.Ф. Бугай. Л. Берия – И. Сталину: “Согласно Вашему указанию...” Москва, 1995, с. 61-62.

⁴ Россия. XX век. Документы. Под редакцией А.Н. Яковлева. Сталинские депортации 1928-1953. Составители: Н.Л. Поболь, П.М. Полян. Москва, 2005, с. 393-394.

ტერიტორიებიდან შეიქმნა **ქლუხორის** რაიონი ცენტრით ქალაქ **მიქოიან-შაჰარეში**. იმავე ბრძანებულებით მიქოიან-შაჰარეს **ქლუხორი** ეწოდა⁵.

საბჭოთა კავშირისი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულებით ქლუხორის რაიონის შექმნისა და ამ რაიონის საქართველოს შემადგელობაში გადასვლასთან დაკავშირებით შეიცვალა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარი: „Установить в Клухорском районе следующую границу между РСФСР и Грузинской ССР: с запада - по существующей границе б. Микояновского района, далее на восток - севернее города Клухори и далее по реке Мара, исключая селение Н. Мара, с выходом на границу б. Учкуланского района, южнее селения В. Мара и далее на юг по существующей восточной границе б. Учкуланского района”⁶.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულების ასლი (№115.136), გრიფით „**НЕ ДЛЯ ПЕЧАТИ**” გაუგზავნეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვალერიან ბაქრაძეს⁷.

1943 წლის 6 ნოემბერს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება (№1221-368CC) სტავროპოლის მხარის ყოფილი ყარაჩაის ავტონომიური ოლქის რაიონების დასახლების შესახებ⁸. ამ ბრძანებულებით გარკვეული ცვლილებები შევიდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულებაში:

„Включить в состав Грузинской ССР Учкуланский и Микояновский районы. Микояновский район оставить с юга, запада и востока в существующих границах, а на севере определить следующую границу района: включительно г. Микоян-Шахар, далее на восток по реке Мара, исключительно селение Н-Мара с выходом на границу Учкуланского района, южнее селения В-Мара.

3. Вместо существовавших Микояновского и Учкуланского районов образовать Тебердинский район Грузинской ССР с центром в городе Микоян-Шахаре”⁹.

საქართველოსთვის გადაცემული ყოფილი ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შემდეგი ღონისძიებები იგეგმებოდა:

„ По Грузинской ССР

а) Все 16 бывших карачаевских колхозов, расположенных в Учкуланском районе, а также 6 бывших карачаевских колхозов Микояновского района — ликвидировать как не имеющих условий для своего существования (отсутствие пахотной земли).

б) На базе трех колхозов селения Н-Теберда Микояновского района организовать новый колхоз путем вселения 200 хозяйств из горных районов Грузии (сваны, рачинцы, лечхумцы).

в) Обеспечить освоение земель (главным образом пастбища) Тебердинского района с учетом интересов курорта Теберда и развития отгонного животноводства.

г) Предоставить в СНК Союза ССР мероприятия по развитию курорта Теберда с обеспечением его круглогодичного обслуживания в сочетании с курортом Сухуми.

д) Курорт Теберда передать из ведения Наркомздрава РСФСР в ведение Наркомздрава Грузинской ССР.

6. Вселение новых хозяйств и организацию колхозов провести в Ставропольском крае до 1 февраля, по Грузинской ССР в течение 1944 года.

7. Разрешить Краснодарскому и Ставропольскому крайисполкомам и СНК Грузинской ССР передавать вновь организуемым и существующим колхозам, а также предприятиям и учреждениям бесплатно общественные, индивидуальные постройки, сельскохозяйственный инвентарь и другое имущество переселяемых колхозов.

8. В целях организационно-хозяйственного укрепления вновь организованных колхозов и колхозов, которым передаются для освоения земли присоединяемых колхозов, разрешить передать бесплатно следующее количество скота:

⁵ Россия. XX век. Документы. Под редакцией **А.Н. Яковлева**. Сталинские депортации 1928-1953. Составители: Н.Л. Поболь, П.М. Полян. Москва, 2005, с. 393-394.

⁶ Россия. XX век. Документы. Под редакцией **А.Н. Яковлева**. Сталинские депортации 1928-1953. Составители: Н.Л. Поболь, П.М. Полян. Москва, 2005, с. 394.

⁷ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 600, ანაწერი 23, საქმე 585, ფურცლები 1-2.

⁸ Россия. XX век. Документы. Под редакцией **А.Н. Яковлева**. Сталинские депортации 1928-1953. Составители: Н.Л. Поболь, П.М. Полян. Москва, 2005, с. 399-401.

⁹ Россия. XX век. Документы. Под редакцией **А.Н. Яковлева**. Сталинские депортации 1928-1953. Составители: Н.Л. Поболь, П.М. Полян. Москва, 2005, с. 399.

Лошадей.....	1100
Волов.....	2617
Ослов.....	530
Коров.....	2577
Овец и коз.....	29 652
Быков произв.....	5
Пчелосемей.....	1343
из них для организуемого колхоза в Нижней Теберде:	
Лошадей.....	50
Волов.....	150
Ослов.....	30
Коров.....	200
Овец.....	3000

9. Установить для колхозов и вселяемых в них колхозников следующие льготы:

а) Вновь организованным колхозам и колхозам, которым присоединяются земли ликвидированных колхозов, передать оставшиеся семенные фонды: кукурузы 300 тонн, картофеля 10 тысяч тонн, подсолнуха 100 тонн, для весеннего сена в порядке ссуды с возвратом из урожая 1944 года.

б) Освободить вновь организованные колхозы и колхозников от поставок сельскохозяйственных продуктов, денежных налогов и сборов на 1944–1945 гг.

в) Отпустить кредит в 2 миллиона рублей сроком на 7 лет для колхозов на строительство общественных построек и 4 миллиона рублей для колхозников на строительство индивидуальных жилищных построек.

г) Разрешить бесплатный проезд колхозникам со своим личным имуществом к местам вселения по железной дороге.

д) В связи с ограниченностью существовавшего в переселенческих колхозах приусадебного фонда разрешить наделить вселяющихся колхозников приусадебными участками до нормы, предусмотренной уставом с/х артели из общественных земельных фондов.

10. Ликвидировать Карачаевскую МТС с передачей средств производства Черкесской МТС Черкесской автономной области и Бекешевской МТС Суворовского района пропорционально переданным в обслуживание земель.

11. Разрешить Ставропольскому крайисполкому передать лошадей и рабочий скот, оставшийся после наделения вновь организуемых колхозов и колхозов, получающих земли для освоения, колхозам края, наиболее пострадавшим от немецкой оккупации, в кредит сроком на 5 лет¹⁰.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა 1943 წლის 13 ნოემბერს მიიღეს დადგენილება „თებელდის რაიონის შესახებ“. დადგენილების მიხედვით თებელდის რაიონში ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება უნდა გატარებულიყო:

გარდა უკვე დასახელებული ზოგადი მახასიათებლებისა, სასამართლო გადაწყვეტილებათა ტექსტებში თავს იჩენს რიგი შეცდომებისა, რომელთა ნაწილი თანამედროვე ქართულში გავრცელებული ენობრივი შეცდომების ტიპს განეკუთვნება, ხოლო მეორე ნაწილი საკუთრივ იურიდიული ენისათვისაა ნიშანდობლივი და ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, შეცდომაც არ იყოს,

თუმცა მათი მოხმარებისთვისაც საჭიროა მნიშვნელობის დაზუსტება—შემოფარგვლა და ნორმატიული შეთანხმება სპეციალისტებს შორის.

ვფიქრობთ, ამ შეცდომათა განხილვა, და შეძლებისდაგვარად, მათი სწორად გამოყენებისათვის შესაძლო ტექსტობრივი ვარიაციების გათვალისწინება სასარგებლო უნდა იყოს სამართლებრივი სივრცის დოკუმენტაციის უნიფიცირებისა და მაღალხარისხოვანი სტანდარტებისაკენ მიმართული ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის.

შეცდომები და სარეკომენდაციო თვალსაზრისები უნდა დავყოთ რამდენიმე ნაწილად:

1. ფონეტიკური ტიპის შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად;
2. მორფოლოგიური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად;
3. სინტაქსური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად;
4. სტილისტიკური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად;
5. ლექსიკა—ფრაზეოლოგიური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად;
6. პუნქტუაციური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად.

წინამდებარე კვლევის მიზანია არა მხოლოდ ტიპობრივი შეცდომების შემჩნევა—დაფიქსირება, არამედ, შეძლებისდაგვარად, მათ გამოსასწორებლად გარკვეული წესებისა და რეკომენდაციების შემოთავაზება. სწორედ ამ მიზნით განვიხილავთ საყურადღებო მაგალითებს უკვე შემოთავაზებული თანამიმდევრობით:

ფონეტიკური ტიპის შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად.

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში (იგულისხმება სასამართლოს გადაწყვეტილებები (ქართულად დაწერილი და ქართულად თარგმნილი)) სხვადასხვა ტიპის ნორმობრივი დარღვევა შეგვხვდა (მაგალითად: ექვივალენტი, ქვორუმი, კონტრაკტი, კიოლნი და სხვ.).

უცხო ენებიდან შემოსული სიტყვების ქართულში დამკვიდრება მნიშვნელოვან ფონეტიკურ გადაწყვეტილებებთანაა დაკავშირებული:

სიტყვების სესხება ხდება სხვადასხვა ენიდან, რომელთაც სპეციფიკური ბგერათა სისტემა აქვთ და ამ ბგერათა შესატყვისის მოძიება ქართულში, ქართული ბგერათა სისტემის ინდივიდუალურ თავისებურებათა გამო, ადვილი არ არის. ამიტომ ქართულში ლექსიკის სესხებისას ფონეტიკური ამოცანის გადასაჭრელად ტრანსკრიბირება—ტრანსლიტერირების ხერხს მიმართავენ. ცხადია, ერთი ენის ბგერობრივი მონაცემების სრულად გადაფარვა მეორე ენის ბგერათა სისტემით (რაც თვით ერთმანეთთან ძალიან ახლო მდგომ ევროპულ ენებსაც კი ვერ უხერხდება) ვერ მოხდება, თუმცა გარკვეული კანონზომიერებები მაინცაა შემჩნეული და ნორმობრივი უნიფიკაციისათვის სარეკომენდაციო ცხრილებიც არის შედგენილი (იხ. დანართი 1); პრინციპი, რომელიც გატარებულია ამ ცხრილებსა და ორთოგრაფიული ნორმის ძალის მქონე ლექსიკონებში (იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1989; უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 1989; ბერძნული, თურქული და სპარსული ანბანების ქართული შესატყვისები მომზადებულია ამ ენათა სპეციალისტების მიერ; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, მეცნიერება, 1986), ცხადია, ვერ მოიცავს ყველა შესაძლებელ

ვარიანტს, მაგრამ მნიშვნელოვნად ეხმარება ნასესხები ლექსიკის ორთოგრაფიულად გამართვის საქმეს. სასურველია დავიმახსოვროთ რამდენიმე რეკომენდაცია⁴:

1. უკვე დიდი ხნის ტრადიციით განმტკიცებულ ფორმას, რომელიც ქართულში შემოსვლისას ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის თანამედროვე წესის დარღვევით იქნა ჩაწერილი, დღესაც ვინარჩუნებთ არასასურველი დუბლეტურობის თავიდან აცილების მიზნით.

2. ქართული ფონემების უცხოურ ენათა ფონემებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და ნასესხები სიტყვების (ან უცხოურიდან გადმოტანილი საკუთარი სახელების) ნორმატიული უნიფიცირების მიზნით წარმოდგენილი ცხრილები ძირითადად გვეხმარება ნორმის დაცვაში (ეკვივალენტი და არა ექვივალენტი, კვორუმი და არა ქვორუმი, კონტრაქტი და არა კონტრაკტი, კელნი და არა კიოლნი);

3. გვხვდება ვ ბგერის გამოყენების თვალსაზრისით ორთოგრაფიული ნორმის დარღვევის შემთხვევები: დამხდური, შემოკდომა, სათაო ოფისი, უდაოდ, უსიტყოდ, შევიტყე, დაბოლოვება, მოშაო, სისხლძარღოვანი, მიჯაჭული, საზაო, სააღრიცხო, საზოგადოებრივობა, მიზეზობრივობა და სხვ.

ამგვარი ფორმების მართლწერისათვის საჭიროა რამდენიმე წესის გათვალისწინება:

ა) ფუძისეული ვ უნდა დაცულ იქნეს:

- მიმართვის ფორმებში: თავო, მმართავო, მომპარავო და სხვ.
- სხვათა სიტყვის „ო“-სთან: აკრძალავო, (არ) დავმალავო, შევამჩნევო და სხვ.
- -ურ, -ულ სუფიქსიან წარმოებებში: დათვური სამსახური, ბავშვური მსჯელობა, ჯაჭვური რეაქცია, გადანასკეული და სხვ.

- -ობა სუფიქსის წინ: მორცხვობა, გულუხვობა, უთავობა და სხვ.

ბ) ვ იკარგვის:

- -აგ-ინ, -ეგ-ინ სუფიქსიან ფორმებში: აბედვინებს, ახატვინებს, აზიდვინებს და სხვ.

ბ) ვ იკარგვის:

ნათესავი - ნათესაობა, სანახავი - სანახაობა, საცოდავი - საცოდაობა, ნაძალადევი - ნაძალადეობა, კაცობრივი - კაცობრიობა, მიზეზობრივი - მიზეზობრიობა, საზოგადოებრივი - საზოგადოებრიობა, კოლექტივი - კოლექტიური, კივის - კიოდა, ცივა - ციოდა

გ) ვ ჩაერთვის:

ახლო - სიახლოვე, ფართო - სიფართოვე, ვიწრო - სივიწროვე, ჯილდო - დაჯილდოვა, დაჯილდოვდა, მაგრამ: აჯილდოებს, დაჯილდოება.

3. ალბათ და არა ალბად, კარგად და არა კარგათ, მართლად და არა მართლათ და სხვ.

მორფოლოგიური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად

შეცდომა	გასწორება
დედასთან და ძმებთან	დედასა და ძმებთან
არავინ არ გამოეხმაურა	არავინ გამოეხმაურა
დროზე (მიეხმარა)	დროულად (მიეხმარა)
ბოლოსდაბოლოს	ბოლოს და ბოლოს
ჩვენთაგანი	ჩვენგანი

⁴ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. I. თბილისი, 1986.

იცოდა მისმა ძმამ და ადვოკატმა	იცოდნენ მისმა ძმამ და ადვოკატმა
იქნება დასჯილი	დაისჯება
გავამართლოდ	გავამართლოთ
სჩანს	ჩანს
კარგათ	კარგად
არაფერი არ იცოდა	არაფერი იცოდა
შეურაცხოფილი	შეურაცხოფილი
ვერავის ვერ დავადანაშაულებთ	ვერავის დავადანაშაულებთ
ავლძრავთ	ავლძრავთ
მითუმეტეს	მით უმეტეს
ქონდა	ჰქონდა
სჩადის	ჩადის
ეხლა	ახლა
სამაგიეროთ	სამაგიეროდ
რამოდენიმე	რამდენიმე
მასიური მღელვარება	მასობრივი მღელვარება
ფაქტიურად	ფაქტობრივად
ჩემის აზრით	ჩემი აზრით
ერთერთი	ერთ–ერთი
შესძლო	შეძლო
თვლიდა დამნაშავედ	მიიჩნევდა დამნაშავედ
სწორედ მოიქცა	სწორად მოიქცა
ეპატიებია	ეპატიებინა
დაანახა	დაანახვა
წინად	წინათ
ყოველ დღე	ყოველდღე
ტრამვა	ტრავმა
ნერვოზი	ნევროზი
ეკონომიური წინსვლა	ეკონომიურად (სწორია, თუკი მომჭირნეობას ნიშნავს)
ორ სართულიანი	ორსართულიანი
როგორც მთავრობას, ისევე ხალხს	როგორც მთავრობას, ისე ხალხს
საშვალება	საშუალება
არ მქონე	არმქონე

ლექსიკა-ფრაზეოლოგიური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად

ყველაზე ხშირად ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ხასიათის შეცდომები დაჩნდება. სიტყვათა შერჩევა, განსაკუთრებით სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღწერილობით ნაწილში, მართო იურისტებზე დამოკიდებულიც არ არის, ამ ნაწილში მნიშვნელოვანია მოწმეთა ჩვენებები, სადაც ამა თუ იმ მოქმედებისა თუ განწყობის კვალიფიკაცია ხშირად მოწმის სიტყვებითვე გადმოცემული. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებს საგანგებო განხილვა მართებს:

1. ე. წ. პარონიმები ანუ მსგავსი ჟღერადობისა და განსხვავებული მნიშვნელობის (ან მხოლოდ ზოგ კონტექსტში განსხვავებული) სიტყვები:

არაკანონიერი (უკანონო) – არაკანონზომიერი (ის, რაც არ არის კანონზომიერი)

არასისტემური (ანალიზი) – არასისტემატური (სამუშაო)

ასაკოვანი (ადამიანი) – ასაკობრივი (ზღვარი)

ასიგნაცია (მოძვ. ქალაქის ფული) – ასიგნება (სპეც. გარკვეული თანხის გამოყოფა რაიმე მიზნით, მიზნობრივი დაფინანსება)

ასოციაცია (მაგ. ადვოკატთა გაერთიანება) – ასოციირება

აუცილებელი (საჭირო) – უცილობელი (გარდაუვალი)

აღთქმა – აღქმა

გაკიცხვა (დატუქსვა) – განკიცხვა (გაკილვა)

გაკითხვა – განკითხვა (განსჯა, გასამართლება)

გასამართლებელი საბუთი (ის, რაც ამართლებს) – გასასამართლებელი საბუთი, ის რაზეც სასამართლომ უნდა იმსჯელოს)

გამოდევნა – გამოდევნება

განრიგება (მოწესრიგება) – გარიგება

განსახლება – გასახლება

განურჩევლად – გაურჩევლად

გაპარული – გაპარებული

გარანტი – გარანტია

გასაზიარებელი – ზიარი, საზიარო

გატანა – გატანება

დაავადებულებს, დაავალებს, – დაავალიანებს

დაგეგმვა – დაგეგმარება (დაპროექტება)

დავალებული – დავალიანებული

დაზარალებული (ვინც მატერიალური ზარალი განიცადა) – დაზიანებული (მაგ. სახლი)

დეკლამაცია ა) მხატვრული კითხვა; ბ) გადატ. პათეტიკური მეტყველება, ყალბი პათოსი)

– დეკლარაცია (ოფიციალური განცხადება)

დეპორტი (გარიგება ბირჟაზე) – დეპორტაცია (გასახლება)

გასახლება (იძულებითი) – გადასახლება (არაიძულებითი)

დისკრეტული (ნაწყვეტ-ნაწყვეტი – დისკრეციული (საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედი)

დოგმატური (უკრიტიკოდ გაზიარებული) – დოგმატიკური (საეკლესიო მწერლობის დარგი)

დოკუმენტური (დოკუმენტებზე დამყარებული, დოკუმენტისთვის დამახასიათებელი – დოკუმენტირებული (ილუსტრაციებით დამოწმებული)

დუბლეტი (მეორე ცალი) – დუბლიკატი (დედნის ძალის მქონე მეორე ცალი)

ერთაშორისი (მეგობრობა) – საერთაშორისო (ხელშეკრულება)

სინტაქსური და სტილისტიკური შეცდომები და რეკომენდაციები მათ გასასწორებლად

სინტაქსურად გაუმართავი წინადადებების სიმრავლე დარგობრივ ენებში ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ინფორმაციის ერთ წინადადებაში მოქცევის სურვილითაა განპირობებული. ევროპული ენები, რომელთაც მთელ რიგ დარგებში სანიმუშოდ მიმართავს ჩვენი დარგობრივი ენების მნიშვნელოვანი ნაწილი, სწორედ რომ „გრძელი“ წინადადებებით ხასიათდება და ევროპულ ენათა სინტაქსური სისადავე (წინადადების წევრთა მყარი ადგილი, ტავტოლოგიების ნაკლები აქტუალურობა, ნაცვალსახელთა სიჭარბე და სხვ.) ამ „გრძელ აბზაცებს შედარებით ადვილად გასაგებს ხდის. იმავეს ვერ ვიტყვით ქართულ სინტაქსზე, რადგან ქართულში, რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული ქვეწყობილწინადადებიანი ტექსტის გამართულობის უზრუნველყოფა ძალიან ძნელია (თუმცა, ცხადია, შესაძლებელი). სწორედ წინადადების სიგრძითა და ლექსიკური გადატვირთულობით უნდა იყოს გამოწვეული არაერთი უმართებულო სიტყვაშეხამება, რომელთათვის კვალიფიკაციის მიცემა (შეცდომათა კომპლექსური ხასიათის გამო) ჭირს, და ამიტომ მათი განხილვა უფრო საერთო სტილისტიკურ ცთომილებათა კატეგორიაშია უპრიანი. ქვემოთ წარმოდგენილი ყველა მაგალითი სასამართლო გადაწყვეტილებებიდანაა მოხმობილი:

- „ვერ შეძლო ბინაში გადასვლა ეკონომიკური მდგომარეობის გამო“ (უნდა იყოს: „ეკონომიკური მდგომარეობის (ხელმოკლეობის?) გამო ბინაში გადასვლა ვერ შეძლო“)
- „დააპირა მისთვის დარტყმა“ – (დაუპირა დარტყმა)
- „სხდომის სახე“ (სხდომის ფორმა?)
- „აღწერილობით სამოტივაციო“ – (აღწერილობით – სამოტივაციო)
- „მხარეები არ აყენებენ პრეტენზიას“ – (არ აცხადებენ პრეტენზიას)
- „...№–ის ქმედება დანაშაულს გვაძლევს/არ გვაძლევს“ – (№–ის ქმედება დანაშაულია)
- „ნივთმტკიცების, ყადაღის ან სხვა საკითხის გადაწყვეტა“ – (ნივთმტკიცების მოპოვების, დადგენის, დაკისრების, ყადაღის ან სხვა საკითხის გადაწყვეტა)
- „დანაშაულის ამსრულებლად“ – (ამსრულებელი/შემსრულებელი/ამსრულებელი აღმასრულებელი, დანაშაულის ჩამდენი)
- მონაწილეობდნენ: სამხარეო სასამართლოს მოსამართლეები ვაბერი და დოქტორ შტრაიფენჰორნი, როგორც **თანამსხდომი** მოსამართლეები;
- „გაგაცნოთ საერთაშორისო სასამართლოს პერსპექტივა“ – (პერსპექტივა)
- „წერილი მოიპოვა სანდრა ბ. უილიამსიდან“ – (წერილი სანდრა ბ. უილიამსისაგან)
- „მხარეები თანხმდებიან ამ წერილის დასაშვებობაზე, რომელიც წარმოდგენილია ერთობლივი №1 დანართის სახით“ – (მხარეთა შეთანხმება წერილის დასაშვებობაზე წარმოდგენილია ერთობლივი დანართის სახით)
- „ბრალდებულს გადაეცა „სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირის კონტრაქტი“ როდესაც მას მოსთხოვეს რეგისტრაციის გავლა და ბრალდებულმა ხელი მოაწერა ამ კონტრაქტს.“ – (როდის გადაეცა ეს კონტრაქტი, როდესაც მოსთხოვეს რეგისტრაციის გავლა, თუ როდესაც ხელი მოაწერა?)
- „მხარეები თანხმდებიან, რომ ამ კონტრაქტის სასამართლოში დასაშვებობაზე, რომელიც წარმოდგენილია ერთობლივი №2 ნივთმტკიცების სახით“ – (რომელ სიტყვებს უკავშირდება „რომ“ და „რომელიც“ ?)
- „არასრულწლოვანი პირის მიმართ უხამსი საქციელისათვის...“ – (უხამსი საქციელი რომელი ან როგორი საქციელია?)

- „საკარაუდოდ 2012 წლის 1 ივნისს, ან ზუსტად ამ დღეს ბრალდებულმა იმოგზაურა ფედერალური საზღვრის ფარგლებში ლუიზიანადან ტენესის შტატში და ჩავიდა რეას ოლქში, ტენესიში, სადაც იგი ნახეს დაახლოებით 2012 წლის 21 ივლისს, ან ზუსტად ამ დღეს. იგი აღნიშნულ ოლქში იმყოფებოდა დაახლოებით 2012 წლის 13 ივლისიდან, ან ზუსტად ამ დღიდან.“ (სტილისტიკური კაზუსები: „იმოგზაურა“, „ან ზუსტად ამ დღეს“, „დაახლოებით 13 ივლისიდან“) (ქართულში „იმოგზაურა“ მხოლოდ მგზავრობას არ ნიშნავს.)
- „იგი ტაქსაობდა“ – (ტაქსისტობდა)
- „ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან“ – ჩამოვიდა უცხოეთიდან, მაგრამ „საზღვარგარეთ იყო“
- (გარეთ – მაგრამ არა გარეთიდან)
- „სასამართლოს აჩვენა შემდეგი... „ – (ჩვენება მისცა)
- „შეწყვიტა მათთან სახლში მისვლა – (შეწყვიტა მათთან სახლში სიარული)
- „თვალი მოკრა ...“ – (თვალი მოჰკრა)
- „...გადაწყვიტა ჩაერთო თავეში, რა დროსაც მ. იუსუპოვი გადავარდა“ – (სტილისტიკურ გაუმართაობასთან ერთად აზრობრივი გაუმართაობაც იჩენს თავს: გადაწყვიტა ჩართვამ, „რა დროსაც“: დარტყმამდე, თუ შემდეგ?)
- „წავიდა პოლიციის განყოფილებაში, რათა გაეცხადებინა, რომ იუსუპოვთან იჩნება და მოკვლას უბრუნებდა „ – (ვინ ვის?)
- „იუსუპოვის ჩვენებით დგინდება, რომ მურაზ იუსუპოვი იყო მისი ძმა...“ – (ვისი ძმა? ეს ჩვენება საკმარისია ვინაობის დასადგენად?)
- „რა დროსაც კარი გააღო ისე, რომ არ დაუკაკუნებია.“ – (კარი დაუკაკუნებლად გააღო/შეაღო)
- „უთხრა, რომ დაეტოვებინა სახლი და წასულიყვნენ“ – (ვინ და ვინ?)
- „ქმედება დანაშაულს გვაძლევს/არ გვაძლევს“ – (წარმოშობს, წარმოქმნის, უტოლდება?)
- „ბრალდებული თავდაპირველად ლუიზიანაში დარეგისტრირდა როგორც სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირი 1992 წელს პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ. – (დარეგისტრირდა, როგორც – „სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირი 1992 წელს პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ“)
- „ოფიცერმა პატრიკ რელიფორდმა სამართლებრივად უზუსტო მითითება მისცა“ – (მარშლები? მარშალთა ფედერალური სამსახური? გასაუბრება? უზუსტო თუ არაზუსტი?)
- „ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას დაშვებული დარღვევები (თუ მხოლოდ „დარღვევები“)
- სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული დარღვევების შესწავლა-ანალიზი (დაშვებული შეცდომა; დაშვებული დარღვევა; დაშვებული ნებადართულსაც ნიშნავს)
- „ფაქტების დადგენის ნაწილში დაადგინა“ – (სასურველია ტავტოლოგიური ერთეულები ერთმანეთს დავაშორით წინადადების სხვა წევრების მეშვეობით, მაგ.: ფაქტების დადგენის ნაწილში სასამართლომ შემდეგი გარემოებები დაადგინა);
- სააპელაციო სასამართლომ არასწორად აღადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 6.09.2012 წლის განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადა“ – (არასწორად აღადგინა ნიშნავს, რომ უნდა აღედგინა, მაგრამ სწორად, და არა „საერთოდ არ უნდა აღედგინა“)
- „რადგან საქმეში არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები, რაც ეჭვის გამომრიცხავად დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ...“ – (რადგან საქმეში არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები, რაც უეჭველად, ეჭვგარეშე, სარწმუნოდ... დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ...)

- „წინამდებარე ინფორმაციიდან გამომდინარე ირკვევა“ – (წინამდებარე ინფორმაციიდან ირკვევა)

- „სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლება, რომელსაც სახელმწიფო ურიგებდა 2008 წლის ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ მოსახლეობას.“ – (სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლება, რომელსაც სახელმწიფო ურიგებდა 2008 წლის ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ მოსახლეობას) - თანხები, რომელსაც სახელმწიფო ურიგებდა

- შეადგინა და გასცა ყალბი ცნობა №763, იმის შესახებ, რომ თითქოს კ.გ. მუდმივად – („თითქოს“ ზედმეტია)

- „ქ. თბილისში, დიდი დილომი პეტრიწის ქუჩა № 12/52-ში მცხოვრებ, კახა გონაშვილის სახელზე შეადგინა და გასცა ყალბი ცნობა №763“ – თუკი „თბილისში“ შეიძლება, რატომ არ შეიძლება „დილომში“?

- „ზოგ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად ვერ შეაფასა და კვალიფიკაცია არასწორად განსაზღვრა“ – (კვალიფიკაცია თავად არის განსაზღვრება, კვალიფიკაცია მისცა, არასწორი, მცდარი კვალიფიკაცია მისცა ან: არსაწორად განსაზღვრა);

- „რაც კახა გონაშვილმა თავის მხრივ წარადგინა სამოქალაქო რეესტრის ცხინვალის სამსახურში და რეგისტრირებული იქნა გორის რაიონის სოფელ ხეთში“ – (დარეგისტრირდა ან: რომლის საფუძველზეც დაარეგისტრირეს)

- „ანუ მას ბრალი დაელო, რომ ჩაიდინა თაღლითობა ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით“ – (ე. ი.; მისაკუთრება ძირითადად მართლსაწინააღმდეგოს ნიშნავს;

- „თქვენ უნდა უგულებელყოთ“ – (უნდა იყოს უგულებელყოთ)

- „უნდა შეაფასოთ იმ კუთხით, თუ რამდენად შემხებლობაშია იგი განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან...“ – (რამდენად ეხება, უკავშირდება, რამდენადაა დაკავშირებული, ეხება თუ არა...)

- „თქვენს წინაშე“ – (თქვენ წინაშე)

- „არავინ არ არის ვალდებული“ – (არავინაა ვალდებული)

- „თუ თქვენ ჩანაწერებს გააკეთებთ, გთხოვთ, არ გაუზიაროთ ისინი კოლეგა მსაჯულებს“ – (თუ თქვენ ჩანაწერებს გააკეთებთ, გთხოვთ, არ გაუზიაროთ ისინი სხვა მსაჯულებს – თქვენს კოლეგებს)

სწორედ იმიტომ, რომ იურისტები ესწრაფვიან ყოველი სიტუაციისათვის მაქსიმალურად ზუსტი კვალიფიკაცია მოძებნონ, ისინი აქტიურად მიმართავენ სიტყვაწარმოებით პროცესს:

- განსჯა, დასჯა, აღსრულება, შეასრულა, ქმედება ჩაიდინა;
- ჩაწვდა, ჩაეძია, გამოიკვლია, დაადგინა, შეიტყო, მოისმინა, ცნო;

ერთ-ერთი თავისებურება სამართლის ენისა ისაა, რომ ძალიან ბევრი იურიდიული ტერმინი შესიტყვებას წარმოადგენს, მათ შორისაა შეფასებითი ცნებებიც: უგზო-უკვლოდ დაკარგული, წარმოებაში მიღება, სასჯელის შედარებით მსუბუქი ფორმა. ესაა ენობრივი სტანდარტები, ანუ კლიშეები, რომლებშიც ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული: კლიშე აუცილებელია, რადგან სამართლის ენის სიზუსტეს უზრუნველყოფს. მაგრამ მათი მოხმარებისას თავს იჩენს საკმაოდ საინტერესო მომენტები:

1. ზოგ მრავალმნიშვნელობიან (პოლისემანტიკურ) სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობით იყენებენ: მაგ., დაკავება, წინასწარი დაკავება, იმის მდგომარეობა, ვინც არის დაპატიმრებული. თავისუფლების აღკვეთა; ექსპერტის დასკვნა, პროკურორის დასკვნა, რაღაცაიდან გამომდინარე დასკვნა.
2. იურიდიულ ენას ახასიათებს სალიტერატურო ენისათვის უჩვეულო სიტყვაშეხამებანი:

- მაგ., სიტყვა „დამნაშავეს“ ჩვეულებრივ აქვს შემდეგი მნიშვნელობები: „დანაკარგი, ვინმესათვის მიყენებული“, „ზარალის მიყენებელი“, „ზიანის მიყენებელი“, „შეცდომის დამშევი“, „ზარალის მიზეზი“, „დამნაშავე საზოგადოების წინაშე“, „დამნაშავე კერძო პირის წინაშე“, მძიმე დანაშაული, მსუბუქი დანაშაული, დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები“, წინაწარგანზრახული დანაშაული, ნებსითი და უნებლიე დანაშაული...
- დამნაშავე ასევე შეიძლება სხვადასხვა სიტყვათშეხამებაში შევიდეს. აქედან ტერმინულია რამდენიმე: „უდავოდ დამნაშავედ იქნას ცნობილი“, „გამოცხადდეს დამნაშავედ“, მიჩნეულ იქნას დამნაშავედ, დანაშაულის აღკვეთის ღონისძიებები, აღმკვეთი ღონისძიებები, ზომები, განმსაზღვრელი კატეგორიები, პრინციპები და სხვ.
- ჩაიდინა ქმედება. ჩაიდინა დანაშაული. ჩაიდინა – უკვე არის ნეგატიური მნიშვნელობის სიტყვა. დანაშაულის შედგენილობა...
- გამოყენება, მისადაგება, განსაზღვრა, იხელმძღვანელოს... რამდენადაც ქართულისაგან გასხვავებით ინდოევროპულ ენებში ინფინიტივი აქტიურად გამოიყენება მეშველ ზმნასთან, ხოლო ქართულში კლასიკური გაგებით ინფინიტივი არც არსებობს, ხოლო საწყისი და მიძლეობა უკვე უფრო დატვირთულია ვიდრე, ევროპ. ინფინიტივი, ქართული ტერმინოლოგია გამოდის ზედმეტად ინფორმაციული: ჩადენილი, შესრულებული, განხორციელებული, ამ სიტყვებს ქართული ხმარობს, რათა უფრო დაუახლოვდეს ევროპულ მოდელებს. ბოროტგანზრახული ქმედება, ავისმზრახველი, დამნაშავე ბოროტგანზრახველი, ბოროტგანზრახველი შეთანხმება...
- დადგენა, მოკვლევის, გამოცნობის, გამოძიების, ვარაუდის, მიჩნევის (მიჩნეულ იქნას), გამოხატოს შეუწყნარებლობა...
- პასუხისმგებლობა დაეკისროს, პასუხისგებაში მიეცეს, განსასჯელი, გამოცხადდეს დამნაშავედ, მიჩნეულ იქნას დამნაშავედ, გამოცხადდეს უდანაშაულოდ, გამართლდეს, განესაზღვროს სასჯელის ზომად..., მიესაჯოს სასჯელის შემდეგი ზომა...
- ხელოვნური მიძლეობები: „დასჯადი“, საქმისწარმოებაში იქნა მიღებული, წაკითხვადი, იქნა ჩაშვებული, ჩაიდო, მიეცა მსვლელობა, მსვლელობაში მიიღო..
- სიტყვათა რიგის საკითხი: ჯანმრთელობას მიაღვა ზიანი, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით განზრახ ზიანის მიყენება, წინასწარგანზრახული ზიანის მიყენება. აქ სიტყვათა რიგი წყვეტს, მიყენებაა წინასწარგანზრახული, თუ ზიანის სახეობა. საშუალო ხარისხის ზიანის მიყენება.
- მიახლოებით, საშუალო, შედარებით, დაახლოებით 21 ივლისს ან ზუსტად ამ დღეს... (ეს სიტყვები ზუსტი კვალიფიკაციისათვის თავის არიდებას ეხმარება, რამდენადაც დაზუსტებით არაფერს გადმოსცემენ.

ქართულში სიტყვათა რიგის გარკვეულ თავისუფლებას ვხედავთ, რაც გულისხმობს, რომ წინადადების წევრთა შორის არა მხოლოდ სემანტიკური, არამედ სინტაქსური წყვილები მკაფიოდ განსაზღვრული გრამატიკული სისტემითაა შეკავშირებული, და ამ კავშირს ვერ არღვევს ამ სიტყვათა ერთმანეთისაგან დაშორება. შესაბამისად, ქართულში სიტყვათა რიგს მეტი მოდალური ძალა აქვს, ვიდრე სხვა ენებში (და ნაკლები – სინტაქსური განპირობებულობა).

საკვლევი პროფესიული ენის კიდევ ერთი თავისებურება: ერთსა და იმავე კითხვაზე მოპასუხე სიტყვათა თხრობითობის გამომხატველი მნიშვნელობები, შეიძლება დაჯგუფდეს ფართო და ვიწრო შინაარსობრივი და კონოტაციური პრინციპით, რაც იურისტებსა და ლინგვისტებს ერთობლივად მუშაობის შემთხვევაში გაუადვილებს ყოველი ლექსიკური ერთეულისათვის სათანადო „სემანტიკური ფასის“ განსაზღვრას, მაგალითისათვის პირობითად გამოვყოფთ რამდენიმე ჯგუფს:

- **მოქმედებები**, ჩადენილი არაერთხელ, არაერთგზის, განმეორებით, განმეორებებით, მრავალგზის, მრავალჯერ, იგივე მოქმედება ჩადენილი დიდი მასშტაბით, ადრე ნასამართლები, ნასამართლეობის მქონე/არმქონე, ადრე გასამართლებული, ან პირის მიერ, რომელიც ადრე უკვე იყო გასამართლებული ამ საკითხზე და სხვ.
- **ვადა**. ვადაში, ვალებში, დროში, აღნიშნულ პერიოდში, ამავე დროს, დროის ფარგლებში...

- **საბუთი, საფუძველი.** საფუძველზე, დაყრდნობით, გამომდინარე, დადგენილი ფაქტების მიხედვით, საფუძველზე, შესახებ სასამართლო ადგენს...
- **ბრალი** არის უმართებულო მოქმედება, შეცდომა, გადაცდომა, უხერხულობა, უზრდელობა; ხოლო „სერიოზული გადაცდომა“ კი დანაშაულია. ამრიგად, ხშირად ხდება პარონიმიზაცია ალრევა პროცესუალურ აქტებში (დანაშაული აღიარა, მაგრამ ბრალი აღიარა?) დანაშაული დამტკიცებულია, ბრალი დასაბუთებულია, დადასტურებულია, დამტკიცებულია, წაყენებულია.

სამართლის ენის სპეციფიკას განაპირობებს აუცილებლობა, რომ ზუსტად იქნას გადმოცემული იურიდიულ ცნებათა და კანონმდებლის აზროვნების ნიუანსებს შორის კავშირი - ეს ნიშნები მხოლოდ სამართლის სფეროს ახასიათებს.

ჩვენ შევეცადეთ, კვლევის მოცემული ეტაპზე თავი მოგვეყარა იმ ენობრივი თავისებურებებისათვის, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებათა ტექსტებში ჩანს. ამკარაა, რომ სამართლის სფეროს წარმომადგენლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან გადაწყვეტილებათა არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ენობრივი გამართულობის საკითხებსაც, მაგრამ საქმე ჯერაც ბევრია. ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

სასამართლოს გადაწყვეტილებათა ენობრივი თავისებურებები

ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც საზოგადოებაში კანონიერებისა და სამართლის მაღალი იდეალებია გაბატონებული (ან ამისკენაა მისწრაფება), ღიდ ყურადღებას აქცევენ სამართლებრივი ენის თეორიისა და მართლწერასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების კვლევას, სწავლებასა და დანერგვას.

სასამართლო გადაწყვეტილებათა შედგენისას ენობრივი კუთხით გასათვალისწინებელია რამდენიმე ზოგადი გარემოება:

ა) სასამართლო გადაწყვეტილებას ადგენენ მაღალი დონის სპეციალისტები, მაგრამ ამ დოკუმენტის წაკითხვას ცდილობს ნებისმიერი ადამიანი, განათლებისა და კომპეტენტურობის მიუხედავად;

ბ) ნებისმიერ სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძველად უდევს სტანდარტული დოკუმენტი, რომლის ენობრივი მოცემულობის შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; ეს დოკუმენტი არის კანონი;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილების ზოგადი ფორმა, სტრუქტურა და ტექსტობრივი შაბლონი ძირითადად სტანდარტიზებულია. მეტ-ნაკლებად ცვალებადი და „შემოქმედებითი“ ნაწილი სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტში არის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების აღწერილობა და დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნაწილი. ამგვარ ტექსტში მოსამართლის (და მისი თანაშემწის) არჩევანზე დამოკიდებული ტექსტის სტილისტიკა, თხრობის დრო, შემფასებლის პირველ ან მესამე პირში მოხსენიება, სასამართლოს პერსონიფიკაცია.

სტატიაში განხილულია სასამართლო გადაწყვეტილებათა ენობრივი თავისებურებებისა და ენობრივი შეცდომების კონკრეტული მაგალითები.

Manana Tabidze

Linguistic Characteristics of Court Decisions

Summary

In every country, where law and justice is appreciated, great attention is paid to researching and teaching theories of legal language and grammatical aspects.

From the point of view of language several general circumstances must be considered while compiling Court's decision:

1. The court's decision is compiled by specialists with high qualification, but this document is also for any person, despite their education and competence.
2. The law underlies every court's decision and its language can't be changed.
3. The form, structure and textual template of court's decision is basically standardized.

More or less is changing the descriptions of facts and part of Crime qualification. In this part it depends on judge the stylistic, narration, using first or third person while writing the text.

This article discusses the concrete examples of linguistic errors and language particularities in court decisions.

„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებითი პერსპექტივები გალაკტიონთან

(რამდენიმე ასპექტი)

„ჩემი ლექსები ჩემი სულის ანაბეჭდია –
შთაგონებული ქართული პოეზიის დიდი ტრადიციებით“.
გალაკტიონი

გალაკტიონზეც შეიძლება ითქვას ის, რასაც თვითონ ვაჟას შესახებ ფიქრობდა: „ვაჟა-ფშაველას სიმღერებიდან გამოკრთის უმაღლესი სული, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გმირებში. არავის შეეძლო ლიტერატურულ მასწავლებელთა პატივისცემა და შეყვარება ისე, როგორც ვაჟას. ის ყოველთვის მზად იყო მუხლი მოეყარა მათ წინ, მაგრამ არა როგორც მონას, ის ხომ თვითონ იყო მეფე, ჰქონდა თავისი სამეფო და ჰყავდა თავისი ხალხი, ოქროს ჭრიდა საკუთარი შტამპით“ (გალაკტიონის ჩანაწერებიდან).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებით მიმართება „ვეფხისტყაოსანთან“ სამეცნიერო ლიტერატურაში მეტ-ნაკლებად შესწავლილი საკითხია, მეტ-ნაკლებად იმიტომ, რომ ორივე შემოქმედის პოეტური შესაძლებლობა და მხატვრულ სამყაროთა მასშტაბურობა ყოველთვის გამოავლენს შეხების ახალ წერტილებს, მსოფლმხედველობრივ სიახლოვესა და სახისმეტყველებით მსგავსებებს.

გალაკტიონ ტაბიძე ერთბაშად არ მისულა ძველი ქართული მწერლობის სათავეებთან. ეს მოხდა თანდათან, მის პოეტურ ზრდასთან ერთად. გალაკტიონის შემოქმედებით წინაპრებად ასახელებენ რუსთაველსა და გურამიშვილს, ახალი ქართული პოეზიიდან კი – ნიკოლოზ ბარათაშვილს და აკაკი წერეთელს.

კონსტანტინე კაპანელი გალაკტიონს ადარებს ფესვმაგარ მუხას, რომელიც დგას რუსთაველის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას მდიდარ მხატვრულ-ისტორიულ ტრადიციებზე და „როდესაც მის გარშემო ისმის შრიალი „დეკადენტური“, ის ღრმად აკვირდება მშობლიურ მხარეს, მის სოციალურ და ეროვნულ ტკივილებს. არც ერთი მომენტი ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებისა გალაკტიონს არ გამოჰპარვია”¹ (კაპანელი 2003: 206). მკვლევრი გალაკტიონის „მესაფლავეს“ „ვეფხისტყაოსანს“ ამსგავსებს იმ ნიშნით, რომ მასშიც სიცოცხლის წყურვილი უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილი და მწუხარება.

გალაკტიონის შემოქმედებიდან რუსთაველის თემატიკას უამრავი ლექსი უკავშირდება, მათ შორის: „ადამიანი“, „ნაძვის ხეების ელვარება“, „ჩვენი საზღვრები გადმოლახა“, „კავშირი გულთა შორის“, ომგადახდილი აფხაზი“, „პოემა ვეფხისა“, მესხეთ-ჯავახეთი“, „მესხის გამოხედვა“, „მესხის დაბრუნება“, „ძლეული სენი“, „მხარე, გეთაყვა“, „აჭარის კალთებს“, „რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს“, „რუსთაველი შავი ზღვის პირად“, თამარი შავი ზღვის პირად“, „როგორც წუხილი არაგვის კიდის“, „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“, „იმლებიან ყანები“, „ოქროს ტყავები“, „მცხეთიდან“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „ვარდები“, რუსთაველის პროფილით“, „ეს მშობლიური ქარია“, „ნისლი მთიდან მოდის დაბლა“, „მომავალი“, „დროშები

¹ კ. კაპანელი. ქართული თანამედროვე ლიტერატურის მაგისტრალი. გალაკტიონოლოგია, II, 2003, გვ. 202-208

ჩქარა”, „1950”, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე”, „რუსთაველი პარიზში”; პოემა „მშვიდობის წიგნი” და სხვა.

რუსთაველის ტაეპები ეპიგრაფად უძღვის არაერთ ლექსს, როგორებიცაა: „ჩემი მენავე”, „ისტორიული გემი”, „ოცნება აჭარის წყალთან”, „მშვენიერებით ვიპოვე”, „მთვარის ნაამბობიდან”, „ისტორიის ახალ გვერდს”, „ქალაქი” და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსნის” მხატვრული სახეები, პოეტური ასოციაციები და რემინისცენციები გალაკტიონის მთელ შემოქმედებას გასდევს. ზოგჯერ ლექსის თავდაპირველ ვარიანტში კონკრეტული რუსთაველური სახეებია, საბოლოო ვარიანტში კი ეს სახეები განზოგადებულია და მხოლოდ ვარიანტების შესწავლა მიგვანიშნებს, თუ რამ შთააგონა პოეტს ამა თუ იმ ლექსის შექმნა. ასეთია, მაგალითად, ლექსი „დრო”, რომლის გამოქვეყნებულ ვარიანტში თამარისა და რუსთაველის სახეები არ ჩანს. მკვლევარი მერი გუგუშვილი შენიშნავდა, რომ „გალაკტიონმა თამარის ასოციაციით უწოდა სახელი „მშვიდობის წიგნს“². ამ პოემაში ერი ეძიებს ჟამთა სვლის შედეგად დაკარგულ საკუთარ სულს, რომელსაც გალაკტიონი განსაცდელში ჩავარდნილ ნესტანს ადარებს: „ის ვით ნესტანი, მყოფი საფრთხესთან, მოელის ვეფხს და მოელის არწივს”.

ტარიელის მხატვრული სახით არის შთაგონებული პოემა „სინათლის ყვავილში” თამსირის პერსონაჟი. ეს სიყვარულის პოემაა. სატრფომ, მეგობ, სთხოვა თამსირს, სინათლის ყვავილი მოეტანა. ჭაბუკმა 100 წელი დაჰყო ძიებაში და ყვავილით ხელში დაბრუნდა. ისიც, მსგავსად ტარიელისა, ვეფხის ტყავით შეიმოსა.

გალაკტიონის პოეზიაში, როგორც შენიშნულია, ვეფხი ადამიანის ამაღლებულ თვისებათა, ძალმოსილებისა და სილალის სიმბოლოა /“გაშლი ვეფხისტყაოსანს და ვეფხად გარდაიქმნები, ამოდრავდეს მთა და ქედი, გამობრწყინდეს ქართლის ბედი, ახმაურდეს ვეფხი მეტი, მეტის ძალის და იმედის.“/ შთამბეჭდავი მეტაფორული სახეა ვეფხის ტყავი, როგორც საქართველოს სივრცეებში გაშლილი ყანები, საქართველოს მთა-ველები:

„დასავლეთიდან აღმოსავლეთით
გადაშლილია ოქროს ტყავები,
სად დაუზოცავთ ამდენი ვეფხი,
სად აქვთ ამდენი საღებავები?”

(„ოქროს ტყავები”)

გალაკტიონთან აქტიურია ვარდის სიმბოლიკა. ვარდების სამშობლოდ ირანი მიიჩნევა. განთქმული შირაზის ვარდი კი რუსთაველის დამამშვენებელია: „და შვენის რუსთაველს შირაზის ვარდები” („დრო”).

„ვეფხისტყაოსანში” ვარდის ფერთა სიუხვე არ ჩანს, გალაკტიონთან კი ვარდი ნაირფერია და ის ხშირად ლირიკული გმირის განწყობას და სულიერ მდგომარეობას გამოხატავს. გალაკტიონის ვარდი თეთრი, წითელი, სისხლისფერი, ყვითელი ან ცისფერია, ხოლო როცა თავს პოეზიის ძლევა მოსილ მეფედ გრძნობს, სიკვდილის გზაც კი შეიძლება იყოს ვარდისფერი („მთაწმინდის მთვარე”). გალაკტიონის ვარდს საღვთისმეტყველო შინაარსიც აქვს. „სამოთხის ვარდი”, ნესტან სულავას დაკვირვებით, ღვთისმშობელს განასახიერებს. სათაურის გარდა („სიონის მტრედო“) ამას მიანიშნებს ლექსის ალეგორიული შინაარსი და სიმბოლიკა. აქ მზე მაცხოვრის სიმბოლოა /„მანსოვს დილით მზე ამოდოდა, და იმ მზეს კი შენ ამოასწარი“/. ცხადია, ლირიკული გმირი ღვთისმშობელს მიმართავს.

² მ. გუგუშვილი. რუსთაველი გალაკტიონის პოეზიაში. თბილისი, 1975, გვ. 40

სევდიან განწყობას ეხამება „ჭაობის ვარდები“ („შრიალებს ჩალა“). სახიფათო სიმაღლის ფონს ქმნის „თოვლის ვარდები“ /“ელვის ბილიკზე მიდის ფეხები და მეცემიან თოვლის ვარდები, ხან უფსკრულეთში გადავიჩეხები, ხან მწვერვალებზე აღვიმართები“ („ხან უფსკრულები, ხან მწვერვალები“).

საყურადღებოა, რომ ვარდის მხატვრულ მნიშვნელობას, მის სიმბოლურ-ალეგორიულ შინაარსობრივ დიაპაზონს გალაკტიონი რუსთაველის სიდიადით ზომავს: „რუსთაველს მარად შვენოდა ვარდი, ისეთი ჰქონდა ვარდს შინაარსი“ („ვარდები“).

მკვლევარმა ნესტან სულავამ საგანგებოდ შეისწავლა ვარდთმეტყველება გალაკტიონის შემოქმედებაში. იგი აღნიშნავს: „ლექსი „ვარდები“...ნათლად მიგვანიშნებს რუსთაველისა და გალაკტიონის სულიერ-ინტელექტუალურ სიახლოვეზე. თითქოს ლექსის დასაწყისშივე ირეკლება ის ვეფხისტყაოსნური ჰარმონია, რომელიც ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნის შემდეგ მკვიდრდება“.³

„მე, ზამთრისაგან ჯაჭვანყვეტილი,
ნაცნობ ბალისკენ მივემართები,
სად ფერად უცხო, ყნოსვად კეთილი
ზამთარ და ზაფხულ ყვავის ვარდები...“

(„ვარდები“)

გალაკტიონის ეს სიტყვები მკვლევარს რუსთაველის ცნობილ სტროფს აგონებს:

„ზამთარი ვარდსა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე, დასწვავს, გვალვასა ჩივიან,
მაგრამ მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ყვიან,
სიხცე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯერვე სტკივიან.“

(1347)

თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ეს შორეული ასოციაციაა. თუ გალაკტიონთან ვარდები სიცოცხლეს, პოეზიის მშვენიერებას უკავშირდება, რუსთაველთან აღნიშნული სტროფის ალეგორია განსხვავებულ კონტექსტში გაიაზრება. როგორც ვარდს ერთნაირად აზიანებს გვალვა და ყინვა, ასევე ადამიანის გულს – გადამეტებული სიხარულისა და მწუხარების ელდა.

აქვე იხსენიება „მაისის ვარდი“, რომელიც აგრეთვე რუსთაველისეულია, ვარდის ფურცლობის, „ვარდიფობის“, ავთანდილისა და ტარიელის პაემნის ჟამის ნიშანი.

ნესტან სულავას ოვიდიუსისეული პოეტური ხატი – ვარდთან ერთად ჭინჭრის ზრდა – ცნობილ რუსთაველურ სიბრძნეს აგონებს /„ვარდთა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების...“/.

მკვლევრის დასკვნით, გალაკტიონის ვარდთმეტყველებას ხშირად ახლავს რუსთაველური ალუზიები, ასოციაციები, პარადიგმები, რომლებიც მის პოეტურ შემოქმედებაში მხატვრულ სახეთა სრულიად ახლებურ შინაარსში გარდაისახა. რუსთაველური სახეებით, სიმბოლოებითა და ალეგორიებით შთაგონებული პოეტის უმდიდრეს სამყაროში მხოლოდ ერთი, ვარდის მხატვრული სახისა და მისი ტროპული მეტამორფოზების ნაწილობრივი წარმოჩენაც კი თვალნათლივ ადასტურებს ქართულ ლიტერატურაში ტრადიციის უწყვეტობას⁴.

³ ნ. სულავა. გალაკტიონის ვარდთმეტყველება. გალაკტიონოლოგია. თბილისი, 2002, გვ. 139

⁴ ნ. სულავა. გალაკტიონის ვარდთმეტყველება. გალაკტიონოლოგია. თბილისი, 2002, გვ. 143

გალაკტიონისთვის ცხადია რუსთველისეული ჰარმონიული, დაუნაწევრებელი სამყაროს მთლიანობის არსი, საღვთოსა და მიწიერის მიმართება, როგორც ერთი მთლიანობის სხვადასხვა საფეხურისა. საღვთო მიჯნურობა (და საღვთისმეტყველო სიმბოლიკა) პოემის ერთ-ერთი უმთავრესი თემაა და აგრეთვე უმნიშვნელოვანესია გალაკტიონთან. მის ლექსებში საღვთო სიყვარულის გამომხატველი ცნებებია: სხვა სიყვარული, ზექვეყნიური სიყვარული, ტრფობა სრული, პირველი სიყვარული... . მზე ღმერთის სახე-სიმბოლოა „ვეფხისტყაოსანში“ („ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად“; „ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“), გალაკტიონთან მზის გარდაცვალება ტრაგიზმის წყაროა, რადგან მზე აქაც ღმერთის სიმბოლოა; საღვთო სიყვარულის საკითხი გალაკტიონის პოეზიაში საგანგებოდ შეისწავლა მკვლევარმა ლაურა სორდიამ. „გალაკტიონმა სიყვარულის მრავალსახეობას უძღერა, ამასთან, საღვთო სიყვარული დასახა ყველაზე უძლეველ და ჭეშმარიტ გრძნობად..., საღვთო სიყვარულია გალაკტიონის იდუმალ სამყაროში შესასვლელი კარი“⁵.

„ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებაში“ ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეების ევროპაში, პროვანსსა და იტალიაში არსებობდა მიმდინარეობა „მიჯნურობის მორწმუნენი“, რომელიც წარმოადგენდა საიდუმლო ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციას ჰქონდა საიდუმლო მეტაფორული ენა, რომელიც სიმბოლოებისა და ალეგორიების მეშვეობით გადმოსცემდა სიყვარულის ინიციაციის მისტერიებს... აქ იყო გამეფებული „ერთადერთი ქალის კულტი. ქალი ამ შემთხვევაში ტრანსცენდენტული ინტელექტის, წმინდა სიბრძნის, სოფიას სიმბოლო იყო.“⁶

მეტაფორული ენა, სიმბოლურ-ალეგორიული მეტყველება ახასიათებს აგრეთვე სუფისტური სიყვარულისაც, რომლის ტენდენციებს ხედავდნენ „ვეფხისტყაოსანში“ ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი. საღვთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „საყვარელს“ – ქრისტეს – ეტრფოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი. ამ პოეტურ ტრადიციას აგრძელებს გალაკტიონი, რომელიც კიდევ უფრო აფართოებს მის შესაძლებლობებს. ცნობილია, რომ მას ძალიან მოსწონდა გაზელა, სპარსული პოეზიისთვის დამახასიათებელი „უნაზესი გრძნობების“ გამომხატველი პოეტური ფორმა და სურდა მისი დამკვიდრება ქართულ პოეზიაში.

„ვეფხისტყაოსანს“ გალაკტიონი რუსთაველის ოცნებად აღიქვამს. ეს არის ოცნება უმაღლეს ადამიანურ ფასეულობებზე, სიყვარულსა და ერთგულებაზე:

„პოემა ვეფხის – პოემა გრძნობის მზიურის,
სიყვარულისა, თავდადების, გმირობის, სიბრძნის“.
(„საუბარი ლირიკის შესახებ“)

მკვლევარმა ელგუჯა ხინთიბიძემ წერილში, „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“, ყურადღება გაამახვილა გალაკტიონის ლექსზე „მთვარის ნაამბობი“, რომელშიც რუსთაველის ბავშვობაა წარმოსახული. მთვარე იხსენებს როგორ იჯდა რუსთაველი ოქროს ნავში და ოცნებობდა. გალაკტიონის ამ წარმოსახვას მკვლევარი შემდეგი ინტერპრეტაციით გვთავაზობს: „ვეფხისტყაოსნის“ იდეური სამყარო ევროპული ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპის ახალგაზრდობაა; იგი ამქვეყნიურ ბედნიერებაზე ოცნებაა და, ამავე დროს, ზეციურსაა მინდობილი. ეს დიდი სიახლე რუდუნებითაა მოტანილი. გალაკტიონმა მეოცნებე „მესხი მელექის“ სახე სხვა ლექსშიც გვიჩვენა:

⁵ ლ. სორდია. საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადებტები ქართულ პოეზიაში. თბილისი, 2009. გვ. 106.

⁶ ზ. გამსახურდია. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბილისი, 1991, გვ. 93.

“შმაგი ვით ვეფხი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველეზზე,
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი,
მე, ვინმე მესხი მელექსე.”

(“ვწერ ვინმე მესხი მელექსე”)

გალაკტიონი „ვეფხისტყაოსანში“ ხედავდა ადამიანურის შეზავებას ზეციურთან („ცას, დედამიწას, ღვთაებრივს და ადამიანურს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებში ვხედავ არეულს“). ეს რუსთაველის მსოფლხედვაა: ყოვლისმთლიანობა, მიწიერისა და ზეციერის არა ოპოზიციური, არამედ განუყოფელი მთლიანობა, რაც აისახა მის ბინარულ ცნებათმეტყველებაშიც.

გალაკტიონს აქვს ცნება „ახალი რუსთაველი“, რომელიც პირველად ჩნდება გრიგოლ ორბელიანის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და განახლებული, აღორძინებული საქართველოს ხატს უკავშირდება. ზაზა შათირიშვილის დაკვირვებით, გალაკტიონისეული „ახალი რუსთაველი“ ნაციონალურ-რევოლუციური ახალი მესიანისტური ნარატივის შექმნის ცდას გულისხმობს. „ვეფხისტყაოსანი“ – ესაა ძველი მესიანისტური ნარატივი, ახალი რევოლუციური დრო კი ელის „ახალ რუსთაველს“, „ახალ მესიას“. „მამასადამე, ნარატივი, რომელიც პროეცირდება ვეფხისტყაოსანზე, ესაა „ძველი ალთქმა“; „ახალი რუსთაველი“ – „ახალი ალთქმა“, რომელიც ქვეყნის გადარჩენის კარგ ამბავს გვახარებს და რუსთაველის მეორედ მოსვლას წინასწარმეტყველებს. გალაკტიონი „მშვიდობის წიგნით“ ცდილობს „ვეფხისტყაოსნის“ თავიდან დაწერას, ეს წიგნი გვაუწყებს, რომ რუსთაველი უკვე მოვიდა“⁷. ამავე აზრს ავითარებს მკვლევარი წიგნში „ნარატივის აპოლოგია“: „ახალი რუსთაველი“ – ესაა ახალი მესიანისტური ნარატივი.

მკვლევარი ფიქრობს, რომ 1937 წლიდან მოყოლებული გალაკტიონი საკუთარ თავს აღიქვამს, როგორც რევოლუციური აპოკალიფსის ერთადერთ გადარჩენილ მოწმეს, „ახალი რევოლუციური ნარატივის“ ერთადერთ შესაძლო მთხრობელს, როგორც „ახალ რუსთაველს და ერთადერთ ჭეშმარიტ პოეტს“⁸.



გალაკტიონი აქტიურად იყენებს რუსთაველის პოეტური ენისთვის დამახასიათებელ არამართო ტროპიკას, არამედ წინადადების კონსტრუქციას, სიტყვათქმნადობის სტილს და სხვა პოეტიკურ ნიუანსებს (საარქივო ჩანაწერიდან: „რუსთაველის რითმის დაცვა, ბარათაშვილის რითმის გამოყენება, აზრის გაღრმავება – აი, „ლურჯა ცხენები“). გვხვდება ორივე ფორმა: ვეფხვი და ვეფხი, რუსთაველი და რუსთაველი. „რუსთაველის“ გამოყენებას ხშირად ლექსის მარცვალთა რაოდენობა განაპირობებს; იყენებს ლექსიკას და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, როგორებიცაა: ამირბარი, სპასალარი, ჯავარი, ჭმუნვა, ზენაარი, კდემა, სახმილი, თვალთა ისარი, ჭირთა თმენა, ჩააკარაბაქა. „ვხედავ სეზონიც გავიდა, როგორც სიზმარი ღამისა“, „ვით მარგალიტი ობოლი, ბევრის მომსწრე და ამტანი“, „არავინაა მავანი, გავიყოს მოცალეობა“, „კარნი განახვენეს“, „განვლიე ტვერი“, „წელნი ილტვიან“...

რუსთაველური მეტაფორაა: „წამწამთა ქოხი“ („გასაოცარი მისი მშვენება“) ან „ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“ („შენთვის ასე მომსურდების წყაროსათვის ვით ირემსა“ – რუსთაველი. ამ მხატვრული სახის პირველწყარო ფსალმუნია, 41, 2) რუსთაველის ცნობილი

⁷ **ზ. შათირიშვილი.** „რუსთაველის რეცეპცია ქართულ კულტურაში და გალაკტიონის მესიანისტური ნარატივი“ წიგნში: „გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა“, (1915–1927) გამოცემა. „ლოგოს პრესი“, 2004. გვ. 141–167.

⁸ **ზ. შათირიშვილი.** „ნარატივის აპოლოგია“, 2005, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის გამოცემა, გვ. 51–52.

აფორიზმის გავლენაა „როგორც სიცოცხლე არანაპრაზი, როგორც სიკვდილი სახელოვანი“ („ახალგაზრდობა“); „პოეზია პირველადვე ცნობილია სიბრძნის დარგად“ („საქართველო ახალ გზებით“).

გვხვდება მსაზღვრელთა ინვერსიული მწკრივები: „შენმა ღიმილმა უბოროტესმა“, „ლანდები გვიანი ავსებენ ფიალებს“, ასევე: „მზის ამოენტე ბრწყინვა“, „ხეთა ავარდა წყება“, „რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა, თქვენს მშვიდობიანს ასცდეს ხომალდებს“, „მარტობასაც ავიტან მწარეს, უმეგობრობას ავიტან მძიმეს“, „შენი მე სახება დამდეგს თან“ და სხვა.

გალაკტიონი აქტიურად იყენებს რუსთველურ ტემსს: „მო-ცა-კვლა“, „შე-ვინ-ვილოდეს“. აგრეთვე – „ვეფხის დაარქვა მან ტყაოსანი და საუკუნე გააუკვდავა“ (შდრ. „დავჯე რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულლახვარსობილი ...“)

ბგერწერის უპირველესი ოსტატი ასევე დაუფლებულია ისეთ სპეციფიკურ რუსთველურ ხერხს, რომელსაც ვერბალურ ალიტერაციას უწოდებენ (რუსთაველი: „მზე აღარ მზეობს ჩვენთანა...“); გალაკტიონი: „ზღვა ახმაურდა ყრუ ხმაურობით“, შავმა ნისლმა დანისლა მთები დაღესტანისა“, „სიო დაიბერა, ჩალა გაიჩალა“, „რომ არ ეტყობათ რტოებს რტობა“, „სულში სიმშვიდე არის ისეთი, თითქოს დროებით ართმევს დროებას“. „თაიგულიც კვლავ ითაიგულეს“. „რომ არ ვარდობს ჩემთვის ვარდი“, „ვარდთა ვარდობს, იათ იობს“, „ის მღერის როგორც დარის დარება“...

გალაკტიონის სიტყვათშემოქმედება რუსთაველისას მოგვაგონებს („ცამცა გაიდარბაზესა, ან „ვინცა იყოს უცხენმალეს“...) ასეთებია: „ბროლება“, „შემოთეთრება“, „ალოცება“, „მონაიავები“, „ზიანება“, „გადასოსნება“, „გააიადონა“.

რუსთაველისეულია სინონიმურ სიტყვათა განმეორება (რუსთაველი: „მთართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი“). გალაკტიონი: „ ულევი, უანგარიშო, შიშის და ჟრჟოლის ამტანი“; „საღამო კანკალებს შიში და რილობით“.

„გალაკტიონმა იცის რუსთაველი. იცის არა მხოლოდ ზოგადად, ტრადიციული ამაღლებითა და აღფრთოვანებით, არამედ მისი პოეტური სიტყვის ნიუანსური ჯადოქრობითაც“⁹. ამის საილუსტრაციოდ ელგუჯა ხინთიბიძე მოიხმობს ორიოდ მაგალითს: ლექსში „პოემა ვეფხისა“ ავთანდილის სიმღერის რემინისცენციით (“...წყლით ქვანიცა გამოხსნიან”), გალაკტიონის სტრიქონი ამგვარად აჟღერდება: „შეხედეთ: ქვებიც გადმომხსნადარან მოსმენად მშვიდი“. რუსთაველი: „დღე ჰგვანდა არ აღვსებისა“; გალაკტიონი: „დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა“.

როგორც ცნობილია, მოდერნისტებმა ლექსის სტრუქტურა განაახლეს. მკვლევარი სოსო სიგუა შენიშნავს, რომ ეს პროცესი დაიწყო იოსებ გრიშაშვილმა, მაგრამ ნამდვილი რეფორმა მოახდინა გალაკტიონ ტაბიძემ. თუმცა რუსთველური სტროფი კვლავ აქტუალური რჩებოდა. გალაკტიონის არაერთი შედევრი სწორედ ტრადიციული საზომებით დაიწერა.



როგორც ავტობიოგრაფიული ჩანაწერიდან არის ცნობილი, 1937 წელს გალაკტიონი აირჩიეს რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის წევრად. შესაძლოა ამან კიდევ უფრო გაამძაფრა მისი ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებისა და რუსთველოლოგიური პრობლემატიკისადმი.

საგულისხმოა პოეტის მოგონება „ნიქოზის „ვეფხისტყაოსანი“ (7–27 იანვარი, 1936):

„მითხარით, ისევ არიან ქართლში ძველი ოჯახები? – ვეკითხები ხანში შესულ ქალს, ყოფილ თავადის ქალს. (ის 40 წლის განმავლობაში მასწავლებლად იყო გორის მახლობლად, ძალიან კარგი ქართულით ლაპარაკობს...)

⁹ ელ. ხინთიბიძე. რუსთაველი მახსოვს ბავშვი. გალაკტიონოლოგია. №3, თბილისი, 2004. გვ. 99–131.

–არიან, როგორ არ არიან. – მიპასუხა მან.

–მაგალითად ისეთები, რომლებიც ძველ ხელნაწერს ინახავენ?

–არიან, აი, მაგალითად: გორში არის ერთი ექიმი ნიკო ელიოზაშვილი, ძალიან განათლებული კაცია. უყვარს მწერლობა. მან იცოდა, რომ სოფელ ნიქოზში, ერთ ოჯახში, სხვა მრავალ ხელნაწერებთან ერთად, ინახებოდა უძველესი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“.

ასე შეიტყო გალაკტიონმა ამ უძველესი ხელნაწერის არსებობის შესახებ, რომლის კვალის მიგნებასაც ის დიდხანს და უშედეგოდ ცდილობდა. მას პუნქტებად ჩამოუწერია კითხვები, რომლითაც ნიკო ელიოზაშვილისთვის უნდა მიემართა:

1. საიდან უნდა გაჩენილიყო, თქვენის აზრით, იმ ოჯახში „ვეფხისტყაოსანი“? შემთხვევით? მემკვიდრეობის წესით? რა ოჯახი იყო ის ოჯახი, სანამ ხელნაწერს დაწავდნენ?

2. ხომ არ გინახავთ წინათ ის ეგზემპლარი ვეფხისტყაოსნისა, ხომ არ გახსოვთ მისი ფორმატი, ქაღალდი, ხელი, ილუსტრაციები, განსაკუთრებული რამ თვისებები; რომელი საუკუნის უნდა ყოფილიყო?

3. საინტერესოა დაწვრილებით: რა პირობებში დაილუპა ის ვეფხისტყაოსანი? რატომ მაინცდამაინც თონეში დაწვეს?

სამწუხაროდ, ამ ხელნაწერის მიგნება ვერ მოხერხდა. შესაძლებელია, იგი მართლაც გაანადგურეს ბოლშევიკების შიშით.

ზემოწარმოდგენილი მცირე დაკვირვებანიც ადასტურებს გალაკტიონის განაცხადს, რომელიც საარქივო ჩანაწერმა შემოგვინახა: „ჩემი ლექსების პოეტიკის ძირები ღრმად და მტკიცედ ჩაეზარდნენ ეროვნულ ნიადაგს, და მთელი შემოქმედების მანძილზე მას უხვად ასაზრდოებდა მშობლიური მიწის წვენი. ჩემს ლექსებში გამოძვლავდა მტკიცე კავშირი ეროვნულ პოეტურ კულტურასთან, მის ხალხურ და კლასიკურ ფორმებთან... ჩვენი პოეზია დღეს არ იქნებოდა ის, რაც არის, რომ არ ჰყოლოდა ისეთი სახეები, როგორებიცაა არიან რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, აკაკი, ვაჟა. ჩემი ლექსები ჩემი სულის ანაბეჭდია – შთაგონებული ქართული პოეზიის დიდი ტრადიციებით“.

Lia Karichashvili

Expressive Perspectives of the “Knight in the Panther’s Skin” in Galaktioni’s Poetry

(Several Aspects)

Summary

Work considers Galaktioni’s creative relations with the “Knight in the Panther’s Skin”. It presents Rustaveli’s expressive samples found in Galaktioni’s art. Among these samples there is a panther’s skin, as a metaphor and symbol; rose, often expressing spirit condition of the lyrical character and, in addition, it has the theological content. Characters of many verses and poems by Galaktioni are inspired by the characters of the “Knight in the Panther’s Skin”. Image of Rustaveli is of interest as well.

Galaktioni clearly understands the substance of entirety of the harmonic, integral world of Rustaveli, interrelations between the divine and worldly, as different steps of one whole. Divine love is one of the main themes of the poem and is the most significant one in Galaktioni's art.

Galaktioni perceives the "Knight in the Panther's Skin" as Galaktioni's dream. This is a dream about the highest human values, love and fidelity.

Work provides discussion of how the scientific literature perceives Galaktioni's concept of "New Rustaveli", associated to the image of renovated, restored Georgia.

It is apparent that Galaktioni is close to Rustaveli, with respect of poetic language, syntax structures, words formation and sounds. And finally, to illustrate great interest to Rustaveli studies, work describes how he was seeking for one of the manuscripts of the poem—"Nikozi Knight in the Panther's Skin".

სამართალმცოდნეობა

ევა გოცირიძე

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმი - სუბსიდიურობის პრინციპის განვითარება თუ გაუმართლებელი ჩარევა?

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმი ითვალისწინებს სტრასბურგის სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოებას იმ საქმეთა მიმართ, რომელთა განხილვა ეროვნულ სასამართლოებში ვერ დასრულებული არ არის. კერძოდ, ოქმის დებულებათა მიხედვით, კონვენციის ხელშემკვერელი მხარის უმაღლეს სასამართლო ინსტანციებსა და ტრიბუნალებს (საქართველოს შემთხვევაში - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს) უფლება ექნებათ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს „მიმართონ საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას“. ამასთან, „მოთხოვნის წარმდგენ სასამართლოს ან ტრიბუნალს საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით“. შესაბამისად, მან სტრასბურგის სასამართლოს უნდა წარუდგინოს „მის წარმოებაში არსებული საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები“ (მუხლი 1). მისაღებობის ეტაპის გადალახვის შემთხვევაში, დასკვნას გაცემს დიდი პალატა, რომელიც ატარებს საქმის ზეპირ მოსმენას (განხილვას), რომელშიც ex officio მონაწილეობს მოსამართლე, არჩეული იმ მაღალი ხელშემკვერელი მხარისაგან, რომელსაც განეკუთვნება მოთხოვნის წარმდგენი სასამართლო ან ტრიბუნალი (მუხლი 2). საკონსულტაციო დასკვნას არა აქვს სავალდებულო ხასიათი (მუხლი 5).

ოქმის პრეამბულის თანახმად, სტრასბურგის სასამართლოს უფლებამოსილების ასეთი გაფართოება „კიდევ უფრო გააღრმავებს ურთიერთქმედებას სასამართლოსა და ეროვნულ ორგანოებს შორის და, ამგვარად, გაამყარებს კონვენციის განხორციელებას სუბსიდიურობის პრინციპის შესაბამისად“.

ჩემი აზრით, წინამდებარე ოქმის რატიფიკაციამდე, გემართება კარგად დავფიქრებულიყავით მის მიზანშეწონილობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმის ტექსტი არაერთ კითხვას წარმოშობს იმის თაობაზე, თუ რა სახეს მიიღებს მისი ამოქმედება პრაქტიკაში, ხომ არ შექმნის იგი გაუთვალისწინებელ საფრთხეებსა და დაბრკოლებებს, ან რამდენად ეფექტიანი იქნება იგი უფლებათა რეალური დაცვის, სწრაფი მართლმსაჯულებისა თუ სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის თვალსაზრისით.

ერთი შეხედვით, ოქმი ქმნის სამართლებრივ შესაძლებლობას იმისა, რომ ეროვნულ სასამართლოებში საქმის საბოლოო განხილვის დასრულებამდე, კერძოდ, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე, უზრუნველყოფილ იქნეს საქმის განხილვა კონვენციის პრინციპული დებულებების შესაბამისად, ხოლო ამ გზით აცდენილ იქნეს ადამიანის უფლებების დარღვევა ეროვნულ სასამართლოებში.

ცხადია, ეს კეთილშობილური მიზანია. ოქმის ამოქმედების პირობებში, უფლებრივი საკითხები კონვენციის შესაბამისად გადაწყდება საკუთრივ ეროვნულ სასამართლოებში და მხარეებს აღარ მოუწევთ სტრასბურგის სასამართლოსათვის მიმართვა თავიანთი დარღვეულად ნაგულები უფლებების დასაცავად. ეს ნამდვილად არის სუბსიდიურობის პრინციპის განვითარება, რომელსაც კონვენცია ემყარება. ამ პრინციპის თანახმად, უწინარესად სწორედ ეროვნული

სასამართლოები არიან ვალდებული უზრუნველყონ კონვენციის უფლებების დაცვა, რამდენადაც, ამ სფეროში, სტრასბურგის სასამართლოს დანიშნულება მეორადია, დამატებითია, ანუ სუბსიდიური. ვეთანხმები იმ შეფასებასაც, რომ საკონსულტაციო დასკვნის გაცემის სფეროში სტრასბურგის სასამართლოს უფლებამოსილების განვრცობა წარმოადგენს ინსტიტუციური დიალოგის გაფართოებას საერთაშორისო და ეროვნულ სასამართლოებს შორის.

მაგრამ, ამის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ სანამ ოქმის რატიფიკაციის საკითხი გადაწყვეტდა, საქართველოს პარლამენტს მართებდა, ჯერონად გაეთვალისწინებინა, თუ რა მოსალოდნელ სირთულეებს, დაბრკოლებებსა თუ საფრთხეებს შექმნის ოქმით გათვალისწინებული პროცედურების პრაქტიკაში ამოქმედება.

ჩემი ეჭვები ემყარება შემდეგ გარემოებებს:

ოქმის დებულებათა შინაარსობრივი ფარგლების ბუნდოვანება და მისი შედეგების განუჭვრეტადობა

ოქმის დებულებების მიხედვით, საკონსულტაციო დასკვნა შეიძლება მოთხოვილ იქნეს „პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც შეეხება კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას.“ თუმცა, ოქმის განმარტებით ბარათი ერთგვარად მიანიშნებს, რომ მასში იგულისხმება სწორედ ის კრიტერიუმი, რომელსაც იყენებს დიდი პალატის კოლეგია, როდესაც წყვეტს საკითხს, დააკმაყოფილოს თუ არა თხოვნა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის შესახებ. მასში მითითებულია, რომ „ბრძენ კაცთა ჯგუფის“ მიერ შემუშავებული ზემოაღნიშნული დეფინიცია შთაგონებული იყო სწორედ კონვენციის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული კრიტერიუმით.¹

ევროპული სასამართლოს მიერ მომზადებული დოკუმენტი –“Reflection Paper“ - კიდევ უფრო აკონკრეტებს ოქმის მოქმედების ფარგლებს და მიუთითებს, რომ „ის აგრეთვე მოიცავს შემთხვევებს, როდესაც აუცილებელია შეფასდეს, შესაბამება თუ არა კონვენციას შიდა კანონმდებლობა ან წესი, ანდა სასამართლოს მიერ ამ კანონმდებლობის დამკვიდრებული განმარტება.“²

ვფიქრობ, აუცილებელი იყო, ოქმის განმარტებით ბარათში ცხადად ყოფილიყო გადმოცემული, თუ კერძოდ რას გულისხმობს „პრინციპული საკითხები, რომლებიც შეეხება კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას“ და მართლაც არის თუ არა მასში ნაგულისხმევი კონვენციის 43-ე მუხლში მითითებული კრიტერიუმი. ასეთი დაზუსტება დაეხმარებოდა ეროვნულ სასამართლოებს, სწორი წარმოდგენა ჰქონოდათ იმაზე, თუ რა შემთხვევაში იძენენ უფლებას, სტრასბურგის სასამართლოს დიდ პალატას საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართონ. აგრეთვე სასურველი იქნებოდა, –“Reflection Paper“ -ში მოცემული დაზუსტებანი, თუკი ის შესაბამისია, ასახულიყო განმარტებით ბარათში, რაკი, ეს დოკუმენტი და მასში გადმოცემული მოსაზრებები საკუთრივ სტრასბურგის სასამართლოსათვისაც არ არის სავალდებულო.

ეჭვს იწვევს საკონსულტაციო დასკვნის პროცედურების განვრცობის მიზანშეწონილობა ეროვნული კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობის შეფასების ნაწილში და მისი შედეგების ბუნდოვანება.

ინდივიდუალური საჩივრის განხილვის დროს ეროვნული კანონმდებლობის კონვენციასთან თავსებადობის შემოწმება ლოგიკურია და შესაბამისი, ვინაიდან სათანადო ხელშემკერულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, შეცვალოს კონვენციასთან შეუთავსებელი კანონი, და ამგვარ დავალებას სტრასბურგის სასამართლო სახელმწიფოს აძლევს ინდივიდუალურ საჩივარზე მიღებული

¹ იხ. ოქმის განმარტებითი ბარათის მე-9 პუნქტი.

² იხ. Reflection Paper on the Proposal to Extend the Courts' Advisory Jurisdiction, პუნქტი 29.

განჩინებით, სადაც იგი კონვენციის დამრღვევ მხარეს კონვენციის დარღვევის მსხვერპლის მიმართ გასატარებელ ღონისძიებებთან ერთად (კომპენსაცია, უფლებებში აღდგენა და სხვა) ავალებს საერთო ხასიათის ღონისძიებების გატარებასაც (კანონის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შეცვლა და სხვა).

მაგრამ სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვექნება საქმე საკონსულტაციო დასკვნის პროცედურების დროს ეროვნული კანონის კონვენციასთან შესაბამისობის შეფასებისას: მხედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს, რომ საუბარია კონკრეტულ საქმეზე გამოსაყენებელ კანონზე. ოქმის განმარტებითი ბარათი (პ. 10) პირდაპირ უთითებს, რომ „*პროცედურა არ გულისხმობს იმ კანონმდებლობის აბსტრაქტულ შემოწმებას, რომელიც არ გამოიყენება განსახილველ საქმეში*“. შესაბამისად, გაუგებარი ხდება, რა გზას უნდა დაადგეს ეროვნული სასამართლო, თუკი სტრასბურგიდან მიიღებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც საქმეზე იყო გამოყენებული, ან რომელიც საკუთრივ მან უნდა გამოიყენოს კონკრეტულ საქმეზე, არ შეესაბამება კონვენციას. რა უნდა მოიმოქმედოს მან ასეთ შემთხვევაში? არ გამოიყენოს ეს კანონი? **მით უფრო გაჭირდება გამოსავლის ძიება, თუ შესაბამისი კანონმდებლობა აღმოჩნდება კონსტიტუცია, რომლის უზენაესობაც არის ჩვენში დამკვიდრებული**, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში.

ვკონებ, ეროვნული სასამართლო ჩიხში მოექცევა. იგი აღმოჩნდება დილემის წინაშე - მაინც შიდა კანონმდებლობას დაეყრდნოს, თუ შეეცადოს გვერდი აუაროს კონვენციასთან შეუსაბამო კანონს. პირველ შემთხვევაში ის დაარღვევს კონვენციას, მეორე შემთხვევაში კი - შიდა კანონმდებლობას და ზოგჯერ კონსტიტუციასაც კი. ორივე შემთხვევაში მისი გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა ეჭვის ქვეშ დადგება და ეს არგუმენტი უთუოდ იქნება გამოყენებული მხარეების მიერ.

მთავარი მაინც ის არის, რომ რაც არ უნდა კონვენციასთან შეუსაბამო აღმოჩნდეს ეროვნული კანონი, ეროვნულ სასამართლოს არ ექნება უფლება, არ გამოიყენოს იგი მის განხილვაში მყოფ კონკრეტულ საქმეზე, სანამ ეს კანონი შესაბამისად არ შეიცვლება. ერთადერთი „გამოსავალი“ იქნებოდა, ასეთ შემთხვევებში, საქმის განხილვის შეჩერების პროცედურის შემოღება ეროვნული კანონის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანამდე, დახლოებით იმგვარი პროცედურისა, რომლითაც სასამართლო აჩერებს საქმის განხილვას საქმეში გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით.

გადაწყვეტილების შინაგანი რწმენით მიღებისა და შეჯიბრებითი პროცესის პრინციპების დარღვევის საფრთხე.

ყველაზე დიდ ეჭვებს იწვევს ის გარემოება, რომ საკონსულტაციო დასკვნის მიღების მოთხოვნა უკავშირდება განხილვაში მყოფ კონკრეტულ საქმეს. ბუნდოვანი რჩება, რა მიმართებაშია ერთმანეთთან კონვენციის გამოყენების თაობაზე განმარტების მიცემა კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და საერთოდ, რა ვითარებასთან გვექნება საქმე - კერძო შემთხვევით გამოვლენილი ამა თუ იმ სამართლებრივი საკითხის კონვენციასთან შესაბამისობის ჭრილში გააზრებასთან, თუ სწორედ ამ კონკრეტული საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით საქმეზე ისეთი წინასწარი დასკვნის გაცემასთან, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც პირდაპირი კარნახი იმისა, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ეროვნულმა სასამართლომ ამ კონკრეტულ საქმეზე.

მართალია, ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცით, რა ფორმით იქნება დასკვნაში გადმოცემული საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრება, იქნება თუ არა ის დასაბუთებული სწორედ ამ კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებით, და რა მიმართებაში იქნება ეს დასკვნა საქმეზე მისაღებ საბოლოო გადაწყვეტილებასთან, მაგრამ ოქმში, მის განმარტებით ბარათსა და სხვა

თანხლებ დოკუმენტებში მითითებული დებულებები, ერთობლიობაში, გვიმყარებს აზრს, რომ სწორედ ამ მეორე, ზემოაღნიშნულ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

ოქმის დებულებების მიხედვით, უზენაესმა (ან საკონსტიტუციო) სასამართლომ ევროპულ სასამართლოს *“უნდა წარუდგინოს მის წარმოებაში არსებული საქმის სათანადო სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები“* (1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი) ოქმის განმარტებით ბარათში დაზუსტებულია, რომ ეროვნულმა სასამართლომ უნდა წარადგინოს „*საქმის არსებითი საკითხები და დასკვნა იმ ფაქტების შესახებ, რომელიც დადგენილია შიდა პროცედურების მეშვეობით; აგრეთვე შესატყვისი შიდა სამართლებრივი დებულებები, და, თუ ეს შესაბამისია, საქმის მონაწილე მხარეთა არგუმენტები და საკუთრივ ეროვნული სასამართლოს შეხედულებები და ანალიზი დასმულ საკითხზე“* (ოქმის მე-12 პუნქტი); მისაღების ეტაპის გადალახვის შემთხვევაში, დასკვნას გასცემს დიდი პალატა, რომელიც ატარებს საქმის ზეპირ მოსმენას (განხილვას), რომელშიც ex officio მონაწილეობს მოსამართლე, არჩეული იმ მაღალი ხელშემკვრელი მხარისაგან, რომელსაც განეკუთვნება მოთხოვნის წარმდგენი სასამართლო ან ტრიბუნალი (ოქმის მე-2 მუხლი). განმარტებითი ბარათის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ საქმის მხარეები მოწვეულნი იქნებიან პროცედურებში მონაწილეობის მისაღებად (პ. 20); შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მთავრობას უფლება აქვს, ჩაერთოს საქმის განხილვაში და წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრებები; (პ. 19);

ზემოაღნიშნული დებულებების გათვალისწინებით ირკვევა, რომ, როგორც ჩანს, საკონსულტაციო დასკვნის პროცედურები გულისხმობს არა კონკრეტული საქმის მაგალითის მიხედვით ზოგად საკითხებზე მსჯელობას, არამედ კონვენციის ჭრილში სწორედ ამ კონკრეტული საქმის არსებით განხილვას, როდესაც კონვენციასთან შესაბამისობის საკითხი წყდება საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით და მათ საფუძველზე. საქმის განხილვაში მხარეთა მონაწილეობისა და წერილობითი მოსაზრებების წარდგენის ელემენტები კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის, რომ ასეთი განხილვის შედეგად მიცემული დასკვნა უშუალოდ იქნება დაკავშირებული იმის შეფასებასთან თუ ეროვნული სასამართლოს როგორი გადაწყვეტილება იქნებოდა კონვენციასთან შესაბამისი, და როგორი - მისი საწინააღმდეგო.

ამგვარად, საქმე გვაქვს სწორედ ისეთ ვითარებასთან, როდესაც ეროვნული სასამართლო სტრასბურგის სასამართლოს დასკვნას ითხოვს კონკრეტული და განხილვაში მყოფი საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და მათ საფუძველზე; ფაქტობრივად ეკითხება მას, როგორი გადაწყვეტილება იქნებოდა კონვენციასთან შესაბამისი, და როგორი - მისი საწინააღმდეგო. ხოლო საერთაშორისო სასამართლო კი მას კონკრეტულ მითითებას აძლევს. **ეს ნამდვილად არის ეროვნული სასამართლოსათვის იმის კარნახი, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მან ამ კონკრეტულ საქმეზე.**

რა თქმა უნდა, დასკვნის მიღება დაეხმარებოდა ეროვნულ სასამართლოს, აეცდინა კონვენციის უფლებების დარღვევა, მაგრამ, ძნელია იმის უარყოფა, რომ **ეს იქნება საქმის წარმოებაში გაუმართლებელი შეჭრა.**

ვფიქრობ, თავისთავად არ იქნებოდა სწორი, საერთაშორისო სასამართლომ ეროვნულ სასამართლოს პირდაპირ, ან თუნდაც არაპირდაპირ, უკარნახოს, თუ როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე. ცხადია, ეს შეიძლება იყოს კარგი ჩარევა, კარგი პრევენციული ღონისძიება უფლებათა დარღვევის აცდენის თვალსაზრისით, მაგრამ **ის მაინც იქნება ჩარევა, რომელიც შინაგან რწმენაზე გადაწყვეტილების დაფუძნების პრინციპს კი არ ეწინააღმდეგება მხოლოდ, არამედ, იქნებ სახელმწიფო სუვერენიტეტის ფუძემდებლურ გაგებასაც.** არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ კონტროლი, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ახორციელებს კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვაზე, **წარმოადგენს საერთაშორისო კონტროლის ისეთ სახეს, რომელიც ეფუძნება**

სუვერენიტეტისა და დემოკრატიის პრინციპებს; იგი უზრუნველყოფს კონვენციის ეფექტიან მოქმედებას დემოკრატიის პირობებში, სუვერენული სახელმწიფოებისა შესაბამისი უფლებებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. ადამიანის უფლებათა დაცვაზე საერთაშორისო კონტროლი არ უნდა გადაიზარდოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევაში და ის გონივრულ საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. როგორც დიდი ხანია აღიარებულია, ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა იმ დელიკატური ამოცანის გადაჭრა, თუ როგორ უნდა დაბალანდეს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სუვერენიტეტი კონვენციის წინაშე მათ პასუხისმგებლობასთან.

როგორც ჩანს, გაუმართლებელ ჩარევად აღქმის საფრთხე ისედაც გახდა თვალსაჩინო. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ მიუთითა განმარტებითმა ბარათმა, რომ „საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის იდეა ის კი არ არის, რომ დავა ეროვნული სასამართლოდან გადასაწყვეტად გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს, არამედ ის, რომ ეროვნულმა სასამართლომ მიიღოს სახელმძღვანელო განმარტება კონვენციის საკითხებთან დაკავშირებით მანამდე, სანამ იგი გადაწყვეტილებას მიიღებს მის განხილვაში მყოფ საქმეზე, (იხ. განმარტებითი ბარათის მე-11 პუნქტი). ასეა თუ ისე, თავად ამ განმარტებითაც არ არის უარყოფილი, რომ ეროვნულმა სასამართლომ სახელმძღვანელო მითითება უნდა მიიღოს სტრასბურგიდან, რაც სხვა არაფერია, თუ არა სასამართლოს დამოუკიდებლობის, და გადაწყვეტილების შინაგან რწმენაზე დაფუძნების პრინციპიდან უკანდახვევა.

ის გარემოება, რომ დასკვნა იურიდიულად სავალდებულო არ არის ეროვნული სასამართლოსთვის, დამამშვიდებელი ვერ იქნება. ჯერ ერთი, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეროვნულმა სასამართლომ გვერდი აუაროს დიდი პალატის დასკვნას მაშინაც კი, როდესაც ეს მის შინაგან რწმენას არ შეესაბამება. საგულისხმოა, რომ ასეთივე მოსაზრებები გამოთქვეს საკონსულტაციო დასკვნის სფეროში დიდი პალატის იურისდიქციის განვრცობის მომხრეებმა: „სასამართლო არ დგას იმ საფრთხის წინაშე, რომ მისი ავტორიტეტი სადავო გახდეს შიდა სასამართლოების მხრიდან მისი რჩევის გაუთვალისწინებლობის გზით. ნამდვილად არ არის მოსალოდნელი, რომ შიდა სასამართლომ, რომელმაც რჩევა ჰკითხა სასამართლოს, არ დაუჯეროს მას.“ (Reflection Paper, პუნქტი 7); ეს განამტკიცებს მოსაზრებას, რომ შიდა სასამართლოების დამოუკიდებლობის ხარისხი კონკრეტულ საქმეზე, უთუოდ დაკნინდება და ის შემოზღუდული იქნება დიდი პალატის მითითებით; გარდა ამისა, დამარცხებულ მხარეს სათქმელად დარჩება, რომ მოსამართლემ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა არა შინაგან რწმენაზე, არამედ სხვის, თუნდაც მეტად კომპეტენტურ აზრზე.

თუკი ეროვნული სასამართლო არ გაიზიარებს საკონსულტაციო დასკვნას, მაშინ პროცესის მონაწილე მხარე დააყენებს სხვა, არანაკლებ სერიოზულ საკითხს - რა საჭირო იყო საქმის გაგზავნა საერთაშორისო სასამართლოში და დროის გაცდენა, თუ მის აზრს მაინც არ გაითვალისწინებდნენ. გარდა ამისა, საკონსულტაციო დასკვნის საწინააღმდეგო ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, იმთავითვე იქნება აღქმული, როგორც დაბალი ლეგიტიმაციის მქონე, როგორც სავარაუდოდ კონვენციის საწინააღმდეგო, რომელიც არ იმსახურებს ნდობას.

ყველა შემთხვევაში, საერთაშორისო სასამართლოს ასეთი ჩართულობა განხილვის სტადიაზე მყოფ საქმეში, აღქმული იქნება, როგორც **დამატებითი, საერთაშორისო ინსტანცია მეორე და მესამე ინსტანციებს შორის**, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი პროცედურები ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვას მხარეთა მონაწილეობითა და წერილობითი მოსაზრებების წარდგენით. სტრასბურგის სასამართლოს ასეთი ხარისხით ინტერვენცია ეროვნულ სასამართლოში განხილვის სტადიაზე მყოფ საქმეში, ვფიქრობ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პრინციპს, რომლის მიხედვით, სტრასბურგის სასამართლო არ არის მეოთხე სასამართლო ინსტანცია და არც ისეთი

სასამართლო ინსტანცია, რომელსაც შეუძლია უკარნახოს ან უშუალო და არსებითი გავლენა მოახდინოს ეროვნულ სასამართლოში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. საკუთრივ სტრასბურგის სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ მის ამოცანას წარმოადგენდა არა ეროვნული სასამართლოების ჩანაცვლება, არამედ ეროვნული სასამართლოების იმ გადაწყვეტილებათა კონტროლი, რომლებიც მიღებული იყო შეფასების თავისუფლების საფუძველზე.

მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი „უხერხულობა“: ოქმის განმარტებითი ბარათის მიხედვით, დასკვნის მოთხოვნასთან ერთად, ეროვნულმა სასამართლომ დიდ პალატას, თუ ეს შესაძლებელია და შესაბამისი, უნდა წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები და მათ შორის ანალიზი განსახილველ საკითხზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ სასამართლოს მოუწევს, განსახილველ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თავისი აზრის წინასწარ გამოთქმა, რაც არ იქნება გამართლებული. ხოლო, თუკი დიდი პალატა არ გაიზიარებს მის მოსაზრებას, მაშინ მას მოუწევს მიიღოს თავისივე შინაგანი რწმენის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რაც ასევე არ იქნებოდა გამართლებული.

უფრო მეტიც: საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა ეჭვქვეშ აყენებს სამართალწარმოების განხორციელებისას შეჯიბრებითობის პრინციპის დაცულობას. სწორედ სასამართლოა და არა მხარე დასკვნის მოთხოვნის ინიციატორი, ხოლო დასკვნის მოთხოვნა კი კონკრეტული საქმის ფაქტების საფუძველზე სამართლებრივი საკითხების გარკვევას გულისხმობს, რომლის შედეგებიც უთუოდ იმოქმედებს რომელიმე მხარის სასარგებლოდ. ყოველივე ეს უთუოდ წარმოადგენს სამართალწარმოებაში ინკვიზიციური ელემენტის შემოტანას, რაც არღვევს შეჯიბრებითი პროცესის პრინციპებს. ამასთან, რაკი საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნაც დასაბუთებული უნდა იყოს ეროვნული სასამართლოს მიერ, შესაბამისად, საკუთრივ დასაბუთებაშიც, დიდი ალბათობით, შეიძლება პირდაპირ იქნეს გადმოცემული საქმის განმხილველი სასამართლოს პოზიცია რომელიმე მხარის სასარგებლოდ, რაც ძნელად თუ შეესატყვისება სასამართლოს ტრადიციულ როლს შეჯიბრებით პროცესში.

აქვე მინდა დავძინო, რომ საზოგადოდ, ნეგატიურად ვაფასებ სასამართლოების (ვისაც არ უნდა შეეხებოდეს ის - ეროვნულს თუ საერთაშორისოს) მიერ განსახილველ საქმეზე წინასწარი დასკვნის გაცემას ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ამ საქმის სამართლებრივ თუ სხვა მხარეს შეეხება. წინასწარი დასკვნების გაცემა არ არის სასამართლოსათვის ორგანული ფუნქცია. ამგვარი წინასწარი დასკვნები და მოსაზრებათა დაფიქსირება ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ძირეულ პრინციპებსა და მართლმსაჯულების ინტერესების საუკეთესოდ დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებულ ტრადიციულ, კლასიკურ სამართლებრივ პროცედურებს, სასამართლოს ძირეულ უფლებას - საქმე განიხილოს სათანადო სამართლებრივი პროცედურის დაცვით, გამოიკვლიოს ფაქტები და თავად მიიღოს გადაწყვეტილება კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ადეკვატური ურთიერთგაგების საკითხი საკმარისი გამოცდილების არქონის პირობებში

ცალკე სირთულეს წარმოადგენს იმის გააზრება, რამდენად მართებულად და ყოველთვის მართებულად იქნება თუ არა უზენაესი ან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასმული და ფორმულირებული ის საკითხი, რომელიც დასკვნისათვის უნდა წარედგინოს საერთაშორისო სასამართლოს; შემდგომ, რამდენად სწორად იქნება ის გაგებული ევროპული სასამართლოს მიერ; დაბოლოს - მისი დასკვნა ეროვნული სასამართლოს მიერ და მისადაგებული კონკრეტულ საქმესთან. ამგვარად, მოსალოდნელია დიდი ცდომილებები საკონსულტაციო დასკვნის დებულებათა შინაარსისა და ფარგლების საკითხში.

ამასთან, რაკი საერთაშორისო სასამართლოს დასკვნა, კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ემყარება (უნდა ემყარებოდეს), შესაძლოა, მხარეთა მხრიდან ცალკე კრიტიკის საგანი ისიც გახდეს, რომ ეროვნულმა სასამართლომ არასწორი ფაქტობრივი გარემოებები წარადგინა, ან არასწორად დასვა აქცენტები და, შესაბამისად, საერთაშორისო სასამართლოს დასკვნაც ამ არასწორად წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა თუ არასწორად დასმულ აქცენტებს ემყარებოდა. ამ გზით კი მხარეებმა წარმატებით დაასაბუთონ საერთაშორისო სასამართლოს დასკვნის მოცემულ კონკრეტულ საქმეზე გამოყენებადობის გაუმართლებლობა თუ მიზანშეწონილობა.

შესაძლოა, ხშირად დადგეს დღის წესრიგში **საკუთრივ დასკვნის განმარტების აუცილებლობაც**, რასაც შესაძლოა თან მოჰყვეს სრულიად გაუთვალისწინებელი პროცედურული თუ სხვა სირთულეები. გარდა ამისა, შესაძლოა საკუთრივ მხარეებმაც სხვადასხვაგვარად განმარტონ დასკვნა და საფუძვლიანად ან უსაფუძვლოდ დაადანაშაულონ უზენაესი ან საკონსტიტუციო სასამართლოები დასკვნის გაუთვალისწინებლობასა თუ გათვალისწინებაში. ეს მით უფრო დამაფიქრებელია იმის მხედველობაში მიღებით, რომ სამწუხაროდ, არც საქართველოს მოსამართლეები და არც ადვოკატთა კორპუსი ღრმად არ იცნობენ ევროპული კონვენციას და არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული ჩვევა, კონვენციის სამართლის ჭრილში განიხილავდნენ კონკრეტულ საქმეებში წამოჭრილ უფლებრივ თუ პროცედურულ საკითხებს.

ცალკე სირთულე შეიძლება წარმოშვას **ენობრივმა ბარიერმა**. განმარტებითი ბარათის მიხედვით, დაშვებულია, რომ დასკვნის მოთხოვნა წარდგენილ იქნეს ეროვნულ ენაზე და საკუთრივ ევროპული სასამართლოს ვალდებულება იქნება მოთხოვნის თარგმნა ოფიციალურ ენებზე, ამასთან, დარეგულირებული არ არის, თუ ვინ გადაიხდის თარგმნის საფასურს.³ ხოლო რაც შეეხება საკონსულტაციო დასკვნას, იგი გაიცემა მხოლოდ ევროპული სასამართლოს ოფიციალურ ენებზე და ის ეროვნულ სასამართლოში დაშვებული იქნება მხოლოდ მისი გადათარგმნის შემდეგ. სტრასბურგის სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, ითანამშრომლოს ეროვნულ ხელისუფლებასთან თარგმანების დროული მომზადების საქმეში, თუმცა, როგორც ირკვევა, მისთვისაც გაუგებარია, თუ რას გულისხმობს ამგვარი თანამშრომლობა.⁴ საგულისხმოა, რომ საკუთრივ ოქმის განმარტებითი ბარათიც აღნიშნავს, თუ რამდენად სენსიტიური იქნება საკონსულტაციო დასკვნის ენა (პ. 23), რაც აშკარას ხდის თარგმანის ადეკვატურობის დიდი მნიშვნელობას.

სტრასბურგის წინაშე საკითხების არაკვალიფიციურად დაყენების საფრთხე

ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში ცოდნის არასაკმარისობა და საზოგადოდ პრეცედენტული სამართლის გამოყენების საკითხში მცირე გამოცდილება იმ საფრთხესაც შეიცავს, რომ შესაძლოა, სტრასბურგის სასამართლოს წინაშე ისეთი საკითხების დაყენება მოხდეს, რაზედაც სტრასბურგის სასამართლოს დიდი ხანია დამკვიდრებული მიდგომები გააჩნია და არ არსებობდეს რეალური საჭიროება მისთვის დასკვნის მისაღებად მიმართვისა. ეს კი, ერთი მხრივ, მოთხოვნების დაუშვებლად ცნობას გამოიწვევს, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული სასამართლოების

³ ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლო გამოთქვამს შენიშვნას, რომ ეროვნულ ენაზე მოთხოვნის წარდგენის უფლება არ არის საკუთრივ ოქმის ტექსტში მითითებული და უარყოფითად აფასებს სასამართლოსათვის დასკვნის მოთხოვნისა და თანდართული მასალების თარგმანის ტვირთის დაკისრებას. იქვე სვამს კითხვას, თუ ვინ გადაიხდის თარგმნის საფასურს. იხ: Opinion of the Court on Draft Protocol No.16 to the Convention extending its competence to give advisory opinions on the interpretation of the Convention (Adopted by the Plenary Court on 6 May 2013, პუნქტი 9);

⁴ იხ. ზემოაღნიშნული დოკუმენტის მე-9 პუნქტი;

მოსამართლეების კონვენციის სამართალში გაუთვითცნობიერებლობას გაუსვამს ხაზს და ცუდად იმოქმედებს მათ პრესტიჟზე საერთაშორისო სასამართლოს თვალში.

სავსებით ცხადია, რომ სტრასბურგის წინაშე მხოლოდ ისეთი საკითხების დაყენება შეიძლება ჩაითვალოს შესაბამისად და გამართლებულად, რომლებიც დაკავშირებულია ახალ, განსხვავებულ, იშვიათ, კომპლექსურ, რთულ, სისტემურ და სტრუქტურულ პრობლემებთან, რაზედაც სტრასბურგის სასამართლოს არასდროს უმსჯელია, ანდა უმსჯელია, მაგრამ განსხვავებული პრეცედენტები აქვს შექმნილი; ანდა მაშინ, როდესაც მკვეთრი ევროპული მიდგომები და შესაბამისი პრეცედენტები არსებობს, მაგრამ, ეროვნული სასამართლოს აზრით, ისინი მოძველებულია, აღარ ასახავს თანამედროვე მოთხოვნილებებს და ამიტომ ახლებური მიდგომების დამკვიდრებას საჭიროებს კონვენციის „ცოცხალი ინსტრუმენტის“ დოქტრინიდან გამომდინარე. აგრეთვე მაშინ, როდესაც დამკვიდრებული ევროპული მიდგომები კონკრეტულ საკითხებზე უბრალოდ არ შეესაბამება ქართულ რეალობებსა და საჭიროებებს. წინააღმდეგ შემთხვევებში, დასკვნის მისაღებად ეროვნული სასამართლოს **მოთხოვნები დადგება დაუშვებლად ცნობის დიდი პერსპექტივის წინაშე**. ეს კი დამატებითი საფუძველი გახდება საქმეთა განხილვის გაჭიანურებისა და მოლოდინების გამტყუნებისა.

ასეა თუ ისე, თუკი მე-16 ოქმი საქართველოს მიერ რატიფიცირებული იქნება, საჭირო გახდება გაძლიერებული და სპეციალური მომზადება უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებისა ევროპული კონვენციის სამართალში, მეტადრე იმ მიმართებით, თუ რა არის კერძოდ ისეთი საკითხები, *„რომლებიც შეეხება კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებასთან დაკავშირებულ პრინციპებს“*, როგორი იყო დიდი პალატისათვის საქმეთა გადაცემის პრაქტიკა მანამდე, რაკი ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შემოღება, სავარაუდოდ, სწორედ კონვენციის 43-ე მუხლით არის ინსპირირებული. ასევე გადაუდებელი გახდება მოსამართლეთა ტრენინგი საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის ჩამოყალიბების საკითხებში, ვინაიდან როგორც თავად ოქმის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, *„სასამართლომ ან ტრიბუნალმა მოთხოვნა უნდა ჩამოაყალიბოს ზუსტად და სრულყოფილად“* (იხ. ბარათის მე-17 პ.). წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სავარაუდოდ ვერ გადალახვას მისაღებობის ეტაპს.

დასკვნისათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენების საფრთხე

გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე მოსალოდნელობა იმისა, რომ დასკვნისათვის მიმართვის უფლება მოსამართლემ გამოიყენოს არა მარტო არაკვალიფიციურად და ექსცესიურად, არამედ ბოროტადაც, მაგალითად, ამა თუ იმ სენსიტიურ საქმეზე გადაწყვეტილების ხელოვნური გაჭიანურებისა და დროის მოგების მიზნით, ანდა უბრალოდ, პასუხისმგებლობის მოხსნის, მისი სხვაზე გადაკისრების მიზნით. კანონით დასარეგულირებელი იქნება ის საკითხიც, ექნებათ თუ არა მხარეებს უფლება შუამდგომლობით მიმართონ სასამართლოს, რათა მან საქმე დასკვნისათვის გადააგზავნოს სტრასბურგში. ისიც დასაფიქრებელია, როგორ იქნება აღქმული მხარეების მიერ ეროვნული სასამართლოს უარი.

ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის უფლების ეფექტიანობის შემცირება

ისეთ საქმეზე, რომელზედაც უკვე არსებობს დიდი პალატის საკონსულტაციო დასკვნა

ოქმის დებულებების მიხედვით, უზენაესი ან საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე, საკონსულტაციო დასკვნას გასცემს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატა. ამასთან, კონკრეტულ საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის მიცემა არ გამორიცხავს ეროვნული სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ საჩივრის შეტანას იმავე სტრასბურგის სასამართლოში.

ამ მიმართებით ერთდროულად რამდენიმე სირთულე წარმოიშობა:

- ხომ არ მოექცევიან სტრასბურგის სასამართლოს პალატა, და მით უფრო ის პირები, რომლებიც საჩივრის დასაშვებობის საკითხს წყვეტენ, კონკრეტულ საქმეზე მიღებული ავტორიტეტული დიდი პალატის წინასწარი საკონსულტაციო დასკვნის „ტყვეობაში“?

- შეძლებს თუ არა სტრასბურგის სასამართლოს პალატა ან ის პირები, რომლებიც ინდივიდუალური საჩივრის მისაღებობის საკითხებს წყვეტენ, დიდი პალატის საკონსულტაციო დასკვნისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებას?

- ხომ არ შეამცირებს საქმეზე წინასწარი დასკვნის არსებობა შემდგომი (ამავე საქმეზე საბოლოო შიდა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ) ინდივიდუალური საჩივრის მისაღებობის პერსპექტივას?

ეს ეჭვები ლოგიკურადაც წარმოიშობა, მაგრამ კიდევ უფრო საფუძვლიანი ხდება ისინი განმარტებითი ბარათის დებულების გაცნობისას, რომლის მიხედვით *„მოსალოდნელია, რომ საჩივრის ისეთი ელემენტები, რომლებსაც შეეხება საკონსულტაციო დასკვნა, ცნობილი იქნება დაუშვებლად ანდა ამოღებული განსახილველ საქმეთა ნუსხიდან“* (იხ. ბარათის 26-ე პუნქტი). ასეთივე მოსაზრებაა გამოთქმული სტრასბურგის სასამართლოს მიერ მომზადებულ დოკუმენტში - *“Reflection Paper“*: *„უზგობესია, ინდივიდუალურ საჩივარს უარი ეთქვას მისაღებობაზე, თუკი მასში დაყენებულია იგივე საკითხი, რაზედაც დიდმა პალატამ უკვე გასცა თავისი დასკვნა“*. (იხ. 33-ე პუნქტი). ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ, *მართალია საკონსულტაციო დასკვნა არ არის სავალდებულო, მაგრამ საკუთრივ სასამართლოსათვის იგი განდგება თავისი პრეცედენტული სამართლის ნაწილი, რომელსაც დაეყრდნობა შემდგომი ინდივიდუალური საჩივრის განხილვისას* (პუნქტი 44).

ცხადია, შეუძლებელია სტრასბურგის სასამართლოს მოვთხოვით, ინდივიდუალური საჩივრის განხილვისას განმეორებით იმსჯელოს იმავე საკითხზე, რასაც დიდი პალატა უკვე შეეხო თავის საკონსულტაციო დასკვნაში. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნას, შესაბამისი, მისთვის საინტერესო აქცენტებით, აყენებს ეროვნული სასამართლო და არა საქმის მონაწილე მხარე და ამასთან, შეიძლება დასკვნა გაიცეს საქმის არსებითი განხილვის (დიდი პალატა წყვეტს, ჩაატაროს თუ არა საქმის მოსმენა) და მამსადაძვე, მხარეების მონაწილეობის გარეშე. ყოველივე ამან, შესაძლოა, **გაუმართლებლად შეზღუდოს ინდივიდის უფლება, მიაღწიოს თავისი საქმის განხილვას სტრასბურგის სასამართლოში და, საბოლოო ჯამში, არაეფექტიანი გახადოს კონვენციის 34-ე მუხლით უზრუნველყოფილი ინდივიდუალური განაცხადის იმ უფლების განხორციელება, რომ სავარაუდო მსხვერპლმა მიმართოს სტრასბურგის სასამართლოს და ამტკიცოს თავისი უფლებების დარღვევა.**

უფრო მეტიც: ამ საფრთხის რეალურობის თაობაზე აზრი კიდევ უფრო გაგვიძვარა სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოთქმულმა შემდეგმა მოსაზრებამ: *სტრასბურგის სასამართლომ „ვევლასათვის ცხადი უნდა გახადოს, რომ გააჟვეება საკონსულტაციო დასკვნაში გამოთქმულ თავის მოსაზრებებს, რათა ეროვნულ სასამართლოებს შეუქმნას მოტივაცია, მისდინ ამ მოსაზრებებს, ხოლო პოტენციურ მომჩივნებს დაუკარგოს ინდივიდუალური საჩივრების წარდგენის სურვილი.“* (იხ. Reflection Paper, პუნქტი 45.)

ხოლო თუ თეორიულად დავუშვებთ, რომ სტრასბურგის სასამართლოს პალატა ან ის პირები, რომლებიც საჩივრის მისაღებობის საკითხს წყვეტენ, არ მოექცევიან დიდი პალატის საკონსულტაციო დასკვნის „ტყვეობაში“ და საპირისპირო გადაწყვეტილებას მიიღებენ, მაშინ, ასეთ დროს, სხვაგვარი კითხვები წარმოიშობა: რა ბედი ეწევა პალატის გადაწყვეტილების დიდ პალატაში გასაჩივრების საკითხს? ან რამდენად შეძლებს დიდი პალატა თავისივე დასკვნის უარყოფას? ანდა, ხომ არ წარმოეშვება დამარცხებულ მხარეს ახალი სამდურავის საფუძველი

სტრასბურგის სასამართლოს არათანმიმდევრულობის, ანდა, მისი „ლეგიტიმური მოლოდინის“ გამტყუნებისათვის?

საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების საფრთხე

ოქმის დებულებები არ ითვალისწინებს საკონსულტაციო დასკვნის მიღების თაობაზე ეროვნული სასამართლოს მოთხოვნის შემჭიდროებულ ვადებში განხილვას სტრასბურგის სასამართლოში. გარდა ამისა, მოთხოვნამ მისაღების ეტაპიც უნდა გადალახოს. ოქმზე თანდართულ დოკუმენტებში მხოლოდ ხაზგასმულია საჭიროება იმისა, რომ დიდი პალატა შედარებით სწრაფად იხილავდეს მოთხოვნებს და გამოთქმულია იმედი, რომ გაჭიანურება არ იქნება მნიშვნელოვანი და საკონსულტაციო დასკვნის პროცედურები ძალიან არ გააზანგძლივებს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ეროვნულ სასამართლოში.⁵ ამ ეტაპზე ჩვენთვის არც ისაა ცნობილი, რამდენად ხშირად იქნება გამოყენებული ეს ახალი უფლებამოსილება ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებში, რამდენად სერიოზულად გაიზრდება დიდი პალატის სამუშაო დატვირთვა და საშუალოდ რა დრო დასჭირდება დასკვნის მოლოდინს. ყოველივე ეს აძლიერებს მოსალოდნელობას იმისა, რომ საქართველოს იურისდიქციაში მყოფ პირებს ხანგრძლივად მოუწევთ ელოდონ შესაბამის საქმეზე საკონსულტაციო დასკვნის მიღებას სტრასბურგიდან ანდა გადაწყვეტილებას მოთხოვნის მიუღებლად გამოცხადების თაობაზე.

ოქმზე დათქმების გაკეთების შეუძლებლობა

ოქმის მე-9 მუხლის მიხედვით, ოქმზე რაიმე დათქმების გაკეთება დაუშვებელია. შესაბამისად, საქართველოს ერთმევა შესაძლებლობა, მხოლოდ იმ ფარგლებში აღიაროს ოქმი სავალდებულოდ, რა ფარგლებშიც ის გამართლებულად ესახება.

ოქმის პრაქტიკული მოქმედების შესახებ გამოცდილების არარსებობა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ ოქმის ხელმომწერ არცერთ ქვეყანას არ მოუხდენია მისი რატიფიკაცია და იგი ჯერ ძალაში არ არის შესული. შესაბამისად, არ არსებობს არავითარი შესაძლებლობა, წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორია იგი მოქმედებაში, ზუსტად რა ფარგლებს მოიცავს მისი მოქმედების არეალი, წარმოქმნის თუ არა სირთულეებს პრაქტიკაში და კერძოდ როგორს; ან რა არის მისი მოქმედების პოზიტიური თუ ნეგატიური შედეგები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა, საქართველოს ჯერჯერობით თავი შეეკავებინა მისი რატიფიკაციისაგან.⁶

Eva Gotsiridze

Development of the Principle of Subsidiarity or Unjustified Intervention ?

Summary

In the article there are evaluated and anticipated all kinds of risks faced by implementation of the 16th protocol of the European Convention of Human rights. Protocol extends the jurisdiction of the European Court of Human Rights and provides that highest national courts and tribunals (supreme

⁵ ob. Reflection Paper on the Proposal to Extend the Courts' Advisory Jurisdiction, პუნქტი 11, 22, 39.

⁶ საქართველოს პარლამენტმა მისი რატიფიკაცია მოახდინა 2015 წლის 4 მარტს.

and constitutional courts) will be able to apply to the Court and require an advisory opinion of Grand Chamber on legal questions relating to interpretation of the Convention and the protocols thereto. The requesting court may seek an advisory opinion just in the context of a case pending before it and court shall give reasons for its request and provide relevant legal and factual background of the pending case. The procedure is not intended to allow for abstract review of legislation which is not to be applied in that pending case. According to the Preamble and explanatory report of the Protocol the new procedure would promote development of the Principle of the subsidiarity and would help to clarify the provisions of the Convention and the Court's case-law, thus providing further guidance in order to assist State Parties in avoiding future violations.

There is developed an idea, that despite the fact that an advisory opinion is not binding for the national courts, it might put observance of the fundamental principles under the risk, including that of making decisions based on the internal believe and that of the adversarial process. Therefore, request of the opinion of other court could be seen as establishment of the additional (international) judicial instance between 2nd and 3rd instances and as an unjustified intervention in the decision making process in the national courts. Moreover: such a new procedure might cause an unjustified length of adoption of the final decision on pending case since protocol does not provide certain time limits for consideration of such requests.

The article covers also necessary preconditions for the adequate implementation of the 16th protocol. To the opinion of the author, deep knowledge of the Convention law in general and that of case-law on admissibility criteria to the Grand Chamber is absolutely necessary for judges to reach admissibility of the request. Since Georgian judges have poor knowledge in this area and are not skilled in analyzing different legal issues of the case in the Convention prism, it might increase the risk of presenting such requests not enough competently and will finally lead them to be declared inadmissible. Even misuse of the right to apply for the advisory opinion is not excluded.

The author notes, that none of the Contracting Parties have ratified the 16th Protocol. So it is not in force yet. Accordingly any experience of its implementation does not exist and there are not known any positive or negative consequences of it or challenges. Taking into account all above mentioned risks the author is of the opinion that Georgia had to abstain from the ratification of the Protocol at least temporarily.

მინდია უგრეხელიძე

ექსისტენციალიზმი და სამართალი¹

წინასწარი შენიშვნები

თემა, რომელზედაც მე დღეს უნდა ვისაუბრო, ძალიან რთულია. მის სირთულეს თვით ფილოსოფოსებიც აღიარებენ. ფილოსოფოსები, რომლებიც დღემდე ვერ შეთანხმებულან საბოლოოდ, ექსისტენციალიზმი რაიმე ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობაა, თუ იგი მხოლოდ გუნებაგანწყობილებაა ჩვენი საუკუნის ადამიანისა; ვერ შეთანხმებულან ტერმინოლოგიაში, რომელიც მეტად ცვალებადია და, ამავე დროს, იმდენად ორაზროვანი, რომ თვით ექსისტენციალისტებსაც უჭირთ ერთმანეთის გაგება; მიუხედავად ამოსავალ დებულებათა თანხვედრისა, ექსისტენციალიზმს განსხვავებული ელფერი დაჰკრავს სხვადასხვა ქვეყნებში; ექსისტენციალიზმის ზოგიერთი მიმდინარეობა თეოლოგიურია, ზოგი კი, პირიქით, ათეისტური, და მრავალი სხვა. ბუნებრივია, თუ ყველა ამ გადაუჭრელი ან, სისტემატიკის თვალსაზრისით, მოუწესრიგებელი საკითხისათვის თავის გართმევა განმელებულია ფილოსოფოსისათვის, იგი მით უფრო რთული უნდა იყოს ექსისტენციალიზმის საკითხებით დაინტერესებული არაფილოსოფოსისათვის. ამიტომ, მე იმ პირობით ვბედავ ინფორმაციით წარმოვდგე თქვენს წინაშე, თუ მეცოდინება, რომ შემწყნარებლობასა და ღმობიერებას გამოიჩინებ ჩემს მიმართ. ჩვენი სემინარის ხელმძღვანელმა უკვე მომცა ამის პირობა. ექსისტენციალიზმის სირთულეებზეც სწორედ იმიტომ ჩამოვადე ლაპარაკი, რომ ეს პირობა თქვენგანაც დაძებნებინა.

იმის გამო, რომ დღევანდელი საუბარი საინფორმაციო ხასიათისაა და მიზნად არ ისახავს საკითხის რამდენადმე დეტალურ ანალიზს, ძირითადად მე შევეცდები ექსისტენციალიზმის ყველაზე უფრო აღიარებული დებულებანი გაგაცნოთ. ეს იმითაც გამართლებული იქნება, რომ, ჯერ ერთი, არ შემისწავლია ის მასალა, რომელიც აუცილებელია ცალკეულ განშტოებათა შედარება-შეპირისპირებისათვის, და მერე მეორე, ჩვენთვის ექსისტენციალიზმის სამართალზე გავლენა უფრო საინტერესოა, რომლისთვისაც ექსისტენციალიზმის ორთოლოქსალურ დებულებათა ცოდნა სავსებით საკმარისია.

უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ინფორმაცია ემყარება საკმაოდ შეზღუდულ რაოდენობას პირველწყაროებისა. რუსი ექსისტენციალისტებისგან ჩემთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო Бердяев-ი და გავეცანი კიდევ მის ნაშრომს „Философия свободы” აგრეთვე წიგნს „Духовный Кризис Интеллигенции”. მოსკოვში გადავხედე ამერიკული ექსისტენციელისტების Olson-ისა და Barrett-ის ნაშრომებს. ყველა ჩვენგანი იცნობს ექსისტენციალისტური ხასიათის ისეთ ნაშრომებს,

¹ რელაქციისაგან. წინამდებარე პუბლიკაციის სახით მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ ტექსტს მოხსენებისა, რომლითაც, სუთი ათეული წლის წინ, ოცდამეორე წლის ასაკში, ავტორი წარსდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომის წინაშე. სხდომას უძღვებოდნენ პროფესორები თინათინ წერეთელი (სამართალმცოდნე) და ნიკო ჭავჭავაძე (ფილოსოფოსი). ამის საფუძველზე მომზადდა და გამოქვეყნდა რამდენიმე პუბლიკაცია (მინდია უგრეხელიძე, დასავლეთგერმანელი ექსისტენციალისტი-კრიმინალისტი დანაშაულის მიზეზების შესახებ. „საბჭოთა სამართალი,” 1964, №4; ანონიმა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1, 1975). თუმცა ბევრი რამ მოხსენებიდან დღემდე მიუწვდომელია სპეციალისტებისათვის.

მიგვაჩნია, რომ ნარკვევს არათუ არ დაუკარგავს თავისი შემეცნებითი მნიშვნელობა, არამედ პირიქით, ახალი აზრობრივი დატვირთვაც კი შეიძინა საქართველოსა და მსოფლიოში რთული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების განვითარების კვალობაზე. ამ მხრივ შემდგომი დასკვნების გამოტანა მკითხველისთვის მიგვიჩნდა.

პროფესორ მინდია უგრეხელიძის მოხსენება ქვეყნდება ავტორის არქივში დაცული დედნის მიხედვით.

როგორცაა კამიუს, სარტრის, კაფკას, ბულგაკოვის თხზულებანი, რომლებიც ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა. სამაგიეროდ, უფრო ფართო ინფორმაცია მივიღე ექსისტენციალიზმისადმი საგანგებოდ მიძღვნილი ნაშრომებიდან. ამ მხრივ, დიდი მუშაობაა გაწეული საქართველოში. არსებობს კ. ბაქრაძის წიგნი "ექსისტენციალიზმი". მართალია იგი ძირითადად ჰაიდეგერს ეყრდნობა, მაგრამ, ეს დახლართული ფილოსოფიური მიმდინარეობა ისეთი სისადავით და ნათლად არის გადმოცემული, რომ ბევრ ფუნდამენტურ გამოკვლევას ჯობს. მეტად საინტერესოაა გაშუქებული ექსისტენციალიზმის ცალკეული მხარეები ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლების ზ.კაკაბაძის, გ.თევზაძის წიგნებში. მათი მთავარი დამსახურება ის არის, რომ შესანიშნავად დაასაბუთეს, რით იყო გამოწვეული ექსისტენციალიზმის წარმოშობის აუცილებლობა და რამდენად ჰუმანური და ამაღლებულია თავისთავად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის უნებურ თანამდევ შედეგებს. დიდძალი მასალა ექსისტენციალიზმის შესახებ დაგროვდა რუსულ ენაზე. მხედველობაში მაქვს ცალკეული კრებულები და სტატიები "Вопросы Философии"-ში ექსისტენციალიზმის სხვადასხვა ასპექტების შესახებ. უკვე ითარგმნა უცხოური ლიტერატურაც. ასეთია მაგალითად, ამერიკელი მარქსისტის Финкельштайн-ის წიგნი „Экзистенциализм и проблема отчуждения в американской литературе“.

რაც შეეხება ლიტერატურას სამართლის ექსისტენციალისტურ ფილოსოფიაში, იგი უკვე საკმაოდ დიდია საზღვარგარეთ. ამ პრობლემას მეტად საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა უნგრელმა იურისტმა ვილიამ პეშკამ. საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში, რამდენადაც მე ვიცი, მხოლოდ შარგოროდსკის უნდა ქონდეს ამ საკითხზე ნაშრომი. ექსისტენციალიზმის ასახვას სამართლის ცალკეულ დარგებში აგრეთვე ეძღვნება სპეციალური შრომები. ჩვენს ბიბლიოთეკას მოეპოვება დასავლეთგერმანელი იურისტის თომას ვიურტენბერგერის წიგნი „Die geistige situation der deutschen Strafrechtswissenschaft“. აღსანიშნავია რომ ამ წიგნის სახელწოდება მიბაძვია ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის კარლ იასპერის ძირითადი ფილოსოფიური ტრაქტატის სათაურისა "Die geistige Situation der Zeit". ჟურნალში "Monatschrift für die Kriminologie und Strafrechtswissenschaft" გამოქვეყნებულია დასავლეთგერმანელი ექსისტენციალისტი კრიმინალისტის იოახიმ ჰელმერის ორთაბახიანი სტატია "Kriminalität und Kultur". ამ ნაშრომზე მშრალი ინფორმაცია ჯერ კიდევ 1963 წელს მივაწოდე სამართლის სექტორს, მოგვიანებით კი სტატიაც მომზადდა ჟურნალ "საბჭოთა სამართალში" დასაბეჭდად.

აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით მე შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ და გამარტივებული სახით გაგაცნოთ ექსისტენციალიზმის შემდეგი ძირითადი საკითხები:

– ექსისტენციალიზმის წარმოშობის გნოსეოლოგიური და სოციალურ-პოლიტიკური წანამძღვრები.

– ექსისტენციალიზმის მთავარი წარმომადგენლები და მისი წყაროები (ნიცშეს "სიცოცხლის ფილოსოფია", შპენგლერის "კულტურული მორფოლოგია", ბერგსონის "ინტუიტივიზმი", ჰუსერლის "ფენომენოლოგია").

– ონტოლოგიური პრობლემა – ექსისტენციალიზმის ძირითადი პუნქტი. მისი კავშირი ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის სახელწოდებასთან.

– გნოსეოლოგიური პრობლემა (ირაციონალიზმი).

– ექსისტენციალიზმის ზოგიერთი კატეგორია, რომელთაც მნიშვნელობა აქვს ექსისტენციალისტური სამართლის გაგებისათვის:

- ა) თავისუფლების ექსისტენციალი (ონტოლოგიური პრობლემა)
- ბ) ბრალი
- გ) პასუხისმგებლობა
- დ) ზრუნვა

- ექსისტენციალიზმი და სიტყვაკაზმული მწერლობა.
- ექსისტენციალიზმი და სამართლის ფილოსოფია.
 - ა) სამართალი და ორთოდოქსალური ექსისტენციალიზმი.
 - ბ) სამართალი და ექსისტენციალიზმის გადახვევანი.
- ექსისტენციალიზმი და სისხლის სამართალი.
- ექსისტენციალიზმი და კრიმინოლოგია (ანომია).
- დასკვნა

ექსისტენციალიზმის წარმოშობის გნოსეოლოგიური და სოციალურ-პოლიტიკური წანამძღვრები

ყოველი ახალი ფილოსოფიის წარმოშობა რაღაც გარკვეულ ვითარებაში ხდება და გარკვეული პირობებით არის გამოწვეული. ამ მხრივ, არც ექსისტენციალიზმი გამონაკლისი. მისი წარმოშობაც ისტორიული კანონზომიერება იყო და გამოხატულება იმ ვითარებისა, რომელიც სუფევდა XX საუკუნის დასაწყისში, ერთი მხრივ ა) ფილოსოფიაში და, მეორე მხრივ ბ) სოციალური ცხოვრების ასპარეზზე.

ა) მდგომარეობა ფილოსოფიაში.

მე-19 საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში შეიმჩნევა გნოსეოლოგიური პრობლემის გაბატონება ფილოსოფიაში. მართალია, ფილოსოფია ყოველთვის გულისხმობს არა მარტო გნოსეოლოგიური, არამედ ონტოლოგიური პრობლემის გადაწყვეტასაც, მაგრამ იმ დიდმა ძვრებმა სპეციალურ მეცნიერებებში, რომელსაც ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით მწვავედ დასვა საკითხი ჭეშმარიტების შესახებ. ის, რაც გუშინ ჭეშმარიტი იყო, დღეს აღარ აღმოჩნდა ჭეშმარიტი. ამიტომ მეტაფიზიკამ, ე.ი. მოძღვრებამ არსის არსების შესახებ, ყოფიერების რაობის შესახებ, უკანა პლანზე გადაინაცვლა. დღის წესრიგში დადგა ჭეშმარიტების პრობლემისა და, საერთოდ, გნოსეოლოგიური პრობლემის კვლევა.

ამის შესაბამისად, ყოველი გავრცელებული ბურჟუაზიული ფილოსოფია, აღნიშნულ პერიოდში, მეტაფიზიკის წინააღმდეგ აწარმოებს ბრძოლას. ყველა ეს თეორია შემეცნების თეორიით, უფრო ფართოდ, მეცნიერების თეორიით ზღუდავს ფილოსოფიას. განსაკუთრებით ეს ითქმის კრიტიკული ფილოსოფიისა (მაგ. ემპირიოკრიტიციზმისა და მახიზმის, პრაგმატიზმისა და პოზიტივიზმის შესახებ). ეს ფილოსოფიური მიმართულებანი ყოფიერების პრობლემებს უაზრო, ცრუ, ყალბ პრობლემებად თვლიან. ეს გასაგებიცაა, რადგან თუ ობიექტურ სინამდვილეს, საგნებს, მოვლენებს ჩვენს შეგრძნებებზე, განცდებზე და წარმოდგენებზე დავიყვანთ, როგორც ამას ჯერ კიდევ იუმი და კანტი, შემდეგ კი მახი, ავენარიუსი და სხვები აკეთებდნენ, რა თქმა უნდა ონტოლოგიისათვის, მეტაფიზიკისათვის მართლაც არ რჩება ადგილი.

თვით ამ იდეალისტური მიმდინარეობათა წარმოშობასაც თავისი საკმაო საფუძველი გააჩნდა. კრიტიკული ფილოსოფია იყო რეაქცია მატერიალისტურ და ობიექტივისტურ შეხედულებებზე, რომლებიც ადამიანს განიხილავდნენ, როგორც რიგით რგოლს გარემო სინამდვილის ჯაჭვში. რა თქმა უნდა, ისინი არ უარყოფდნენ ადამიანის გარკვეულ ინიციატივას, მის მოქმედებას, მის დამოუკიდებელ ძალას; მაგრამ ადამიანის ენერგიაც მიმართული იყო გარე სინამდვილეზე. იგი გარე სინამდვილისათვის ხელისშეწყობას გულისხმობდა. მაგრამ გარესინამდვილის განვითარება, სუბიექტივიზმის აზრით, ნიშნავს მხარის დაჭერას წარმავლობის კანონისათვის (Закон тления), თვით საკუთარი თავის ბოლოვადობისათვის. იგი სიკვდილის დღესასწაულს ქადაგებდა და არაფერს არ აკეთებდა, რომ ადამიანის მოქმედება მიმართული ყოფილიყო საყოველთაო, სრული და მარადიული სიცოცხლის მოსაპოვებლად (უმოქმედობის ორიენტაცია).

იდეალისტური და, პირველ რიგში, კრიტიკული ფილოსოფია, შეეცადა დაეხსნა ადამიანი ამ მდგომარეობიდან. XIX საუკუნის კულტურული ადამიანი შეეცადა გათავისუფლებულიყო ყალბი ობიექტივიზმისაგან, ნატურალური აუცილებლობისაგან. ყველაფერი ობიექტურად აუცილებელი აუტანელი გახდა ადამიანისთვის; მან დაინახა, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ქედს იხრის ბუნების კანონის წინაშე. და აი, სუბიექტურმა იდეალიზმმა, **სოლიპსიზმმა, კანტის კრიტიციზმმა მოახდინა გადატრიალება ფილოსოფიაში. მან გააუქმა ყოფიერება და განადიდა სუბიექტი.** მაგრამ თავადვე მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა, მართალია მან გაათავისუფლა ადამიანი ყალბი ემპირიული სინამდვილისაგან, მაგრამ, ზომიერება ვეღარ დაიცვა და დააყენა ადამიანი პირდაპირი უფსკრულის წინაშე. რომელიც ადამიანს ნებისმიერი შინაარსით უნდა აეგსო. ადამიანი გამოკიდებული აღმოჩნდა უფსკრულის თავზე და საცოდავად ასავსავებდა ხელ-ფეხს. მართალია იგი გარემოს ნატურალურ დინებას გამოსტაცა, მაგრამ სამაგიეროდ გადასცა მოჩვენებით, არარეალურ ფენომენტა სამყაროს. ამგვარად, იმის ცდაში, რომ თავისი დამოუკიდებლობა მოეპოვებინა, ადამიანმა საერთოდ დაჰკარგა საკუთარი რეალობის შეგრძნება; მან ვეღარ შეძლო დაერწმუნებინა თავისი თავი იმაში, რომ ის მართლაც არსებობს სინამდვილეში, რომ მას გააჩნია ნამდვილი ყოფიერება; მან დაკარგა პიროვნული თვითგანცდა, რადგან დედამიწიდან მოწყვეტილი, სუბიექტივიზმმა იგი ზეცას ასტყორცნა, ქვემოთ რომ ჩამოიხედა, დედამიწა კი აღარ დახვდა; იგი გაუქმებული იყო. უკვე შესამეცნებელიც აღარაფერი იყო, რადგან ადამიანი სიცარიელეში დახეტიალობდა. მოკლედ, **შეუძლებელი შეიქნა შემეცნებლის მიერ შემეცნება შემეცნების ობიექტის გარეშე.** შემეცნება ხომ ყოველთვის გულისხმობს შემეცნებელს და შემეცნების ობიექტს. ამიერიდან ხდება ონტოლოგიური შემობრუნება ფილოსოფიაში. ნათელი გახდა, რომ საჭიროა იმ დედამიწის აღდგენა, რომელიც ფეხქვეშ გამოაცალეს ადამიანს. წარმოიშვა ონტოლოგიური მიმართულებანი ფილოსოფიაში. ასეთია, მაგალითად, ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგია. **ექსისტენციალისტური ფილოსოფიის წარმოშობაც კანონზომიერი გამონახულება იყო ონტოლოგიური შემობრუნების აუცილებლობისა ფილოსოფიაში. ექსისტენციალიზმმა გადაწყვიტა აეღო ყველაფერი რაციონალური, როგორც მატერიალიზმისაგან, ისე იდეალიზმისაგან. იგი შეეცადა ისე დაებრუნებინა ადამიანი დედამიწაზე, რომ ეცხოვრა კიდევ ობიექტურად არსებულ რეალობაში, მაგრამ, ამავე დროს, არც მისი მონამორჩილი ყოფილიყო, და მოეპოვებინა გაბატონებული მდგომარეობა ყოფიერებაში (იხ. კ. ბარბაქაძე, გვ. 35).**

მდგომარეობა სოციალური ცხოვრების ასპარეზზე.

ექსისტენციალიზმის მიერ საკითხის ასეთ დაყენებას ხელი შეუწყო იმ მოვლენებმაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ დროს სოციალური ცხოვრების ასპარეზზე.

უკანასკნელ ხანებამდე ფილოსოფიაში და, საერთოდ, სოციალურ აზროვნებაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომლის მიხედვით, ისტორიას რაღაც ფარული ჰუმანური ტენდენცია და პერსპექტივა გააჩნია. ეს იყო განმანათლებლებისა და ჰეგელის ფილოსოფიური რწმენა ისტორიულ პროგრესში.

მაგრამ, XIX საუკუნის მიწურულის მოვლენებმა, ხალხის უსაზღვრო ტანჯვამ, რევოლუციებმა, რევოლუციაზე რეაქციამ, დაბოლოს, პირველმა მსოფლიო ომმა, მისი საშინელებებით გადააყირავა ისტორიული პროცესის ხელოვნური მოდელები და ნათელი გახდა, რომ პროგრესისტულ-ოპტიმისტური შეხედულებანი ისტორიაზე, მხოლოდ ჰუმანისტური ფიქციები იყო ისტორიისა. მსოფლიო ომმა გააოგნა მოაზროვნე ევროპელი არა იმდენად თავისი მსხვერპლით, რამდენადაც აშკარა უაზრობით ამ მსხვერპლისა: იგი არ ჯდებოდა არც ერთ კონსტრუქციაში ისტორიული პროგრესის მოდელისა. მაგრამ, კიდევ უფრო გამაოგნებელი და გაუგებარი ის იყო, რომ ომის საშინელებები ხალხმა ძალიან ადვილად გადაიტანა. საზოგადოება

ყოველმხრივ ცდილობდა დაძრომოდა გადატანილ სულიერ ტრამაზე მსჯელობას, თავი აერიდებინა ისტორიული პასუხისმგებლობისათვის და რამენაირად შეენარჩუნებინა უპრინციპო-ობივატელური არსებობა. XX საუკუნის დასაწყისიდან უკვე ბევრი ფილოსოფოსი ამჩნევს მასიური შეგნების პათოლოგიურ ცვლილებებს (იხ. ბერდიაევი, “Духовный кризис интеллигенции”). ამჩნევენ, თუ რა ადვილად შეიძლება გადაქცეულ იქნას მასა სათამაშოდ რეაქციული ძალების ხელში. შემდგომმა მოვლენებმა მსოფლიო ასპარეზზე კიდევ უფრო ცხადი გახადა ისტორიულ პროგრესში რწმენის უსაფუძვლობა. ფაშისტურმა დიქტატურამ მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში და ამის მსგავსმა მოვლენებმა, შემდგომ კი მეორე მსოფლიო ომმა, კიდევ უფრო მძიმე და უაზრომ, საბოლოოდ განამტკიცა ნიადაგი უკვე წარმოშობილი ექსისტენციალისტური შეხედულებების დამკვიდრებისათვის. მაგრამ ეს უფრო მოგვიანო პერიოლია. დავუბრუნდეთ პირველ ხანებს, როდესაც ფილოსოფოსებს ჩაენერგათ ეჭვი ისტორიულ პროგრესში.

ამგვარად, ის დებულება, რომ ისტორიული პროგრესი ყალბია, აშკარაა. მაგრამ, მაშინ რაღაში მდგომარეობს მსოფლიო ისტორიის აზრი?

1911 წელს რუსი ფილოსოფოსი ბერდიაევი, თავის წიგნში “Философия свободы” წერდა: “Остро ставится вопрос о смысле мировой истории, о соединении судьбы личности и судьбы вселенной. История лишь в том случае имеет смысл, если будет конец истории, если будет в конце, – воскресенье мертвецов из кладбища мировой истории, которые постигнут, почему они тлели, почему страдали в жизни и чего заслужили в вечности”. **(როგორც მოგვიანებით გავიგებთ, ისტორიის მიზეზი არის პირველი ცოდვა, ისტორიის აზრი კი, ცოდვის მონანიება).**

ამგვარად პრობლემა დასმულია: მსოფლიო არენაზე არსებული ვითარება, როგორც სოციალური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, აქარწყლებს ოპტიმისტურ შეხედულებას ისტორიულ პროგრესზე. მაგრამ 1) რა არის ამის მიზეზი და 2) როგორია გამოსავალი შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან? ამ კითხვაზე სხვადასხვა ფილოსოფოსი სხვადასხვაგვარად პასუხობს.

კაცობრიობას, ბერდიაევის მიხედვით, დროისა და სამყაროს წარმოშობამდე, ჩადენილი აქვს საშინელი ცოდვა. ეს ცოდვა ჩადენილია კოლექტიურად და ამიტომ კაცობრიობა, ახლა, კოლექტიურადვე აგებს პასუხს. ეს პასუხისმგებლობა კოლექტიურ ტანჯვაში გამოიხატება. მაინც რაში მდგომარეობს პირველი ცოდვა?

დროისა და სამყაროს წარმოშობამდე კაცობრიობას იდეალური ყოფიერება ახასიათებდა. ის არსებობდა როგორც ღმერთი. მაგრამ კაცობრიობა მოწყდა ღმერთს და მაშინვე დასნეულდა მატერიალობის მძიმე სენით. ყველაფერი გახდა დროებითი, წარმავალი (იბადება, კვდება) და მატერიალური, ე.ი. მძიმე, აუცილებლობას დაქვემდებარებული. ღმერთი არის ყოფიერების აბსოლუტური წყარო. ადამიანი მოწყდა ღმერთს და წავიდა ბუნებრივი, ნატურალური გზით. ე.ი. მან უარყო ნამდვილი ყოფიერება და ხელი მიჰყო ცრუ ყოფიერებას. ასე დაიწყო მსოფლიოს ტრაგიკული ისტორია, რომლის საფუძვლად ძვეს პირველი ცოდვა. აქედან იწყება დრო და სივრცე. ამის შემდეგ კაცობრიობა ღმერთს კი აღარ ექვემდებარება, არამედ ეშმაკს. ადამიანი გახდა მონა. ის დაემორჩილა გარეგან, უხეშ აუცილებლობას. ყველაფერი ადამიანისათვის გახდა უცხო და გარეგანი, მატერიალურად დამძიმებული. ადამიანი გახდა მონა უმდაბლესი ბუნების, ნაცვლად იმისა, რომ თვით დარჩენილიყო უმაღლეს სუბსტანციად – ღმერთად.

ამგვარად, რელიგიური ექსისტენციალიზმი ისტორიაში ხედავს ტრაგედიას. ამავე დროს აღიარებენ, რომ ეს ტრაგედია უნდა დამთავრდეს კატასტროფით. რატომ? იმიტომ, ამბობს ბერდიაევი, რომ “трагедия никогда не кончается благополучием”.

მაგრამ, თუ ყველაფერი კატასტროფით უნდა დამთავრდეს, თუ აპოკალიფსის წინასწარმეტყველება სწორია, მაშინ რაში მდგომარეობს ისტორიის ამოცანა და დანიშნულება? ისტორიის დანიშნულება კეთილდღეობა კი არ არის, არამედ “ბოროტების წყაროზე

შემოქმედებითი გამარჯვებაა” – ამბობს ბერდიაევი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობა იტანჯება, და კვლავაც უნდა იტანჯოს, რადგან მან ეს დაიმსახურა თავისი ცოდვით. კაცობრიობამ ტანჯვაზე კი არ უნდა გაიმარჯვოს, არამედ ამ ტანჯვის წყაროზე მოიპოვოს შემოქმედებითი გამარჯვება. ამიტომ ტანჯვა, თავისთავად შეიძლება არ იყოს თვითმიზანი, მაგრამ რადგანაც საბოლოო მიზანი არის ღმერთთან ნეტარება, ეს კი ტანჯვით მიიღწევა, ტანჯვას ვერ გავექცევით, საბოლოოდ კაცობრიობის მიზანი და ისტორიის მოწოდება ის არის, რომ ადამიანი დაუბრუნდეს ღმერთს, რომელსაც ოდესღაც ის მოწყდა, თავი დააღწიოს ცრუ, უპრინციპო ყოფიერებას და მოიპოვოს საყოველთაო, მარადიული და სრული ყოფიერება. ადამიანი უნდა გახდეს ნამდვილი ადამიანი (ე.ი. ღმერთკაცი). მართალია, ამბობს ბერდიაევი, ადამიანი, ერთი შეხედვით, გამოდის ველურობის და პირველყოფილობის მდგომარეობიდან, ნაკლებია მხეცობა, ძალადობა, მაგრამ დარდი და ნღველი ძლიერდება, სიხარული აღარ არსებობს, სიცარიელისა და არაყოფიერების საშინელება მომავალში კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწევს. შინაგანი გაუცხოება და გარეგანი შებოჭილობა გაიზრდება და ყველაზე მეტ საშინელებას სწორედ მაშინ ექნება ადგილი, როდესაც ველური ქცევის პირველყოფილი ფორმები აღარ იარსებებს. მაგრამ, ღმერთის ძალაც მატულობს ბოროტებაზე გასამარჯვებლად. და მაშინ ადამიანი უნდა შეუერთდეს უსასრულო მომავლის პერსპექტივას. ეს იქნება ადამიანის გამარჯვება ბოროტებაზე. იმისთვის რომ ბოროტება დაძლიო, საჭიროა, რომ იგი ბოლომდე გამოვლინდეს, თავისი სრული და საბოლოო სახით. ეს კი ისტორიის დასასრულს ხდება.

იასპერსი შემდგომი ექსისტენციალისტი ფილოსოფოსია, რომელიც მწვავედ სვამს მსოფლიო ისტორიის საკითხს.

იასპერსი იწყებს იმ გარემოების კონსტატაციით, რომ დღევანდელი კაცობრიობა ჩიხშია. ამას ის ურყევ სინამდვილედ მიიჩნევს და განიხილავს როგორც მოცემულობას.

ისტორია საერთო ამოცანა კი არ არის, არამედ მრავალი ადამიანის საერთო ბედი, ერთად გადატანის “საერთობა”. იგი უმძიმესი გამოცდაა, რომელშიც ხდება ადამიანობის წვდომა და შემოწმება. ისტორია ვითარებაა, სიტუაციაა, რომელშიც ადამიანს უხდება ყოფნა. ის სტიქიურად მიჰყვება ისტორიას, გადაგდებულია მის დინებაში და თუ ნამდვილ ადამიანს მაინც მოეთხოვება ისტორიული ტენდენციის გამოცნობა და განჭვრეტა, იმდენად კი არა, რომ შეძლებს რამე შეცვალოს მასში, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ იცოდეს, რა ვითარებაში მოუხდება მომავალში მისი პირადი კრელოს დაცვა.

იასპერსის მიხედვით, ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ადამიანი შეეჩვია ისტორიისადმი უკრიტიკოდ მინდობას. XIX საუკუნის ისტორიის პროგრესის გაღმერთება რომ არა, ომი ვერ მიიყვანდა ადამიანს სულიერ სიცარიელემდე და მორალურ შეურაცხყოფამდე. მაგრამ ადამიანი შეეჩვია, რომ საბოლოოდ ისტორია ყველაფერს განსჯის, გამოასწორებს და როგორც საჭიროა, ისე მოაწყობს. ინდივიდი შეეჩვია იმას, რომ ისტორიაში ეძებდა თავისი ქცევის სანქციას. და რა გასაკვირია, რომ როდესაც ადამიანთა სოციალური მოლოდინი არ გამართლდა, ეს მან მიიჩნია როგორც სიგნალი ყოველგვარი ზნეობრივი მოთხოვნების მოხსნისათვის. მხოლოდ ადამიანი, რომელიც შეჩვეული იყო მომავლისათვის “გარანტირებული პროგრესის” თვალთ ეცქირა, შეიძლებოდა მისულიყო მაქსიმამდე “всё возможно” (გაიხსენეთ დოსტოევსკი). დღეს იგი ამ მაქსიმის შესაბამისად მოქმედებს. ასეთია სოციალური მიზეზი დღევანდელი კრიზისული მდგომარეობისა. როგორია გამოსავალი? გამოსავალი იასპერსის მიხედვით ისეთივეა, როგორსაც ბერდიაევი გვთავაზობს. მაგრამ აქ ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით მაშინ შევხებით, როდესაც ექსისტენციალიზმის ონტოლოგიურ პრობლემატიკაზე გვექნება ლაპარაკი. აქ კი საკმარისია ითქვას, რომ ბერდიაევის და იასპერსის მოტანილი დებულებანი, სავსებით ასახავენ ექსისტენციალიზმის ამოსავალ პოზიციას, საიდანაც იშლება კონკრეტული სპეციალური ფილოსოფიური საკითხები ექსისტენციალურ ფილოსოფიაში. აქ კი ამავე პოზიციასზე

დგანან არა მარტო ბერდიაევი და იასპერსი, არამედ ორტეგა ი გასეტი, მარტინ ჰაიდეგერი, ჟან პოლ სარტრი და მრავალი სხვა. მაგრამ, ვიდრე ექსისტენციალიზმის ცალკეულ დებულებებს შევხებოდეთ, ჩემი აზრით, ზედმეტი არ იქნება, თუ ზოგადად მაინც დავახასიათებთ აქ ჩამოთვლილ მოაზროვნეთა ზნეობრივ-პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებებს.

ექსისტენციალიზმის მთავარი წარმომადგენლები და მისი წყაროები

ა) წარმომადგენლები

ნიკოლაი ბერდიაევი – დამაარსებელია ე.წ. “ახალი ქრისტიანობისა”. ჯერ ლეგალური მარქსიზმის მიმდევარი იყო. 1905 წლიდან აშკარა კონტრრევოლუციონერია. ნეოკანტიანელობიდან მისტიკაში გადადის. კლასობრივ ბრძოლას უარყოფს. მის ნაცვლად გვთავაზობს “მინაგან”, “სულიერ” გათავისუფლებას რელიგიური მისტიკის გზაზე. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ემიგრაციაშია საფრანგეთში, საიდანაც ეწევა ანტიკომუნისტურ პროპაგანდას. აქ წერს თავის ძირითად ნაშრომებს. მიძღვნილს ქრისტიანული ექსისტენციალიზმისადმი.

კარლ იასპერსი – ყოფილი ფსიქიატრი, შემდეგ ფილოსოფოსი, თეოლოგი. 1921 წელს გახდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი. შემდეგ – ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი პირველივე ნაშრომები შეიცავდა მტრულ ტონს ნაციონალურ-სოციალიზმისადმი. ამიტომ, ჰიტლერის ხელისუფლებისთანავე დაკარგა კათედრა. ამაში იმანაც შეუწყო ხელი, რომ ებრაელი ცოლი ჰყავდა. მართალია ანტიფაშისტია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმაში, ანტიკომუნისტურ იყოს. ამ ორ რეჟიმს ის ერთმანეთისაგან არ განასხვავებს. ბოლო დროს პროგრესული მოთხოვნებით გამოდიოდა საგანგებო კანონების წინააღმდეგ.

მარტინ ჰაიდეგერი – ათეისტური ექსისტენციალიზმის წარმომადგენელი, ჰუსერლის მოწაფე, ასისტენტი და კათედრის გამგის თანამდებობაზე მისი შემცვლელი. 1933 წელს აირჩიეს ფრაიბურგის უნივერსიტეტის რექტორად. ცნობილია მისი სეფე-სიტყვა, რომელიც რადიკალური იდეების გაზიარებაა.

ჟან პოლ სარტრი – ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი. ანტიფაშისტი, ანტიიმპერიალისტი, კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, მშვიდობის მომხრე, კომუნისტი, საზოგადოებისა და ისტორიის საკითხებში მარქსისტული მსოფლმხედველობის მომხრე. მოითხოვდა მარქსიზმისა და ექსისტენციალიზმის სინთეზს. მიიჩნევდა, რომ მარქსიზმი კარგია, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ფსიქოლოგიური პროცესების შესწავლას.

ორტეგა ი გასეტი – სწავლობდა ლაიპციგის, ბერლინისა და მარბურგის უნივერსიტეტებში. მონაწილეობა მიიღო ესპანეთის მონარქიის დამხობაში, მაგრამ, სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, ემიგრაციაში გაიქცა. 1948 წელს დაბრუნდა ესპანეთში და დააარსა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის შემსწავლელი ინსტიტუტი. ორტეგა ნიცშეს ფილოსოფიის მიმდევარია, მაგრამ ექსისტენციალისტადაც მიიჩნევა.

ბ) წყაროები

მართალია, ყველა აქ ჩამოთვლილი მოაზროვნე ფილოსოფოსთა იმ განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც უარყოფენ ე. წ. აკადემიური ფილოსოფიის გზას, მაგრამ ისინი ამ საქმეში არ არიან პირველი. საკმარისია გადავხედოთ ზოგიერთ მათ წინაპარს, ან თუნდაც თანამედროვე ფილოსოფოსს, რომ ნაცნობი აღმოჩნდეს ექსისტენციალიზმის უშუალო ფილოსოფიური წყაროები, ის იდეური საზრდო, რომლითაც ექსისტენციალიზმი იკვებება.

ნიცშე. როცა ექსისტენციალიზმის წყაროებს ვეძიებთ, პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ნიცშეს ფილოსოფია. განა ნიცშემ ექსისტენციალიზმზე უფრო ადრე არ მოახდინა არსებულ

ფილოსოფიურ “ღირებულებათა გადაფასება” და უარი თქვა ტრადიციულ ფილოსოფიურ სისტემებზე? განა ნიცშე პირველი არ იყო, რომელმაც ისტორიული პროგრესი სიყალბედ გამოაცხადა და უნდობლობა გამოუცხადა ხალხის მასებს. მასებს, რომლებიც მის თხზულებებში მოიხსენიება, როგორც “ცხვრის ფარა”, “მონების ჯოგი”, “ავტონომიური ფარა” და სხვა? განა ნიცშემ უფრო ადრე არ გამოაცხადა, რომ ადამიანი არსებობს არანამდვილი არსებობით? დაბოლოს, ნიცშე იყო ის ადამიანი, რომელმაც ექსისტენციალიზმზე უფრო ადრე აღიარა ირაციონალიზმი, როდესაც უარყო ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობა და გამოაცხადა, რომ ისტორიის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის “ქცეშეცნეული სწრაფვა ხელისუფლებისაკენ”. (ამ მხრივ, ნიცშემ ფროიდიზმსაც კეთილი სამსახური გაუწია). ჩვენს მიერ აქ მოტანილი ნიცშეს დებულებანი იმდენად ემთხვევა ექსისტენციალიზმისას, რომ ზოგჯერ თითქმის შეუძლებელი ხდება მათი გამოიჯვანა. განსხვავება სხვა ნიშნებით ხდება, ეს კი ამოსავალი დებულებანია.

შპენგლერი. შპენგლერი მეორე ფილოსოფოსია, რომლის გავლენა უდავოა ექსისტენციალიზმზე. ისიც იმ ფილოსოფოსებს მიეკუთვნება, რომლებმაც უარყვეს კლასიკური ტრადიციები ფილოსოფიაში და პლატონის, არისტოტელის, პეგელის და სხვათა შრომები, შპენგლერის სიტყვები რომ ვინმართ, გულისამრევად გამოაცხადეს. თავის განმარტებულ წიგნში “ევროპის დასასრული” (Zakat Европы). მან განიზრახა თავდაყირა დაეყენებინა ფილოსოფიის ისტორიის კვლევის ტრადიციული მეთოდი. ისტორიის შესწავლა ძველებური სქემით: ძველი სამყარო – შუა საუკუნეები – ახალი ერა – თვითნებურია და გულუბრყვილო, ამბობს შპენგლერი. ერთად-ერთი ვარგისი გზა ისტორიის შესწავლისა, არის “კულტურული მორფოლოგიის მეთოდის” გამოყენება. რას გულისხმობს “კულტურული მორფოლოგიის მეთოდი”? შპენგლერი მთელს ისტორიას ყოფს რამდენიმე კულტურად, მათი მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით. თითოეულ ამ კულტურას აერთიანებს ფორმათა ერთიანობა სოციალური და კულტურული ცხოვრების სრულიად განსხვავებულ სფეროებში: ხელოვნებაში, მათემატიკაში, პოლიტიკაში, ფინანსებში, ტექნიკაში და სხვა. ამის შესაბამისად, მსოფლიო ისტორია იყოფა სამ დიდ კულტურად.

1) ანტიკური ბერძნულ-რომაული კულტურა (აპოლონისეული სული), მთავრდება ქრისტეს დაბადებით.

2) არაბული ანუ მაგიური კულტურა (მაგიური სული) – ქრისტიანობის პირველი სტადია, რომელიც მთავრდება ჯვაროსნული ლაშქრობებით.

3) დასავლეთის კულტურა (ფაუსტის სული) – იწყება XI-XII საუკუნით და მთავრდება 2000 წელს ამ კულტურის დაღუპვით.

ეს ბოლო კულტურა ჩვენცა ვართ. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ, შპენგლერის მიხედვით, ჩვენც ისევე უნდა დავემხოთ, როგორც ძველი იმპერიები. აქედან დასაბამი მიეცემა ახალ კულტურას, აღმოსავლეთის კულტურას.

რატომ უნდა მოხდეს ასე? შპენგლერის მიხედვით, ყოველი კულტურა სამ ფაზას გაივლის: I – პირველყოფილი ქაოსის მდგომარეობა; II – საკუთრივ კულტურული ფაზა (აყვავება); III – ცივილიზაციის ხანა – ეს არის ხრწნის, სიკვდილის მოახლოების ხანა. ჩვენ სწორედ ცივილიზაციის ხანაში ვიმყოფებით. ევროპის კულტურა უკვე ჩაესვენა. ცივილიზაცია კიდევ იზეიმებს თავის გამარჯვებებს. იმპერიალიზმი და სოციალიზმი ცივილიზაციაა და არა კულტურა. ცივილიზაციისათვის საჭიროა და შესაძლებელი მხოლოდ საინჟინრო ხელოვნება. მაგრამ, როცა ცივილიზაციაც დაემხო, მაშინ დადგება ევროპის დასასრული. თანამედროვე საზოგადოება არის მომაკვდავი ფაუსტის სულის მატარებელი.

მნელი არ არის შევამჩნიოთ, თუ საიდან აქვს ექსისტენციალიზმს დებულება. რომ თანამედროვე საზოგადოება შეუჩერებელივ მიექანება დაღუპვისაკენ. შპენგლერის თანახმად, ეს ხომ ისტორიული აუცილებლობაა, რომელიც მისი სქემის მიხედვით უნდა განხორციელდეს. აქედან

აქვს აღებული ექსისტენციალიზმს, რომ ისტორია ამოცანა კი არ არის, არამედ ბედი – სიტუაციაა, რომელშიც ჩვენ გვიხდება ყოფნა. აქედანვე აქვს ექსისტენციალიზმს ნასესხები ისიც, რომ, მიუხედავად ამისა, საჭიროა ბედის მიღება, მისთვის წინაღუდგომლობა და ისე დალუპვა.

ჰუსერლი. ჰუსერლი ის ფილოსოფოსი იყო, რომელმაც არა მარტო თავისი ნაშრომებით იქონია გავლენა ექსისტენციალიზმზე, არამედ უშუალოდაც კი ხელმძღვანელობდა ზოგიერთი მისი დებულების გამარჯვებას. მე მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ ჰუსერლი იყო ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი მამამთავრის – ჰაიდეგერის მასწავლებელი. აქედან, ჰუსერლის ზეგავლენა ძალიან დიდი აღმოჩნდა არა მარტო ჰაიდეგერზე, არამედ თითქმის ყველა მომდევნო წარმომადგენელზე ექსისტენციალიზმისა, რადგან თვით ჰაიდეგერის ნააზრევს უამრავი თავყვანისმცემელი და მიმდევარი ყავს. კერძოდ, ჰუსერლის ზეგავლენა ექსისტენციალიზმზე ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის ირაციონალიზმში გამოიხატება.

ჰუსერლისათვის მთავარი და ამოსავალი იყო “ტრანსცედენტური ცნობიერება”, აზროვნების პროცესი, რომელიც ქმნის მეცნიერებებს. იგი იყენებს ფენომენოლოგიურ მეთოდს. ეს ისეთი მეთოდია, როდესაც ემპირიული ფაქტების კვლევას წინ უსწრებს წმინდა მეცნიერება, გაშუქებული ლოგიკის შუქით. მათემატიკა წმინდა ლოგიკაა, რომელიც წინ უსწრებს ბუნების მეცნიერებათა განვითარებას.

ჰუსერლის მიხედვით, ჭეშმარიტება ეს არის “რაციონალობის თვალსაზრისით სრულყოფილი” (ე.ი. ლოგიკურად) ამოსავალი დებულება. გამოდის, რომ ჭეშმარიტების კრიტერიუმი თვით ცნობიერებაშია. იმისათვის რომ ჩაწვდე ჭეშმარიტებას, საჭიროა ცნობიერების ობიექტი თვით აზროვნების პროცესს გარეთ იქნას გამოტანილი. საწყის ინფორმაციას, ამბობს ჰუსერლი – “მე თვით ჩემივე თავიდან ვლებულობ”.

ამასთან არის დაკავშირებული ექსისტენციალიზმის ირაციონალიზმი. დებულება იმის შესახებ, რომ აზროვნება შეესაბამება სინამდვილეს, არსებითად მცდარია, წერს ჰაიდეგერი. სამყარო, და ყველაფერი რაც სამყაროში ხდება, არის საიდუმლოება. სამყარო გაიგება ადამიანის თავის თავის “შეგნადან”, ადამიანის არსებობიდან. სამყარო კი არ შეიცნობა, არამედ განიცდება. ყველაფერ ამას უშუალო გავლენა აქვს ინტროსპექციასთან, რეფლექსიასთან და სხვა.

ბერგსონი. ექსისტენციალიზმის ირაციონალობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბერგსონის ინტუიტივიზმმა. თავის წიგნში “შემოქმედებითი ევოლუცია” ბერგსონი წერდა: “ინტელექტს ახასიათებს ბუნებრივი გაუგებრობა ცხოვრებისა”. სამყარო არის “შეუმეცნებადი”, “განუსაზღვრელი”, “ქაოსური” და “გაუგებარი”. მატერია, დრო, მოძრაობა კი არ შეიმეცნება, არამედ ხდება მათი ინტუიციური წვდომა.

ასეთია ექსისტენციალიზმის წყაროები, რომლებიდანაც იგი საზრდოობს. აქედან იშლება მისი კონკრეტული სპეციალურ-ფილოსოფიური პრობლემატიკა.

ონტოლოგიური პრობლემა – ექსისტენციალიზმის ძირითადი თემა

როგორც თავში აღვნიშნეთ, ექსისტენციალიზმი ერთ-ერთი ის ფილოსოფიური მიმდინარეობაა, რომელმაც განიზრახა დაებრუნებინა ადამიანი მოჩვენებით ფენომენტო სამყაროდან რეალურ ფენომენტო სამყაროსათვის. თუმცა, იმასაც შეეცადა, რომ რეალურ ყოფიერებაში განსაკუთრებული, გაბატონებული ადგილი მიეჩინა მისთვის. ამ ფონზე იწყებს ექსისტენციალიზმი ონტოლოგიური პრობლემის მოწესრიგებას ფილოსოფიაში.

ექსისტენციალიზმის მიხედვით, ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა არის არსებობის (existentia-ს) პრობლემა, ანუ ადამიანის პრობლემა. ყველა სხვა საკითხი ნაწარმოებია და

მნიშვნელობა აქვს ამ ძირითად პრობლემასთან მიმართებაში. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ფილოსოფიის ძირითად პრობლემად ექსისტენციალიზმი ონტოლოგიას მიიჩნევს, რადგან ადამიანის არსებობის პრობლემა ხომ არსის, ყოფიერების, მეტაფიზიკის პრობლემებია.

პირველი ნაბიჯი, რომელსაც ექსისტენციალიზმი დგამს ადამიანის ნატურალიზმისაგან გათავისუფლების გზაზე ის არის, რომ მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან ყოფიერებისა და არსებობის ცნებებს. ე.ი. იგი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან ჩვეულებრივ სიტყვაზმარებაში გამოყენებულ სიტყვებს არის და არსებობს.

ხშირად ჩვენ ვხმარობთ სიტყვას – არის და ვგულისხმობთ მასში არსებობას. მაგ. “ეზოში ავი ძაღლია”, “მოსკოვში ერთი სახლია”, და ა.შ. ვამბობთ ჩვენ და ვგულისხმობთ, რომ ეზოში არსებობს ძაღლი, მოსკოვში არსებობს, ე.ი. რეალური ყოფიერება გააჩნია სახლს. ექსისტენციალიზმი პრინციპული წინააღმდეგია ამისა. ექსისტენციალიზმის მიხედვით, “კლდე არის, მაგრამ ის არ არსებობს, ხე არის, მაგრამ ის არ არსებობს, ცხენი არის, მაგრამ ის არ არსებობს, ანგელოზი არის, მაგრამ ის არ არსებობს, ღმერთი არის, მაგრამ არ არსებობს. მხოლოდ ადამიანი არსებობს”. რა მოხდა? განა ობიექტური სინამდვილის სხვა საგნები, ფაქტები და მოვლენები არ შეიძლება არსებობდნენ? ექსისტენციალიზმი მათ რეალურ ყოფიერებას როდი უარყოფს. არა, ექსისტენციალიზმი მხოლოდ იმის თქმას ლამობს, რომ არსებობა, ექსისტენცია მხოლოდ ადამიანის ყოფიერების თვისებაა და არა ყოველგვარი ყოფიერებისა. ამგვარად, არსებობა, ექსისტენცია არის სპეციფიური, ადამიანური ყოფიერება. ექსისტენციალიზმის სახელწოდებაც სწორედ აქედან წარმოსდგა და მიუთითებს, რომ ეს არის ფილოსოფია ადამიანის ყოფიერების, ან, რაც იგივეა, არსებობის, ექსისტენციის შესახებ.

ამგვარად, არსებობაში იგულისხმება არა ყოფიერება საერთოდ, არამედ არსებობა, როგორც ადამიანის არსებობა.

რას ნიშნავს, რომ ადამიანი არის არსებობა? რა არის არსებობის დამახასიათებელი ნიშანი? აი, ექსისტენციალიზმის ძირითადი საკითხი.

ადამიანის არსებობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი არ არის ჩაკეტილი თავის თავში. ადამიანის არსებობა არის “ყოფნა სამყაროში”, ისე, რომ სამყარო ჩარჩოა და ამდენად მისია. მაგრამ სამყარო კი არ არის სამყარო, ის სამყარობს არსებობასთან დაკავშირებით. არსებობა გადის თავის თავს გარეთ. სად გადის? სამყაროში. მაგრამ სამყარო მისია. ამიტომ არსებობა უბრალო არსებობა კი არ არის, არამედ “იქ არსებობა”. ე.ი. ისეთი არსებობა სამყაროში, როდესაც ადამიანი სამყაროს მიმართ ზრუნვითი დამოკიდებულება აქვს. აქ მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ორი ცნება: sein და dasein. sein არის ყოფიერება, არსი. Da – ნიშნავს იქ. Dasein გამოდის იქ ყოფიერება, როგორც ძველი ქართული ფილოსოფიური ტერმინი გამოხატავს – მუნყოფიერება. სწორედ მუნყოფიერება არის ადამიანის სტრუქტურული გარკვეულობა, რომელსაც ექსისტენციალიზმი ექსისტენციალს უწოდებს. საქმე ის არის, რომ ექსისტენციალიზმმა ყოფიერებისა და არსებობის გამიჯვნის კვალობაზე გამიჯნა, ერთმანეთისაგან განასხვავა ცნებები კატეგორია და ექსისტენციალი. კატეგორია, როგორც ვიცით ფილოსოფიაში უზოგადესი ცნებაა, რომელიც მოვლენათა კავშირის უზოგადეს ფორმებს ასახავს და გამოხატავს. ექსისტენციალიც კატეგორიაა, მაგრამ ისეთი კატეგორია, რომელიც მხოლოდ ადამიანის არსებობის თვისებრივ გარკვეულობას გამოხატავს. აქედან, ყველაფერი, რაც ადამიანის არსებობის თვისებრივ გარკვეულობას გამოხატავს ექსისტენციალია. ყველაფერი ის, რაც საერთოდ ყოფიერების თვისებრივ გარკვეულობას გამოხატავს კატეგორიაა. ამის შესაბამისად არსებობა ანუ “ყოფნა სამყაროში”, “მუნყოფიერება” ადამიანის თვისებრივი გარკვეულობის გამომხატველი და ამსახველი ექსისტენციალებია. ასეთივეა შიში, არარა, ზრუნვა და სხვა, რაც მხოლოდ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი, და არ შეიძლება დამახასიათებელი იყოს, მაგალითად, ძაღლისათვის, ხისათვის, ღმერთისათვის და სხვა.

მაგრამ დაუბრუნდეთ არსებობას. არსებობა არის “ყოფნა სამყაროში”, იქ ყოფნა, გადაგდებულობა, მიტოვებულობა. იგი გულისხმობს თავის თავიდან გასვლას, თავის თავის გადალახვას, გასვლას მიღმიერში, ტრანსცენდენტურში. მაგრამ რატომ ხდება ეს? ამისათვის ექსისტენციალიზმი მიმართავს ისეთ ცნებებს, როგორცაა განწყობილება, შიში, არარა.

განწყობილება: ადამიანი იმყოფება რაღაც შეუცნობელ მდგომარეობაში. მას რაღაც ამძიმებს, ის მოწყენილია. ადამიანმა არ იცის თავისი მიზანი; საით მიჰყავს ცხოვრების გზას. მან არც ის იცის, რა არის ის თავის სიღრმეში. ასეთია მისი განწყობილება.

შიში: ეს განწყობილება გამოწვეულია შიშით; ძრწოლვით, რომელიც არსებობის სტრუქტურის დამახასიათებელია. ექსისტენციალისტები ანსხვავებენ შიშის ორ სახეს: I – არის შიში, გამოწვეული რაიმე გარკვეული მიზეზით. ასეთი შიში ცხოველსაც შეიძლება ახასიათებდეს. II – არის შიში, რომელიც სრულიად გაურკვეველია. ასეთი შიში მხოლოდ ადამიანს ხასიათებს და მისი არსებობის სტრუქტურის დამახასიათებელია.

არარა: არსებობისეული შიში არის შიში არარას წინაშე. რა არის არარა. სწორედ ის გარემოება, რომ არარას არსება შეუცნობელია, აძლიერებს შიშის განცდას. მაგრამ არარა რომ არის რაღაც, ამას ექსისტენციალისტები უცილობლად თვლიან. არარა რომ რაღაც არ იყოს, მაშინ მისი უარყოფაც შესაძლებელი იქნებოდა, ამბობენ ისინი. ადამიანი ყოველთვის დგას არარას შიშის წინაშე.

ადამიანი ცდილობს გაექცეს ამ შეუცნობელ შიშს. ის გაიქცევა საზოგადოებაში.

სწორედ აქედან იწყება მისი ყოფნა სამყაროში. გადასროლილობა, მიტოვებულობა, უსახლკარობა, უპატრონობა. ის იწყებს არსებობას სხვებთან მიმართებაში. იქ კარგავს ადამიანი თავის ნამდვილ არსებობას. ის კითხულობს გაზეთებს, როგორც ამას აკეთებენ სხვები; ის მსჯელობს ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, როგორც სხვები. **ადამიანი ითქვიფება სხვა ადამიანებში, ის გადაიქცევა საშუალო, ჩვეულებრივ ადამიანად. ის გათანასწორდება სხვებთან. ის აღარ გრძნობს არსებობის პასუხისმგებლობას. ის თავისუფლდება თავისი არსებობისაგან: ყველა არის სხვა და არც ერთი არ არის თვითონ.** ის კარგავს თავის თავს, როგორც პიროვნება. რა თქმა უნდა, როგორც რეალობა, ყოფიერება, არსი, ის არის, მაგრამ არ არსებობს. როგორც არსებობა ის აღარაფერია. **ის გადაიქცევა უპიროვნო ადამიანად.** ის არის man. Man კი, როგორც ვიცით, უპიროვნო ნაცვალსახელია. ჩვენ ხომ ვამბობთ ქართულში “ამბობენ”, “მიიჩნევენ”, მაგრამ არ ვგულისხმობთ ამაში რომელიმე გარკვეულობას. “ამბობენ” არ ნიშნავს ყველა ადამიანის ჯამს, არც ცალკეულ პიროვნებას. ადამიანი უპიროვნოა, დეპერსონიფიცირებულია, **საზოგადოებაში გათქვეფილია. ის ყოველდღიური ყოფნაა. ის არის განიველირებული ადამიანი. განიველირებული ადამიანისათვის დამახასიათებელია ლაყბობა, ცნობისმოყვარეობა, ორაზროვნება, ჯაშუშობა, ერთმანეთისადმი თვალყურის დევნება. მისი არსებობა არის დაჭიმული, ორაზროვანი ჯაშუშობა.**

ასეთია ადამიანის არსებობა საზოგადოებაში, არსებობა სიკვდილის მოლოდინში და იმის ცდაში, რომ რამენაირად გაექცეს სიკვდილს. მან იცის, რომ სხვები კვდებიან. სიკვდილი ყველაზე უფრო ცნობილი ფაქტია სამყაროში. მაგრამ ადამიანი ცდილობს, რომ გაექცეს სიკვდილს. ის ამშვიდებს თავის თავს იმით, რომ განუსაზღვრელად ტოვებს, როდის მოკვდება.

გაუცხოება. ადამიანის არსებობის ექსისტენციალურ გაგებასთან უშუალო კავშირშია გაუცხოების ცნება. ბოლოს და ბოლოს, გაუცხოება სხვა არაფერია, თუ არ სწორედ თავის თავიდან გასვლა, იქ ყოფნა, მუნყოფიერება, გაორებული და გამრავლებული ყოფიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ გაუცხოების მოვლენა არ არის ექსისტენციალისტთა აღმოჩენა. ჯერ კიდევ ჰეგელის ფილოსოფიაში ჩვენ ვხვდებით გაუცხოების ფაქტს. აბსოლუტური სული გაუცხოვდება. იგი გამოდის თავისი ლოგიკური საწყისიდან და ჰპოვებს თავის გამოვლენას ჯერ ბუნებაში, შემდეგ კი საზოგადოებაში. შრომის გაუცხოების შესანიშნავი დახასიათება მოგვცა კ.მარქსმა თავის ადრინდელ ნაშრომში “შრომის გაუცხოების შესახებ”.

ექსისტენციალიზმის მიხედვით, გაუცხოება ისეთი ვითარებაა, როდესაც ადამიანის მოღვაწეობა, მისი შედეგებით, თვით მასვე უპირისპირდება და მისთვის უცხო, მტრულად განწყობილ ძალად იქცევა. სწორედ გაუცხოებაში პოულობს კონკრეტულ გამოხატულებას ექსისტენციალიზმის ის ამოსავალი დებულება, რომ კაცობრიობას გარდაუვალი დალუპვა მოეწიოს. გაუცხოებაც ადამიანთა ცხოვრების გარდაუვალი ფაქტია. ყველა და ყველაფერი გაუცხოვდება. მუშა, რომელიც წარმოებაში შრომობს, ქმნის შრომის პროდუქტს, რომელიც თვით მასვე უპირისპირდება და დღითიდღე ამონებს. გაუცხოების ეს სახე, რომელიც **ეკონომიკური გაუცხოებაა**, ამომწურავი მეცნიერული სიზუსტით დაახასიათა კ. მარქსმა თავის ადრინდელ შრომებში, დაბოლოს “კაპიტალში”, წიგნში, რომლის სათაური მჭევრმეტყველურად მიუთითებს ამ გაუცხოების ხასიათზე. სახელდობრ, წარმოების კაპიტალისტური წესი, ზედმეტი ღირებულების კანონის მეოხებით, ქმნის კაპიტალს, რომელიც თვით მწარმოებელ ძალას უპირისპირდება. ეკონომიკური გაუცხოების საფუძველზე წარმოიშვება გაუცხოების სხვა ფორმებიც. ასეთია, მაგალითად, **პოლიტიკური გაუცხოება**, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ადამიანები, ხალხი, ქმნის პოლიტიკურ ინსტიტუტებს და პირველ რიგში სახელმწიფოს, რომელიც, საბოლოო ჯამში, მათთვის მტრულ ძალად იქცევა და მათვე უპირისპირდება. ეს დაპირისპირება გამოხატულებას პოულობს წინააღმდეგობაში. არსებობს **რელიგიური გაუცხოება**. ადამიანები ქმნიან რელიგიურ ნორმებს თუ ინსტიტუტებს, რომლებიც მათივე შემოქმედება და მტანჯველ ძალად იქცევა. ასევე შეიძლება ლაპარაკი **სამართლებრივ გაუცხოებაზე**, რომელიც უნდა გულისხმობდეს სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების დაპირისპირებას ხალხის ინტერესებთან (კაფკას “პროცესი”, სადაც კანონი და მართლმსაჯულება დამანგრეველი ძალაა). გაუცხოებას ადგილი აქვს **ხელოვნებაში**, (ზოლას შემოქმედება). **ოჯახური გაუცხოების** კარგი მაგალითია კაფკას “მეტამორფოზა”. ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი და ყველაზე უფრო საშინელი სახე გაუცხოებისა არის **ტექნიკური გაუცხოება**: ადამიანები იბრძვიან, შრომობენ, იმისათვის, რომ კაცობრიობას კეთილდღეობა მოუტანონ, და შედეგად იღებენ ატომურ ბომბს, რომელიც დღეს მთელ კაცობრიობას დალუპვას უქადის. აქ ჩამოთვლილ გაუცხოებათა საფუძველზე გაუცხოვდება თვით ადამიანი თვისივე ადამიანური არსებიდან. ეს გაუცხოება ორ სახეს ატარებს. I – იმის გამო, რომ ყოველი მისი მოქმედება ყველა მიმართებაში გაუცხოებას იწვევს, იგი გაუცხოვდება თვით ადამიანებისაგან, რომლებსაც განიხილავენ, როგორც მტრულ ძალას. II – იგი გაუცხოვდება ფსიქოლოგიურად, რადგან მის ცნობიერებაში მისივე პიროვნება აისახება დანახინჯებულად, არასწორად. ასეთი ადამიანი საშიშია, რადგან იგი უკვე მოქმედებს არა როგორც ადამიანი, არამედ როგორც ის არსება, რომელიც მის ცნობიერებაში აისახა.

ასეთია ექსისტენციალისტური მოძღვრება გაუცხოების შესახებ. მაგრამ, ნათქვამიდან ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შეიქმნას, თითქოს ექსისტენციალიზმი ქადაგებდეს გაუცხოებას. არა, ექსისტენციალიზმი წარმოადგენს ფილოსოფიას, რომელიც ყველაზე უფრო მწვავედ გრძნობს და შეიცნობს გაუცხოების ფაქტს. და თვლის, რომ მისი მოწოდება სწორედ გაუცხოებასთან ბრძოლაა. მაგრამ, ამა თუ იმ მოვლენასთან ბრძოლა მაშინ შეიძლება წარმატებით დასრულდეს, თუ სწორად გვეცოდინება თვით ამ მოვლენის არსება. არ შეიძლება ითქვას, რომ ექსისტენციალიზმი სავსებით სწორად განმარტავს გაუცხოებას.

თავისთავად, გაუცხოების ფაქტს რომ ადგილი აქვს საზოგადოებაში, ეს უდავოა. ეს არის გამოხატულება სინამდვილის ობიექტური კანონზომიერებისა, რომლის მიხედვით, არსებობენ ე.წ. გაუთვალისწინებელი თანამდევნი შედეგები ადამიანთა საქმიანობისა. ეს გარემოება ჯერ კიდევ არისტოტელეს აქვს შემჩნეული და შემდეგ მასზე მსჯელობენ ჰეგელი, ვუნდტი, კოლმანი. ამ გარემოებას ეხებოდა ფ. ენგელსი, როდესაც ის ამბობდა: “მაგრამ ძალიანაც ნუ მოვიტყუებთ თავს ბუნებაზე ჩვენი ადამიანური გამარჯვებებით. ყოველი ასეთი გამარჯვებისთვის ბუნება შურს იძიებს ჩვენზე. ყოველ ასეთ გამარჯვებას, მართალია, პირველ რიგში, სწორედ ის შედეგები აქვს,

რომელიც ჩვენ გვინდოდა და ვითვალისწინებდით, მაგრამ, მეორე და მესამე რიგში, აქვს სრულიად მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი შედეგები, რომლებიც ხშირად პირველის მნიშვნელობას აქარწყლებენ კიდევაც”.

მაგრამ, აღნიშნული გარემოება როდი ნიშნავს, რომ გაუცხოება ყოვლისმომცველი ტოტალური მოვლენაა, რომელიც ყველას და ყველაფერს მოიცავს. ჯერ ერთი, გაუცხოების ხარისხი იმისაგან დამოკიდებულებით იცვლება, თუ რაოდენ არის კულტად ქცეული ესა თუ ის საზოგადოებრივი საქმიანობა. მაგალითად, ტექნიკა საჭიროა, მაგრამ ტექნიკა გადაქცეული ძირითად საზოგადოებრივ-მაშტაბურ საქმიანობად. ტექნიკის კულტი უკვე საშიშია. მერე მეორე, გაუცხოება სხვადასხვა ზომით ხდება საზოგადოებაში. მაგალითად, ეკონომიკური “განსხვსება” ტიპური კაპიტალისტური მოვლენაა. თუმცა, არ შეიძლება ამ დებულების განზოგადება და იმის თქმა, რომ თითქოს, ყოველგვარი გაუცხოება კაპიტალისტური მოვლენაა. არის ზოგიერთი კოსმოპოლიტური სახე საქმიანობისა, რომელსაც ეროვნული ან პოლიტიკური საზღვრები არ აქვს. ასეთია, მაგალითად, ტექნიკა. უსწორო იქნებოდა, მაგალითად, გვემტკიცებინა, რომ ტექნიკის განვითარება არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებას სოციალისტურ პირობებში და უქმნის კაპიტალისტურ პირობებში. რა თქმა უნდა, მშრომელთა უსაფრთხოებისთვის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ყურადღებას იჩენენ, მაგრამ ტექნიკას რომ ყველგან ახლავს “ტექნიკური გაუცხოება”, ანუ, სხვანაირად, გაუთვალისწინებელი თანამდევი შედეგები – ეს ფაქტია.

გაუცხოებაზე იმიტომ შევაჩერე თქვენი ყურადღება, რომ ექსისტენციალიზმის არსებობა, სწორედ რომ გაუცხოებას, გაუცხოებულ არსებობას გულისხმობს. იმისთვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ გაუცხოებულ არსებობაზე, რომელიც საერთო “ექსისტენციური კრიზისის” ნაწილია, აუცილებელია გაირკვეს და წარმოვიდგინოთ, თუ რა ფონზე ეწევა ადამიანი ამ გაუცხოებულ არსებობას. ამოსავალ დებულებად ექსისტენციალიზმი მიიჩნევს, რომ მსოფლიო ისტორია არის ფაზა გარდაუვალი დაღუპვისაკენ. თანამედროვე ადამიანის არსებობა კი არის არსებობა გარდაუვალი დაღუპვის ფონზე. დევიდ რიზმენის თქმით, განკითხვის დღის შიშს საზოგადოება გადაუქცევია “განმარტოებულთა ბრბოდ”, რომლებიც პანიკით შეპყრობილნი სიცოცხლეს ებღაუჭებიან. ასეთ ვითარებაში, არათუ სხვისთვის ზრუნვაა შესაძლებელი, არამედ ყოველი მცირე კავშირი ერთმანეთთან ადამიანებს აღიზიანებს და ბოჭავს, როგორც ხუნდები. ურთიერთობა და ურთიერთზრუნვა ადგილს უთმობს გაუცხოებას და მტრობას. სამყარო ემსგავსება მეტროს ვაგონს, რომელიც რაც მეტად გაჭედილია მეზავრებით, მით მეტია მასში უხეშიბა და ბრძოლა ადგილისათვის. თანამედროვე სამყაროშიც, თითოეული ადამიანი, თავის საქმიანობაში, რომელიც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზეა მიმართული, მისდაუნებურად დაკავშირებულია სხვა ადამიანებთან და, ამასთანავე, განიხილავს მათ მისი თავისუფლების შემზღვეველ მტრულ ძლად. ასეთია თანამედროვე ადამიანის არსებობა. მაგრამ, ექსისტენციალიზმის თქმით ეს არ არის “ნამდვილი არსებობა”. აქ ექსისტენციალიზმი არსებობის, ექსისტენციის ცნებას ორ ნაწილად ყოფს: პირველი საფეხური – “არანამდვილი არსებობა”; მეორე საფეხური – “ნამდვილი არსებობა”.

საქმე ის არის, რომ ექსისტენციალიზმი ერთმანეთისაგან წყვეტს არსებობასა და არარსებობას. ადამიანის გაუცხოებული არსებობა არის არსებობა არსების გარეშე, ე.ი. ადამიანის ისეთი არსებობა, როდესაც იგი ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი ადამიანი. მისი არსებობა არის არსებობის შესაძლებლობა. ე.ი. ადამიანის არსებობა არის “არანამდვილი არსებობა”, რომელიც “ნამდვილი არსებობის შესაძლებლობაში” გამოიხატება. ადამიანმა უნდა ახსნას, რისთვის ვართ ჩვენ, როგორ ვართ ჩვენ, როგორ დგას საკითხი ჩვენს შესახებ. ადამიანმა უნდა შექმნას თავისი არსება. ე.ი. ექსისტენციალიზმის მიხედვით, არსებობა წინ უსწრებს მის არსებას. ეს ექსისტენციალიზმის ცენტრალური დებულებაა, რომელზედაც შემდეგ ბევრი საკითხის თავისებური გადაწყვეტა არის დამოკიდებული. ამის შესაბამისად, ადამიანი, მართალია, არსებობს როგორც

კონკრეტული ადამიანი, მაგრამ ის ჯერ არ არსებობს ნამდვილად. მან უნდა შექმნას თავისი არსებობა, შექმნას თავისი თავი იმად, რაც ის არის, რაც ის უნდა იყოს და ეს იქნება მისი არსებობა. ადამიანის მთელი სიცოცხლე არის “არანამდვილი არსებობის” “ნამდვილ არსებობად” ქცევის პროცესი. ამ თვალსაზრისით ადამიანი ქმნადობაა (werden – становление). ესეც ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი ამოსავალი დებულებაა. იგი გამოხატავს ადამიანის სპეციფიკას, რომელიც უცხოა ცხოველისათვის. ადამიანი თავისუფალია იმით, რომ მას შეუძლია გახდეს ის, რაც ის სინამდვილეში უნდა იყოს: არსებობიდან – არსება. ორგანული სამყარო, ცხოველი არ არის თავისუფალი, რადგან მას არ შეუძლია ეს განახორციელოს. იქ არსება და არსებობა ერთად არის მოცემული.

მე შევეცადე, რაც შეიძლება ამომწურავად გამეცნო თქვენთვის ექსისტენციალისტური თვალსაზრისი არსებობისა და ყოფიერების შესახებ. ეს გასაგებიცაა, რადგან თვით ექსისტენციალიზმს, ბოლოსდაბოლოს, ონტოლოგიური პრობლემა და საერთოდ მთელი ფილოსოფია ადამიანურ პრობლემაზე, ფილოსოფიურ ანტროპოლოგიაზე დაჰყავს. როგორც გაირკვა თანამედროვე ადამიანის არსებობა, არის გაუცხოებული არსებობა, არანამდვილი არსებობა, გადაღლილობა სამყაროში, მიტოვებულობა, უპატრონობა, უსახლკარობა. და რაც მთავარია, ასეთი ტრაგიკული არსებობა მოცემულია საერთო გარდაუვალი დაღუპვის ფონზე. როგორც თავში აღვნიშნეთ, მსგავსი თვალსაზრისები ადრეც წარმოშობილა. მაგრამ სხვადასხვა შეიძლება იყოს ამა თუ იმ ფილოსოფიის დამოკიდებულება ასეთი კრიზისული მდგომარეობისადმი. სხვანაირად, სხვადასხვა ფილოსოფია შეიძლება სხვადასხვა ორიენტაციას იძლეოდეს. (მაგ. შპენგლერი ამ ბედისადმი შერიგებას ქადაგებდა). ხომ შეუძლებელია, რომ ფილოსოფია ხსნიდეს ვითარებას. მაგრამ არ იძლეოდეს გეზს ამ ვითარების დასაძლევად?

ერთი რამ ცხადია. ექსისტენციალიზმის ამოსავალი დებულება ისეთია, რომ იგი არ შეიძლება აქტიურ ორიენტაციას იძლეოდეს. თუ საზოგადოება გარდაუვლად უნდა დაიღუპოს, თუ ისტორიული პროგრესი მხოლოდ მირაჟია, ყოველგვარ ბრძოლას კრიზისიდან გამოსასვლელად აზრი ეკარგება, უფრო მეტიც, საზოგადოებას ბიძგიც კი ეძლევა პასიურობისაკენ.

მაინც, რა ორიენტაციას იძლევა ექსისტენციალიზმი?

ექსისტენციური კრიზისის დასაძლევად საზოგადოების დარაზმვა უაზრო და მიზანშეუწონელია, რადგან, ჯერ ერთი ფატალურ აუცილებლობას ვერაფერი შეცვლის და, მერე მეორე, ყოველი ღონისძიება, ყოველი ნაბიჯი სხვა ახალ გაუცხოებას, “განსხვისებას” იწვევს. არ ხერხდება არც ფიზიკური გაქცევა ამ მდგომარეობიდან, რადგან, ვიდრე ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობს, შეუძლებელია იგი სრულიად თავისუფალი იყოს მისგან, და ექსისტენციალიზმი ერთად-ერთ გამოსავალს პოულობს. მისი მითითების თანახმად, ადამიანი სულიერად უნდა გაექცეს ობიექტურ სინამდვილეს, სავსებით განმარტოვდეს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, ღრმად ჩაიძიროს საკუთარ ექსისტენციალურ განწყობილებაში და მიეცეს უსასრულო რეფლექსიას. საკუთარი არარაობის წვდომა და ყოველგვარ პროგრესზე უარის თქმა უნდა იყოს გაუცხოების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება. ამ გზით შეიძლება დაძლიოს ადამიანმა კრიზისული მდგომარეობა.

ასეთია ექსისტენციალიზმის ორიენტაცია. მაგრამ, ეს ხომ უბრალოდ უარის თქმაა. საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ეს ხომ მოწოდებაა საციალური უმოქმედობისა და, მამასადაძმე, სოციალური თვითმკვლელობისაკენ, რითაც ექსისტენციალური კრიზისის დაძლევა შეუძლებელი უნდა იყოს!

თავის ორიენტაციას ექსისტენციალიზმი არ თვლის უმოქმედობის ორიენტაციად. მაგალითად, ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი კარლ იასპერსი ექსისტენციალისტური ინტროსპექციის აქტს “შინაგან მოქმედებას” უწოდებს, ეპოქის კრიზისის ექსისტენციალისტური საშუალებით დაძლევას კი ასე წარმოგვიდგენს. “ყველაფერი მიუახლოვდა კრიზისს, რომლის

ერთი საფუძვლით წვდომა და საქმით გამოკეთება შეუძლებელია; მაგრამ, წვდომა, გადატანა და დაძლევა მისი, როგორც ჩვენი საკუთარი ბედისა, შეიძლება”.

ცხადია, კრიზისის იასპერსისეული დაძლევა ძალიან შორს დგას მისი ნამდვილი დაძლევისაგან, ხოლო იასპერსის საკმაოდ ორაზროვანი ტერმინოლოგია არაფერს ცვლის ექსისტენციალისტური ფილოსოფიის არსებაში. იგი რჩება აშკარა ასოციალურ მსოფლმხედველობად, რომელსაც არ შეიძლება ნამდვილი ჰუმანიზმი ეწოდოს, როგორც ამას სარტრი ლამობს.

ექსისტენციალისტური პოზიცია უფრო გასაგები რომ იყოს, საჭიროა მცირეოდენი განმარტება. ექსისტენციალიზმი საყვედურობს წინამორბედ ფილოსოფოსებს იმას, რომ ისინი ქადაგებენ მოქმედებას, მიმართულს გარე სამყაროზე. ექსისტენციალიზმის მიხედვით ნამდვილი მოქმედება ეს არის მოქმედება საკუთარი თავის შიგნით. იგი გამოიხატება “გადაწყვეტილების მიღებაში”, რომელიც თავისუფალი ქცევის აქტია. მთავარია, რომ ადამიანმა გადაწყვიტოს, შექმნას თავისი თავი, შეიმუშაოს თავისი კრედი და ისე შეხვდეს დაღუპვის ფატალურ აუცილებლობას. მართალია ადამიანი ამით ვერაფერს შეცვლის, მაგრამ მთავარია, რომ იგი თავისუფალი გადაწყვეტილებით შეხვდეს თავის ბედს. ამ დებულების საგულისხმო გამონათქვამი იყო სარტრის საქციელი. როდესაც 1946 წელს ფრანგმა კომუნისტებმა სარტრს მათ მიერ შედგენილი კონსტიტუცია წარუდგინეს და გააცნეს, მან აღფრთოვანება გამოთქვა. მაგრამ, როდესაც მასვე სთხოვეს, რომ ხელი მოეწერა მისი პროექტისათვის, მან უარი თქვა. თავისი უარი სარტრმა ასე ახსნა: “მთავარი ის კი არ არის, იმოქმედებ თუ არა. მთავარია, რომ ადამიანს ჰქონდეს თავისი საკუთარი დამოკიდებულება მოვლენების მიმართ”. ექსისტენციალისტები თვლიან, რომ ამ მხრივ მათ დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ შპენგლერიდან, რომელიც ამასაც კი არ მოითხოვდა და ბედთან უბრალო შერიგებით კმაყოფილდებოდა.

ასეთი გეზს გვისახავს ექსისტენციალიზმი. მაგრამ საკმარისია კი ეს ადამიანის გადასარჩენად დაღუპვისაგან? მართალია ექსისტენციალიზმი ჰუმანიზმის დროშით გამოდის, მაგრამ ის ოდნავადაც არ ისახავს მიზნად ადამიანის რეალურ გადარჩენას დაღუპვისაგან. ექსისტენციალიზმმა, როგორც თავში აღვნიშნე, მიზნად დაისახა, დაეხსნა ადამიანი გარემო აუცილებლობის მონობასაგან. როგორც ექსისტენციალისტები აცხადებენ ეს ამოცანა მათ წარმატებით შეასრულეს. ადამიანი აღწევს თავის ნამდვილ არსებობას ანუ ახორციელებს ქმნადობას. მაგრამ როდის? ეს ხდება ე.წ. მიჯნით სიტუაციებში, როდესაც ადამიანი ყველაზე ღრმად არის ჩაძირული თავისივე ექსისტენციურ განწყობილებაში. ასეთი საზღვრითი სიტუაციის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მაგალითია მომაკვდავი ადამიანის განწყობილება. სიკვდილის წინ ადამიანი მოიპოვებს თავის ნამდვილ თავისუფლებას.

გნოსეოლოგიური პრობლემა (ირაციონალიზმი)

მე არ მომიხდება ექსისტენციალისტური გნოსეოლოგიის საკითხებზე დიდხანს შეჩერება, თუნდაც იმიტომ, რომ თვით ექსისტენციალიზმი არ უთმობს გნოსეოლოგიურ საკითხს ადგილს. ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ საჭირო არ არის ცოდნა ექსისტენციალიზმის პოზიციისა შემეცნების პრობლემის შესახებ.

თავში მე უკვე ვთქვი, რომ ექსისტენციალიზმი საზრდოობს ირაციონალიზმის ისეთი წყაროებით, როგორიცაა ჰუსერლის ფენომენოლოგია, ბერგსონის ინტუიტივიზმი. ამ გარემოებას არ შეიძლება თავისი გავლენა არ მოეხდინა ექსისტენციალისტურ გნოსეოლოგიაზე.

ფილოსოფიის ძირითადი საკითხი არის ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მაგრამ, ექსისტენციალიზმი ყოფიერების პრობლემას მიჯნავს ადამიანის არსებობის ონტოლოგიური პრობლემისაგან. ამიტომ თითოეული მათგანის მიმართ ცალ-ცალკე უნდა გავარკვიოთ ექსისტენციალიზმის დამოკიდებულება.

ექსისტენციალიზმის მიხედვით, სამყარო ირაციონალურია, ამიტომ მისი შემეცნება შეუძლებელია. “ჩემთვის ყველაფერი გაუგებარია, დაწყებული მატლით და გათავებული ინკარნაციის საიდუმლოებით. ყველაფერი აუხსნელია ჩემთვის”. რაციონალურ შემეცნებას, მეცნიერულ ცოდნას, ექსისტენციალიზმის მიხედვით, თითქმის არავითარი ღირებულება არა აქვს. მეცნიერების არსებობა, ამბობდა ჰაიდეგერი თავის სეფე-სიტყვაში რექტორად დანიშვნის დროს, არასოდეს არც ყოფილა და არც დღეს არის აუცილებელი. მეცნიერების მიერ აღმოჩენილი და დადგენილი ჭეშმარიტება სრულიად არ არის ნამდვილი ჭეშმარიტება. მეცნიერების სიზუსტე ვერასოდეს ვერ მიაღწევს მეტაფიზიკის სიზუსტეს. მაცნიერების იდეა არ გამოდგება ფილოსოფიის კრიტიკრიუმად, საზომად. **დებულება იმის შესახებ, რომ აზროვნება შეესაბამება სინამდვილეს, არსებითად მცდარია, წერს ჰაიდეგერი.**

სამყარო, წერს იასპერსი, და ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება, არის საიდუმლოება; შემეცნებისას ჩვენ ვგრძნობთ, რომ სინამდვილე, ყოფიერება განზე დაგვრჩა, როგორც კი ჩვენ ვიწყებთ სინამდვილის შემეცნებას, სინამდვილე ქრება. ყოველივე ზემოთ ნათქვამი ენება საკუთარი თავის შემეცნებასაც. მაშინ რაღა დამოკიდებულება არსებობს, ექსისტენციალიზმის მიხედვით, სუბიექტსა და ობიექტს შორის? ადამიანსა და სამყაროს შორის? **ადამიანი სამყაროს კი არ შეიცნობს, არამედ განიცდის.** სამყაროს გაგება ხდება პირადი ექსისტენციალური გამოცდილების საფუძველზე. ექსისტენციალური გამოცდილება ნიშნავს იმას, თუ როგორ განვიცდი მე სამყაროს. სხვა სიტყვებით, **სამყარო გაიგება ადამიანის თავის თავის “შიგნიდან”,** ადამიანის არსებობიდან. ადამიანის შინაგანი განწყობილებით სამყაროს გაგება “ექსისტენციალურ გამოცდილებას” წარმოადგენს. თუ რას წარმოადგენს ეს “ექსისტენციალური გამოცდილება” ჩანს ექსისტენციალისტების თავისებური გამოთქმებიდან; რეალობა განიცდება, როგორც “გულისამრევი”; რეალობა განიცდება, როგორც “არსი, რომელიც მყიფეა, მსხვრევადია”. არსი განიცდება, როგორც “არარა”, როგორც “სიკვდილის წინაშე ყოფნა”.

ბუნებრივია, თუ ადამიანის არსებობა გულისხმობს გარე სამყაროს ყოფიერებასაც (ეს განუყოფელია), გნოსეოლოგიაშიც უნდა ასახულიყო იგივე. აქ არაფერია მოულოდნელი. თავისებურება მხოლოდ ისაა, რომ ყოველივე ამის შემეცნება კი არ ხდება რაციონალურად, არამედ ინტუიციური წვდომა “ექსისტენციალური გამოცდილებისა” და განწყობილების საფუძველზე.

**ექსისტენციალიზმის ზოგიერთი ძირითადი კატეგორია
(ექსისტენციალი), რომელთაც მნიშვნელობა
აქვს სამართლისათვის**

თავისუფლება: თავისუფლების საკითხი ექსისტენციალურ ფილოსოფიაში ერთ-ერთი რთული და დაბურდული საკითხია.

ექსისტენციალიზმის ამოსავალი დებულებანი უკვე მიუთითებენ, თუ როგორ უნდა ისმებოდეს საკითხი თავისუფლების შესახებ ექსისტენციალურ ფილოსოფიაში. ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, ამზადებდა საკითხს თავისუფლების შესახებ.

ექსისტენციალიზმი ინდეტერმინისტული ფილოსოფიაა, ე.ი. იგი თავისუფლებას ქადაგებს. თუმცა აქ საჭიროა აუცილებელი დათქმები.

ექსისტენციალიზმი ინდეტერმინიზმია. მაგრამ აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ექსისტენციალიზმის ძირითადი პრობლემა არის ადამიანის პრობლემა, ამიტომ ეს ინდეტერმინიზმი მხოლოდ ადამიანზე ვრცელდება. ეს არ უშლის ხელს ექსისტენციალიზმს აღიაროს, რომ გარე სამყაროში ყველაფერი მკაცრი აუცილებლობით ხდება. თვით მსოფლიო კატასტროფაც ხომ გარდაუვალია! ამ თვალსაზრისით ექსისტენციალიზმი წმინდა წყლის ფატალიზმია.

მაგრამ, სამყაროს ჩარჩოში მოცემულია ადამიანის არსებობა. ამ არსებობისათვის დამახასიათებელია სრული, შეზღუდული და აბსოლუტური თავისუფლება. ეს გასაგებიცაა. ადამიანი ხომ მთლიანად დაცარიელებულია საკუთრივ მისი არსებობისაგან. ყველაფერი მისი გარეთ, იქეთ არის გასული. იგი თითქოს გამოშენებულია. ამ აზრით იგი აბსოლუტურად თავისუფალია. მაგრამ თვით ექსისტენციალისტები აღიარებენ, რომ ადამიანის ასეთი გაუხცვრობელი არსებობა არის მისი არანამდვილი არსებობა, რომელიც განიცდის ქნმადობას. როდესაც ის ნამდვილ არსებობას განახორციელებს, მაშინ მიაღწევს იგი ნამდვილ თავისუფლებასაც. მანამდე, კი თავისუფლება არის ნამდვილი თავისუფლების შესაძლებლობა. მაგრამ თავისუფლება ხომ თვითონ შესაძლებლობაა? აქედან, **ადამიანის არსებობისათვის დამახასიათებელი აბსოლუტური თავისუფლება არის შესაძლებლობის შესაძლებლობა, ე.ი. აბსტრაქტული შესაძლებლობა.** რაში გამოიხატება კონკრეტულად ასეთი თავისუფლების შინაარსი. ადამიანი გადაწყვეტს შექმნას თავისი თავი, შექმნას თავისი არსება, დაიბრუნოს თავისი “მე”, გადაწყვეტს გათავისუფლდეს უპიროვნო არსებობისაგან. ეს დაგაწყვეტილება არის მისი ნამდვილი თავისუფლება. ის, რომ ადამიანი თავისუფლად დგება სიკვდილის წინაშე, ეს არის მისი თავისუფლება. როგორც **მარტინ ჰაიდეგერი** იტყვოდა, ნამდვილი თავისუფლება არის “სიკვდილის თავისუფლება,” სხვანაირად – თავისუფლება თვითმკვლელობაა.

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ექსისტენციალიზმის მიხედვით თავისუფლება “წმინდა ფსიქოლოგიური”, შინაგანი აქტია, რომელიც გადაწყვეტილების მიღებით გამოიხატება. ადამიანის სხეული, შეიძლება დაექვემდებაროს კიდევ მიზეზობრიობის კანონს, მაგრამ მისი სული თავისუფალია. თავისუფლება ნიშნავს, იმას, რომ მან შეიძლება აირჩიოს “ნამდვილი არსებობა” ან “არანამდვილი არსებობა”. თუ ადამიანი აირჩევს “ნამდვილ არსებობას”, ე.ი. ზურგს შეაქცევს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ჩაიკეტება თავის თავში, მიეცემა ექსისტენციალისტურ რეფლექსიას და ინტროსპექციას. “საზღვრით სიტუაციაში” ის დაიბრუნებს კიდევ თავის არსებობას. მაგრამ ეს არის სიკვდილის ან სიგიჟის წინა მომენტი. ასეთი არჩევანი, ასეთი გადაწყვეტილება, თავისუფლება ფაქტობრივად სრულიად უსარგებლოა სოციალური თვალსაზრისით. სანამ ადამიანი ცხოვრობს არანამდვილი არსებობით, ე.ი. მას არც გადაუწყვეტია ნამდვილი არსებობა და არც ნამდვილი თავისუფლებით ცხოვრობს. მაგრამ, ასეთი ცხოვრებით ცხოვრობს ადამიანი რეალურად, ასე მოქმედებს, ასე იქცევა, ასეთია ის სხვებთან ურთიერთობაში. სამართლისა და სოციალური თვალსაზრისით სწორედ “არანამდვილი არსებობაა” საინტერესო. რადგან დანაშაულის ჩადენაც არანამდვილი, გაუცხოებული არსებობის სტადიაზე ხდება. მაგრამ ამ საფეხურზე ადამიანს გააჩნია აბსოლუტური და აბსტრაქტული თავისუფლება. აბსოლუტურია იმიტომ, რომ ადამიანი არაფრით და არავისგან არ არის შეზღუდული. აბსტრაქტულია იმიტომ, რომ ის არის შესაძლებლობის შესაძლებლობა. ცხადია, ასეთი თავისუფლება სრულიად გამოუსადეგარია ქცევის ასახსნელად, მისი მოტივების დასადგენად და პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის. ეს არის წმინდა ნეგატიური თავისუფლება, თავისუფლება ყველაფრისაგან. ასეთი თავისუფლება ფაქტობრივად გულისხმობს შემთხვევითობის ბატონობას, და ამიტომ, როგორც აბსოლუტური თავისუფლების სრული ლოგიკური წინააღმდეგობა, ფატალიზმში გადადის. ამიტომ არის, რომ **კრიტიკულ ლიტერატურაში ექსისტენციალიზმს ხან ინდეტერმინისტულ მიმდინარეობად იხსენიებენ, ხან კი ფატალისტურად.**

ამგვარად: 1) “არანამდვილი არსებობის” სტადიაზე, ექსისტენციალიზმის მიხედვით, პიროვნება აბსოლუტურად თავისუფალი აღარ არის, ანუ არის შემთხვევითობის მონა, რისთვისაც პასუხს ვერ აგებს. 2) “ნამდვილი არსებობის” სტადიაზე ადამიანი მართალია აბსოლუტურად თავისუფალი აღარ არის, მაგრამ ემორჩილება მხოლოდ საკუთარ ექსისტენციალისტურ განწყობილებას, რომელიც გამორიცხავს შემეცნების პროცესს. თავისუფლება ამ სტადიაზე “შეცნობილი აუცილებლობა” კი არ არის, ე. ი. შეცნობილი მიზეზის გამოვლინება. არა. წარსულის დეტერმინაციის როლს ექსისტენციალიზმი უარყოფს. იგი არც შეიმეცნებოდა. გარედან მომავალი საზომი არ არსებობს. საზომი თვით შინაგანი განწყობილებაა. ე.ი. აუცილებლობასთან მიმართებაში მაინც არ განიხილება თავისუფლება. ე.ი. ცალკე აუცილებლობაც არსებობს და თავისუფლებაც. მაგრამ ისინი ერთმანეთთან მიმართებაში არ იმყოფებიან. რატომ? შეიძლება ეს ლოგიკისა და სისტემატიკის თვალსაზრისით სწორიც იყოს. ბოლოს და ბოლოს სამყარო ხომ ადამიანის არსებობის გაუცხოებული მოვლენაა? ის ხომ არ არის ნამდვილი სამყარო. ის სამყაროებს. ის თვით ადამიანია. ამიტომ როგორ შეიძლება ადამიანი იყოს თავისუფალი თავისივე გაუცხოებულ არსებობასთან მიმართებაში?

ბრალი. ბრალი ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი ცენტრალური ცნებაა. არ არსებობს ექსისტენციალისტური ხასიათის ფილოსოფიური ტრაქტატი, რომელიც არ იხსენიებდეს “ბრალს”, არ მიუთითებდეს, რომ ადამიანი “ცოდვაშია ჩავარდნილი”. ბუნებრივია, რომ ეს გარემოება იურისტთა საფუძვლიან ინტერესს იწვევს.

მართლაც, რა ბრალზეა ლაპარაკი ექსისტენციალიზმში? რა იგულისხმება ბრალის ექსისტენციალისტურ ცნებაში?

თავიდანვე ცხადია, რომ ბრალი არ შეიძლება იყოს ის, რასაც ბრალს იურისპრუდენციაში უწოდებენ. ბრალი ყოველთვის გულისხმობს ადამიანის გასაკიცხობას კონკრეტული ქცევის გამო. მაგრამ ექსისტენციალისტები ამბობენ “ადამიანს აქვს ბრალი”, “ის ცოდვაშია ჩავარდნილი”. როგორც ჩანს აქ რაღაც სხვა ბრალზეა ლაპარაკი, რომელიც საერთოდ ახასიათებს ადამიანს, როგორც მისი არსებობის თვისებრივი გარკვეულობა. ე.ი. ადამის მოდემის წევრს ბრალი აქვს, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ადამიანი მაინც ბრალეულია.

ბრალის ცნების ახსნა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ არსებობდეს თეოლოგიური, ქრისტიანული ექსისტენციალიზმი. ამ მხრივ, ექსისტენციალისტების მკვლევარებს უაღრესად კეთილ სამსახურს უწევს ნიკოლაი ბერდიაევის ნაშრომები. ჯერ ერთი, თავის ადრეულ ნაშრომებში (Философия свободы) ის პირდაპირ ხსნის, თუ რა ბრალზეა ლაპარაკი. ის ბრალი, რომელსაც ის მიუთითებს, რელიგიურ საფუძველზე მართლაც შეიძლება აიხსნას. ემიგრაციაში გამოცემულ წიგნებში კი (მაგ. ლვთაებრივისა და ადამიანურის ექსისტენციალური დიალექტიკა), ბერდიაევი იმასაც ხსნის, თუ რას გულისხმობენ ბრალში ათეისტი ექსისტენციალისტები.

ბერდიაევის მიხედვით, პრეისტორიულ ხანაში ადამიანი მოწყდა ღმერთს, ჩაიდინა ცოდვა, “ცოდვაში ჩავარდა”. ადამიანის ბრალი სწორედ ღმერთისაგან მოწყვეტაში მდგომარეობს. თანამედროვე ადამიანსაც ბრალი აქვს, რომ ის მოწყვეტილია ღმერთს. იბადება კითხვა, კი მაგრამ, როგორ შეიძლება ბრალად შევრაცხოთ თანამედროვე ადამიანს ის, რაც პრეისტორიულ ხანაში მოხდა? ბერდიაევი ამბობს: ადამიანი კოლექტიურად მოწყდა ღმერთს და კოლექტიურადვე იტანჯება.

ბერდიაევი პირდაპირ უწოდებს თავის ფილოსოფიას ბრალის ფილოსოფიას ანუ თავისუფლების ფილოსოფიას. იგი უპირისპირდება განაწყენების ფილოსოფიას ანუ არათავისუფლების ფილოსოფიას. პირველი ემყარება ბრალის გრძნობას და ქადაგებს, რომ ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს სინდისის ქენჯნას იმის გამო, რომ ბრალი აქვს. მეორე ემყარება განაწყენებას გარე სამყაროზე, გაბოროტებას. ადამიანმა ჩაიდინა ცოდვა და უნდა განიცადოს

სინდისის ქენჯნა ამის გამო. ის, ვინც ამას არ განიცდის, ის არ შეიძლება იყოს თავისუფალი, მას აქვს მონური ფსიქოლოგია.

ქრისტიანული რელიგიის თვალსაზრისით ბრალის ასეთი დასაბუთება კიდევ შეიძლება კაცმა მიიღოს. მაგრამ სრულიად გაუგებარია, ათეისტური ექსისტენციალიზმის თვალსაზრისით, რა “ცოდვა”, რა “ბრალი” უნდა ახასიათებდეს ადამიანს, თუ მას არ ჩაუდენია რაიმე ბოროტმოქმედება, ისეთი საქციელი, რომლის საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას ასეთი რამ. ყველაფერი ეს გაუგებარი ხდება, თუ წანამძღვრად აქ არ მივიღებთ ქრისტიანულ მითებს შეცოდების შესახებ, რომელიც ადამიდან და ევადან კაცობრიობას თან სდევს.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თვით ჰაიდგერი და სარტრიც, რომლებიც ათეისტი ექსისტენციალისტები იყვნენ, ორივენი თეოლოგიურ პრობლემების გარშემო ტრიალებენ და ტერმინოლოგიაც თეოლოგიური აქვთ შენარჩუნებული (“ცოდვაში ჩავარდნილი”). როგორც საკვებით სამართლიანად შეუნიშნავს კბაქრადეს, იმისგან დამოუკიდებლად, ათეისტი ექსისტენციალისტის ნააზრევს ვიხილავთ, თუ თეოლოგიას, ექსისტენციალიზმი ყოველთვის თეოლოგიურ იერს ატარებს. ეს იმით აიხსნება, რომ საკითხები, რომლებსაც ექსისტენციალისტები ეხებიან, თეოლოგიიდან არის ნასესხები. და ეს გარემოება გარკვეულ დაღს ასვამს მათ მსოფლმხედველობას. იგი აისახება თვით საკითხის გადაწყვეტის არსებით მხარეზე.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ბრალის ექსისტენციალისტურ ცნებას არაფერი აქვს საერთო ბრალის იურიდიულ და მორალურ გაგებასთან. ამიტომ, მისი შესწავლა და კრიტიკაც იურიდიული თვალსაზრისით, როგორც ამას ზოგჯერ ცდილობენ, სრულიად გაუმართლებელია.

პასუხისმგებლობა. თავისუფლებისა და ბრალის ცნებებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული პასუხისმგებლობის საკითხი.

კრიტიკულ ლიტერატურაში ხშირად შევხვდებით ორ, სრულიად საპირისპირო მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ წყვეტს ექსისტენციალიზმი პასუხისმგებლობის საკითხს. ზოგი ამტკიცებს, რომ ექსისტენციალიზმი გამორიცხავს ყოველგვარ პასუხისმგებლობას, ზოგი კი პირიქით, თითქოს ექსისტენციალიზმი მოითხოვდა პასუხისმგებლობას ყველაფრისათვის (იხ. Сн. статей по экзистенциализму). თავისებურად ორივე მხარე მართალია. თუმც კი, **ექსისტენციალიზმი პასუხისმგებლობას აკისრებს ადამიანს ყველაფრისათვის მაგრამ, არავის წინაშე, გარდა საკუთარი თავისა. ე.ი. ეს არის პასუხისმგებლობა ყველაფრისათვის არავის წინაშე.**

განვიხილოთ თითოეული ეს დებულება ცალ-ცალკე:

ა) პასუხისმგებლობა ყველაფრისათვის. რას ნიშნავს ეს? რატომ უნდა იყოს პირი პასუხისმგებელი ყველაფრისათვის? ამ დებულებას პირდაპირი კავშირი აქვს ბრალის ექსისტენციალისტურ გაგებასთან. ბრალი იყო ის, რომ ადამიანი არსებობს სამყაროში, რომ ის გადაადგებულია, მიტოვებულია, გადასროლილია, უსახლკაროა, უპატრომოა. კი, მაგრამ რა ადამიანის ბრალია, რომ ის “გადასროლილია” სამყაროში? შეიძლება ეს მისი ბრალი არ იყოს, მაგრამ მისი ბრალია ის, რომ მან “მიიღო სამყარო” ისეთი, როგორიც ის არის. ადამიანი ხომ ქმნალობაა, ის ხომ თავისუფლებაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ შეუძლია გადაწყვიტოს, არ “მიიღოს სამყარო”, უარი თქვას მასზე, გახდეს ნამდვილი ადამიანი! ბოლოს და ბოლოს, მას ხომ შეუძლია აირჩიოს თვითმკვლელობა? და თუ ის ამას არ აკეთებს, მან პასუხი უნდა აგოს.

ბ) პასუხისმგებლობა არავის წინაშე, გარდა საკუთარი თავისა. პასუხისმგებლობა ყოველთვის გულისხმობს პასუხისმგებლობას ვინმეს წინაშე. ცხადია, ეს ვინმე შეიძლება იყოს თვით პასუხისმგებელი სუბიექტიც. ინდივიდუალური ეთიკა მთლიანად ამ პასუხისმგებლობას ემყარება. მაგრამ, ასეთი პასუხისმგებლობა მაშინ ამართლებს, როცა საქმე გვაქვს მორალურ სუბიექტთან. სხვა შემთხვევაში ინდივიდუალური კრიტერიუმი არ გამოგვადგება, რადგან ქცევის საზომი არ შეიძლება იყოს ოდენ მოქმედი სუბიექტის შეხედულებანი. ამიტომ აუცილებელია გარეგანი, სოციალური, პოლიტიკური, სოციალ-ეთიკური, სამართლებრივი კრიტერიუმებიც.

წინააღმდეგ შემთხვევაში სუბიექტმა შეიძლება თავისი ისეთი ქცევა მოიწონოს, რომელიც საძრახისია და ისეთი ქცევა დაიწუნოს გაკიცხოს, რომელიც მოსაწონია. მაგრამ ექსისტენციალიზმი არათუ უარყოფს, არამედ პირდაპირ ებრძვის ყველაფერს გარეგანს, მათ შორის სოციალურ-პოლიტიკურ კრიტერიუმებს, მიაჩნია რა ისინი თავისუფლების შემზღვეველ მომენტებად. ამიტომ პირი, რომელმაც ექსისტენციალიზმის მიხედვით პასუხი უნდა აგოს ყველაფრისათვის, ფაქტიურად უპასუხისმგებლოდ დარჩა. ეს არის ექსისტენციალიზმის აქილევის ქუსლი. მისი სისუსტე განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ნაცისტთა ჯალათების პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით. ნიურნბერგის პროცესზე ისე ისხდნენ ნაცისტთა ჯალათები, თითქოს მოსული ყოფილიყვნენ სხვა ცივილიზაციიდან. მათი მორალური შეურაცხაობა შესანიშნავი გამოხატულება იყო ექსისტენციალისტური იდეოლოგიის გაკოტრებისა, რომელმაც ვერ შეძლო პრინციპულად გადაეწყვიტა ნაცისტთა პასუხისმგებლობის საკითხი.

ზრუნვა. ექსისტენციალიზმი ხშირად მიმართავს “ზრუნვის” ცნებას, რომელიც მისი ერთ-ერთი ცენტრალური კატეგორიაა. ამ ცნების მნიშვნელობა იურისტისთვისაც საინტერესოა, რადგან სამართლებრივი ნორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა, სწორედ სხვაზე ზრუნვაა. საერთოდ, სხვაზე ზრუნვის იდეა პოზიტიური სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულებას იგი პოულობს უმოქმედობისა და გაუფრთხილებლობის დელიქტებში.

როგორ ესმის ექსისტენციალიზმს “ზრუნვის” ცნება?

როცა ჩვენ ვამბობთ ადამიანი ზრუნავს, ვგულისხმობთ, რომ ის შრომობს, გარდაქმნის ბუნებას, ზრუნავს თავის თავზე ან სხვაზე, მაგრამ ორივე შემთხვევაში, საბოლოო ჯამში, ორივეზე.

ექსისტენციალისტური ზრუნვა სხვა ზრუნვაა. იმის გამო, რომ ადამიანის არსებობა არანამდვილი არსებობაა, მას ახასიათებს ზრუნვა, რომ გახდეს ნამდვილი ადამიანი. ის ხომ ქმნალობაა. მან უნდა დაძლიოს თავისი გაუცხოებული, სხვა ხალხში გათქვეფილი არსებობა და შექმნას თავისი არსება. ეს კი ზრუნვით მიიღწევა. მაგრამ საკუთარი არსებობის შექმნა ნიშნავს უარის თქმას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მშფოთვარე ყოველდღიურობაზე, ყოველივე გარეგანზე, საზოგადოებაზე, ადამიანებზე ზრუნვა არის, ფაქტობრივად, ზრუნვა სოციალურ თვითმკვლელობაზე. ამას პირდაპირ აღიარებს იასპერსი, როდესაც ის ამბობს, რომ “ვისაც თავისი ნამდვილი არსებით (esistenza) უნდა ცხოვრება, მან უნდა იცხოვროს სიკვდილის იმედით. სხვანაირად, მისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს “ზრუნვა” სიკვდილზე და არა სიცოცხლეზე”.

ადვილი შესამჩნევია, რომ ზრუნვის ცნების ასეთი გაგება სრულიად გამოუსადეგარია სამართალში.

ექსისტენციალიზმი და სიტყვაკაზმული მწერლობა

ასეთია ექსისტენციალიზმის ძირითადი მომენტები. მაგრამ, ექსისტენციალიზმი როდია მხოლოდ ფილოსოფიური მომდინარეობა. ექსისტენციალიზმმა ერთ ხანს მოიცვა ყველა და ყველაფერი. განსაკუთრებით კი იგი მხატვრულ ლიტერატურაში დამკვიდრდა.

მხატვრულ ლიტერატურაში ექსისტენციალიზმი უწინარეს ყოვლისა აისახა, როგორც თემატიკა. ექსისტენციალისტი მწერლების ძირითადი თემა ეხმაურება ფილოსოფიაში “არსებობის პრობლემას”. რა არის თანამედროვე ადამიანი, როგორია მისი სახე, მისი ცხოვრება, მისი განწყობილება? როგორც გვახსოვს, I – ადამიანი გაუცხოებულია, ის უაზროდ ლაყობს, ორაზროვნებს, ჯაშუშებს, ჩადის უმოტივო მკვლელობებს. ჩვენ შეგვიძლია უამრავი ნაწარმოები დავასახელოთ, სადაც ასეთი ცხოვრებაა აღწერილი (კამიუ). II – ადამიანი დგას სიკვდილის

წინაშე. მოცემულია მომაკვდავი ადამიანის განცდები. აღსანიშნავია, რომ ექსისტენციალიზმი იმდენად მოდური გახდა, რომ გაცემული ლიტერატურული პრემიებიდან უმრავლესობა იმ მწერლებმა მიიღეს, რომლებსაც მომაკვდავი ადამიანის განცდები აქვთ აღწერილი. ერთ-ერთი პრემია ასეთ თემაზე დაწერილი ნაწარმოებისათვის პარიზში მიიღო საბჭოთა მწერალმა სოლჟენიცმა მის წიგნში სათაურით “კიბოს პალატა”. დარწმუნებული ვარ, რომ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მოტივებთან ერთად, დაჯილდოვებაში იმ გარემოებამაც მნიშვნელობანი როლი შეასრულა, რომ მწერალმა კარგად აუღო ალლო მოდურ მოთხოვნებს.

ექსისტენციალიზმმა გავლენა იქონია არა მარტო თემატიკაზე, არამედ ლიტერატურულ სტილზეც. ექსისტენციალიზმის მიხედვით, სინამდვილე განიცდება როგორც გულისამრევი. ამიტომ ექსისტენციალისტ მწერალთა გმირებიც ისე მეტყველებენ, რომ ეს გულისრევა გამოხატონ. მოვიტან რამდენიმე მაგალითს: ამერიკელი მწერალი მილლერი, რომელიც ერთ დროს პორნოგრაფისტადაც კი იყო გამოცხადებული, ზოლო მისი წიგნები კი აიკრძალა, წერს: “Париж похож на шлюху. Во время отлива, когда лишь несколько сифилитичных русалок застревает в грязном иле, купол собора напоминает тир, после внезапно налетевшего циклона. Вся грязь медленно втекает в сточные ямы. На час воцаряется могильное затишье, во время которого подтирают блевотину... Наступил момент опорожнить последний мочевой пузырь. День подкрадывается незаметно, как прокаженный”. ან კიდევ: “Люди _ это те же вши, вьедаются в кожу и присасываются намертво. Чешешься, чешешься, пока кровь не выступит, но совсем избавиться от вшей нельзя”.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსისტენციალიზმი თითქმის ყველა დარგში შეიჭრა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელზეც ზეგავლენა იქონია ექსისტენციალიზმმა, იყო სამართლის მეცნიერება. ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა ექსისტენციალიზმი სამართლის ფილოსოფიაში აისახა.

ექსისტენციალიზმი და სამართლის ფილოსოფია

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა ექსისტენციალისტური ფილოსოფიის შესახებ, უკვე საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ექსისტენციალიზმზე სამართალში. ინდეტერმინიზმი, ბრალის დაუსაბუთებლობა, პასუხისმგებლობის დაუსაბუთებლობა, სხვაზე ზრუნვის დაუსაბუთებლობა და, რაც მთავარია, ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური პრობლემების ექსისტენციალისტური გაგება სათუოს ზღის სამართლის ექსისტენციალიზმთან შეგუებას. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ბევრი დაიწერა სამართლის ექსისტენციალისტურ ფილოსოფიაში. ეს ნაშრომები ძირითადად ორი ხასიათისაა: I – ნაშრომები, რომლებშიც ძირითადი ყურადღება გადატანილია პიროვნების ინტერესების გაძლიერებულ დაცვაზე. ასეთია თომას ვიურტენბერგერის ზემოთ მოხსენიებული წიგნი. II – ნაშრომები, რომლებშიც სწორედ რომ სამართლის უძირითადეს პრინციპებს ეთხრებათ ძირი. ასეთია მოხსენების დასაწყისში დასახელებული ჰელმერის ნარკვევი.

როდესაც ცნობილი დანიელი ექსისტენციალისტის, **კონის**, წიგნი გამოვიდა სათაურით “ექსისტენციალიზმი სამართლის მეცნიერებებში”, **ჰანს კელზენმა** განცვიფრებულმა უპასუხა წერილით “ექსისტენციალიზმი სამართლის მეცნიერებაში?”. კითხვის ნიშანი სტატიის ბოლოს შესანიშნავი გამოხატულება იყო კელზენის განცვიფრებისა: როგორ შეიძლება ექსისტენციალიზმი იგუოს სამართლის მეცნიერებამ.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლის თანამედროვე ექსისტენციალისტური ფილოსოფია ყოველმხრივ ცდილობს შესაძლებელი გახადოს სამართლისა და “არსებობის” ექსისტენციალისტური გაგების შეგუება, ასეთი ცდა აწყდება დაუძლეველ სიძნელებებს, რომლებიც თვით ექსისტენციალისტური მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს.

არსებითი სირთულე, რომელიც ექსისტენციალისტური სამართლის მთელს მიმართულებას განსაზღვრავს, მდგომარეობს სამართლებრივი ნორმის მნიშვნელობის დაუსაბუთებლობაში.

რატომ შეიქმნა შეუძლებელი ექსისტენციალისტური სამართლის მეცნიერებისათვის სამართლებრივი ნორმისა და პასუხისმგებლობის დასაბუთება?

სამართალი (სამართლის ნორმა) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საშუალებაა. იგი საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილე ადამიანზეა მიმართული. მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ურთიერთობები და ყველაფერი, რაც საზოგადოებრივ ყოფიერებასთან არის დაკავშირებული, ეწინააღმდეგება ადამიანის “ნამდვილ არსებობას”. ამიტომ ადამიანი უნდა გაურბოდეს ყოველგვარ საზოგადოებრივს და, მამასადამე, სამართალსაც. ადამიანი უნდა გაურბოდეს ნორმებს, რომლებიც მას სხვისთვის ზრუნვას ავალბენ. სხვანაირად ის ვერ დააღწევს თავს უპიროვნო, მასიურ “ყოფნას სამყაროში”, ვერ ეღივება “ნამდვილ არსებობას”. ამრიგად, შეურიგებელ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ორი მოვალეობა: 1) სამართლებრივი მოვალეობა და 2) “ნამდვილი არსებობის” არჩევის მოვალეობა, რომელიც სწორედ საზოგადოებრივისაგან (და მამასადამე სამართლისაგანაც) თავის დაღწევით მიიღწევა. მაგრამ ადამიანის უპირველესი მიზანია მოიპოვოს თავისი არსება. ამიტომ აქ ინდივიდუალიზმი იმარჯვებს.

ნათელია, რომ ზემოაღნიშნულს საერთოდ სამართლის გაუქმებამდე მივყავართ. ამიტომ ექსისტენციალისტები ცდილობენ რამენაირად შეაგუონ ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მომენტი. ეს კი ძირითადად ორი გზით ხდება: I – ან ოდნავი გადახვევით **არსებობის** ექსისტენციალისტური გაგების ორთოდოქსალური ხაზიდან; II – ან კიდევ, **სამართლებრივი ნორმის სხვანაირი** ინტერპრეტაციით.

I – არსებობის ახლებური გაგება. როგორც ცნობილია, ექსისტენციალიზმის მიხედვით “ნამდვილი არსებობა” არის ინდივიდუალური არსებობა, როდესაც ადამიანი განმხოლოებულია საზოგადოებისაგან. მაგრამ, ვიდრე ადამიანი “ნამდვილ არსებობას” განაზოცელებდეს, ის საზოგადოებრივ ყოფიერებასაც ეწევა. ნამდვილ არსებობასა და საზოგადოებრივ ყოფიერებას შორის მანც არის რაღაც კავშირი იმ თვალსაზრისით, რომ ნამდვილ არსებობას ადამიანი აღწევს საზოგადოებრივი ყოფიერებიდან ანუ “ფსევდოყოფიერებიდან”. სამართალი აწესრიგებს და იცავს იმ სფეროს, რომელშიდაც ადამიანი აზოცელებს საზოგადოებრივ ყოფიერებას, როგორც აუცილებელ პირობას ნამდვილი არსებობისა. ამიტომ სამართალს აქვს “არაპირდაპირი” მნიშვნელობა არსებობისათვის.

II – სამართლებრივი ნორმის სხვანაირი გაგება. აქ საჭიროა გავიხსენოთ თეზა ექსისტენციალიზმის ირაციონალურობის შესახებ. ექსისტენციალიზმი ხომ უარყოფს რაციონალურ შემეცნებას. ამის შესაბამისად, ნორმაც, რომელიც სინამდვილის შემეცნების და განზოგადების პროდუქტი, შეუძლებელია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ექსისტენციალიზმი საერთოდ უარყოფს ყოველგვარ ნორმას, არა, მას უბრალოდ სხვანაირად ესმის ნორმის შინაარსი. სახელდობრ, ნორმა, სამართალი არის მოსამართლის კონკრეტული გადაწყვეტილება ამა თუ იმ საქმეზე. მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია, ექსისტენციალისტური განწყობილების საფუძველზე განიცადოს სამართალი. სხვანაირად, სამართლის გაგება უაზრობაა, რადგან როგორ შეიძლება ერთი და იგივე ნორმა იქნას გამოყენებული სრულიად განსხვავებული სიტუაციების მიმართ. ამგვარად, ექსისტენციალიზმის მიხედვით, სამართლის წყარო კანონი კი არ არის, არამედ “კონკრეტული ვითარება”.

ექსისტენციალიზმი და სისხლის სამართალი

ყველაზე უფრო შეურიგებელ წინააღმდეგობაში ექსისტენციალიზმი არის სისხლის სამართალთან. საქმე ისაა, რომ სისხლის სამართალი ადამიანის თავისუფლების ყველაზე მეტ შეზღუდვასთან არის დაკავშირებული. ექსისტენციალიზმი კი პიროვნების თავისუფლების დროშით გამოდის.

ექსისტენციალიზმის შეურიგებლობა სისხლის სამართალთან სავსებით გასაგებია.

თანამედროვე ადამიანი არის ბრბოს ადამიანი “massien mensh”. ის აღარ არის კულტურული არსება, რომელმაც ნორმის, ან სასჯელის მუქარის ადრესატად შეიძლება ივარგოს. იგი არ ექვემდებარება საზოგადოებრივ მოტივებს, რომლებსაც მისი ქცევის განსაზღვრა შეუძლია. ასეთ პირობებში მის მიმართ სასჯელის გამოყენება უაზრო და მიზანშეუწონელია. “ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, – წერს დანიელი ექსისტენციალისტი-იურისტი კონი, რომ დანაშაულის ზოგადი ნორმებით დასჯა არ იძლევა სასურველ შედეგს. საჯელს გააჩნია მიზანი, მაგრამ ეს ისეთი მაზანია, რომლის მიღწევა შეუძლებელი და განუხორციელებელია. ასეთივე შეხედულებას სისხლის სამართლის სასჯელზე ავითარებს დასავლეთგერმანელი ექსისტენციალისტი კრიმინალისტი იოახიმ ჰელმერი. მისი თანამემამულე შმიდჰოიზერი კი სპეციალურ მონოგრაფიას უძღვნის სასჯელის უაზრობას.

ექსისტენციალიზმი და კრიმინოლოგია

ყველაფერი, რაც ითქვა სისხლის სამართლის სასჯელზე ექსისტენციალიზმის თვალსაზრისით, ძალაში რჩება მისსავე მიმართ, თუ მას ეფექტიანობის თვალსაზრისითაც განვიხილავთ. თუ ადამიანი, საზოგადოებრივ ყოფიერებაში აბსოლუტურად თავისუფალია, მაშინ მისი ქცევა შემთხვევითობაზე ყოფილა დამოკიდებული. შემთხვევითი მოვლენა კი არავითარ ღონისძიებას არ ექვემდებარება.

ბევრი თანამედროვე კრიმინოლოგიური თეორია ექსისტენციალისტური წარმოშობისაა. ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ მაგალითად ანომიის თეორია, ფაქტობრივად, ექსისტენციალისტური თეორიაა. “ანომია” ნიშნავს კულტურულ ქაოსს, უნორმოების მდგომარეობას საზოგადოებაში. ეს ისეთი ვითარებაა, როდესაც პრინციპული წინააღმდეგობაა კულტურულ მიზნებს, მისწრაფებებსა და ინსტიტუციურ ნორმებს შორის. ანომია “გაუცხვების” ერთ-ერთი მოდალობაა, როდესაც სამართლებრივი ინსტიტუტები და ნორმები ადამიანებს უპირისპირდება.

დასკვნა

ამგვარად, წინარე საუკუნის დასაწყისში ექსისტენციალიზმი საკმაოდ პროგრესული და ჰუმანური ლოზუნგებით გამოვიდა ფილოსოფიურ ასპარეზზე. მაგრამ ყველაზე დიდი, რაც მან შეძლო ის იყო, რომ მეტისმეტად მუქ ფერებში დაანახა თანამედროვე ადამიანს მისივე არარაობა და, რადგანაც რეალური გამოსავალი ვერ უჩვენა “ექსისტენციური კრიზისის“ მდგომარეობიდან, მონიღომა, რომ სულიერად მაინც შეეიარაღებინა თანამედროვე ადამიანი. მან ურჩია თანამედროვე ადამიანს, უარი თქვას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ეს კი წმინდა წყლის თვითმკვლელობის ქადაგებაა. ასე რომ, შედეგების მიხედვით უბრალოდ არაჰუმანურია.

სამართალში ექსისტენციალიზმს ლოგიკურად სამართლის გაუქმებამდე მივყვართ. ასეთია მისი ფინალი.

Mindia Ugrekheldze

Existentialism and Law

Summary

Existentialism represents a doctrine that man is a unique and isolated individual in an indifferent or hostile universe fully responsible for his own actions and free to choose his destiny – „to be or not to be”. Therefore to acknowledge and sermonise freedom of the will is quite organic to the existentialism.

The law, as a system of general rules, requests and demands obligatory to everyone, immanently implies possibility and necessity of determination of the will.

In view of the fact that „existentialistic indeterminism” and „legal determinism” are hardly compatible to each other „existentialism in law” becomes problematic and creates lot of difficulties in the theory and the practice as well (Hans Kelsen).

Above essay is an attempt to show how the existentialism in the law willy-nilly is leading us away to the invalidation of traditional interpretation and understanding of legal vocabulary like care, freedom, guilt, responsibility etc.

სოციალური მეცნიერებები

დიმიტრი ნადირაშვილი

ნებელობის ფენომენი განწყობის თეორიის დღევანდელი პოზიციიდან (ი. იმედაძის კრიტიკული წერილის პასუხად)

ძირითადი სიტყვები: ნებელობა, სოციალური განწყობა, სიტუაციური განწყობა, დისპოზიციური განწყობა, განწყობათა მტევანი

„საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნეს“ 2010 წლის ჟურნალის ნომერში ჩვენს სტატიაზე - „ნებელობის ფენომენი განწყობის თეორიის დღევანდელი პოზიციიდან“ - კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ირაკლი იმედაძემ. ზოგადად გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენი აქტივობა მიმართულია განწყობის თეორიის განვითარებისა და ისეთი მსოფლმხედველობის მქონე კონცეფციის შექმნისკენ, რომელიც პასუხს გასცემს როგორც ზოგადფსიქოლოგიურ საკითხებს, ასევე სპეციფიურ ანთროპულ პრობლემატიკას. განწყობის ფსიქოლოგიაში თავის დროზე ასეთი კვლევები აქტუალური გახდა საბჭოთა იდეოლოგიისა და ცენზურის შესუსტების ფონზე, უზნაძის შემდგომი პერიოდის საქართველოში. ამ მუშაობამ განვითარება პოვა პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის სივრცეში. განწყობის თეორიის განვითარება შესაძლებელია ახალი მეცნიერული კვლევებისა და მათი კრიტიკული ანალიზის ფონზე. ამ მხრივ ჩვენ ასეთ კრიტიკას მივსალმებით. ორი სიტყვა გვინდა ვთქვათ ჩვენი ოპონენტის კრიტიკული შეხედულებების შესახებ, რომელიც სრულიად არ შეესატყვისება და არ ითვალისწინებს განწყობის თეორიის დღევანდელ მდგომარეობას. ეს ვითარება განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ნებელობის, მიზნის, თავისუფლების, შემოქმედების ფენომენტთა შესწავლის დროს, რომლებიც პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური აქტივობის პროცესში რეალიზდება და ჩვენი კვლევის ობიექტია. ვერ დავეთანხმებით ოპონენტის აზრს, როცა ის ამბობს: „ბევრი რამ მოითხოვს დაზუსტებას და დასაბუთებას. მაგალითად, რატომ მიიჩნევენ ავტორი ნებისყოფის ზოგადფსიქოლოგიურ პრობლემას არსებითად სოციალურ-ფსიქოლოგიურად? ან რის საფუძველზე ფიქრობს, რომ სხვა ქართველი მკვლევარები, თურმე მათ დროს აკრძალული ცნობიერების, ობიექტივაციის თუ პიროვნების ფსიქოლოგიის მონაცემების გარეშე აგებდნენ ნებისყოფის კონცეფციას? ან ვინ თქვა, რომ მათი კვლევა აკრძალული იყო?“ ეს შეხედულება ჩვენ მცდარად მიგვაჩნია, საბჭოთა კავშირში განხორციელებულ კვლევებს, განსაკუთრებით კი სტალინურ პერიოდში, საფუძველად ედო მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, რომელიც ფსიქოლოგიის საფუძველად ქცევის ფიზიოლოგიურ პავლოვისეულ თეორიას მიიჩნევდა. პიროვნული და საზოგადოებრივი თავისუფლება ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობად იყო განხილული და პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევა მიუღებლად ითვლებოდა. ეს ტენდენცია აისახა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და მის შემსწავლელ მეცნიერებაზეც, რომლის შედეგებს ახლაც ვიმკით. ამის უგულველყოფა ჩვენ დიდ დაბნეულობად მიგვაჩნია. ამ ვითარების მაჩვენებელია ის რეპრესიები, რომლებიც ცნობილ მეცნიერთა, მწერლების და ხელოვნების სხვა წარმომადგენელთა მიმართ განხორციელდა. მხოლოდ ამ რეპრესიების შესუსტების შემდეგ გახდა შესაძლებელი მეცნიერების, და კერძოდ, ფსიქოლოგიის განვითარება. ამის ვერდანახვა ჩვენი ოპონენტის მხრიდან, რომელიც ფსიქოლოგიის ისტორიას იკვლევს, რბილად რომ ვთქვათ, რეალობაზე თვალის დახუჭვაა. ასევე ჩვენი ოპონენტის დიდ ნაკლად მიგვაჩნია, რომ მას არ გააჩნია ზოგად-ფსიქოლოგიური თეორია, რომელზე დაყრდნობითაც ის შეძლებდა ჩვენი შეხედულებების განხილვას და კრიტიკას. ყოველივე ამის გამო მისი კრიტიკა ეფექტურობას კარგავს. ბოლოს, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ოპონენტს, რომ განწყობის თეორიის საფუძველზე შეუძლებელია თავისუფალი, ნებელობითი ქცევის

შესწავლა, რადგან ის თითქოს ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე მიმდინარეობს. როგორც ჩვენ ვაჩვენეთ, პიროვნება თვითონ ქმნის მოვლენების, სოციალური განწყობების სისტემას, რომელთან მიმართება, ქცევის არჩევა, პიროვნების მიერ წარმართება. სისტემა, რომლითაც ქცევის არჩევა ხორციელდება, პიროვნების მიერაა ფორმირებული, ხოლო თავისუფალი ქცევის ამორჩევა განწყობათა მტკვნიდან პიროვნების მიერ სრულდება. ამის შესახებ უფრო ვრცლად ჟურნალის ამავე ნომერში თავისუფალი ქცევის შესახებ სტატიაში ვწერთ. როგორც ვხედავთ, მასალა, საიდანაც თავისუფალი ქცევა უნდა ამოიღოს და პიროვნება, რომელიც არჩევანს ახორციელებს, ორივე პიროვნების ველშია მოცემული. ასე რომ, თავისუფალი ქცევის ამორჩევა და პიროვნების მიერ მისი შესრულება გარკვეული კანონზომიერებით ხასიათდება, მაგრამ მიზეზ-შედეგობრივ კანონზომიერებათა სფეროში არ ძევის. ნებელობითი ქცევა თავისუფალიც არის და შინაგან პიროვნულ კანონზომიერებითაც ხასიათდება.

ახლა, რაც შეეხება ოპონენტის კითხვებს:

1. არსებობს თუ არა ბიოლოგიურის გარდა სხვა სახის მოთხოვნილებები და თუ არა, რატომ?

განწყობის თეორიაში სხვადასხვა დონის ქცევის განწყობის შესაქმნელად განსხვავებული ბუნების მოთხოვნილებები იგულისხმება. ჩვენ მოვანდინეთ მათი დიფერენცირება და შინაარსის დადგენა. ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გაიფანტოს ის ბუნდოვანება, რომელსაც ჩვენს ლიტერატურაში აქვს ადგილი. ამ მიზნით განწყობის შინაგანი ფაქტორების გარკვევის დროს ნათლად მივუთითეთ, თუ რა იგულისხმება მოთხოვნილების ცნებაში, როცა ის ქცევის აღმძვრელ შინაგან ფაქტორად მოიაზრება. ფართოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, მოთხოვნილება, რომელიც ქცევის აღძვრის, მისი განწყობის შექმნის წინაპირობად ითვლება, გარკვეული სასიცოცხლო მნიშვნელობის საგნის მოპოვების ტენდენციას ემსახურება. ასეთი მოთხოვნილება ჩვეულებრივად ორგანიზმის დანაკლისის აღდგენას ემსახურება. მას ჩვენ ბიოლოგიურ მოთხოვნილებას ვუწოდებთ. მის საფუძველზე ადამიანი ბიოლოგიური დონის ქცევას ახორციელებს.

ქცევის შინაგან ფაქტორს ხშირად ინდივიდის ემოციური მდგომარეობა, სურვილი, ემოცია, წადილი წარმოადგენს. ამ ფაქტორის საფუძველზე და მისი შესატყვისი საგნის ზემოქმედების დროს აღმოცენებული განწყობა ინდივიდს საშუალებას აძლევს მოიპოვოს სასურველი საგანი. ამ მეორე დონეზე ინდივიდი სასურველი საგნის და ვითარების მოპოვებას ცდილობს. ეს დონე ისეთი ფსიქოლოგიური ვითარების შექმნას გულისხმობს, რომელიც ინდივიდის სასურველ მისწრაფებას შეესატყვისება. აღნიშნული ფაქტორით გამოწვეულ განწყობას ჩვენ ემოციურ განწყობის დონედ მოვიხსენიებთ. ამ დონეზე განხორციელებული ქცევა ინდივიდისთვის სასიამოვნო და ემოციურად მისაღები გარემოს შექმნელია.

განწყობის შემდგომ ინტელექტუალურ საფეხურზე განწყობის შემუშავება ხდება გაურკვეველი ვითარების გასარკვევად, პრობლემის გადასაჭრელად. ამ დროს ადამიანის წინაშე ამოცანად რაიმე საგნის მოპოვება არა დგას. ის მოქმედებს გაურკვეველი სიტუაციის გასარკვევად. ასეთი სიტუაცია ქცევის შეფერხების ვითარებაში იქმნება. ადამიანს ექმნება მოთხოვნილება გაარკვიოს გაურკვეველი სიტუაცია, რომელშიც წინა დონის განწყობები ვერ მოქმედებენ. ამ დონეს ჩვენ ინტელექტუალურს ვუწოდებთ. ეს განწყობა შემდგომი ფაქტორებით ხასიათდება: ადამიანი დგას გაურკვეველი სიტუაციის წინაშე. ის ეძებს საგანთა შორის არსებულ ისეთ მიმართებებს, რომლის საშუალებითაც შეძლებს გაურკვეველ ვითარების გარკვევას. ოპერაციული საშუალებების გამოყენებით ახდენს სააზროვნო ამოცანის გადაწყვეტას. მიღებული შედეგები შეაქვს ცნობიერების ველში და საჭირო ვითარებებში ხდება აღნიშნული განწყობის გამოყენება და სიტუაციის გააზრება.

განწყობის შემდგომ საფეხურს სოციალური განწყობა წარმოადგენს. ამ განწყობის შინაგანი ფაქტორი სოციალური მოთხოვნილება და სოციალური მოთხოვნაა. სოციალური განწყობა აღზრდის მსვლელობაში ყალიბდება. აღმზრდელები ბავშვებს უქმნიან წარმოდგენას დასაშვები და დაუშვებელი ქცევების შესახებ. ბავშვს უყალიბდება შეხედულება, თუ როგორი მოთხოვნები მომდინარეობს სოციალური გარემოდან. მასზე თანხმობის და მისი შესრულების პროცესში მას უყალიბდება სოციალური განწყობები. ასე იქმნება სოციოგენური მოთხოვნილებები და განწყობები. ბავშვს მორალურ გარემოში ამგვარად ექმნება შეხედულება ქურდობისა და ძალადობის მიუღებლობის შესახებ. მეორე მხრივ, ასეთი განწყობები ადამიანის მოთხოვნებით იწყება. პიროვნების მოთხოვნის, საზოგადოების თანხმობის და ოპერაციული შესაძლებლობების გამოყენებით ფორმირდება პერსონოგენური სოციალური განწყობა. სოციალური განწყობები განწყობის სხვა სახეებისგან პრინციპულად განსხვავდება, მასში გამოხატულია დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულებები პიროვნების და სოციალური ობიექტებისადმი.

სოციალური მოქმედების სფეროში პიროვნება განსაკუთრებული აქტივობით ხასიათდება. ამ თავისებურებას ქმნის სოციალური განწყობის ის თავისებურება, რომელიც ვალენტობიდან მომდინარეობს. დადებითი განწყობები, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ერთიანდებიან კლასტერში, მტევანში. განწყობათა ამ ერთიანობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს პიროვნებისთვის მაღალი ფასეულობის მქონე განწყობებს. ამგვარად გაერთიანებული სოციალური განწყობები პიროვნების კიდევ ერთ თავისებურებას განსაზღვრავს. სოციალური აქტივობის დროს კონფლიქტურ სიტუაციაში პიროვნება დგება ამოცანის წინაშე აირჩიოს რომელიმე მათგანი და მის სფუძველზე განახორციელოს აქტივობა. პიროვნება ახერხებს კონფლიქტური ქცევებიდან აირჩიოს ისეთი ქცევა, რომელიც მისთვის მეტი ფასეულობით ხასიათდება. ასე სრულდება ნებელობითი აქტივობა. ამგვარი ქცევა ობიექტური აუცილებლობით არ არის განსაზღვრული, ის პიროვნების სტრუქტურის თავისებურებით, ფსიქოლოგიური კანონზომიერებით ხასიათდება. ყოველი პიროვნებისთვის არჩევანი ინდივიდუალურია, მაგრამ ის ყოველთვის განწყობათა მტევნის ცენტრალურ ღირებულებას შეესატყვისება.

2. რატომ არის ბიოგენური და ფსიქოგენური მოთხოვნილებით აღძრული ქცევა აუცილებლად იმპულსური, მაშინაც, თუ მან მოტივაციის პროცესი გაიარა და მისი რეგულაცია ობიექტივაციის პლანში მიმდინარეობს?

მოთხოვნილების ცნების კლასიფიკაცია, ჩვენი შეხედულებით, შემდეგნაირად ხასიათდება: ჩვენ გამოვყოფთ ოთხი სახის ქცევას: საგანზე ბიოლოგიური მოთხოვნილება, საგნის ემოციურად მიღება-მიუღებლობა, საგანთა მიმართების წვდომის რეაქცია, და პიროვნების სოციალური აქტივობა, რომელიც პიროვნების და საზოგადოების მოთხოვნათა საფუძველზე ყალიბდება. ამ ბოლო კლასიდან საგანგებოდ უნდა იქნას განხილული ნებელობითი აქტივობა, რომელიც პიროვნების განწყობათა კლასტერის, მტევნის საფუძველზე ყალიბდება. კონფლიქტურ პირობებში პიროვნება უპირატესობას მტევნის ცენტრთან ახლო მდებარე განწყობათა მიხედვით ქცევებს ანიჭებს, ამ თვალსაზრისით ნებელობითი ქცევა გარკვეული ფსიქოლოგიური კანონზომიერებით ხასიათდება. ის ობიექტური კანონზომიერების საფუძველზე არ სრულდება. ამიტომ ის თავისუფალი ქცევის სახელს ატარებს. ჩვენ მიერ მოტანილ ფილმის მაგალითში უზუსტო დასკვნა გვაქვს გაკეთებული; ტანსაცმლით მოცურავე დადებითი პერსონაჟები ბიოლოგიურ მოთხოვნილებასაც იკმაყოფილებენ და სოციალურ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებენ, რომლის მიმართ დადებითი პიროვნული განწყობა აქვთ. ამიტომ ეს ქცევა ნებელობითია და არა იმპულსური. ეს დასკვნა ჩვენი მსოფლმხედველობითი შეხედულებიდან გამომდინარეობს. როდესაც კონფლიქტური ქცევებიდან მტევნის დადებითი განწყობის ცენტრალურ პოზიციასთან ახლოს დგას ერთ-ერთი ქცევა, პიროვნება მას ირჩევს და ეს არჩევანი მისი ნებელობით არის გაპირობებული.

3. რას წარმოადგენს „სოციალური მოთხოვნა“ როგორც მოტივაციური ცვლადი, რითი განსხვავდება იგი ვთქვათ სოციოგენური მოთხოვნილებიდან?

ეს საკითხი სოციალურ-ფსიქოლოგიურია, ის საგანგებო პასუხს მოითხოვს. სოციალური მოთხოვნა, როგორც მოტივაციური ცვლადი, წარმოადგენს პრეტენზიას მეორე ინდივიდის ან საზოგადოების მიმართ, რომ შექმნან გარემო, რომელიც მას, პიროვნებას, სჭირდება აქტივობისათვის. ხოლო სოციოგენური მოთხოვნა ესაა სპეციფიური მოთხოვნა ადამიანმა მოახდინოს გარემოში გარკვეული საგნის ან მოვლენის ასიმილაცია.

4. რა ბუნებისაა სოციალური მოთხოვნით აღძრული ე.წ. „სოციალური ქცევის ფორმა“, იმპულსური, ნებელობითი თუ კიდევ სხვა?

ამგვარი ქცევა იმპულსურიც შეიძლება იყოს და ნებელობითიც. იმპულსურია, თუ მოთხოვნა ქცევას განსაზღვრავს პიროვნების ჩარევის გარეშე. ნებელობითია, თუ ქცევა ბუნებრივად არ სრულდება და პიროვნული ძალისხმევით უნდა შესრულდეს.

5. რა საფუძველზეა მიჩნეული, რომ მეორე დონის, ანუ იმპულსურსა და ნებელობით დონეებს შორის ქცევები აუცილებლად ინტელექტუალურია (თეორიული)?

ჩვენ ნებელობითი ქცევა ისე დავახასიათეთ, რომ მისი განხორციელება ფასეულობათა პიროვნული მტევნის მიხედვით, ცნობიერი ამორჩევით ხდება, რაც თეორიული, ინტელექტუალური, მოტივაციური პროცესია.

6. რითი მტკიცდება, რომ ქცევის შეფერხებისას დამატებითი კოგნიტური პროცესების ჩართვა აუცილებლად ახალი (თეორიული) განწყობის შექმნას საჭიროებს, როგორც ამას ე.წ. „განწყობის სტატიკური სტრუქტურის“ მოდელი ითვალისწინებს?

ქცევის შეფერხების დროს მიზანშეწონილი ქცევა ვერ სრულდება, რადგან სუბიექტს ქცევის განწყობა არ აქვს. იმისთვის, რომ მიზანშეწონილი გააზრებული ქცევა განხორციელდეს, სათანადო განწყობის შექმნაა საჭირო. ამ შემთხვევაში განსახორციელებელი ქცევა უნდა ითვალისწინებდეს საგანთა შორის მიმართებებს. ამას, ცხადია, სათანადო განწყობა სჭირდება. ეს განწყობა უნდა პასუხობდეს ამოცანას, თუ როგორ განხორციელდეს გააზრებული ქცევა. სათანადო განწყობა რომ შეიქმნას, სათანადო ფაქტორები უნდა არსებობდეს. ასეთ ფაქტორებს ქცევისთვის გაურკვეველი სიტუაცია წარმოადგენს. ამ ვითარებაში სუბიექტს სიტუაციის გაცნობიერებისთვის საჭირო მოთხოვნა უჩნდება. ამავე დროს მან თავი უნდა მოეყაროს ქცევის გარკვევისთვის საჭირო ოპერაციულ სისტემას. ასეთი ფაქტორების ერთდროულად მოქმედების შედეგად, როგორც ეს განწყობის თეორიაში კარგადაა ცნობილი იქნება განწყობა, ხდება ქცევის მზადება, რომლის საფუძველზეც პრინციპულად შესაძლებელი ხდება მიზანშეწონილი ქცევის განწყობის მომზადება და განხორციელება. ამის დასაბუთება ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე მოხდა. ქცევის შემუშავების ექსპერიმენტულ გამოკვლევებში საგანთა კლასის გარკვეული თვისებების მოძებნა აღნიშნული ფაქტორების გაერთიანების საფუძველზე ხორციელდება. ექსპერიმენტები გვიჩვენებენ, რომ სააზროვნო პრობლემების გადაჭრის დროს სუბიექტი ობიექტივაციის უფრო მაღალ დონეზე განწყობის ფორმირების იმავე კანონზომიერებებს იყენებს, რაც აუცილებელია განწყობის ფორმირებისთვის. ამ პროცესების ისეთი ტერმინებით დახასიათება, როგორცაა სტატიკური ან დინამიკური სტრუქტურის მოდელი, უაზროა, რადგან ადგილი აქვს ერთი და იგივე სტრუქტურის გამოყენებით განწყობის ფორმირებას, აქტივობის სხვადასხვა დონეზე. აღნიშნული დონის განწყობების სტატიკურად მოხსენიება განწყობის ბუნებაში ვერ გარკვევის და გაუგებრობის შედეგია. ოპონენტს ეს ტერმინები გამოყენებული აქვს მძლოლის მიერ გასაჩერებელი ადგილის ძებნის მაგალითში. პარკინგის ძებნა არ მოითხოვს ობიექტივაციას და აზროვნების გამოყენებას, ის მიმდინარეობს ცდის და შეცდომის მეთოდით. როცა ინდივიდი თავისი მოქმედების შედეგად ვერ იღებს სასურველ შედეგს, ის ყოველთვის არ მიმართავს ობიექტივაციას, შექმნილი სიტუაციის ანალიზს და არ ეძებს წარუმატებლობის მიზეზს. ამ აქტივობას ფსიქოლოგიაში ცდის

და შეცდომის მეთოდით ამოცანის გადაწყვეტა ეწოდება. ასეთ ქცევას ცხოველები ხშირად და ზოგჯერ ადამიანებიც მიმართავენ. თორნდაიკის ცნობილი ექსპერიმენტი თავის გალიიდან გამოსვლის დასწავლა და საკვების მოპოვება ამ მეთოდით ხდება. ამ პროცესში ობიექტივაციის საფუძველზე განხორციელებული აზროვნება არ მონაწილეობს. მანქანით გასაჩერებელი ადგილის ძიება ასეთი მოქმედებაა. გარდა ამისა, ადამიანი ხშირად ორი სახის მოქმედებას ახორციელებს. მანქანის მართვის დროს გასაჩერებელი ადგილის ძებნა მანქანის ტარების განწყობიდან არ გამომდინარეობს, გასაჩერებელი ადგილის ძებნა აზროვნება არ არის. ობიექტივაციის ღონეზე აზროვნების განხორციელება ახალი განწყობის და ახალი ქცევის შესრულებას გულისხმობს. ის, რომ სიარულის დროს მოხსენებაზე გასაკეთებელ აზრებს ვალაგებ, არ ნიშნავს, რომ აზროვნების განწყობა დინამიურად გამომდინარეობს სიარულის განწყობიდან. მაშასადამე, განწყობის ე.წ. დინამიკური მოდელი, ვარაუდი, რომ სიარულის განწყობა შეიძლება გადავიდეს აზროვნების განწყობაში, გაუგებრობასა და დაბნეულობაზეა აღმოცენებული.

7. რომელი განწყობა წარმართავს ნებელობით ქცევას, აქტუალიზებული ფიქსირებული „პიროვნული განწყობა“, თუ ახალი სიტუაციური განწყობა?, რომლის სუბიექტური ფაქტორია „სოციალური მოთხოვნა“, ხოლო ობიექტური – „სოციუმის მოთხოვნა ან უთანხმოება“?

- არც ერთი და არც მეორე. ნებელობით ქცევას კონფლიქტურ ვითარებაში ის განწყობა განსაზღვრავს, რომელიც პიროვნების განწყობათა მტევანში ახლოა ცენტრალურ დიდი ღირებულების მქონე დადებით განწყობასთან. პიროვნება ამ ნიშნის მიხედვით ირჩევს განსახორციელებელ თავისუფალ ქცევას. აღნიშნულ ვითარებაში არჩევანის გაკეთება თავისუფალი ქცევის აუცილებელი მახასიათებელია. განწყობის თეორიის მიხედვით ასე გამოიყურება პიროვნების ნებელობითი ქცევა.

8. რატომაა მოტივაციური პროცესი ინტელექტუალური, არსებობს თუ არა საკუთრივ მოტივაცია, როგორც სპეციფიკური ფსიქიკური მოვლენა?

მოტივაცია იმ ღირებულების გამონახვაა, რომლის საფუძველზეც პიროვნება გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ქცევას.

9. როგორ შეიძლება ნებელობითი ქცევის მეცნიერული შესწავლა, თუ ის არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება, არც კაუზალურს, არც იმპლიკაციურს და საზოგადოდ აუცილებლობის და განსაზღვრულობის კატეგორიებთან არაფერი აქვს საერთო?

ნებელობით ქცევა არ ემორჩილება კაუზალობას, აუცილებლობას, განსაზღვრულობას, იგი ახსნადია და ეყრდნობა დადებით განწყობათა მტევანს, კლასტერს, რომელშიც ცენტრალური ადგილი უკავია დადებითი ვალენტობის მქონე სოციალურ განწყობებს. ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად ირკვევა, რომ ყოველი პიროვნება ხასიათდება დიფერენცირებული სტრუქტურით, ამიტომ ადამიანის თავისუფალი ქცევა უნიკალური ნიშნებით ხასიათდება და სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებულად გამოიყურება. ამის გამო ადამიანის თავისუფალი ქცევა მისი უფლების და მოვალეობის უზრუნველყოფას, დაცვას მოითხოვს.

10. როგორ უკავშირდება თავისუფლების კატეგორია განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას, თუ ეს უკანასკნელი დეტერმინისტულ-მონოთეორ-ექსპერიმენტულ პარადიგმას ეფუძვნება?

თავისუფლების ქცევის კვლევა განწყობის თეორიის მიერ შესაძლებელია, რადგან, ერთი მხრივ, ის იკვლევს ადამიანის აქტივობის ობიექტურ კანონზომიერებებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი შეისწავლის ფსიქიკის სფეროში მოქმედ სულიერ პროცესებს, რომლებიც უნიკალურ ფსიქიკურ კანონზომიერებებს ემყარება. თავისუფალი ქცევა თუ ერთ პიროვნებაში უნიკალურ ღირებულებათა მტევნის, რომელიმე მნიშვნელოვანი ფასეულობის მქონე განწყობის საფუძველზე ხორციელდება, მეორე პიროვნება სხვა ფასეულობას ეყრდნობა და ირჩევს. ამის გამო მისი შემეცნება ფსიქოლოგიური კანონზომიერებების გათვალისწინებით ხდება.

Dimitri Nadirashvili

**The Phenomenon of Willpower from the Position of Modern
Theory of Attitude Viewpoint
(Response to I.Imedadze's Critical Article)**

Summary

The given article is the response to Irakli imedadze's critical article "The Actual problems of the Theory of Willpower (regarding Dimitri Nadirashvili's research) published in the journal "Sakartvelos Fsikologiis Matsne" 2010. The author investigates and analyzes the phenomenon of Willpower and it's specific.

მაია კალანდარიშვილი

ფიქსირებული განწყობა, როგორც სამომხმარებლო არჩევანის დეტერმინანტი

ნებისმიერი სფეროს წარმატება თუ განვითარება წარმოუდგენელია მხოლოდ საკუთარი თავისთვის, ის აუცილებლად გაზიარებული უნდა იქნას გარემოსთან, ინტეგრირებული სამყაროსთან. იმას, რასაც ქმნიან მსოფლიოში ორგანიზაციები, აუცილებლად უნდა ჰყავდეს ადრესატი და ეს არის მომხმარებელი.

მომხმარებელი არის ნებისმიერი ინდივიდი, რომელიც მოიხმარს ან გამოიყენებს ნებისმიერ პროდუქტს თუ მომსახურებას. უმეტესად ეს დაკავშირებულია ეკონომიკასთან. ბიზნესსა და მარკეტინგში მომხმარებელი არის ადამიანი ან ადამიანების ჯგუფი, რომლებიც შეიძენენ პროდუქტს ან მომსახურებას გარკვეულ საფასურად. მარკეტოლოგები დიდ ყურადღებას აქცევენ და შეისწავლიან მომხმარებელს ცალკე ინდივიდუალურად, სიღრმისეულად, რათა უფრო წარმატებული იყოს მათი საქმიანობა. ბოლო წლების მიმდინარეობაა ინდივიდუალიზაციის კონცეფცია. ეს ნიშნავს, რომ უფრო და უფრო აქტუალური ხდება მომხმარებლის ფსიქოლოგია და მისი შესწავლა სიღრმისეულად.

მომხმარებლის ფსიქოლოგიის შესწავლისას მნიშვნელოვანია

შემდეგი ფაქტორების გამოკვეთა:

- ✓ რას ფიქრობს, გრძნობს და როგორ არჩევანს აკეთებს მომხმარებელი.
- ✓ რა გავლენას ახდენს მომხმარებელზე სოციალური გარემო.
- ✓ ყიდვის ქცევის განხორციელებისას მომხმარებლის ქცევა.
- ✓ მომხმარებლის ცოდნა ან ინფორმაციის გამოყენება გადაწყვეტილების მიღების დროს.
- ✓ როგორია მომხმარებლის მოტივაცია ან გადაწყვეტილების მიღების სტრატეგია.

მომხმარებლის ქცევა ნიშნავს იმის შესწავლას, თუ როდის, რატომ, როგორ და სად ყიდულობს ან არ ყიდულობს ხალხი პროდუქტს ან მომსახურებას. მომხმარებლის ქცევის შესწავლა არის მცდელობა იმისა, რომ გავიგოთ მყიდველის განზრახვა, რასაც მოსდევს ქცევის განხორციელება. მყიდველზე შეიძლება გავლენას ახდენდეს სოციოკულტურული გარემო, ოჯახი, მეგობრები. “მომხმარებლის სტატუსი გულისხმობს სამ სხვადასხვა როლს: მომხმარებელი, გადამხდელი, მყიდველი. წარმატებისთვის სამივე როლი კომფორტული უნდა იყოს მისთვის. მომხმარებლის ქცევის ანალიზი დაფუძნებულია ყიდვის ქცევაზე, რაც უნდა პასუხობდეს ერთ მთავარ კითხვას, რა სურს, რას ეძებს მყიდველი.” (4)

მომხმარებლის ფსიქოლოგიაზე როდესაც ვსაუბრობთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ბაზრის სეგმენტაციის ძირითადი პრინციპები.

მარკეტინგული სეგმენტაციის ძირითადი სახეებია: გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური.

გეოგრაფიული სეგმენტაციის დროს ადამიანთა დაყოფა ხდება მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით. ამ პრინციპს საფუძვლად უდევს ის მოსახრება, რომ ერთ ადგილად მცხოვრებ ადამიანებს ახასიათებთ მსგავსი მოთხოვნილებები, სურვილები და უპირატესობები, რაც მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება სხვა გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ადამიანებისაგან. ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებლის ფსიქოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სად ტარდება ესა თუ ის კვლევა, რა ტიპის ბაზარია იმ

გეოგრაფიულ არეალში. საინტერესოა, რა ხდება საქართველოს ბაზარზე როგორც მარკეტინგული, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რომელიც არ არის განებივრებული კვლევების სიმრავლით.

დემოგრაფიული სეგმენტაცია არის სეგმენტაციის კიდევ ერთი სახე, რომელიც ეყრდნობა ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის სტატისტიკურ კლასიფიკაციას. მაგალითად: მოსახლეობა შეიძლება დაიყოს სქესის, ასაკის, განათლების, საქმიანობის, რასის, სოციალური კლასის, ოჯახის ზომის და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

დემოგრაფიული სეგმენტაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ასაკი. თუმცა მომხმარებლის ასაკის მიხედვით სეგმენტაციის დროს უნდა გავითვალისწინოთ ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორი, როგორცაა მომხმარებლის მიერ საკუთარი ასაკის აღქმა. ხშირად აღქმული ასაკი არ ემთხვევა ადამიანის ქრონოლოგიურ ასაკს.

პროდუქციის მწარმოებლებს ბაზრის სეგმენტაციის დროს შეხება აქვთ სწორად აღქმულ და არა ქრონოლოგიურ ასაკთან. სეგმენტაცია სწორედ აღქმული ასაკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

ფსიქოლოგიური სეგმენტაცია არის ბაზრის სეგმენტაციის კიდევ ერთი და ძალზე მნიშვნელოვანი სახე, რომელიც დროსაც ადამიანი განიხილება როგორც უნიკალური და დამოუკიდებელი არსება და ის მრავალმხრივ შეისწავლება. ბაზრის სეგმენტაციის ამ ტიპს ხშირად ფსიქოგრაფიულ ან ცხოვრების სტილების მიხედვით სეგმენტაციას უწოდებენ.

“ამასთან ერთად ეს მიდგომა ემყარება ისეთ ფუნდამენტურ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, როგორცაა: მოტივაცია, აღქმა, პიროვნული ტიპები, სწავლება, აგრეთვე განწყობათა ჩამოყალიბება და ცვლა. ამგვარი მიდგომის მიზანია იმის გაგება, თუ რა ამოდრავებს მომხმარებელს მსყიდველობით ქცევის დროს. აგრეთვე ისეთი ინდივიდუალური პროფილის შემუშავება, რომელიც გამოხატავს მიზნობრივი მომხმარებლის არსს.” (5)

მომხმარებლის პროფილის ჩამოსაყალიბებლად მკვლევარებმა ყურადღება გაამახვილეს მომხმარებლის ქცევის სამ ასპექტზე:

აქტიურობა – როგორ ატარებს ხალხი დროს. მაგალითად: სამუშაო, გართობა, ოჯახი, შესყიდვები.

ინტერესები – რითი ინტერესდება ყველაზე მეტად ხალხი (ოჯახი, გართობა, სამუშაო, დასვენება, კვება)

რწმენა – როგორ აღიქვამენ ადამიანები საკუთარ თავს და გარე სამყაროს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ისეთი რწმენები, როგორცაა ბიზნესთან, საკუთარ მომავალთან, განათლებასთან დაკავშირებული რწმენა.

როგორ ზემოქმედებენ პიროვნული ფაქტორები მსყიდველობით ქცევაზე: ფსიქოლოგიაში მრავალი თეორია არსებობს პიროვნული მახასიათებლების შესახებ, მაგრამ მომხმარებლის ფსიქოლოგიის მკვლევარები და მარკეტოლოგები ძირითადად კონცენტრირდებიან არიან შემდეგ ოთხ თეორიაზე: ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზი, ნეოფროიდისტული ფსიქოანალიზი, ”მე-ს” თეორია, პიროვნულ მახასიათებელთა თეორია.

პიროვნების თეორიისადმი ფსიქოანალიტიკური მოდგომა მჭიდროდ უკავშირდება ზიგმუნდ ფროიდის შრომებს. ფროიდი გვთავაზობს ადამიანის პიროვნების სტრუქტურას, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან: იდი, ეგო, სუპერეგო.

მომხმარებლის ფსიქოლოგიას აინტერესებს ფსიქოანალიტიკური მიდგომა იმ თვალსაზრისით, რომ არაცნობიერი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მომხმარებლის მსყიდველობით ქცევაზე. ფროიდისტული თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ არაცნობიერი წარმოადგენს ჩვენი ქცევის ძირითად განმსაზღვრელს. მარკეტინგის ჭრილში ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი პროდუქტის შეძენისას ვერ აცნობიერებს საკუთარ მოთხოვნილებებს. თანამედროვე რეკლამის უმეტესობა ცდილობს მოახდინოს ფანტაზიის, სურვილების სტიმულაცია, რომლის საფუძველში დევს ისეთი ბიოლოგიური ფაქტორები, როგორცაა სქესობრივი მოთხოვნილება, აფილაცია და აგრესია.

კომპანიები, რომლებიც ატარებენ სარეკლამო და მარკეტინგულ კვლევებს, ცდილობენ მოიპოვონ იდეები პროდუქტის განსავითარებლად მომხმარებელთა გამოკითხვის საშუალებით. ისინი იყენებენ მრავალფეროვან წერით და ვიზუალურ მეთოდებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევადწინოთ არაცნობიერ პროცესთა სფეროში. ზიგმუნდ ფროიდის თეორიაზე დაფუძნებული მეთოდებიდან მომხმარებლის ფსიქოლოგიაში ყველაზე ფართოდ გამოიყენება MMPI, TAT, რორშახის ტესტი.

პიროვნულ მახასიათებელთა თეორია, პირველი სამი თეორიისგან განსხვავებით, ეფუძნება ემპირიულ მონაცემებს. მისი მიზანია პიროვნული მახასიათებლების გამოვლენა და გაზომვა ექსპერიმენტული, სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდების მეშვეობით. ყოველი ეს მახასიათებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, მაგალითად: წონა, სიმაღლე, ასევე ფსიქიკური: ინტელექტი, შემოქმედებითი მიმართულება და ა.შ.

ამ სფეროში ერთ-ერთი ძირითადი თეორეტიკოსი არის რაიმონდ კეტელი..

მომხმარებლის ქცევის გასაგებად იყენებენ „ბრენდის“ პიროვნული მახასიათებლის მეთოდს. რეკლამის შემქმნელები ცდილობენ შექმნან „ბრენდის“ ფსიქოლოგიური პორტრეტი. მათი მიზანია მომხმარებელს ბრენდზე გარკვეული ასოციაციები შეუქმნან. მაგალითად, ქალური, აგრესიული, ახალგაზრდული, მოდური, ელევანტური და ა.შ.

ამ მიდგომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მივადწინოთ ბრენდის ცნობადობას მომხმარებლის მიერ და, თუ ეს შესაძლებელია, გამოვიწვიოთ მომხმარებელში რაიმე სიმპატია, განწყობა, დამოკიდებულება, ბრენდის მიმართ როგორც რეალური პიროვნების მიმართ. (1)

„ბრენდის პიროვნების“ ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია ფერი, რადგან თითოეული ფერი შესაბამის ასოციაციას იწვევს. მაგალითად: თეთრი ასოცირდება სისუფთავესთან, წითელი ვნებასთან, ლურჯი სიცივესთან, შავი ელევანტურობასთან, დახვეწილობასთან, იდუმალებასთან და ა.შ.

როგორც პიროვნების, ასევე მომხმარებლის არჩევანი მოიცავს რთულ ფსიქიკურ პროცესებს და მათი კორელაცია რაიმე პროდუქტთან ან ბრენდთან მნიშვნელოვანია მარკეტოლოგებისა და მომხმარებლის ფსიქოლოგებისათვის.

მომხმარებლის ქცევა მოიცავს მთელ რიგ ფსიქოლოგიურ პროცესებს, რომლებიც უნდა გაიაროს მომხმარებელმა, რათა აღმოაჩინოს: 1) რისი მოთხოვნილება აქვს, 2) იპოვოს გზა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, 3) მიიღოს ყიდვის გადაწყვეტილება კი ან არა და თუკი მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას, აირჩიოს ბრენდი და ადგილი.

მომხმარებელი განიცდის სხვადასხვა ტიპის ზეგავლენას. ლარს პერნერი (2007) გვთავაზობს მომხმარებლის ქცევაზე ზეგავლენის შემდეგ ელემენტებს: აღქმა, შეგრძნება, კოგნიცია, ეფექტი, რწმენები, სოციალური გავლენა. სხვა მკვლევარების მოსაზრებით მომხმარებელი ასევე განიცდის კულტურულ, ფიზიკურ, იმიჯის, შესწავლის (გამოცდილების) ზეგავლენას ყიდვის ქცევის დროს.

არჩევანის და გადაწყვეტილების მიღებამდე მომხმარებელი აღმოაჩენს პრობლემას და გაანალიზებს მას, მეორე ნაბიჯი არის ინფორმაციის მოპოვება ან ალტერნატიული გზების მოძიება, ალტერნატივების გადასინჯვა, ევოლუცია, ყიდვის ქცევა და პოსტყიდვის ქცევა. მომხმარებლის ჩართულობა და მოტივაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. მიზნის მისაღწევად აუცილებელია მომხმარებელში აღვიძროთ სურვილი, რომელიც უნდა დასრულდეს სარგებლის მოტანით. ამისათვის ხშირად იყენებენ ე.წ. მნიშვნელობების ჯაჭვს. სადაც ახასიათებენ პროდუქტს საწყის ეტაპზე ფიზიკური მნიშვნელობებით, შემდეგ პროდუქტის გამოყენების მნიშვნელობებით და ბოლოს უფრო აბსტრაქტული მახასიათებლებით. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება რეკლამაშიც.

ასევე მნიშვნელოვანია მომხმარებლის ატიტუდი, რაც გულისხმობს რწმენებს პროდუქტის შესახებ, გრძობებს და მოქმედების ინტენსივობას პროდუქტის მიმართ.

ძალიან მნიშვნელოვანია განწყობის და ქცევის მიმართების კვლევა. შეიძლება ითქვას, მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან დაწყებული დღემდე ამ საკითხთან დაკავშირებით ცხარე დებატებია. ამ საკითხს მრავალი ავტორი განიხილავდა: რ. ლაპიერი (1934) ა. დევიდსონი (1937) და სხვები. ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლების ფართოდ ეხებიან სოციალური განწყობისა და ქცევის მიმართებას. საკითხს იკვლევენ თეორიული თუ პრაქტიკული კუთხით. (მ.

ბალიაშვილი (1980) ნადირაშვილი შ. (1983)) ერთ-ერთი მოდელის მიხედვით (ი. ეიზენი, მ. ფიშბენი (1966)) ქცევის განსაზღვრელ ფაქტორად აღიარებულია ქცევითი განსაზღვრა. ქცევის განსაზღვრა გულისხმობს, რომ პიროვნების ქცევა ნებელობით კონტროლს ექვემდებარება. განზრახვა ქცევის საპირისპირო მხარეებს ეხება, ქცევა შეასრულოს ან არ შეასრულოს. ამგვარად ქცევითი განზრახვა აღიარებულია, როგორც რეალური ქცევის უშუალო დეტერმინანტი. გარკვეულ სიტუაციაში პიროვნება სპეციფიკურ ქცევის განსაზღვრას მიმართავს. ამიტომაც, განზრახვის ცოდნა გულისხმობს, რომ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ პიროვნების ქცევა. ქცევის განსაზღვრას თავისი დეტერმინანტები გააჩნია ვთქვათ განწყობა აქტივობის მიმართ, რაც პიროვნულ ფაქტორადაა დასახელებული და სუბიექტული ნორმა.

საინტერესოა რამდენად უწყობს ხელს სარეკლამო რგოლი პროდუქტის ყიდვის განსაზღვრას, რამდენად აღძრავს სხვადასხვა სარეკლამო რგოლი საქონლის თუ მომსახურების ყიდვის სურვილს. როგორც ვიცით, რეალურ ქცევას წინ უძღვის ქცევითი განსაზღვრა, რომელიც პირველს უშუალოდ განსაზღვრავს. განწყობის თვალსაზრისით რეალური ქცევა გაშუალებულია განწყობით. არსებობს სხვადასხვა მოდელები, რომელთაც შესაძლებელია ქცევითი განზრახვის, ჩვენს შემთხვევაში პროდუქტის ან მომსახურების ყიდვის განზრახვის გამოვლენა. ეს პროცესი გარკვეულ კონცეპტუალურ მიდგომებს ეყრდნობა. ერთ-ერთი ასეთი მოდელია ეიზენის და ფიშბენის. მოდელში ქცევის უშუალო დეტერმინანტად მიჩნეულია ქცევითი განზრახვა. განზრახვა კი დეტერმინებულია სოციალური და პიროვნული ფაქტორებით. პროდუქტის ყიდვის განზრახვა შეიძლება სხვადასხვა ფაქტორმა განსაზღვროს. სარეკლამო რგოლი დიდ ზეგავლენას ახდენს მსგავსი განზრახვების ჩამოყალიბებაზე, ყიდვის განზრახვის აღძვრას. თუ განზრახვა რეალურ ქცევაში განხორციელდა ანუ პროდუქტის ან მომსახურების მომხმარებლის გამოცდილება არსებობს (მისი შეფასება დადებითი ან უარყოფითი) მაშინ შესაძლოა პროდუქტი ან მომსახურება მისაღები ან მიუღებელი იყოს. საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით: “კოკა-კოლას” რეკლამასთან დაკავშირებით შემდეგი შედეგი. კორელაცია მაღალია ქცევით განზრახვასა და განწყობას შორის $R=0,846$ მონაცემებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ განწყობის კავშირი ყიდვის ქცევის განზრახვასთან მნიშვნელოვანია. რეგრესიული ანალიზის საფუძველზე ქცევითი განზრახვა “კოკა-კოლის” მიმართ არის $r=0,849$, X^2 გიჩვენებს რეგრესიას დამოკიდებულ ცვლადში (ქცევითი განზრახვა) ანუ ოდენობას. $X^2=72\%$, რაც ძლიერი ეფექტის მაჩვენებელია.

კვლევის მიზანი

1) ჩვენი კვლევის მიზანია ქართულ ბაზარზე პოპულარული ბრენდების გამოვლენა და გამოკვლევა, თუ რამდენად ხდება ბრენდების მიმართ ბუნებრივად ფიქსირებული განწყობები ყიდვის ქცევის დეტერმინანტი.

2) განწყობის ფიქსაციის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ფაქტორთა გამოვლენა. კერძოდ, ჩვენთვის საინტერესოა, რა ასოციაციური სიტყვა-მახასიათებლებით ხასიათდება ესა თუ ის ბრენდი და არის თუ არა ეს მახასიათებლები ბრენდის პოპულარობის განმსაზღვრელი, ამ ნიშნის თუ მახასიათებლის გამო ირჩევს მას მომხმარებელი, თუ მომხმარებლის ქცევა დეტერმინებულია რეკლამის სიხშირის ზემოქმედებით.

კვლევის მეთოდები

პროექციული მეთოდები: თავისუფალი და შეზღუდული ასოციაციების და წინადადებების დასრულების მეთოდები. გამოკითხვისა და დაკვირვის მეთოდები.

ექსპერიმენტი №1 (თავისუფალი ასოციაციები)

ცდის მიზანი: ტესტ-სიტყვებზე თავისუფალი ასოციაციების მეთოდის საშუალებით ბრენდების გამოვლენა. შემდეგ კატეგორიებში: **გამაგრილებელი სასმელი, ყავა, შოკოლადი, ღვინო, სარეცხი ფხვნილი, საღებავი რეზინი**

მეთოდი: პირველ ექსპერიმენტში ჩვენ გამოვიყენეთ თავისუფალი ასოციაციების ტესტი. (3) ექსპერიმენტატორი უკითხავს ცდისპირებს სიტყვას და ცდისპირი ყოველი სიტყვის შემდეგ, რაც შეიძლება სწრაფად, ასახელებს სიტყვა-ასოციაციას. შევადგინეთ მარტივი სიტყვების სია, (10 სავარჯიშო და 30 ძირითადი) რომელშიც შერეული იყო 6 ტესტ-სიტყვა: **გამაგრილებელი სასმელი, ყავა, შოკოლადი, ღვინო, სარეცხი ფხვნილი, საღებავი რეზინი.**

ცდისპირები: ექსპერიმენტი ჩატარდა შემთხვევითად შერჩეულ 50 ცდისპირზე. 20-დან 40 წლამდე.

ექსპერიმენტი №2 (წინადადების შევსება-დასრულება)

ცდის მიზანი: ბრენდების გამოვლენა შემდეგ კატეგორიებში: **გამაგრილებელი სასმელი, ყავა, შოკოლადი, ღვინო, სარეცხი ფხვნილი, საღებავი რეზინი.**

კვლევის მეთოდი: მეორე ექსპერიმენტში ჩვენ გამოვიყენეთ წინადადების დასრულების მეთოდი. შევადგინეთ 18 წინადადება, ისე რომ წინადადებების შინაარსმა უბიძგოს ცდისპირს გამოტოვებულ ადგილზე ჩაწეროს ჩვენს მიერ შერჩეული კატეგორიებიდან (გამაგრილებელი სასმელი, ყავა, შოკოლადი, ღვინო, სარეცხი ფხვნილი, საღებავი რეზინი) რომელიმე პროდუქტის დასახელება.

ცდის პირები: ექსპერიმენტი ჩატარდა შემთხვევითად შერჩეულ 50 ცდის პირზე. ორივე სქესი, 20-დან 40 წლამდე. განსხვავებული ექსპერიმენტული ჯგუფი.

ცდის მიმდინარეობა: ცდისპირებს წავუკითხეთ ინსტრუქცია და დავურივეთ ტესტები. ტესტი შედგება 18 სპეციალურად ამ ექსპერიმენტისთვის შედგენილი წინადადებისაგან. წინადადებები შედგენილი იყო იმ პრინციპით, რომ ცდისპირს დაეწერა რაიმე ბრენდის დასახელება. ნიმუში იხილეთ ოქმი №1-ში

ოქმი №1

1) 3 საათზე საქმიანი შეხვედრა მქონდა. სამსახურიდან თავი სულ რაღაც 40 წთ-ით განვითავისუფლე. თან ძალიან მშვიდა. ვიფიქრე ერთი ბუტერბროტის ჭამას მოვასწარებ, თან არასასიამოვნო სუნის გასაქრობად საღებავი რეზინი „——“ ვიყიდი.

2) მთელი ღამე ვმუშაობდი. დილით სამსახურში ახალი პროექტი უნდა წარმედგინა. ისე გამოვედი სახლიდან, საუზმეც ვერ მოვასწარი. დირექტორს შეაგვიანდა. ლოდინში ძილი მომერია, ვიფიქრე ერთი ჭიქა ყავა გამომაფხიზლებს მეთქი და კაფეში ჩავედი შევუკვეთე ყავა „——“. და ა .შ.

ექსპერიმენტული შედეგების ანალიზი: ყველა კატეგორიაში გამოიკვეთა ბრენდები, დავთვალეთ მათი სიხშირეები. ეს ბრენდები დავალაგეთ სიხშირეების მიხედვით.

თავისუფალი ასოციაციებისა და წინადადებების დასრულების ტესტების შედეგად გამოიკვეთა ლიდერი ბრენდები ყველა კატეგორიაში. ქართველი მომხმარებლისთვის **გამაგრილებელი სასმელებიდან** ყველაზე პოპულარულია **კოკა-კოლა და ფანტა, ყავაში - ნესკაფე და იაკობსი, შოკოლადებში** გამორჩეული ლიდერია **ბარამბო, ღვინოებში** გვაქვს სამი ლიდერი ბრენდი: **თელიანი ველი, საფერავი ხვანჭკარა, სარეცხი ფხვნილებიდან** აშკარად გამორჩეულია **არიელი, საღებავი რეზინებში** კი თითქმის ერთნაირად პოპულარულია **ორბიტი და დიროლი**. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი ბრენდი მხოლოდ ერთჯერ არის აღნიშნული, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს ამ ბრენდების უგულებელყოფას. ერთჯერ დასახელებული ბრენდებიც კი ძალიან

მნიშვნელოვანია, რადგან თითოეულ კატეგორიაში არსებობს კიდევ სხვა ბრენდებიც, რომლებიც საერთოდ არ გახსენებიან ცდისპირებს.

1) ექსპერიმენტი №3 (შეზღუდული ასოციაციები)

ცდის მიზანი: შეზღუდული ასოციაციების ტესტი გამოვიყენეთ იმის გასარკვევად, თუ რა განაპირობებს ბაზარზე ბრენდის პოპულარობას, რა მახასიათებლების გამო, რა თვისებების გამო ირჩევს ამა თუ იმ პროდუქტს მომხმარებელი.

კვლევის მეთოდი: ამ ექსპერიმენტში ჩვენ გამოვიყენეთ შეზღუდული ასოციაციების მეთოდი. თავისუფალი ასოციაციებისგან განსხვავებით, აქ ცდისპირებს ევალებათ პირველი (თავისუფალი ასოციაციები) და მეორე (წინადადებების დასრულება) ექსპერიმენტის შედეგად მიღებული ბრენდები დაახასიათონ სამი ასოციაციით.

დასკვნები: შეზღუდული ასოციაციის ექსპერიმენტის შედეგად ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბრენდის პოპულარობას ბაზარზე განაპირობებს ის ასოციაციური მახასიათებლები, რომლებითაც ახასიათებენ ბრენდს ცდისპირები.

შერჩეული ბრენდები ცდის პირებმა დაახასიათეს სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის ეკონომიურითაც, მაგალითად „იაფი“, თუმცა ზოგჯერ ეს სიტყვა უარყოფითი მნიშვნელობით იყო გამოყენებული. ასე მაგალითად; უვარგისი, უგემური, იაფი. საკმოდ დიდი სიხშირით არის გამოყენებული სიტყვები: გემრიელი, ტკბილი, სასარგებლო, არომატული, ქართული, სურნელოვანი, ბავშვური. მაგალითად შოკოლადი ბარამბოს შემთხვევაში ლიდერი ასოციაციური მახასიათებელია „ქართული“. ანუ ბრენდის წარმატების ერთ-ერთი ნიშანი მისი წარმოების ადგილია, მომხმარებლისთვის კი ეს პატრიოტული ხასიათის გამოვლენაა.

ასოციაციური სიტყვა მახასიათებლები დავალაგეთ სამ კატეგორიად: დადებითი, უარყოფითი, ნეიტრალური. აღნიშნულ შედეგებში ლიდერი ბრენდი, კოკა-კოლა 77%-მა დაახასიათა დადებითი სიტყვებით, 17%-მა კი უარყოფითად და ცდის პირების 6% ნეიტრალურია ამ სასმელის მიმართ. ბოლო ადგილზე მყოფი გამაგრილებელი სასმელი „ზანდუკელი“ დადებითად დაახასიათა 32%-მა, უარყოფითად ასევე 32%-მა და ნეიტრალური 36% ცდის პირია. იხილეთ დანართი 7. რეიტინგის შესაბამისად დადებითი ასოციაციური მახასიათებლების პროცენტმა დაიწია, ხოლო უარყოფითი მახასიათებლის მაჩვენებელი გაიზარდა. ეს კი ნიშნავს, რომ ბრენდის პოპულარობას გარკვეულ წილად განსაზღვრავს მომხმარებლის დამოკიდებულება ბრენდის მიმართ.

წვენი „სანდორას“ შემთხვევაში ცდის პირთა 62%-მა დაახასიათა იგი დადებითად, 12%-მა უარყოფითად და ეს ბრენდი ჩვენი კვლევებით სულაც არ დგას ლიდერ პოზიციაზე. ბრენდის პოპულარობას გარკვეულ წილად განსაზღვრავს მომხმარებლის დამოკიდებულება ბრენდის მიმართ, თუ რა ასოციაციებს იწვევს ბრენდი მასში. თუმცა ეს მიმართება ყოველთვის ასეთი არ არის. ბრენდის მახასიათებლები ყოველთვის არ განსაზღვრავენ ბრენდის პოზიციას ბაზარზე, ანუ მომხმარებელი მხოლოდ ამ მახასიათებლების გამო არ ირჩევს პროდუქტს. მასზე სხვა გარე კრიტერიუმებიც მოქმედებენ. (ცხრილი 1)

ცხრილი №1 - დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური სიტყვების პროცენტული მაჩვენებლები:

გამაგრილებელი სასმელი		
კოკა-კოლა		
დადებითი:	უარყოფითი:	ნეიტრალური:
67	15	5
77%	17%	6%

ფანტა		
დადებითი:	უარყოფითი:	ნეიტრალური:
47	31	7
55%	36%	9%
სანდორა		
დადებითი:	უარყოფითი:	ნეიტრალური:
55	11	23
62%	12%	26%
ზანდუკელი		
დადებითი:	უარყოფითი:	ნეიტრალური:
22	22	25
32%	32%	36%

გამოვთვალეთ კორელაციები პირველი (თავისუფალი ასოციაციები), მეორე (წინადადებების დასრულება) ექსპერიმენტულის მონაცემებსა და მალაზიაში გამოკითხვის საფუძველზე აღებული რეალური გაყიდვების მონაცემებს შორის. გამოვლინდა შემდეგი კორელაციები: **გამაგრილებელი სასმელები** $r=0,65$ $P<0.05$, **ყავა** $r=0,16$, $P>0.05$ **შოკოლადი** $r=0,84$, $P<0.05$ **ღვინო** $r=0,07$, $P.>0.05$ **სარეცხი ფხვნილი** $r=0,54$, $P<0.05$ **საღებჭი რეზინი** $r=0,27$. $P>0.05$

ასევე გამოვთვალეთ კორელაციები პირველ (თავისუფალი ასოციაციები), მეორე (წინადადების დასრულება) და სატელევიზიო რეკლამების სიხშირეების ექსპერიმენტს შორის: **გამაგრილებელი სასმელები** $r=0,08$, $P>0.05$ **ყავა** $r=0,95$, $P<0.05$ **შოკოლადი** $r=0,73$ $P<0.05$, **ღვინო** $r=0,02$, $P>0.05$ **სარეცხი ფხვნილი** $r=0,14$, $P>0.05$ **საღებჭი რეზინი** $r=0,57$. $P<0.05$

გამოვთვალეთ კორელაციები გაყიდვების რაოდენობასა და სატელევიზიო რეკლამის სიხშირეებს შორის: **გამაგრილებელი სასმელები** $r=0,31$, $P.>0.05$ **ყავა** $r=0,20$, $P>0.05$ **შოკოლადი** $r=0,48$, $P<0.05$ **ღვინო** $r=0,22$, $P>0.05$ **სარეცხი ფხვნილი** $r=0,54$, $P<0.05$ **საღებჭი რეზინი** $r=0,16$. $P>0.05$

მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ: გარკვეული ბრენდების მიმართ ბუნებრივად ფიქსირებული განწყობები შესაძლებელია გახდეს ყიდვის ქცევის დეტერმინენტი. მაგ, ისეთი პროდუქტები როგორცაა: **კოკა-კოლა, ფანტა, არიელი, ბარამბო, ღიროლი, ორბიტი, ნესკაფე**, მყარადაა ფიქსირებული მომხმარებლის ცნობიერებაში, ძირითადად დადებითად ხასიათდება და მომხმარებლის უნებლიე ასოციაციათა დიდ უმრავლესობას შეადგენს. ამასთან, განწყობათა ფიქსირების დეტერმინანტები შესაძლებელია იყოს პროდუქტის თვისებები ასახული მომხმარებლის ცნობიერებაში, ანუ მომხმარებლის სუბიექტური შეფასება, დამოკიდებულება ბრენდთან ან რეკლამის ზემოქმედება. ჩვენი მონაცემებით, კორელაციები მაღალი სიხშირით ასოცირებულ ბრენდებსა და გაყიდვების სიხშირეს შორის უფრო მაღალია, ვიდრე გაყიდვებსა და რეკლამების სიხშირეს შორის ზოგადად. **გამაგრილებელი სასმელები, შოკოლადი და სარეცხი ფხვნილის** მაღალი სიხშირის ბრენდები მგრძნობიარე არიან გაყიდვების მიმართ, ხოლო **ყავა და საღებჭი რეზინი** – სატელევიზიო რეკლამების მიმართ. ერთადერთი არამგრძნობიარე

ბრენდი არის ლეინო, სადაც გამოკვეთილი ლიდერი ისედაც არ იყო, ანუ არ არის მყარი ფიქსაციები, ამიტომაც კორელაციებში არ იკვეთება მგრძობიარობა რომელიმე კომპონენტის მიმართ.

Maia kalandarishvili

Fixed Attitudes as a Determinator of Consumer Choice

Summary

“The fact is, everyone is in sales. Whatever area you work in, you do have clients and you do need to sell.” Jay Abraham_Marketing expert.

So to be successful you need to have satisfied consumer, and to be successful is always actual.

The article describes the use of projective techniques in consumer research. Research on marketing and consumer behaviour has often focused on the measurement of attitudes, because attitudes have been perceived as powerful determinants of behaviour. Projective techniques can provide a depth of understanding of what people truly think and feel about a consumer object.

We tried to use these projective techniques in Georgian population. To answer the questions “how”, “why”, and “what” Georgian consumer wants. We tried to research which brands are leaders and why people choose them

So after we have data collections of projective methods we can predict brands future as per consumer’s assessment

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბალიაშვილი მარინე სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტიობა. თბილისი, 1980
2. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია ტ.2 თბილისი, 1983
3. კალანდარიშვილი მაია 2010წ. “სამომხმარებლო ბაზრის ფსიქოლოგიური სეგმენტაცია.” გამომცემლობა “უნივერსალი”. თბილისი.
4. კალანდარიშვილი მაია 2011 წ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, თბილისი გამომც: “უნივერსალი”
5. კარლ გუსტავ იუნგი. 2003 წ. “ანალიზური ფსიქოლოგია”, თბილისი, გამომცემლობა “დიოგენე”.
6. Lars Perner. 2007. “Consumer Behaviour: The Psychology of Marketing.” Department of Marketing Marshal School of Business Universiti of Southern California. Los Angeles.

7. Shail Patel and Antoine Schlijper.2007. "Model of Consumer Behaviour." Unilever Corporate Research.
8. Marketing teacher.com.
9. <http://www.marketingteacher.com/lesson-store/lesson-defining-consumer-behavior.html>

თუა გოგოტიშვილი

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა. განწყობის ფსიქოლოგიური ასპექტები

დღევანდელ დღეს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ვითარებაში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება განწყობის თეორიის ძირითადი საკითხების ცოდნას, რომელიც შესაძლებელს ხდის ამა თუ იმ სიტუაციაში ადამიანის ქცევის თავისებურებათა გაგებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით სკოლის პედაგოგთა ინფორმირება, რომელთა უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს, ერთი მხრივ, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალობის შეცნობა, მისი ქცევის გაგება, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელი ასაკობრივი თავისებურებების ცოდნა. ამ საკითხებში გარკვევა და მომზადება საშუალებას მისცემს მასწავლებელს, კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე ოპტიმალური, მიზანშეწონილი მიდგომა განახორციელოს მოსწავლის მიმართ: წინ წამოსწიოს მასში არსებული პოზიტიური საწყისი, ხელსაყრელი პირობა შეუქმნას, გამოავლინოს და განავითაროს პიროვნული უნიკალობა – ნიჭი, უნარები და შესაძლებლობები.

თანამედროვე ყოფაში, ქართულ სამეტყველო ენაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ტერმინი „განწყობა“, რომელიც ძირითადად გუნებ-განწყობილების სინონიმად გამოიყენება. მაშინ, როდესაც ფსიქოლოგიაში, კერძოდ კი ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წიაღში, განწყობის ცნებას განსხვავებული დატვირთვა და მნიშვნელობა გააჩნია. სასკოლო სწავლების საქმეში განწყობის თეორიის როლის პრაქტიკული, გამოყენებითი ფუნქციის ნათლად წარმოჩენისათვის მოკლედ შევეხოთ განწყობის თეორიის, კერძოდ განწყობის ანთროპოლოგიური თეორიის, იმ ძირითად საკითხებს, რომელთა ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება პედაგოგიურ საქმიანობას, მოსწავლისადმი მიმართებას უნდა ედოს საფუძვლად.

დამიტრი უზნაძე ყველა ცოცხალი ორგანიზმის, კერძოდ კი ადამიანის, მიზანშეწონილი ქცევის საფუძვლად განწყობას, ანუ ქცევისათვის მთლიანპიროვნულ, ფსიქო-ფიზიკურ მზაობას/მომართვას თვლიდა. განწყობის შექმნის საფუძვლად იგი ორი ფაქტორს მიიჩნევდა: მოთხოვნილებასა და საგნობრივ სიტუაცია/ობიექტს. მაგალითად, იმისათვის, რომ ცოცხალმა ორგანიზმმა განახორციელოს საკვების მიღების ქცევა, მას, ერთი მხრივ, უნდა ჰქონდეს ჭამის მოთხოვნილება, ხოლო მეორე მხრივ, საკვები. მაგრამ მოგვიანებით უზნაძის თეორიის განვითარების კვალდაკვალ დადგინდა, რომ არსებობს მესამე ფაქტორიც, რომლის გარეშე მიზანშეწონილი ქცევა ვერ განხორციელდება. ინდივიდს შეიძლება შიოდეს, მაგრამ ვერ ახერხებდეს მის გარემოში არსებული საკვების მოპოვებას კონკრეტული შესაძლებლობის არქონის გამო, ვინაიდან მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგნის მოპოვებისათვის გარკვეული მოქმედების/ობიექტის ჩატარება აუცილებელია. ქცევისათვის მომზადების პროცესში ინდივიდმა თავისი ძალები, აუცილებელი ობიექტები, მოქმედებანი უნდა ჩააყენოს საჭირო ქცევის სამსახურში”.

მამასადაძმე, ყოველი კონკრეტული ქცევის წინ ინდივიდი გარკვეული ფსიქო-ფიზიკური მზაობის მდგომარეობაში მოდის, რომელიც განსაზღვრული მიმართულებით წარმართავს მის ქცევას.

XX საუკუნის მეორე ნახევარში საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებების გავლენით აქტუალური გახდა პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემები. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ განწყობაში ასახულია არა მხოლოდ საგნობრივი სინამდვილის კოგნიტური მონაცემები და მომზადებულია ის ოპერაციული შესაძლებლობები, რომელთა საფუძველზე უნდა განხორციელდეს ინდივიდის ქცევა, არამედ განწყობას მოვლენებისადმი დადებით-უარყოფითი ემოციური დამოკიდებულების ნიშანიც აღმოაჩნდა. განწყობის ეს ნიშანი განსაკუთრებით ნათლად არის წარმოდგენილი სწორედ სოციალური ქცევის განწყობაში. დადებითი განწყობის საფუძველზე ინდივიდი გარემოსა და მასში მყოფი ადამიანების მიმართ დადებით დამოკიდებულებასა და თანამშრომლობას ამჟღავნებს. უარყოფითი განწყობის საფუძველზე კი – ქცევის ობიექტის მიმართ მტრულ, საწინააღმდეგო

მოქმედებას ასრულებს. განწყობის აფექტური კომპონენტი არსებით გავლენას ახდენს პიროვნების სოციალური ქცევის მიმდინარეობაზე.

სოციალური განწყობა, ობიექტური საგნობრივი სინამდვილის გარდა, სხვა ადამიანებისადმი, სოციალური გარემოსადმი დამოკიდებულებას ასახავს. განწყობის ანტროპული თეორია ერთმანეთისაგან სიტუაციური და დისპოზიციური სახის განწყობებს ასხვავებს. უზნაძის ფიქსირებული განწყობის ცნებისაგან განსხვავებით, რომელიც უბრალოდ განტკიცებული სიტუაციური განწყობას წარმოადგენს, დისპოზიციური განწყობა პიროვნების სფეროში შეტანილი განწყობაა. იგი ხასიათდება პიროვნების თავისებურებებით. ფიქსირებულ განწყობას შესაძლოა არ ჰქონდეს გარკვეული ადგილი დისპოზიციური განწყობების სისტემაში (ნადირაშვილი შ. 2001).

სიტუაციური განწყობა იმპულსურ ქცევას უღვევს საფუძვლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები ხშირად იმპულსურ ქცევებს ახორციელებენ. ამ დროს ინდივიდს უნდება გარკვეული მოთხოვნები, აღიქვამს შესატყვის საგნებს, ამზადებს საჭირო ოპერაციულ შესაძლებლობებს – მათ საფუძველზე უნდება სიტუაციური განწყობა და ასრულებს საჭირო ქცევას.

დისპოზიციური განწყობა ინდივიდის ქცევის წინ არ იქმნება. ერთსა და იმავე ქცევის განმტკიცების შედეგად ფსიქსირებული განწყობები დისპოზიციური განწყობების სახით ზოგადდება, ერთიანდება გარკვეული შინაარსით და ერთიანი განწყობის სახით ინახება პიროვნების ფსიქიკაში. რაც უფრო წარმატებით ხორციელდება ქცევა, მით უფრო მტკიცდება მის საფუძველზე მდებარე განწყობა – ის დისპოზიციურ განწყობად ყალიბდება. დისპოზიციური განწყობის ხელახალი აქტუალიზაციისათვის განწყობის სამივე ფაქტორის არსებობა არ არის აუცილებელი. ამისათვის, ხშირად ერთი ფაქტორის არსებობაც საკმარისია.

ინგლისურენოვან ფსიქოლოგიურ შრომებში განწყობის ცნებაში მხოლოდ დისპოზიციური განწყობა იგულისხმება და მას სიტყვა Attitude-ი შეესატყვისება; ხოლო, რაც შეეხება განწყობის ცნების უზნაძისეულ გაგებას, ვინაიდან ის ქცევისათვის სენსო-მოტორულ მზაობას ასახავს ინგლისურ ენაზე, იგი Set-ის სახელწოდებით ითარგმნა.

ანტროპულ თეორიაში (ნადირაშვილი შ. 2001), განწყობის ეს ორივე ფორმა Attitude-ის ტერმინით აღინიშნება, ხოლო მათ განსახვავებლად პირველს სიტუაციური განწყობა ეწოდება, მეორეს – დისპოზიციური განწყობა. ინგლისურად მათ ტერმინები „სიტუაციური ატიტუდი“ და „დისპოზიციური ატიტუდი“ შეესაბამება. ექსპერიმენტული და თეორიული მუშაობის საფუძველზე ჩვენ სიტუაციური განწყობების სამი ფორმა იქნა გამოყოფილი. ესენია: იმპულსური ქცევის სიტუაციური განწყობა, შემეცნების ქცევის სიტუაციური განწყობა და სულიერი ღირებულებებით მოტივირებული ქცევის განწყობა. სამივე მათგანში ასახული და მომზადებულია ადამიანის ფსიქოფიზიკური ძალები, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია ადამიანის სათანადო აქტივობათა შესასრულებლად, მისი განვითარების შესაბამის დონეზე. აღსანიშნავია, რომ განწყობის ანტროპულ თეორიაში პიროვნული განვითარების 3 დონე გამოიყოფა: 1) ინდივიდის, 2) სუბიექტისა და 3) პიროვნების დონეები.

ინდივიდის დონეზე ორგანიზმი მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის არაცნობიერ ფსიქოფიზიკურ ძალებს იყენებს;

სუბიექტი და პიროვნება მაღალ, ობიექტივაციის დონეზე, მოქმედებენ, ისინი მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებისათვის გარემოს ამსახველ აზროვნებასა და ნებელობის მარეგულირებელ ძალებს იყენებენ.

დისპოზიციური განწყობები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქცევის წინ მოცემულ მომენტში არ იქმნებიან. როდესაც მსგავს სიტუაციებში სიტუაციური განწყობები მეორდებიან, ინდივიდის ძლიერ შთაბეჭდილებას, ან წარმატებულ ქცევას განაპირობებენ, ისინი ფიქსირდებიან, მტკიცდებიან და ადამიანის დისპოზიურ განწყობებად გადაიქცევიან. ყოველი ახალი დისპოზიციური განწყობის ფორმირება დისპოზიციური განწყობების გარკვეულ სისტემაში შესვლით ხდება.

დისპოზიციური სოციალური განწყობა პიროვნების ფსიქიკაში ყალიბდება და მტკიცდება მაშინ, როდესაც:

- 1) მის საფუძველზე განხორციელებული ქცევით პიროვნება წარმატებას აღწევს;
- 2) იგი იღებს სოციალურ მხარდაჭერას;
- 3) მისთვის მისაღებ პიროვნებას ბაძავს;

- 4) აქტუალური განწყობის საფუძველზე ახორციელებს მისთვის მისაბამ პიროვნებასთან იდენტიფიკაციას;
- 5) პიროვნება ასრულებს მისთვის სასურველ როლს;
- 6) თავს მიაკუთვნებს მისთვის მისაღებ (“თავისიანების”) ადამიანთა კატეგორიას (ნადირაშვილი შ. 2001).

თუკი სიტუაციური განწყობების მოქმედების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ძირითადად ადამიანის ქცევის თავისებურებათა გაგება, დისპოზიციური განწყობების მოქმედებათა კანონზომიერების საფუძველზე პიროვნების ბუნების გაგება არის შესაძლებელი.

გარდა ზემოთ ხსენებული საკითხებისა, სკოლის პედაგოგს ესაჭიროება იმის ცოდნა, რომ ფსიქიკის განვითარების უმაღლეს დონეზე ადამიანის აქტიობა სოციალური განწყობებით არის განსაზღვრული. სოციალური განწყობების საფუძველზე პიროვნებას უყალიბდება დადებით და უარყოფით განწყობათა სისტემები – განწყობებში ასახული ღირებულებები. თავისი საგნობრივი მნიშვნელობის მიხედვით, ისინი სტრუქტურდებიან და ქმნიან პიროვნების ზოგად ორიენტაციას სინამდვილის მიმართ.

ქცევაში წარმატება და სოციალური მხარდაჭერა. ექსპერიმენტში, რომელშიც აკვირდებოდნენ ბავშვების თამაშებს და მშობლების მათზე გამოხმაურებებს, აღმოჩნდა, რომ შეფასებები: “კარგია”, “შენ ამას კარგად აკეთებ” და სხვ. განაპირობებდა შემდგომში ანალოგიურ აქტიულობაში პროგრესს, ქცევის შესრულების გაიოლებას, დახვეწას.

აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული მრავალი ექსპერიმენტის საფუძველზე დამტკიცდა, რომ განხორციელებული ქცევის სოციუმის მხრიდან პოზიტიურად შეფასება, წახალისება, გამარჯვების განცდა ამ ქცევის მიმართ დადებითი განწყობის განმტკიცებას იწვევს, რაც მომავალში წინსვლის, განვითარების, წარმატებისკენ სწრაფვის ტენდენციას ქმნის.

დღევანდელ დღეს ხშირად საუბრობენ სასკოლო დისციპლინის გამკაცრების შესახებ, რაც თავისთავად აქტუალურ თემას წარმოადგენს, მაგრამ თითქმის არ ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ შეუძლია პედაგოგს მოსწავლეების ცნობიერებაში პოზიტიური ქცევის, სწავლაში წარმატების მიღწევის მოტივაციის შექმნა. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ექსპერიმენტული მონაცემები ნათელყოფს, თუ რა ფორმის დამოკიდებულება უნდა იქონიოს მასწავლებელმა თავისი აღსაზრდელის მიმართ, რათა დადებითი განწყობა შეუქმნას და განუმტკიცოს პოზიტიური აქტიუობისა და საგნის შესწავლის მიმართ.

მიბაძვა. განწყობის ფსიქოლოგიის მესვეურთა მიერ აღზრდის საკითხებზე მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ პიროვნების განვითარების კონკრეტულ სტადიაზე – სხვადასხვა ასაკში, მისაბამი ადამიანები არიან ეტაპობრივად:

1. მშობლები (3-5 წლ.)
2. წინა პლანზე გამოდიან მასწავლებლები (6-11 წლ.)
3. პოპულარული, ავტორიტეტული თანატოლები, პოპვარსკვლავები, მსახიობები, სპორტსმენები და სხვ. (12-19 წლ.)
4. ცნობილი ხალხი, სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანები (ნადირაშვილი შ. 2001).

იმის გამო, რომ გარდატეხის ასაკში მოზარდს უჩნდება დაუოკებელი მოთხოვნილება დაიმკვიდროს თავი თანატოლებში, გახდეს მათთვის მისაღები და ავტორიტეტული, იგი არაცნობიერად ბაძავს მის თაობაში პოპულარულად აღიარებულ ტიპაჟებს. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ასაკობრივი თავისებურება და ეცადოს ჩაწვდეს თავისი აღსაზრდელების გემოვნებას, მეტი იცოდეს მათი სიმპათიის ობიექტების შესახებ, გამოამჟღავნოს მათ მიმართ ინტერესი და დადებითი დამოკიდებულება. ამით პედაგოგი შეძლებს დაუახლოვდეს მოსწავლეებს, მათი თანამოაზრის სტატუსი მოიპოვოს, რითაც მოიპოვებს ნდობასა და თავისადმი პოზიტიურ განწყობას შექმნის. ამ მეთოდით მასწავლებელს შეუძლია გაიკაფოს გზა საკუთარი სათქმელის მოზარდებად მიტანისა და მიმღებლობისაკენ.

იდენტიფიკაცია. განწყობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალებაა იდენტიფიკაცია. ეს ფსიქიკური აქტიუობის ისეთი ფორმაა, როდესაც ადამიანი თავს სხვა პიროვნებასთან ან ჯგუფთან აიგივებს. იდენტიფიკაცია არაცნობიერი პროცესია, ხშირად თავს იჩენს ფილმის ყურების, ან მხატვრული ნაწარმოების კითხვის დროს. მას გარკვეული დოზით ყველა ასაკში აქვს ადგილი,

დაწყებული 3-დან 5-წლამდე პერიოდთან, როდესაც ბავშვები მშობლებთან აიგივებენ თავს. მათი თვისებებისა და ქცევის გაშინაგნებას ახდენენ.

სკოლის პერიოდში ეს მოვლენა წინა პლანზე გარდატეხის ასაკში გამოდის. 11/12 წლიდან 17 წლამდე მოზარდში თვითიდენტიფიკაციის პროცესი მიმდინარეობს: „მინდა ვიყო ის, ვინც ვარ“. ამ ეტაპზე მკვეთრად გამოხატული საკუთარი ინდივიდუალობის, ორიგინალობის გამოვლენის მოთხოვნა გამოჩნდება, „ძლიერ“ ადამიანად თავის დამკვიდრების, თანატოლთა ყურადღების ცენტრში ყოფნის მძაფრი სურვილი. გარდატეხის ასაკში ყალიბდება საკუთარ თავზე წარმოდგენა, თვითშეფასება – „როგორი ვარ“, „რა შემოიძლია“. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია პედაგოგებმა მოახერხონ მოზარდის უნარების, ძლიერი მხარეების გამოვლენა, მათი წინა პლანზე წამოწევა და ხაზგასმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლე ვერ პოულობს საკუთარ თავში ისეთ შესაძლებლობებს, რომლებიც თანატოლების ყურადღებისა და მიბაძვის ობიექტად აქცევს მას. როდესაც მოზარდი ვერ ახერხებს დადებითი ქცევით თავის გამოჩენას, მაშინ ის არაცნობიერად იწყებს ანტისოციალური, დევიაციური აქტივობის მეშვეობით ყურადღების მიპყრობას და ამ გზით თვითდამკვიდრებას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვთვალოთ პედაგოგების მხრიდან მოსწავლის პიროვნული ზრდისა და შინაგანი რესურსების აქტუალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორები:

- კეთილგანწყობა
- მოთმინება
- ტოლერანტობა
- სიყვარულითა და გაგებით გამსჭვალული დამოკიდებულება
- მოსწავლეზე ცენტრირებული, ინდივიდუალური მიდგომა
- დადებითი, ძლიერი მხარეების აქცენტირება და ხაზგასმა
- ვერბალური (შექებით), ნიშნებით და სხვა საშუალებებით წახალისება.

სკოლის პედაგოგებისათვის მოზარდობის ხანის თავისებურებათა ცოდნა მძლავრი დასაყრდენი შეიძლება გახდეს მოსწავლეების ნდობის მოპოვების, გახსნილი მჭიდრო ურთიერთობების დამყარების საქმეში. თუ მასწავლებლები გაითვალისწინებენ და გაგებით მოეკიდებიან თავიანთი აღსაზრდელების ინტერესების სფეროს, მათ ნდობას და დადებითი დამოკიდებულებას მოიპოვებენ. განწყობის ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ როდესაც ადამიანებს ერთმანეთის მიმართ დადებითი განწყობები აქვთ, ისინი ადვილად ეთანხმებიან ერთმანეთს. ასევე, როდესაც მათ გარკვეულ საკითხებზე ერთნაირი შეხედულებები აღმოაჩნდებათ, მათ ერთმანეთის მიმართ დადებითი განწყობა ექმნებათ [4: 135]. შესაბამისად – პირიქით: ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები, ერთმანეთისათვის მიუღებელი აზრები ადამიანებს შორის უარყოფით განწყობას აყალიბებს.

როლის შესრულება. საზოგადოება ადამიანს უკვე გამზადებულ სხვადასხვა სოციალურ როლს სთავაზობს – შვილის, მეგობრის, შეყვარებულის, მასწავლებლის, მოსწავლის, თუ სხვა. ფსიქოლოგიურად როლის მიღება ამ როლთან იდენტიფიკაციის გზით ხდება. ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და ქცევის რეგულაციის საქმეში ის, თუ რა როლს მიაკუთვნებს აღმზრდელი თუ პედაგოგი ბავშვს/მოზარდს. ექსპერიმენტული კვლევების შედეგად დადგინდა [10: 191], რომ თუ ადამიანს უღისციპლინო, წესრიგის დამრღვევ კრიმინალად შერაცხავენ, ანდა, უგუნურ, უნიჭო, დაბალი შესაძლებლობების მქონე მოსწავლის იმიჯს განუმტკიცებენ – ის აუცილებლად გაამართლებს ამ როლს; ხოლო დადებითი თვისებების წინ წამოწევა, პოზიტიურზე აქცენტის გაკეთება, თუნდაც მცირე წარმატებების ხაზგასმა – ვერბალურად განმტკიცება, წინსვლისა და განვითარების იმპულსს ქმნის.

სამწუხაროა, რომ ხშირად სკოლებში ცელქი ბავშვების სტიგმატიზაცია ხდება. საკმარისია მოსწავლემ რამდენჯერმე ზედიზედ დაარღვიოს დისციპლინა, რომ პედაგოგები, თუ სკოლის ადმინისტრაცია მზადყოფნაში არიან მას წესრიგის დამრღვევის ან სხვა უარყოფითი იარღივი მიაკრან. ამგვარი არასწორი მიდგომა ნეგატიური შედეგის მომტანია. ასეთ შემთხვევებში, პირველ რიგში, აუცილებელია მოხდეს უარყოფითი ქცევის მოტივაციის დადგენა. მასწავლებელი უნდა ეცადოს ჩასწვდეს თავისი აღსაზრდელის საქციელის წინაპირობებს, რადგან შემთხვევით არაფერი

ხდება. თუ საჭირო გახდა დაიხმაროს სკოლის ფსიქოლოგი, გაარკვიოს რა გარემოებები განაპირობებს არასასურველ ქცევას, გაგებით განიხილავს თავისი აღსაზრდელის მიმართ; ამის შემდეგ მასთან ურთიერთობაში მკაცრად უნდა გამოიყენოს მისი პიროვნული ღირსებები და ქცევის შეფასება. რეკომენდებულია საუბარში წინა პლანზე წამოიწიოს მისი დადებითი თვისებების განმომავნება და მხოლოდ ამის შემდეგ იქნას გაკრიტიკებული და უარყოფითად შეფასებული მისი ქცევა. ასეთი ურთიერთობით მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს პოზიტიური როლის განმტკიცებაში, რითაც ხელს უწყობს დადებითი ქცევის განწყობის შემუშავებას.

კატეგორიზაცია. ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის, ჰენრი ტეჯფელის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანები ერთმანეთს “ჩემი” – “სხვისი” ჯგუფებად კატეგორიებში აერთიანებენ, დადებითი განწყობა უფალობლებათ, შესაბამისად, “თავისიანების” მიმართ. უახლოეს წარსულში მასმედიის საშუალებით ხშირად ისმოდა მოწოდება: “ჩვენ ერთი გუნდი ვართ”, რაც მასში გაერთიანებულ ადამიანებს შორის დადებითი განწყობების ფორმირებას ისახავს მიზნად. აღნიშნული პრინციპის ამოქმედების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ჯგუფის წევრებს შორის ერთი ან მეტი საერთო, გამამთლიანებელი ნიშნის არსებობა, რომელიც ადამიანს „თავისიანობის“ განცდას შეუქმნის. განწყობის ამ კანონზომიერების სასკოლო პროცესში დანერგვა მარტივად შესაძლებელია: კლასის ქვეჯგუფებად დაყოფა და თემატური პრეზენტაციების მომზადება, ვიქტორინების ჩატარება; კლასებს შორის ოლიმპიადების, შეჯიბრებების ჩატარება, სადაც, როგორც გუნდის წევრები, კლასის მასწავლებლებიც ჩაერთვებიან, დადებითი პიროვნებათშორისი განწყობების ჩამოყალიბების და განმტკიცების პირობას შექმნის. ხშირად მოზარდები ყურადღების მიქცევისა და თვითდამკვიდრებისათვის ასოციალურ ქმედებებს ახორციელებენ, ამ გზით ცდილობენ იყვნენ გამორჩეული და თანატოლებისათვის საინტერესო. თუკი მასწავლებელი ეცდება თითოეული მოსწავლის ჯგუფში ჩართულობის ხელშეწყობას და ერთიანობის განცდის განმტკიცებას, ამით დაეხმარება ამ მხრივ, პრობლემების მქონე მოზარდებს ემოციური კონფორტის მიღწევაში, რაც, თავის მხრივ, დადებითი ქცევისა და აკადემიური მოსწრების ზრდის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

მამასადამე, სასკოლო აღზრდისა და სწავლების პროცესის პროდუქტულობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პედაგოგის მიერ ზემოთ განხილული განწყობის ფსიქოლოგიის ბაზისური კანონზომიერებების ცოდნა, რომელთა პრაქტიკული გამოყენება საშუალებას მისცემს მასწავლებელს აღსაზრდელს შეუქმნას და განუმტკიცოს პოზიტიური აქტივობისა და სწავლაში წარმატების განწყობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქცევის წინაპირობას განწყობა წარმოადგენს, რომელსაც სამი კომპონენტისაგან შემდგარი ორი (სუბიექტური და ობიექტური) ფაქტორი ქმნის. მოცემულ კონტექსტში, სკოლის მოსწავლის განწყობის ფორმირება შემდეგი სახით ხდება: ა) მოსწავლის მოთხოვნილება და ბ) მისი ასაკობრივი შესაძლებლობები/თავისებურებები – სუბიექტური ფაქტორი, ხოლო გ) მასწავლებლის დამოკიდებულება/მის მიერ შექმნილი სასწავლო გარემო – ობიექტურ ფაქტორი. მათი ურთიერთქმედება განაპირობებს მოსწავლის ქცევის განმსაზღვრელ სიტუაციურ, თუ დისპოზიციურ განწყობებს. სიტუაციური განწყობის ბუნების გაგება და ჩვენს მიერ მოყვანილი დისპოზიციური განწყობის კონონზომიერებათა ცოდნა, გამყარებული ასაკობრივი ფსიქოლოგიური თავისებურებების წვდომით, წარმატებული პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს.

იგივე შეიძლება ითქვას შვილების აღზრდასთან დაკავშირებით. ადამიანებს აქვთ სურვილი ჰქონდეთ ოჯახური ჰარმონია; შვილებთან ჯანსაღი, გაგებით აღსავსე ურთიერთობები. იყვნენ მომავალი თაობისათვის მისაბამი, უყვარდეთ და პატივს სცემდნენ მათ.

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით აქტუალური და ხშირად პრობლემურიც შვილების გარდატეხის პერიოდში ხდება. თანამედროვე ცხოვრების ტემპმა აქსელერაციის პროცესებიც დააჩქარა და მოზარდობის ხანა უკვე 10-11 წლიდან იწყება. მშობლები უკვე ამ პერიოდიდან აწყდებიან რადიკალურ ცვლილებებს შვილებში, მათ ქცევაში, დამოკიდებულებებში. ძალიან მნიშვნელოვანია მშობელის ინფორმირებულობა, თუ რა პროცესი მიმდინარეობს ფსიქიკურ სფეროში, რა თავისებურებებით გამოირჩევა ზოგადად გარდატეხის ასაკი და როგორ უნდა მოახერხოს მშობელმა ურთიერთობის ისე რეგულირება, რომ არ განვითარდეს დაპირისპირება და კონფლიქტი. ამ საკითხების ცოდნა აუცილებელია და სწორედ ამიტომ

განსაკუთრებულ მნიშვნელოვანია მშობელმა დროულად გაიაროს ფსიქოლოგიური კონსულტირება გართულებების თავიდან ასაცილებლად.

ექვს წლამდე ასაკს აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან სწორედ ამ დროს ყალიბდება ადამიანის პიროვნული ჩონჩხი, ფუნდამენტი, რომელზედაც “დაშენდება” შემდგომი განვითარება. ამ პერიოდში, ბავშვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დედ-მამა, ოჯახური ურთიერთობები. თუმცა, აქაც ყველაფერი ერთნაირად არ ხდება, იგი გარკვეული ეტაპობრივობით გამოირჩევა. მაგალითად, 3-5 წელი განიხილება ბავშვის პირველ გარდატეხის პერიოდად და სწორედ ამ დროსაა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მშობლების ბავშვებთან მიმართება. ბავშვის განვითარების ეს სტადია ბევრი ნიუანსითაა საყურადღებო, მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ ამ ასაკში ხდება ბავშვის საკუთარ სქესთან იდენტიფიკაცია. 3-5 წლის ბავშვს მშობლის იდეალიზაციის არაცნობიერი მოთხოვნილება აქვს. მაგალითად, თუ ბიჭი იზრდება ისეთ ოჯახში, სადაც მამა არის ტირანი, მოძალადე, ცუდად ეპყრობა დედას და არ უწევს ანგარიშს ბავშვის განცდებსა და მის ემოციურ მდგომარეობას, შვილს მის მიმართ ამბივალენტური, გაორებული დამოკიდებულება უჩნდება და ის ფსიქოლოგიურ ტრავმატიზაციას იწვევს. ასეთი მამა ვერ აკმაყოფილებს მშობლის იდეალიზაციის მოთხოვნილებას და სერიოზულ ზიანს აყენებს ბავშვის პიროვნულ განვითარებას. ასე რომ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ამ ასაკში, მშობლების ურთიერთობას და ბავშვის მიმართ დამოკიდებულებას, ვინაიდან ის აკვირდება დედ-მამას, ბაძავს, იმანსოვრებს მათ ქცევას, იმეორებს და იმიტირებს მას. ამიტომ თვითკრიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის პიროვნული განვითარებისათვის. მშობელს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის გვერდიდან დანახვა, ცდილობდეს არ მოიქცეს ისე, როგორც არ სურს, რომ იქცოდეს შვილი. მაგალითად, უფროსები ხშირად ჩხუბობენ, ყვირიან, ილანძლებიან, ხოლო ბავშვებისგან მოითხოვენ გაწონასწორებულ და ზრდილობიან დამოკიდებულებას, რაც მათ დაბნეულობას და გაუგებრობას იწვევს. უნდა გვახსოვდეს, რომ საუკეთესო აღმზრდელი პირადი მაგალითია და ძირითადად, ბავშვი მშობლის სარკეა. გაგება, ტოლერანტობა (შემწყნარებლობა), პოზიტივზე ორიენტირება, ბავშვის დადებითი ქცევის შექება, წახალისება და პიროვნული პატივისცემა, მისი პიროვნების განვითარებას უწყობს ხელს და ქცევას კონსტრუქციული მიმართულებით წარმართავს. ამის საწინააღმდეგოდ, კრიტიკაზე და შენიშვნებზე მომართული მშობელი, რომელიც ბავშვის შეცდომებზე, მიუღებელ საქციელზე აკეთებს აქცენტს და მის დასჯაზე ორიენტირებული, ხელს უწყობს უარყოფითი ქცევის გაფიქსირებას; ნეგატიურად ზემოქმედებს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე.

ბავშვობის ფსიქოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე, 10 წლამდე, მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ და პროტესტის გარეშე ხდება მშობლის “ჭკუის სწავლების”, შენიშვნების, დასჯის მიღება; რაც გარდატეხის პერიოდში წამგებიანი სტრატეგია ხდება. მოზარდობის პერიოდში, თუ უკვე 11 წლიდან უარყოფითი რეაგირება მოჰყვება მშობლის მენტორულ (დამრიგებლურ) დამოკიდებულებას, ამ დროს ყველაზე მეტად უჭირს ისეთ მშობელს, რომელიც მიჩვეულია, რომ მას ემორჩილებიან, მის აზრს უსიტყვოდ იზიარებენ.

როგორ მოიქცეს მშობელი, როდესაც მიიჩნევს, რომ შვილი ცუდად იქცევა?

ამ შემთხვევაში, მისი დადებითი პიროვნული თვისებების წინა პლანზე წამოწევა ძალიან კარგ შედეგს იძლევა. მაგალითად, “შენ გონიერი/ყოჩხალი/კეთილი და ა.შ. ადამიანი ხარ”, და მხოლოდ ამის შემდეგ – “ეს დაუფიქრებელი/საზიანო/ცუდი და ა.შ. საქციელია; არა პიროვნების, არამედ ქცევის უარყოფითად შეფასება და გაანალიზება. აუცილებლად უნდა ავუხსნათ ბავშვს რით არის უკეთესი ქცევის ჩვენი შეთავაზებული ვარიანტი. კატეგორიულად უკუნაჩვენებია საუბრის მონოლოგის ფორმაში წარმართვა; ვეცადოთ წარვმართოთ დიალოგი, სადაც ბავშვსაც მივცემთ თავის აზრის გამოხატვის საშუალებას. მთავარია გვახსოვდეს, რომ პოზიტიურზე ფოკუსირება ზრდის დადებითი ქცევის მოტივაციას.

დიალოგი და საუბარი ნებისმიერ ასაკში პრობლემის მოგვარების გაცილებით მეტ შანსს იძლევა, ვიდრე დაპირისპირება და კონფლიქტი. ბავშვს პასუხისმგებლობის გრძობა უჩნდება და იქცევა, როგორც მოზრდილი ადამიანი მაშინ, როდესაც მას ასე ეპყრობიან, პატივს სცემენ, როგორც პიროვნებას და არა როგორც პატარა, უგუნურ არსებას, რომელსაც არაფერი გაეგება.

რატომ ხდება, რომ ბავშვი რადიკალურად განსხვავებულად იქცევა ოჯახში და მის გარეთ?

ხშირად ხდება ისე, რომ ბავშვს ოჯახში აკლია კონტაქტი და ურთიერთობა მშობელთან და იგი სხვა გარემოში ცდილობს კომპენსაციის მიღებას, ყურადღების მიქცევას. მშობელთან კონტაქტი მარტო დარიგებით და მოფერებით არ შემოიფარგლება, სრულფასოვანი ურთიერთობისათვის აუცილებელია ბავშვისათვის საინტერესო საქმიანობის, თამაშის, ერთობლივი აქტივობის განხორციელება. კონტაქტი არ გულისხმობს ერთ სივრცეში, ერთ შენობაში ყოფნას, თუ დედა ამ დროს თავის საქმეებით არის დაკავებული. მშობელი უნდა აკვირდებოდეს, რამდენად და როგორ მოქმედებს მისი ურთიერთობა შვილებზე; როგორ აისახება მათ გუნება-განწყობილებაზე.

როგორ მოიქცეს მშობელი შვილის ეჭვიანობის თავიდან ასარიდებლად, როდესაც ოჯახში მეორე ან შემდგომი ბავშვი იბადება?

როდესაც ოჯახში ახალ სიცოცხლეს ეჭვიანობა მოჰყვება, ამ დროს უფროს ბავშვებს არაცნობიერად მშობლის სიყვარულისა და ზრუნვის დაკარგვის შიში უჩნდებათ. მათ აქვთ განცდა, რომ ახალი დაიკო ან ძამიკო წაართმევს დედას, მამას და მათ ყურადღებასა და სიყვარულს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა წინასწარ მოამზადონ უფროსი შვილები, განაწყონ დადებითად ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით. უკვე მუცლადყოფნის პერიოდში შეაყვარონ პატარა, დაანახონ თავისი მნიშვნელოვნება უმცროსი ბავშვის მოვლასა და აღზრდაში, დაბადების შემდეგ ჩართონ ჩვილის მოვლასა და ზრუნვაში.

რატომ ხდება, რომ ბავშვი იკეტება საკუთარ თავში და არ სურს თანატოლებთან ურთიერთობა?

როგორც წესი, ბავშვის პრობლემების სათავე მშობლებშია. შესაძლოა, ბავშვი ოჯახში არსებული პრობლემური მდგომარეობით იყოს დათრგუნული; ან მისი იზოლაცია დაქვეითებული თვითშეფასებით იყოს განპირობებული, რომელსაც, როგორც წესი, მშობლის მხრიდან გადამეტებული კრიტიკა, უკმაყოფილება, ბავშვის შეურაცხყოფა და დაკნინება იწვევს; ამას გარდა, თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემებმა, მათგან განრიდებამ, ასევე შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვის იზოლაცია. ასეთ შემთხვევაში მშობელი უნდა ეცადოს ბავშვთან დიალოგს, მისი გულწრფელობის გამოწვევას და მეგობრებთან კომუნიკაციაზე უარის თქმის მიზეზის დადგენას. თუ მშობელი ამას საკუთარი რესურსებით ვერ ახერხებს, საჭიროა ფსიქოლოგის დახმარება. არსებობს პროექციული მეთოდები, ტესტები, რომელთა მეშვეობით ხდება ბავშვის პრობლემის მიზეზის დადგენა, მისთვის შესაბამისი დახმარების გაწევა და მშობლის კონსულტირება.

რა პრობლემები ახლავს თან გარდატეხის ასაკს და არის ამ დროს მშობლების წინააღმდეგ აჯანყების მიზეზი?

გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელია მშობლის მიმართ კრიტიკული ხედვა. მშობლების მიერ ჩამოყალიბებული იდეალების, ღირებულებათა გადამოწმება, გადაფასება; ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია გულწრფელი დიალოგი მშობლებთან. მაგალითად, თუ მამას პრობლემები შეექმნა იმის გამო, რომ ვერ მუშაობს, ეს ბავშვს კი არ უნდა დაუშალოთ, არამედ, პირიქით – აუუხსნათ, რომ მამას ძალიან უნდა მუშაობა, მაგრამ გარკვეული წინააღმდეგობები შეხვდა და მას მხარდაჭერა სჭირდება. შვილებს პრობლემები უნდა გაუუზიაროთ, ვესაუბროთ როგორც პიროვნებას, დიდ ადამიანს. თუ გარდატეხის ასაკში გვინდა, რომ გადავარჩინოთ ჩვენს შვილებთან ურთიერთობები, ვალდებულები ვართ მოვეპყროთ მოზარდს, როგორც ზრდასრულ ადამიანს და არა, როგორც პატარა ბავშვს! თუმცა, ვიყოთ შვილის მეგობარი, ყველა ასაკში გამართლებულია. პირველ რიგში, მეგობარი არის ის, ვისთანაც ადამიანს შეუძლია ღიად და თავისუფლად საუბარი, ვისაც ენდობა და კომფორტულად გრძნობს თავს. ამ დროს ძალიან კარგად “მუშაობს” საკუთარი ისტორიების მოყოლა, თუმცა იმ დოზებსა და ფარგლებში, რა ასაკშია შვილი და რის გაგებასა და გააზრებასაც შეძლებს.

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია მშობელი პერიოდულად იღებდეს კვალიფიციურ ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს შვილების პიროვნული განვითარების თავისებურებებზე; მათზე დაყრდნობით უწყობდეს ხელს ბავშვის თუ მოზარდის შინაგანი რესურსების რეალიზაციას. იმ შემთხვევაში, თუ მშობელს ექმნება პრობლემები შვილებთან, მეუღლესთან ან სხვა ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში, აუცილებელია დაინმაროს კომპეტენტური ფსიქოლოგი ურთიერთობის დარეგულირების საქმეში. სხვაგვარად, უფროსების

დაუძლეველი პრობლემები სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, მთლიანობაში, მის ჯანმრთელობასა და ქცევაზე.

ოჯახური ურთიერთობის ფორმები

ავტორიტარული (ტირანი) მშობელი. ასეთი დედ-მამა ცდილობს სრულად დაიმორჩილოს საკუთარი შვილების თავისუფალი ნება. ის აკონტროლებს მათ ყოველ ნაბიჯს, თითოეულ მოქმედებას და, რა თქმა უნდა, ამას ნიღბავს სიყვარულსა და ზრუნვაზე საუბრით.

ადამიანის სიყვარული გამორიცხავს მის დათრგუნვას და მართვას. ის ნდობასა და თანადგომაზეა დამყარებული ისე, რომ არ ითხოვს სამაგიეროს. ამიტომ, რაც არ უნდა უმტკიცოს ასეთმა მშობელმა საკუთარ თავს და გარშემომყოფთ, რომ საკუთარი შვილებისთვის მხოლოდ სიკეთე უნდა, სინამდვილეში მას ამოძრავებს მხოლოდ ერთი მიზანი - შთამომავლობაზე სრული კონტროლი!

როგორ შეიძლება განვითარდეს სიტუაცია ასეთ ოჯახში? მოზარდი ან გარბის ასეთი მშობლისაგან ქუჩაში – საექვო რეპუტაციის მქონე თანატოლებთან; ან - ალკოჰოლის, ნარკოტიკების მოხმარებაში; გოგონამ ნაადრევ ქორწინებას შეიძლება “შეაფაროს თავი”. სხვა შემთხვევაში, ისინი, ვინც რჩებიან სახლში, ხშირად ფსიქოლოგიურად ინვალიდებიან და სრულად უმორჩილებენ საკუთარ ნებას მშობლის სურვილს.

სამწუხაროდ, უძრავლეს შემთხვევაში, ბავშვს რჩება წყენა მშობლების მიმართ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში და მომავალში არაცნობიერად თავადვე ქმნის ისეთ ოჯახს, როგორი გზაც თავად განვლო ბავშვობის პერიოდში.

უნიათო და წარუმატებელი მშობელი. ეს არის ადამიანი, რომელმაც ვერაფერს მიაღწია ცხოვრებაში, შესაბამისად ვერაფერს აძლევს საკუთარ შვილებს. ასეთი მშობელი ავტორიტეტს არ წარმოადგენს შვილებისათვის.

ამ ტიპის ოჯახებში ხშირად იზრდებიან მანიპულატორი ბავშვები, რომლებიც სრულიად აკონტროლებენ და მართავენ საკუთარი მშობლებს.

ასეთი ოჯახებიდან გამოსული მოზარდები ხშირად ყალიბდებიან სოციალურად არაადაპტირებულ ადამიანებად.

მშობელი – მეგობარი. ვისაც ასეთი მშობელი ჰყავს, ნამდვილად გაუძარტოლა. ის ენდობა საკუთარ შვილებს და აძლევს მათ საშუალებას იყოს დამოუკიდებელი ადამიანი.

ამ ტიპის მშობელი ხშირად საკუთარ ასაკზე ახალგაზრდულად გამოიყურება და ინტერესდება ახალგაზრდების გატაცებებით. ის პატივს სცემს შვილების პირად ცხოვრებას, აძლევს მათ თავისუფლად განვითარების საშუალებას.

ასეთი მშობლების შვილები თავისუფლად მოაზროვნე და კომუნიკაბელურ პიროვნებად ყალიბდებიან, ადვილად ამყარებენ კონტაქტს ადამიანებთან და უმეტესად, თავადაც ჰარმონიულ ოჯახებს ქმნიან.

უგრძნობი მშობელი. ეს ყოველნაირად დაჩაგრული და უბედური ადამიანია. მას უჭირს სიყვარულის განცდა. მისთვის შვილები მხოლოდ პრობლემების წყაროს წარმოადგენენ.

ის ნაკლებად ეფერება, კოცნის, ეუბნება ალერსიან სიტყვებს საკუთარ შვილებს. ძირითადად, ყველაფერს აყვედრის და მუდმივად ახსენებს, თუ მათთვის რამე გაუკეთებია.

ასეთი ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებს შეიძლება გააჩნდეთ ორი სახის მომავალი:

პირველი: ისინი ცხოვრებაში თავადაც ვერ გამოავლენენ გრძნობებს, რის გამოც თავადაც დაიტანჯებიან და დისკომფორტს შეუქმნიან გარშემომყოფებს; მეორე – თავის თავს ამხნევენ და აძლევენ პირობას, რომ ყველაფერი სხვანაირად იქნება და ხშირად მათი უგრძნობი მშობლის საპირისპიროდ, ალერსიანი და მოსიყვარულე ადამიანები დგებიან.

დემოკრატი მშობელი. ამ ტიპის ადამიანი ჯანსაღ ინტერესს გამოხატავს შვილების მიმართ. ბაღი, სკოლა, უნივერსიტეტი – დაინტერესება და ზრუნვა შვილების მომავალზე ნამდვილად გულწრფელია. ის ურთიერთობს შვილებთან, მხარს უჭერს მათ არჩევანს, ეხმარება მისთვის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ასეთი მშობლები ადრეული ასაკიდანვე ადევნებენ თვალყურს საკუთარი შვილების ინტერესებს და არასოდეს აიძულებენ ისწავლონ ან იმუშაონ იქ, სადაც თავად სურდათ თავის დროზე მოღვაწეობა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ამას ვერ მიაღწიეს.

მათთვის უცხოა შვილებით მანიპულირება და უსიტყვო მორჩილების მოთხოვნა; ხელს უწყობენ მოზარდების თავისუფალ განვითარებას, ხოლო განვითარების გზაზე ეხმარებიან, მხარს უჭერენ და ხელს უწყობენ, რომ შვილებმა იპოვონ საკუთარი, ინდივიდუალური წარმატებული ცხოვრების გზა.

კარგი იქნება, თუ, ბატონი დიმიტრი უზნაძის თეორიაზე დაყრდნობით ბავშვებს გავუღვივებთ როგორც ერთმანეთის, ისე საერთოდ ადამიანის თანადგომის სურვილს, პატიების უნარს, უფროსის პატივისცემას, მამულის სიყვარულს. ეს დამოკიდებულება გაკვეება მათ სკოლაშიც და მთელ ცხოვრებაშიც.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
სააღდგომო ეპისტოლე 2007 წ.

ლიტერატურა:

1. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1975
2. ნადირაშვილი შ. მოსწავლეთა აღზრდის სანიმუშო შინაარსი, თბილისი 1975
3. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია, თბილისი, ტ.I 1983, ტ.II, 1985
4. ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპული თეორია. თბილისი, 2001
5. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940
6. უზნაძე დ. ყურადღების არსის პრობლემისათვის, ფსიქოლოგია, ტ IV, 1947
7. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ტ. VI.1949
8. სტივენსონი ჰ. კინი რ. რაიტი რ. მშობლები და ბავშვები. 1963
9. Майерс Д. Социальная психология, С-т Петербург,1997
10. Роджерс К.Фрейнберг Д. Свобода учиться М.2002
11. Эриксон Э. Идентичность: Юность и кризис. М.1996
12. Хьелл Л. Зиглер Д. Теории личности С-П 1997
13. Роджерс К.Р. Становление Человека. Москва 1998
14. Tajfel H. Human Groups and Social cathegories. Cambridge, 1981

Tea Gogotishvili

Relationship Between the Children and Parents. Psychological Aspects of Attitude.

Summary

At present, under the conditions of current socio-political changes, a major importance is given to the knowledge of the principal issues of the Theory of Attitude, that allow the perception of the human behaviour peculiarities in various situations.

Social attitude, apart from the objective subject reality, reflects the attitude towards other individuals and social environment. Sh. Nadirashvili Anthropoc attitude theory of the attitude shows the difference between situational and dispositional attitudes.

In English language psychological works the term attitude implies, expressed by the word attitude; as for the Uzndaze perception of the attitude only dispositional attitude, defining senso-motoric preparedness for the behaviour, is translated into English as Set.

Dispositional social attitude is formed and stays in the person's mind, when:

- 1) The person achieves success through the behaviour based on it;
- 2) gains social support;
- 3) Imitates the role model;
- 4) Identifies himself with the role model on the basis of the actual attitude;

5) The person carries out the acceptable role; ascribes himself to the category of individuals ("kinship").

What the parent shall, when he believes that the child is misbehaving; Why the child may behave in an entirely different way at home and outside it. What the parents shall do to avoid the child's jealousy, when the younger siblings are born. What makes the child to become self absorbed and refuses to get into relationship with the children of the same age; what problems arise with the adolescence and what becomes the reason for the rebellion against the parents; The paper also addresses the forms of family relationships.

გეოფიზიკა

მანანა კაჭახიძე, ნინო კაჭახიძე, იოსებ ტურაზაშვილი, ვიტალი ლოლობერიძე, კახა მაჭავარიანი, ზურაბ ვაშალომიძე

ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის, როგორც მიწისძვრის შესაძლო წინამორბედის კვლევა კავკასიის რეგიონის რეტროსპექტული მონაცემების ბაზაზე

შესავალი. კავკასია ტრანსაზიული ზონის ერთ-ერთ სეისმურად აქტიურ რეგიონს წარმოადგენს. აქ საკმაოდ ხშირია მიწისძვრები. აღსანიშნავია, რომ ისტორიულ წარსულში კავკასიაში დაფიქსირებულია ისეთი ძლიერი მიწისძვრები, რომელსაც სერიოზული ნგრევები და ადამიანთა დიდი მსხვერპლი მოჰყოლია.

მრავალწლიანმა დაკვირვებებმა უჩვენა, რომ მიწისძვრები დამოუკიდებელ, განყენებულ ბუნებრივ მოვლენას არ წარმოადგენს. ყოველ მიწისძვრას მისი მომზადების რთული და ხანგრძლივი პერიოდი უძღვის წინ, რაც დედამიწის ზედაპირზე სხვადასხვა გეოფიზიკური ველის ცვლილების სახით ავლენს თავს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კერის არის სპეციფიკური გეოლოგიური აგებულებებისა და იქ მიმდინარე რთული გეოფიზიკური პროცესების გამო, მიწისძვრის წინამორბედები ყოველთვის თავს ვერ ავლენს.

გარდა ამისა, იმის გამო, რომ რეალურად გარემო მრავალი ფაქტორის ერთდროული ზემოქმედების გავლენის ქვეშ იმყოფება, მათზე გარემოს სეისმური რეაქციის შესწავლა ძალზე რთულია. ეს პრობლემა არა მხოლოდ სეისმოლოგიის, არამედ თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ისეთი მოვლენის აღწერა, როგორც ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ანომალური შემოფოთების არსებობა მიწისძვრის მოხდენის წინა პერიოდში. ასეთი შემოფოთებების ამპლიტუდები რამდენჯერმე აღემატება აღნიშნული პარამეტრის საშუალო მნიშვნელობას და თავს იჩენს მიწისძვრის მოხდენამდე რამდენიმე დღით ან რამდენიმე საათით ადრე. ცხადია, მიწისძვრის წინა პერიოდში ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ანომალური ვარიაციები მიგვითითებს დედამიწისპირა ატმოსფერული ფენის გამტარებლობის ცვლილებაზე [1,2].

მიჩნეულია, რომ ატმოსფეროს გამტარებლობის ცვლილების პირველ წყაროს წარმოადგენს ის მრავალრიცხოვანი მექანიკური და ელექტრული გარდაქმნები, რომელსაც ადგილი აქვს მიწისძვრის მომზადების პერიოდში დედამიწის ქერქში ბზარებისა და რღვევების გაჩენის დროს. ბოლო წლებში განვითარდა წარმოდგენები ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ცვლილების შესახებ, რომელიც უშუალო კავშირში იმყოფება სეისმოტექტონიკურ პროცესებთან [11,12,13].

განიხილება დედამიწის ქერქში მრავალჯერადი, ერთნაირად ორიენტირებული მექანიკური ელექტრული გარდაქმნების შედეგად ფორმირებული და ჩამოყალიბებული მსხვილმასშტაბიანი დენის წყაროების ურთიერთქმედება ატმოსფეროს მაღალ ფენებსა და იონოსფეროსთან [4,5,6,9].

კვლევის მეთოდი და შედეგები. მიწისძვრის მოხდენის წინა პერიოდებში ატმოსფეროს ელექტრული ველის ანომალურ შემოფოთებებში შესაძლო „სეისმური ბუნების წილის“ გამოვლენის მიზნით, განხილულია ელექტრული ველის ანომალური ცვლილებები ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში.

გეოფიზიკური კვლევების პრაქტიკაში მიწისპირა ფენის ატმოსფეროს ელექტრობისა და, კერძოდ, მისი გამტარებლობის ანომალური შემფოთებების სეისმურობასთან კავშირი შეიძლება გამოვლინდეს ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ან გამტარებლობის ვერტიკალური დენის მნიშვნელობების შეფასების საშუალებით [3,7,8,10].

დასმული ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენებულია ღუშეთის ობსერვატორიის 1953–1992 წლების ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის საათობრივი ჩანაწერები.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში პოტენციალის გრადიენტის გამზომი პუნქტები საკმაოდ იშვიათი იყო მსოფლიოში და მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც.

სულ სსრკ-ში ასეთი 9 პუნქტი არსებობდა. მათ შორის იყო კავკასიის რეგიონში იმ პერიოდისათვის ერთადერთი ღუშეთის ობსერვატორია, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით ასეთი სულ 16 დაკვირვების პუნქტი მუშაობდა (მოგვიანებით მსოფლიოში მათი რიცხვი 52-მდე გაიზარდა).

60-იან წლებში თბილისშიც არსებობდა ანალოგიური დაკვირვების პუნქტი, მაგრამ, ჩანაწერების „ხმაურისაგან“ დაცვის მექანიზმის უქონლობის გამო, ძირითადი ყურადღება მაინც ღუშეთის ობსერვატორიაზე იყო გადატანილი.

უნდა აღინიშნოს, რომ 1953 წლამდე კავკასიაში მსგავსი სისტემატური დაკვირვებები არ წარმოებდა, ხოლო 1992 წლიდან, ცნობილი ობიექტური მიზეზების გამო, ღუშეთის ობსერვატორიაში მონაცემების დაფიქსირება საერთოდ შეწყდა.


ცნობილია, რომ ისეთი წინამორბედი, როგორც ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტი, თავს უნდა ავლენდეს მიწისძვრის მოხდენამდე რამდენიმე დღით ან რამდენიმე საათით ადრე [9].

კვლევის ჩატარების დროს მიწისძვრამდე 11 - დღიანი მონაცემებია განხილული (მეთერთმეტე დღედ ჩათვლილია თვითონ მიწისძვრის მოხდენის დღე) და ამ პერიოდის განმავლობაშია შესწავლილი ატმოსფეროს ელექტრული ველის ანომალური შემფოთებები.


დასმული ამოცანა განხილულია 1953–1992 წლების კავკასიის $M \geq 5.0$ მიწისძვრებისათვის და იმ შედარებით სუსტი $4.3 \leq M < 5.0$ მიწისძვრებისთვის, რომელიც ღუშეთის ობსერვატორიიდან $\Delta < 250$ კმ ეპიცენტრალური მანძილით იყო დაშორებული.

ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ანომალური შემფოთებების კვლევა ჩატარებულია 130 მიწისძვრის მოხდენის მომენტის მიმართ.


ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის საათობრივ განაწილებას საკმაოდ რთული ხასიათი აქვს. მათგან ზოგიერთი წარმოდგენილია ნახაზებზე 1, 2, 3, 4 და 5. კერძოდ, მოცემულია 1957. 07. 07 $M=5$, 1958 11. 26 $M=4.6$, 1963. 01. 16 $M=4.5$, 1970.03.14 $M=5.1$ და 1970.05.21. $M=4.3$ მიწისძვრათა მოხდენის წინა 11-დღიანი პერიოდების ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის საათობრივი ჩანაწერების გრაფიკული სახე.




ნახ. 1 – ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ცვლილება 1957 07.07 მიწისძვრის მიმართ




ნახ. 2 - ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ცვლილება 1958 11.26 მიწისძვრის მიმართ



ნახ. 3 - ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ცვლილება 1963 01.16 მიწისძვრის მიმართ



ნახ. 4 - ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ცვლილება 1970 03.14 მიწისძვრის მიმართ



ნახ. 5 - ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ცვლილება 1970 05.21 მიწისძვრის მიმართ

გრაფიკების აბსცისთა ღერძზე გადაზომილია დრო საათებში, უფრო ზუსტად, გრაფიკული დრო (საათებში) ფიქსირებული მიწისძვრის მოხდენის მომენტამდე, ხოლო ორდინატთა ღერძზე - პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობები ვოლტ/მეტრებში. მიწისძვრის მოხდენის მომენტები აღნიშნულია სამკუთხედებით (ყველგან გრაფიკებსა და ცხრილებში მოყვანილია ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის 10-ჯერ შემცირებული რიცხვითი მნიშვნელობები).

ცხადია, 130 მიწისძვრისათვის ანალოგიური გრაფიკების ზოგადი განხილვისას მათზე დაფიქსირებული იყო პოტენციალის გრადიენტის ანომალური შემოფოთებები, რომელიც საკმაოდ დიდ საზღვრებში (დაახლოებით ± 4000 ვ/მ-ის ფარგლებში) იცვლებოდა, მაგრამ პოტენციალის გრადიენტის ასეთი შემოფოთებები არ შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფაქტორით. არ იქნებოდა მართებული ასეთი ანომალიების არსებობის მიჩნევა უშუალოდ მიწისძვრის მომზადების რთული პროცესის ასახვად. აუცილებელია ყველა იმ მოვლენის გათვალისწინება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობის ცვლილებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც წესი, განიხილება მხოლოდ ცალკეული მეტეოროლოგიური პარამეტრით გამოწვეული ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობათა ცვლილების საკითხი.

სამწუხაროდ, არ არის შესწავლილი მეტეოროლოგიურ პარამეტრთა ურთიერთგადაფარვით გამოწვეული პოტენციალის გრადიენტის ანომალიები. სწორედ ასეთია ბუნებაში არსებული რეალობა, რომლის უგულებელყოფა არ არის მართებული იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათი გათვალისწინების გარეშე მიწისძვრის მოხდენის წინა პერიოდებში პოტენციალის გრადიენტის ანომალიათა გამომწვევი ჭეშმარიტი მიზეზის დადგენა შეუძლებელია.

ამიტომ, პირველ რიგში, გადასაჭრელი იყო შემდეგი პრობლემა: ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობებიდან უნდა გამორიცხულიყო ის ეფექტები, რომელსაც იწვევდა სხვადასხვა მეტეოროლოგიური პარამეტრის ერთობლივი გავლენა. სწორედ ამ მიზნით შექმნილია ე. წ. „გაფილტვრის“ მეთოდი, რომელიც ქვემოთ დაწვრილებითაა აღწერილი.

ექსპერიმენტულ და თეორიულ მოსაზრებებზე დაყრდნობით განხილულია სულ 7 ძირითადი მეტეოროლოგიური პარამეტრი:

1. ქვედა იარუსის ღრუბლები
2. CB ღრუბლები
3. ნალექები

4. ქარი
5. ჰაერის ტემპერატურა
6. ფარდობითი
7. აბსოლუტური ტენიანობა.

გარდა ამინდის მახასიათებელი ამ 7 პარამეტრისა, ცალკეა განხილული ჭექა-ქუხილის და ელვის შემთხვევები.

ჰიდრომეტსამსახურის საარქივო მასალებიდან ამოღებულია ყველა განხილული მიწისძვრის მოხდენის წინა 11-დღიანი პერიოდის შესაბამისი ყველა დასახელებული მეტეოროლოგიური პარამეტრის მნიშვნელობა.

იმის გამო, რომ იხილებოდა პოტენციალის გრადიენტის საათობრივი ჩანაწერები, მათთან მეტეოროლოგიური პარამეტრების 3-საათიანი მონაცემების დროის მიხედვით შესაბამისი მნიშვნელობების შეთანადება სირთულეს არ წარმოადგენდა ანუ შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელშიც ზემოთ დასახელებული მეტეოროლოგიური პარამეტრების მნიშვნელობა დროის მიხედვით შეთანადებული იყო ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის შესაბამის მნიშვნელობებთან.

მონაცემთა ბაზის შექმნის შემდეგ ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობებიდან მეტეოროლოგიურ პარამეტრთა გავლენის გამოსარიცხად ჩატარებულია შემდეგი ეტაპობრივი საშუალები:

პირველ რიგში, ყურადღება მიექცა ჭექა-ქუხილისა და ელვის შემთხვევებს. განხილულ დროის პერიოდებში ეს მოვლენები სულ 491-ჯერ იყო დაფიქსირებული. მათგან 22 შემთხვევაში შესაბამისი პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობა სეზონური ფონური მნიშვნელობის საზღვრებში თავსდებოდა (ცოტა მოგვიანებით დაწვრილებით იქნება მოყვანილი სეზონური ფონური მნიშვნელობების გამოთვლები), ხოლო დანარჩენ შემთხვევებში ჭექა-ქუხილისა და ელვის მოვლენების შესაბამისი პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობა იცვლებოდა ძალიან დიდ, დაახლოებით (-2500) ვ/მ-დან 3000 ვ/მ-მდე საზღვრებში.

ატმოსფერული ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის შეშფოთებების ანალიზის ჩატარებისას ჭექა-ქუხილისა და ელვის მოვლენების პერიოდები საერთოდ გამორიცხულია.

შემდეგ ეტაპზე შეფასებულია პოტენციალის გრადიენტის ის ანომალური შეშფოთებები, რომელიც ზემოთ დასახელებული 7 ძირითადი მეტეოროლოგიური პარამეტრის ცვლილებითაა გამოწვეული:

პირველ რიგში თითოეული მეტეოროლოგიური პარამეტრის მნიშვნელობა დაყოფილია სამ ჯგუფად (ცხრილი I): მაღალი (ძლიერი), საშუალო (ზომიერი) და დაბალი (სუსტი).

ცხრილი I

ღრუბელი	(ბალი)	ქარი	(მ/წმ)
1. დაბალი	$K < 3$	1. სუსტი	$K < 5$
2. საშუალო	$3 \leq K < 5$	2. ზომიერი	$5 \leq K < 15$
3. მაღალი	$K \geq 5$	3. ძლიერი	$K \geq 15$

ნალექები	(მმ)	ჰაერის ტემპერ.	(C^0)
1. სუსტი	$0.1 \leq K < 1$	1. დაბალი	$-14 \leq K < 0$
2. ზომიერი	$1 \leq K < 5$	2. საშუალო	$0 \leq K < 25$
3. ძლიერი	$K \geq 5$	3. მაღალი	$K \geq 25$

ფარდ. ტენიანობა	(%)	აბს. ტენიანობა	(მლბრ)
1. დაბალი	$0 \leq K < 40$	1. დაბალი	$0 \leq K < 5$
2. საშუალო	$40 \leq K < 70$	2. საშუალო	$5 \leq K < 15$
3. მაღალი	$K \geq 70$	3. მაღალი	$K \geq 15$

ამინდის 7 პარამეტრის მნიშვნელობათა ამგვარად დაყოფის შემდეგ მიღებულია მეტეოროლოგიურ პარამეტრთა 21 ჯგუფი, რომელთა გავლენაც ატმოსფერულ ელექტრულ ველზე აუცილებლად უნდა გამოიხატოს. ამიტომ მიღებული ჯგუფების მიხედვით შედგენილია ე. წ. „ამინდის კომბინაციები“ შემდეგნაირად:

ერთი რომელიმე მეტეოროლოგიური პარამეტრის, მაგალითად, ქარის ფიქსირებული მნიშვნელობის დროს (ქარი – „სუსტი“), იქმნებოდა ამინდის ისეთი კომბინაცია, რომლის დროსაც ყველა დანარჩენი მეტეოროლოგიური პარამეტრი იყო „ძლიერი“ ან „მაღალი“.

შემდეგ ეტაპზე იმავე მეტეოროლოგიური პარამეტრის იმავე მნიშვნელობის დროს (ქარი – „სუსტი“), იქმნებოდა ამინდის ახალი კომბინაცია, როდესაც ყველა დანარჩენი პარამეტრი, გარდა რომელიმე ერთი გამონაკლისისა (მაგ. ნალექი), იყო „ძლიერი“, ხოლო ეს ერთი გამონაკლისი იყო „ზომიერი“ და ა. შ. ამგვარად, გათვალისწინებულია მეტეოროლოგიურ პარამეტრთა ჯგუფების ყველა შესაძლო მნიშვნელობა, სულ მიღებულია ამინდის შემდეგი რაოდენობის კომბინაცია:

$$\frac{n!}{k!(n-k)!} = 2187 \quad (1)$$

(ცხადია, ამინდის ყველა შექმნილი კომბინაცია არ არის რეალური, მაგრამ ეს ფაქტი კვლევის დროს არავითარ წინააღმდეგობას არ ქმნის - პოტენციალის გრადიენტის შეფასების დროს ამინდის ასეთი არარეალური კომბინაციები თავისთავად გამოირიცხება).

ამინდის კომბინაციების შექმნა კვლევის შემდგომ ეტაპზე უკვე საშუალებას იძლევა, მონაცემთა ბაზიდან თითოეული კომბინაციისათვის შეფასდეს პოტენციალის გრადიენტის შესაბამისი საშუალო მნიშვნელობა.

ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენცილის გრადიენტის განხილულ გრაფიკებში, ასეთ მონაცემთა საფუძველზე, პოტენციალის გრადიენტის ანომალური შეშფოთებების დროის მომენტების შესაბამისი ამინდის გავლენის გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდა, ცხადად გამოყოფილიყო ის ანომალური პიკები, რომელიც უკვე მიწისძვრის წინამორბედ ეფექტად შეიძლება ჩაითვალოს.

ცნობილია, რომ დუშეთისათვის ნორმალური დღეების შესაბამისი ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის საშუალო მნიშვნელობა 84 ვ/მ-ის ტოლია. გადახრები ამ მნიშვნელობიდან მიჩნეულია ანომალიად.

უპირველეს ამოცანად დასახული იყო განხილული 130 მიწისძვრის მოხდენის წინა 11-დღიან პერიოდებში პოტენციალის გრადიენტის შეფასება 7 დასახელებული მეტეოროლოგიური პარამეტრის ნულოვანი მნიშვნელობისათვის.

აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ პერიოდებში ყველა განხილული მეტეოროლოგიური პარამეტრის ერთდროული ნულოვანი მნიშვნელობა დაფიქსირებულია 235-ჯერ. მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი პოტენციალის გრადიენტის საშუალო მნიშვნელობების განსაზღვრა გვიჩვენებს, რომ ანომალიათა მნიშვნელობები მერყეობდა +300 ვ/მ-დან (-50) ვ/მ-მდე, რაც მეტად საგულისხმოა.

შემდეგ ეტაპზე განხილულია პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობები ნორმალური დღე-ბისათვის, როდესაც ქვედა იარუსის ღრუბლები არ აღემატება 4 ბალს, ქარის სიჩქარე 4 მ/წმ-ს, საერთოდ არ გვაქვს ნალექები, ჭექა-ქუხილი და ელვა.

აღმოჩნდა, რომ განხილულ გრაფიკებში ასეთი შემთხვევა სულ 1587-ჯერ არის დაფიქსირებული და ამჯერადაც პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობა მკვეთრად განსხვავდება ღუშეთის ობსერვატორიის პოტენციალის გრადიენტის საშუალო მნიშვნელობიდან - ის მერყეობს 1320 ვ/მ-დან (-490) ვ/მ-მდე.

თუ გავიხსენებთ, რომ იხილებოდა მიწისძვრის მოხდენამდე დროის 11-დღიანი პერიოდები, ვფიქრობთ, პოტენციალის გრადიენტის საშუალო მნიშვნელობიდან ასეთი მკვეთრი გადახრები ყურადღებას იმსახურებს.

ვით რა ატმოსფეროს ელექტრული ველის ბუნება, ამოცანის კორექტული გადაწყვეტისათვის აუცილებელია პოტენციალის გრადიენტის სიდიდის ცვლილებებში სეზონური ფონური ვარიაციების გამოყოფა.

სეზონური ფონური ვარიაციების გამოთვლის მიზნით შერჩეულია 130 მიწისძვრის მოხდენის წინა პერიოდის პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობები წლის ერთი და იმავე თვის მიხედვით. ამის შემდეგ ცალკეული თვისთვის გამოთვლილი იყო ატმოსფეროს ელექტრული ველის სეზონური საშუალო მნიშვნელობები:

$$\bar{x} = \sum x_i \omega_i \quad (2)$$

სადაც x_i - პოტენციალის გრადიენტის შესაბამის მონაცემთა საშუალო მნიშვნელობაა. ω_i - x_i მონაცემთა ფარდობითი სიხშირეებია. ხოლო

$$s^2 = \sum \omega_i [(x_i)^2 - (\bar{x})^2] \quad (3)$$

$$\sigma = \sqrt{s^2} \quad (4)$$

s და σ დისპერსია და საშუალო კვადრატული გადახრაა შესაბამისად.

ცხრილ II-ში მოცემულია განხილული მონაცემებისათვის პოტენციალის გრადიენტის სეზონური ფონური ვარიაციების მნიშვნელობები ვოლტ/მეტრებში თვეების მიხედვით.

ცხრილი II

№	$\bar{X} - \sigma$	$\bar{X} + \sigma$	$\bar{X} - 2\sigma$	$\bar{X} + 2\sigma$	$\bar{X} - 3\sigma$	$\bar{X} + 3\sigma$
1	-0.40	25.01	-12.97	37.67	-25.64	50.33
2	-3.58	23.78	-17.27	37.46	-30.95	51.15
3	-3.13	20.04	-14.05	31.17	-24.98	42.30
4	-11.28	23.44	-28.40	40.65	-45.52	57.87
5	-27.27	42.20	-62.01	76.94	-96.75	111.68
6	-15.17	26.49	-35.46	46.71	-55.75	66.93
7	-18.16	27.66	-41.06	50.56	-63.97	73.47
8	-15.21	26.10	-35.86	46.75	-56.51	67.40
9	-4.46	17.58	-15.48	28.60	-26.51	39.62
10	-1.93	14.46	-9.54	21.79	-17.15	29.13
11	-3.24	20.10	-14.90	31.77	-26.57	43.43
12	-0.08	22.68	-11.36	33.76	-22.64	45.04

შემდეგში თითოეული მიწისძვრის მიმართ პოტენციალის გრადიენტის 11-დღიანი მონაცემებისათვის გამოთვლილია $\bar{x} \pm \sigma$, $\bar{x} \pm 2\sigma$ და $\bar{x} \pm 3\sigma$ სიდიდეები. ცნობილია, რომ $\bar{x} \pm 3\sigma$ იმდენად მკაცრი მოთხოვნაა, რომ ის ყველა "შემთხვევითობას" გამოირიცხავს.

თავდაპირველად, კვლევისას, 130 მიწისძვრის მოხდენის წინა 11-დღიანი პერიოდების პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობებში მეტეოროლოგიური პარამეტრების გავლენა მხედველობაში არ იყო მიღებული და ანომალურ შემფოთებებად ჩათვლილი იყო მხოლოდ ის პიკები, რომელიც პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობებიდან $\bar{x} \pm \sigma$ -ის ჩამოჭრის მიღმა რჩებოდა. მიწისძვრის მოხდენის წინა პერიოდებში ასეთი შემფოთება განხილულ ყველა 130 გრაფიკშია დაფიქსირებული, თუმცა $\bar{x} \pm \sigma$ სიდიდის გათვალისწინების შედეგად ანომალური პიკების მნიშვნელობები, ცხადია, შეცვლილია. 130 გრაფიკში $\bar{x} \pm \sigma$ -ის ჩამოჭრის შედეგად პოტენციალის გრადიენტის დარჩენილი ანომალური შემფოთებების მნიშვნელობები მერყეობს (-331.8) ვ/მ-დან 354.8 ვ/მ-მდე და ასეთ ანომალიათა რიცხვია $N=2683$.

საგულისხმოა, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე 11-დღიან პერიოდებში ანომალური შემფოთებების პიკები რამდენჯერმე გვხვდება.

მოთხოვნის გამკაცრების მიზნით, როდესაც განხილულ 130 გრაფიკზე პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობებიდან $\bar{x} \pm 2\sigma$ სიდიდე გამოირიცხა, 130-დან 112-ში გრაფიკში რჩება ანომალური პიკი მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობებით: (-308.9) ვ/მ და 320.1 ვ/მ. საგულისხმოა, რომ ანომალიათა რიცხვმა მკვეთრად იკლო და ახლა ის უკვე $N=935$ -ის ტოლია.

იმავე 130 გრაფიკში $\bar{x} \pm 3\sigma$ -ის ჩამოჭრის შედეგად, როდესაც პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობებიდან ფაქტობრივად ყველა "შემთხვევითობა" გამოირიცხა, 97 გრაფიკში $N=471$ ანომალური პიკი დარჩა, რომელთა მნიშვნელობა (-286) ვ/მ-დან 285.3 ვ/მ-დე იცვლება.

ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება, რომ მიწისძვრის მოხდენამდე 11-დღიან პერიოდებში ცხადად გამოიყოფა პოტენციალის გრადიენტის ანომალური პიკები.

პოტენციალის გრადიენტის საათობრივი მნიშვნელობებიდან $\bar{x} \pm \sigma$, $\bar{x} \pm 2\sigma$ და $\bar{x} \pm 3\sigma$ სიდიდეების გამოირიცხვის შედეგად მიღებული ანომალიები, შესაბამისად, I, II და III ტიპის "ჩვეულებრივ" ანომალიებადაა მიჩნეული. მაგრამ ყველა ამ ზემოთ განხილულ შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული მეტეოროლოგიური პარამეტრების ცვლილებით გამოწვეული შემფოთებები.

შემდეგ ეტაპზე ამოცანა უფრო გამკაცრდა და პოტენციალის გრადიენტის სიდიდეებში გათვალისწინებულ იქნა ის ანომალური შემფოთებები, რომელიც გამოწვეული იქნებოდა ზემოთ შექმნილი "ამინდის კომბინაციებით".

კერძოდ, 130 მიწისძვრისათვის პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობებიდან უკვე $\bar{x} \pm \sigma$, $\bar{x} \pm 2\sigma$ და $\bar{x} \pm 3\sigma$ სიდიდეების გამოირიცხვის შემდეგ ყოველი გამოყოფილი პიკის დროის მომენტს მოემბნა ზუსტად მისი შესაბამისი ამინდის კომბინაცია.

მონაცემთა ბაზიდან გამოთვლილია რა თითოეული ამინდის კომბინაციისათვის ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის შესაბამისი საშუალო მნიშვნელობა, ამ ორი მნიშვნელობის ურთიერთშეთანადებით გამოთვლილია ის ანომალიები, რომელშიც უკვე მეტეოროლოგიური პარამეტრების ცვლილებით გამოწვეული შემფოთებებია გამოირიცხული.

ყველა განხილული 130 მიწისძვრის პოტენციალის გრადიენტის მონაცემისათვის კვლევები ჩატარებულია ზემოთ მოყვანილი "გაფილტვრის" მეთოდის გამოყენებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პოტენციალის გრადიენტის საათობრივი მნიშვნელობებისათვის 3-საათიანი ამინდის კომბინაციათა შესაბამისი პოტენციალის გრადიენტის საშუალო მნიშვნელობების შეთანადების დროს საჭირო გახდა საკმაო რაოდენობის ანომალური პიკების უგულვებლყოფა, რადგან არ გვქონდა დროის ზუსტი თანხვედრა. სწორედ ამის გამო, 130

გრაფიკიდან 18 გრაფიკში საერთოდ შეუძლებელი გახდა პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობების ამინდის გავლენისაგან "გაფილტვრა".

ზემოთ მოყვანილი მიზეზის გამო 130-ის ნაცვლად 112 გრაფიკის ანალიზია ჩატარებული. ცხადია, გაფილტვრის მეთოდი გამოყენებულია ზემოთ, მაგალითისათვის მოყვანილი სამი მიწისძვრის 11-დღიანი პერიოდების (1957. 07. 07 M=5, 1958 11. 26 M=4.6 და 1963 01. 16 M=4.5) პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობებისათვისაც.

ცხრილებში III, IV და V შესაბამისად მოყვანილია ანომალურ პიკებთან დროის მომენტების მიხედვით თანხვედრილი მეტეოროლოგიური პარამეტრების მნიშვნელობები.

ცხრილი III - ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ანომალურ შემოფოტებებთან დროში თანხვედრილი მეტეოროლოგიური პარამეტრების მნიშვნელობები 1957 07. 07 მიწისძვრის შემთხვევისათვის

სთ (გრაფ)	დრუბ.	CB	ქარი	ნალექი	ტენიანობა		ტემპ.
					აბს. მლბრ.	ფარდ. %	C გრად.
74	2		0	3.4	18.2	86	18.3
116	0		2	0	14.2	75	16.7
134	7		4	4.6	14.8	76	17.1

ცხრილი IV - ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ანომალურ შემოფოტებებთან დროში თანხვედრილი მეტეოროლოგიური პარამეტრების მნიშვნელობები 1958 11. 26 მიწისძვრის შემთხვევისათვის

სთ (გრაფ)	დრუბ.	CB	ქარი	ნალექი	ტენიანობა		ტემპ.
					აბს. მლბრ.	ფარდ. %	C გრად.
44	6		1	0	7	100	-1
80	3		17	0	6.3	61	7.4

ცხრილი V - ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის ანომალურ შემოფოტებებთან დროში თანხვედრილი მეტეოროლოგიური პარამეტრების მნიშვნელობები 1963 01. 16 მიწისძვრის შემთხვევისათვის

სთ(გრაფ)	დრუბ.	CB	ქარი	ნალექი	ტენიანობა		ტემპ.
					აბს. მლბრ.	ფარდ. %	C გრად.
4	7	0	0	0.1	9.6	96	-1
10	3	1	1	0	8.1	84	-1.8
16	1	0	1	0	9.5	95	3.4
22	1	0	0	0	9.8	98	1.9
28	1	0	1	0	9	98	-2.5
34	1	0	1	0	7.2	72	5.3

40	2	0	0	0	9.8	98	-0.1
46	0	9	0	0	9.8	98	-1
52	0	9	1	0	7	70	-0.1
58	0	0	1	0	4.6	46	10
64	0	0	1	0	7.7	77	3.7
70	0	0	1	0	9.8	98	-1.2
76	1	0	0	0	6.9	69	1.5
82	0	0	1	0	5	50	3.8
88	0	0	1	0	7.2	72	3.8
94	8	0	1	0	7.4	74	1.7
100	5	0	0	0	8.9	89	2
106	1	0	1	0	6.2	62	10
112	3	0	1	0	7	70	7
118	7	0	3	0	7.8	78	3.6
124	4	0	2	0.2	8	80	1.7
130	0	0	10	0	6.1	61	3.1
136	5	0	2	0	8.5	85	1.4
142	0	0	1	0	9	90	2.8
148	4	0	1	0	8.5	85	-1
154	4	0	1	0	6	60	4.8
160	2	0	1	0	9.8	98	0
166	2	0	2	0	8.6	86	-0.3
172	3	0	1	0	6.9	69	-0.5
178	7	0	3	0	5.9	59	5.4
184	10	0	0	0.2	9.6	96	3
190	7	0	5	0	8	80	-0.4
196	6	0	1	1.3	9	90	3.6
202	5	0	1	0	6.3	63	12
208	3	0	2	0	9.5	95	5.6
214	6	0	1	0	8.8	88	3.8
220	7	0	1	0	7.6	76	5.8
226	7	0	1	0	5.5	55	3.3
232	7	0	0	1.2	8.3	83	7.6
238	4	0	1	0	8.6	86	6
244	8	0	1	0.1	7.4	74	7.2
250	6	0	2	0	9.7	97	6
256	10	0	1	0.9	9.8	98	3.5


112 გრაფიკისათვის აღმოჩნდა, რომ გამოყოფილ I, II და III ტიპის „ჩვეულებრივ“ ანომალიათა მნიშვნელობები მეტეოროლოგიური პარამეტრების გავლენისაგან მონაცემთა „გაფილტვრის“ შედეგად მკვეთრად შეიცვალა - კერძოდ, „გაფილტვრის“ მეთოდის გამოყენებით I ტიპის ანომალია აღმოჩნდა 112-დან 111 გრაფიკში. ანომალურ პიკთა მნიშვნელობები (-192.7) ვ/მ-დან 346.8 ვ/მ-მდე იცვლება და ანომალიათა რიცხვია N=451.

„გაფილტვრის“ მეთოდის გამოყენების შედეგად II ტიპის ანომალია 112 გრაფიკიდან 85-ში გამოვლინდა. ასეთ ანომალურ პიკთა რიცხვია 190, ხოლო ანომალიათა მნიშვნელობები იცვლება (-172.4) ვ/მ-დან 312 ვ/მ-მდე.


„გაფილტვრის“ მეთოდის გამოყენებით III ტიპის ანომალია 112 გრაფიკიდან 66-ში გამოვლინდა. ანომალიათა რიცხვი N=114, ხოლო ანომალურ შემოთვლათა მნიშვნელობები იცვლება საზღვრებში (-152.1) ვ/მ-დან 277.3 ვ/მ-მდე.

ზემოთ მოყვანილი სამი ტიპის „ჩვეულებრივი“ ანომალიის ამინდის გავლენისაგან „გაფილტვრის“ შედეგად მიღებული ანომალიები მიჩნეულია I, II და III ტიპის „წმინდა“ ანომალიებად.

ნახაზებზე, 6 და 7, ნაჩვენებია მიწისძვრის მომზადების წინა 10-დღიან პერიოდში გამოვლენილი „წმინდა“ ანომალიების სახე ორი, 1957 07.07 და 1970 03.14 მიწისძვრის მაგალითზე.



ნახ. 6 - 1957 07.07 მიწისძვრის მოხდენის მომენტის მიმართ ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობებში გამოვლენილი წინამორბედი ეფექტი



ნახ. 7 - 1970 03.14 მიწისძვრის მოხდენის მომენტის მიმართ ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობებში გამოვლენილი წინამორბედი ეფექტი

130 მიწისძვრის განხილვის დროს 112-დან 66 გრაფიკის შემთხვევაში მიღებულია III ტიპის „წმინდა“ ანომალია, რაც მეტად საგულისხმოა. კვლევის დროს ანომალური პიკები ძალიან ბევრ გრაფიკშია უგულებელყოფილი, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხოლოდ და მხოლოდ პოტენციალის გრადიენტის ანომალური პიკისა და ამინდის შესაბამისი „კომბინაციის“ მომენტის თანხვედრის დროს არსებულ ანომალურ პიკებია დატოვებული ანალიზისათვის.

აქედან გამომდინარე, მიწისძვრის მოხდენის წინა 11-დღიან პერიოდებში ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობებში გამოვლენილი სამივე კატეგორიის „წმინდა“ ანომალია საინტერესოა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად III ტიპის „წმინდა“ ანომალია უნდა მივიჩნიოთ, რადგან ის მონაცემებიდან ყოველგვარი „შემთხვევითობისა“ და მეტეოროლოგიური პარამეტრების გავლენით გამოწვეული შემოთვლათების გამორიცხვითაა მიღებული.

დასკვნა. ნაშრომში შესწავლილია კავკასიის ს/ა რეგიონის ძლიერ მიწისძვრათა ატმოსფერული ელექტრული წინამორბედი.

შექმნილია მეტეოროლოგიური პარამეტრების ურთიერთგადამფარავი ზემოქმედებისაგან ატმოსფეროს ელექტრული ველის პოტენციალის გრადიენტის მნიშვნელობების გაფილტვრის მეთოდი.

1953-1992 წლების მონაცემების მიხედვით, მიწისძვრის მოხდენის წინა 11-დღიან პერიოდებში, 112 შემთხვევიდან 66-ში, პირველად მიწისძვრის წინამორბედის სახითაა გამოყოფილი ე.წ. „წმინდა ანომალიები“, ანუ პოტენციალის გრადიენტის ისეთი ანომალური შემფოთებები, რომელშიც მეტეოროლოგიური პარამეტრების გავლენა და ყოველგვარი ფლუქტუაციებია გამორიცხული.

ლიტერატურა:

1. **Gufeld, I. P., Shuleikin, V., J.** Variations of atmospheric field during earthquakes preparing. *Earth Physics*, №2, 12-16, 1988.
2. **Hayakawa, M., Kopytenko, Y., Smirnova, N., Troyan, V., and Peterson, T.H.**, Monitoring ULF magnetic disturbances, and schemes for recognizing earthquake precursors. *Phys. Chem. Earth A*, 25, 3, 263-269, 2000.
3. **Kachakhidze, N.K.**, Electrical field potential gradient of atmosphere as a possible precursor of earthquakes. *Bulletin of Georgian Academy of Sciences*, v.161, N3, 32-43, 2000.
4. **Liperovsky, V.A., Meister, C.V., Liperovskaya, E.V. and Bogdanov, V.V.**, On the generation of electric field and infrared radiation in aerosol clouds due to radon emanation in the atmosphere before earthquakes. *Nat. Hazards Earth Syst. Sci.*, 8, 1199-1205, 2008.
5. **Molchanov, O. A., Mazhaeva, O. A., Golyavin, A. N., Hayakawa, M.**, Observation by the Intercosmos-24 Satellite of ELF-VLF electromagnetic emissions associated with earthquakes. *Annales Geophysicae. Atmos. Hydrospheres Space Sci.* v. 11, no. 5, 431-440, 1993.
6. **Molchanov, O. A., Hayakawa, M.** On the generation mechanism of ULF seismogenic electromagnetic emissions. *Physics of the Earth and Planetary Interiors*, v. 105, 201-220, 1998.
7. **Molchanov, O.A.**, et al. Inductive seismo-electromagnetic effect in relation to ILF emission. *Nat. Hazards Earth Syst. Sci.* 1, 61-67, 2001.
8. **Ouzounov, D., Defu, L., Chunli, K., Cervone, G., Kafatos, M., Taylor, P.** Outgoing long wave radiation variability from IR satellite data prior to major earthquakes. *Tectonophysics*, 431, 211- 220, 2007.
9. **Park, S. K., Johnston, M. J. S., Madden, T. R., Morgan, F. D., and Morrison.** Electromagnetic precursors to earthquakes in the ulfband, *Rev. Geophys.*, 31, 2, 117-132, 1993.
10. **Plotkin, V.V.**, GPS detection of ionospheric perturbation before the 13 February 2001, Salvador earthquake. *Natural Hazards and Earth System Sciences*. 3, 249 – 253, 2003.
11. **Prasad, B.S.N., Nagaraja, T.K., Chandrashekhara, M.S., Paramesh, L., Madhava, M.S.**, Diurnal and seasonal variations of radioactivity and electrical conductivity near the surface for a continental location Mysore, India. *Atmos. Res.* 76, 65-77, 2000.
12. **Pulinets, S.A., Ciraola, L., Joyva, A.**, Ionospheric anomalies registered round the time of several strong earthquakes in United States. *The physics of seismic electric signals – Solid State Section. Department of physics, University of Athens, Athens, Greece*, 388, 2005.

13. **Pulinets, S.A., Ouzounov, D., Karelin, A.V., Boyarchuk, K.A., Pokhmelnikh, L.A.**, the physical nature of the thermal anomalies observed before strong earthquakes. *Phys.Chem.Earth*, 31,143-153, 2006.
14. **Smirnov, S.**, Association of the negative anomalies of the quasistatic electric field in atmosphere with Kamchatka seismicity. *Nat. Hazards Earth Syst. Sci.*, 8, 745-749, 2008.
15. **Triantis, D., Anastasiadis,C., and Stavrakas, I.** The correlation of electrical charge with strain on stressed rock samples. *Nat. Hazards Earth Syst. Sci.*, 8, 1243-1248, 2008.

შრომა შესრულდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის DI/21/9-140/13 გრანტის ფარგლებში.

საბაზო ორგანიზაცია: საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

M. Kachakhidze, N. Kachakhidze, I. Turazashvili, V. Cocoberidze, K. Machavariani, Z. Vashalomidze

**Searching of atmospheric electric field potential gradient, as
earthquake possible precursor on the base of Caucasus region
retrospective data**

Summary

In order to solve earthquake problem it is necessary to carry out work step by step: to get results of searching about separate geophysical fields and than to spread them for region seismic situation.

There is considered less known precursor of earthquake, namely atmospheric electric precursor of Caucasus large earthquakes.

To reveal precursor it is created so-called "method of filtration", which let us separate changing of atmospheric electric field caused by the process of earthquake preparation.

It is known that revealing of earthquake precursors has episodic character in case of separate earthquakes and post factum. Presented searching is carried out on the base of retrospective data by earthquakes occurrence chronology which is the new step in this direction of the searching.

მათემატიკა

Об одном признаке абсолютной сходимости кратных рядов Фурье

1. В этом пункте приводятся некоторые обозначения и определения,

Пусть, 2π – периодическая относительно каждой из переменных функция $f \in L_p[R_k^0]$, $1 < p \leq \infty$ ($L_\infty \equiv C$), где $R_k^0 = [0, 2\pi]^k$. Предположим, что $M = (1, 2, \dots, k)$, B – произвольное подмножество из M и $\bar{B} = C_m B$; $n_i = 1, 2, \dots$ ($i = 1, 2, \dots, k$), $\vec{n} = (n_1, n_2, n_k)$ и $\lambda(\vec{n})$ – число тех координат вектора \vec{n} , которые равны нулю.

Как известно K –кратный тригонометрический ряд Фурье функции f имеет вид

$$\sigma_k[f] \sim \sum_{n \geq 0} 2^{-\lambda(\vec{n})} \sum_{B \subset M} Q_{\vec{n}}^B(f) \prod_{i \in B} \cos n_i x_i \prod_{j \in \bar{B}} \sin n_j x_j, \quad (1)$$

где

$$Q_{\vec{n}}^B(f) = \frac{1}{\pi^k} \int_{R_k^0} f(\vec{x}) \prod_{i \in B} \cos n_i x_i \prod_{j \in \bar{B}} \sin n_j x_j d\vec{x}$$

называются коэффициентами Фурье функции f .

Допустим, что $E_k - K$ ($K \geq 1$)–мерное евклидово пространство с обычными линейными операциями и $\zeta_k = \{\vec{x}; \vec{a} \leq \vec{x} \leq \vec{b}, \vec{x} \in E_k\}$ K мерный куб и $f \in L_p[\zeta_k]$, $1 < p \leq \infty$, ($L_\infty \equiv C$).

Рассмотрим следующие функции

$$\alpha \rightarrow_{i_1} \left(x \rightarrow_{i_1} \right) = \int_{\zeta_{k-1}} f(\vec{x}) d\vec{x}, \quad (2)$$

$$\alpha \rightarrow_{i_{k-1}} \left(x \rightarrow_{i_{k-1}} \right) = \int_{\zeta_1} f(\vec{x}) d\vec{x}$$

где $d\vec{x}$ элемент дифференциала, в которой отсутствуют дифференциалы тех координат, которые входят в аргументы функции (2).

Продолжим

$$\begin{aligned} \Delta_{h_{i_1}} \left(\alpha \rightarrow_{i_1} \right) &= \alpha \rightarrow_{i_1} \left(x \rightarrow_{i_1} + h_{i_1} \right) - \alpha \rightarrow_{i_1} \left(x \rightarrow_{i_1} \right), \\ \Delta_{h_{i_1}, \dots, h_{i_{k-1}}} \left(\alpha \rightarrow_{i_{k-1}} \right) &= \Delta_{h_{i_{k-1}}} \left(\Delta_{h_{i_1}} \left(\dots \Delta_{h_{i_{k-2}}} \left(\alpha \rightarrow_{i_{k-1}} \right) \dots \right) \right); \\ \Delta_{h_s}^* (\vec{x}; f) &= f(x_1, \dots, x_s + h_s, \dots, x_k) - f(x_1, \dots, x_k), \\ \Delta_{h_1, h_2, \dots, h_j}^* (\vec{x}; f) &= \Delta_{h_j}^* \left(\Delta_{h_1}^* \left(\dots \Delta_{h_{j-1}}^* (\vec{x}; f) \dots \right) \right), \end{aligned}$$

где $S = 1, 2, \dots, k$; $j = 2, \dots, k$ и $(x_{i_s} + h_{i_s}) \in \zeta_k$;

$$\Delta_{\vec{h}} \rightarrow (\vec{x}; f) = f(\vec{x} + \vec{h}) - f(\vec{x}).$$

Далее выражения

$$\omega \left(\delta_{i_1}; \alpha \rightarrow_{i_1} \right) = \sup_{|h_{i_1}| \leq \delta_{i_1}} \left| \Delta_{h_{i_1}} \left(\alpha \rightarrow_{i_1} \right) \right|_{C[\zeta_k]},$$

$$\omega\left(\delta_{i_1}, \dots, \delta_{i_{k-1}}; \alpha \xrightarrow{i_{k-1}}\right) = \sup_{\substack{|h_{i_1}| \leq \delta_{i_1} \\ |h_{i_{k-1}}| \leq \delta_{i_{k-1}}}} \left| \Delta_{h_{i_1}, \dots, h_{i_{k-1}}}(\alpha \xrightarrow{i_{k-1}}) \right|_{C[\zeta_k]};$$

$$\Omega(\delta_1, \dots, \delta_k; f) = \sup_{\substack{|h_i| \leq \delta_i \\ (i=1,2,\dots,k)}} \left| \Delta_{h_1, \dots, h_k}^*(\vec{x}; f) \right|_{C[G_k]},$$

$$W(\delta; f) = \sup_{|\vec{h}| \leq \vec{\delta}} \left| \Delta_{\vec{h}}(\vec{x}; f) \right|_{C[\zeta_k]},$$

называются модулями непрерывности соответствующих функции.

2. В данном пункте доказывается теорема, которая является обобщением результата Томича [2] для кратных тригонометрических рядов Фурье.

Теорема. Предположим, что функция $f \in C[R_k^0]$ и все её коэффициенты Фурье неотрицательны. Если

$$\sum_{n_{i_1}=1}^{\infty} \frac{\omega\left(\frac{\pi}{2n_{i_1}}; \alpha \bar{l}_1\right)}{n_{i_1}} < \infty,$$

$$\sum_{n_{i_1}=1}^{\infty} \sum_{n_{i_2}=1}^{\infty} \frac{\omega\left(\frac{\pi}{2n_{i_1}}, \frac{\pi}{2n_{i_2}}; \alpha \bar{l}_2\right)}{n_{i_1} \cdot n_{i_2}} < \infty,$$

$$\sum_{n_{i_1}=1}^{\infty} \sum_{n_{i_2}=1}^{\infty} \dots \sum_{n_{i_{k-1}}=1}^{\infty} \frac{\omega\left(\frac{\pi}{2n_{i_1}}, \dots, \frac{\pi}{2n_{i_{k-1}}}; \alpha \bar{l}_{k-1}\right)}{n_{i_1} \cdot n_{i_2} \dots n_{i_k}} < \infty,$$

$$\sum_{\vec{n}=1}^{\infty} \frac{W\left(\frac{\pi}{2n_1}, \frac{\pi}{2n_2}, \dots, \frac{\pi}{2n_k}; f\right)}{\vec{n}} < \infty, \quad (3)$$

то ряд (1) абсолютно сходится.

Доказательство. Для простоты, доказательство будем вести в двумерном случае. Мы должны доказать абсолютную сходимость рядов

$$\sigma_1[\alpha_1] \sim \frac{a_{0,0}}{4} + \frac{1}{2} \sum_{m=1}^{\infty} a_{m,0} \cos mx + b_{m,0} \sin mx, \quad (4)$$

$$\sigma_1[\alpha_2] \sim \frac{a_{0,0}}{4} + \frac{1}{2} \sum_{n=1}^{\infty} a_{0,n} \cos ny + c_{0,n} \sin ny, \quad (5)$$

$$\sum_{m=1}^{\infty} \sum_{n=1}^{\infty} a_{m,n} \cos mx \cos ny + b_{m,n} \sin mx \cos ny + c_{m,n} \cos mx \sin ny + d_{m,n} \sin mx \sin ny, \quad (6)$$

при условии, что функция $f \in [R_2^0]$, все её коэффициенты Фурье неотрицательны и

$$\sum_{m=1}^{\infty} \frac{\omega(\frac{\pi}{2m}; \alpha_1)}{m} < \infty, \quad \sum_{n=1}^{\infty} \frac{\omega(\frac{\pi}{2n}; \alpha_2)}{n} < \infty, \quad (7)$$

$$\sum_{m=1}^{\infty} \sum_{n=1}^{\infty} \frac{W(\frac{\pi}{2m}; \frac{\pi}{2n}; f)}{m \cdot n} < \infty. \quad (8)$$

В силу теоремы Пели [1], условия (7) и теоремы Томича [2], ряды (4) и (5) абсолютно сходятся.

Рассмотрим ряд

$$\sum_{m=1}^{\infty} \sum_{n=1}^{\infty} a_{m,n} \cos mx \cdot \cos ny. \quad (9)$$

Пусть

$$M = \sup_{(x,y) \in R_2^0} |f(x,y)|,$$

а $S_{m,n}(x,y)$ и $\sigma_{m,n}(x,y)$ соответственно частичная сумма и сумма Фейера ряда (9). Так как $a_{m,n} \geq 0$, то

$$\begin{aligned} S_{m,n}(0,0) &= \sum_{i=1}^m \sum_{k=1}^n a_{i,k} \leq \frac{4(m+1)(n+1)}{(2m+1)(2n+1)} S_{m,n}(0,0) \leq \\ &\leq \frac{4}{(2m+1)(2n+1)} \sum_{i=0}^{2m} \sum_{k=0}^{2n} S_{i,k}(0,0) = \sigma_{2m,2n}(0,0) \leq M. \end{aligned}$$

Следовательно

$$\sum_{i=1}^m \sum_{k=1}^n a_{i,k} \leq M,$$

что означает абсолютную сходимость ряда (9).

Далее, легко показать, что,

$$\sigma_{m,n}(x+h, y+\eta) - \sigma_{m,n}(x-h, y-\eta) = \sum_{i=1}^m \sum_{k=1}^n \left(1 - \frac{i}{m+1}\right) \left(1 - \frac{k}{n+1}\right) A_{i,k},$$

где

$$\begin{aligned} A_{i,k} &= 2\{a_{i,k}(-\cos ix \sin ky \cos ih \sin k\eta - \sin ix \cos ky \sin ih \cos k\eta) + \\ &+ b_{i,k}(\cos ix \cos ky \sin ih \cos k\eta - \sin ix \sin ky \cos ih \sin k\eta) + \\ &+ c_{i,k}(\cos ix \cos ky \cos ih \sin k\eta - \sin ix \sin ky \sin ih \cos k\eta) + \\ &+ d_{i,k}(\sin ix \cos ky \cos ih \cos k\eta + \cos ix \sin ky \sin ih \cos k\eta), \end{aligned}$$

а $\sigma_{m,n}(x,y)$ сумма Фейера для ряда (6).

В силу ортогональности тригонометрических функции, находим

$$\begin{aligned}
B_{m,n}(h,\eta) &= \iint_{00}^{2\pi 2\pi} \{\sigma_{m,n}(x+h, y+\eta) - \sigma_{m,n}(x-h, y-\eta)\} K_m(x) K_n(y) d_x d_y = \\
&= A \sum_{i=1}^m \sum_{k=1}^n \left(1 - \frac{i}{m+1}\right)^2 \left(1 - \frac{k}{n+1}\right)^2 (b_{i,k} \sin ih \cos k\eta + c_{i,k} \cos ih \sin k\eta).
\end{aligned}$$

Предложим, что

$$h = \frac{\pi}{2m}, \quad \eta = \frac{\pi}{2n}.$$

Тогда

$$\begin{aligned}
B_{m,n}\left(\frac{\pi}{2m}, \frac{\pi}{2n}\right) &= A \sum_{i=1}^m \sum_{k=1}^n \left(1 - \frac{i}{m+1}\right)^2 \left(1 - \frac{k}{n+1}\right)^2 (b_{i,k} \sin \frac{i\pi}{2m} \cos \frac{k\pi}{2n} + \\
&\quad + c_{i,k} \cos \frac{i\pi}{2m} \sin \frac{k\pi}{2n}) \geq \frac{A}{16\sqrt{2}} \sum_{i=1}^{\lfloor \frac{m}{2} \rfloor} \sum_{k=1}^{\lfloor \frac{n}{2} \rfloor} \left(\frac{i}{m} b_{i,k} + \frac{k}{n} c_{i,k}\right) \geq \\
&\geq A \cdot \frac{1}{mn} \sum_{i=1}^{\lfloor \frac{m}{2} \rfloor} \sum_{k=1}^{\lfloor \frac{n}{2} \rfloor} ik (b_{i,k} + c_{i,k}). \tag{10}
\end{aligned}$$

С другой стороны, так как

$$\sigma_{m,n}(x, y) = \frac{1}{\pi^2} \iint_{00}^{2\pi 2\pi} f(t, \tau) K_m(x-t) K_n(y-\tau) dt d\tau,$$

то

$$W(\delta_1, \delta_2; \sigma_{m,n}) \leq CW(\delta_1, \delta_2; f), \quad c > 0.$$

Следовательно

$$B_{m,n}\left(\frac{\pi}{2m}, \frac{\pi}{2n}\right) \leq B \cdot W\left(\frac{\pi}{2m}, \frac{\pi}{2n}; f\right), \tag{11}$$

Обозначим

$$\left[\frac{m}{2}\right] = p, \quad \left[\frac{n}{2}\right] = q, \quad b_{i,k} + c_{i,k} = \gamma_{i,k}.$$

Используя преобразование Харди, будем иметь

$$\begin{aligned}
\sum_{i=1}^p \sum_{k=1}^q \gamma_{i,k} &= \sum_{i=1}^p \sum_{k=1}^q \frac{ik\gamma_{i,k}}{ik} = \sum_{i=1}^{p-1} \sum_{k=1}^{q-1} \frac{S_{i,k}}{ik(i+1)(k+1)} + \sum_{i=1}^{p-1} \frac{S_{i,q}}{i(i+1)q} + \\
&\quad + \sum_{k=1}^{q-1} \frac{S_{p,k}}{k(k+1)p} + \frac{S_{p,q}}{pq}, \tag{12}
\end{aligned}$$

где

$$S_{i,k} = \sum_{\mu=1}^i \sum_{\nu=1}^k \mu\nu\gamma_{\mu,\nu}.$$

Учитывая (10) и (11) из (12) находим

$$\begin{aligned}
& \sum_{i=1}^p \sum_{k=1}^q \gamma_{i,k} = \sum_{i=1}^{p-1} \sum_{k=1}^{q-1} \frac{1}{(i+1)(k+1)} + \left(\frac{1}{ik} \sum_{\mu=1}^i \sum_{\nu=1}^k \mu \nu \gamma_{\mu,\nu} \right) + \\
& + \sum_{i=1}^{p-1} \frac{1}{i+1} + \left(\frac{1}{iq} \sum_{\mu=1}^i \sum_{\nu=1}^q \mu \nu \gamma_{\mu,\nu} \right) + \sum_{k=1}^{q-1} \frac{1}{k+1} + \left(\frac{1}{pk} \sum_{\mu=1}^p \sum_{\nu=1}^k \mu \nu \gamma_{\mu,\nu} \right) + \frac{1}{pq} \sum_{i=1}^p \sum_{k=1}^q ik \gamma_{i,k} \leq \\
& \leq \sum_{i=1}^{p-1} \sum_{k=1}^{q-1} \frac{W\left(\frac{\pi}{2i}; \frac{\pi}{2k}; f\right)}{ik} + \sum_{i=1}^{p-1} \frac{W\left(\frac{\pi}{2i}; \frac{\pi}{2q}; f\right)}{i} + \sum_{k=1}^{q-1} \frac{W\left(\frac{\pi}{2p}; \frac{\pi}{2k}; f\right)}{k} + \\
& + W\left(\frac{\pi}{2p}; \frac{\pi}{2q}; f\right). \tag{13}
\end{aligned}$$

Принимая во внимание монотонность $W(\delta_1, \delta_2; f)$, заключаем

$$\sum_{i=1}^{p-1} \sum_{k=1}^{q-1} \frac{W\left(\frac{\pi}{2i}; \frac{\pi}{2k}; f\right)}{ik} \geq \sum_{i=1}^{p-1} \frac{W\left(\frac{\pi}{2i}; \frac{\pi}{2q}; f\right)}{i},$$

следовательно из (13) получаем

$$\sum_{i=1}^p \sum_{k=1}^q (b_{i,k} + c_{i,k}) \leq 3 \sum_{i=1}^{p-1} \sum_{k=1}^{q-1} \frac{W\left(\frac{\pi}{2i}; \frac{\pi}{2k}; f\right)}{ik} + W\left(\frac{\pi}{2p}; \frac{\pi}{2q}; f\right).$$

Отсюда, в силу (3), имеем

$$\sum_{i=1}^{\infty} \sum_{k=1}^{\infty} (b_{i,k} + c_{i,k}) < \infty.$$

Наконец, рассмотрим ряд

$$\sum_{i=1}^{\infty} \sum_{k=1}^{\infty} d_{i,k} \sin ix \sin ky.$$

Легко можно показать, что

$$\begin{aligned}
\Delta^2 \sigma_{m,n}(x, y) &= \sigma_{m,n}(x+h, y+\eta) - \sigma_{m,n}(x+h, y-\eta) - \sigma_{m,n}(x-h, y+\eta) + \\
&+ \sigma_{m,n}(x-h, y-\eta) = 4 \sum_{i=1}^m \sum_{k=1}^n \left(1 - \frac{i}{m+1}\right) \left(1 - \frac{k}{n+1}\right) D_{i,k} \sin h \sin k\eta,
\end{aligned}$$

где

$$\begin{aligned}
D_{i,k}(x, y) &= d_{i,k} \cos ix \cos ky - b_{i,k} \cos ix \cos ky - c_{i,k} \sin ix \cos ky + \\
&+ a_{i,k} \sin ix \cos ky.
\end{aligned}$$

Далее

$$\begin{aligned}
B_{m,n}^*(h, \eta) &= \iint_{00}^{2\pi 2\pi} \Delta^2 \sigma_{m,n}(x, y) K_m(x) K_n(y) dx dy = \\
&= A \sum_{i=1}^m \sum_{k=1}^n \left(1 - \frac{i}{m+1}\right)^2 \left(1 - \frac{k}{n+1}\right)^2 d_{i,k} \sin ih \sin k\eta. \tag{14}
\end{aligned}$$

отсюда, полагая

$$h = \frac{\pi}{2m}, \quad \eta = \frac{\pi}{2n}, \quad p = \left[\frac{m}{2} \right], \quad q = \left[\frac{n}{2} \right],$$

находим

$$\frac{1}{pq} \sum_{i=1}^p \sum_{k=1}^q ikd_{i,k} \leq AB_{m,n}^* \left(\frac{\pi}{2m}, \frac{\pi}{2n} \right).$$

Из (14) следует

$$\left| B_{m,n}^* \left(\frac{\pi}{2m}, \frac{\pi}{2n} \right) \right| \leq A\Omega \left(\frac{\pi}{2m}, \frac{\pi}{2n}; f \right).$$

Поэтому

$$\frac{1}{pq} \sum_{i=1}^p \sum_{k=1}^q ikd_{i,k} \leq A\Omega \left(\frac{\pi}{2m}, \frac{\pi}{2n}; f \right).$$

Применяя опять преобразование Харди, получаем

$$\sum_{i=1}^p \sum_{k=1}^q d_{i,k} = \sum_{i=1}^{p-1} \sum_{k=1}^{q-1} \frac{S_{i,k}}{ik(i+1)(k+1)} + \frac{1}{q} \sum_{i=1}^{p-1} \frac{S_{i,q}}{i} + \frac{1}{p} \sum_{k=1}^{q-1} \frac{S_{p,k}}{k} + \frac{S_{p,q}}{pq},$$

где

$$S_{i,k} = \sum_{\mu=1}^i \sum_{\nu=1}^k \mu\nu d_{\mu,\nu}.$$

Следовательно, учитывая монотонность $\Omega(\delta_1, \delta_2; f)$, будем иметь

$$\sum_{i=1}^p \sum_{k=1}^q d_{i,k} \leq 3 \sum_{i=1}^{p-1} \sum_{k=1}^{q-1} \frac{\Omega \left(\frac{\pi}{2i}, \frac{\pi}{2k}, f \right)}{ik} + \Omega \left(\frac{\pi}{2p}, \frac{\pi}{2q}, f \right)$$

Отсюда

$$\sum_{i=1}^{\infty} \sum_{k=1}^{\infty} d_{i,k} \leq A \sum_{i=1}^{\infty} \sum_{k=1}^{\infty} \frac{\Omega \left(\frac{\pi}{2i}, \frac{\pi}{2k}, f \right)}{ik},$$

что и доказывает теорему, ибо

$$\Omega(\delta_1, \delta_2; f) \leq W(\delta_1, \delta_2; f).$$

Литература

1. Н. Бари, Тригонометрические ряды, Физ-матГИЗ., Москва (1961).
2. М. Tomić, Remarque sur la convergence absolue des series d Fourier ; Arkiv der Math., XIV (1961), 31-33.

თამაზ თევზაძე

**ფურიეს ჯერადი მწკრივების აბსოლუტური კრებადობის ერთი
ნიშნის შესახებ**

რეზიუმე

ნაშრომში დამტკიცებულია თეორემა, რომელიც ფურიეს ჯერადი ტრიგონომეტრიული მწკრივებისათვის აზოგადებს ტომინის [2] შესაბამის დებულებას.

ეკონომიკა

ლეგან ქისტაური

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები

საქართველოს ეკონომიკის პრობლემები ამ ეტაპისათვის ლარის დევალვაციაში, ფასების ზრდასა და ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებაში გამოიხატება. სახეზეა სავალუტო კრიზისი და უმოქმედების შემთხვევაში იგი შესაძლებელია საბანკო და ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდოს.

პრობლემის მიზეზი ისედაც დეფიციტური სავაჭრო და საგადამხდლო ბალანის წონასწორობის დარღვევაა. აღნიშნული პირველ რიგში განპირობებულია საგარეო ეკონომიკური ფაქტორებით, შიდა ფაქტორებმა კი ხელი შეუწყო „საგარეო შოკის“ მიმართ ეროვნული ეკონომიკის მგრძობიარობის გაზრდას.

საქართველოს ექსპორტ-იმპორტი (მლნ. აშშ. დოლარი)¹.

	2010	2011	2012	2013	2014	2015*
ექსპორტი სულ	1 677,5	2 189,1	2 375,4	2 908,5	2 861,2	156,4
მათ შორის:						
იანვარი	106,1	149,0	156,5	196,3	223,5	156,4
თებერვალი	109,3	146,6	148,5	162,1	216,1	
მარტი	125,1	169,5	231,4	207,1	256,2	
აპრილი	126,7	192,0	187,7	220,3	236,6	
მაისი	144,6	199,8	235,1	216,0	242,5	
ივნისი	123,0	180,2	179,6	233,6	244,1	
ივლისი	149,5	149,2	211,5	240,0	246,5	
აგვისტო	121,5	184,4	198,9	284,3	247,8	
სექტემბერი	156,7	180,9	218,1	257,9	239,7	
ოქტომბერი	161,7	186,6	216,9	287,0	272,3	
ნოემბერი	164,7	198,3	192,7	311,7	202,9	
დეკემბერი	188,6	252,8	198,5	292,3	233,0	
იმპორტი სულ	5 257,1	7 065,3	8 049,5	8 025,7	8 596,3	538,1
მათ შორის:						
იანვარი	293,9	451,3	504,8	484,5	542,4	538,1
თებერვალი	331,4	423,8	561,2	517,9	592,0	
მარტი	438,6	583,8	688,5	618,0	701,0	
აპრილი	391,5	531,3	706,2	656,8	682,9	
მაისი	443,6	561,2	694,8	660,1	814,4	
ივნისი	415,8	567,7	639,2	610,4	697,8	
ივლისი	422,4	574,0	699,3	718,9	787,0	
აგვისტო	454,1	682,8	707,1	711,0	682,5	
სექტემბერი	456,8	616,1	768,1	704,3	726,3	

¹ საქსტატი, www.geostat.ge

ოქტომბერი	503,4	666,1	737,1	734,2	782,3	
ნოემბერი	494,1	670,4	658,9	789,6	724,7	
დეკემბერი	611,6	736,7	684,2	820,1	862,9	

მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოს მეზობელი და ძირითადი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური რეალობა:

რუსეთი - 2014წ. დასაწყისიდან დღემდე რუსული რუბლის კურსი აშშ. დოლართან მიმართებაში დაახლოებით 100%-ით დაეცა და დღეისათვის 62 რუბლის ფარგლებშია. მას შემდეგ რაც რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა რუბლის კურსის სტაბილიზაციის მიზნით სავალუტო რეზერვებიდან პირდაპირ და არაპირდაპირ დაახლოებით 100 მლრდ. აშშ. დოლარი დახარჯა, 2014წ. 16 დეკემბერს საბაზისო განაკვეთი 18%-მდე გაზარდა (მ.წ. 2 თებერვალს 16%-მდე შეამცირა)². გადახედული იქნა 2015წ. ეკონომიკის ზრდის პროგნოზი - ეკონომიკის ვარდნა (რეცესია) 15%, ინფლაცია 20%, მთავრობამ კი საბიუჯეტო ხარჯების 10%-იანი შემცირება გამოაცხადა.

უკრაინა - გასული ერთი წლის განმავლობაში უკრაინული გრივნას დევალვაციამ 350% მიაღწია და დღეისათვის 1 აშშ. დოლარი 25 გრივნას ფარგლებშია³. 2014წ. ინფლაცია 25%, 2015წ. საპროგნოზო ინფლაცია 26%, ეკონომიკის ვარდნა 15%.

მოლდოვა - მოლდოვური ლეის კურსი მ.წ. 1 იანვრიდან 26%-ით დაეცა. მანამდე (2014წ. განმავლობაში) ლეი 19.6%-ით გაუფასურდა. ეროვნული ვალუტის მხარდაჭერის მიზნით მოლდოვის ეროვნულმა ბანკმა (მეზ) 2014წ. ნოემბერ-დეკემბერში რეფინანსირების განაკვეთი 3.5%-დან 6.5%-მდე გაზარდა და სავალუტო ბაზარზე დაახლოებით 200 მლნ. აშშ. დოლარის ინტერვენციები განახორციელა. 2015 წ. დასაწყისიდან მეზ-მა ლეის კურსის მხარდაჭერისათვის რეზერვებიდან დამატებით 140 მლნ. აშშ დოლარი გაყიდა, იანვრის ბოლოს რეფინანსირების განაკვეთი 8.5%-მდე, ხოლო 17 თებერვალს გამართულ რიგგარეშე სხდომაზე კი 13.5%-მდე აწია⁴. მ.წ. განვილი პერიოდში ინფლიაციამ დაახლოებით 2% შეადგინა, შემცირებული იქნა 2015წ. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4%-დან 0%-მდე, განიხილება ბიუჯეტის სეკვესტრი.

აზერბაიჯანი - აზერბაიჯანის ცენტრალურმა ბანკმა 2014წ. აგვისტოდან მანათის კურსის სტაბილიზაციისათვის 2.5 მლრდ. აშშ. დოლარზე მეტი დახარჯა. თებერვლის დასაწყისში აცბ-მა უარი თქვა აზერბაიჯანული მანათის აშშ. დოლართან მიბმაზე. 2015წ. 21 თებერვალს აზერბაიჯანის მანათის კურსი 1 აშშ.დოლარი-0.78 მანათიდან 1 აშშ დოლარი-1.05 მანათამდე დაეცა (დევალვაცია 33%)⁵. ინფლაციური მოლოდინი მკვეთრად მატულობს, ხოლო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შემცირებისკენ კორექტირდება.

სომხეთი - უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში სომხური დრამის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში დაახლოებით 12%-ით დაეცა, დღეისათვის 1 აშშ. დოლარი 479 დრამს უდრის. ეროვნული ვალუტის კურსზე ზეწოლის შემცირების მიზნით სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა (სცბ) სავალუტო ინტერვენციების პარალელურად რეფინანსირების განაკვეთი ჯერ 9.5%-მდე, შემდეგ კი 10.5%-მდე აწია⁶. 2015წ. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი დაკორექტირდა 0%-ის ფარგლებში, სავარაუდო ინფლაცია 9% (დაგეგმილი 4% ნაცვლად).

² რუსეთის ცენტრალური ბანკი, www.cbr.ru

³ უკრაინის ეროვნული ბანკი, www.bank.gov.ua

⁴ მოლდოვის ეროვნული ბანკი, www.bnm.org

⁵ აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი, www.cbaz.az

⁶ სომხეთის ცენტრალური ბანკი, www.cba.am

თურქეთი - 2014წ. დასაწყისიდან თურქული ლირა დაახლოებით 12%-ით გაუფასურდა (დღეისათვის 1 აშშ. დოლარი 2.45 ლირა). 2014წ. გეგმიური 5%-იანი ინფლაციის ნაცვლად დასრულდა 8.2% ინფლაციით, მ.წ. ინფლაციის პროგნოზი 9%, ეკონომიკის ზრდის ტემპები შემცირებული⁷.

ყაზახეთი - ყაზახურმა ტენგემ 20%-იანი დევალვაცია ჯერ კიდევ 2014წ. თებერვალში განიცადა. რუბლის კურსის ყოველი 10%-იანი ვარდნა ყაზახეთის სავაჭრო ბალანსს დაახლოებით 2.5 მლრდ. აშშ დოლარს აკარგვინებს. ექსპერტები ელოდებიან ტენგეს შემდგომ დევალვაციას, ინფლაციის მკვეთრ ზრდას და ეკონომიკის შემცირებას⁸.

ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში ევროს კურსი აშშ. დოლართან მიმართებაში დაახლოებით 20%-ით დაეცა. აშშ-ს ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა 2014წ. ბოლოს შეწყვიდა ეროვნული ეკონომიკის სტიმულირების ე.წ. „როდენობრივი შერბილების პროგრამა“, 2015წ. მეორე ნახევრიდან გეგმავს საპროცენტო განაკვეთის გაზრდას⁹, ხოლო ევროპის ცენტრალური ბანკი ეხლა იწყებს მსგავსი სტიმულირების პროგრამის განხორციელებას რაც ევროკავშირის ეკონომიკაში ყოველთვიურად დაახლოებით 60 მლრდ. ევროს ინექციას გულისხმობს¹⁰.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მითითებული ქვეყნებიდან საქართველოში სავაჭრო და არასავაჭრო ოპერაციებით უცხოური ვალუტის შემოდინება შემცირდა ვინაიდან: ერთი - შესაბამის ბაზარზე ქართული საქონელი ადგილობრივ ვალუტაში გაძვირდა, მეორე - აღნიშნულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად იკლო ეკონომიკურმა აქტივობამ, მოსახლეობის შემოსავლებმა, მსყიდველობითუნარიანობამ და შესაბამისად შემცირდა ამ ქვეყნებიდან ფულადი გზავნილებების მოცულობა საქართველოში, მესამე - შესაბამისი ქვეყნის ვალუტაში გაძვირდა საქართველოში ინვესტიციის ღირებულება და ა.შ. უფრო კონკრეტულად, რომ ვთქვათ, ტურისტულმა ნაკადმა საქართველოში იკლო არა იმდენად შიდა მიზეზებით არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ პოტენციური ტურისტებისთვის საქართველოში ვიზიტი გაძვირდა, ექსპორტის კლების მთავარი მიზეზი ადგილობრივი საექსპორტო საქონლის გაძვირებაა იმპორტიორის ბაზარზე, ფულადი გზავნილების კლების მიზეზი რუსეთში, უკრაინაში და მსგავს ქვეყნებში მყოფი ჩვენი თანამემამულეების აშშ. დოლარში დენომინირებული შემოსავლების კლებაა და ა.შ.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით:

⁷ თურქეთის ცენტრალური ბანკი, www.tcmb.gov.tr

⁸ ყაზახეთის ეროვნული ბანკი, www.nationalbank.kz

⁹ აშშ ფედერალური სარეზერვო ბანკი, www.federalreserve.gov


¹⁰ ევროპის ცენტრალური ბანკი, www.ecb.europa.eu

ექსპორტ-იმპორტის დინამიკა

მილიონი აშშ დოლარი



სწრაფი ფულადი გზავნილების ჩარიცხვები ქვეყნების მიხედვით (იანვარი, 2014)



ერთი სიტყვით რომ ვთქვათ დაირღვა ისედაც დეფიციტური საგადამხდელი ბალანის არსებული წონასწორობა, დეფიციტი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ასეთ ვითარებაში ლარის კურსის უცვლელი არა თუ შეუძლებელი იყო, არამედ საქართველოს ეკონომიკისათვის, მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო კონტრპროდუქტიული იქნებოდა ვიდრე ლარის დევალვაცია.

შესაბამისად შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ იმ ნაწილში რასაც დევალვაციის მასშტაბები ქვია, და იმაზე თუ როგორი მომზადებული შეხვდა ასეთ ვითარებას საქართველოს ეროვნული ბანკი და მთავრობა, რა ნაბიჯები გადადგა, რამდენად ღრულად და ადეკვატურად.

ვფიქრობთ რომ ამ მიმართულებით საქართველოს რეაგირება დაგვიანებული იყო. ვთვლით, რომ 2014 წლის როგორც მინიმუმ აგვისტოდან უკვე შესაძლებელი იყო მოსალოდნელი „საგარეო შოკების“ იდენტიფიცირება, შესწავლა და ნეგატიური ზეგავლენის სავარაუდო მასშტაბების გათვლა. 2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში კი უკვე აშკარად გამოიკვეთა პრობლემები და პირველი სიმპტომებიც გამოჩნდა ფინანსურ ბაზარზე.

ფულის მასის აგრეგატები და მონეტარული კოეფიციენტები ¹¹.

¹¹ საქართველოს ეროვნული ბანკი, www.nbg.gov.ge

ფულის მასის აგრეგატები და მონეტარული კოეფიციენტები									
	პერიოდის ბოლოსათვის					პერიოდის ბოლოსათვის			
	ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში, ათასი ლარი	სარეზერვო ფული, ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M3), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M2), ათასი ლარი	მონეტარული აგრეგატი (M1), ათასი ლარი	ბანკებს გართავს არსებული ნაღდი ფული (M0), ათასი ლარი	მონეტიზაციის კოეფიციენტი (M3)	მონეტიზაციის კოეფიციენტი (M2)	ფულის ბრუნვის სიჩქარე (M2)
იანვარი-14	2 097 932	3 756 142	9 453 973	4 910 384	3 800 826	1 725 649			
თებერვალი-14	2 131 254	3 717 321	9 556 546	5 043 357	3 878 123	1 735 660			
მარტი-14	2 115 493	3 659 706	9 555 305	5 023 280	3 866 455	1 719 520	32,59	17,13	5,84
აპრილი-14	2 159 671	3 855 910	9 799 048	5 082 162	3 884 541	1 767 032			
მაისი-14	2 164 141	3 804 159	9 846 213	5 122 478	3 908 268	1 784 593			
ივნისი-14	2 209 451	3 846 994	10 130 909	5 208 363	3 995 785	1 815 070	34,55	17,76	5,63
ივლისი-14	2 264 280	3 901 000	10 178 206	5 321 839	4 060 770	1 864 242			
აგვისტო-14	2 317 334	3 988 861	10 273 633	5 482 590	4 139 800	1 879 174			
სექტემბერი-14	2 295 072	4 056 513	10 516 743	5 481 300	4 114 615	1 854 187	35,87	18,70	5,35
ოქტომბერი-14	2 265 104	4 020 879	10 497 444	5 556 365	4 155 990	1 837 304			
ნოემბერი-14	2 220 580	4 050 812	10 754 605	5 616 504	4 226 851	1 791 375			
დეკემბერი-14	2 462 108	4 501 010	11 189 836	5 911 310	4 460 837	1 942 582	38,17	20,16	4,96
იანვარი-15	2 264 561	4 111 313	11 197 676	5 513 645	4 069 634	1 860 482			

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არა მხოლოდ (და არა იმდენად) სავალუტო ინტერვენციების იმედად უნდა ყოფილიყო, არამედ ნოემბრის ბოლოს ან დეკემბერში უნდა გაეკეთებინა ის რაც მან გააკეთა 2015წ. 11 თებერვალს როცა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 4%-დან 4.5%-მდე ასწია. თებერვალში ეს ნაბიჯი უკვე არაეფექტური იყო, რასაც ადასტურებს 2015წ. იანვრის თვეში 1.4%-იანი ინფლიაცია და მიუხედავად არაერთი ინტერვენციის და რეფინანსირების განაკვეთის ზრდისა ლარის კურსის შემდგომი ვარდნა (გვინდა აქვე გამოვთქვათ ვარაუდი, რომ სებ-მა შესაძლებელია 2014 წ. მიწურულს იმიტომ არ გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა რომ ხელი არ შეეშალა 2014 წ. ეკონომიკური ზრდის 5%-იანი გეგმიური მაჩვენებლის მიღწევისათვის, თუმცა მიგვაჩნია, რომ 2014 წ. ბოლოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 0.5-1.0%-ით გაზრდა 2015 წლის ეკონომიკურ ზრდაზე არ იმოქმედებდა). ასევე მიგვაჩნია, რომ მ.წ. იანვარ-თებერვალში სებ-ს უნდა გადაეღვა შემდგომი თანმიმდევრული ნაბიჯები მონეტარული სტაბილურობის უზრუნველყოფის მიმართულებით, კერძოდ, გაექტიურებინა (გაეზარდა) სადეპოზიტო სერთიფიკატებით ოპერაციების მოცულობა ღია ბაზარზე და გამოეცხადებინა რეფინანსირების განაკვეთის შემდგომი და უფრო მკვეთრი ზრდა. მთავრობას კი როგორც მინიმუმ ორი-სამი თვის წინ უნდა დაეწყო მუშაობა 2015 წ. ეკონომიკური ზრდის პროგნოზის შემცირების და ბიუჯეტის კორექტირების მიმართულებით.

მდგომარეობა რთულია და სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს, თუმცა საჭირო არ არის სიტუაციის პოლიტიზირება, დრამატიზირება და აჟიოტაჟური განწყობის შექმნა, არც ველოსიპედის გამოგონება საჭირო, არც საგანგებო „საბჭოების“, „კომიტეტების“ თუ „კომისიების“ შექმნა. საჭიროა ფულად-საკრედიტო და ფისკალური მიმართულებით ტექნოკრატული ღონისძიებების სასწრაფო გატარება.

იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი საბიუჯეტო და ფისკალური გადაწყვეტილებების მიღება ობიექტურად გარკვეულ დროს საჭიროებს, სიტუაციაზე (ფულად მასაზე) ოპერატიული რეაგირება ეროვნულმა ბანკმა უნდა მოახდინოს, კერძოდ:

1. სებ-მა ბაზარს უნდა აჩვენოს რომ მზადაა რადიკალური გადაწყვეტილებების მისაღებად და უნდა გაზარდოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების განაკვეთი) სავარაუდოდ 6.5%-მდე;

2. სებ-მა უნდა განახორციელოს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების განაკვეთის გაზრდა 1%-ული პუნქტით კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების ვადიანობის და ვალუტის სახეობების მიუხედავად (მომდევნო 3-6 თვის განმავლობაში მდგომარეობის სტაბილიზაციის

კვალობაზე ვფიქრობთ რომ შესაძლებელი იქნება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თანმიმდევრული შერბილება და ეკონომიკის სტიმულირება);

3. სებ-მა უნდა გადახედოს სადებოზიტო სერტიფიკატების ემისიის კალენდარს, გაააქტიუროს ოპერაციები ღია ბაზარზე, გაზარდოს ემისიის მოცულობა (სავარაუდოდ მინიმუმ 2 ჯერ) და აწიოს საპროცენტო განაკვეთის ჭერი (სავარაუდოდ 7.5%-ის ფარგლებში). სებ-მა უკან არ უნდა დაიხიოს მოსალოდნელი ფინანსური ზარალის შიშით და უნდა უზრუნველყოს ფინანსური ბაზრიდან საშუალოვადიანი ლიკვიდობის ოპერატიული ამოღება და მოქნილი მართვა;

4. სებ-მა ლარის კურსის ახალი რეალობის და მოსალოდნელი ექვილიბრიუმის გათვალისწინებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საბანკო ზედამხედველობას, ჩაატაროს წამყვანი საბანკო დაწესებულებების „სტრეს ტესტები“. არსებული შიდა და გარე ფაქტორების და ტენდენციების გათვალისწინებით უნდა შეისწავლოს და გააანალიზოს კომერციული ბანკების გადახდისუნარიანობის და ლიკვიდობის პოზიციები, თვალი ადევნოს ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტს;

პარალელურად:

მთავრობამ და სებ-მა ურთიერთშეთანხმებით უნდა გადახედონ 2015წ. მიზნობრივ ინფლაციას (5%) და სავარაუდოდ იგი უნდა განისაზღვროს 7%-ის ფარგლებში;

1. მთავრობამ უნდა გადახედოს 2015წ. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს და ჩვენის გათვლებით იგი უნდა შემცირდეს 3.5%-მდე;

2. 2015წ. ეკონომიკური ზრის და ინფლაციის ახალი პარამეტრების (შესაბამისად 3.5% და 7%) გათვალისწინებით გადახედილი უნდა იქნას 2015წ. სახელმწიფო ბიუჯეტი (შემოსავლები და ხარჯები) შემცირების კუთხით (ჩვენის ვარაუდით დაახლოებით 300 მლნ.ლარით);

3. გადახედილი უნდა იქნას 2015წ. ბიუჯეტის არა მხოლოდ საერთო პარამეტრები, არამედ საბიუჯეტო ხარჯების პრიორიტეტები მუხლობრივ ჭრილში და რადაც არ უნდა რთული და არაპოპულარული იყოს მაქსიმალურად უნდა შეიკვეცოს სუბსიდიები, „არამწარმოებლური“ ხარჯები;

4. მთავრობამ ყველაფერი უნდა იღონოს უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური შემოდინების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით მან ინვესტორებს უნდა შესთავაზოს „მზა“ საინვესტიციო პროექტები და გადადგას სხვა აქტიური ნაბიჯები (ჩვენის პროგნოზით მ.წ. ქვეყნის ეკონომიკისათვის საჭიროა დაახლოებით 1.5 მლრდ. აშშ დოლარის ინვესტიცია);

მიგვაჩნია, რომ დღევანდელ ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკისათვის და მოსახლეობისათვის მონეტარული სტაბილურობა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ეკონომიკური ზრდა, შესაბამისად ვთვლით, რომ დრო არ ითმენს და რაც უფრო დავიგვიანებთ ზემოთაღნიშნული თუ სხვა ზომების გატარებას მდგომარეობა უფრო გამწვავდება, ნეგატიური ეფექტი გაიზრდება, შედეგი კი უფრო მტკივნეული იქნება.

Levan Kistauri

The Modern challenges of the economy of Georgia

Summary

The article is devoted to the national currency of Georgia, devaluation of GEL and its possible impact over the economic development.

There are discussed the reasons of GEL devaluation in the work, and represented the review of macroeconomic circumstance of the main trade partners of Georgia, effect of the “External Shocks” influence over the monetary stability, and the role and place of the National Bank and Government of

Georgia during 2014 and beginning of 2015 year, relative to the current processes in the national economy.

Author presents his own professional opinion and suggestions regarding the monetary and fiscal measures of the economic stability of Georgia.

ავტორების შესახებ

ზოსიმე შიოშვილი – წილკნისა და ღუშეთის მიტროპოლიტი.

როინ მეტრეველი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, საქართველოს საპატრიარქოს წიმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

სერგო ვარდოსანიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წიმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი.

მინდია უგრეხელიძე – სამართლის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წიმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი.

ევა გოცირიძე – სამართლის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წიმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

ვახტანგ გურული – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წიმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) დეკანის მოადგილე.

როზუტა გუჯეჯიანი – ისტორიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წიმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

გვანცა ბურდული – ისტორიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წიმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) დეკანატის მთავარი სპეციალისტი.

მაკა კვარაცხელია – ისტორიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს თბილისის არქივის დირექტორი.

ღურმიშხან ლაშვი – საქართველოს საპატრიარქოს წიმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) დოქტორანტი.

ლევან ჯიქია – საქართველოს საპატრიარქოს წიმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) ასოცირებული პროფესორი.

მანანა ტაბიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წიმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.

ლია კარიჭაშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს საპატრიარქოს წიმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ლიმიტრი ნადირაშვილი – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქართული უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) დეკანი.

მაია კალანდარიშვილი – ფსიქოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

თეა გოგოტიშვილი – ფსიქოლოგიის დოქტორი, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ევროპაში EAGT აკრედიტებული ფსიქოთერაპევტი.

მანანა კაჭახიძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) პროფესორი;

ნინო კაჭახიძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) მოწვეული პროფესორი, გრანტის №DI/21/9-140/13 მთავარი მკვლევარი;

იოსებ ტურაზაშვილი - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) დოქტორანტი, გრანტის № DI/21/9-140/13 უმცროსი მკვლევარი;

კახა მაჭავარიანი - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) დოქტორანტი, გრანტის № DI/21/9-140/13 უმცროსი მკვლევარი;

ვიტალი ლოღობერიძე - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) დოქტორანტი, გრანტის № DI/21/9-140/13 უმცროსი მკვლევარი;

ზურაბ ვაშალომიძე - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) დოქტორანტი.

თამაზ თევზაძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი.

ლევან ქისტაური – ეკონომიკის დოქტორი, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.